

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
2003 წლის სამეცნიერო
მუშაობის ანგარიში**



**თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004**

„სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელის თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით სუფევს, ყველა თავისი მიმართულებით, სამეცნიერო გამოცდების და ხარისხის წყალობით იქ ერთად მოღვაწიობენ სიცოცხლითა, ნიჭით და გამბედაობით საესე ახალგაზრდა მეცნიერიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაუებული განთქმული მეცნიერიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლესი მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა, მეცნიერ-მეკლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ერეგვა და .თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ ცოცხალ ძალად არის ქცეული“.

ივანე ჯავახიშვილი

ამ კრებულით ვაგრძელებთ სამეცნიერო მუშაობის ანგარიშების სისტემატურ გამოცემას, რომელსაც საფუძველი დაედო 2000 წელს. ამავე დროს კრებული 3-წლიანი ინტერვალით განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <www.tsu.edu.ge>

შემდგენელი ტარიელ ბახია

რედაქტორი პროფესორი ანზორ ხელაშვილი

რექტორის მოხსენება

XXI საუკუნე ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს საუნივერსიტეტო განათლებას – პოლიტიკისა და ეკონომიკის გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესი, ინფორმაციული საზოგადოებისაკენ სვლა და XX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული გამოცდილება მოითხოვს საუნივერსიტეტო განათლების მოდერნიზაციას.

რთული ისტორიული გარემოებების მიუხედავად, წარსულში, ქართულმა უნივერსიტეტმა, წმინდა საგანმანათლებლო მიზნების სამსახურთან ერთად, ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში მისი დამკვიდრების საქმეშიც ღირსეული ლიდერობა შექმნა.

დღეს საქართველოში მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრების ყველა წინაპირობაა – რეეოლუციური გზით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არის მცდელობა შეიცვალოს კომუნისტური მემკვიდრეობიდან დარჩენილი ტოტალიტარული მმართველობის წესი, და ამ პროცესს დიდი მხარდაჭერა აქვს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც – ქართველი ხალხი, მეგობარი თუ მეზობელი ქვეყნები და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი ამ პროცესის მიმართ კეთილი მოლოდინით არის დამუხტული.

საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულთათვის ამ მოლოდინისაგან ყველაზე არსებითია ის, რომ შეიქმნას საგანმანათლებლო რეფორმებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემო, რათა უნივერსიტეტმა განიმტკიცოს საზოგადოებაში უნივერსალური ფასეულობებისა და ეროვნული და საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის გარანტის ინტელექტუალური და სოციალური მისია.

ასე რომ, ყველა შემთხვევაშია აუცილებელი ჩვენთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიმდინარე რეფორმების დაჩქარება, გარკვეული რადიკალური ნაბიჯების გადადგმაც კი, ამასთან უნდა გვახსოვდეს, თუ რაოდენ პასუხსაგებია ეროვნული ფასეულობების ღირსეული სამსახურის და კულტურული მემკვიდრეობის გარანტის მისია და იმგვარად უნდა ჩავერთოთ გლობალიზაციის პროცესში და

გავხდეთ მსოფლიო მოქალაქეები, რომ არ დავეკარგოთ ეროვნულობა, პირიქით, საკუთარი ხალხის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით გავამაგროთ და გავაძლიეროთ საკუთარი ფესვები. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეფორმის სტრატეგიული გეგმის ფორმირებას.

განათლების სფეროში რეფორმების წარმატებას, საყოველთაო აღიარებით, სამი დონის მონაწილემ შეიძლება შეუწყოს ხელი:

1. საერთაშორისო ორგანიზაციებმა,
2. სახელმწიფო ხელისუფლებამ,
3. საგანმანათლებლო პროცესში უშუალოდ ჩართულმა პირებმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე დიდი ხანია აღებული აქვს გეზი საერთაშორისო, პირველყოფლისა, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისაკენ, ამიტომ რეფორმის სტრატეგიული გეგმის შედგენისა და მისი ხორცშესხმის პროცესში სახელმძღვანელო იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი დოკუმენტები, დეკლარაციები, შეთანხმებები, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტი ოფიციალურად არის ბოლონის პროცესის მონაწილე, მას შემდეგ, რაც ხელი მოვაწერეთ „მაგნა ქარტას“, რითაც ჩვენი უნივერსიტეტი გახდა „ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის“ წევრი. „ასოციაცია“ სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ საერთო ნორმების ფარგლებში უნივერსიტეტების ჰარმონიული საქმიანობა აამაღლებს უმაღლესი განათლების სტატუსს და გაზრდის მის როლს ცოდნის გავრცელების საქმეში. ამიტომ იგი ცდილობს ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის განათლებისა და კვლევების საერთო ევროპული სისტემის შექმნას. ამ სტრატეგიის განსახორციელებლად ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ განათლების ხარისხის შეფასების პროგრამა, რომლის მეშვეობითაც „ასოციაცია“ ავითარებს წარმოდგენებს საგანმანათლებლო ხარისხის შესახებ, აერცვლებს საუნივერსიტეტო მმართველობის ეფექტურ სტრატეგიებს და ასოციაციის წევრ ყოველ უნივერსიტეტს, რომელიც თვითშეფასების საფუძველზე თვითონ გაიაზრებს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს, უბიძგებს სრულყოფილებისაკენ. ეს პროგრამა იძლევა საერთაშორისო მსოფლადქმის საშუალებას და არ გულისხმობს აკრედიტაციას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ემზადება განათლების ხარისხის შეფასების პროგრამაში ჩაბმისათვის და ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ღღერადობას იძენს „ზალცბურგის სემინარის“ ექსპერტთა ჯგუფის 2002 წლის შემოდგომაზე თბი-

ლისში ვიზიტის საფუძველზე შედგენილი და მოწოდებული „საანგარიშო მოხსენება“, რომლის გათვალისწინება რეფორმის სტრატეგიული გეგმის შედგენისას აუცილებელია.

რაც შეეხება საგანმანათლებლო რეფორმის მეორე დონის მონაწილეს – ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებას, იგი დღეს ახლიდან ფორმირდება და უნივერსიტეტმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ საკუთარი რეფორმებით სახელმწიფო აღმშენებლობის ავანგარდში იდგეს, ხელისუფლებისაგან კი მოითხოვოს და მოიპოვოს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული რეფორმებისა და წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო, ფინანსური თუ სხვა სახის მხარდაჭერა.

სტრატეგიული გეგმის შემოქმედნი და განმახორციელებელნი არიან საგანმანათლებლო რეფორმის ძირითადი მონაწილე პირები – უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დამკვეთი საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მშობლები, პრინციპულია საკითხი, რეფორმის მონაწილე ამ ძირითად დონეზე, არსებობს თუ არა საკმაო რეფორმატორული ძალა, რეფორმატორ ადამიანთა რესურსების კრიტიკული მასა, რომელიც უზრუნველყოფს რეფორმის პროექტის ხორცშესხმას?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებობს არა მარტო რეფორმატორული განწყობა და სურვილი, არამედ ყველაზე ამბიციური პროექტის რეალობად გადაქცევის ინტელექტუალური და პროფესიული რესურსი და რეფორმატორულად მოაზროვნე აქტიური პიროვნებების აუცილებელი კრიტიკული მასა. სასიამოვნოა, რომ ზალცბურგის სემინარის ექსპერტთა ჯგუფის მოხსენებაც გვიდასტურებს ასეთ ოპტიმიზმს.

რეფორმის სტრატეგიის შემუშავებაში დაინტერესებულ აქტიურ პირთა მოზიდვისა და ფართო საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების მიზნით შეიქმნა საუნივერსიტეტო რეფორმის ხელშემწყობი კომისია, პრორექტორ პარმენ მარგველაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ უკვე მოამზადა არასაბიუჯეტო შემოსავლების რაციონალური და ეფექტური ხარჯვის საინტერესო წინადადება, რომელიც სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლების, სასწავლო პროცესის დახვეწისა და გაუმჯობესების ეფექტურ ფინანსურ ბერკეტად და მექანიზმად უნდა იქცეს. ახლა მიმდინარეობს ამ წინადადების ინტენსიური განხილვა, დეტალების დაზუსტება და შეჯერება. ამ გზით მიიღწევა სხვა, უნივერსიტეტისათვის ასევე მნიშვნელოვანი მიზანიც –

უნივერსიტეტის ინსტიტუციონალური სტრატეგიის ფართოდ განხილვა, საზოგადოებისათვის მისი მკაფიოდ გაცნობა და სწორად გაგება. სამომავლოდ აუცილებლად უნდა გადაისინჯოს და დამუშავდეს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაკვეთისა და სახელმწიფო დაფინანსების პრინციპები, რათა საზოგადოებრივი სახსრებიც ასევე ეფექტურად და რაციონალურად იქნეს დახარჯული.

საუნივერსიტეტო რეფორმის ხელშემწყობი კომისიის წინადადებით, რექტორატმა უახლოეს მოკლევადიან პროგრამათა ნუსხაში შეიტანა აგრეთვე უნივერსიტეტში ენების ცენტრის ჩამოყალიბების ამოცანა. ენების ცენტრის შექმნა განტვირთავს არასპეციალური ფაკულტეტების სასწავლო ცხრილს, გადაჭრის სააუდიტორიო ფონდის პრობლემას და, რაც მთავარია, მაღალ დონეზე აიყვანს და ეფექტურს გახდის არასპეციალურ ფაკულტეტებზე უცხო ენების სწავლებას. შემოთავაზებული პროექტით მოიგებს სამხედრო სწავლებაც, რადგან ის მაღლივი კორპუსის მოწყობილ ბაზაზე და გაშლილ ტერიტორიაზე გადაინაცვლებს. ამ ამოცანის გადაჭრას ჯერ მხოლოდ ფინანსური პრობლემა ეღობება წინ და უნივერსიტეტი იმედით ელის სამეურვეო საბჭოს გამომხმაურებას.

იმის გათვალისწინებით, რომ გარემო პირობების ცვალებადობის ტემპი სწრაფია და საზოგადოება უმაღლესი განათლებისაგან მოელის პარტნიორობას სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, საუნივერსიტეტო რეფორმის სტრატეგიის ორგანულ ნაწილად უნდა იქცეს საკუთარი საინფორმაციო საშუალებებით საზოგადოების ფართო ფენებთან კავშირი და ურთიერთობა. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები – ამიერიდან ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება ყოველკვირეული ბეჭდვითი ორგანო „ქართული უნივერსიტეტი“ და ეთერში გავა რადიოსადგური „ოსუ“. აღსანიშნავია, რომ იგი სტუდენტთა ინიციატივით შეიქმნა და სულ მალე დაიწყებს პროფესიულ საეთერო მაუწყებლობას და საუნივერსიტეტო საქმიანობის პოპულარიზაციისა და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობის საუკეთესო საშუალებად იქცევა.

უნივერსიტეტის სასწავლო და მმართველობით პროცესში სტუდენტთა თანამონაწილეობის გაზრდის, სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების შემდგომი ხელშემწყობისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების ეფექტურობის მიზნით 2003

წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების კონკურსი. ეს არის სრულიად ახალი, გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის, მათი დამოუკიდებელი საქმიანობის ხელშეწყობის გაზრდას.

სტუდენტთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ შემუშავდა სტუდენტური პროექტების პროგრამის დებულება, რომლის თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზაციებს, ისე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებს და ცალკეულ სტუდენტებს. პროგრამა ფაქტიურად მოიცავს სტუდენტური აქტივობის ყველა ძირითად მიმართულებას. მათ შორის: სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის მხარდაჭერის, სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების, სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესების, სტუდენტთა თავისუფალი დროის ორგანიზებისა და საგარეო კავშირურთიერთობების განვითარების პროგრამებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონკურსი ჯერ მხოლოდ ორჯერ ჩატარდა, უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობითა და ნდობით სარგებლობს სტუდენტთა შორის, რაზეც მეტყველებს განსახილველად შემოსულ პროექტთა დიდი რაოდენობა და მათი მომზადების მაღალი ხარისხი.

რა სიახლეებია სასწავლო პროცესის თვალსაზრისით

უკანასკნელ წლებში ჩვენი მთავარი ყურადღება გადატანილია მაგისტრატურის არსსა და მის დანიშნულებაზე. სწორედ ამიტომ, პირველყოვლისა, საჭირო ინფორმაციას მის შესახებ მოგაწვდით.

2003-2004 სასწავლო წელს მაგისტრატურაში მიღებისათვის მზადება 2002 წლის ოქტომბრიდანვე დაიწყო, სასწავლო-მეთოდურ სამმართველოში, მეთოდურ საბჭოში და რექტორატის სხდომებზე მიღების პროცესის ანალიზითა და ფაკულტეტებიდან შემოსული წინადადებების შესწავლა-განხილვით. შესაბამისად, მომზადდა მაგისტრატურაში მიღების წესების ახალი, კორექტირებული ვარიანტი.

2003 წელს მაგისტრატურაში მიღება გამოცხადდა 184 სპეციალობაზე, მათ შორის, ახალია:

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე – კულტუროლოგია;

ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დიდაქტიკა;

რეკლამის ფსიქოლოგია; ეთნოპოლიტიკური ფსიქოლოგია;

ისტორიის ფაკულტეტზე – ისტორიული კულტუროლოგია;

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე – ტურიზმისა და სასტუმრო მეურნეობის კომერციული საქმიანობა; რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობა; მომსახურების მარკეტინგი; სტუმართმძღობის ინდუსტრიის მარკეტინგი; სასურსათო პროდუქციის სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია, ხარისხის მართვა;

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე – გლობალიზაციის პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია; გარემოს ეკონომიკური შეფასება და ეკოლოგიური ექსპერტიზა;

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე – საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია;

ჩამოყალიბდა საფაკულტეტაშორისო სამაგისტრო სპეციალობები:

ბიოგეოგრაფია, ევროპული სამართალი (გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი სწავლებით), სოციალური მეცნიერებები, კონფლიქტების მართვა.

მოხდა ზოგიერთი სპეციალობის გაუქმებაც: შოუ – ბიზნესი, სოციალური საქმიანობის ორგანიზაცია.

შარშან კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1262-მა კონკურსანტმა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული იყო 54, აქედან 2 – უცხოეთის მოქალაქე. კონკურსანტთა შორის 218 წინა წლების უნივერსიტეტდამთავრებულია.

საბიუჯეტო სექტორზე ჩაირიცხა 728 კონკურსანტი, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებიდან – 11, წინა წლების უნივერსიტეტდამთავრებულებიდან – 100. ამას ემატება უნივერსიტეტის (მესხეთის, ზუგდიდის, სოხუმის, სიღნაღის, ოზურგეთის) ფილიალებიდან ლიმიტისა და კონკურსის წესით ჩაირიცხული 107 მაგისტრანტი.

არასაბიუჯეტო სექტორზე ჩაირიცხა 226 კონკურსანტი, მათ შორის 26 სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, 36 – წინა წლების უნივერსიტეტდამთავრებულებიდან, ე.ი. სულ საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორებზე ჩაირიცხა 1061 კონკურსანტი. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე წინა წელს იყო, მაშინ საბიუჯეტო სექტორზე ჩაირიცხა 680 და არასაბიუჯეტო სექტორზე 115, სულ 795.

უნდა შევნიშნოთ, რომ კონკურსანტთა რაოდენობამ ყველგან

მოიმატა, განსაკუთრებით კი - ფიზიკის, ქიმიის, ისტორიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ეკონომიკის ფაკულტეტებზე.

წარმატებული აღმოჩნდა შემდეგი სამაგისტრო სპეციალობები: სასოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია, ევროპული სამართალი, სოციალური მეცნიერებები, კონფლიქტების მართვა. მაღალი საკონკურსო ტრადიციებით ხასიათდება სამაგისტრო სპეციალობები: კომპიუტერული ტექნოლოგიები; სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია; ტრანსფიზიოლოგია და ციტოქიმატიოლოგია; დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; ქართული ლიტერატურა; ქართველური ენები; ბიზანტინისტიკა და ნეოგრეციისტიკა; საერთაშორისო ურთიერთობები; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი; საბანკო საქმე; მენეჯმენტი სოციალურ სფეროში; საერთაშორისო მენეჯმენტი; ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და მართვა; ინფორმატიკა საბანკო, საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო საქმეში (არასაბიუჯეტო სექტორი).

აქვე უნდა ითქვას, რომ უნდა გადაისინჯოს ზოგიერთი ფაკულტეტის გადაწყვეტილება მაგისტრატურაში გამოცდების წესით მიღების შესახებ. გამოცდების ორგანიზება, გარდა იმისა, რომ დამატებით ფსიქოლოგიურ დატვირთვასა და ეკონომიკურ ხარჯებთანაა დაკავშირებული (II ეტაპზე სპეციალობაში გამოიცადა 912 კონკურსანტი. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ფიზიკის, ისტორიის, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების და ეკონომიკის ფაკულტეტების გამო, რომლებმაც ფაქტობრივად ყველა კონკურსანტი დაუშვეს საგამოცდო შერჩევაზე. ამ კონტინგენტში, სულ ცოტა 154 ადგილზე შეიძლებოდა რეიტინგული წესით ჩარიცხვის განხორციელება). შედეგებითაც ვერ აუმჯობესებს რეიტინგული მონაცემებით შერჩევასა და ჩარიცხვას, ანუ გამოცდებზეც მაღალი რეიტინგის მფლობელნი წინაურდებიან. ერთხელ კიდევ ხომ არ აეწონ-დაეწონოთ და შეკაფასოთ გამოცდების მიხედვით ჩარიცხვის აკარგი და კვლავაც ვისარგებლოთ კარგად აპრობირებული საუნივერსიტეტო რეიტინგული ჩარიცხვის სისტემით.

ბოლო წლებში ძირითად საგამოცდო სესიებზე სისტემატურად ფიქსირდება დაბალი აკადემიური მოსწრება. სტუდენტთა საკმარისად დიდი რაოდენობა დავალიანების ლიკვიდაციას ახ-

დენს დამატებით გამოცდებზე, რომლებიც ტარდება არდადეგების და, როგორც წესი, მომდევნო სემესტრში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს. ეს იწვევს პედაგოგების გადატვირთვას, დავალიანების მქონე სტუდენტთაგან ლექცია-სემინარების გაცდენასაც და ხელს უშლის სასწავლო პროცესის ნორმალურ წარმართვას.

არსებული რეალობის გამოკვლევის მიზნით სასწავლო-მეთოდური სამმართველოს კომისიის მიერ ფაკულტეტებზე შესწავლილ იქნა 2002-2003 სასწავლო წლის ზამთრის საგამოცდო სესიის აკადემიური მოსწრების შედეგები, რომელთა ანალიზის შედეგად სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის მთელი პერიოდის განმავლობაში მათი სისტემატური მუშაობის სტიმულირებისათვის შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. აბიტურიენტმა საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით რომ აირჩიოს სპეციალობა, მიზანშეწონილია:

ა) არსებითად შეიცვალოს მისაღები გამოცდების ცნობარის სტრუქტურა. კერძოდ, მასში უნდა აისახოს რა დისციპლინებია და რა მოცულობითაა წარმოდგენილი ისინი საუნივერსიტეტო სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამებში;

ბ) სასკოლო დისციპლინებში, რომლებიც შერჩეული საუნივერსიტეტო სპეციალობის დასაუფლებლად საბაზოა და, ამავე დროს, მისაღებ გამოცდებზე არ ბარდება, აბიტურიენტთათვის მისაღები გამოცდების წინ მოეწყოს გასაუბრებები.

2. სტუდენტისათვის, სემესტრის დასაწყისში მაინც, ცნობილი უნდა იყოს:

ა) შესასწავლი დისციპლინების პროგრამები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ დისციპლინის მიმართ ევროსივრცეში საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტების შესაბამის თანამედროვე მოთხოვნებს;

ბ) რა დისციპლინების ცოდნას ემყარება მოცემული დისციპლინის შესწავლა და რა როლი აკისრია მას სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამაში;

გ) ეტაპების მიხედვით დისციპლინის შესაბამისი საშუალებდო შემოწმებებისა და სემესტრული გამოცდების საკითხები შეფასების კრიტერიუმებთან ერთად.

3. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი სტუდენტის ცოდნის საბოლოო შეფასებაში არ გაითვალისწინებს საშუალებდო შემოწმებების შედეგებს, დეკანი ვალდებულია მოთხოვოს პედაგოგს წერი-

ლობითი ახსნა-განმარტება, ხოლო არსებული საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად, შეფასება უნდა შესწორდეს, დეკანის პასუხისმგებლობით, რის შესახებაც სტუდენტს უნდა ეცნობოს დროულად.

4. ფაკულტეტის დეკანებს და კათედრის გამგეებს მიეცათ წინადადება, დანერგონ „კონკრეტულ დისციპლინებში სტუდენტის სემესტრული შეფასების მეთოდიკა“, რომელიც შესასწავლ დისციპლინებში სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორული სამუშაოების შესრულება) განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის კომპლექსური შეფასების კრიტერიუმებს.

5. სტუდენტთა დამატებითი სტიმულირებისათვის, რათა მათ ძირითად საგამოცდო სესიაზე ჩააბარონ ყველა საგანი, მაგისტრატურაში და ასპირანტურაში ჩარიცხვის დროს, სხვა ყველა მოთხოვნის მიხედვით თანაბარქულიან პრეტენდენტებს შორის, უპირატესობა მიენიჭოს მას, ვისაც ძირითად საგამოცდო სესიაზე ჩაბარებული დისციპლინების შესაბამისი კრედიტების ჯამი მეტი ექნება.

გადაწყდა, რომ აღნიშნული ქულების აღრიცხვა მოხდება მომავალი სასწავლო წლიდან.

6. სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის კვირეული სააუდიტორიო დატვირთვის მიმართ ეროსივრცეში საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტების შესაბამის თანამედროვე მოთხოვნებს (ბაკალავრიატში და ერთსაფეხურიან სწავლებაზე არ უნდა აღემატებოდეს 20 საათს, მაგისტრატურაში კი – 18 საათს).

სასწავლო-მეთოდურმა სამმართველომ შეიმუშავა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების დებულება.

დროის მოთხოვნების შესაბამისად, გადამუშავებული იქნა დებულება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების შესახებ“. მასში ერთ მთლიან დოკუმენტად გაერთიანდა საუნივერსიტეტო ნორმატიული მოთხოვნები საშუალებდო შემოწმებების, ჩათვლების, გამოცდების, სახელმწიფო ატესტაციის და კონკრეტულ დისციპლინაში სტუდენტის სემესტრული შეფასების შესახებ.

შესაბამისი ფორმების მეშვეობით დროულად ხდებოდა ინფორმაციის მოპოვება ფაკულტეტებიდან ეტაპების მიხედვით საშუა-

ლედო შემოწმების, ჩათვლის კვირეულის შედეგების და საგამოცდო სესიის შედეგების შესახებ. ხორციელდებოდა მოძიებულ ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავება, რის შედეგადაც რექტორატისა და უნივერსიტეტის დიდი საბჭოსთვის მზადდებოდა ანგარიში აკადემიური მოსწრების შესახებ.

ხორციელდებოდა კონტროლი როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის საგამოცდო სესიებისთვის მზადყოფნაზე, რის შესახებაც ანგარიში მიეწოდებოდა უნივერსიტეტის დიდ საბჭოს.

საუნივერსიტეტო რეფორმის გზაზე უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როცა უნივერსიტეტმა დაიწყო სასწავლო პროცესში საკრედიტო სისტემის ელემენტების დანერგვა, რომლის მიზანია სტუდენტის მობილურობის დონის მიღწევა არჩეული სპეციალობის დაუფლებისათვის მისი მოტივაციური კრიტერიუმების რეალიზაციის საფუძველზე.

ამ მიმართულებით მოსამზადებელი მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს. გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი, კერძოდ: საკრედიტო სისტემის ამოქმედება დაგეგვით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2001-2002 სასწავლო წლის მიღების პირველი კურსებიდან; გაფართოებულიყო საუნივერსიტეტო განათლების დისციპლინათა სპექტრი თითოეული ფაკულტეტისაგან შემოთავაზებული ე.წ. საუნივერსიტეტო სტატუსის მქონე ახალი დისციპლინებით და ბოლოს, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, საკრედიტო სისტემის შემოღების შედეგად სააუდიტორიო დატვირთვის შემცირებას არ უნდა გამოეწვივა პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გაუარესება.

ზოგადად საუნივერსიტეტო დისციპლინები დაიყო ორ ბლოკად, კერძოდ, სავალდებულო და არჩევით საუნივერსიტეტო დისციპლინებად. დღეისათვის სავალდებულო საუნივერსიტეტო დისციპლინების შესწავლას ეთმობა 34 კრედიტი, ხოლო არჩევითი დისციპლინების შესწავლას – 6 კრედიტი. ამგვარად, საუნივერსიტეტო დისციპლინების შესწავლას ნებისმიერი საუნივერსიტეტო პროგრამის კურიკულუმში ეთმობა სულ 40 კრედიტი, რაც ერთი პროგრამის დაუფლებისათვის სავალდებულო 210 კრედიტის 19%-ს შეადგენს. სავალდებულო დისციპლინათა ქვეჯგუფში გაერთიანდა დისციპლინათა ის კატეგორია, რომელთა შესწავლა აუცილებლობას წარმოადგენს თითოეული უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მქონე მოქალაქისათვის. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საუნივერსიტეტო დისციპლინების სავალდებულო ბლოკი დღემდე სადავო საკითხად რჩება. მთელ რიგ ფაკულ-

ტეტებს (მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის...) მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ბლოკი მეტად გადატვირთულია და კიდევ ერთხელ უნდა გადაეხედოთ და დაეაზუსტოთ. ეს საკითხი განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს დღეს, როდესაც რეალური ხდება სტუდენტის სააუდიტორიო მუშაობის შემცირება, კერძოდ, სტუდენტის კვირეული სააუდიტორიო მუშაობის 24 საათის 20 საათამდე შემცირების საკითხი. რაც შეეხება არჩევით საუნივერსიტეტო დისციპლინათა ბლოკს, იგი ღიაა დღემდე და ფართოვდება სხვადასხვა კათედრების მიერ შემოთავაზებული დისციპლინებით. ასე მაგალითად, გასულ სემესტრში სტუდენტებს შევთავაზეთ 48 დისციპლინა. მიმდინარე სემესტრში აღნიშნულ ბლოკს დაემატა სამი ახალი დისციპლინა. ესენია: კავკასია გლობალურ პერსპექტივაში, კავკასიის ხალხთა კულტურა, საერთაშორისო ორგანიზაციები. როგორც უკვე შევნიშნეთ, აღნიშნული ბლოკიდან სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს და გაანადღოს 6 კრედიტი, თუმცა არაერთ სტუდენტს დღეისათვის არჩევითი საუნივერსიტეტო დისციპლინების ბლოკიდან დაგროვილი აქვს 6-ზე მეტი კრედიტი.

გასულ სასწავლო წელს გექონდა პირველი მცდელობა საზაფხულო სემესტრის ჩატარებისა. პირველად სტუდენტებს შევთავაზეთ ზაფხულში, კერძოდ კი ივლისში მოესმინათ არჩევითი კურსები. შეთავაზებული გექონდა სულ 17 დისციპლინა. აქედან ჯგუფი შედგა მხოლოდ ორ დისციპლინაში – ესთეტიკასა და რელიგიათმცოდნეობაში. სულ ზაფხულის სემესტრში მონაწილეობა მიიღო 86 სტუდენტმა. მეცადინეობები ტარდებოდა ყოველდღე 2 ასტრონომიული საათი, 1-დან 17 ივლისის ჩათვლით. დასწრება მაღალი გახლდათ. სტუდენტებმა შეასრულეს ორ-ორი კოლოკიუმი. მოსწრება იყო 100%-იანი. მიმდინარე წელსაც დაგეგმილი გვაქვს საზაფხულო ორკვირიანი სემესტრის ჩატარება.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში პირველკურსელთათვის საკრედიტო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ოქტომბერში ტარდება წარდგენითი ლექციები არჩევით საუნივერსიტეტო დისციპლინებში. ამ მიზნით სასწავლო-მეთოდურ სამმართველოში ყოველწლიურად მუშავდება და ფაქულტეტებს ეგზავნებათ: საუნივერსიტეტო დისციპლინების ანოტაციათა კრებული; არჩევით დისციპლინებში წარდგენითი ლექციების ცხრილი; სტუდენტის განაცხადის ფორმა დისციპლინის შერჩევის თაობაზე და იმავდროულად სამახსოვრო-სტუდენტთათვის სწავლების საკრედიტო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მათი უფლე-

ბებისა და ვალდებულებების შესახებ. როგორც წინა წლებში, ასევე მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში, ფაკულტეტებს წინასწარ ეცნობათ და დაურიგდათ ზემოთ ჩამოთვლილ მასალათა პაკეტი, ხოლო არჩევითი საუნივერსიტეტო დისციპლინების წარმმართველ კათედრებს ეცნობათ სათანადო დისციპლინის პრეზენტაციის დრო და ადგილი; აღნიშნული პრეზენტაციების შესახებ I და II კურსელ სტუდენტთა საყურადღებოდ ყველა კორპუსში გამოიკრა განცხადებები. აქვე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად მოსამზადებელი სამუშაოების დროულად წარმართვისა, პრეზენტაციებზე სტუდენტთა დასწრება არადაამაკმაყოფილებელია.

2003-2004 სასწავლო წლის დადგომასთან დაკავშირებით, გაზაფხულზე შემოვიდა სტუდენტთა განაცხადები საუნივერსიტეტო არჩევით დისციპლინებში, რის შემდეგ მოხდა შემოსული განაცხადების დამუშავება მათემატიკური მოდელირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში. 2003-2004 სასწავლო წლის I სემესტრისათვის სტუდენტებისათვის შეთავაზებული გეჭონდა 48 დისციპლინა. ამათგან ვაკის რეგიონში შედგა ჯგუფები 39 დისციპლინაში, მათ შორის 7 დისციპლინაში ორ-ორი ნაკადი, კერძოდ, ეს დისციპლინებია: გენდერი, კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა, ეთიკა, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, კლასიკური ენები, მხატვრობა და მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება; საბურთალოს რეგიონში კი ჯგუფები შედგა 27 დისციპლინაში, მათ შორის 5 დისციპლინაში ორ-ორი ნაკადი, ეს დისციპლინებია: პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია, რელიგიათმცოდნეობა და ქართული კულტურა. ჯგუფის გასახსნელად გასულ სემესტრში საჭირო იყო, რომ მინიმუმ 15 სტუდენტს მაინც განეცხადებინა აღნიშნული დისციპლინის შესწავლის სურვილი.

მიმდინარე სემესტრში სტუდენტებს შევთავაზეთ 52 დისციპლინა. ამათგან ვაკის რაიონში ჯგუფები შედგა 30 დისციპლინაში, მათ შორის ოთხში (გენდერი, კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა; რელიგიათმცოდნეობა; ესთეტიკა; კლასიკური ენები) – ორ-ორი ნაკადი, ხოლო ერთში (ფსიქოლოგია) – ოთხი ნაკადი. რუსული განყოფილების სტუდენტებს (ფიზიკის, ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები) შევთავაზეთ 12 დისციპლინა. მათგან ჯგუფები შედგა 6 დისციპლინაში. საბურთალოს რეგიონში კი ჯგუფები შედგა 20 დისციპლინაში, მათ შორის ორში – ლოგიკა

და კრიტიკული აზროვნება; ფსიქოლოგია – ორ-ორი ნაკადი. ჯგუფის გასახსნელად საჭირო იყო, რომ მინიმუმ 50 სტუდენტს მაინც უნდა განეცხადებინა აღნიშნული დისციპლინის შესწავლის სურვილი. ასევე მიმდინარე სემესტრში არჩევითი საუნივერსიტეტო დისციპლინების ნუსხა გაეთდა ცალკეული ფაკულტეტისთვის მისი სპეციფიკიდან და კურიკულუმიდან გამომდინარე. სემესტრის დაწყებისთვის ფაკულტეტებს მიეწოდათ სათანადო ცხრილები, ხოლო პედაგოგებს მათ დისციპლინებში ჩაწერილ სტუდენტთა სიები.

საანგარიშო პერიოდში საუნივერსიტეტო განათლების რეორგანიზაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მომენტი გახლდათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამის ამუშავება. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის (დებულების სახით) შექმნისა და ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ 2003 წლის შემოდგომიდან დაიწყო პროგრამის რეალური განხორციელება: ფაკულტეტებსა და აკადემიურ ჯგუფებში ჩატარდა განმარტებითი მუშაობა, მოხდა სტუდენტებამდე პროგრამის არსისა და ღირებულებების დაყვანა. ახალგაზრდების აქტიურობამ და ინტერესმა ერთგვარად მოლოდინსაც კი გადააჭარბა – პირველსავე ეტაპზე პროგრამაში ჩართვის მსურველ 15 ფაკულტეტის სტუდენტთა რიცხვმა 1500-ს გადააჭარბა. შეთავაზებული იყო პედაგოგიური კვალიფიკაცია 31 დისციპლინაში, რამდენიმე ფაკულტეტის სტუდენტებს სავალდებულო საბაზო განათლების სასწავლო პროგრამა მცირედი კორექტირებით უფლებას აძლევს მიიღონ პედაგოგის კვალიფიკაცია ორ და, ზოგ შემთხვევაში, სამ დისციპლინაშიც კი (მექანიკა მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ფიზიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე და ეკონომიკური პროფილის გარკვეულ სპეციალობებზე).

2003-2004 სასწავლო წლის II სემესტრიდან უკვე დაიწყო მეცადინეობები. სტუდენტებს მოცემულ პერიოდში ეკითხებათ ორი დისციპლინა – პედაგოგია (9 კრედიტი) და საგნის სასკოლო კურსის სწავლების მეცნიერული საფუძვლები (2 კრედიტი).

კონტინგენტი დაყოფილია ორ – ვაკის და საბურთალოს რეგიონალურ ნაკადად. ვაკის რეგიონში მუშაობს 10 ნაკადი, საბურთალოს რეგიონში – 4. სალექციო ნაკადები საშუალოდ 100 სტუდენტის ოდენობით განისაზღვრება, სასემინარო ჯგუფები კი 25 კაცითაა დაკომპლექტებული. პროგრამაში ჩართული

არიან II და III კურსის სტუდენტები.

ცხრილის განტვირთვის, პედაგოგების და სტუდენტების დროის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, გათვალისწინებულია ზაფხულის სემესტრის გამოყენებაც.

რაც შეეხება პედაგოგების დატვირთვას და მის ანაზღაურებას, საამისოდ ფორმდება ცალკე კონტრაქტი (ანუ სავალდებულო დატვირთვაში იგი არ არის გათვალისწინებული) და ანაზღაურდება უკვე რეალურად შესრულებული სამუშაო.

საინტერესოა სტუდენტთა დინამიკა კალენდარული წლის მიხედვით: 2003 წელს რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან თუ უცხოეთიდან უნივერსიტეტში გადმოყვანილია 151 სტუდენტი, თვით უნივერსიტეტის შიგნით ფაკულტეტი ან სპეციალობა შეიცვალა 175 ახალგაზრდამ, ხოლო სწავლების ფორმა - 175-მა;

ლტოლვა ძირითად ე.წ. პრესტიჟული სპეციალობებისადმი შეიმჩნევა, ხშირია აგრეთვე სწავლის ფორმის (დასწრებულიდან დაუსწრებელზე გადასვლა) შეცვლა უკვე ბაკალავრიატშივე სამსახურის დაწყების გამო, რაც უთუოდ სცილდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების ყბადაღებულ 2-3%-ს.

ამორიცხებულია აკადემიურად ჩამორჩენილი 253 სტუდენტი, რაც პოზიტიური კლებაა გასულ წლებთან შედარებით, ასევე, აკადემიური დავალიანების გამო კურსზე დატოვებულია 350 სტუდენტი. გაცდენების გამო 19 სტუდენტმა დატოვა უნივერსიტეტი (რაც, ალბათ, რეალურ სურათს არ ასახავს), ხოლო შეუფერებელი საქციელისათვის გაირიცხა 1 სტუდენტი.

უცხოეთში სასწავლებლად თუ სამუშაოდ გამგზავრების გამო 52 სტუდენტმა დროებით შეწყვიტა სწავლა;

პირადი განცხადებით, აღდგენის უფლებით (ოჯახური პირობები, სწავლის საფასურის გადახდის უუნარობა, სამუშაოს დაწყება და სხვ.) უნივერსიტეტიდან ამორიცხა 324 ახალგაზრდა.

სტუდენტთა კონტინგენტი სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოყვანილებთან ერთად შეავსო 1076 აღდგენილმა სტუდენტმა (მათი ამორიცხვის მოტივაცია სხვადასხვაგვარია);

მეორე სპეციალობის მისაღებად (სხვადასხვა განხრით) გასულ წელს ჩაირიცხა 167 მსურველი. სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ჩვენს სტუდენტებში რამდენიმე წლის წინათ ამოქმედებული ე.წ. პარალელური სწავლების ფორმა (დასწრებული სწავლების სტუდენტები სარგებლობენ უფლებით, ამავედროუ-

ლად მიიღონ დამატებითი განათლება დაუსწრებელი ფორმით, საფასურის 50%-იანი შეღავათით).

საუნივერსიტეტო ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი სახელმწიფო გამოცდები და კურსდამთავრებულთა გაცილებაა.

სასწავლო-მეთოდური სამმართველო, ტრადიციულად, სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადებას გასაუფხულზევე შეუდგა. შედგა მუშა ჯგუფი. მომზადდა, ამოიბეჭდა და ტირაჟირება გაუკეთდა დანართის ფორმებს ყველა ფაკულტეტის, სპეციალობის, სპეციალიზაციის თუ სწავლების ფორმისათვის, ასევე ცალკეული საფეხურებისათვის მომზადდა და ამოიბეჭდა დიპლომის ფორმები.

გადამოწმდა და დაზუსტდა ყველა საჭირო მონაცემი: დამამთავრებელი კურსების სტუდენტური ბაზა, არასაბიუჯეტო სწავლების სტუდენტთა გადასახადის მდგომარეობა; შეჯერდა სპეციალობების, აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციის ნუსხა (ქართულ და ინგლისურ ენებზე); კიდევ ერთხელ დაზუსტდა სამაგისტრო თემების დასათაურება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც, სამწუხაროდ, ბოლო მომენტშიც განიცდის კორექტირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი პრაქტიკულად მთელ სამაგისტრო პერიოდს მოიცავს.

2003 წელს 191 სახელმწიფო საატესტაციო კომისია მუშაობდა. აქედან 67 უცხოურ ენებში.

უნივერსიტეტმა შარშან 4134 კურსდამთავრებული გამოუშვა: 879 სპეციალისტი (140 – წარჩინებული), 2547 ბაკალავრი (585 წარჩინებული) და 708 მაგისტრი.

შეტი ყურადღებაა მისაქცევი არასაბიუჯეტო სექტორის სტუდენტთა ფინანსურ დავალიანებაზეც. წელსაც აღმოჩნდა შემთხვევები, როცა ვალის მქონენი კურსდამთავრებულთა და სახელმწიფო გამოცდაჩაბარებულთა სიაში მოხვდნენ. ვფიქრობთ, ამ დროს უთუოდ უნდა დაისვას ფაკულტეტის მდივნის პასუხისმგებლობის საკითხი და ამავდროულად გამოცდებზე დასაშვებთა სიები დროზე იქნეს წარმოდგენილი დასაზუსტებლად.

დაბოლოს – უკვე მეხუთედ გაიმართა კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი, სადაც 1500 ახალგაზრდას საზეიმო ვითარებაში გადაეცა უნივერსიტეტის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი.

როგორია უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული სტრუქტურული და სხვა სახის ცვლილებები:

გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტს გამოეყო გეოლო-

გის ფაკულტეტი. გეოლოგიის ფაკულტეტს მიეკუთვნა გეოლოგია-პალეონტოლოგიის, მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის, სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრები.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა „ახალი ბერძნული ფილოლოგიის“ კათედრა.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინტელექტუალური საკუთრების საბაზო“ კათედრა.

მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგიის, მოლეკულური და უჯრედული ბიოლოგიის კათედრის გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის კათედრა.

სამხედრო კათედრას ეწოდა „სამხედრო მომზადების, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის“ კათედრა.

ფიზიკის ფაკულტეტის „ზეგამტარული და ნახევრადგამტარული მასალათმცოდნეობის“ კათედრას ეწოდა „მასალათმცოდნეობის“ კათედრა.

უნივერსიტეტის სამედიცინო სასწავლებელს (კოლეჯს) დაემატა სპეციალობა „ფარმაცია“ და ეწოდა „სამედიცინო ფარმაცევტული სასწავლებელი“.

გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრის ბაზაზე შეიქმნა ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი (არასაბიუჯეტო).

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა კომპიუტერული არქიტექტურის სასწავლო-ექსპერიმენტული სამეცნიერო ლაბორატორია.

ფიზიკის ფაკულტეტის „ნახევარგამტართა მიკროელექტრონიკის“ კათედრასთან შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

ქიმიის ფაკულტეტის ფიზიკური ქიმიისა და ფიზიკის ფაკულტეტის მასალათმცოდნეობის კათედრებთან შეიქმნა ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით კვლევის საუნივერსიტეტო, ფაკულტეტ შორისი სასწავლო ლაბორატორია.

სტუდენტთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებასთან დაარსდა დასაქმების საკონსულტაციო ცენტრი.

კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრასთან შეიქმნა „კავკასიის პრობლემების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი“.

ბიოლოგიის ფაკულტეტის №336 სასწავლო აუდიტორიას მიენიჭა პროფესორ ბორის ლომსაძის სახელი.

ბიოლოგიის ფაკულტეტის 315-ე აუდიტორიას მიენიჭა პროფესორ ალექსანდრე ლეჟავას სახელი.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური აღმშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ურთიერთობების წარმმართველ კადრებს. მისი გათვალისწინებით ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე თითქმის სრულიად შეიცვალა სწავლების შინაარსი. ამიტომ წლევანდელ ანგარიშში შედარებით ვრცლად არის წარმოდგენილი, თუ რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ოთხ ეკონომიკურ ფაკულტეტზე, სადაც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს 33 სპეციალობით უშვებენ. უკანასკნელ წლებში სპეციალისტთა მომზადება დაიწყო ისეთ ახალ სპეციალობებში, როგორიცაა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მენეჯმენტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა, მარკეტინგი და ა.შ. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დახვეწას და მათ მისადაგებას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან, შემოღებულია ისეთი ახალი სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა: საერთაშორისო ეკონომიკა, ტრანსფორმაციის პროცესების თეორია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, რისკების დაზღვევა და მართვა, რეგიონული ეკონომიკა, კომერციული სამართალი, სტატისტიკური პროგნოზირება...

ჩვენ მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფთ სტუდენტებს სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით, სასწავლო პროგრამებითა და სხვა სასწავლო-მეთოდური ხასიათის მასალებით. უკანასკნელ 5 წელიწადში ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე დამუშავდა და გამოიცა 64 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, 48 სასწავლო პროგრამა, საცნობარო ლიტერატურა - „ეკონომიკური ლექსიკონი“, „ეკონომიკისი“, უნივერსიტეტის გამომცემლობაში გადაცემულია ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. საშუალო სკოლებში ეკონომიკა შეისწავლება, როგორც სავალდებულო დისციპლინა და მოსწავლეთათვის უნივერსიტეტმა გამოსცა სახელმძღვანელო „ეკონომიკა“.

ეკონომიკის ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას, როგორიცაა: საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები და წინააღმდეგობები; საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ფინანსური კანონზომიერებები; საქართველოს სა-

გარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითადი მიმართულებები; საქართველოს ეკონომიკა XIX-XX საუკუნეებში; საქართველოში შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებების გამოკვლევა; საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის სტატისტიკური კვლევა; საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; ეკონომიკაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება; სახალხო მეურნეობის დარგებში ეკონომიკური ინფორმაციზაცია; ეკონომიკის დარგების განვითარების და მართვის თანამედროვე პრობლემები; საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევა; ტურიზმის კომერციული კვლევა.

სტუდენტთა დაახლოებით 30%-ია ჩაბმული სამეცნიერო მუშაობაში და ისინი მეტწილად პრაქტიკული ხასიათის ნაშრომებს ასრულებენ. მრავალი მათგანი წახალისდა სხვადასხვა ჯილდოთი. მაგალითად, 2003 წლის გაზაფხულზე სოროსის ფონდის მიერ გამართულ რესპუბლიკურ კონფერენციაზე ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა დაიმსახურეს: ზაქარია ბაბუციძემ – I ადგილი (დაჯილდოვდა 1500 ლარით), თენგიზ ლომიტაშვილმა – II ადგილი (დაჯილდოვდა 500 ლარით), მათი მეცნიერ-ხელმძღვანელი დოცენტი ირინა გოგორიშვილი კი დაჯილდოვდა 800 ლარით.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის 5 სტუდენტი მონაწილეობდა სამოქალაქო განათლების პროექტით მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციაში. ერთმა მათგანმა, ზურაბ თეთრაშვილმა, გაიმარჯვა და მიწვევა მიიღო აშშ-ის ერთ-ერთ უნივერსიტეტში უფასოდ სწავლის გასაგრძელებლად.

მაგისტრატურაში ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე გახსნილ 35-ეე სპეციალობაზე გვაქვს სათანადო სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტთა დიდი ნაწილი უკვე მუშაობს ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.

ეკონომიკურ ფაკულტეტებს კავშირი აქვთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ეკონომიკური პროფილის სამთავრობო უწყებებთან, საქართველოში მოქმედ რიგ საწარმოებთან, ბანკებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სოროსის ფონდთან, გერმანიის ქალაქ კოტბუსის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, პარიზის სენ-დენის უნივერსიტეტთან, მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბაქოსა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, აშშ-ის უნივერსიტეტებთან (კა-

ლიფორნიის შტატის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკისა და კენტუკის უნივერსიტეტები) და ა.შ.

ფართოდ გავრცელდა სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად და სტაჟირებისათვის. ამჟამად, საზღვარგარეთ იმყოფება 34 ბაკალავრი და 6 მაგისტრი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით ეკონომიკის ფაკულტეტზე შექმნილია სპეციალური სამსახური – დასაქმების ოფისი, რომელიც წარმატებით მუშაობს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხებზე. ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილისა და ბიზნესთან ურთიერთობის დარგში ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის კახა კოლელიშვილის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტს, რომლის ფარგლებში ეკონომიკის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტებს საშუალება მიეცემათ წარმატებით მომუშავე კომპანიებში ყოველწლიურად გაიარონ გრძელვადიანი სტაჟირება. ფაკულტეტებზე არსებული ინფორმაციებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.

ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭო თავის სხდომებზე პერიოდულად იხილავს სასწავლო პროცესთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს. როგორცაა, მაგალითად ეკონომიკური პროფილის კათედრების სასწავლო დატვირთვაში პარალელიზმის აღმოფხვრა, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების დახვეწა, სტუდენტების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფა. ყურადღება ეთმობა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას, ანალიზსა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

სისტემატურად გამოდის შრომები „ეკონომიკის სერიის“ ეგიდით. აღნიშნულ სერიას მინიჭებული აქვს საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, რეფერირდება და იგზავნება მსოფლიო 50 ქვეყანაში. განთავსებულია ინტერნეტში.

სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მომავალში მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ბაკალავრიატისათვის ახალი გამსხვილებული სპეციალობების შემოღება;

- საკოორდინაციო საბჭომ და ეკონომიკური ფაკულტეტების

დეკანატებში კვლავ გააგრძელონ მუშაობა ფაკულტეტებსა და კათედრებს შორის სასწავლო გეგმებში პარალელიზმის აღმოსაფხვრელად;

- სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწა. ისინი მაქსიმალურად უნდა პასუხობდნენ რეალური ცხოვრებისა და საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს;

- პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მუშაობის თემატიკა უფრო მეტად ესადაგებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების ამოცანებს;

- ყველა ფაკულტეტს ჰქონდეს უფასო ინტერნეტის ქსელი, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

- ფაკულტეტების თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების საუნივერსიტეტო პროგრამის შემუშავება და დაფინანსება;

- აუდიტორიული ფონდის გაზრდის რეზერვების გამოვლენა და მათი მიზნობრივი გამოყენება, ზოგიერთი გამოუყენებელი ან ნაკლებად გამოყენებული ფართის გარემონტება და მათი აუდიტორიებად გადაკეთება და ა.შ.

სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები და შედეგები

ჩვენი უნივერსიტეტის დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შევინარჩუნოთ და შექმლებისდაგვარად ავამაღლოთ საუნივერსიტეტო განათლების დონე, რომლის მიღწევა მხოლოდ მეცნიერების განუხრელი განვითარებით არის შესაძლებელი. ამიტომ სამეცნიერო მუშაობას ყოველთვის ეკუთვნოდა და ეკუთვნის განმსაზღვრელი ფუნქცია და მნიშვნელობა. ბუნებრივია, რომ იმ დიდ ამოცანებს, რომელსაც მეცნიერება ემსახურება, სახელმწიფოს მხრივ მუდმივი ყურადღება ესაჭიროება.

დღეს არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერებისა და განათლების ორგანიზაციაში. ალბათ შეიცვლება სახელმწიფოს პოლიტიკა მეცნიერებისა და განათლების დაფინანსებისადმი. აუცილებლად უნდა გაიზარდოს საბიუჯეტო დაფინანსება, თორემ დღემდე არსებული, პრაქტიკულად ნულოვანი დაფინანსებით

მეცნიერება კონტრაბანდულ ბიზნესს ემსგავსება – იგი მხოლოდ უცხოური გრანტების ხარჯზე არსებობს.

ჩვენი მეცნიერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ძალასა და ენერჯიას არ იშურებენ და მაქსიმალურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მწირ შესაძლებლობებს.

2003 წლის ძირითადი სამეცნიერო შედეგების ანალიზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაერწმუნდებით, რომ უნივერსიტეტში კვლავ დიდი სწრაფვია მეცნიერული მუშაობისკენ.

2003 წლის უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ სამეცნიერო პრემიები მიანიჭა:

– ივანე ჯავახიშვილის სახელობისა – მწერალს და მეცნიერს, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორ ბაჩანა ბრეგვაძეს;

– საუნივერსიტეტო პრემია (მონოგრაფიებისათვის) – პროფესორებს რევაზ გველესიანს და ომარ გოგიაშვილს, დოცენტ ელბერდ ბატიაშვილს.

– საუნივერსიტეტო პრემია (სახელმძღვანელოსათვის) – პროფესორ გურამ ღონდაძეს.

ეს მაღალი ჯილდოები მათ გადაეცათ ახლახან, 8 თებერვალს, უნივერსიტეტის დაარსების დღეს.

ვიწყებთ რა ფაქტობრივ მონაცემების მიმოხილვას, პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებთ უნივერსიტეტის მსხვილი სამეცნიერო ერთეულების – კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობაზე.

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მიმდინარეობს 25 სამეცნიერო-კვლევითი თემის დამუშავება, რომელთა უმრავლესობა გარდამავალია. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 106 ნაშრომი, გამოიცა 4 მონოგრაფია ინგლისურ ენაზე (მათგან ორი – საზღვარგარეთ).

ინსტიტუტის თანამშრომლებს მოჰოვებული აქვთ 8 საერთაშორისო გრანტი, 3 თანამშრომელი მუშაობდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში. ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო სემინარი და ვორკშოპი. გარდა ამისა, რამდენიმე თანამშრომელი მონაწილეობდა მოხსენებებით საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე საზღვარგარეთ (გერმანია, რუმინეთი, იტალია, საბერძნეთი, ეგვიპტე, აშშ, საფრანგეთი...), დაცულია 2 სადოქტორო და 6 საკანდიდატო დისერტაცია. ინსტიტუტის ბაზაზე წარმატებით მუშაობს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალგაზრდული ცენტრი, ნორჩ მათემა-

ტიკოსთა და პროგრამისტთა სკოლა. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი პროფესორი გია ჯაიანი ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მუშავებოდა 8 სამეცნიერო თემა. თანამშრომელთა მიერ საანგარიშო წელს 18 ნაშრომია გამოქვეყნებული უცხოურ ჟურნალებში. დაცულია 2 სადოქტორო დისერტაცია.

ინსტიტუტი აგრძელებს ტრადიციად ქცეულ ერთობლივ კვლევებს სხვადასხვა საერთაშორისო თანამშრომლობების (კოლაბორაციების) ფარგლებში. გასული წლის შემოდგომაზე ინსტიტუტის თანამშრომლებმა შვეიცარიაში CERN-ის ამაჩქარებლისათვის პროგრამა ATLAS-ის ფარგლებში ადრონული კალორიმეტრის მიწისზედა მონტაჟი დაასრულეს. ამავე დანადგარისათვის მზადდება გადასვლის გამოსხივების დეტექტორი, რომლის დრეიფული მიღების დამზადების ტექნოლოგიისა და გაზომვის ავტომატიზებული სისტემის შექმნაში ინსტიტუტის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს.

დუბნასა და თბილისში ჩატარებული სამუშაოების შედეგად მაღალ ენერგიებზე დიფრაქციული გაბნევის შესასწავლად დამზადდა სპეციალური ფორმის პროპორციული კამერის პროტოტიპი. კამერა მაღალი ეფექტურობითა (98%) და კოორდინატის განსაზღვრის დიდი სიზუსტით გამოირჩევა.

ქალაქ იულიხში (გერმანია) ჩატარებულ პირველ ექსპერიმენტებში დეიტრონ კიმეზონების ურთიერთქმედებებში სპინური ეფექტების შესასწავლად პოლარიზებული დეიტრონების ნაკადში, რომლის პროექტიც ინსტიტუტის ფიზიკოსთა ჯგუფის მიერ მომზადდა, აქტიურად მონაწილეობდა ფიზიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის მაგისტრანტი დ. ჭილაძე, რომელიც გერმანიაში ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს.

ინსტიტუტი აგრძელებდა ერთობლივ სამუშაოს თბილისის ი. გვერდწითელის სახელობის ზესუფთა მასალების კვლევისა და ტექნოლოგიების ცენტრთან სსტც გრანტის ფარგლებში.

ინსტიტუტში შესრულებულ სამუშაოთა ნაწილი დაკავშირებულია „საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის“ განვითარებასთან. დღევანდელ ეტაპზე NATO-ს მიერ დაფინანსებულია ე.წ. „ვირტუალური აბრეშუმის გზის“ პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია სამხრეთ კავკასიის სამი და შუა აზიის ხუთი ქვეყნის დაკავშირება ინტერნეტთან სათანამშრომლო კავშირით. 2003 წელს დასრულდა რვავე ქვეყნის აღ-

ჭურვა სათანამგზავრო აპარატურით. შესაბამისად გაიზარდა სათანამგზავრო არხის საერთო სიჩქარე. დაიდგა დამატებითი სათანამგზავრო მიმღები აპარატურა.

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში გრძელდებოდა მუშაობა დარგის აქტუალურ პრობლემებზე. საანგარიშო წელს 48 თანამშრომელმა გამოაქვეყნა 86 ნაშრომი. პარალელურად მიმდინარეოდა მუშაობა ძველბერძნულ-ქართულ, ახალბერძნულ-ქართულ ლექსიკონებზე და ენციკლოპედიაზე „ანტიკური კავკასია“. მომზადდა საერთაშორისო ჟურნალ „Phasis“-ის V-VI ნომერი, რომელშიც ინსტიტუტის 17 თანამშრომლის სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნდა უცხოელ კოლეგათა სტატიებიც. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა სტატიები დაისტამბა აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, რუსეთსა და საბერძნეთში.

მომზადდა 2 სახელმძღვანელო – „კლასიკური ფილოლოგიის შესავალი“ (რისმაგ გორდუზიანი, მიაა დანელია), „ლათინური ენის სახელმძღვანელო იურისტებისათვის“ (ადა ტრაპაიძე, დალი ქურიძე). მზადაა გამოსაცემად 3 მონოგრაფია, საბავშვო მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის და თარგმანები. საბერძნეთის კულტურის სამინისტროს თანადგომით გამოიცა „თანამედროვე ბერძნული მოთხრობების ანთოლოგია“.

ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტსა და კვლევით ცენტრთან. მუშავდება საერთაშორისო პროექტები. მოპოვებულ იქნა საბერძნეთის მეცნიერებათა აკადემიის ურანირის ფონდის გრანტი, აგრეთვე საბერძნეთის განვითარების სამინისტროს კვლევისა და ტექნოლოგიის გენერალური სამდიენოს გრანტი თბილისისა და ათენის ეკოსისტემასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ფუნქციონირებს „ნიკო კაზანმაკოსის მეგობართა საერთაშორისო ორგანიზაციის“ საქართველოს განყოფილება.

გასულ წლებში რიგ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობით უნივერსიტეტმა რეალური დახმარება მიიღო სამეცნიერო-კვლევითი ხელსაწყო-აპარატურის სახით. ამის შედეგად უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე ადგილას შეიქმნა მძლავრი ექსპერიმენტული ბაზა, სადაც შესაძლებელი გახდა გამოკვლევების ჩატარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

ერთ-ერთი ასეთი სტრუქტურაა ნახევარგამტარული ხელსაწყოებისა და ინტეგრალური სქემების კვლევისა და დამუშავების

სამეცნიერო ლაბორატორია (სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ელექტრონული ტექნიკა“ – გამგე დოკენტი ნინა ხუჭუა). საანგარიშო პერიოდში ლაბორატორიაში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დამუშავებულია ღრმა ენერგეტიკული ცენტრების კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდი, გალიუმის არსენიდის ეპიტაქსიურ სტრუქტურებში გამყოფ საზღვარზე საფენი ფირი უკრაინელ და ამერიკელ თანაავტორებთან ერთად. მიღებული შედეგები ქვეყნდება საერთაშორისო ჟურნალში, მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციაზე.

ლაბორატორიაში სრულდება პროექტი NATO-ს პროგრამით „მეცნიერება მშვიდობისათვის“, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის პროგრამით დაფინანსებული პროექტი. ამ პროექტების ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დამუშავებულ იქნა ტექნოლოგიური პროცესები და შესაბამისი მარშრუტი რენტგენული სენსორების დასამზადებლად, დამზადდა ფოტოშაბლონების კომპლექტი, რომელიც გადაეცა პარტნიორებს გერმანიაში შემდგომი გაზომვების ჩასატარებლად.

ქიმიის ფაკულტეტზე წინა წლებში უცხოეთიდან გადმოტანილი სამეცნიერო ხელსაწყო-აპარატურის ათვისებამ და ამოქმედებამ საგრძნობლად გაააქტიურა სამეცნიერო მუშაობის რიგი მიმართულებანი. განსაკუთრებით ყურადსაღებია ახალგაზრდობის, მათ შორის, მაგისტრებისა და ასპირანტების ჩართვა სერიოზულ სამეცნიერო თემატიკაში. მოლეკულათშორისი გამოცნობისა და ნივთიერებათა დაყოფის მეთოდების ლაბორატორია (გამგე პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე) აწარმოებდა კვლევით საქმიანობას კაპილარული ელექტროფორეზის, კაპილარული ქრომატოგრაფიისა და კაპილარული ელექტრომაგნიტოგრაფიის დარგში. ლაბორატორიის შედეგები გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში 8 სამეცნიერო სტატიის სახით. გრძელდებოდა სამეცნიერო თანამშრომლობა ნაგოიას (იაპონია), მიუნსტერის (გერმანია), ლიეჟის (ბელგია) და პავიას (იტალია) უნივერსიტეტებთან, აგრეთვე რომის (იტალია) ქრომატოგრაფიულ ცენტრთან. დაიწყო თანამშრომლობა ევროპის რამდენიმე ფირმასთან, რის საფუძველზეც გაკეთდა განაცხადი ევროგაერთიანებიდან დაფინანსების მიღების შესახებ. გასულ წელს ლაბორატორიის მიერ დამატებით მიღებული თანამედროვე 2 ხელსაწყოს ამუშავებამ საშუალება მოგვცა გაძლიერებულიყო კვლევითი სამუშაოები და მათში ჩაბმულიყვნენ სტუდენტები.

ჯერჯერობით ლაბორატორიული ფართის სიმცირე, კომპიუტერული და კომუნიკაციების საშუალებების ნაკლებობა და ზოგიერთი სუბიექტური მიზეზები ლაბორატორიაში არსებული პოტენციალის სრული დატვირთვით გამოყენების შემაფერხებელ პირობებს ქმნის.

მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე არსებობს ელემენტორგანულ ნაერთთა მოდელირებისა და სინთეზის ლაბორატორია, რომლის გამგეს, ახალგაზრდა მეცნიერს გიორგი ლეკიშვილს გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი შრომები უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. იგი წლების მანძილზე მუშაობდა გერმანიაში და ამჟამად ჩვენში აწარმოებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევებს. შარშან საზღვარგარეთ გამოვიდა ფუნდამენტური მონოგრაფია "Chemoinformatics", რომელშიც ერთი თავი რედაქციის დაკვეთით დაწერილია გიორგი ლეკიშვილის მიერ. ეს ჩვენი ახალგაზრდა ქიმიკოსის მაღალ საერთაშორისო რეიტინგზე მიუთითებს.

ქიმიისა და ფიზიკის ფაკულტეტების მიერ დაარსებულია ფაკულტეტთაშორისი „კომპლექსური სისტემების კვლევის ინსტრუმენტული ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების ლაბორატორია“, რომელსაც ხელმძღვანელობს აგრეთვე ახალგაზრდა ქიმიკოსი დოცენტი ნიკა შაყულაშვილი. ლაბორატორია ასევე გერმანიიდან ჩამოტანილი უნიკალური ხელსაწყოდანადგარების საშუალებით ასრულებს გარემოსდაცვითი, დიაგნოსტიკური და ხარისხის კონტროლის ამოცანებს. უკვე მოხერხდა საქმიანი თანამშრომლობის დაწყება საქართველოს მთელ რიგ სტრატეგიული დანიშნულების ორგანიზაციებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან. კვლევებში ჩაბმული ჰყავთ სტუდენტებიც. მიმდინარე სამუშაოები, რომელსაც ეს ლაბორატორია ახორციელებს, აგრეთვე მისი სამომავლო გეგმები, ოპტიმიზმის დიდ საფუძველს იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევების ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები ბუნებრივად აახლოებს სხვადასხვა დარგის (ამ შემთხვევაში ქიმია და ფიზიკა, აგრეთვე ბიოლოგია, მედიცინა და ა.შ.) სპეციალისტებს. ამიტომ მათი მონაწილეობა ერთობლივ კვლევით სამუშაოებში განვითარების ახალ პერსპექტივებს ქმნის და რეზონანსშია მსოფლიოში მიმდინარე გაერთიანების ტენდენციებთან. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ამ ტენდენციების გათვალისწინება სასწავლო პროცესშიც, რათა აღვზარდოთ თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი სპეციალისტები.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ფიზიკის ფაკულტეტის მასალათმცოდნეობის კათედრის და გარემოს კომპლექსური მონიტორინგის ცენტრის მოღვაწეობა. ცენტრი აღჭურვილია საუკეთესო აპარატურით, მათ შორისაა 2003 წელს გამოშვებული პერკინ-ელმერის ფირმის ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრი ზეემანის კორექციით და უახლესი აპარატურით სავსე სამუშაოთა ჩასატარებლად. გაზომვები ტარდება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ჩატარებული სამუშაოების სპექტრი ძალზე ფართოა. ცენტრის მიერ ჩატარებული შერჩევითი ანალიზი აჩვენებს საქართველოს მდინარეების – კაზრეთულას და მაშავერას წყლის ძლიერ დაბინძურებას მძიმე მეტალებითა და სხვა მინარევებით, რაც არა მარტო უვარგისს ხდის მათ გამოსაყენებლად, არამედ ფრიად საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ცენტრი ახორციელებს აგრეთვე მტკვრის მონიტორინგს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ძალისხმევით შედეგად აღდგა მდინარე მტკვრის 10 წლით შეჩერებული კომპლექსური მონიტორინგი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ცენტრი მდინარე მტკვრის მონიტორინგს ატარებს NATO-სა და ეუთო-ს პროექტის „სამხრეთ კავკასიის მდინარეების მონიტორინგის“ ფარგლებში აშშ, ბელგიის, ნორვეგიის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მონაწილეობით, სადაც ჩვენი უნივერსიტეტი მოთავე ორგანიზაციაა.

დამუშავდა რადიოაქტიური იზოტოპებით და სხვა მინარევებით დაბინძურებული წყლის გაწმენდის პროექტი სპეციალურად მოდიფიცირებული მინარევების გამოყენებით. ეს მოხდა რომის რადიოქიმიის ინსტიტუტის, რომის უნივერსიტეტის, კრეტის ტექნიკური უნივერსიტეტის, ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის და ერევნისა და თბილისის უნივერსიტეტების თანამშრომლობის საფუძველზე.

ასევე გამოიკვეთა ახალი მიმართულება – არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა კერამიკისა და ორგანული ნივთიერებების ანალიზის საფუძველზე, რაც დიდად პერსპექტიულია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდება ყველა ზემოჩამოთვლილი სამუშაოების სრული ავტომატიზაცია და მოდელირება.

შავი ზღვის აუზის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ბირთვული ფიზიკის კათედრის რადიონახშირბადის და დაბალი რადიოაქტიულობის განყოფილება ჩართულია პროექტში შავი ზღვის რადიოეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ლაბორატო-

რია აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, მობილური გამა-სპექტროსკოპით, კომპიუტერით და პროგრამული უზრუნველყოფით. ახალგაზრდა მეცნიერებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში.

აღნიშნული განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 3 საერთაშორისო ექსპედიციაში. შედეგები მოხსენდა აგრეთვე 3 საერთაშორისო კონფერენციას – მონაკოს, ვენასა და ბაქოში. გამოქვეყნდა 12 შრომა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უმაღლესი შეფასება მისცეს უნივერსიტეტის თანამშრომელთა მუშაობას. მიღებულია რეკომენდაცია, რომ აღნიშნული თანამშრომლობის ბაზაზე ჩამოყალიბდეს გარემოს რადიოეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლისა და მონიტორინგის ეროვნული ცენტრი საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინაციით. გრძელდება თანამშრომლობა აშშ აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამ ურთიერთობის შედეგია, რომ ფიზიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 4 კურსდამთავრებული გაგზავნილია აიდაჰოს უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ე.წ. ჯანმრთელობის ფიზიკის პროგრამის გასაგლეჯად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის ფიზიკა (Health Physics) ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა თანამედროვე მედიცინაში. ევროპასა და ამერიკაში მას დიდი ყურადღება ექცევა. ამ სფეროში გაიზარდა მოთხოვნილება და, სათანადოდ, მომრავლდა სამუშაო ადგილებიც. ვფიქრობთ, რომ ურიგო არ იქნება, თუ უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე ბიოფიზიკისა და ბირთვული ფიზიკის კათედრები გადადგამენ ადეკვატურ ნაბიჯებს ამ სპეციალობაში სამაგისტრო პროგრამების შესაქმნელად და მაგისტრატურის გასახსნელად, რა თქმა უნდა, ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტებთან ერთად.

ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრაზე იკვლევენ სამკურნალო მცენარეებიდან ლექტინების გამოყოფას, გასუფთავებას, ბიოქიმიურ დახასიათებას და ფუნქციებს, სტრესის გავლენას ცხოველთა ფუნქციურ აქტივობასა და ბიოქიმიურ მაჩვენებელზე. კათედრამ საკვლევი ხელსაწყოები მიიღო ინგლისიდან საერთაშორისო ასოციაციის მეშვეობით. შესწავლილია GS-GAL ლექტინის უჯრედშიდა მოლეკულური მექანიზმი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი არეგულირებს გლუკოზის რაოდენობას უჯრედში და უჯრედგარე სივრცეში. პროსტატის დაავადების პოსტოპერაციული ქსოვილის უჯრედებში გამოვლენილია განსხვავებული სპეციფიკურობის მქონე ხსნადი და მემბრანული

ლექტიონები, რომელთა სპექტრი იცვლება დაავადების გართულების პარადელურად. აქამდე ნერვული უჯრედის ბირთვის ლექტიონების კვლევა მაღალი წნევის თხევადი ქრომოტოგრაფიული მეთოდით ხდებოდა. შესწავლილია ადამიანის ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილიდან პათოლოგიისა და ნორმის პირობებში ლექტიონური აქტივობის მქონე ცილები.

კვლევების დიაპაზონის გაფართოებას ხელი შეუწყო CRDF გრანტმა, რის შედეგადაც კათედრამ მიიღო ხელსაწყოები და ლიტერატურა, გააქტიურდა მისი კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ზემოთ ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ ექპერიმენტული ხასიათის სამუშაოებზე საბუნებისმეტყველო სფეროებში, რომლებშიც უკანასკნელ ხანს განვითარების უნიკალური შანსი მოგვეცა. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ეს გახლავთ უნივერსიტეტის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის მქონე პროფესორ-მასწავლებელთა დამსახურება, რომლებმაც უნივერსიტეტისათვის ახალ პერიოდში მოიპოვეს საერთაშორისო სამეცნიერო გრანტები და მათი მაღალ დონეზე შესრულებით დაიმსახურეს უცხოელ პარტნიორთა ნდობა, რასაც თან მოჰყვა უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე აპარატურითა და სამეცნიერო ლიტერატურით.

სამეცნიერო მუშაობის სხვა სფეროებშიც გვაქვს გარკვეული მიღწევები, მართალია მცირე, მაგრამ მოზომილი ნაბიჯებით წინსვლა. მთლიანობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში უკვე იგრძნობა გარკვეული გამოცოცხლება, ახალგაზრდების წილის 'სრდა.

უნივერსიტეტს უმეტესად სამეცნიერო ლაბორატორიები საბუნებისმეტყველო დარგებში აქვს და მეცნიერმუშაკთა ძირითადი მასაც აქაა დასაქმებული. ამდენად, საინტერესოა, გავეცნოთ მეცნიერ-თანამშრომელთა ატესტაციის წინასწარ შედეგებს. ატესტაციის პროცესი მიმდინარეობს საქართველოს კანონის შესაბამისად და ტარდება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და ინსტიტუტში. მოხდა კანონთან შესაბამისობაში მყოფი კითხვარის მიხედვით თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობის რეალური სურათის დადგენა. შედეგები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალზე ოპტიმისტურია. ცალკე ჩატარდა მეცნიერ-თანამშრომელთა ატესტაცია. მათმა უდიდესმა ნაწილმა ატესტაციის მოთხოვნები დააკმაყოფილა. არის, რა თქმა უნდა, მცირე

რე ნაწილი, რომელიც ვერ პასუხობს ატესტაციის დებულების მოთხოვნებს. ბუნებრივია, მათ მიმართ გატარდება კანონით დაწესებული ზომები.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე კვლევები ტრადიციული მიმართულებით მიმდინარეობდა. თანამშრომლები მონაწილეობდნენ მოხსენებებით საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სემინარებში. დაცულია 3 სადოქტორო და 8 საკანდიდატო დისერტაცია. მათ შორის აღსანიშნავია ახალგაზრდა მაგისტრის მ. ავალიშვილის (ხელმძღვანელი პროფესორი ლევან ჟიჟიაშვილი) მიერ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა მაგისტრატურის კურსის დამთავრებისთანავე. საანგარიშო პერიოდში გამოცემულია 9 სახელმძღვანელო, გამოქვეყნებულია 62 სამეცნიერო ნაშრომი საზღვარგარეთ და ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში. საკმაოდ გაიზარდა დაინტერესება ეკონომიკის მათემატიკური პრობლემებით. ეს გახლავთ საქართველოსთვის პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანები: სისტემური საბანკო კრიზისები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკაში საბანკო სისტემების რეგულირება, რესტრუქტურისაცია, ფულადსაკრედიტო პოლიტიკის როლი საბანკო კრიზისის გადალახვაში, სისტემური საბანკო კრიზისების მათემატიკური მოდელირება, სტოქასტური ანალიზის მეთოდების გამოყენება ფინანსურ მათემატიკაში და სხვა.

გარდა ამისა, მუშავდებოდა ზოგიერთი არაწრფივი დიფერენციალური განტოლების გამოკვლევის მეთოდები და მათი მიახლოებითი ამოხსნები. შესწავლილია ატმოსფეროს მიწისპირა ფენის სითბური რეჟიმის მოდელირების საკითხები საქართველოს რეგიონებისთვის. მიგნებულია ორიგინალური გადაწყვეტები დრეკადობის თეორიის ამოცანებში. შესწავლილია იუპიტერის გალილეისეული თანამგზავრების პოლარიზაციის ხარისხი, რომელიც ნულისგან განსხვავებული აღმოჩნდა. ნაჩვენებია პოლარიზაციულ მრუდეებზე ინვერსიის წერტილის არსებობა. მომზადების პროცესშია ასტრონომიულ ტერმინთა ლექსიკონი. მაღალ დონეზე გაიმართა აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

გამოყენებითი მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გრძელდება მუშაობა ინფორმაციის კომპაქტური წარმოდგენის (შეკუმშვის) და კოდირების აქტუალურ საკითხებზე. მუშავდება სისტემის გრანტის პროექტი, აგრეთვე CRDF-ის

პროექტი გარემოს დაბინძურების სხვადასხვა მათემატიკური მოდელის დაზუსტებაზე, რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმების დამუშავებაზე. პროექტი წარმოადგენს მდინარეებში მომწამლავი ნივთიერებების გაერცელებისა და დიფუზიის პროცესების აღწერის მათემატიკურ მოდელირებას. ფაკულტეტის თანამშრომლები მიწვევით კითხულობდნენ ლექციებს საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია გამოკვლევები მრავალდონიანი კოდირებისა და მისი გამოყენების საკითხებზე, რაც მიმდინარეობს მათემატიკური კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის კათედრაზე. შექმნილი და დამუშავებულია მრავალშრიანი (იერარქიული) კოდური ბადე, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ფორმის მთლიანობითი აღქმა. მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ ნანობაშვილის მიერ შექმნილია შეკუმშვის ახალი ფორმალური სქემები, რომლებიც აღეკავატურად ასახავენ და ასაბუთებენ რიგ ექსპერიმენტულ გამოკვლევებს გენეტიკაში.

მართვის თეორიის კათედრაზე აგებულია ოპტიმალური პროცესი დაგროვება-მოხმარება ტიპის ეკონომიკური ამოცანის შესაბამისი მათემატიკური მოდელისთვის. შესწავლილია ორდარგოვანი საწარმოო პროცესის ოპტიმიზაციის ამოცანა დაგვიანებისა და „ვიწრო ადგილის“ ტიპის შეზღუდვების პირობებში.

შემთხვევითი პროცესების თეორიის კათედრაზე შესწავლილია ზოგიერთი ტიპის არამკაფიო დინამიური სისტემები. დადგენილია, რომ ექსტრემალურ სისტემებში მნიშვნელოვანი როლი უკავია გადაწყვეტილებათა ანალიზს.

გეოგრაფიის ფაკულტეტის 7 კათედრაზე გამოქვეყნებულია 75 ნაშრომი. აქ დასრულდა 9 სამეცნიერო კვლევითი თემა, ხოლო 16 გარდამავალია. ფაკულტეტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ რიგ საერთაშორისო კონფერენციებში (ანკარა, სანკტ-პეტერბურგი, ერევანი, ტალინი, ალმა-ატა). კვლევების პრაქტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრა, რომელმაც შეისწავლა მიწის საკადასტრო სისტემის დანერგვის მდგომარეობა ადგილობრივ სარეგისტრაციო სისტემებში მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა საქართველოში. გაანალიზებულია მიწის პრივატიზაციის საკითხები, გამოვლენილია მიწათსარგებლობის ტიპები. შესწავლილია სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ რეკრეაციული პოტენციალი, გეოეკოლოგიური პრობლემები, შემუშავებულია ირანის ტურისტულ-გეოგრაფიული მეგზური და სხვა.

გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგი-

ის კათედრაზე ძირულის მასივის ქანების მაგალითზე პირველად დადგინდა ზედატრიასული წარმონაქმნების არსებობა, რაც მანამდე სადავო საკითხს წარმოადგენდა. გამოთქმულია აზრი, რომ საზღვარი ცარცულსა და პალეოგენს შორის უნდა გადიოდეს დანიური სარტყელის ქვეშ და ეს უკანასკნელი უნდა მიეკუთვნოს პალეოგენურ სისტემას. შედეგები მომზადებულია გამოსაცემად მონოგრაფიაში „საქართველოს ქვედაცარცული ფაუნის ატლასი“. ანკარაში ინგლისურ ენაზე დასტამბულ მონოგრაფიაში პროფესორების შოთა ადამიასა და ვერნი ალფაიძის გამოკვლევები თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლის გეოლოგიური აგების შესწავლას ეხება. კათედრის წევრთა ნაშრომი კოლიზიისწინა და მის შემდგომი ვულკანიზმის შესახებ ქვეყნდება ეკატერინბურგში ჩატარებული სიმპოზიუმის - „ვულკანიზმი და გეოდინამიკა“ მასალებში.

სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრა მონაწილეობდა რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში. კათედრა „NATO“-ს გრანტით შეისწავლის კავკასიის დიდი ქალაქების სეისმური საშიშროების და სეისმური რისკის შეფასების მეთოდოლოგიას. სსტც კი აფინანსებს თემას - „კავკასიის სეისმური ინფორმაციის ქსელი“. მუშაულობა აგრეთვე ევროგაერთიანების „INTAS“-ის ორი გრანტით დაფინანსებული პროექტი. კვლევების შედეგები მოხსენებულია მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციაზე და გამოქვეყნებულია წამყვან საზღვარგარეთულ ჟურნალებში.

კათედრასთან არსებული არქეოლოგიური ძეგლების ძიების გეოფიზიკური ლაბორატორია ასრულებდა სამუშაოებს დმანისის რაიონში ძიების ელექტრული და მაგნიტური მეთოდების გამოყენებით. სოფელ განთიადის მიდამოებში აღმოჩენილია უძველესი ეკლესიის კომპლექსის ნაშთები.

პროექტში - „კავკასიის რეგიონის სეისმური რუკის შექმნა“, რომელიც მუშაულობა პროფესორ შოთა ადამიას ხელმძღვანელობით და სსტც გრანტით ფინანსდება, ევროპის და ამერიკის მეცნიერებიც მონაწილეობენ. მასში სეისმური რისკის შეფასება და მიწისძვრებით გამოწვეული საზიანო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების რეკომენდაციებია წარმოდგენილი.

ბიოლოგიის ფაკულტეტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრაზე გრძელდება კვლევები თუთის აღმონაცენტა ცალკეულ ორგანოებში ლექტინების შემცველობის დინამიკაზე. ნაჩვენებია მკვეთრად გამოხატული კორელაცია ლექტინების შემ-

ცველობასა და ზრდის მასტიმულირებელი ჰორმონების აქტივობას შორის. კათერაზე CRDF-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში „ფილტვის და სხვა ტიპის სიმსივნურ უჯრედებზე ახალი მცენარეული ანტიკანცეროგენული პრეპარატის GA-40 მოქმედების მოლეკულური მექანიზმის შესწავლა“ მონაწილეობს აშშ ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბოს კვლევის ლაბორატორია და პატოფიზიოლოგიის განყოფილება.

იმუნოლოგიის კათედრისა და იმუნო-რეგულაცია/იმუნობიოტექნოლოგიური ლაბორატორიის კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (CLL) უჯრედებში აპოპტიზის ინდუცირება მონოკლინური ანტისხეულებით და იმ ფაქტორების გამოვლინება, რომლებიც განაპირობებენ ლიმფოციტების CLL მგრძობელობას ინდუცირებული აპოპტიზის მიმართ. ექსპერიმენტების შედეგები დამაიმედებელია. მიკვლეულია მონოკლინური ანტისხეულები, რომლებიც ახდენენ ე.წ. პროგრამული კვდომის ინდუცირებას ლიმფოციტებში და უჯრედებში. ამ პრობლემის ირგვლივ სრულდება რამდენიმე გრანტული პროექტი უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობით.

ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის და განვითარების ბიოლოგიის კათედრის პროფესორი პავლე ჭელიძე მიწვევით მუშაობს ქალაქ რემსში (საფრანგეთი). მისი კვლევის თემატიკა ძირითადად ეძღვნება მიკროსკოპიის საკითხებს და ციტომეტრიას.

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრაზე გრძელდება პროსტატის აუთისებიანი სიმსივნის შესწავლა. შემუშავებულია მეთოდების კომპლექსი, რომელიც პროსტატის სიმსივნეების დიფერენცირების საშუალებას იძლევა. გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომი, დაცულია 2 საკანდიდატო დისერტაცია, ორმა მაგისტრმა გაიმარჯვა სოროსის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.

ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე შეისწავლებოდა არასიერცითი მეხსიერების მექანიზმები.

გენეტიკის კათედრა კი გარემოს მანვ ეფაქტორთა, ძირითადად, მძიმე მეტალებისა და პესტიციდების გენეტიკურ აპარატზე დამაზიანებელ მოქმედებას შეისწავლის ასაკობრივი თვისებებით.

ბოტანიკის კათედრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის მცენარეულობის რუკის შედგენაში, შესრულდა მონოგრაფია „მსოფლიოს მაღალმთის მცენარეულობა“, შევიცარიელ და იტალიელ კოლეგებთან ერთად ჩატარდა ბოტანიკური ექსპედიცია მთიან აჭარაში, თრიალეთზე, ჯავახეთში. მოპოვებული მა-

საღის ანალიზი ტარდება ბერნის უნივერსიტეტში (შვეიცარია).

ეკოლოგიის კათედრის თანამშრომლები ამუშავებენ "INTAS"-ის პროექტს, აგრეთვე ნავთობსადენთან დაკავშირებულ პროექტს.

მორფოფიზიოლოგიურ საპრობლემო ლაბორატორიაში პროფესორ გივი გორგილაძის ხელმძღვანელობით შეისწავლება გრავირეცეპტორების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია, რაც დაკავშირებულია კოსმოსში წარმოებულ ბიოსამედიცინო კვლევებთან.

ნეირობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში შეისწავლება ცოცხალი ორგანიზმების ნერვულ სისტემაზე მოქმედი პრეპარატების ფარმაკოკინეტიკა.

თაგის ტვინის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიაში მუშავდება სსტც პროექტი, რომლის მიზანია ჰიპოკამპური და ქერქული წარმოშობის ეპილეფსიის ენდოგენურ მოდულაციაზე ნოოტროპული პრეპარატების ხანგრძლივი მოქმედების მექანიზმების დადგენა ინ ვივო ინ ვიტრო და ქცევითი ექსპერიმენტების მეშვეობით.

ბიოფიზიკის კათედრასთან არსებული ბიოენერგეტიკისა და ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში შეისწავლება ქოლესტერინის დონისა და მიტოზური ინდექსის ცვლილება ვირთაგების ცალმხრივი ნეფრექტომიების პროცესში.

სამედიცინო ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის სამეცნიერო ინტერესების სფერო დაყოფილია რამდენიმე ციკლად.

ერთი მათგანია გადაუდებელი თერაპიისა და კლინიკური ტოქსიკოლოგიის ციკლი, რომელსაც განეკუთვნება მწვავე მოწამვლები გართულებებით ღვიძლზე და ე.წ. „ეკოლოგიური ტოქსიკოლოგია“, რაც საქართველოში პირველად ამ კათედრის კვლევის საგანი გახდა. შესრულებულ შრომათა ციკლი ეხება საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს, მოწამვლას სოკოთი და ა.შ. კურსის ხელმძღვანელი დოცენტი გივი კაციტაძე არჩეულია საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციის ნამდვილ წევრად.

თერაპიის მეორე ციკლი მოიცავს თითქმის ყველა გავრცელებულ და ჩვენი დროისთვის დამახასიათებელ მიმართულებებს გულსისხლძარღვთა დაავადებების ჩათვლით. კვლევები მიმდინარეობს როგორც ადგილობრივი, ისე ევროპული პროგრამების ფარგლებში. ჩატარებულია კონფერენციები ფრანგულ ფარმაცევტულ ფირმა „სერვის“ პრეპარატების გამოყენების შედეგებთან დაკავშირებით.

კათედრის კვლევის ერთ-ერთ ციკლს ბრონქიალური ასთმა განეკუთვნება. ამ საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონგრესზე სტოკჰოლმში მონაწილეობდა დოცენტი თამაზ მაღლაკელიძე. ფტიზიატრიას მიეძღვნა 6 შრომა, მათგან 2 შესულია რუსეთის ფტიზიატრთა მე-14 ყრილობის მასალებში. შიდსის პრობლემას მიეძღვნა 11 შრომა, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საფრანგეთის, ამერიკის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების სამეცნიერო ჟურნალებში, 4 პროექტი შესრულებულია საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტული პროგრამული დაფინანსებით.

თვალსაჩინო შედეგებია მიღებული ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც.

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე გრძელდებოდა კვლევები, რომელიც შეისწავლის ტოტალიტარული ცნობიერების ლიბერალურ-დემოკრატიულ ცნობიერებად გარდაქმნის და გლობალიზაციის ტენდენციებთან საზოგადოების შეგუების პროცესებს. გამოქვეყნებულია 42 შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია, ამდენივე სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, დაცულია 2 სადიქტორო დისერტაცია. მტკიცდება კონტაქტები დასავლეთის ქვეყნებთან. უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხეს ამერიკელმა და ევროპელმა მეცნიერებმა. ფაკულტეტის თანამშრომლები მიწვევით იმყოფებოდნენ ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, აგრეთვე კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ისრაელში, ავსტრიაში, მოსკოვში. გაიმართა კონფერენცია სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრაზე ავტორთა ჯგუფის მიერ გამოიცა სახელმძღვანელო – „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“, აგრეთვე ლექციების კურსი კონფლიქტოლოგიაში. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრაზე მიუშავდება 3 პრობლემა. ფაკულტეტი სათავეში უდგას უნივერსიტეტში აკრედიტაციის პროცესის მომზადებასა და ორგანიზაციას.

საკმაოდ ნაყოფიერი იყო საანგარიშო წელი ისტორიის ფაკულტეტისათვის. საქართველოს ისტორიის კათედრამ დასაბეჭდად გადასცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, გამოიცა დიპლომატიის ისტორიის სახელმძღვანელო. საერთაშორისო პროექტების ეგიდით დასრულდა მუშაობა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ისტორიაზე, რომელიც ისტამბულა, ოსლოში. „კავკასიის ხალხთა ისტორია“ გადაცემულია დასაბეჭდად და გამოიცემა

ლონდონში. ფაკულტეტზე ვეროსაბჭოს ვეგდით მომზადდა XIX-XX საუკუნეების ევროპის ისტორიის ქრესტომათია.

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გამოსცა „ქართული დიპლომატიის“ (წელიწადულის) მეათე ტომი და „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ სახელმძღვანელო. კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრა ინტენსიურად მუშაობს კავკასიოლოგიურ პრობლემებზე. შარშან გაიმართა კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია. კათედრა ძირითადი პარტნიორია კავკასიის უნივერსიტეტების საერთაშორისო კონსორციუმისა, რომელიც აშშ-ის ინიციატივით შეიქმნა. კათედრის წევრებს აქვთ აქტიური თანამშრომლობა ვარშავისა და ლოდის უნივერსიტეტებთან.

კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრამ გამოსცა კულტუროლოგიის სახელმძღვანელო, კრებულის 2 ნომერი. თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს სტატიები საზღვარგარეთ. კათედრის ინიციატივით მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“. კათედრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში გერმანიაში, თურქეთსა და ირანში.

ეთნოლოგიის კათედრამ დაამუშავა თემა – მესტიის რაიონის ეთნოლოგიური მონიტორინგი. თემა შესრულებულია უნივერსიტეტის აეროკოსმოსურ ლაბორატორიაში და შეტანილია საერთაშორისო კომპიუტერულ სისტემაში. მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა საქართველოს ეთნოლოგიური ლექსიკონი.

არქეოლოგიის კათედრის თანამშრომელთა შრომები გამოიცა „არქეოლოგიური კრებულის“ მე-3 ტომში. გამოვიდა აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს ისტორიის სათავეებთან“, აგრეთვე პროფესორ გია ავალიშვილის მონოგრაფია „საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონების ხანაში“.

პოლიტოლოგიის კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოიცა მონოგრაფიები. კათედრა პოლიტოლოგიური კვლევების ცენტრთან ერთად სისტემატურად ატარებს სემინარებს ქართული სახელმწიფოს პრობლემებზე, რომლის მიმართ მსმენელთა ინტერესი დიდია.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე დამთავრდა ქართული ენის თეზაურუსის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. გამოსაცემად მომზადდა კათედრის შრომათა კრებულები, გამოიცა ორი სამეცნიერო ჟურნალი. კა-

ოქდრის წევრები გიორგი გოგოლაშვილი და კახა გაბუნია მოხსენებებით გამოვიდნენ ფრანკფურტის (გერმანია) საერთაშორისო სიმპოზიუმზე. კათედრის წევრთა ავტორობით მომზადდა ქართული ენის სახელმძღვანელოები სომხური მოსახლეობისათვის და ქართული ენის თვითმასწავლებელი თურქულენოვანი მოსახლეობისათვის.

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრაზე დასრულდა მუშაობა თეორიული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოზე, ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი ლინგვისტური სემინარი. მეხუთედ ჩატარდა საერთაშორისო სემინარი „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“. მზადდება მე-2 ტომი მზია ანდრონიკაშვილის მონოგრაფიისა „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“; პროფესორი მიხეილ ქურდიანი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში. იუნესკოს ეგიდით გამოიცა ორტომეული „აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის“. მუშავდება უდიურ-ქართული ლექსიკონი.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე მზადდება კრებული „ძველი ქართული მწერლობის შესწავლა უნივერსიტეტში“. პროფესორი რევაზ სირაძე მუშაობს ქართული ესთეტიკის ისტორიის საკითხებზე. პროფესორი გრივერ ფარულავა კი ნაშრომზე „მიწიერისა და ღვთაებრივის შეზავების პრინციპისათვის ძველ ქართულ ლიტერატურაში“.

მოიწყო ექსპედიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ტაო-კლარჯეთში.

ფოლკლორისტიკის კათედრაზე ეთნოგრაფიული მასალის დონეზე შესწავლილია მითოლოგიური მოტივები, რომლებშიც აირეკლა ქართველ ტომთა მითო-რელიგიური აზროვნება და მათი ურთიერთობა ისტორიულ მეზობლებთან.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის კათედრებსა და კაბინეტებში შესრულებულია ძალზე საინტერესო გამოკვლევები. შექმნილია სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები. რეცენზირებად ჟურნალებში და უცხოეთში გამოქვეყნებულია 50-ზე მეტი შრომა, 10-მდე კრებული და ჟურნალი. კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის გამგის, პროფესორ სოსო სიგუას მონოგრაფიას „მარტვილი და ალამდარი“ საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ კონფერენციებში. გამოიცა დოცენტ მარინა ვეკუას საღეჭკიო კურსი. პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ გამოსცა წიგნი „25 მე-

დალიონი“;

გამოვიდა „ტელერადიო ჟურნალისტიკის საკითხების“ მორიგი ტომი პროფესორ ნიკო ლეონიძის რედაქტორობით, პროფესორ ელდარ იბერიის მონოგრაფია და დამხმარე სახელმძღვანელო.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდა მასწავლებლების, ასპირანტთა და მაგისტრანტთა წილი საერთო სამეცნიერო მუშაობაში. ბევრმა მათგანმა სტაჟირება გაიარა საზღვარგარეთ, გაიზარდა ერთობლივი შრომების რაოდენობაც, ასევე გაიზარდა საერთაშორისო კონფერენციებსა, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეთა რიცხვი. ასე, მაგალითად, პროფესორი მანანა რუსეიშვილი იმყოფებოდა ნოტინგემის ტრენტის საერთაშორისო უნივერსიტეტში. დოცენტი მარინე თევზაძე მიწვეული იყო ქალაქ უორეის უნივერსიტეტში წინასასესიო კურსის წასაკითხად, დოცენტი მაია ჯაეახაძე და მასწავლებელი ხათუნა ცხადაძე მივლინებულები იყვნენ იტალიაში პერუჯას უნივერსიტეტში.

რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებით ესპანეთში, აგრეთვე გერმანიაში, საარბრუკენის უნივერსიტეტში.

გამოიცა გერმანული ენის გრამატიკის ოთხტომეული. გიორგი ეკიზაშვილმა თარგმნა ფრანგი პოეტების ნაწარმოებები და საფრანგეთის მთავრობის სპეციალური ჯილდო დაიმსახურა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ასირიოლოგიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები ამუშავებდნენ ძველადმოსავლურ პრობლემებს გაცვილებით მეტი დიაპაზონით, ვიდრე ადრე.

ირანული ფილოლოგიის კათედრამ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსთან თანამშრომლობით გამართა „ფირდოუსის დღე საქართველოში“.

დოცენტმა ნინო აფციაურმა ეუთოს ეგიდით გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო სომხური მოსახლეობისათვის, მონაწილეობა მიიღო არმენოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაში.

თურქოლოგიის კათედრაზე გამოქვეყნდა 9 შრომა, 2 სახელმძღვანელო. პროფესორმა ნოდარ შენგელიამ თურქულიდან თარგმნა „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“. პროფესორმა გიული ალასანიამ გამოაქვეყნა 6 ნაშრომი, მოხსენებებით გამოვიდა ორ კონფერენციაზე, მონაწილეობდა აბრეშუმის გზისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზაციაში.

ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლებს

გამოქვეყნებული აქტთ 12 შრომა; პროფესორმა მზია ანდრონიკაშვილმა თარგმნა ეგვიპტელი მწერლის ნაგიზ მაჰფუზის ნოველები.

იურიდიულმა ფაკულტეტმა გამოსცა პროფესორ გივი ინწკირველის გადამუშავებული სახელმძღვანელო „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“. პროფესორების ოთარ მელქაძის და გიორგი თევდორაშვილის თანაავტორობით მომზადდა მონოგრაფია სახელმწიფოს ტერიტორიის რეგიონალიზმის პრინციპით მოწყობის შესახებ. მომზადდა აგრეთვე მონოგრაფია პროფესორ ოთარ მელქაძის „კონსტიტუციონალიზმი – თეორიის საკითხები“. კათედრის თანამშრომლები მუშაობენ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებზე, აგრძელებდნენ კანონშემოქმედებით მუშაობას. ითარგმნება რომის სამართლის ძეგლები, მომზადდა „კრიმინოლოგიის“ სახელმძღვანელოს ზოგადი ნაწილი, აგრეთვე ნაშრომები ადამიანის უფლებების შესახებ.

საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე გამოიცემა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ინიციატივით დაფუძნებული სამეცნიერო „საერთაშორისო სამართლის“ ჟურნალი. გამოიცა ამავე დარგის ლექსიკონი-ცნობარი (რედაქტორი აკადემიკოსი ლევან ალექსიძე). გამოვიდა პროფესორ ირაკლი შაფაქიძის მონოგრაფია – „საერთაშორისო კერძო სამართალი“, პროფესორ მარინა კვაჭაძის მონოგრაფიები სამედიცინო სამართლის თემებზე. ფაკულტეტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში პოლონეთსა, უნგრეთსა და ბელგიაში.

ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობა მეტწილად მოიცავდა ქვეყნისათვის აუცილებელი მნიშვნელობის პრაქტიკულ საკითხებს, უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამებსა და სალექციო კურსებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. წლის მანძილზე გამოქვეყნებული იყო 72 შრომა, მათ შორის პროფესორ ბიკენტი გაბიძაშვილის და ზურაბ კირვალიძის მონოგრაფია „სიღარიბე საქართველოში“, პარმენ ლემონჯავას – „საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის შესახებ“ და სხვ. გამოვიდა პროფესორ აეთანდილ ჯიბუტის მონოგრაფია „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი“, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია მიგრაციის საერთაშორისო ასოციაციის ეგიდით. ფაკულტეტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში (ავსტრია, აშშ, რუსეთი, შვეიცია, რუმინეთი, უკრაინა, ლიტვა, ბელორუსია, გერმანია).

მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მუშავდებოდა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური ხასიათის 48 თემა, შეიქმნა 7 სახელმძღვანელო, 5 სალექციო კურსი. სულ გამოქვეყნდა 38 ნაშრომი. დამუშავდა პროგრამები სასწავლო პროცესის ავტომატიზაციასთან დაკავშირებით.

კომერციისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოიცა „კომერციული საქმიანობის საფუძვლები“ (პროფესორი ავთანდილ გაგნიძე). გამოვიდა აგრეთვე „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“-ს მე-5 ტომი. პროფესორი გაიოზ ნადირაშვილი იმყოფებოდა საფრანგეთსა და პოლონეთში სამეცნიერო სემინარებზე. ახლახან დაარსებულ მარკეტინგის კათედრაზე გამოქვეყნდა 24 სამეცნიერო ნაშრომი, მომზადებულია დამხმარე სახელმძღვანელო სპეციალობაში. კათედრასთან მუშაობს მარკეტინგული კვლევის ცენტრი.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე გამოქვეყნებულია 100-მდე ნაშრომი.

მომზადდა სახელმძღვანელოები „ბიზნესის საფუძვლები“, „ოფშორული ბიზნესი“, „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“. მოხერხდა ერთგვარი ვაკუუმის შევსება და ბიზნესის სამართლის კათედრამ მოამზადა და გამოსცა სახელმძღვანელო ბიზნესის სამართლის საფუძვლებში, აგრეთვე განახლებული საბაჟო კანონმდებლობის კრებული. გამოვიდა პროფესორ გია ბაბუნაშვილისა და მარიამ ხახუტაშვილის ნაშრომი – „ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა“.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე გამოიცა ინესა მერაბიშვილის მონოგრაფია „გალაკტიონის ენიგმები“, მზადდება არჩილ შუბაშვილის მონოგრაფია „იტალიური კინო“. წაკითხული იქნა მოხსენება იუნესკოს ეგიდით მოწყობილ ინტერნაციონალურ მრგვალ მაგიდაზე „ცივილიზაციათა დიალოგი“.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებისა და 2003 წელს მიღებული შედეგებისა უნივერსიტეტის ცალკეული ფაკულტეტების და ინსტიტუტების მიხედვით. როგორც ვხედავთ, შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია და იმედიანად განგვაწყობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდების და სტუდენტების დაინტერესება სამეცნიერო მუშაობით, რაც გამოიხატა ფაკულტეტებზე ჩატარებული ტრადიციული კონფერენციებით და რესპუბლიკურ კონფერენციებზე წარმატებული მონაწილეობით.

2003 წლის სამეცნიერო მუშაობა უნივერსიტეტში სტატისტიკურად ასე გამოიყურება: დამუშავებულია 660 თემა, გამოქვეყნებულია 1125 შრომა, 75 სახელმძღვანელო, 36 მონოგრაფია, 9 სალექციო კურსი, 8 დამხმარე სახელმძღვანელო, 22 კრებული, 1 ენციკლოპედია; შესრულებულია 26 თარგმანი, გამოცემულია 2 ანთოლოგია, 9 ჟურნალი, 5 ლექსიკონი; დაცულია 78 საკანდიდატო და 29 სადოქტორო დისერტაცია. შესრულებულია 35 გრანტული პროექტი. ჩვენმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საზღვარგარეთ გამართულ 105 საერთაშორისო კონფერენციაში. სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობდა 1650 სტუდენტი, რამდენიმე ფაკულტეტმა გამოსცა კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა შრომათა კრებულები და თეზისები. მომზადებულია ახალი სასწავლო პროგრამები, მეთოდური ხასიათის შრომები.

ტრადიციულად წარმატებით აგრძელებს მუშაობას უნივერსიტეტის გამომცემლობა. შარშან გამოიცა 212 დასახელების (2566 ნაბეჭდი რაოდენობით) წიგნი. მათ შორის 150-ზე მეტი სახელმძღვანელო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა.

სტუდენტთა განათლებისა და უნივერსიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის პირუთენელ მემატიანედ რჩება გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“.

სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და ასევე პირველი კორპუსის სამკითხველო დარბაზში გაიხსნა კომპიუტერული ცენტრები, რომლებიც მკითხველს მოემსახურება el FL პროექტის EBSCO publishing-ის ელექტრონული ჟურნალებით, რაც მოიცავს 50000-ზე მეტ სრულტექსტოვან ჟურნალს ინტერნეტში. ამისთვის კი საჭირო იქნება ინტერნეტის სწრაფი ხაზის უზრუნველყოფა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ თანდათანობით დაიკაოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს უდიდესი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს შორის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს ტრადიციულ თანამშრომლობას ზაარლანდის, იენის, ბამბერგის, ჯორჯის, სენტ მერის (ჰალიფაქსი, კანადა) და ვენის, საფრანგეთის, ირანის, ეგვიპტის, თურქეთის, ისრაელის, ბეირუთისა და დამასკოს უნივერსიტეტებთან, ამჰერსტის, ვილიამსის, ველსლის და მაუნთ ჰოლვოპის (ამერიკა) კოლეჯებთან.

გრძელდება თანამშრომლობა საქართველოში არსებულ სხვადასხვა ფონდებთან, როგორებიცაა სოროსის ფონდი, ევრაზიის

ფონდი, აირექსი, აქსელი, სევიკ ედიუქეიშენ, პროჯექტი, ბრიტიშ კაუნსილი.

ისევე, როგორც წინა წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებთან. ისინი უშუალო დესპანებს წარმოადგენდნენ უნივერსიტეტსა და თავიანთი ქვეყნების საგანმანათლებლო კერებს შორის.

ეს ითქმის ყველა საელჩოზე, მაგრამ მაინც გამოვყოფდით აშშ-ის, რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ისრაელის, ინგლისის, იტალიის, თურქეთის, ირანის, უკრაინის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩვენი თანამშრომლობა იუნესკოსთან, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის აღმავლობისათვის ბევრს იღვწის.

ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციულ ურთიერთობებს მოსკოვის, კიევის, ბაქოს, ერევნის, ჩრდილოეთ კავკასიის უნივერსიტეტებთან.

საგანგებოდ უნდა შევჩერდე კონტაქტებზე სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან.

მოგეხსენებათ, რომ სომხურ-ქართული ფილოლოგიის განყოფილება სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტზე სომხური და ქართული სიტყვიერების კათედრების გაერთიანების შედეგად დაახლოებით საუკუნენახევრის წინათ, 1863 წელს შეიქმნა და 1919 წლამდე იარსება. 1998 წლიდან სანკტ-პეტერბურგის რექტორის, ლიუდმილა ვერბიცკაიასა და პროფესორ სერგეი ბოგდანოვის ინიციატივით დაიწყო კათედრის აღდგენის მცდელობა, მუშავდებოდა სპეციალური პროგრამები და 2001 წელს განახლებულ სომხურ-ქართულ ფილოლოგიის განყოფილებაზე პირველი მიღება გამოცხადდა. სექციას პროფესორი ვლადიმერ ბლონდინი ხელმძღვანელობს. ჯგუფში რუსი ეროვნების ხუთი სტუდენტი სწავლობს. ახლა ხანს მათთან ლექციების წასაკითხად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და დოცენტი დარეჯან მენაბდე მიიწვიეს.

შარშან სანკტ-პეტერბურგში გამართულ მსოფლიო კონგრესზე, სადაც 104 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის გამგე პროფესორი დავით გოცირიძე რუსისტთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტის წევრად აირჩიეს.

რამდენიმე წელია, პერიოდულად გამოდის სანკტ-პეტერბურგი-

სა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთა ერთობლივი შრომების კრებულები. მერვე ნომერი მთლიანად სანკტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლისთავს მიეძღვნა.

2003 წლის სექტემბერში თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმი მოკლევადიანი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

მუშავდება ერთობლივი პროექტები, მზადდება ეთნო-ლინგვოკულტუროლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის თხოვნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრა ამზადებს და სულ მალე გამოიცემს რუსული განმარტებით-ინტერპრეტაციული ლექსიკონი, სადაც თავმოყრილია უთარგმნელი ლექსიკონისა და იდიომების თარგმნის ინტერპრეტაციები.

აქტიურად გრძელდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები.

სანკტ-პეტერბურგის 300 წლისთავის საიუბილეოდ გამოვიდა პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის ორი მონოგრაფია: „სანკტ-პეტერბურგი - რუსულ-ქართული ურთიერთობის ცენტრი (1703-2003)“ და „ქართველები რუსეთის დროშის ქვეშ“.

აგრეთვე მნიშვნელოვნად მიმჩნია ის, რომ უკანასკნელ ხანს აღსდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვარშავისა და ლოდის უნივერსიტეტების თანამეგობრობა.

შარშან საუნივერსიტეტო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა პროგრამა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრა და პარტნიორი უნივერსიტეტების ინსტიტუტები.

- პროგრამის მიხედვით კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა 10 პოლონელი სტუდენტი. უცხოელი სტუდენტებისათვის განისაზღვრა იმ დისციპლინების ნუსხა, რომელთა მოსმენაც თავად სურდათ. შედგა აკადემიური - სასწავლო და კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები.

პოლონელმა სტუდენტებმა მოისმინეს შემდეგი სალექციო კურსები - „საქართველოს ისტორია“; „კავკასიელი ხალხების კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში“; „კავკასიური ენების წარმოშობის ისტორია და მათი მეცნიერული შესწავლის დღევანდელი დონე“; „კავკასიის გეოპოლიტიკა“; „კავკასიის „უახლესი ისტორია“. ამ კურსების მოსმენის შემდეგ მათ მიეცათ სათანადო სერტიფიკატი.

ანალოგიური ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფი.

საზღვარგარეთის საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრებთან კავშირურთიერთობის მისაბამ მაგალითს გვაძლევს მესხეთის ფილიალი, მას მხარს უბამს სიღნაღის ფილიალიც.

2 წელია, რაც კახეთის რეგიონსა და იონის (საფრანგეთის) დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში ფრანკოფონიის ცენტრი შეიქმნა; მისი პრეზენტაცია 2002 წლის 24 მაისს გაიმართა, რომელსაც საფრანგეთიდან ჩამოსული დელეგაცია დაესწრო.

ფრანკოფონიის ცენტრი საფრანგეთის იონის დეპარტამენტის დაფინანსებით შეიქმნა და საშუალებას აძლევს ფილიალის სტუდენტებსა და პედაგოგებს ღრმად გაეცნონ და შეისწავლონ ფრანგული ენა, ლიტერატურა და კულტურა.

რახან ფილიალები ვახსენეთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ შარშან ჯაფახეთის და უფრო ადრე კი ქვემო ქართლის ფილიალების რეალურად ამოქმედება კეთილი ნიშანია საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის ტოლერანტული სულისკვეთებით აღზრდის მეტად მნიშვნელოვან საკმეში.

უკანასკნელ წლებში ჩვენი სტუდენტები უფრო დაბეჯითებით და მტკიცედ გადიან საერთაშორისო ასპარეზზე. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა პრობლემას – დსთ-ს აქტუალური ასპექტები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნოდარ კერესელიძემ, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა სოფიო პეტრიაშვილმა და საერთაშორისო სამართლის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტმა ნათია კალანდარიშვილმა.

მათ კონფერენციის ორ სექციაში მიიღეს მონაწილეობა: დსთ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (სოფიო პეტრიაშვილი – „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა: ზეწოლის ბერკეტები“, „დაძაბულობის კერები დსთ-ს ტერიტორიაზე“, ნოდარ კერესელიძე – „კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“, და ნათია კალანდარიშვილი – „აფხაზურ-ქართული კონფლიქტი – სამართლებრივი ასპექტები“). ქართველი სტუდენტების მიერ წარდგენილმა მოხსენებებმა განსაკუთრებული ინტერესი და მწვავე დებატები გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოხსენებებს ოპონირებას

უწევდნენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მაგალითად, ნოდარ კერესელიძესა და ნათია კალანდარიშვილს თავიანთი პოზიციების დამტკიცება მოუხდათ ცნობილ რუს დიპლომატთან ალექსანდრე ჩეპურინთან, ხოლო სოფიო პეტრიაშვილს პრეზიდენტ პუტინის მთავარ მრჩეველთან საგარეო პოლიტიკის საკითხებში ვადიმ სალტიკოვსკისთან.

სანკტ-პეტერბურგის 300 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა ნუსხაში შედიოდა იურისტ სტუდენტთა საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია.

„სანკტ-პეტერბურგი 300 წლისაა – სამართლებრივი სისტემის განვითარების და ურთიერთხემოქმედების 300 წელი“ – ასეთი სახელწოდებით ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა ირაკლი ყანდაშვილმა (II კურსი, ინგლისურენოვანი სექცია), მედეა მათიაშვილმა (III კურსი), გიორგი ცერცვაძემ (IV კურსი), ლევან ჯანაშიამ (IV კურსი).

აღსანიშნავია, რომ ამ ოთხეულიდან ორი – ირაკლი ყანდაშვილი და მედეა მათიაშვილი სანკტ-პეტერბურგის 2002 წლის საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულებიც არიან. ქართველ სტუდენტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითოეული მათგანის მოხსენება სათანადო პრიზით აღინიშნა.

დიდ წარმატებას მიაღწია უნივერსიტეტის გუნდმა, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობებისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების ნინო ხაინდრაავას, თამუნა გოდერძიშვილის, სალომე მეუნარგიასა და ანა ჯიბუტის შემადგენლობით, ევროკავშირისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ ტურნირში საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში. ის ფაქტი, რომ საპრიზო მესამე ადგილთან ერთად უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა სპეციალური ჯილდო ქვეყნის საუკეთესო წარდგინებისათვის, ჩვენი სტუდენტების მომზადების მაღალ დონეზე მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს ჩვენი სტუდენტების წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებსა და ასპარეზობებში. მათ შორის გამოვყოფდით მექანიკა-მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტთა გუნდს ნიკოლოზ ჯიმშელაიშვილის, ლაშა ქორაძისა და ლაშა ბანძელაძის შემადგენლობით. მათ წარმატებით იასპარეხეს სტუდენტთა შორის მსოფლიოს გუნდური პირ-

ველობის ზონალურ ტურნირზე პროგრამირებაში. უნივერსიტეტის გუნდი ზედიზედ მეოთხედ გახდა ამიერკავკასიის ჩემპიონი.

უნივერსიტეტის სასწავლო და მმართველობით პროცესში სტუდენტთა თანამონაწილეობის გაზრდის, სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების შემდგომი ხელშეწყობისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების ეფექტურობის მიზნით 2003 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების კონკურსი. ეს არის სრულიად ახალი, გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის, მათი დამოუკიდებელი საქმიანობის ხელშეწყობის გაზრდას.

სტუდენტთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ შემუშავდა სტუდენტური პროექტების პროგრამის დებულება, რომლის თანახმად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზაციებს, ისე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებს და ცალკეულ სტუდენტებს. პროგრამა ფაქტიურად მოიცავს სტუდენტური აქტივობის ყველა ძირითად მიმართულებას. მათ შორის: სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის მხარდაჭერის, სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების, სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესების, სტუდენტთა თავისუფალი დროის ორგანიზებისა და საგარეო კავშირურთიერთობების განვითარების პროგრამებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონკურსი ჯერ მხოლოდ ორჯერ ჩატარდა, უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობითა და ნდობით სარგებლობს სტუდენტთა შორის, რაზეც მეტყველებს განსახილველად შემოსულ პროექტთა დიდი რაოდენობა და მათი მომზადების მაღალი ხარისხი.

ფართოდ შლის თავის საქმიანობას სტუდენტთა საექსპედიციო მოძრაობა. 2003 წლის ზაფხულში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა ჯავახეთის ექსპედიციების ტრადიციამ და ამჯერად ფოკას დედათა და მამათა მონასტრებისათვის სტუდენტთა მიერ გაწეულ დახმარებასთან ერთად მოეწყო სტუდენტ-არქეოლოგთა და გეომორფოლოგთა კვლევითი ექსპედიციები.

უაღრესად საინტერესო და შედეგიანი ექსპედიცია მოეწყო ხევისურეთში, სადაც უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა გაიდრმავეს თავისი თეორიული ცოდნა ისეთ აქტუალურ საკითხებში, როგორცაა ხევისურეთის ეკოლოგიური

მდგომარეობა, რეგიონის მოსახლეობის წეს-ჩვეულებებისა და ისტორიული ტრადიციების შესწავლა-პოპულარიზაცია და სხვ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული ეთნოლოგ სტუდენტთა შემოქმედებითი ექსპედიციები, მათ მიერ მოპოვებული მასალები ნათლად გვაცნობს დღევანდელი საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, კულტურულ ვითარებას. ვფიქრობ, ყველა ეს მასალა ერთ გამოცემად თუ შეიკრიბება, მას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციებმა საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა და მასში ჩართულნი არიან საზღვარგარეთის მეცნიერები.

დღეს კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კამერული ორკესტრი, სიმებიან საკრავთა ანსამბლი, სახალხო თეატრი და თეატრ-სტუდია „მერმისი“, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, საესტრადო ვოკალური ანსამბლი „დია“, პანტომიმის თეატრი, თანამედროვე ცეკვის ანსამბლი „ახალი თაობა“ და ქალ-ვაჟთა „კაპელა“.

ანსამბლმა „უნივერსიტეტი“, რომელმაც მილანის საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი დაიმსახურა, ხოლო საბერძნეთში საუკეთესო ვოკალურ ანსამბლად აღიარეს, შარშან მოსკოვში ქართული კულტურის დღეებში დიდი აღიარება ჰპოვა. წარმატება ხვდა აგრეთვე ქორეოგრაფიულ ანსამბლს იალტის საერთაშორისო ფესტივალზე. თეატრ-სტუდია „მერმისმა“ პრემიერად წარმოადგინა სპექტაკლი „ქელადოს“ (ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით);

სულ მალე პანტომიმის თეატრი დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“ პლასტიკის ენაზე აჩვენებს მაყურებელს.

უკანასკნელ წლებში მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივები შემოქმედებითად იღვწიან ფაკულტეტებზე. ესაა სწორედ კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის მასობრიობის ნიშანი, ამიტომ, თავს ნებას მივცემ, ანგარიშში შედარებით ვრცლად წარმოვადგინო შარშან სტუდენტურ დღეებში გამარჯვებული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები:

საფორტეპიანო კონცერტი – ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ჯუანშერ ჯეჯელავა;

სიმებიან საკრავებში ორმა ანსამბლმა მოიპოვა წარმატება: ვასილ მეგრელიშვილის, ლევან ფოცხვერიას, ვანო ქიტუაშ-

ვილის (ისტორიის ფაკულტეტი) და მიხეილ რუხაძის, ლაშა კვანტალიანის, თემურ პატარიძის, აეთო კრავეიშვილის (ეკონომიკის ფაკულტეტი) შემადგენლობით;

საოპერო ჟანრში საუკეთესო იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ნინო დეკანოსიძე;

ეოკალურ შემსრულებელთა შორის გამოირჩეოდა მაღლივი კორპუსის ნაკრები – ეკონომიკის, მექანიკა-მათემატიკის, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტებიდან – ხელმძღვანეული მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი მარად ლიპარტელიანი.

ქორეოგრაფიულ ნომრებში გაიმარჯვეს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის, ზუგდიდის ფილიალის („ორიონი“) და სიღნაღის ფილიალის მოცეკვავეებმა.

საუკეთესო სამსახიობო ნამუშევრად მიიჩნიეს სოხუმის ფილიალის თეატრსტუდია „თეთრი ტალღის“ მიერ წარმოდგენილი კომპოზიცია;

მხატვრულ კითხვაში გამოირჩეოდნენ ფილოლოგები გიორგი კეკელიძე, ირაკლი კაკაბაძე, ზაალ ჩხეიძე.

საუკეთესო თეატრალური წარმოდგენით წარსდგნენ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები;

თანამედროვე სოლო სიმღერაში ნომინაციები ასე განაწილდა – არჩილ ნიჭარაძე (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი), ხათუნა მაკალათია (ბიოლოგიის ფაკულტეტი), ანანო მგაუია (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი);

თანამედროვე სიმღერის ჯგუფური შემსრულებლები – „სეიშენი“ (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი) და „სიგეთის“ (კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი);

საუკეთესო იუმორისტულ ნომრებად ჟიურიმ მიიჩნია საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტისა და ახალციხის ფილიალის სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი კომპოზიციები;

ორიგინალური ნომერი წარმოადგინა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა თინათინ წერეთელმა.

კონცერტის საუკეთესო რეჟისორული გადაწყვეტისათვის დაჯილდოვდნენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

საუკეთესო წამყვანებად დასახელდნენ ნიკა ქავთარაძე და მკა საყვარელიძე (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი).

ღირსეულად აგრძელებს ტრადიციას უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდი „თსუ“, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია 2003წ. 13-26 იანვარს სოჭის მე-15 საერთაშორისო ფესტივალზე. უნდა აღინიშნოს, რომ დსთ-ს ქვეყნების 350 გუნდიდან უნივერსიტეტის ნაკრები მოხვდა 18 საუკეთესოთა შორის, რის შედეგადაც „თსუ“ 2004 წლის სეზონში წარსდგება ისეთ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე, როგორცაა პრემიერ-ლიგა.

2003 წელს უნივერსიტეტის სპორტსმენებმა ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით, როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებებში.

პირად ასპარეზობაში მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ელდარ კურტანიძე – მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, წლის № 1 სპორტსმენი; ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ასანიძე – მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი ძალოსნობაში; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი დავით მარგოშვილი – ევროპის პრიზიორი და მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში – წლის საუკეთესო სპორტსმენი; კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სტუდენტი რევაზ მინდორაშვილი – მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი თავისუფალ ჭიდაობაში, წლის საუკეთესო სპორტსმენი; მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი პაატა ბიწაძე – მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ყიზილაშვილი – ევროპის პირველობის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის პრიზიორი ძიუდოში; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნინო ხურციძე – მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი; ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი მაია ლომინეიშვილი – მსოფლიო ჩემპიონი სტუდენტთა შორის; ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი სერგი ჩიტაიშვილი – მსოფლიო ჩემპიონი სროლაში; ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ავთანდილ ცინცაძე – ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი დავით ქვეხიშვილი – ევროპის პირველობის ვერცხლის მედალოსანი ძიუდოში; ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი დელა ჯავახიშვილი – ევროპის პირველობის მეორე პრიზიორი ჭადრაკში; ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გელა კაჭკაჭუ

რი - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სტუდენტი თედორე აბელაშვილი - ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის სამბოში; ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი არჩილ შათირიშვილი - ევროპის პირველობის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის პრიზიორი ძიუდოში; კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სტუდენტი ლევან გუჯეჯიანი - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძიუდოში.

წლის ყველაზე დიდი ღონისძიება სტუდენტთა უნივერსიადა იყო, რომელიც გაიმართა სპორტის 17 სახეობაში. უნივერსიტეტის სპორტსმენები ყველა მათგანში მონაწილეობდნენ და მოიპოვეს 25 ოქროს, 17 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი. გუნდური პირველი ადგილები დაიკავეს: კალათბურთელმა ქალებმა და ვაუებმა, მოცურავეებმა, რაგბისტებმა, ძიუდოს მოჭიდავეებმა, მკლავჭიდებმა, მოჭადრაკეებმა. პირად პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: ჭადრაკში - დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი ანა მათნაძე, ცურვაში - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის სტუდენტი ზურაბ ხომასურიძე, სპორტსმენტთა მოსამზადებელი ცენტრის მსმენელები სანდრო იზორია და გიორგი ვეფხვაძე, გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ჭელიძე, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის სტუდენტები ნინო კვაჭაძე და ვიქტორია ბეგიჯანოვა. ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სტუდენტმა თედორე აბელაშვილმა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლაშა სარდანაშვილმა. ძიუდოში I ადგილი დაიკავა დავით მარგოშვილმა, თავისუფალ ჭიდაობაში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ალექსი მოდებაძემ, მძლეოსნობაში - ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ქეთევან აბრამიძემ, კრივში - ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა დავით გეგეშიძემ, მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა იოსებ თათენაშვილმა და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ტარიელ ზანდუკელმა, მკლავჭიდში - იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი უბილაევამ და მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ჯაბა გეთიაშვილმა.

ამჯერად უნივერსიტეტელმა სპორტსმენებმა საერთო II ადგილი დაიკავეს, მცირედი განსხვავებით პოზიციები დათმეს საქართველოს სპორტის აკადემიის წარმომადგენლებთან.

2003 წლის საქართველოს ჩემპიონები გახდნენ:

მძლეოსნობაში - ქეთევან აბრამიძე, მენჯეჭმენტიისა და მიკრო-ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ირინა ხოროშევა, საერთა-შორისო ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ამირანაშვილი, ცურვაში - ზურაბ ხომასურიძე, მაგიდის ჩოგბურთში - ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ნატო აბაშიძე; ჩოგბურთში - ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ირაკლი უშანგიშვილი. სტუდენტური დღეებისადმი მიძღვნილ მარათონში ქეთევან აბრამიძე იყო პირველი.

ნიუ-იორკში წოლით მდგომარეობაში სიმძიმეების აწვევაში უნივერსიტეტის ათლეტებმა ზურაბ ჭავჭავანიძემ, გერონტი ჯგუხაძემ, ვეფხია ჯგუხაძემ და სოსო ხარაბაძემ გუნდური პირველი ადგილი და ორი პრიზი დაისაკუთრეს.

უკრაინის ჩემპიონატში გაიმარჯვა და ევროპის პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა უნივერსიტეტის ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდმა.

საქართველოს ჩემპიონია რაგბის ჭაბუკთა ორი გუნდი, კალათბურთელ ქალთა გუნდი.

2003 წელს, შესრულებული იქნა 450 ათასი ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაო.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დასკვნის საფუძველზე დავანგრიეთ მე-4 კორპუსის მარჯვენა ფლიგელი და პროექტის მიხედვით დაწყებულია მისი აღდგენითი სამუშაოები რითაც დამატებით მივიღებთ 270 მ² ფართს.

მე-2 კორპუსში კაპიტალურად შეკეთდა სასწავლო აუდიტორიებისა და ლაბორატორიების 10 ოთახი. შუა ფლიგელში მოთუთიებული თუნუქით გადაიხურა 200 მ², ხოლო რბილი სახურავით - 650 მ². პირველ სართულზე აღდგენილია სველი წერტილი.

პირველ სასწავლო კორპუსში ხელოვნების ისტორიის კათედრისათვის გარემონტდა და მოეწყო აუდიტორია 60 სტუდენტისათვის ადგილზე დამზადებული ახალი მაგიდებით, კარადებითა და სკამებით. კაპიტალურად შეკეთდა სასწავლო-მეთოდური სამმართველოს, კომპიუტერული ცენტრის, რუსული ენისა და ისტორიის კათედრის ოთახები, შეკეთდა ორი სველი წერტილი...

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დამთავრდა გაზგაყვანილობის სამუშაოები, წვიმის წყლის მიღები გამოტანილ იქნა შენობის ფასადზე და შეიცვალა პლასტმასის მიღებით, რის შედეგადაც ტექნიკურ სართულში წყლის ჩადინება და დაგროვება ლიკვიდირებულია.

მაღლივ კორპუსში კაპიტალურად შეკეთდა 10 სველი წერტილი მიმდებარე კორიდორებითურთ. მომზადდა აუდიტორიები მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით.

ბიოლოგიის კორპუსში დამთავრდა გაზგაყვანილობის სამუშაოები, რბილი სახურავი შეკეთდა 2000 მ²-ზე, ხოლო 450 მ² გადაიხურა თუნუქით. ელექტროენერჯისა და წყლის ეკონომიურად ხარჯვის მიზნით ყველა კორპუსში დაიდგა ელექტრომრიცხველები, შეიცვალა დაზიანებული წყალმომები და ჩამკეტი ურდულები. I, II და IV კორპუსებში ნაწილობრივ მოწესრიგდა გარე განათებისა და სავენტილაციო სისტემები. გეგმიური რემონტი ჩაუტარდა მაღლივი კორპუსის 8 სამგზავრო ლიფტს, აღსანიშნავია, რომ ლიფტები ამორტიზებულია, მუშაობს განსაკუთრებული დატვირთვით და აუცილებელია მისი ეტაპობრივად შეცვლა. საჭიროების მიხედვით მიმდინარეობდა გაზგაყვანილობებისა და განათების სისტემების შეკეთება, საკანალიზაციო კოლექტორების ჭებისა და მილგაყვანილობების პერიოდული გაწმენდა.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით გასულ სამეურნეო წელს დახარჯული იქნა 394 ათასი ლარი. შევიძინეთ და ფაქულტეტებს გაუნაწილდათ 40 ცალი კომპიუტერი, 400 მერხი, 200-ზე მეტი მაგიდა, 531 სკამი, 40 დაფა... ზედმეტი დანახარჯების აცილების მიზნით ადგილზე შეკეთდა 231 მერხი, 20 დაფა, 100 სკამი, რის შედეგადაც დაზოგილია 15 ათას ლარზე მეტი. ასეთ მუშაობას მომავალშიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაევთმობთ. უნივერსიტეტის შეკეთების დასამზადებლად, ფაქულტეტების საჭიროებისათვის შეძენილი და განაწილებული იქნა 9 ტონაზე მეტი სხვადასხვა დასახელების ქაღალდი (ცარცის, საბეჭდი, ფერადი, გაზეთის, ქსეროქსებისა და სხვა), 96 ათასი ლარის საკანცელარიო საქონელი, 131 ათასი ლარის ღირებულების სამეურნეო და სამშენებლო მასალები, მცირეფასიანი და 29,7 ათასი ლარის ღირებულების სწრაფცვეთადი საქონელი, მანქანა-დანადგარები.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი უდიერად ეკიდება უნივერსიტეტის სამეურნეო ინვენტარს, ასევე კათედრებზე არსებულ ტექნიკურ საშუალებებს. ამის გამო ხშირია განსაკუთრებით რბილი და ნახევრად რბილი ინვენტარის ნაადრევად დაზიანება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქვეყნის მომავალი პრეზიდენტისაგან შარშან, 26 დეკემბერს, დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნდობის ასეთი მანდატი მიიღო:

„საქართველოს მეცნიერება უპირველესი და უმთავრესია – ჩვენი მომავლის საყრდენი, საფუძველი და ბურჯია, ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმართ მის საპატრონოდ, მის სამზრუნველოდ.

და მე ამ შემთხვევაში მინდა ასეთი სიტყვებით მოგმართოთ: ის, რაც უნივერსიტეტის პროფესურამ შეძლო ამ ათწლეულის გაუსაძლის პირობებში – ჭირდა ხელფასი, არა გათბობა, არა სინათლე, არა თანადგომა თქვენს მიმართ არ იყო და თქვენ არ ჩააქრეთ ხალხის ეს საიმედო განათლების კერა – ნამდვილი გმირობაა!

ახალმა ხელისუფლებამ ნორმალურად მუშაობისათვის ყველა პირობა უნდა შეგიქმნათ“.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა ასეთი შეფასების წილ სრული მხარდაჭერა აღუთქვეს ბატონ მიხეილ სააკაშვილს.

ინფორმაცია სამეცნიერო მუშაობის შესახებ უნივერსიტეტში

გასული, 2003 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეჯამებული სურათი გადმოცემულია უნივერსიტეტის რექტორის აკად. რ. მეტრეველის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა ტრადიციულად თებერვლის საბჭოს სხდომაზე და სრული ტექსტი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის გაზეთში ა/წ 18 მარტს. ამიტომ საბჭოს წევრებს და უნივერსიტეტის დაინტერესებულ თანამშრომლებს მისი გაცნობის ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ. მე შემოვისაზღვრები ზოგიერთი კომენტარით და ყურადღებას იმ საკითხებზე გავამახვილებ, რომელიც არ აისახა რექტორის მოხსენებაში.

2000 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად კრებულის სახით ვაქვეყნებთ სრულ ანგარიშებს. უკვე გამოვიდა 2000 და 2001 წლების კრებულები. დღეს მზის შუქს ნახავს 2002 წლის კრებულიც, ხოლო რაც შეეხება 2003 წლის კრებულს, იგი უკვე წარმოების პროცესში აქვს სამეცნიერო ნაწილს და მალე გადაეცემა გამომცემლობას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა მოვახსენო თსუ გამომცემლობის დირექტორს ბ-ნ ნიკო ბერძენიშვილს, რომელიც ძალიან გვეხმარება ამ კრებულების გამოცემაში (და არა მარტო ამ კრებულებისა. გამომცემლობის განსაკუთრებულად კარგი მუშაობა მხოლოდ ქათინაურებით არის მოსახსენებელი). შეიძლება ამ კრებულებში ზოგი რამ არ მოგვეწონოს, ბევრი რამ დასახვეწი იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი კრებულის გამოცემა აშკარად ამართლებს, რაზეც ბევრი გამოხმაურება მეტყველებს. ეს კრებულები უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველ მასალად გადაიქცა. ახალ 21-ე საუკუნეში.

აქვე გამომცემლობასთან ერთად მინდა მოვიხსენიო ის სასიკეთო ძეგლები და დიდ პროგრესზე ორიენტირებული გარდაქმნები, რომელსაც ახორციელებს ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

გადავალ მოხსენების ძირითად ნაწილზე. წინასწარ ბოდიშს გიხდით, თუ ყველა თქვენგანის სამეცნიერო მიღწევამ არ ჰპოვა ან არ ჰპოვოს ჩვენგან გამოხმაურება მოხსენებებში ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ ჩვენს კრებულებში ქვეყნდება და აუცილებლად გამოქვეყნდება აბსოლუტურად ყველაფე-

რი, რაც წარმოადგინეს ფაკულტეტებმა და ხანდახან უფრო მეტიც.

მოხსენებას დაეწყო იმით, რითაც დაგამთავრე გასულ წელს ეს გახლავთ ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯონ კეინსის სიტყვები:

„ვიდრე მეცნიერება არ მოიპოვებს აუცილებელ გამარჯვებას, გეხდება არჩევანი გაგაკეთოთ სიღატაკის თანაბარ განაწილება და სიმდიდრის უთანასწორო განაწილებას შორის“.

ცნობილია, რომ წუწუნი არაფერს იძლევა, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ როცა უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობაზე ვლპარაკობთ, სიტყვა „საბიუჯეტო“ არაფერ შუაშია, ან თითქმის არაფერ შუაშია. გასულ წლებში მე უკვე მივმართე და დღესაც თხოვნით მივმართავე ჩვენს სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს, ეკონომისტებს და ყველა სხვა ადამიანთმცოდნეთ, გამოეკვლიათ ეს უცნაური ფენომენი – როგორ ხდება და რატომ ხდება, რომ ასეთი წარმოდგენელი უყურადღებობის პირობებში, რასაც სახელმწიფო მთელი ამ დამოუკიდებლობის წლებში იჩენდა, მეცნიერები მაინც თავგამოდებით მუშაობენ და გარკვეულ შედეგებსაც აღწევენ. პარადოქსიცაა და სინამდვილედ, რომ უკანასკნელი წლების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ჩემდა გასაკვირად, მივედი იმ დასკვნამდე, რომ გვაქვს რაოდენობრივი და ხშირად თვისობრივი ზრდა, წინსვლა.

ძირითად მოუგვარებელ პრობლემად რჩება ახალგაზრდობის დასაქმების საკითხი, მათი მოზიდვა და დატოვება უნივერსიტეტში. ამის შედეგია ის, რომ მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ასაკი ყოველწლიურად თითო წლით მატულობს და ახლა თითქმის გადაცდა 60 წელს. იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლება განათლებისა და მეცნიერებისადმი კეთილგანწყობილი, გამონახავს ამ საკითხის მოგვარების ცივილურ გზებს.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არ რჩება უნივერსიტეტში იმის გამო, რომ თანამშრომელთა მატერიალური ანაზღაურების დონე ძალზედ დაბალია და არა იმიტომ, რომ უფროსი ასაკის თანამშრომლებს აქვთ დაკავებული თანამდებობები. ეს უკანასკნელნიც ვერ გადაიან პენსიაზე, რადგან ჯერ არ ამოქმედებულა კანონი მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური გარანტიების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო გასულ წელს. სასურველია, რომ ხელისუფლებამ დროულად მი-

იღოს ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართულებით, რათა გაიხსნას ეს ჩაკეტილი წრე და შეწყდეს ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების გადინება სხვა ქვეყნებში.

გასულ წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ანალიზს დაეწეებოთ ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან. ანგარიშებში მოცემულია უამრავი მასალა ახალი სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, კრებულების შესახებ, დისერტაციების დაცვის შესახებ, საზღვარგარეთულ კონფერენციებში მონაწილეობა, უცხოელ მეცნიერთა სტუმრობა ჩვენთან, ახალგაზრდა სპეციალისტთა მიღწევები, სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა.

ყოველივე აქედან მე გამოვყოფდი ისეთ გამოცემებს, რომლებსაც ჩემი აზრით, უნივერსიტეტისათვის და საერთოდ საქართველოს კულტურის და ისტორიისათვის ექნება დიდი მნიშვნელობა.

პირველ რიგში აღვნიშნავ მონუმენტურ გამოცემას „ბაგრატიონები. მათი სამეცნიერო, საზოგადო და კულტურული მემკვიდრეობა“. მართალია უნივერსიტეტში არ გამოცემულა ეს წიგნი, მაგრამ უნივერსიტეტს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა ისტორიის სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად. მთავარი რედაქტორი გახლავთ აკად. რ. მეტრეველი, სარედაქციო კოლეგიაში ბევრი უნივერსიტეტელია, ასევე მასში გამოქვეყნებული გამოკვლევების დიდ ნაწილი უნივერსიტეტის მეცნიერებს ეკუთვნით.

აუცილებლად აღვნიშნავ სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნს „საქართველო-რუსეთის სამეცნიერო-კულტურული კავშირები სანკტ-პეტერბურგის ისტორიაში“. გამოცემის კოორდინატორია რუსულ-ქართული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ადამიანი“. ამ წიგნშიც უნივერსიტეტის ისტორიკოსთა გამოკვლევებია შეტანილი. პარალელურად აღვნიშნავ, რომ სანკტ-პეტერბურგის 300 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში უნივერსიტეტელთა მონაწილეობა ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო.

ჩემი აზრით, ამ 2 წიგნს მეცნიერულ ღირებულებებთან ერთად აქვს დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობაც.

ძალზედ სასიხარულოა, რომ ბ-ნმა თამაზ გამყრელიძემ თავის კოლეგებთან ერთად დაასრულა მრავალწლოვანი მუშაობა წიგნზე „ენათმეცნიერების შესავალი“, რომელიც წელს უკვე გამოიცემა.

პარალელურად აღვნიშნავ, რომ საკმაოდ დამაიმედებელია ნა-

ბიჯები, რომლებიც უკანასკნელ წლებში გადადგეს ენათმეცნიერებმა და კომპიუტერული ლინგვისტიკის სპეციალისტებმა პრობლემაში – ქართული ენა და კომპიუტერი – კომპიუტერის მოქცევა ბუნებრივ ქართულენოვან გარემოში.

ასევე ვფიქრობ, რომ ეტაპური მნიშვნელობა ექნება მთელი ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის მომავალში რისმაც გორდუ-ზიანისა და მაია დანელიას მიერ დაწერილ სახელმძღვანელოს „კლასიკური ფილოლოგიის შესავალი“.

იმ ტიტანურმა შრომამ, რომელსაც ეწევა სულ ახლახან შექმნილი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ამ მაღალპროფესიონალურ კოლექტივს ფართო საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამ ერთი თვის წინ გამოიცა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

– წარმატებულად ჩაითვალოს უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შექმნა და ფუნქციონირება. მისი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე განხილული იქნეს უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის მსგავსი ფორმების შემდგომი დანერგვის მიზანშეწონილობის საკითხი.

ეს გამომხატურება ძალზედ დროულია. ამ ახალი ტიპის ინსტიტუტის გამოცდილება აუცილებლად გასათვალისწინებელია უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის პერსპექტივაში.

მის გარდა, როგორც იცით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კიდევ ორი „ჩვეულებრივი“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი:

(1) ივეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკისა და (2) მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი. ესენია უნივერსიტეტზე ორიენტირებული ინსტიტუტები, სადაც სამეცნიერო პროცესი ღრმად უკავშირდება საუნივერსიტეტო განათლების პროცესს. კლასიკური ფილოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ესენი ქმნიან სწორედ იმას, რასაც ჰქვია საუნივერსიტეტო მეცნიერება.

ამ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკად. ნოდარ ამალლობელი. მოხდა სამწუხარო ამბავი. თავს უფლებას მივცემ ორიოდ სიტყვით გაეჩერდე ბ-ნ ნ. ამალლობელზე და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტზე, რომელსაც ვიცნობ 40 წელზე მეტია, დღიდან, როცა მისი შექმნის იდეა წარმოიშვა და მის დამფუძნებ-

ლებთან ერთად მეც ცოტაოდენს ემონაწილეობდი მომავალი ინსტიტუტის ამოცანების გადასაწყვეტად – მისთვის ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის სპეციალობით.

მოგეხსენებათ, რომ მაღალი ენერგიების ფიზიკა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის ალტერნატიული სახელწოდებაა. სიტყვა „მაღალი“ განსაზღვრავს მხოლოდ ეპოქას, თუ როგორი მაქსიმალური ენერგიების მიღწევა შეგვიძლია. პრაქტიკულად მაღალი ენერგიების ფიზიკა დასაბამს იწყებს რენტგენის სხივების და რადიოაქტივობის მოვლენის აღმოჩენიდან. ეს იყო იმ დროის მაღალი ენერგიები. შემდგომ ფიზიკის და ტექნიკის განვითარებასთან ერთად მაღალი ენერგიების ფიზიკა განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იმდენად გაიზარდა და გაძვირდა ამ დარგის ექსპერიმენტული ტექნიკა, რომ უკვე 60-იანი წლებისათვის ცალკე აღებული სახელმწიფოები (არა თუ ექსპერიმენტული ჯგუფები) ვეღარ ართმევდნენ დამოუკიდებლად თავს ფინანსური და ადამიანური რესურსების პრობლემებს და იწყება ექსპერიმენტების ახალი ხანა:

სხვადასხვა სახელმწიფოები ერთიანდებიან თავისი ფინანსებით და მეცნიერთა კოლექტივებით, რათა აწარმოონ კვლევები მატერიის, დროისა და სივრცის ფუნდამენტური თვისებების დასადგენად. საქართველოში ამ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი მასთან დაარსებული მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის ს/კ ლაბორატორიის სახით, რომელიც შემდგომ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტად გადაკეთდა (1979 წ.). ამ ინსტიტუტის პირველი და პრაქტიკულად უცვლელი დირექტორი იყო ბ-ნი ნ.ამაღლობელი.

ბ-ნ ნოდარს ჰქონდა ერთი წმიდათა-წმიდა პრინციპი – ის თვლიდა, რომ მცირერიცხოვანი ერების მაღალი ინტელექტი შეიძლება გამომჟღავნდეს მხოლოდ ფუნდამენტალურ სამეცნიერო კვლევებში და თუ ამაში ხელი არ შეეწყოს, ერი დაკნინდება. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა ეპოვა და განვითარებინა სხვა სამეცნიერო ცენტრებთან ინსტიტუტის მეცნიერული თანამშრომლობის (კოლაბორაციის) ფორმები. განსაკუთრებით უწყობდა ხელს ნიჭიერ ახალგაზრდობას. სწორედ ამის გამო მივიღეთ ის ვრცელი გეოგრაფია, რომელსაც გასწავდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, და რომ დღეს მისი თანამშრომლები მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსები არიან.

ხომ არის გასაკვირი აღზარდო უმაღლესი კლასის ექსპერიმენტატორები საკუთარი ადეკვატური ექსპერიმენტული ბაზის გარეშე? დღეს უნივერსიტეტში ყველაზე ძალიან უჭირს ამ ინსტიტუტს, მაგრამ მისი დარჩენილი თანამშრომლები თავდაუზოგავად მუშაობენ. ესაა ძალიან თავდადებული და განსაკუთრებული ხალხი – და ეს არც არის გასაკვირი – მათი დირექტორი ხომ ამ განსაკვირვებელი თვისებებით იყო შემკობილი.

დღეს ინსტიტუტი, ისევე როგორც სხვა ექსპერიმენტული კვლევები ჩვენში, მხოლოდ უცხოური გრანტებით არსებობს. ეს უკანასკნელი კი, მოგეხსენებათ, ციდან არ ცვივა. ინსტიტუტის თანამშრომელთა კვალიფიკაციამ და ავტორიტეტმა განაპირობა გრანტების მოპოვების შესაძლებლობები და მაღალი სამეცნიერო დონის შენარჩუნება.

დღეს მინდა ერთ მათგანზე მოგახსენოთ. ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ახალგაზრდა ქალბატონმა თამარ ჯობავამ ამ ორიოდე კვირის წინ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ეს რიგით მესამე ქალბატონია საქართველოს ისტორიაში მეცნიერებათა დოქტორი-ფიზიკოსი. მისი გამოკვლევები ეხება ბირთვული მატერიის ახალ, დღემდე უცნობ მდგომარეობის, ე.წ. კვარკ-გლუონური პლაზმის დაკვირვების მეთოდის დამუშავებას.

ეს დღეს ერთი ალბათ ყველაზე აქტუალური საკითხია ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში. ჩამოყალიბებულია მსოფლიო ასოციაცია, რომელიც კვარკ-გლუონური პლაზმის შესწავლის საკითხებს ყოველწლიურად რამდენიმე კონფერენციასა და ვორკ-შოფს უძღვნის. თამარ ჯობავამ გაიმარჯვა ამ ასოციაციის კონკურსში, როგორც საუკეთესო მომხსენებელმა და მიენიჭა უფლება იყოს მიწვეული მათ მიერ ორგანიზებულ ყველა კონფერენციაზე.

კიდევ ერთ მხარეს შევხვები. თამარ ჯობავას ასპირანტობიდან დღემდე ჰყავს მეცნიერ-ხელმძღვანელი, ქ-ნი იდა ჩხაიძე, ურომლისოდაც თამარს ცხოვრებაში ნაბიჯიც არ გადაუდგია. და აი, რა ხდება: ქ-ნმა იდა ჩხაიძემ თავისი მოწაფე გაუშვა თავისზე წინ, სადოქტორო დისერტაციის დასაცავად. დამეთანხმებით, უნიკალური შემთხვევაა მეცნიერული პატიოსნებისა.

კიდევ რამდენიმე მომენტს შევხვები. გვერდს ვერ აუვული ახალგაზრდა ქიმიკოსის გიორგი ლეკიშვილის წარმატებებს. საზღვარგარეთ გამოიცა ფუნდამენტური მონოგრაფია "Chemoinformatics" (ქიმიოინფორმატიკა). რედაქციამ მთელი თავი შეუკვეთა

და გამოუქვეყნა გიორგი ლეკიშვილს. ეს ხომ დიდი აღიარებაა ამ ახალგაზრდისა და საამაყო უნივერსიტეტისათვის. სასიხარულოა აგრეთვე, რომ ჩვენი ახალგაზრდები, ჯერ კიდევ მაგისტრატურის სტუდენტები, მონაწილეობენ საკმაოდ სერიოზულ ექსპერიმენტულ კვლევებში. ანგარიშში მოყვანილია ასეთი მაგალითი: ფიზიკის ფაკულტეტის 4 კურსდამთავრებული ბაკალავრი გაიგზავნა აიდაპოს (აშშ) უნივერსიტეტში მაგისტრატურაში ე.წ. ჯანმრთელობის ფიზიკის (ან ჯანდაცვის ფიზიკის) "health physics" პროგრამის გასაწვლელად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს დარგი ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა თანამედროვე მედიცინაში. ევროპისა და ამერიკის საკელევ დაწესებულებებში და კლინიკებში საგრძნობლად მომრავლდა ამ დარგში სამუშაო ადგილები, გაზრდილია მოთხოვნილება. ამიტომ მიზანშეწონილად მეჩვენება, თუ ფიზიკის ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის და ბიოფიზიკის კათედრები დროზე მოკიდებენ ხელს და ამ სპეციალობით გახსნიან მაგისტრატურას, რა თქმა უნდა, მედიცინის და ბიოლოგიის ფაკულტეტებთან ერთად და საქართველოს რადიოლოგებთან თანამშრომლობაში.

მომავალში ცალკე გვეჩვენა საუბარი სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაზე, რაც ჩვენთან მართლაც რომ უმაღლეს დონეზეა.

გასულ წლებში რამდენიმე ადგილას ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტებზე გაიზარდა ექსპერიმენტული კვლევების ჩატარების საშუალებები სხვადასხვა გრანტებით მოპოვებული უნიკალური სამეცნიერო აპარატურის ხარჯზე. შედეგიც არ აყოვნებს. ამ აპარატურაზე მუშაობის მეთოდთა თითქმის ათეისებულია, ჩამოყალიბებულია პროგრამები და დაწესებულია კვლევები როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი ხასიათისა.

საკმაოდ კარგი პერსპექტივები ჩნდება, მაგალითად, საექსპერტიზო სამუშაოებში, არქეოლოგიური მასალის დამუშავებაში, მდინარეთა ეკოლოგიური მონიტორინგის საკითხებში. უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები.

ჩვენ შედგენილი გვაქვს თითქმის ორი ათეული პროექტი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ სახელმწიფო პროგრამების გადაწყვეტისათვის. ეს პროექტები მზადაა წინადადებების სახით და საჭიროებისთანავე შეგვიძლია შევთავაზოთ სახელმწიფო ორგანიზაციებს. ქვემოთ მოვიყვან ამ პროექტებიდან ზოგიერთების ჩამონათვალს:

1. საქართველოს ბუნებრივ-კატასტროფული პროცესები. მათი

- გეოეკოლოგიური შეფასება და გეოინფორმატიული ბანკის შექმნა;
2. საქართველოს ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და პროგნოზი;
 3. საქართველოს ბუნების ევოლუცია გლობალური დათბობის ფონზე და მასთან დაკავშირებული პრობლემები;
 4. კალაპოტური პროცესებისა და ნატანის დინამიკა შავი ზღვის აუზის ნავსადგურებსა და მდინარეთა შესართავებში;
 5. ბუნებრივი რესურსების დისტანციური მონიტორინგი, მათი რაციონალური გამოყენების გეოეკოლოგიური ექსპერტიზა;
 6. კატასტროფული პროცესების დისტანციური გეოეკოლოგიური ექსპერტიზა;
 7. ეთნოეკოლოგიური, არქეოლოგიური ობიექტებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აეროკოსმოსური მონიტორინგი და მათი სივრცული მოდელირება;
 8. ქალაქმშენებლობათა კადასტრის შექმნა;
 9. სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების აეროკოსმოსური მონიტორინგის და სამხედრო-სადაზვერვო ობიექტების გეოინფორმაციული სისტემები;
 10. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის შედარება და მონიტორინგი;
 11. ტრანსკაეკასიური გაზსადენების პროექტების სამუშაოების მომზადებისა და განხორციელების ეტაპზე გეოლოგიურ-გეოფიზიკური კვლევების კომპლექსი (მშენებლობის დაწყების სტადიაში და გაზსადენის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ);
 12. ქალაქის ენერგოგანაწილების ქსელში დატაცების გამომრიცხავი ელექტროენერჯის აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის შექმნა;
 13. საყოფაცხოვრებო გაზის ავტომატური ოდირიზაციის (სუნის კონტროლის) სისტემის შექმნა;
 14. საქართველოში ნავთობქიმიური მრეწველობის დაარსებისათვის ქართული ნავთობის კომპლექსური ათვისება.
 15. საქართველოს მდინარეების წყლებისა და ნიადაგის კომპლექსური მონიტორინგი;
 16. რადიაქტიური იზოტოპებით და სხვა მინარევეებით დაბინძურებული წყლების გაწმენდა სპეციალურად მოდიფიცირებული მინარევეების გამოყენებით;
 17. საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა კერამიკისა და ორგანული ნივთიერებების საფუძველზე;
 18. პესტიციდებისა და მათი მეტაბოლიტებისაგან საქართვე-

ლოში მოპოვებულ ბუნებრივ ცეოლოთებზე წყლის გაწმენდის მეთოდის შემუშავება;

19. კატეჯინების განსაზღვრა ქართულ ჩაიში.

20. ფენოლური ნივთიერებების განსაზღვრა ციტრუსებში.

21. კონსერვანტებისა და სხვა ტიპის დანამატების განსაზღვრა სასმელებსა და საკვებ პროდუქტებში;

22. ოპტიკურ-ბოჭკოვანი მრავალფუნქციონალური კავშირგაბმულობის ქსელის შექმნა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სისტემის სრული გამოყენებით;

23. ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღები მოთვალთვალები სისტემის პროექტირება;

24. საქართველოში ნავთობმომპოვებელი, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, ნავთობის, ნახშირწყალბადური აირის და ნავთობპროდუქტების იმპორტ-ექსპორტის განვითარების კონცეფცია;

ამ პროექტების თავისებურება იმაშია, რომ ერთის მხრივ, სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებას მოემსახურება, ხოლო მეორეს მხრივ, უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობასაც მნიშვნელოვნად წაადგება.

დღეს არსებითი ცვლილებებია მოსალოდნელი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერებისა და განათლების ორგანიზაციაში. ალბათ შეიცვლება და სულ მალე გამოიკვეთება სახელმწიფოს პოლიტიკა მეცნიერებისა და განათლების მიმართ. მოსალოდნელია რეფორმები, მათ შორის საკმაოდ რადიკალურიც. ჩვენ ყველაფერს მომზადებული უნდა შევხედეთ, რათა პროცესები მაქსიმალურად უმტკივნეულოდ ჩატარდეს.

ერთი რამ ცხადია, როგორც არ უნდა წავიდეს პროცესები, უნივერსიტეტის აკრედიტაცია და ატესტაცია მათი აუცილებელი კომპონენტები იქნება. უნივერსიტეტმა უკვე ჩაატარა დიდი მოცულობის სამუშაოები, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

პრაქტიკულად დავასრულეთ მეცნიერ-თანამშრომელთა ატესტაცია. დავადგინეთ ყველა ფაკულტეტზე და ინსტიტუტებში საბიუჯეტო შტატებზე მომუშავე მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობის მდგომარეობის რეალური სურათი. უახლოეს პერიოდში იმ მეცნიერ-თანამშრომელთა მიმართ, ვინც ვერ გაიარა საუნივერსიტეტო ატესტაცია, გატარდება კანონით განსაზღვრული ზომები, მაგრამ ცხადია, აუცილებელია ზემოთ ხსენებული სოციალური დაცვის შესახებ კანონის ამოქმედება.

კადების გასვლის გამო ამჟამად მიმდინარეობს სადისერტაციო საბჭოების განახლების პროცესი ახალი დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭოების მუშაობა სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელოვანი უბანია.

თქვენ გეხსოვებათ უნივერსიტეტის რექტორის ბ-ნ რ. მეტრეველის ვრცელი სტატია უნივერსიტეტის ამოცანების შესახებ საუკუნეთა მიჯნაზე. საესებით ბუნებრივია, რომ ჩვენ არ მოკვლოდით მეცნიერებისაკენ რაიმე მკვეთრ შემობრუნებას სახელმწიფო დაფინანსების თვალსაზრისით. ამიტომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იდგა განათლების პროცესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. მეცნიერული საუნივერსიტეტო განათლება - ეს სიტყვები სულ უფრო ხშირად ჟღერს საგანმანათლებლო ლიტერატურაში და პროექტებში. განსაკუთრებით დიდი მასშტაბის რეფორმებია დაგეგმილი ევროპულ სივრცეში, რაც „ბოლონიის პროცესის“ სახელით არის ცნობილი. ჩვენც შევეურთდით ამ პროცესს. ხელთ გვაქვს „ზალცბურგის სემინარის მოხსენება“ ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ. ეს მოხსენება გამოქვეყნებულია და ყველა ჩვენგანი უნდა გაეცნოს, რადგან ლაპარაკია ძალიან მნიშვნელოვან გარდაქმნებზე.

ბოლო ხანებში მომიწია საკმაოდ ბევრი ლიტერატურის მოძიება და გაცნობა ამ თემაზე და ჩემს თავს უფლებას მიეცემ ორიოდე სიტყვით საკუთარი აზრი გამოეთქვა.

ლიტერატურაში 3 მთავარ საკითხს აქცევენ ყურადღებას: (1) აკადემიური ხარისხების სტანდარტიზაცია ანუ შესაბამისობა 2-ეტაპიანი სწავლების სხვადასხვა საფეხურებისა: 3+2, 4+1; 4+2 ან 3+1. ევროპის სხვადასხვა ქვეყანას თავისი არჩევანი აქვს გაკეთებული. ამათ ურთიერთშეთავსებას ხშირად პირველ რეეოლუციასაც უწოდებენ.

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით მინდა განეაცხადო, რომ ჩვენი არჩევანი 4+2 ჩვენი რეალობისთვის ყველაზე ოპტიმალურად მიმაჩნია.

მე-2 გახლავთ საკრედიტო სისტემა, რომელიც ჩვენთან პრაქტიკულად უკვე შემოვიდა და რომლის ძირითადი მოთხოვნები დაიყვანება ე.წ. კურიკულუმების და სილაბუსების შედგენაზე.

მე-3 გახლავთ გადასვლა პროფესორზე (ანუ დარგზე) ორიენტირებული, უნივერსიტეტიდან სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტისაკენ ან ასედაც იტყვიან ხოლმე: შიგნით მიმართულიდან (სამეცნიერო პროგრესისაკენ) გარეთ მიმართულისაკენ (ფართო საზოგადოებრივი საქმეებისკენ). ამას უწოდებენ მეორე

რევოლუციას.

სწორედ ამ მეორე რევოლუციის შიში მაქვს მე. ხსენებულ ზალცბურგის სემინარის მოხსენებაში ნათქვამია: თურმე უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს „საშუალო სტუდენტებზე“. „წამყვანი“ სტუდენტები მაინც მიაღწევენ სასურველ შედეგს მიუხედავად მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხისა (ჩვენში სხვა ანდაზა გვაქვს: „დაეხმარე ნიჭიერებს, უნიჭონი თვითონ გაიკვლევენ გზას“, რაც ჩვენი რეალობისაგან არც ისე შორსაა).

ამავე დროს ვკითხულობთ: სტუდენტზე ორიენტირებულ უნივერსიტეტად ქცევა არც ისე იოლი საქმეაო; ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტთა უმრავლესობაში მიჩნეულია, რომ მათი ტრადიციები და ღირებულებები ამ მიზნის მიღწევას ძალიან ართულებს,

რამდენად სწორადაა ნათარგმნი ქართულად ეს წინადადება, არ ვიცი. მაშ, რა უჭირთ ასეთი ამერიკისა და ინგლისის უნივერსიტეტებს? მათაც ხომ ჰყავთ საშუალო და სუსტი სტუდენტები. რას ვერ აკეთებენ? კურიკულუმებს და სილაბუსებს, რომლებიც მათი მოგონილია?

საქმე იმაშია, რომ მათ არ სურთ დათმონ ის წამყვანი პოზიციები, რაც მათ უკავიათ მთელი განათლებული მე-20 საუკუნის განმავლობაში, რომლითაც მათ ამ სუსტი სტუდენტებისგან ნობელის პრემიის ლაურეატები გამოჰყავთ.

საქმე ის გახლავთ, რომ გასული წლის გამოკვლევების შედეგების მიხედვით, რომელიც აწარმოეს კომპეტენტურმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და რომლებმაც შეისწავლეს მსოფლიოს თითქმის 2000 უნივერსიტეტი და მოახდინეს მათი რანგირება შემდეგი 5 ფაქტორის მიხედვით:

* ნობელის პრემიის ლაურეატების რაოდენობა,

* მაღალი ციტირების მქონე თანამშრომელთა რაოდენობა (21 ყველაზე გაერცელებულ დარგში);

* ჟურნალებში „Nature“ და „Science“ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა;

* გამოცემების „სამეცნიერო ციტირების ინდექსი“ და „სოციალურ მეცნიერებათა ციტირების ინდექსი“ მოყვანილ სიებში მოხვედრილ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა;

* აკადემიური მანქენებლები (ერთ ფაკულტეტზე გადაანგარიშებით).

შედეგები და კომენტარები ასეთია: ევროპის ქვეყნების უმრავ-

ლესობას მძიმე მდგომარეობა შეექმნა. პირველ 25 ადგილზე მოხვდა აშშ 18 უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთისა (დბ) - 4, იაპონიის - 1, კანადის - 1, შვეიცარიის - 1.

პირველ ათეულში - 8 აშშ. 2 - დბ.

პირველ 4 ადგილზეა - აშშ უნივერსიტეტები: ჰარვარდი, სტენფორდი, კალტეხი, ბერკლი.

მე-5 ადგილზეა კემბრიჯის უნივერსიტეტი (დბ).

ევროპის სხვა ქვეყნიდან ყველაზე წინაა უტრეხტის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) - 40. გერმანიიდან - მიუნხენის უნივერსიტეტი - 48. საფრანგეთიდან - პარიზი - VI - 65.

აი, რისი დაკარგვა არ სურთ წამყვან უნივერსიტეტებს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში.

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის მეცნიერების პროგრესზე იყო ორიენტირებული, ამიტომ ჩემი აზრით, უნდა დავრჩეთ გამოწინაურდ. არ დავივიწყოთ, რომ ჩვენს უნივერსიტეტს განსაკუთრებული როლი აკისრია ქართველი ერისა და სახელმწიფოს წინაშე. ჩვენ ხომ ვიცით, რომ პრობლემები იმიტომაც გვექმნება, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, მრეწველობა პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. მეცნიერთა აზრს ნაკლებად ან სულ არ ითვალისწინებენ. სხვა სიტყვებით, პრობლემები, რომლებიც უნივერსიტეტს ბევრ რამეში უშლის ხელს, მეტწილად უნივერსიტეტის გარეთაა და ისინი უნდა მოწესრიგდეს.

მე მაინც მომწონს სტრატეგია თანდათანობითი, უწყვეტი რეფორმებისა გარკვეული საბოლოო მიზნისაკენ - რასაც აქამდე ვაკეთებდით, შეიძლება გემართებდეს რიტმის მომატება და ან მეტი მახვილების დასმა.

თუკი რეფორმებთან დაკავშირებული მოვლენები ფორსირებულად განხორციელდა, ჩვენ სერიოზული საფრთხის და არჩევანის წინაშე აღმოვჩნდებით: დავრჩეთ შიგნით ორიენტირებული, ე.ი. ვასწავლოთ თანამედროვე მეცნიერება უმაღლეს დონეზე, როგორც ივანე ჯავახიშვილმა ჩაიფიქრა (...სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელი თავისი მრავალმხრივობითა და მრავალფერადობებით. სუფევს, ყველა თავის მიმართულებით). თუ გავხდეთ გარეთ ორიენტირებული, ე.ი. ვასწავლოთ სათამადო ხელოვნება.

მე მაინც ჰარვარდი უფრო მირჩევნია, ვიდრე წნორი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჩემი დაბადების ადგილთან უფრო ახლოა.

დარწმუნებული ვარ, აგრეთვე, რომ არც ფიზტეხი, რომლის

კურსდამთავრებულები პრაქტიკულად უკონკურენციოდ ეწყობიან აშშ ნებისმიერ მაღალი რანგის უნივერსიტეტებში, გადაუხვევს გზიდან.

გლობალიზაციის უარყოფით შედეგებს წინ რომ აღეუდგეთ და ეიბრძოლოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, ჩვენ უნდა დავრჩეთ საქართველოს ელიტარულ უნივერსიტეტად და არ დავივიწყოთ სახელოვან წინაპართა, ბაგრატიონთა გაფრთხილება „უმეცარნი ფიზიკისანი მსგავს არიან ბრმათა“.

(აქ სიტყვა „ფიზიკისანი“ უნდა გავიგოთ, როგორც „მეცნიერებისანი“).

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ ერთ მოხსენებაში პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი შედეგი აღვნიშნოთ. ამ 7-8 წლის წინ ამას ვახერხებდით, ახლა კი იმდენად წინ წავედით, რომ ეს უკვე შეუძლებელია. ამიტომ, თუ ვინმე ყურადღების გარეთ დაგვრჩა, ნუ გვიწყენთ. თქვენი შედეგები ასახული იქნება გამოცემულ კრებულში, თუ ფაქულტეტებმა არ დაგივიწყეს.

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

2003 წელს ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა სამეცნიერო გეგმის მიხედვით, რომელიც გულსხმოვანდა რვა თემის დამუშავებას. მიმდინარე წელს ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით გამოქვეყნებულ იქნა 24 შრომა.

ინსტიტუტმა აკადემიასთან ერთად 2003 წლის სექტემბერში იუნესკოს ეგიდით ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია "Physics on future Colliders".

დაკული იქნა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: მაღალი რანგის კვანტურ-ქრომოდინამიკური შესწორებები და პროცესები პოლარიზებული ნაწილაკების მონაწილეობით (ზაზა მერებაშვილი).

ფიზიკის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაეცა თ.ჯობაჯას დისერტაცია ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად – ნაწილაკთა მრავლობითი დაბადების პროცესების შესწავლა რელატივისტურ ბირთვ-ბირთვეულ ურთიერთქმედებებში სტრიქტული სპექტრომეტრის საშუალებით.

თბილისის ი.გვერდწითელის სახელობის ზესუფთა მასალების კვლევისა და ტექნოლოგიების ცენტრთან ერთად მიმდინარეობს პროექტის – ზემალაღი სისუფთავის ქსენონის დაბალ ტემპერატურული რექტიფიკაციის მეთოდით მიღების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა, დამუშავება. ამ თემამ წინა წელს მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის გრანტი.

2003 წელს შესრულებული სამუშაოები დაკავშირებული იყო საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის განვითარებასთან. სამუშაოები მჭიდროდ არის დაკავშირებული ნატოს მიერ დაფინანსებულ ე.წ. „ვირტუალური აბრეშუმის გზის პროექტთან“, რომლის ძირითადი მიზანია სამხრეთ კავკასიის სამი და შუა აზიის ხუთი ქვეყნის დაკავშირება ინტერნეტთან სათანამგზავრო კავშირით. 2003 წელს დასრულდა ნატოს პროექტში შემავალ რვავე ქვეყნის აღჭურვა სათანამგზავრო აპარატურით. შესაბამისად გაიზარდა სათანამგზავრო არხის საერთო სიჩქარე.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს სიჩქარის და საიმედოობის გაზრდის მიზნით დაიდგა დამატებითი სათანამგზავრო მიმღები აპარატურა, რის შედეგადაც არსებული სიჩქარე გაიზარდა 1 მგბტწმ-ით. მიღება წარმოებს SMS არხით აღმოსავლეთ განედის 48 გრადუსზე მდებარე თანამგზავრით.

30 ოქტომბერს ცერნში დასრულდა დანადგარ ATLAS-ისათვის განკუთვნილი ადრონული კალორიმეტრის მიწისზედა მონტაჟი. ეს კალორიმეტრი შედგება 65 მოდულისაგან, მათ დამზადებასა და ტესტირებაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

ამჟვე დანადგარისათვის მზადდება გადასვლის გამოსხივების დეტექტორი. იგი შედგება დიდი რაოდენობის დრეიფული მილენისაგან, რომელთა დამზადების ტექნოლოგიასა და გაზომვის ავტომატიზებული სისტემის შექმნაში აგრეთვე მონაწილეობენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

დუბნასა და თბილისში ჩატარებული სამუშაოების შედეგად დამზადდა სპეციალური ფორმის პროპორციული კამერის პროტოტიპი, რომელიც განკუთვნილია მაღალ ენერგიებზე დიფრაქციული გაბნევის შესწავლის ექსპერიმენტისათვის. რაც მთავარია, პროპორციული კამერა გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით (98%) და კოორდინატის განსაზღვრის დიდი სიზუსტით.

ასევე 2003 წლის ნოემბერში ქ. იულიხში ჩატარდა პირველი ექსპერიმენტი dp-ურთიერთქმედებებში სპინური ეფექტების შესასწავლად პოლარიზებული დეიტრონების ნაკადში. ეს პროექტი მომზადდა ინსტიტუტის ფიზიკოსთა ჯგუფის მიერ გერმანელი და დუბნელი მეცნიერების მონაწილეობით. ამ სამუშაოებში ჩართულია ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრი დ. ჭილაძე, რომელიც იმყოფება ქალაქ იულიხში და ამ თემაზე შეასრულებს სამაგისტრო ნაშრომს. C-C და C-Ta ურთიერთქმედებებში 4.2 გეეV/C იმპულსისათვის სინათლის ფრონტის ცვლადების საშუალებით გამოიყო წონასწორული არე, რომლისთვისაც განისაზღვრა π -მეზონების ტემპერატურა. C-C ურთიერთქმედებებისათვის შესწავლილ იქნა კოლექტიური ეფექტები. კერძოდ, განისაზღვრა კოლექტიური გამოდინების ნაკადი პროტონებისათვის და π -მეზონებისათვის, როგორც რეაქციის სიბრტყეში, ასევე ამ სიბრტყის პერპენდიკულარულად.

ჰიბრიდული ნაპერწკლოვანი სპექტრომეტრის ლაბორატორიაში 2003 წელს (თემის ხელმძღვ. ლ.ჩხაიძე, თემის შემსრულებლები: თ.ჯობაია, ლ.ხარხელაური). აღგზნებული მატერიის თვისებების გამოკვლევის მიზნით ინტენსიურად მიმდინარეობს რელატივისტური ბირთვ-ბირთვული დაჯახებების შესწავლა, როგორც ექსპერიმენტულად, ასევე თეორიულად. ერთ-ერთი საინტერესო ეფექტი, რომელიც დაიკვირვება მაღალ ენერგიებზე ბირთვ-ბირთვული ურთიერთქმედებების დროს, არის ბირთვული

მატერიის კოლექტიური გამოდინება (flow) რომელიც შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს წინა და უკანა ნახევარსფეროებს შორის გადაცემული იმპულსის სახით. კოლექტიური გამოდინების ისეთი სახეები, როგორებიცაა გამოდინება რეაქციის სიბრტყეში (bounce-off) და გამოდინება რეაქციის სიბრტყის პერპენდიკულარულად (squeeze-out), შეისწავლება ენერგიის ფართო ინტერვალში (რამდენიმე ათეული გეე-დან 200 გეე-მდე).

აღნიშნული ეფექტების შესწავლის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდია განივი იმპულსებით ანალიზის მეთოდი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა პ. დანიელევიჩისა და გ. ოდუნინცის მიერ. ამ მეთოდის მიხედვით რეაქციის სიბრტყეში ნუკლონზე მოსული საშუალო განივი იმპულსი $\langle P_x(Y) \rangle$ წარმოდგინდება როგორც Y სისწრაფის ფუნქცია. მეთოდის მიზანია გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად არის შემთხვევის ცალკეული ნაწილაკი დაჯახების რთული მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მატარებელი ანუ საკითხი იმის თაობაზე არიან თუ არა ნაწილაკები კოლექტიურად კორელირებულნი.

რამდენადაც წინა წლებში ჯგუფში გამოკვლეულ იქნა ცენტრალურ C-Ne, C-Cu და Mg-Mg დაჯახებებში 3.7 გეე/ნუკლონზე ენერგიის დროს (ორმეტრიანი სტრიმერული კამერა) პროტონებისა და პიონებისათვის კოლექტიური გამოდინების ეფექტები (directed flow, elliptic flow), ამდენად საინტერესო იყო ანალოგიური ანალიზის ჩატარება პროპანის ბუშტოვან კამერაზე არადრეკად C-C და C-Ta დაჯახებებში მიღებულ მასალაზე პროტონებისა და პიონებისათვის. ამ მიზნით ჯგუფში ჩატარდა π^+ მეზონების იდენტიფიკაცია სტატისტიკური მეთოდით, რომელიც დამყარებულია დადებითი და უარყოფითი პიონებისათვის n , P , P_T სპექტრების მსგავსებაზე.

C-C დაჯახებებში მონაწილე პროტონებისათვის რეაქციის სიბრტყეში დაიმზირება განივი კოლექტიური გამოდინების ეფექტები; რეაქციის სიბრტყეში ნუკლონზე მოსული $\langle P_x(Y) \rangle$ საშუალო განივი იმპულსის Y სისწრაფეზე დამოკიდებულებას აქვს ტიპური S-ფორმა. ამ დამოკიდებულებიდან განისაზღვრა გამოდინების რაოდენობრივი მახასიათებელი $F=(136\pm 11)$ მეე/ც Y სისწრაფის -0.75 ± 0.75 არეში. აღსანიშნავია, რომ პროტონებისათვის $\langle P_x(Y) \rangle$ განაწილება C-C დაჯახებებში უფრო სიმეტრიულია ვიდრე C-Ne დაჯახებებისათვის. დათვლილ იქნა ასევე საშუალო განივი იმპულსი სისწრაფეთა წინა არეში, რომელიც პროტო-

ნებისათვის $\langle P_x \rangle_{y=0} = (104 \pm 11)$ მევ/ც. C-C დაჯახებებში იდენტიფიცირებულია 4464 მსუბუქი ფრაგმენტი ($Z > 1$ -- ^3He , ^4He) და 4857 ერთმუხტიანი უარყოფითი ნაწილაკი $p > 5$ გევ/ც იმპულსით (ძირითადად დეიტრონები და ტრიტონები). საინტერესოა, რომ ამ ნაწილაკებისათვის $\langle P_x \rangle_{y=0} = (140 \pm 20)$ მევ/ც ე.ი. $\langle P_x \rangle_{y=0}$ სიდიდე მსუბუქი ფრაგმენტებისათვის 20-30%-ით მეტია, ვიდრე მონაწილე პროტონებისათვის. სხვადასხვა ბირთვული წყვილებისათვის გამოდინების პარამეტრის ენერგიაზე დამოკიდებულების შესასწავლად გამოიყენება მასშტაბურად ინვარიანტული სიდიდე $F_s = F / (A_p^{1/3} + A_t^{1/3})$. ამ მიზნით დადგენილ იქნა ეს სიდიდე C-C-სთვის $F_s = (29.7 \pm 2.4)$ მევ/ც.

C-C დაჯახებებში ასევე დამზერილია კოლექტიური ეფექტები პიონებისათვის. დადგენილ იქნა ეფექტის რაოდენობრივი მახასიათებელი $F = (22.2 \pm 6.1)$ მევ/ც Y სისწრაფის $-0.6 + 0.6$ არეში. პიონებისათვის დადგენილ იქნა გამოდინების პარამეტრის დამოკიდებულება განივ იმპულსზე: $P_T > 0.1, 0.15$ და 0.2 მნიშვნელობებისათვის F იზრდება 22.2-დან 43.7 (მევ/ც)-მდე. ამრიგად, პროტონებისა და პიონების კოლექტიური გამოდინებები ურთიერთკორელირებულია C-C დაჯახებებში, მსგავსად C-Ne დაჯახებებისა.

C-C დაჯახებებში ასევე შესწავლილ იქნა ნაწილაკების უპირატესი გამოდინება რეაქციის სიბრტყის პერპენდიკულარულ სიბრტყეში პროტონებისა და პიონებისათვის. ამისათვის შესწავლილ იქნა აზიმუტალური φ განაწილებები ($\cos\varphi = P_x/P_t$). დამზერილი კუთხური განაწილებები აღიწერა $dN/d\varphi = a_0(1 + a_1 \cos\varphi + a_2 \cos 2\varphi)$ პოლინომით, საიდანაც განისაზღვრა a_2 ანიზოტროპიის კოეფიციენტის სიდიდე პროტონებისათვის -0.044 ± 0.006 და პიონებისათვის -0.037 ± 0.011 . a_2 სიდიდე გამოიყენება $R = (1 - a_2)/(1 + a_2)$ თანაფარდობის (რეაქციის სიბრტყის პერპენდიკულარულად და რეაქციის სიბრტყეში გამოსხივებული ნაწილაკთა რიცხვების შეფარდება) განსასაზღვრავად, რომელიც იძლევა რეაქციის სიბრტყის პერპენდიკულარულად გამოსხივების სიგნალის სიდიდეს.

მიღებული ექსპერიმენტული შედეგები შედარებულ იქნა კვარკ გლუონური სიმური მოდელის (QGS) წინასწარმეტყველებასთან და ცდომილების ფარგლებში მიღებულ იქნა კარგი თანხვედრა.

ნაწილაკთა სპექტრების ახალი, მასშტაბურად ინვარიანტული პარამეტრიზაცია (ა. თავხელიძე, ვ. გარსევანიშვილი), როგორც დაჯახების მექანიზმის დადგენისა და მრავალნაწილაკოვანი მუორადი პროდუქტების მახასიათებლების შესწავლისათვის ერთ-

ერთი საინტერესო მეთოდი, შემოთავაზებულ იქნა 80-იან წლებში. შემოყვანილ იქნა ე.წ. „სინათლის ფრონტის“ ცვლადები ξ და ζ :

$$\xi^{\pm} = \pm (E + |P_Z|) / v_s \quad (1)$$

$$\zeta^{\pm} = \ln |\xi^{\pm}| \quad (2)$$

ეს ცვლადები წარმოადგენენ ცნობილი ცვლადების $x_F = 2P_Z / v_s$ და $x_T = 2P_T / v_s$ განზოგადებას დიდი P_Z ($|P_Z^C| \gg P_T^C$ - ფრაგმენტაციის არე) და P_T ($|P_T^C| \gg P_Z^C$ - დიდი P_T -ების არე) -სთვის. ამ მეთოდის საშუალებით დაბადებული ნაწილაკების ფაზურ სივრცეში მოიძებნა ზედაპირი, რომელიც გამოყოფდა ერთმანეთისაგან ორ არეს, სადაც ნაწილაკებს ჰქონდათ მკვეთრად განსხვავებული მახასიათებლები (მაგ. კუთხური და იმპულსური განაწილებები). რამდენადაც, ეს მეთოდი ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ბირთვული წყვილებში He-Li, He-C, C-Ne, Mg-Mg, C-Cu და O-Pb დაბადებული პიონების შესასწავლად (2 მეტრიანი სტრიმერული კამერა), ამდენად საინტერესო იყო ამ მეთოდის გამოყენება პროპანის ბუშტოვან კამერაში არადრეკად C-C და C-Ta დაჯახებებში დაბადებული პიონებისათვის. ξ და ζ განაწილებები C-C დაჯახებებისათვის არის სიმეტრიული, ამიტომ ანალიზი ჩატარდა ამ ცვლადების მთელ არეში (ξ^{\pm} , ζ^{\pm}). C-თა დაჯახებებში კი ანალიზი ჩატარდა მხოლოდ წინა ნახევარსფეროში (ξ^+ , ζ^+). ნაპოვნია ζ^{\pm} -ს კრიტიკული მნიშვნელობები (ζ^+) $^{-1} = 1.95 \pm 0.05$ C-C დაჯახებებისათვის და (ζ^+) $^{-1} = 2.00 \pm 0.05$ C-Ta დამცემი A_F და სამიზნე A_T ბირთვების მასურ რიცხვებზე. π^- -მეზონების დაჯახებებისათვის. ეს სიდიდე არის ენერგიის ფუნქცია და არ არის დამოკიდებული იმპულსური P_T^2 და კუთხური $\cos\phi$ განაწილებები $\zeta^+ > (\zeta^+)^{-}$ და $\zeta^+ < (\zeta^+)^{-}$ არეებში მკვეთრად განსხვავებულია. $\zeta^+ > (\zeta^+)^{-}$ არეში კუთხური განაწილება თითქმის იზოტროპიულია, რაც მიუთითებს ლოკალურ თერმოდინამიკურ წონასწორობაზე. ამ არეების განსხვავებულობის ნათელსაყოფად პიონებისათვის ლაბ. სისტემაში მიღებულ იქნა იმპულსური განაწილება. პიონებს $\zeta^+ > (\zeta^+)^{-}$ არეში აქვთ მცირე იმპულსები, არა უმეტეს 0.5 გეე/ც-ისა, ხოლო $\zeta^+ < (\zeta^+)^{-}$ არეში 0.5 გეე/ც-დან 3 გეე/ც-მდე. შესწავლილ იქნა $\langle P_{lab} \rangle$ -ის მ_{ლაბ.}-ზე დამოკიდებულება აღნიშნული ბირთვული წყვილებისათვის; მიღებულ იქნა, რომ (A_F, A_T)-ის ზრდასთან ერთად $\langle P_{lab} \rangle$ მცირდება, ხოლო მ_{ლაბ.} - იზრდება. $\zeta^+ > (\zeta^+)^{-}$ არეში განაწილებები აღიწერება ბოლცმანის

განაწილებით $f(E) \sim e^{-E/T}$. რაც შეეხება $\zeta^{\pm} < (\zeta^{\pm})^{-}$ არეს, აქ განაწილებები აღიწერება $(1-x_F)^n$ -ის ანალოგიური ფორმულებით.

ამრიგად, $\zeta^{\pm}(\zeta^{\pm})$ განაწილებებისათვის მიღებულია კრიტიკული მნიშვნელობები $(\zeta^{\pm})^{-}(\zeta^{\pm})^{-}$, რომლებითაც ფაზური სივრცე იყოფა ორ ისეთ არედ, სადაც მკვეთრად განსხვავდება ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების ყოფაქცევა.

მიღებული ექსპერიმენტული შედეგები შედარებულ იქნა კვარკ გლუონური სიმური მოდელის (QGSM) წინასწარმეტყველებას; ამისათვის მოდელირებულ იქნა C-C (50 000 შემთხვევა, $\langle b \rangle = 2.65 \pm 0.02$ ფერმი) და C-Ta (10 000 შემთხვევა, $\langle b \rangle = 5.65 \pm 0.03$ ფერმი) დაჯახებები მონტე-კარლოს გენერატორით COLLI, რომელიც ემყარება QGSM-ს. მოდელმაც გაიმეორა იგივე ყოფაქცევა $\zeta^+ > (\zeta^+)^{-}$ და $\zeta^+ < (\zeta^+)^{-}$ არეებში; ამასთან, მოდელზეც დადასტურდა T ტემპერატურის წრფივი კანონზომიერებით კლება $(A_F \cdot A_T)^{1/2}$ -ს ზრდისას ე.ი. მონაწილე ნუკლონების რიცხვის ზრდისას.

2003 წელს გამოქვეყნებული და გაგზავნილი შრომების სია:

1. L. Chkhaidze, T. Djobava (Tbilisi State U.), V. Garsevanishvili (Razmadze Math. Inst.), Yu. Tevzadze (Tbilisi State U.) "Light front variables in high energy hadron-hadron and nucleus-nucleus interactions." Phys. Elem. Part. At. Nucl., 2003, v. 34, p.527-545.

2. L.V. Chkhaidze, T.D. Djobava, (Tbilisi State U.) V. Garsevanishvili (Razmadze Math. Inst.), L.L. Kharkhelaury (Tbilisi State U.), E.N. Kladnitskaya, A.A. Kuznetsov (Dubna, JINR), G. O. Kuratashvili (Tbilisi State U.) "The Analysis of π^- meson spectra in semicentral CC and CTa collisions at a momentum of 4.2 GeV/c per nucleon in terms of light front variables".

a) Accepted for publication in Yadernaya Fizika..

b) E1-2003-67 – preprint of JINR, Dubna, 2003.

3. L.V. Chkhaidze, T.D. Djobava, L.L. Kharkhelaury (Tbilisi State U.), E.N. Kladnitskaya, A.A. Kuznetsov (Dubna, JINR), "Study of collective flow effects in CC collisions at a momentum of 4.2 GeV/c per nucleon."

a) Yadernaya Fizika., 2004, N2.

b) E1-2002-255 – preprint of JINR, Dubna, 2002.

თემა: TLAS ექსპერიმენტის მგრძობიარობა ტოპ კვარკის ნეიტრალური დენებით არომატის ცვლილებით მიმდინარე იშვიათი დაშლების მიმართ. თემის ხელმძღვანელი და შემსრულებელი თ.ჯობავა. თემა სრულდება მეცნ. აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მაღალი ენერგიების ფიზიკის განყოფილებასთან ერთად.

შესწავლილია ATLAS ექსპერიმენტის (CERN, შვეიცარია) მგრძობიარობა ტოპ კვარკის t -ს იშვიათი დაშლის $t \rightarrow Hq$ ($q=u,c$) ყვარლობითი ალბათობისადმი (Br.). ეს დაშლა მიმდინარეობს ნეიტრალური დენების საშუალებით არომატის ცვლილებით. ექსპერიმენტი მზადდება ახალ, მშენებარე დიდ ადრონულ კოლაიდერზე (LHC) დასადგმელად. სტანდარტული მოდელი $t \rightarrow Hq$ დაშლისათვის წინასწარმეტყველებს 0.9×10^{-13} (4×10^{-15}) რიგის ალბათობას ჰიგსის ნაწილაკის $m_H=100(160)$ GeV მასებისათვის, თუმცა სხვა მოდელები, კერძოდ, მინიმალური სუპერსიმეტრიული მოდელი და ორი ჰიგსის დუბლეტის მოდელი წინასწარმეტყველებენ რამდენიმე რიგით მეტ ალბათობას $Br(t \rightarrow Hq) 5 \times 10^{-4}$, ამიტომ ასეთი დაშლის დაკვირვება იქნება სიგნალი ახალი ფიზიკის - სტანდარტული მოდელის მიღმა ფიზიკის არსებობისა. შესწავლილია $t \rightarrow Hq$ WW^*q დაშლა W ბოზონების ლეპტონური დაშლების ტოპოლოგიით:

$$t \rightarrow Hq Wb \rightarrow WW^*q, Wb \rightarrow l\nu l\nu, l^{\pm} \nu b \quad (l=e, \mu)$$

ჰიგსის ნაწილაკის $m_H=150$ GeV და $m_H=160$ GeV მასებისათვის.

განხილულ და შესწავლილ იქნა ამ დაშლის ძირითადი ფონური პროცესები tt , ttH , WZ და WH . tt ფონური პროცესების შემთხვევაში მესამე ლეპტონი წარმოიქმნება b კვარკის ლეპტონური დაშლის შედეგად.

სიგნალის და ფონური პროცესების შემთხვევები დაგენერირებულ იქნა PYTHIA 5.7 საშუალებით და დანადგარის პარამეტრების სიმულაცია და ანალიზი ჩატარებულ იქნა სწრაფი სიმულაციის პროგრამული პაკეტით ATLFAST 2.51-ით $\sqrt{s}=14$ TeV ენერჯისათვის, ტოპ-კვარკის მასის $m_{top}=175$ GeV მნიშვნელობისათვის და ჰიგსის ნაწილაკის მასის ორი მნიშვნელობისათვის $m_H=150$ და 160 GeV. $Hq \rightarrow WW$ დაშლის ალბათობები ჰიგსის მასის განხილული მნიშვნელობებისათვის გამოთვლილ იქნა პროგრამა HDECAY-ის საშუალებით. სიგნალისათვის დაგენერირებულ იქნა 10401 შემთხვევა. სიგნალის და ფონებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი შერჩევის კრიტერიუმები: შემთხვევა უნდა შეიცავდეს 3 და მეტ იზოლირებულ ლეპტონს, კერძოდ: ელექტრონებს $P_T > 5$ GeV/c განივი იმპულსით ფსევდოსისწრაფის $|\eta| < 2.5$ არეში და მიონებს $P_T > 6$ GeV/c განივი იმპულსით ფსევდოსისწრაფის $|\eta| < 2.4$ არეში და ჭავლებს $N_{jet} \geq 2$ განივი იმპულსით $P_T^{jet} > 10$ GeV/c ფსევდოსისწრაფის $|\eta| < 5$ არეში. ამის შემდეგ დადებული იყო სხვადასხვა კინემატიკური პირობები, რომ-

ლებიც ეთანადება $L = 100 \text{ fb}^{-1}$ ინტეგრალურ ნათებას, კერძოდ: მოთხოვნილ იქნა ჭავლების იზოლაცია; ლეპტონებისათვის $P_T^l > 30 \text{ GeV}/c$; მსუბუქი ჭავლებისათვის $P_T^{j\ell} > 40 \text{ GeV}/c$, b კვარკიდან წამოსული ჭავლისათვის $P_T^{bj\ell} > 50 \text{ GeV}/c$; დადებულ იქნა აგრეთვე შეზღუდვა აღდგენილ $t \rightarrow Hq$ ($m_{Hq} < 110 \text{ GeV}$) და $t \rightarrow Wb$ ($m_{Wb} < 130 \text{ GeV}$) ეფექტურ მასებზე; მოითხოვებოდა აგრეთვე b კვარკიდან წამოსული სულ ცოტა ერთი ჭავლის არსებობის შემთხვევაში.

შეფასებულ იქნა $\text{Br}(t \rightarrow Hq)$. აღმოჩნდა, რომ 100 fb^{-1} ინტეგრალური ნათების შემთხვევაში ATLAS ექსპერიმენტზე შეიძლება დამსერილ იქნეს ამ იშვიათი და მლის ლეპტონური მოდა 2.0×10^3 ფარდობითი აღბათობით $m_H = 150 \text{ GeV}$ -ისათვის და 2.1×10^3 ფარდობითი აღბათობით $m_H = 160 \text{ GeV}$ -ისათვის 5σ სიზუსტით.

მიღებული შედეგები მოხსენებულ იქნა: ATLAS-ის ფიზიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ა.წ. 19 მაისს ქ. ათენში; ATLAS ექსპერიმენტის სამუშაო თათბირზე CERN-ში (ქ.ვენევა) ა.წ. 25 ივნისს; საერთაშორისო კონფერენციაზე „მოშავალი კოლაიდერების ფიზიკა“ ა.წ. 2 ოქტომბერს ქ. თბილისში და მომზადებულია გამოსაცემად როგორც ATLAS ექსპერიმენტის პრეპრინტი:

L.Chikovani, T.Djobava and T.Grigalashvili,

The observability of the Flavour-Changing Neutral Currents Decay $t \rightarrow Hq$ at ATLAS Experiment.

რელატივისტური ბირთვული ფიზიკის განყოფილების, ადრონ-ბირთვული და ბირთვულ-ბირთვული რეაქციების ლაბორატორიის თემის: ელემენტარული ნაწილაკების რეაქციებზე ბირთვული მატერიის გავლენის კვლევის შედეგები (თემის ხელმძღვანელი ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი, პროფ. მნიორაძე).

2003 წლის საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები დაკავშირებული ექსპერიმენტთან ANKE, რომლებიც სრულდება გერმანიის ქიულბიხის კვლევათა ცენტრის ამანქარებელზე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. კერძოდ, OZI წესის შემოწმების თვალსაზრისით შეისწავლება ω/ϕ მუზონების ხელურბლური დაბადება pn - და pp -ურთიერთქმედებებში. ამ ექსპერიმენტში მიღებული შედეგები დაედება საფუძვლად ჩვენი ასპირანტის ი.ქეშელაშვილის საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მივლინებით იმყოფება გერმანიაში.

ასევე 2003 წლის ნოემბერში ჩატარდა პირველი ექსპერიმენტი dp-ურიერთქმედებებში სპინური ეფექტების შესასწავლად პოლარიზებული დეიტრონების ნაკადში. ეს პროექტი მომზადებული იყო თბილისის ჯგუფის მიერ გერმანელი და დუბნელი კოლეგების მონაწილეობით და 2003 წლის აპრილის თვეში დამტკიცდა იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ. ამ სამუშაოებში ჩართულია ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრი დ.ჭილაძე, რომელიც ამ თემაზე შეასრულებს თავის სამაგისტრო ნაშრომს.

2003 წელს დამთავრდა დეიტრონის პირდაპირი დაშლის რეაქციის $dp \rightarrow (pp)n$ დიდ გადაკვეთულ იმპულსებზე შესწავლის პირველი ეტაპი, რომლის შედეგები აისახა ეურნალ "Physics Letters"-ში გამოქვეყნებული სტატიით.

V.Komarov, S.Dymov, A.Kacharava, G.Macharashvili, M.Nioradze et al.
Proton-induced deuteron breakup at GeV energies with forward emission of a fast proton pair. Physics Letters B 553 (2003) 179-183.

S.Barsov, I.Lehmann, A.Kacharava, I.Keshelashvili, G.Macharashvili, M.Nioradze et al.
Near threshold production of omega mesons in the reaction $pn \rightarrow d\omega$.
-Print Archive: nucl-ex/0305031 May 2003.

თემა: ადრონთა კვარკული სტრუქტურის შესწავლა ბეტე-სოლ-პიტერის განტოლებების საფუძველზე, თემის ხელმძღვანელი თ.კოპალეიშვილი.

თანაშემსრულებლები: თ.ბაბუციძე და დ.ყურაშვილი (ასპირანტი).

კვარკ-ანტიკვარკის სისტემის მდგომარეობებისათვის ბეტე-სოლ-პიტერის განტოლებებიდან მისი გულისათვის სტატიკურ ზღვარში მიღებული სამგანზომილებიანი განტოლებებიდან (ხუთი ვარიანტი) დამატებით მიახლოებაში გამოყვანილია ორ-ნაწილაკობრივი დირაკის განტოლებები. ფორმირებულია შესაბამისი ტალღური ფუნქციებისათვის ნორმირების პირობები. კვარკ-ანტიკვარკის ურთიერთქმედების კონფაინმენტის შესაბამისი ნაწილისათვის სპინური (ლორენც) სტრუქტურა აღებულია შემდეგი სახით: $x \gamma_1 \otimes \gamma_2 + (1-x) 1_1 \otimes 1_2$, სადაც $0 \leq x \leq 1$. ნაჩვენებია, რომ ორ-ნაწილაკობრივი დირაკის განტოლება, რომელიც მიღებულია სოლ-პიტერის განტოლებებიდან არაა დამოკიდებული x -ზე. დანარჩენ ოთხ ვარიანტში ასეთი დამოკიდებულება ძალაში რჩება. შეს-

წავლილია (განტოლებათა სისტემის რიცხობრივი ამოხსნის მეთოდით) $(u\bar{}), (c\bar{}), (c\bar{})$ სისტემებისათვის განტოლებათა მდგრადი ამოხსნების არსებობის დამოკიდებულება შერევის x პარამეტრზე და შედეგები შედარებულია იმ შედეგებთან, რომლებიც მიიღება ბეტე-სოლპიტერის განტოლებებიდან მიღებული 3-განზომილებიანი განტოლებების ამოხსნადობის განხილვის შედეგად. მიღებულია ახალი დამატებითი დასკვნები. შედეგები გაფორმებულია სტატიის სახით (ინგლისურ ენაზე) და გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად.

ველის კვანტური თეორიის ლაბორატორიის გამგის პროფ. ა.ხელაშვილის და ამავე ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ მუშაკის თ.ნადარეიშვილის 2003 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

მიმდინარე წელს გრძელდებოდა კლეინის პარადოქსის პრობლემის შესწავლა. ნაწევნები იქნა, რომ პროექტიული ოპერატორით დირაკის განტოლებაში ვექტორული პოტენციალისათვის არ ჩნდება კლეინის პარადოქსი (ტალღური ფუნქცია უსასრულოდ ზრდადი ვექტორული პოტენციალისათვის უსასრულობაში დაცემადია – ეს თვისება დირაკის "ჩვეულებრივ" განტოლებას არ გააჩნია!). ეს შედეგი მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც კვანტური ქრომოდინამიკიდანაა ცნობილი კვარკებს შორის ურთიერთქმედება ხორციელდება ვექტორული გლუონების გაცვლით და პროექტიული ოპერატორით დირაკის განტოლება მიიღება სალპეტერის განტოლებიდან ერთ - ერთი ნაწილაკის უსასრულო დამძიმებით. მომზადდა სტატია N.Kevlishvili, A. Khelashvili, T.Nadareishvili; "Once Again About the Klein Paradox" -hep-th/0312108), მაგისტრანტ ნ.კეველიშვილის მონაწილეობით, რომელიც გაგზავნილია ჟურნალ of Physics A (Mathematical and General)-ში დასაბეჭდად.

გრძელდებოდა აგრეთვე დამატებითი (სინგულარული) ამოხსნების (დონეების) შესწავლა შრედინგერის განტოლებაში. გამოკვლეულია, თუ სათავეში რომელი ტიპის სინგულარული პოტენციალებისათვის ჩნდება დამატებითი დონეები. კალოჯეროს და სავალენტო ელექტრონის მოდელეებში ცხადი, ანალიზური სახითაა ნაპოვნი ეს დონეები. შესწავლილია მათი თვისებები. შესწავლილია აგრეთვე ტალღური ფუნქციის ყოფაქცევა სათავეში და მოდიფიცირებულია ვან როენ – ვაისკოფის ფორმულა დაშლის სიგანეებისათვის $l=0$ შემთხვევაში. მომზადდა სტატია A.Khelashvili, T.Nadareishvili "On the additional (singular) solutions of Schrodinger equation for $l=0$ potential".

dinger equation", რომელიც იგზავნება ჟურნალ of physics A (Mathematical and General)-ში დასაბუქდად.

აღნიშნული სტატია მოხსენებული იყო იუნესკოს ვედიტ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე "Physics on future Colliders" 2003 წლის სექტემბერში.

პროფ. ა.ხელაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტის თ.ხანიძის მოხსენება „წყალბადის ატომის ფარული სიმეტრია“ (I ადგილი სტუდენტთა რესპუბლიკურ და საუნივერსიტეტო კონფერენციებში. დაჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტის სიგელით).

პროფ. ა.ხელაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა აგრეთვე მ. მაზიაშვილის საკანდიდატო დისერტაცია.

ანგარიში სამეცნიერო თემაზე „გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა, მათემატიკური უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ქსელების განვითარება“.

ხელმძღვანელები: ნამაღლობელი, თ.ფიცხელაური, შესსრულებლები: რ.ქვათაძე ბ.ჭილაძე.

შესრულებული სამუშაოები დაკავშირებული იყო „საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელი“-ს განვითარებასთან. სამუშაოები მჭიდროდ არის დაკავშირებული ნატო-ს მიერ დაფინანსებულ ე.წ. „ვირტუალური აბრეშუმის გზის პროექტთან“, რომლის ძირითადი მიზანია სამხრეთ კავკასიის სამი და შუა აზიის ხუთი ქვეყნის დაკავშირება ინტერნეტთან სათანამგზავრო კავშირით. 2003 წელს დასრულდა ნატოს პროექტში შემავალ რვავე ქვეყნის აღჭურვა სათანამგზავრო აპარატურით. შესაბამისად გაიზარდა სათანამგზავრო არხის საერთო სიჩქარე. გარდა ამისა, სიჩქარის გაზრდის მიზნით დაიდგა დამატებითი სათანამგზავრო თეფში და მიმღები აპარატურა, რის შედეგადაც მიღების სიჩქარე გაიზარდა 1 მგბტ/წმ-ით. მიღება წარმოებს SMS არხით აღმოსავლეთ განედის 48 გრადუსზე მდებარე თანამგზავრით.

თემა: კორელაციების და კოლექტიური პროცესების შესწავლა ლექტონების, ნუკლონების და იონების ურთიერთქმედებებში. ხელმძღვანელი – პროფ. ი.თყეშაძე, შესსრულებლები: ლ.ახობაძე, მეცნიერ-თანამშრომელი გ.კურატაშვილი, უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი, თ.ჯალაღონია, დოც., თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, ვ.გარსევანიშვილი, პროფ. საქ. მ/ა რაზმაძის სახ. მათ. ინსტიტ., თ.კურატაშვილი, ელ. ნაწ. ფიზ. კათ. ასპირანტი.

შეისწავლება მაღალენერგიულ დაჯახებებში (0.25-200 გეე) დაბადებული ადრონების მახასიათებლები და მათი ანალიზი ხდება სხვადასხვა მოდელების საშუალებით.

ვადარებთ ერთმანეთს ნაწილაკების მახასიათებლების ყოფაქცევას ლეპტონ-ლეპტონურ, ადრონ-ადრონულ, ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში (ცხადია ერთსა და იმავე ენერგიებზე).

2003 წელს ჟურნალში "Physics of Particles and Nuclei Letters" (Dubna, JINR) გამოქვეყნდა ნაშრომი "Light front variables in High energy hadron-hadron and nucleus-nucleus interaction" (34, 526-544, 2003, Fiz. Elem. Chast. Atom Yadra 34, 1033-1061, 2003). ნაშრომში ე. წ. სინათლის ფრონტის საშუალებით შეისწავლება მეზონების იმპულსური და კუთხური განაწილებები (პირველადი ენერგიების და დამცემი ადრონების ფართო ინტერვალში). ამ ცვლადის საშუალებით რეაქციის ფაზური მოცულობა გაიყო ორ ნაწილად, სადაც ნაწილაკებს პრინციპულად სხვადასხვა თვისებები აქვთ. მათი დაბადების მექანიზმიც სხვადასხვაა.

2003 წელს შეისწავლებოდა რელატიური იონების დაჯახებებში დაბადებული მეორადი ნაწილაკების საშუალო მრავლობითობის დამოკიდებულება ურთიერთქმედებებში მონაწილე ნუკლონების რიცხვისაგან. ნაჩვენებია, რომ დაბალ ენერგიებზე (0.4 გეე-ზე ნაკლები) და ძალიან მაღალ ენერგიებზე (200 გეე) დაიკვირება დამოკიდებულების გადახრა წრფივობისაგან. შევეცადეთ წრფივობიდან გადახრა აგვეხსნა შთანთქმის პროცესებით (მძიმე სამიზნეებში) და სუსტი კასკადური გამრავლებით (დაბალ ენერგიებზე) და ნეიტრალური ნაწილაკების წვლილის გაზრდით სრულ მრავლობითობაში, აგრეთვე მრავალნაწილაკოვანი პროცესების გარკვეული არსებობით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ადრონების ნეიტრალიზაცია (200 გეე).

ნაშრომი მზადაა და გაიგზავნება გამოსაქვეყნებლად.

ამას გარდა, გრძელდება ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში დაბადებული ნაწილაკების მახასიათებლების შესწავლა CCM-კასკადურ – კლასტერული და PSEM-პარციალურად მასტიმულირებული ემისიის მოდელების საფუძველზე.

თემა: ნეიტრონ-ბირთვულ ურთიერთქმედებებში ჩარმიანი ნაწილაკებისა და ვიწრო ბარიონული რეზონანსების წარმოქმნისა და დაშლის მახასიათებლების გამოკვლევა ექსპერიმენტში.

ჰადრონული სპექტროსკოპიის ლაბორატორიის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში. თემის შემსრულებლები: აკადემიკოსი ნ. ამაღ-

ლობელი (ხელმძღვანელი), ლ. აბესაღაშვილი, მ. კოპაძე, ნ. ლო-
შიძე, გ. ნიკობაძე, რ. ქვათაძე, თ. ფიციხელაური, ბ. ჭილაძე.

თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტსა და ქ. იუ-
ლიხის (გერმანია) ბირთვული კვლევების ინსტიტუტს შორის
1994 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს სამეცნიერო თანა-
მშრომლობა შუალედურ ენერგიებზე ელემენტარულ ნაწილაკებს
შორის მიმდინარე პროცესების შესასწავლად (The Apparatus for
studies Nuclear and Kaon Ejectiles) კოლაბორაციის ფარგლებში.
კოლაბორაციის ხელმძღვანელობის ინიციატივით, თანამშრომ-
ლობის გაღრმავებისა და კოლაბორაციის მუშაობაში თსუ მა-
ღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის როლის გაზრდის მიზ-
ნით შემოთავაზებულ იქნა მაგნიტური ველის გამოთვლისა და
დინამიკის გერმანელი კოლეგების მიერ შექმნილი პროგრამული
პაკეტის MAFA (Magnetic Finite Analysis)-ს ათვისება მისი შემ-
დგომი გამოყენებისა და განვითარებისათვის. საანგარიშო პერი-
ოდის განმავლობაში მიმდინარეობდა აღნიშნული პროგრამის
შესწავლა საერთაშორისო კომპიუტერული ქსელის დახმარებით.
ამ მიზნით 2003 წელს დაგეგმილი სამეცნიერო მივლინება ქ. იუ-
ლიხის ბირთვული კვლევების ფიზიკის ინსტიტუტში (გერმანია)
ფინანსური სიძნელეების გამო არ შედგა.

გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობდა სპექტრომეტრ
EXCHARM-ის მეშვეობით 1995-2000 წწ. დაგროვილი ნეიტრონ-
ბირთვული ურთიერთქმედებების შემთხვევების ანალიზი. კერ-
ძოდ, კოლაბორანტებთან ერთად შესწავლილ იქნა აღნიშნულ
ურთიერთქმედებებში დაბადებული ანტიჰიპერონების თვისებები
(დაბადების კვთა, იმპულსური განაწილებები). მიღებული შედე-
გები გამოქვეყნდა სტატიის სახით: Inclusive production of antihyper-
ons. Eur.Phys.J.C27:547-553,2003.

პროგრამა ატლასის (2003) მიხედვით შესრულებული სამუ-
შაოების ანგარიში (ჯ. ხუბუა, ი. მინაშვილი, გ. ჩლაიძე, ნ. გრი-
გალაშვილი, თ. თოფურია, ზ. სალუქვაძე).

წარმატებით დასრულდა ატლასის დანადგარის ტაილ კალო-
რიმეტრის 64 მოდულის აწყობა.

14 TxB-ზე pp დაჯახებით გენერირებული შემთხვევების საფუძ-
ველზე ჩატარდა თერმალიზაციის მოვლენის გამოკვლევა.

ატლასის დანადგარის ტაილ კალორიმეტრის მოდულების-
თვის პირველად მიღებულია ენერგეტიკული კალიბრების მუდმი-
ვები.

2003 წ-ის 30 ოქტომბერს, ენევის დროით დილის 11 საათზე, ცერნში წარმატებით დასრულდა დედამიწის ზედაპირზე ტაილ კალორიმეტრის ანდრონული ბარელის აწყობა.

OИЯИ-ში 100 მიკრონის სიზუსტით აიწყო 65 მოდული ბარელური ნაწილისათვის, რაც OИЯИ-ში განვითარებულმა ლაზერულმა მეთოდისგან განსაპირობა. სამუშაოები დაიწყო 10 წლის წინ.

მკაცრი უნიკალური ტექნიკური ოპერაციების ფარგლებში 1350-ტონიანი ბარელის აშენება იყო მეცნიერების, ინჟინრების, ცერნისა და დუბნის ბირთვულ კვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების დირექციების, მონაწილე ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებისა და წარმოების ეფექტური (ეოგერენტული) თანამშრომლობის ნათელი გამოვლინება.

ტექნიკოსების, ინჟინრებისა და ფიზიკოსების დიდი საერთაშორისო კოლექტივის მიერ ბარელის აწყობის წარმატებით დასრულება წარმოადგენს პრინციპული მნიშვნელობის მოვლენას: გადაწყდა ბევრი მოულოდნელი ტექნიკური პრობლემა (მაგ: პლასტიკური დეფორმაციების გამოვლენა და აღრიცხვა) და არავითარ ეჭვს არ იწვევს ბარელის აწყობის წარმატებით დასრულება საბოლოო განთავსების ადგილზე, 100 მეტრის სიღრმეზე.

გარდა ამისა, დუბნის ჯგუფმა შეიმუშავა და დანერგა ბარელის რეკონსტრუქციის პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა:

ა) ელასტიური და პლასტიკური დეფორმაციის გათვალისწინებით, ბარელის კალორიმეტრის ფართომასშტაბიანი აწყობის პროცესის ხარისხზე მუდმივ კონტროლს.

ბ) ატლასის დანადგარზე გაზომილი ენერჯის დასაშვები მნიშვნელობისათვის კრიტიკულ წრფეზე და კუთხურ სასრულ ზომებში მაღალი სიზუსტის მიღწევას.

[1] შრომაში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ენერგეტიკულ K_2 , K_3 კორელატორებსა და $R = K_3^{2/3} / K_2$ ფარდობის ანდრონების მრავლობითობაზე დამოკიდებულების შესახებ ატლასის დანადგარისათვის.

გამოთვლებისათვის გამოყენებულ იყო PYTHIA-ს გენერატორი. აღმოჩნდა, რომ $R \geq 1$ თანაფარდობა დამოუკიდებელია ადრონების მრავლობითობაზე. PYTHIA არ წინასწარმეტყველებს ტენდენციას წონასწორობისაკენ (თერმალიზაციის) და არ ეთანხმება მანჯავიძე-სისაკიანის ვარაუდს მეორადი ადრონების დიდი ზღვრული მრავლობითობისათვის $R \ll 1$. კონცეფცია რო-

მელიც ჩადებულია PYTHIA-ში არ ითვალისწინებს თერმალიზაციის მოვლენებს. ახალი გენერატორი, რომელიც დაფუძნებულია მანჯავიძე-სისაკიანის თეორიულ სქემაზე მომზადების სტადიაშია.

ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი პროგრამული უზრუნველყოფა წარმატებით იყო გამოყენებული ატლასის [2] ტაილ კალორიმეტრის დანადგარის მოდულების უჯრედების ენერგეტიკული კალიბრირებისათვის. განსაზღვრული იყო ელექტრონული და პიონური კალიბრირების კონსტანტები სხვადასხვა უჯრედების, ენერჯისა და კუთხეებისათვის. შესწავლილ იქნა ელექტრონული და პიონური ენერგეტიკული გარჩევის უნარიანობა. კალიბრირების მიღებული კონსტანტები ჩართული იყო ტაილ კალორიმეტრის კალიბრირების მონაცემთა ბაზაში.

კონცეპტუალურად ახალი მეთოდი: მონტე კარლოს სწრაფი გენერაციის ადრონულ კალორიმეტრში ღვარების გამოძახილზე წარმოდგენილია [3] ნაშრომში. მიღებული მეთოდის ძირითადი იდეა არის ტაილ კალორიმეტრიდან ექსპერიმენტულ მონაცემების საფუძველზე მიღებული ადრონული ღვარების სამგანზომილებიანი პარამეტრიზაციის გამოყენება. სწრაფი გენერაციის შედეგები კარგ შესაბამისობაშია ექსპერიმენტთან. ეს მეთოდი ჩართული იქნება ატლასის დანადგარის შემთხვევების მონტე კარლოს სწრაფ გენერაციაში.

180 გეე მიუონების ენერგეტიკული სპექტრი და ფოტობირთვული ურთიერთქმედებების კვეთა რკინასთან ($\mu + Fe \rightarrow \mu' + hadrons + X$) გაზომილი იყო CERN-ის SPS ამაჩქარებელზე ატლასის [4] დანადგარის ტაილ კალორიმეტრის მოდულის გამოყენებით. დიფერენციალური კვეთა $(N_A/A)v d\sigma/dv$ მიუონების ენერჯის შედარებითი კარგისათვის $v = \Delta E_\mu / E_\mu$ იყო გაზომილი ინტეგრალში $0.1 < v < 1$. ინტეგრალური კვეთა $(N_A/A) \int_{0.1}^1 v d\sigma/dv$ ტოლია $(0.26 \pm 0.03_{stat} \pm 0.03_{sys}) \cdot 10^{-6} \text{ cm}^2 \text{ g}^{-1}$.

წელს ჩვენ მოვამზადეთ და ჩავატარეთ CERN-ის SPS ამაჩქარებელზე ტაილ კალორიმეტრის მოდულის ექსპოზიციის 4 სეანსი და დავამუშავეთ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები. ჩვენს მიერ მიღებული ზოგიერთი შედეგი წარვადგინეთ სხვადასხვა კონფერენციებზე (5).

გარდა ანალიზის მითითებული სამუშაოებისა, ჩვენი მონაწილეობით და ჩვენი წამყვანი როლით მასში, დედამიწის ზედაპირზე შესრულებული იქნა ბარელ "B"-ისა და დამატებითი ბარელ "C"-ის სრულმასშტაბიანი აწყობა და დაშლა (18 მოდულამდე). ჩატარებული იქნა გამზომი სამუშაოების კომპლექსი: რეპერული ნიშნულების პრეციზიონული დადგმა ბარელ "C" და "B" მოდულებზე, ინდივიდუალური მოდულების მეტროლოგიური კონტროლი, აგრეთვე შემუშავებულია და გამოყენებულია პროგრამული უზრუნველყოფა მოდულების მდგომარეობის მონიტორებისათვის მეზობელ მოდულებს შორის საფენების ოპტიმალური სისქის შემუშავებისა და აწყობის პროცესში, მთელი ადრონული კალორიმეტრის ან მისი ნაწილების აწყობისათვის დასაშვები სიზუსტეების ფარგლებში.

2003 წელს ჩატარებულ იქნა ფოტოელექტრო გამამრავლებლის (ФЭУ) მახასიათებლების გაზომვის სამუშაოები. ფირმა HAMAMATSU (Япония) 500 ФЭУ R7877 მაღალი ძაბვის კვების სტანდარტულ გამყოფებთან ერთობლივად შემოწმებული და პასპორტიზებული იქნა სპეციალურად შემუშავებული პროცედურის მიხედვით. შემოწმების შედეგად ФЭУ-ს 99% თავისი მახასიათებლებით აკმაყოფილებს ატლასის მოთხოვნებს.

References:

[1] J.Budagov, et.al.: Possibility to study energy correlations for high multiplicity events at ATLAS (LHC); Proceedings of the XXXII International Symposium on Multiparticle Dynamics, World Scientific, Singapore (2003).

[2] J.Budagov, J.Khubua, Y.Kulchitsky, N.Russakovich, R.Stanek, V.Vinogradov, Electron and Pion Calibrations of the ATLAS TILECAL Modules JINR-E1-2003-22 (2003) 36 p., Dubna.

[3] C.Alexa et al., A Measurement of the Photonuclear Interactions of 180 GeV Muons with the TILECAL Module 0 and Prototypes, European Physical Journal C28 297-304 (2003).

[4] Y.Kulchitsky, et.al. Statistical Multidimensional Separation of the electrons and hadrons in the Tile iron-scintillator hadronic calorimeter of the ATLAS at the LHC: NIMA 502/2-3 775-777 (2003).

[5] G.D.Koriauli, J.A.Budagov, N.I.Gromova, Y.A.Kulchitsky, D.I.Khubua, Full simulation of the $pp \rightarrow 2 jets$ events with pile-up background for ATLAS at LHC: Proceeding of the VII JINR Scientific Conference, 3 – 8 February 2003, Dubna, Russia.

საანგარიშო წელს მიმდინარეობდა სამუშაოები პირველი პრიორიტეტის თემაზე “დეტექტორების შექმნა “End-cup TRT ATLAS (ნ.გრიგალაშვილი, თ.თოფურია).

ამ სამუშაოს მიხედვით, ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ატლასის გარდამავალი გამოსხივების დეტექტორის, ტრეკერის შექმნა. ეს დეტექტორი უნდა შედგებოდეს 34 მოდულისაგან, რომელიც დამზადებული იქნება თხელკედლიანი მოდრეიფე *strou* მილაკებისაგან. ყოველი მოდული შედგება *strou*-ს 4 ფენისაგან, რომელთა შორის განლაგებულია პოლიპროპილენისაგან დამზადებული თხელი რადიატორები. ყოველი მოდული შედგება 3072 *strou*-საგან. დღეისათვის 34-დან დამზადებულია მხოლოდ 25 ოთხფენიანი სტრუქტურა. 2002 წელს CERN-ში გაიგზავნა მთლიანად დამზადებული და ტესტირებული პირველი ორი მოდული, რომლებიც გაერთიანებული იყო ერთ რვაფენიან დეტექტორში.

2003 წლის განმავლობაში ჩვენს მიერ დამზადებული მეორე, რვაფენიანი დეტექტორი, რომელიც მთლიანად ტესტირებული იყო ОИЯИ-ში გაიგზავნა CERN-ში. ჩვენს მიერ შექმნილი დეტექტორების სამუშაო მახასიათებლები სრულად აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

აღნიშნული დეტექტორების შექმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება *strou*-ს სწორხაზობრიობას, როგორც სივრცული კოორდინატების განსაზღვრისათვის, ასევე მოცემულ სამუშაო ძაბვაზე დეტექტორის სტაბილური მუშაობისათვის. *strou*-ს დამზადების დროს განისაზღვრება მათი სიმრუდე და წარმოებს შერჩევა. დეტექტორის აწყობის ხარისხის დამატებითი შემოწმების უზრუნველყოფის მიზნით ჩვენი მონაწილეობით შეიქმნა TRT ATLAS დეტექტორში ჩაყენებული *strou*-ს ხარისხის შემოწმების ავტომატიზებული სისტემა. სისტემა ახდენს მილაკების სწორხაზობრიობისა და დეტექტორში მილაკის ჩადგმისას ელექტრო კონტაქტის არსებობის შემოწმებას. შრომა გამოქვეყნებულია:

А.О.Голунов, Н.Григалашвили и др. Автоматизированная система контроля качества установки тонкостенных дрейфовых трубок в детектор TRT ATLAS. Письма в ЭЧАЯ, 2003. № 2[117]

2. „adronizacis” პროექტი (თუნგიზ თოფურია)

2003 წელს ОИЯИ-ის სამეცნიერო საბჭომ მიიღო „adronizacis” პროექტი, რომელიც გვთავაზობს მეორადი ნაწილაკების კოდექ-

ტიური ქცევის შესწავლას 70გეუ-ზე ენერგიაზე (ამაჩქარებელი Y-70 ქ. სერპუხოვი) მაღალი მრავლობითობის PP ურთიერთქმედებებში. ექსპერიმენტის ჩატარებას ვარაუდობენ მოდერნიზებულ CBD დანადგარზე. ამ ექსპერიმენტისათვის ჩვენი მონაწილეობით შეიქმნა სამი 3-ფენიანი დეტექტორი დრეიფულ მიღებზე (*strou*). ყოველი დეტექტორი დაახლოებით შედგება 6 მმ-იანი დიამეტრის 500 *strou*-საგან. ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოდერნიზებული CBD დანადგარის უმთავრესი ნაწილის მოდელირება. მაღალ მრავლობითობიანი შემთხვევებისათვის გეომეტრიული და კინემატიკური რეკონსტრუქციის პროგრამების შექმნა.

წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის ლ. ლლონტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

მრავალმაეთულიანი პროპორციული კამერის პროტოტიპის შექმნა და გაშვება ინფორმაციის სტრიპული და ანოდური სიბრტყეებიდან მიღებით, მაღალ ენერგიაზე დიფრაქციული გაბნევის ექსპერიმენტის შესასწავლად. პირობები, რომელიც წაყენებული აქვს კამერას ძალიან მკაცრია: ის უნდა შეიცავდეს ნაკადისთვის ნივთიერების მინიმუმს, მას უნდა ჰქონდეს 60°-იანი გაშლის კუთხის მქონე სექტორისებური ფორმა, რათა 6 ასეთი კამერა ჩაჯდეს მათთვის გამოყოფილ წრეში, ჰქონდეს „მკედარი ზონის“ მინიმალური მნიშვნელობა, დროის კარგი გარჩევისუნარიანობა და ა.შ.

დუბნაში და თბილისში ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეიქმნა პროპორციული კამერა, რომელიც თავისი სპეციფიკური ფორმით, მექანიკური და ელექტროპარამეტრებით აკმაყოფილებს ექსპერიმენტის მოთხოვნებს. გამოცდილება, რომელიც მიღებულია მისი შექმნისათვის, შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული რეალური კამერების შესაქმნელად, რადგან როგორც მცირე რადიუსის სიახლოვის პროტოტიპი პრაქტიკულად ემთხვევა რეალურ კამერას და ადვილად შესაძლებელია მისი განვითარება დიდი რადიუსებისაკენ სრულმასშტაბიან კამერამდე.

ძირითადი პარამეტრები:

1. შიდა/გარე რადიუსი – 137/408 მმ.
2. Ø25 მკ-იანი 112 ანოდური მათეული, ბიჯით 2 მმ, რომელიც სწორი კუთხითაა მიმართული რადიუსისადმი.
3. გამტარის დაჭიმვის სიზუსტე 80 რ. +/-2%.

4. კათოდზე 32 სტრიპია განლაგებული რკალისებურად 30°-იანი კუთხით რადიუსის მიმართ. ელექტროდებს შორის მანძილი 2x3 მმ.

5. კათოდების სიბრტყეულობა და ანოდების ბრტყლად პარალელურობა შეადგენს $\pm 0,020$ მმ.

6. კამერის ეფექტურობა 98%.

ამასთან, ჩვენს მიერ განხორციელებული იქნა ზოგიერთი წინადადება, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს რეალური კამერის პარამეტრები. მათ შორის შემოთავაზებულია, გამოყენებული იქნეს სტრიპები, რომლებიც რადიალურად და 30°-თაა (რადიუსთან მიმართებაში) განლაგებული, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს კამერის სივრცითი გარჩევისუნარიანობა და შეძლებისდაგვარად მოხდეს მათი თანაბარი დატვირთვა დამუხტული ნაწილაკების ნაკადით.

ერთდროულად ჩვენ ვიწყებთ მონაწილეობას ანოდური გამტარებიდან და კათოდური *strip*-ებიდან ინფორმაციის მოხსნის ელექტრონულ სამუშაოებში გენუის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტთან.

სამუშაოს შესახებ მოხსენება გაკეთდა ქ. გენუაში INFN-ში სემინარზე და თბილისში საერთაშორისო სემინარზე „ფიზიკა მოძვეალ კოლაიდერებზე“.

II.

თსუ მეფსა და OИЯИ-ის შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მონაწილეობის მიღება ნუკლონებში პოლარიზებული უცნაურობის ძიების ექსპერიმენტში.

დიდი მრავალგამტარიანი პროპკამერიდან ინფორმაციის აღებისათვის ამ ექსპერიმენტში თსუ მეფმა წარადგინა ელექტრონიკა. ამჟამად მთელი ელექტრონიკა (დაახლოებით 3500) ტესტირებულია სტენდზე და გადის ტესტირებას რადიაქტიული წყაროს საშუალებით.

მომავალი წლის პირველ ნახევარში პროპკამერის მზადყოფნის შემთხვევაში მოხდება გასამართი სეანსის ჩატარება ЛБЭ ნუკლოტრონზე.

გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით 2003 წელს გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

1) EVIDENCE FOR A NARROW $|S| = 1$ BARYON STATE AT A MASS

OF 1528-MEV IN QUASIREAL PHOTOPRODUCTION. By HERMES Collaboration (A. Airapetian,.. R.Shanidze *et al.*). DESY-03-213, HERMES-DC-56, Dec 2003. 8pp. Submitted to Phys.Lett.B e-Print Archive: hep-ex/0312044

2) SPIN STRUCTURE OF THE NUCLEON. PROCEEDINGS, 10TH NATO ADVANCED RESEARCH WORKSHOP, NOR-AMBERD, ARMENIA, JUNE 29-JULY 4, 2002. By E. Steffens(ed.), R. Shanidze(ed.) (Erlangen - Nuremberg U. & Tbilisi State U.), 2003. 270pp. Prepared for 10th Workshop on High-Energy Spin Physics: NATO Advanced Research Workshop, Nor Amberd, Armenia, 30 Jun - 3 Jul 2002. Published in Dordrecht, Netherlands: Kluwer Academic (2003) 270 p Also in (NATO science series II: Mathematics, physics and chemistry. 111)

3) NUCLEAR POLARIZATION OF MOLECULAR HYDROGEN RECOMBINED ON A NON-METALLIC SURFACE. By HERMES Collaboration (A. Airapetian,.. R.Shanidze *et al.*). DESY-03-168, Oct 2003. 12pp.

4) FLAVOR DECOMPOSITION OF THE SEA QUARK HELICITY DISTRIBUTIONS IN THE NUCLEON FROM SEMIINCLUSIVE DEEP INELASTIC SCATTERING. By HERMES Collaboration (A. Airapetian,.. R.Shanidze *et al.*). DESY-03-067, Jul 2003. 5pp. Published in Phys.Rev.Lett.92:012005,2004 e-Print Archive: hep-ex/0307064

5) QUARK FRAGMENTATION TO π^{+} , π^0 , K^{+} , P AND ANTI- P IN THE NUCLEAR ENVIRONMENT. By HERMES Collaboration (A. Airapetian,.. R.Shanidze *et al.*). DESY-03-088, Jul 2003. 8pp. Published in Phys.Lett.B577:37-46,2003 e-Print Archive: hep-ex/0307023

6) DOUBLE SPIN ASYMMETRIES IN THE CROSS-SECTION OF ρ^0 AND ϕ PRODUCTION AT INTERMEDIATE-ENERGIES. By HERMES Collaboration (A. Airapetian,.. R.Shanidze *et al.*). DESY-02 230, Feb 2003. 8pp. Published in Eur.Phys.J.C29:171-179,2003 e-Print Archive: hep-ex/0302012

7) DESIGN, COMMISSIONING AND PERFORMANCE OF THE PIBETA DETECTOR AT PSI. By E. Frlez, .. T. Sakhelashvili, et al.. Dec 2003. 117pp. Submitted to Nucl.Instrum.Meth. e-Print Archive: hep-ex/0312017

8) RADIATION HARD AVALANCHE PHOTODIODES FOR CMS ECAL. By J. Grahl, I. Kronquist, R. Rusack, A. Singovski, A. Kuznetsov, Y. Musienko, S. Reucroft, J. Swain, K. Deiters, Q. Ingram, D. Renker, T. Sakhelashvili (Minnesota U., Math. & Northeastern U. & PSI, Villigen), 2003. 4pp. Prepared for 3rd Beane Conference on New Developments in Photo-detection (Beane 2002), Beane, France, 17-21 Jun 2002. Published in Nucl.Instrum.Meth.A504:44-47,2003

9) A DEPENDENCE OF FAST-PARTICLE SPECTRA IN PI^+ , K^+ , AND P INTERACTIONS WITH AL AND AU TARGETS AT 250-GEV/C. By EHS/NA22 Collaboration (N.M. Agababian,..Z.Garuchava *et al.*). 2003. Published in Phys.Atom.Nucl.66:114-122,2003, Yad.Fiz.66:116-124,2003

10) DESIGN, COMMISSIONING AND PERFORMANCE OF THE PIBETA DETECTOR AT PSI. By E. Frlez, .. Yu. Bagaturia et al. Dec 2003. 117pp. Submitted to Nucl.Instrum.Meth. e-Print Archive: hep-ex/0312017

0. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში 2003 წლის მანძილზე მიმდინარეობდა 25 სამეცნიერო-კვლევითი თემის დამუშავება, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო კათედრების თანამშრომლებიც. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, თემათა ეს სიმრავლე ხუთ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. არაკლასიკური ამოცანები დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებებისათვის და მათი გამოყენებები;
2. რიცხვითი ანალიზის, კომპიუტერული მოდელირების და დისკრეტული ანალიზის მეთოდების შექმნა და მათი გამოყენება ფიზიკის, ტექნიკის, ეკოლოგიის და სხვა დარგების კონკრეტული ამოცანების კვლევაში;
3. უწყვეტ ტანთა მექანიკის ზოგიერთი მათემატიკური მოდელის ანალიზი, შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მეთოდების დამუშავება და მათი კონკრეტული პრაქტიკული გამოყენებები;
4. ინფორმაციული და პროგრამული ქსელური საშუალებების დამუშავება, იე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის გაფართოება და მისი Internet-ში ინტეგრირება;
5. გეოფიზიკური მოვლენების ფიზიკური და მათემატიკური მოდელის აგება და მათი გამოკვლევა.

საანგარიშო პერიოდში ცალკეული თემების მიხედვით მიღებული ძირითადი შედეგებიდან აღსანიშნია:

თემა: დაგვიანებულარგუმენტიანი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ვარიაციის ფორმულები და მათი გამოყენება ოპტიმალურ და ვარიაციულ ამოცანებში (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. დოქტ. თ. თადემაძე).

კვაზი-წრფივი ნეიტრალური ტიპის სამართი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით დადგენილია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები. შესაბამისი ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანებისათვის ცვლადი დაგვიანებებით, როგორც ფაზურ კოორდინატებში,

ასევე მართვებში, დამტკიცებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები: მართვისა და საწყისი ფუნქციისათვის გაწვრივებული ინტეგრალური მაქსიმუმის პრინციპის სახით, საწყისი და საბოლოო მომენტებისათვის უტოლობებისა და ტოლობების სახით. ცვლადი დაგვიანებების შემცველი ვარიაციული ამოცანებისათვის წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით მიღებულია ექსტრემალურობის აუცილებელი პირობები.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. T. Tadumadze and L. Alkhazishvili. Formulas of variation of solution for non-linear controlled delays differential equations with discontinuous initial condition, Mem. Diff. Equat. Math. Phys. v. 20, 2003, 125-150.
2. L. Alkhazishvili. The linearized maximum principle for optimal problems with variable delays and continuous initial condition. Mem. Diff. Equat. Math. Phys. 29(2003), 153-155.
3. I. Ramishvili. Formulas of variation of solution for quasi-linear controlled neutral differential equations. Mem. Diff. Equat. Math. Phys. 29(2003), 156-159.
4. G. Kharatishvili, T. Tadumadze and N. Gorgodze. Dynamic mathematical model of output the production and neutral optimal problem. Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics. v. 17, N2, 2002, 36-38.
5. L. Alkhazishvili. The formulas of variation of the solution for one class controlled system with delays and with continuous initial condition. Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics. v. 17, N2, 2002, 26-28.

გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები:

1. Г. Л. Харатишвили, Т.А. Тадумадзе. Формулы вариации решения дифференциальных уравнений с запаздывающими аргументами с разрывным начальным условием. Математический сборник.
2. T. Tadumadze, I. Ramishvili. Formulas variation of solution for quasi-linear controlled neutral differential equations with continuous initial condition. Georgian Math. Jornal.
3. T. Tadumadze, L. Alkhazishvili. Formulas variation of solution for non-linear controlled delay differential equations with discontinuous initial condition, Mem. Diff. Equat. Math. Phys.

4 I. Ramishvili. The linearized maximum principle for quasi-linear neutral optimal problems with continuous initial condition and variable delays in control, Bul. Akad. Sc. of Georgian.

5 I. Ramishvili. The linearized maximum principle for quasi-linear neutral optimal problems with discontinuous initial condition. Mem. Diff. Equat. Math. Phys.

თემა: მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანის განზოგადებულ ამონახსენთა ყოფაქცევის გამოკვლევა (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. დოქტ. ი. თავხელიძე).

განხილულია პოლიპარმონიული განტოლებისათვის (მრავალი ცვლადის შემთხვევაში) დირიხლეს ამოცანა არის საზღვრის ნაწილზე. ამ ამოცანის ამოხსნისათვის დაზუსტებულია აპრიორული შეფასების (რომელიც ბიპარმონიული განტოლების შემთხვევაში ემთხვევა ე.წ. სენ-ვენანის ტიპის აპრიორულ ენერგეტიკულ უტოლობას) კოეფიციენტის დამოკიდებულება არის გეომეტრიულ სტრუქტურაზე, სივრცის განზომილებასა და განტოლების რიგზე.

შესწავლილია სხვაობიან წრფივ განტოლებათა სისტემებისა და წრფივ იმპულსურ განტოლებათა სისტემების ამონახსნების მდგრადობის საკითხები.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. Abesadze T., Odisharia V., Peradze J. – On the influence of a calculation error on the solution of the Kirchhoff nonlinear static equation - Reports of the seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics. v. 29, 2002, 11pp., on print.

2. Cassisa C., Ricci P., Tavkheldze I. – An operatorial approach to solutions of BVP in the half-plane. On print in Journal of Concrete and applicable Mathematic, N1, 2003, 1-17 page.

3. Cassisa C., Ricci P., Tavkheldze I. – Operational identities for circular and hiperbolic functions and their generalizations. – Georgian Mathematical Journal, vol. 10, (2003), N1, pp. 45-56.

4. Tavkheldze I., T. Davitashvili, A. Ebel, H. Elbern, D. Gordeziani, H. J. Jakobs. M. Memmesheimer – Numerical modeling of air pollution on regional and local scales. Sixth ISTC Scientific Advisory Committee Seminar, (Science and Computing) Moscow, Russia, IX. 15-17, 2003, pp. 24-25.

5. Tavkheldze I. – About geometrical structure of coefficients of one ordinary differential equation which defined the apriory energetic estimate

Sent-Venant's type, Reports of Enlarged Sessions of the seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics. v. 18, N1, 2003, 4 pp. on print.

6. Tavkheldze I. – Some properties of a class of geometrical bodies, surfaces and lines. International School and workshop "Mathematical modeling and monitoring of environmental pollution and its effects" Odzar Yurdu Univ., Baku, 22-27, IX, 2003, 7 pp., on print.

7. Ashordia M. - On the comparison theorems for stability of linear systems of impulsive equations. Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, v. 28. 2003. pp.147-151.

8. Ashordia M. - On the effective sufficient conditions for stability of linear systems of impulsive equations – Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, v. 30, 2003, pp. 149-152.

9. Ашордиа М.Т.. О корректности задачи Коши для линейных систем обобщенных обыкновенных дифференциальных уравнений. Дифференциальные уравнения – 2003 (принято в печать).

თემა: ზოგიერთი წრფივი დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლების თვისობრივი საკითხების შესწავლა კომპლექსური ანალიზის მეთოდების გამოყენებით (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. კანდ. ნ. ავაზაშვილი).

შესწავლილია რიმან-ჰილბერტ-ჰუნკარესა და მარკუშევიჩის ტიპის წყვეტილი სასაზღვრო ამოცანები განზოგადოებული ანალიზური ექვტორებისათვის. კოში-ლებეგის ინტეგრალებით წარმოდგენად კლასებში დადგენილია ამოხსნადობის საკმარისი პირობები და ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა.

აგებულია გადატანის მრავალჯგუფური წრფივი თეორიის ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის გარკვეული აზრით ეკვივალენტური ახალი სისტემა, გამოკვლეულია მათში მონაწილე დამოუკიდებელი ცვლადების ფიზიკური და მათემატიკური არსი.

ჟურნალში "Transport Theory and Statical Physics" გამოსაქვეყნებლად გადაცემულია სტატია: D. Shulaya. "A spectral representation of the linear multigroup transport problem (ნ. შარაშიძესთან თანაავტორობით).

თემა: მაგისტრალურ სადენებში გაზისა და ნავთობის არასტაციონარული, არაიზოთერმული დინების სასაზღვრო პირობებით მართვის, კონდენსატის შესაძლო წარმოქმნისა და ავარიული გაჟონვის ადგილების განსაზღვრის ამოცანების თეორი-

ული გამოკვლევა, ამოხსნის რიცხვითი მეთოდების დამუშავება და კომპიუტერული რეალიზება (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. დოქტ. გ. დევდარიანი).

სითხეებისა და გაზის შემცველი გარემოს კონსოლიდაციის თეორიის ამოცანები საზოგადოდ აღიწერება არაწრფივი მათემატიკური მოდელებით. გაწრფივების შედეგად მიიღება კერძო-წარმოებულიანი მეორე რიგის პარაბოლური ტიპის წრფივი დიფერენციალური განტოლება, რომელიც შეიცავს სივრცული ცვლადის მიმართ პირველი რიგის წარმოებულსაც. ხშირ შემთხვევაში შესწავლილი გარემო შედგება განსხვავებული მახასიათებელი პარამეტრების მქონე შრეებისაგან. ასეთ პირობებში მათემატიკური მოდელი პარაბოლური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე დაიყვანება. ასეთი სისტემისათვის შესწავლილია ამონახსნის სასაზღვრო პირობით მართვის ამოცანა. ვარიაციულ უტოლობათა მეთოდზე დაყრდნობით დადგენილია ამონახსნის არსებობა.

განჭობათა შემცველი მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის ავარიული გაჟონვის ადგილის აღმოსაჩენად (გაზის არასტაციონარული დინების პირობებში) სასაზღვრო პირობების ანალიზის საფუძველზე დამუშავებულია მეთოდი, რომლის ეფექტურობა ნაჩვენებია ტესტურ მაგალითზე.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. G. Devdariani, D. Gubelidze. On a system of second order degenerate elliptic equations. Reports of Enlarged Sessions of the seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, 2003.

2. გ. დევდარიანი, რ. ჯანჯღავა, მ. მოსია, ფირფიტების წონასწორობის ამოცანების გამოკვლევა ი. ვეკუას მეთოდით სენენან-კირხოფის მასალისათვის $N=1$ მიახლოებაში. ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარის მოხსენებები, 2003.

3. G. Devdariani, R. Janjgava, M. Mosia. Some nonlinear equilibrium problems for plates. AMIM, v. 8, N2, 2003.

თემა: ჰიდროგაზოდინამიკის ამოცანების რიცხვით მოდელირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. დოქტ. რ. ბოჭორიშვილი).

აიგო სიმეტრიული და დადებითად განსაზღვრული კოვარიაციის ოპერატორი, გამოთვლილია მისი კვადრატული ფესვი. ამო-

ცანა ძალიან დიდი მოცულობისაა – შეიცავს მილიონ უცნობს. აქედან გამომდინარე, სწრაფი რიცხვითი მეთოდის დამუშავება არსებით ამოცანას წარმოადგენს, რადგან პროგრამამ საბოლოოდ ოპერატიულ რეჟიმში უნდა იმუშაოს. შემუშავებულია აგრეთვე, წონასწორული ტიპის სქემები.

აგებულია ჩარნი-ობუხოვის არაწრფივი დიფერენციალური განტოლების რიცხვითი ამოხსნის პირველი და მეორე რიგის სიზუსტის არაცხადი სხვაობიანი სქემები. ამ სქემების საშუალებით შესრულებული რიცხვითი გათვლების საფუძველზე შესწავლილია ორგანოზომილებიანი განმხოლოებული როსბის არაწრფივი გრიგალური სტრუქტურის გავრცელება. ჩატარებულია მიღებული რიცხვითი შედეგების შედარებითი ანალიზი. განხილულია გეოფიზიკური დინებების აღმწერი ჩარნი-ობუხოვისა და მისი ანალოგიური მაგნიტურ ველში მოთავსებული ლაბორატორიული პლანური შეშფოთებების გავრცელების ამსახველი პანეგავა-მიმას არაწრფივი დიფერენციალური განტოლებები სკალარული არაწრფივობის გათვალისწინებით. აგებულია ამ განტოლების რიცხვითი ამოხსნის მეორე რიგის სიზუსტის არაცხადი სხვაობიანი სქემა და მისი გამოყენებით ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები. ამავე განტოლებისათვის შესწავლილია პერიოდული სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის საკითხი. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანას აქვს ერთადერთი ამონახსნი საკმარისად გლუვ ფუნქციათა კლასში. განხილული განტოლებისათვის დადგენილია საკმარისად ზოგადი ინტეგრალური შენახვის კანონი.

მრავალგანზომილებიანი კერძოწარმოებულიანი განტოლების ამოსახსნელად შემუშავდა ეკონომიური და უპირობოდ მდგრადი რიცხვითი სქემა.

ჩატარებულია მზის სინათლის ბრტყელი ნაკადით დასხივებული სფერულად სიმეტრიული ატმოსფეროს სიკაშკაშის გათვლა.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. J. Rogava. High order of accuracy decomposition of an evolution problem using resolvent polynomials. Minsk, Computational Methods in Applied Mathematics. 2003. (Coauthors Gegechkori Z., Tsiklauri M.).

2. J. Rogava. The fourth order of accuracy decomposition scheme for an evolution problem. Mathematical Modelling and Numerical Analysis, Paris. 2003, (Coauthors Gegechkori Z., Tsiklauri M.).

3. J. Rogava. The first and second order accuracy implicit difference schemes for Charney-Obukhov equation, Physics Letters A, 2003, (Co-authors Kaladze T., Tsamalashvili L., Tsiklauri M.).

4. R. Botchorisvili, Perthame B., Vasseur A. Equalibrium schemes for scalar conservation laws with stiff sources. Math. Comput., 72, 131-157(2003).

5. R. Botchorisvili, O. Pironneau. Finite volume schemes with equalibrium type discretization of source terms for scalar conservation laws. J. Comput. Phys. 187, 391-427 (2003).

6. R. Botchorisvili, Elbern H., Joppich W. Numerical and scientific computing aspects for environmental modelling. Proceeding of the 6th ISTC SAC Seminar on Computing, 15-17th September 2003, Moskow, Russia.

7. O. Komurdjishvili. Three-layer difference schemes for multidimensional hyperbolic equation, Enlargead Session of VIAM vol. 18, 2003, 1-8 pp.

8. Sh. Nikolaishvili. A numerical model of the light halo around of a laser beam in the earth atmosperic. Proceeding of Enlarged Session of VIAM vol. 18, N1, 2003.

თემა: გარემოს ობიექტების ავარიული დაჭუჭყიანების წაყროების ოპერატიული იდენტიფიკაციის თეორიული საფუძვლების დამუშავება (ხელმძღვ. ტექნ. მეც. დოქტ. ქ. ყაჭიაშვილი).

დამუშავდა მდინარეებში გამაჭუჭყიანებელი ინგრედიენტების გადატანის დეტერმინირებული და სტოქასტიკური მოდელები. აღნიშნული მოდელები რეალიზებულ იქნა პროგრამულად და ჩაირთო მდინარეების დაბინძურების მოდელირების პროგრამულ პაკეტში. IBM-თავსებადი პერსონალური კომპიუტერებისათვის დამუშავებული ალგორითმები და პროგრამები გამოკვლეულ იქნა რეალურ და მოდელირებულ მონაცემებზე, რამაც დაადასტურა მათი მუშაობის სისწორე, სიზუსტე და საიმედობა.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. K. Kachiashvili. Generalization of Bayesian rule of many simple hypotheses testing. International Journal of Information Technology & Decision Macing. World Scientific Publishing Company, vol. 2, No, 1, 2003.

2. K. Kachiashvili. Environmental water objects pollution level control and management systems. Collection of reports SMIA03 4 th-6 th September. 2003. University of Geneva, UniMail.

3. ქ. ყაჭიაშვილი, მ. ტაბატაძე. მოდის ცვალებადობის ფორმალიზებული აღწერა და პროგნოზირება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები №1(451). თბილისი, 2003.

4. K. Kachiashvili, Melikdzhanian D., Stepanishvili V. New version of experimental data processing software package. CSCS14 the 14th International Conference on Control Systems and Computer Science July 2-5, 2003. Bucharest, Romania.

თემა: რთული ოროგრაფიის მქონე რეგიონებში ჰიდრო-აერო-პროცესების პროგნოზირება და გარემოს გაჯუჭყიანების მათემატიკური მოდელირება (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. დოქტ. თ. დავითაშვილი).

შესწავლილ იქნა წერტილოვანი წყაროებიდან ხელოვნური წარმოშობის მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გამოფრქვევის, მათი მიგრაციისა და დიფუზიის აღმწერი მათემატიკური მოდელი (გარე ველებისა და წყაროების ვარირება), რომელიც ეყრდნობა ჰიდროთერმოდინამიკის სრულ განტოლებათა სისტემის ინტეგრებას შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობებით.

შემუშავდა პარაბოლური ტიპის განტოლებათა სისტემის ინტეგრების რიცხვითი მოდელი, რომლის მეშვეობით შესწავლილია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ და გაზსადენების ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი. მათემატიკური მოდელი ითვალისწინებს შესასწავლი რეგიონის ოროგრაფიულ და მეტეოროლოგიურ თავისებურებებს.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. A. Ebel, T. Davitashvili, H. Elbern, D. Gordeziani, H.J. Jackobs, M. Memmesheimer and I. Tavkheldidze. Numerical modelling of air pollution on regional and local scales. ISTC, Moscow, 15-17 September. 2003, pp. 35-45.

2. ზ. ხვედელიძე, თ. დავითაშვილი, ხ. შარიქაძე, ქ. ინანიშვილი. კლიმატის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტომი 21, 2003. გვ. 46-57.

3. თ. დავითაშვილი, ქ. მირიანაშვილი. ატმოსფეროს ანთროპოგენური გაჯუჭყიანების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საქართველოს ზოგიერთი რაიონისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ტ. 118, 2003, გვ. 222-227.

4. ჯ. მდინარაძე, თ. დავითაშვილი, გ. გელაძე, ჯ. ვაჩნაძე. კოლხეთის დაბლობის სადგურებისათვის დამოუკიდებელი მეტეოროლოგიური მონაცემების შერჩევის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტომი 21, 2003. გვ. 156-159. გადაცემულია გამოსაქვეყნებლად:

1. T. Davitashvili, A. Khantadze. On the some analytical solutions of the filtration equation. Reports of Odar Yurdu University, Baku, Azerbaijan.

2. T. Davitashvili, A. Khantadze, I. Samkharadze. Environmental and social-economical baseline of the Georgian section of the Baku-Tbilisi-Geyhan pipeline. Reports of Odar Yurdu University, Baku, Azerbaijan.

3. გ. გელაძე. ღრუბელ-ნისლწარმოქმნა სითბური „კუნძულის“ პერიოდული გათბობისას. ჰიდრომეტინსტიტუტის შრომები:

თემა: დისკრეტული სტრუქტურებისა და სისტემების გამოყენება მათემატიკის სხვადასხვა დარგში (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. დოქტ. ა. ხარაზიშვილი).

გამოკვლევულ იქნა უნიფორმულ სტრუქტურათა π -იზომორფიზმებთან (კერძოდ, π -ავტომორფიზმებთან) დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. სახელდობრ, ცნობილი იყო, რომ ნებისმიერი ჯგუფი წარმოიდგინება როგორც გარკვეული ბინარული დამოკიდებულების ავტომორფიზმების ჯგუფი. დამტკიცდა, რომ არსებობს უსასრულო ჯგუფი, რომელიც ვერ წარმოიდგინება უნიფორმული ბინარული დამოკიდებულების ავტომორფიზმების ჯგუფის სახით.

გრავთა თეორიის მეთოდების გამოყენებით, გამოკვლევულ იქნა ამოზნექილ მრავალწახნაგთა კომბინატორული სტრუქტურა, მათი k -წახნაგების რაოდენობის განაწილება და ასიმპტოტიკა.

მოცემულ იქნა უსასრულო კომბინატორიკის ზოგიერთი გამოყენება ნამდვილ ფუნქციათა თეორიასა და წერტილოვან სიმრავლეთა თეორიაში. კერძოდ, აღნიშნული მეთოდები გამოყენებულ იქნა ზომის გაგრძელების ზოგად ამოცანაში.

დადგენილ იქნა აუცილებელი და საკმარისი პირობა იმისთვის, რომ Δ^2 კლასიდან აღებული სიმრავლე უსასრულო დამატებით არ ეკუთვნოდეს ჰიპერჰიპერიმუნურ სიმრავლეთა კლასს.

გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია:

R. Omanadze. Quasi-degrees of recursively enumerable sets. In S.B. Cooper and S. Goncharov, editors. Computability and Models. Perspectives

თემა: ლოგიკური თეორიის ენის ზოგიერთი გაფართოება და მისი გამოყენება (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეც. კანდ. ხ. რუხაია).

შემოწავებულ იქნა წინადადებათა ლოგიკის ფორმულათა კლასიფიკაციის ალგორითმი. განისაზღვრა ალგორითმული პროცესის განხორციელების T სტრატეგია, F სტრატეგია და T+F სტრატეგია.

შესწავლილ იქნა უკვანტურო სიმრავლეთა თეორიის ერთი ვარიანტი F(იგი შეიცავს ასახვის ფუნქციონალურ სიმბოლოებს). აგებულია ამ თეორიის ამომხსნელი ალგორითმი და შეფასებულია მისი გამოთვლითი სირთულე.

ლოგიკური მეთოდების გათვალისწინებით, განისაზღვრა მათემატიკის ზოგიერთი ცნება (უტოლობის ცნება, ალბათობის ცნება და სხვა) და შესწავლილ იქნა მათი თვისებები.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. M. Thetrushvili. Computational complexity of the inequality problem for one class of semigroups. Applied Math. and Informatics. vol. 7, 2002, 87-91.

2. მ. ფაცაცია. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლებში ალბათური ცნების შემოღების ერთი მეთოდი. „ინტელექტი“, 2003, 1(15).

3. მ. ფაცაცია. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ალბათობის ცნების სწავლების შესახებ. „ინტელექტი“, 2003, 2(6).

4. ო. ჭანკვეტაძე. უტოლობა და დამოკიდებულებები: $a < b$ $a > b$ $a = b$. დეკონირებულია.

5. ო. ჭანკვეტაძე. სპეციალურ რელაციურ ოპერატორთა და შესაბამის დამოკიდებულებათა თვისება. დეკონირებულია.

6. ო. ჭანკვეტაძე. განკითხულება ანუ ინტეროგაცია, განტოლების ცნების განზოგადება. დეკონირებულია.

გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები:

1. Kh. Rukhaia, L. Tibua. A problem in mechanical theorem proving. (LPR, 2003).

2. ლ. ტიბუა. წინადადებათა ლოგიკის ფორმულათა კლასიფიკაციის ერთი ალგორითმი. "მოამბე".

3. ნ. ფიფია. ლოგიკური ამოცანების ერთი ტიპის გამოყენების საკითხისათვის მათემატიკის სწავლების პროცესში. „პრომეთე“.

4. მ. ფაცაცია. ალბათობის ზოგიერთი ცნების განსაზღვრის სიმრავლური მეთოდი. „მათემატიკა სკოლაში“.

თემა: კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულენობრივ გარემოში (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. კანდ. კ. ფხაკაძე).

განისაზღვრა წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის მეტად პროდუქტიული და ფუნდამენტური ცნება, რომელიც, ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა ზმნურ სიტყვა-ფორმებთან დაკავშირებული სირთულეების მოხსნისა გაგებადობის თეორიის ინტერესების გათვალისწინებით და მეორეს მხრივ, ამ ცნებაზე დაყრდნობით, საშუალება გეძლევა ბუნებრივი ენობრივი სისტემის ქვეშ მდებარე და მისი შესაბამისი, ასევე ბუნებრივი ფორმალურ-მათემატიკური სისტემის მოძიებისა.

სოსიურასეული ენობრივი ნიშნის კონცეპტუალური გააზრების განვითარებისა და დაზუსტების გზით განვითარებულია გარკვეული აზრით პრინციპულად განსხვავებული თეორიული კონცეპცია ენობრივი ნიშნის თაობაზე. განსაზღვრულია ძირეული და არაძირეული ენობრივი ნიშნის ცნებები, რაც გარკვეულად ეხმიანება ლ. გოკიელისეულ ძირეულ დასკვნათა თეორიასა და შ. ფხაკაძისეულ აღნიშვნათა თეორიაში განვითარებულ ხედვებს.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. K. Pkhakadze. The semantic side of language productivity and the Georgian verbal inflection (co-author M. Ivanishvili), XXII International Congress of Linguistics, Prague.

2. K. Pkhakadze. About the main ideas of the direct formal-logical description of the Georgian natural language system through the examples, Tbilisi, International Symposium "Language, Logic and Computation".

3. კ. ფხაკაძე... ლოგიკური, პროგრამული, ბუნებრივი ენების სემანტიკური სისტემის სამი განსხვავებული ტიპი. თეზისები, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენცია, ბუნებრივი ენების ფორმალური დამუშავება, 2003, თბილისი.

4. კ. ფხაკაძე... ენობრივ-აზროვნებითი გაგებადობის ცნებისა და მარტივი და ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვების

შესახებ. თეზისები, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენცია, ბუნებრივი ენების დამუშავება (ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი). 2003.

5. კ. ფხაკაძე. სიტყვათა შორის სინტაქსური კავშირების შესახებ, „ივერია“, 2003, პარიზი-თბილისი.

გამოსაქვეყნებლად გადაცემული სტატიები:

1. კ. ფხაკაძე. ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის ძირითადი მიზნებისა და მოსაზრებების შესახებ. მზია ანდრონიკაშვილის საიუბილეო კრებული (მ. ივანიშვილის თანაავტორობით).

2. K. Pkhakadze. About main ideas of the direct formal-logical description of the Georgian natural language system through the examples (GGLL), თსუ ი. ვეკუას სახ. გმი-ს შრომები.

3. K. Pkhakadze. To the strong formal-logical understanding of the word based on the natural Georgian language system (Co-author M. Ivanishvili), ვენის ტექნოლოგიური ინსტიტუტის შრომები.

4. კ. ფხაკაძე. ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის მცირე ფრაგმენტი როგორც სიმრავლურ თეორიული სისტემა, „ივერია“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი, პარიზი-თბილისი.

თემა: რელაციური სქემების მოდელირება (ხელმძღვ. ტექნ. მეცნ. კანდ. გ. შარაშიძე).

მიღებულია გამოყენებითი სისტემური ამოცანების ფართო კლასის სწრაფი პოლინომიალური ამოხსნების რელაციური ტექნოლოგიები ($NP=P$), დადგენილია ამ ამოცანების სწრაფად შეფასებადი პოლინომიალური ამოხსნების ინფორმაციული ტექნოლოგიები.

თემა: უწყვეტი გარემოს ფიზიკის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების მათემატიკური მოდელირება, გამოკვლევა და რიცხვითი ალგორითმებისა და პროგრამათა კომპლექსების შექმნა (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. თ. ვაშაყმაძე).

აგებულ იქნა ფონ კარმან-რეისნერის ტიპის (სივრცული ცვლადების მიმართ) ორგანზომილებიანი არასტაციონარული მათემატიკური მოდელები ბინარული ნარევებისათვის ანიზოტროპული ცვლადი სისქის დრეკადი ორცვლადიანი სტრუქტურებისათვის.

შესწავლილ იქნა კუპრაძის პოტენციალთა მეთოდის გავრცელების შესაძლებლობის საკითხები თერმოდინამიური თეორი-

ისათვის სამგანზომილებიანი დრეკადი ანიზოტროპული გარემოს შემთხვევაში საწყისი და კლასიკური სასაზღვრო პირობებით, როდესაც დრო იცვლება ნახევრადუსასრულო შუალედში.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. თ. ვაშაყმაძე, რ. ჯანჯღავა. ფონ კარმან-რეისნერის ტიპის მოდელის აგებისა და დაფუძნების შესახებ დრეკად ფირფიტათა ბინარული ნარევისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, ტ. 1, (447), 2003, გვ. 53-65.

2. T. Vashakmadze. To dynamical problems for 3D anisotropic theory of elasticity. Proceed. Javakishvili Tbilisi St. University, Appl. Math.&Comp. Sci. V.22, 2003, 6 p.

3. T. Vashakmadze. To some thermo-dynamical nonlinear special problems of piezo-poro-elasticity for binary mixtures. DEMPH 2003, part2.

გამოსაქვეყნებლად წარდგენილია სტატია: ა. პაპუკაშვილი. ბზარებით შესუსტებული უბნობრივ-ერთგვაროვანი ორთოტროპული სიბრტყისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის "მოამბე".

თემა: დრეკადობის მათემატიკური თეორიის არაორდინარული ამოცანები (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. მ. ბაშელეიშვილი).

დრეკად ნარევეთა სტატიკის მესამე სასაზღვრო ამოცანა წრისათვის ამოხსნილ იქნა ეფექტურად.

შესწავლილ იქნა მიკროსტრუქტურის მქონე სხეულთა თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის ორტემპერატურიანი მოდელი.

მდგრადი რხევის განტოლებათა სისტემისათვის აგებულია ფუნდამენტური ამონახსენი. შესწავლილია მოცულობითი, მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალების თვისებები. პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია მდგრადი რხევის გარე ამოცანების ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები.

ამოხსნილია დრეკადი ნარევის სტატიკის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები შედგენილი წრისათვის.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები და გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები:

1. მ. ბაშელეიშვილი. დრეკად ნარევეთა სტატიკის ძირითადი ამოცანების ეფექტური ამოსნა წრეული რგოლისათვის. გადაცემულია საქ. მათ. უურნალში.

2. მ. ბაშელეიშვილი. დრეკად ნარევთა სტატიკის სანსაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების გამოკვლევა. გადაცემულია საქ. მათ. ჟურნალში.

3. მ. ბაშელეიშვილი. ანიზოტროპული დრეკადი ტანის სტატიკის სანსაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების გამოკვლევა. გადაცემულია „მემუარებში დიფ. განტოლებებსა და მათ. ფიზიკაში“.

4. M. Svanadze. Boundary value problems of the theory of thermoelasticity with microtemperatures. GAMM 2003, Annual Meeting, Abavo-Terme-Padua, March 24-28, 2003, Book of Abstracts, p. 86.

5. M. Svanadze. Steady oscillation problems in the theory of thermoelasticity with microtemperatures. Proceedings of the 5th International Congress on Thermal Stresses and Related Topics. TS 2003, 8-11 June, 2003, Blacksburg, VA v.2, pp. TA 911-914.

6. L. Bitsadze. The Basic BVP of statics of the theory of elastic transversally-isotropic mixtures for an infinite plane with an elliptic hole.

7. I. Tsagareli, D. Toradze. The solution of the boundary-contact problems of statics of the theory of elastic mixtures for compound circle.

8. D. Natroshvili, W. Wendland. Boundary variational inequalities in the theory of interface crack problems. Mehrfedprobleme in der Kontinuumsmechanik. Universitet Stuttgart, Sonderforschungsbereich 404, Bericht 2002/2, 1-26.

9. Л. Гиоргашвили. Решения неклассической задачи стационарного движения вязкой несжимаемой жидкости для шара и поллой сферы. Проблемы прикладной механики. Тбилиси, 2003, №2 (11), ст. 17-27 (К. Схвитаридзе).

10. L. Giorgashvili. Mathematical problems of the theory of elasticity of chiral materials. Applied Mathematics Informatics and Mechanics. Tbilisi, 2003, v. 8, N1, p. 47-103. (D. Natroshvili and I. G. Stratis).

თემა: არადამრეცი, არაწრფივი და სქელი გარსული ტიპის სხეულების გათვლა (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. თ. მეუნარგია).

განხილულია მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა გარსთა თეორიის განტოლებათა სისტემისათვის, რომელიც მიღებული იყო ი. ვეკუას მიერ.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. N. Khomasuridze. The thermoelastic equilibrium of conical bodies. J. Appl. Math. Mech. vol. 67. N1, pp. 111-120, 2003.

2. N. Khomasuridze. Representation of solutions of some boundary value problems of elasticity by a sum of the solutions of other boundary value problems. Georgian Math. J., vol. 10, N2, 257-270, 2003.

თემა: დრეკადი ფირფიტებისა და ღეროების მათემატიკური მოდელების გამოკვლევა წამახვილების შემთხვევაში (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. გ. ჯაიანი).

სობოლევის წონიან სივრცეებში დამტკიცდა იერარქიული მოდელებისათვის გადაადგილებებში სასაზღვრო ამოცანების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები და აგებული მიახლოებითი ამონახსნების H^1 -ში მისწრაფება შესაბამისი სამგანზომილებიანი ამოცანის ამოხსნისაკენ.

შესწავლილ იქნა ძაბვის ტენზორის ფიზიკური და მათემატიკური მომენტების ურთიერთმიმართების საკითხი და წამახვილებული ფირფიტებისა და ღეროებისათვის აგებული ორ და ერთგანზომილებიანი მოდელებისათვის კორექტულად დასმული სასაზღვრო ამოცანების ფიზიკურ მოდელთან და სამგანზომილებიან მოდელთან, სასაზღვრო ამოცანების დასმის თვალსაზრისით, მიმართების საკითხი.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. G. Jaiani, S. Kharibegashvili, D. Nauroshvili, W. L. Wendland. Hierarchical models for elastic cusped plates and beams, lecture notes of TICMI, vol. 4, Tbilisi University Press, 2003 (Electronic version: <http://www.emis.de/journals/TICMI/int/lecturen.htm>)

2. G. Jaiani. Some remarks concerning cusped plates and bars, Transaction of Georgian Technical University, 1(447), 44-48, Tbilisi 2003.

თემა: სისხლის მოძრაობის შესწავლა მიკროსისხლძარღვებში (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. ნ. ხომასურიძე).

ჩატარებულია კაპილარებში სისხლის მოძრაობის აღმწერი მათემატიკური მოდელის აგების მცდელობა.

გრძელდებოდა მუშაობა რთული ფორმის არაერთგვაროვანი სამგანზომილებიანი დრეკადი სხეულების სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების ანალიზური ამოხსნების ასაგებად.

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. Н. Хомасуридзе. Приближенное уравнение пограничного слоя переменного проводящей жидкости и его интегрирование. Труды Груз. Тех. Университета, №1, 2003.

2. Н. Хомасуридзе. Пограничный слой проводящей жидкости при сильном отсосе. Труды ТГУ, Серия Матем., Мех. и Астрономии, №346, 2003.

3. G. Kapanadze. Plate bending problem for a finite doubly connected domain with a partially unknown boundary. J. Applied Mech., 39(5) 607-612, 2003.

თემა: ქართული ტექსტების კომპიუტერული დამუშავება (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. კანდ. ჯ. ანთიძე).

მომზადდა ქართული ტექსტების კომპიუტერული დამუშავების მოდელი, რომელიც შეიცავს ლექსიკონს, მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზის ალგორითმებსა და მათ რეალიზაციას.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. ჯ. ანთიძე, დ. მიშელაშვილი. სინტაქსური ანალიზატორი ქართული ტექსტების კომპიუტერული ანალიზისათვის. კონფერენციის მასალები – ქართული ენის კომპიუტერული დამუშავება. თბილისი, 2003.

2. ჯ. ანთიძე, ს. შენგელია. ქართული ტექსტების სემანტიკური ანალიზის შესახებ. კონფერენციის მასალები- ქართული ტექსტების კომპიუტერული დამუშავება. თბილისი, 2003.

3. ჯ. ანთიძე. ქართული ტექსტების სემანტიკური ანალიზი მონაცემურ გრამატიკაზე დაყრდნობით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კონფერენცია ინფორმატიკასა და მათემატიკაში, 2003.

4. ნ. გულუა. ინტერნეტის გამოყენებით კომპიუტერული სწავლების შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კონფერენცია ინფორმატიკასა და მათემატიკაში, 2003.

თემა: ქართული ენის თეზაურუსის კომპიუტერული რეალიზაციის ინფორმაციული და პროგრამული ქსელური საშუალებების შექმნა და გამოკვლევა (ხელმძღვ. ტექნ. მეცნ. კანდ. მ. ჯიბუტი, ტექნ. მეცნ. კანდ. ნ. ველიაშვილი).

გამოკვლეულია თეზაურუსის მონაცემთა ბაზის მთლიანობის უზრუნველყოფის საკითხები. შექმნილია თეზაურუსის მონაცემთა ბაზის მთლიანობის უზრუნველყოფის მოდელი და დამუშავებულია შესაბამისი ალგორითმი, რომელიც რეალიზებულია მონაცემთა შეტანის პროგრამული საშუალებების გარემოში. და-

მუშავებულია თეზაურუსის ბარათების მეშვეობით მონაცემთა პაკეტური შეტანის პროგრამული საშუალებანი.

თემა: ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის, მულტიმედიის, ანიმაციის, ელექტრონული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის შექმნა(ხელმძღვ. ტექნ. მეცნ. კანდ. რ. ბერულავა).

შექმნილია ტექნიკური დარგების (გამოთვლითი მეცნიერება, ელექტრონიკა, ოპტო, რადიო და მიკროელექტრონიკა, დაპროგრამება და სხვ.) ქართულ სიტყვაშემოკლებათა სისტემური წესები.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. R. Berulava. Abbreviation system for computer terminology. Conference on "Georgian Language and Computer Technologies". Section "Proceeding of Natural Languages". Inst. of Linguistics of Academy of Science of Georgia, Tbilisi, 2003.

2. რ. ბერულავა. ენობრივი გლობალისტიკა, სიტყვათშემოკლება, ენის სიწმინდე. გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, 2003.

თემა: განმხოლოებული ტურბულენტული გრიგალური სტრუქტურები დედამიწის იონოსფეროში (ფიზიკური და მათემატიკური მოდელირება) (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. თ. კალაძე).

შესწავლილ იქნა დედამიწის იონოსფეროში ე.წ. პლანეტარული ტალღების გავრცელების შესაძლებლობა და დადგენილ იქნა მათი ძირითადი მახასიათებლები. გამოქვეყნებულ იქნა ნაშრომი: T. Kaladze, O. Pokhotelov, R. Sagdeev, L. Stenflo and P. Shukla. Planetary electromagnetic waves in the ionospheric E-layer. // Journal of Atmospheric and Solar-Terrestrial Physics, v. 65, pp. 757-764, 2003.

გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები:

1. T. Kaladze, G. Aburjania, O. Kharshiladze, W. Horton and O. Shari. Theory of magnetized Rosiby waves in the ionospheric E-layer. (გადაცემულია "Journal of Geophysical Research"-ში).

2. G. Aburjania, Kh. Chargazia, T. Kaladze, A. Khantadze, O. Kharshiladze, W.Horton. Generation mechanism of large-scale internal vertical electricfield in the ionosphere.

თემა: ტალღური მოვლენების დინამიკის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირება დედამიწის ატმოსფეროში, იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროში (ხელმძღვ. ფიზ. მათ. მეცნ. დოქტ. ბ. აბურჯანია).

დადგენილ იქნა, რომ იონოსფეროში პლანეტარული ელექტრომაგნიტური ტალღების აღძერა შუქლია გეომაგნიტური ველისა და დედამიწის ბრუნვის კუთხური სიჩქარის სივრცითი არაერთგვაროვნების გამო წარმოშობილ ლორენცის და კორიოლისის ცვლად ძალებს.

მიღებულ იქნა მოდელური არაწრფივ განტოლებათა სისტემა, რომლიც აღწერს დიდმასშტაბიანი ელექტრომაგნიტური შეშფოთებების დინამიკას იონოსფეროს E და F-შრებებში.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. Aburjania G. D., Jandieri G.V., Khantadze A.G. Self-organization of planetary electromagnetic waves in the E-region of the ionosphere// *Journal of Atmospheric and Solar-Terristrial Physics*. v. 65, p. 661-671, 2003.

2. Абурджания Г. Д., Хантадзе А. Г., Чаргазия Х. З. О крупномасштабных волнах электромагнитной природы на ионосферных уровнях. *Изв. РАН. Физика атмосферы и океана*. Т. 39, №4, ст. 536-541, 2003.

3. Абурджания Г. Д., Хантадзе А. Г., Гвелесиანი А. И. Физика возникновения новых ветвей планетарных электромагнитных волн в ионосфере. *Геомагнетизм и аэрономия*. Т. 43, №2, ст. 193-203, 2003.

4. Aburjania G. D., Chargazia Kh. Z. Low-frequence planetary-scale electromagnetic waves in E-region of the ionosphere// *Bull. Georgian Acad. Sci.* v.167, #3, p. 428-431, 2003.

5. Aburjania G.D., Chargazia Kh.Z., Kaladze T.D., Khantadze A.G., Kharshiladze O.A. New generation mechanism of the planetary-scale internal vertical electric field in the eart's ionosphere// *J. Georgian Geophys. Soc. Issue B*. v. 8, p. 3-15, 2003.

6. Aburjania G. D., Jandieri G.V., Khantadze A.G., Jandieri V.G. Evolution of the angular power spectrum of the point source radiation scattered by inhomogeneous absorptive layer// *IGARSS 2003, Toulouse, France*. v.7, p. 4204-4206, 2003.

7. Aburjania G. D., Jandieri G.V., Jandieri V.G., Daraselia N.M. Deformation of the spatial spectrum of scattered radition in absorptive magnitoactive plasma// *IEEE Antennas and Propagation society Digest. Columbus. OH. USA*. v.3, p. 1065-1068.

8. Aburjania G. D., Chargazia Kh. Z., Jandieri G.V., Khantadze A.G., Kharshiladze O.A. On the new models of planetary-scale electromagnetic waves in the ionosphere// Annales Geophysicae (accepted). 2003.

9. Aburjania G. D., Chargazia Kh. Z., Jandieri G.V., Khantadze A.G., Kharshiladze O.A. Dynamics of the new models of the low-frequency planetary-scale electromagnetic wave structures in the ionosphere//Recent Research Developments in Geophysics (accepted). 2003.

10. Aburjania G. D., Chargazia Kh. Z., Jandieri G.V., Machabeli G.Z., Khantadze A.G., Kharshiladze O.A. Theoretical model for conjugate fotoelectron energy transfer and related to them night sky airglow enhancement in the local midlatitude ionospheric F-region// Recent Research Developments in Geophysics (accepted). 2003.

11. Абурджания Г.Д., Мачабели Г.З. Модуляционная неустойчивость в замагниченной плазме. Физика плазмы (послан). 2003.

ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების ახალგაზრდული საუნივერსიტეტო ცენტრი (ცენტრის დირექტორი ფიზ. მათ. მეცნ. კანდ. გ. ავალიშვილი), რომელშიც საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ძირითადად, ოთხი მიმართულებით მიმდინარეობდა:

ზუსტად მართვის ამოცანების შესწავლა მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი განტოლებისათვის და სხვადასხვა სივრცითი არეების შემთხვევაში ელიფსური ამოცანებისათვის სივრცით განზომილების რედუქციის საფუძველზე მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების აგება. ზუსტად მართვის ამოცანები წარმოადგენენ მართვის ამოცანების ერთ-ერთ სახეს, როდესაც საძიებელია ისეთი ზემოქმედება დინამიკურ სისტემაზე, რომ ის დროის მოცემულ მომენტში გაწონასწორდეს. ჩატარებულია ზუსტად მართვის ამოცანის გამოკვლევა ორკომპონენტიან დრეკად ნარევეთა თეორიის სისტემისათვის დირიხლეს ტიპის ზემოქმედებისას საზღვარზე და უ-ლ. ლიონსის მიერ შემოთავაზებული ჰილბერტის ერთადერთობის მეთოდის გამოყენებით სათანადო სივრცეებში. დამტკიცებულია აღნიშნული დინამიკური სისტემის ზუსტად მართვადობა. ზუსტად მართვის ამოცანა აგრეთვე შესწავლილია წრფივი დრეკადობის თეორიის პრიზმული გარსების ი. ვეკუას რედუცირებული ორგანიზომილებიანი დინამიკური მოდელის პირველი მიახლოებისათვის და სათანადო სივრცეებში ნაწვენებია ისეთი დირიხლეს ტიპის სასაზღვრო პირობების არსებობა, რომ დროის გარკვეულ მომენტში პრიზმული გარსის გა-

დაადგილება და სიჩქარე ნულის ტოლია. აღნიშნული შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში:

1. G. Avalishvili. On exact controllability of one system in the theory of elastic mixtures. Bull. Georgian Acad. Sci. 167(2003), 3, 416-418.
2. G. Avalishvili. Problem of exact controllability of I. Vekua system for elastic plates. Bull. Georgian Acad. Sci. 168(2003), 2, 11-13.

აგებული და გამოკვლეულია $(n+1)$ განზომილებიან სივრცეში ლიაშიცის საზღვრის მქონე პრიზმული ტიპის არეზე მოცემული ზოგადი კოორციტიული, მაგრამ საზოგადოდ არა თვითშეუღლებული ელიფსური სისტემისათვის დასმული დირიხლე-ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანის n -განზომილებიანი ამოცანებით აპროქსიმაციის ალგორითმი. დამტკიცებულია, რომ ყოველ ნაბიჯზე სათანადო წონიან სობოლევის სივრცეებში მიღებული რედუცირებული ამოცანები კორექტულებია და ნაჩვენებია მათი ამონახსნებიდან აღდგენილ $(n+1)$ ცვლადის ვექტორ-ფუნქციათა მიმდევრობის კრებადობა საწყისი ამოცანის ამონახსნისაკენ. მიღებულია კრებადობის სიჩქარის შეფასებები, რომლებიც აუმჯობესებენ ამ მიმართულებით ადრე ცნობილ ყველა შედეგს. აგებულია დრეკადი ღეროს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სისქის ან სიგანის გადაგვარება ბოლოებზე, იერარქიული ერთ-განზომილებიანი მოდელი და ნაჩვენებია შესაბამისი სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა სათანადო სივრცეებში. დამტკიცებულია რედუცირებული ამოცანების ამონახსნების საშუალებით აგებული სამი ცვლადის ვექტორ-ფუნქციათა მიმდევრობის კრებადობა საწყისი ამოცანის ამონახსნისაკენ, როცა მოდელის რიგი მიისწრაფვის უსასრულობისაკენ და ზუსტი ამონახსნის დამატებითი სიგლუვის პირობებში შეფასებულია აპროქსიმაციის ცდომილების დამოკიდებულება მოდელის რიგზე და ღეროს მაქსიმალურ სისქეზე და სიგანეზე. მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში:

1. D. Gordeziani, G. Avalishvili. On the investigation of static hierarchic model for elastic rods. Appl. Math. Inform. and Mech. 8(2003), 1, 34-46.
2. D. Gordeziani, G. Avalishvili, M. Avalishvili. Investigation of static two-dimensional model of elastic plate. Proc. of Georgian Technical Univ., vol. 447, N1, 2003, 9-17.

3. D. Gordeziani, G. Avalishvili, M. Avalishvili. On the investigation of a dimensional reduction method for elliptic problems. Rep. of Sem. of I. Vekua Inst. Appl. Math. 29 (2003) (to appear).

დეკომპოზიციის მეთოდები ცვლადი და მუდმივკოეფიციენტებიანი ევოლუციური ამოცანებისათვის. ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი ევოლუციური განტოლებებისათვის აგებულია მეთოდი რიგის სიზუსტის დეკომპოზიციის სქემა კომპლექსური პარამეტრის შემოტანის გზით. აგებული სქემებისათვის მიღებულია ცხადი აპრიორული შეფასებები. მიღებული სქემები განზოგადებულია ძირითადი ოპერატორის შესაკრებთა ნებისმიერი სასრული რაოდენობის შემთხვევაში. გათვლილია როსბის განმხოლოებული ტალღის გავრცელების ამოცანა პირველი და მეორე რიგის სიზუსტის სქემების საშუალებით.

მიღებული შედეგები გადაცემულია გამოსაქვეყნებლად:

1. Z.G. Gegechkori, J. L. Rogava, M.A. Tsiklauri. High order of accuracy decomposition of an evolution problem using resolvent polynomials. Comput. Meth. in Appl. Math., Minsk (to appear).

2. Z.G. Gegechkori, J. L. Rogava, M.A. Tsiklauri. The fourth order accuracy decomposition scheme for an evolution problem. M2AN, Paris (to appear).

მიკროსქემათა მინიმიზაციის პრობლემები, კონკრეტულად კი დიდ ნატურალურ რიცხვთა გამამრავლებლის მიკროსქემის ზომის ასიმპტოტური მანევრებლის შემცირება $O(n \log(n) \log(n))$ სიდიდისა და $O(n \log(n))$ სიდიდეზე, რაც ამ ამოცანას თვისობრივად ახალ კლასში გადაიყვანს. წელს მიღებული შედეგებით მოხერხდა მანევრებელში მუდმივი კოეფიციენტების მკვეთრი შემცირება, რაც დასახული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აღნიშნული შედეგი მოხსენებული იყო ზაარლანდის უნივერსიტეტში და გადაეცა გამოსაქვეყნებლად ა. გამყრელიძის ნაშრომი: On the area minimization of a fast multiplier. Technical Rep. Univ. of Saarland.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ სულ გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული) იქნა 112 პუბლიკაცია, მათ შორის ოთხი მონოგრაფია:

1. G. Jaiani, S. Kharibegashvili, D. Natroshvili, V. Vendland. Hierarchical Models for Elastic Cusped Plates and Beams, Lecture Notes of TICMI,

vol.4, Tbilisi University Press, 2003 (Electronic version: <http://www.emis.de/journals/TICMI/int/lecturen.htm>);

2. G. Jaiani. Theory of Cusped Euler-Bernoulli Beams and Kirchhoff-Love Plates, Lecture Notes of TICMI, 3, Tbilisi University Press;

3. A. Kharazishvili. Nonmeasurable sets and functions. 2003, გამომცემლობა North-Holland, 300გვ.;

4. A. Kharazishvili. Strange functions in Real Analysis. 2003, გამომცემლობა Marcel Dekker (მეორე გამოცემა).

მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში. კონტაქტები უცხოეთის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან, ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარის გაფართოებული სხდომები (22-24 აპრილი), ევროკავშირის „ერთოგონალური პოლინომები და მათი გამოყენებები“ (22-24 ოქტომბერი). გარდა ამისა, ინსტიტუტის ცალკეული თანამშრომლები მონაწილეობდნენ: საერთაშორისო კონფერენციაში „პოტენციალთა თეორია: გამოყენებანი მყარი ტანის მექანიკაში, აკუსტიკაში და ელექტრო-მაგნიტური ტალღების თეორიაში“ (თბილისი, 26-30 ოქტომბერი), რომლის ორგანიზატორებში შედიოდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები: დ. გორდუზიანი, ი. თავხელიძე, გ. ჯაიანი, დ. ნატროშვილი, შ. ზაზაშვილი; ბაქოში ჩატარებულ სკოლა-სემინარში "Mathematical modeling and monitoring of environmental pollution and its effects", რომლის კოორდინატორები იყვნენ ი. თავხელიძე და თ. დავითაშვილი; ქუთაისში გამართულ საქართველოს მათემატიკოსთა სამეცნიერო კონფერენციაში; საერთაშორისო სიმპოზიუმში დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში (თბილისი, 24-25 დეკემბერი); კონფერენციაში "Algebra and Diskrete Mathematics" (პატივგენი, გერმანია, 26-31 ივლისი); საერთაშორისო კონფერენციაში "Control systems and computer science" (ბუქარესტი, რუმინეთი, 2-5 ივლისი); კონფერენციაში „პლაზმის ფიზიკა“ (სანტორინი, საბერძნეთი, 8-12 სექტემბერი); ქაიროს პირველ კონფერენციაში პლაზმის ფიზიკასა და მის გამოყენებებში (ქაირო, ეგვიპტე, 11-15 ოქტომბერი); Antennas and Propagation Society International Symposium (კოლუმბუსი, ოჰაიო, აშშ, 22-27 ივლისი); International Geoscience and Remote sensing Symposium (ტულუზა, საფრანგეთი, 21-25 ივლისი); International Confer-

ence of Applied Mathematics and Mechanics (პადუა, იტალია, 22-24 მარტი); The 5th International Congress on Thermall Stresses and Related Topics (ბლექსბერი, აშშ, 8-11 ივნისი); კონფერენციაში „ენა, ლოგიკა და გამოთვლები“ (თბილისი, 6-10 ოქტომბერი); საერთაშორისო კონფერენციაში "Состояние и охрана воздушного бассейна и водно-минеральных ресурсов курортно-рекреационных регионов" (კისლოვოდსკი, რუსეთი, 29 მარტი – 2 აპრილი); საერთაშორისო სკოლაში "New perspectives in Thermodynamics" (უდინე, იტალია, 27-31 ოქტომბერი).

უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში მუშაობდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები:

- თ. ვაშაყმაძე – მერილენდის, დელავერის, ჩრდილოეთ დაკოტის უნივერსიტეტებში (აშშ);
- R. Bochorishvili – Fraunhofer Institute for Algorithms and Scientific Computing, Sankt Augustin (გერმანია);
- ჯ. ანთიძე, ა. გამყრელიძე – საარბრუკენის უნივერსიტეტში (გერმანია).

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგ საერთაშორისო პროექტებში:

- CRDF-GRDF ფონდის აშშ-საქართველოს ერთობლივი გრანტი „პლანეტარული ტალღები და არაწრფივი განმხოლოებული გრიგალური სტრუქტურები დედამიწის იონოსფეროში“ (თ. კალაძე, გ. აბურჯანია, ჯ. როგავა, ქ. ჩარგაზია, ლ. წამალაშვილი);
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის პროგრამაში (გ. აბურჯანია);
- საერთაშორისო პროგრამაში "Computability in Europe" (რ. ომანაძე);
- "The world Federation of scientists" პროგრამაში (ი. თავეხელიძე);
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის პროგრამაში "Создание среды высокопроизводительных вычислений и баз данных в Армении" (A 823) (თ. დავითაშვილი);
- CRDF/GRDF თემაში "Development and research of deterministic and stochastic mathematical models for control and management of pollution level of fluvial waters" (ქ. ყაჭიაშვილი);
- მსოფლიო ბანკის პროექტში „მდინარე ხობისწყლის აუზში გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა“ (ქ. ყაჭიაშვილი);

- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გრანტში (კ. ფხაკაძე, გ. ჭანკვეტაძე, ლ. ტიბუა).

ოქტომბრის თვის მანძილზე ინსტიტუტში ლექციების კურსი წაიკითხა რომის უნივერსიტეტის პროფესორმა პ. რიჩიმ, რომელსაც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო დოქტორის წოდება.

სადისერტაციო ნაშრომების დაცვა, დაჯილდოება

დაცულ იქნა ორი სადოქტორო დისერტაცია – გ. კაპანაძის და ჯ. შარიქაძის მიერ, აგრეთვე ექვსი საკანდიდატო დისერტაცია – ნ. ჩინჩალაძის და ნ. გორდუზიანის მიერ (ხელმძღვ. პროფესორი გ. ჯაიანი), ე. გორდუზიანის მიერ (ხელმძღვ. პროფ. თ. ვაშაყმაძე), მ. წიკლაურის მიერ (ხელმძღვ. პროფ. ჯ. როგავა), ზ. კიდურაძის მიერ (ხელმძღვ. პროფ. თ. ჯანგველაძე), რ. სხირტლაძის მიერ (ხელმძღვ. პროფ. დ. გორდუზიანი).

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფ. გ. ჯაიანი აირჩიეს ევროპის მეცნიერებათა აკადემიის და World Innovation Foundation – ის წევრად.

ღირსების ორდენით დაჯილდოვდა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფ. თ. ვაშაყმაძე.

კავშირი სასწავლო პროცესთან

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის ახალციხის, სოხუმის და ზუგდიდის ფილიალებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში, უმაღლესი განათლების რიგ არასახელმწიფო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესში, მიჰყავდათ რა იქ ლექციათა კურსები მათემატიკის, მექანიკის, ინფორმატიკის სხვადასხვა დარგებში. თსუ სათანადო პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებმა ინსტიტუტის ბაზაზე გაიარეს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა. ინსტიტუტის თანამშრომლები ხელმძღვანელობდნენ თსუ სტუდენტების საკურსო ნაშრომების შესრულებას, მაგის-

ტრატურისა და ასპირანტურის მსმენელების, აგრეთვე ასპირანტურის გარეშე სამეცნიერო ხარისხის მაძიებლების მუშაობას.

ინსტიტუტის ბაზაზე მუშაობს თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალგაზრდული ცენტრი (დირექტორი გ. ავალიშვილი), ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა სკოლა (ხელმძღვანელები კ. ცისკარიძე, ა. ცისკარიძე).

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ასპირანტთა სოროსის კონფერენცია-კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა მ. ავალიშვილმა (ხელმძღვ. დ. გორდუზიანი), მესამე ადგილი დაიკავა სამმა ასპირანტმა (ხელმძღვანელები ი. თავხელიძე, გ. დევდარიანი, ჯ. როგავა), საუნივერსიტეტო კონკურსში კი ორმა მათგანმა პირველი ადგილი დაიკავა; აქ წარმატებას მიაღწია აგრეთვე ე. ჩუბინიძემ (ხელმძღვ. თ. ვაშაყმაძე). მ. ავალიშვილმა გაიმარჯვა აგრეთვე სტუდენტური დღეებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში. პრეზიდენტის სტიპენდიანტები იყვნენ გ. დევდარიანი, გ. ავალიშვილი და მ. ავალიშვილი.

ინსტიტუტის თანამშრომლები მოღვაწეობდნენ თსუ თ. გეგელიას სახელობის სკოლა-ინტერნატში, თსუ გ. ჭილაშვილის სახელობის გურჯაანის გიმნაზიაში.

ინტერნეტში ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გვერდის მოძებნა შეიძლება მისამართით <http://www.viam.hepi.edu.ge>

ინფორმაცია მოსმენილი და მოწონებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2004 წლის 4 თებერვლის სხდომაზე (ოქმი №1).

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეობრეციისტიკის ინსტიტუტი

ინსტიტუტი ეწევა პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით, მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას, რასაც შემდეგი სტრუქტურები ემსახურება: კლასიკური ფილოლოგიის კათედრა, ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურების კვლევის ლაბორატორია, ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა, სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტი, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“.

ინსტიტუტი 2003 წელსაც აგრძელებდა მუშაობას კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეობრეციისტიკის საკვანძო საკითხებზე (კვლევის პრობლემემატიკისათვის იხ.: ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომების სია). პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ძველბერძნულ-ქართულ (უკვე გაკეთებულია α) და ახალბერძნულ-ქართულ ლექსიკონებზე (უკვე გაკეთებულია β-μ) და ენციკლოპედიაზე *Caucasus Antiquus*. ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურების კვლევის ლაბორატორიისა და ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა 2003 წელს დაასრულეს მუშაობა ბერძნულ და ლათინურენოვან ავტორთა იმ ფრაგმენტების თარგმანზე, რომლებიც კავკასიას ეხება და ენციკლოპედიაში შევა.

2003 კალენდარული წლის მანძილზე ინსტიტუტის 48 თანამშრომლის 86 სამეცნიერო ნაშრომი დაიბეჭდა როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში.

ინსტიტუტის ბაზაზე მომზადდა საერთაშორისო ჟურნალ *Phasis*-ის V-VI ნომერი, რომელშიც 17 თანამშრომლის სამეცნიერო ნაშრომი დაიბეჭდა ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა ცნობილ უცხოელ კოლეგათა სტატიებიც, კერძოდ, იურგენ ვერნერის (გერმანია), დიტერ რაინშისა (გერმანია) და ფრედი დეკრუსის (ბელგია).

აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, რუსეთსა და საბერძნეთში დაისტამბა თ.გამრეკელის, ლ.გიგინეიშვილის, ი.დარჩიას, თ.დოლიძის, ზ. ვაჩეიშვილისა და ე.კობახიძის სამეცნიერო ნაშრომები (იხ.: ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომების სია).

გარდა ამისა, გამოიცა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მომზადებული 2 სახელმძღვანელო (რ.გორდეზიანი, მ.დანელია, კლასიკური ფილოლოგიის შესავალი, ატრაპაიძე, დ.ქურიძე, ლათინური ენის სახელმძღვანელო იურისტებისთვის), 3 მონოგრაფია (ლ. ჩოთალიშვილი, ეგეოსურ დამწერლობათა სისტემები

ქანადარეიშვილი, ნ. ტონია, პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები, ნ.რატიანი, დუმილის ფენომენი ბერძნულენოვან ლიტერატურაში), საბავშვო ენციკლოპედია (მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის, ტ. 1, თბილისი, გამომცემლობა „ბაკმი“, ავტორები: ზ.კიკნაძე, ნ.ტონია), თარგმანები (პინდაროსი, ოდები, ფრაგმენტები, თარგმნა, წინათქმა და განმარტებები დაურთო ნ. ტონიამ, კატულუსის 33 ლექსი, თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ.ღარიბაშვილმა. საბერძნეთის კულტურის საინინსტროს თანადგომით გამოიცა თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია. გამოსაცემად მოამზადეს: ს.შაშიანიძე, ნ.დვალაძე, რედაქტორები: მ.ქამუშაძე, ლ. კოჭლამაზაშვილი, რეკვენენტები: მ.მეტრეველი, ს.ჯაფარიძე. ანთოლოგიაში 37 მწერლის 50-მდე მოთხრობა შევიდა, თარგმანები კი ინსტიტუტის სტუდენტებმა და თანამშრომლებმა შეასრულეს).

ინსტიტუტის ბაზაზე მომზადდა და დაცულ იქნა სამი საკანდიდატო დისერტაცია: ე.გამყრელიძე, უცხოენოვანი ლექსიკა ლათინურში, ენობრივი კონტაქტები ანტიკურ იტალიაში (18 აპრილი), მ.ერქომაიშვილი, კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში (18 აპრილი), რ.მარგიშვილი, ლიტურგიკული ტექსტები საქართველოს ბერძნულ ფრესკულ და ნაქარგ წარწერებში (25 ნოემბერი). აპრობაცია გაიარა და დაშვებულია საჯარო პაექრობაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ მაძიებელთა ნაშრომები: ვ.ჯუღელი, თეოდორიტე კვირელის თხზულებათა ქართული თარგმანები, თ. მირიანაშვილი, ანტიკური ცივილიზაციის აღქმა კლემენს ალექსანდრიელის თხზულებაში „ქადაგება ბერძენთადმი“.

კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის გამგე ბ.ბრეგვაძე დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიით ნაშრომისთვის: პლატონი, პარმენიდე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, დამატებები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, „ნეკერი“, 2002 წ.

სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში მონაწილეობა

2003 წლის ოქტომბერში, ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის ინიციატივით, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმ-

წიგო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში. კონფერენციაში ინსტიტუტის 11 ახალგაზრდა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა (თ. გამრეკელი, მ. დანელია, ნ. დიანოსაშვილი, თ. დულარიძე, მ. ერქომაიშვილი, ზ. ვაჩიშვილი, მ. მეტრეველი, ქ. ნადარეიშვილი, დ. პაიჭაძე, მ. ქამუშაძე, თ. ჯაფარიძე). კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები უცხოეთის რეზიდენტების დახმარებით დაბეჭდა კრებულში: ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003.

ინსტიტუტის ბაზაზე არსებული ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურების კვლევის ლაბორატორია (ხელმძღვ. პროფ. ვ. ასათიანი) სისტემატურად ატარებდა სემინარებს. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ აქ წაკითხული და მოწონებული 15 მოხსენება დაბეჭდა კრებულში წელიწადული ლოგოსი (იხ.: ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომების სია).

გარდა ამისა, ინსტიტუტის ოთხმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო თბილისში, თესალონიკში, კრეტასა და გრანადაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ:

თ. გამრეკელმა საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ახალი ბერძნული ენის სწავლება საზღვარგარეთ“ წაიკითხა მოხსენება „ახალი ბერძნული ენის სწავლება საქართველოში, პრობლემები და პერსპექტივები“;

თ. დოლიძემ მონაწილეობა მიიღო ბილატერალურ ქართულ-გერმანულ სამეცნიერო კონფერენციაში „თავისუფლების იდეა ფილოსოფიასა და სოციალურ თეორიაში“ მოხსენებით: „ნების თავისუფლება ორიგენეს ჰერმენევტიკაში“ (20-24 ოქტომბერი, თბილისი);

ზ. ვაჩიშვილმა საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე „ნიკოს კაზანდაკის მემორების საერთაშორისო ორგანიზაციის“ დაარსებიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე წაიკითხა ორი მოხსენება: «Ο Νίκος Καζαντζάκης στο Καύκασο» და «Ορισμένες πλευρές του χριστιανικού μοναχισμού στο έργο του Ν. Καζαντζάκη «Ο Χριστός Ξανασταυρώνεται» (6-7 დეკემბერი, კრეტა);

ს. შამანიძმა მონაწილეობა მიიღო ესპანეთის ქალაქ გრანადაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „550 წელი კონს-

ტანტინოპოლისის დაცემიდან“ მოხსენებით: კონსტანტინოპოლისი ძველ ქართულ წყაროებში (3-7 დეკემბერი, გრანადა).

სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობა

2003 წლის 14-16 აპრილს ჩატარდა ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი დოც. მ.მჭედლიძე). წაკითხული იქნა 28 მოხსენება (10 კლასიკური ფილოლოგიის, 6 ბიზანტინისტიკის და 12 ნეო-გრეციისტიკის სფეროდან). სტუდენტებს ინსტიტუტის 14 თანამშრომელმა გაუწია ხელმძღვანელობა ინსტიტუტის სტუდენტთა საკონფერენციო მოხსენებებმა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე. კერძოდ:

I ადგილი – ა.უძილაური (III კ.), ინცესტის თემა ახალ ბერძნულ ფოლკლორსა და ანტიკურობაში (ხელმძღვ. პროფ. ს.შამანიდი);

II ადგილი – ს.სებასტიანოვა, «Энеида» в «Божественной Комедии» (ხელმძღვ. დოც. ე. კობახიძე);

სპეციალური დიპლომი – თ.მთვარელიძე (II კ.), ბი და აც კავშირების გადმოცემისთვის პავლე მოციქულის ერთი ეპისტოლეს ძველი ქართული თარგმანის მიხედვით (ხელმძღვ. დოც. თ. გიორგობიანი);

სპეციალური დიპლომი – ნ.რევიშვილი (IV კ.), ელექსინური მისტერიის არსის ინტერპრეტაციისათვის (ხელმძღვ. დოც. რ. ცანავა).

2001-2002 წლებში ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჟიურის მიერ მოწონებული, კონკურსში გამარჯვებული და რესპუბლიკურ კონფერენციებზე დაჯილდოებული მოხსენებების საფუძველზე მომზადდა და დასაბუთდა გადაცემულია კრებული *Μνημόσυλη* (პასუხისმგებელი რედაქტორი მ.მჭედლიძე). კრებულში ინსტიტუტის 12 თანამშრომლის ხელმძღვანელობით შესრულებული სტუდენტთა 22 სამეცნიერო ნაშრომი დაიბეჭდება.

2003 წლის ივნისში, საბერძნეთიდან მოწვეული პედაგოგის, მარია ბიცკას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო პოეზიის საღამო „სამი ბერძენი პოეტი ქალი: საფო, პოლიდური, დიმულა“, რომელზეც სტუდენტებმა საკუთარი თარგმანები და სამეცნიერო ნაშრომები წარმოადგინეს.

მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში

ინსტიტუტის მკვიდრო კონტაქტები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან, სხვადასხვა სახის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, რაც სტუდენტებსა და თანამშრომლებს საზღვარგარეთ სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების, ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. 2003 წელს ინსტიტუტის შვიდი თანამშრომელი იმყოფებოდა საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

კერძოდ, მ.აბულაშვილმა საბერძნეთის კუნძულ ალონისოზე, კრეტის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ბერძნული ენის საზაფხულო კურსები გაიარა (იენისი). თ.თარხნიშვილი და თ.სუხიშვილი იოანინის უნივერსიტეტში (2003 წ. ოქტომბერი – 2004 წ. იენისი), ხოლო თ. დულარიძე ათენის კაპოდისტრიასის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში (2002 წ. ოქტომბერი – 2003 წ. იენისი) ეუფლებოდნენ ახალ ბერძნულ ენას და თანამედროვე ბერძნულ კულტურას როგორც საბერძნეთის სახელმწიფო სტიპენდიატა ფონდის (IKI) სტიპენდიანტები.

ი.დარჩია მივლინებით იმყოფებოდა კაპოდისტრიასის სახელობის ათენის ეროვნულ უნივერსიტეტში, თეატრმცოდნეობის კათედრაზე საბერძნეთის განათლების სამინისტროს სტიპენდიით სადოქტორო ნაშრომისთვის – ფერის ფენომენი ძველ ბერძნულ დრამაში (2002 წ. სექტემბერი – 2003 წ. თებერვალი).

თ.დოლიძემ ორი თვე ასევე მივლინებით გაატარა ბოხუმის უნივერსიტეტის (გერმანია) ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის სასაზღვრო საკითხების კათედრაზე.

ლ.გიგინეიშვილმა ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების სკოლაში (Graduate School of Education), პრინსტონის უნივერსიტეტთან არსებულ ელიზური კულტურის შემსწავლელ ცენტრში (აშშ) და ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში (ბელგია) გაიარა სტაჟირება.

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ შემდეგ საერთაშორისო პროექტებში:

ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონი (ათენის ლექსიკოგრაფიულ ცენტრთან, პროფ. გ.ბაბინოტისთან თანამშრომლობით; საბერძნეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსტის და ელენი ურანისის ფონდის გრანტი; მონაწილენი: თ.გამრეკელი, თ.გაფრინდაშვილი, ი.დარჩია, მ.მეტრეველი, მ. ქამუშაძე, ა.ჩიქოვანი; კოორდინატორი ს.შამანიდი)

ძველი ბერძნული დრამის კვლევისა და დოკუმენტაციის ევროპული ქსელი (კოორდინატორი ქანადარეიშვილი).

ქალაქის ეკოსისტემა: გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის იმ პარამეტრების კვლევა, რომლებიც ათენსა და თბილისში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ჩამოყალიბებასთან, განვითარებასთან და ფუნქციასთან არის დაკავშირებული (ათენის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტთან და ათენის თეატრ „თისიონთან“ თანამშრომლობით; საბერძნეთის განვითარების სამინისტროს კვლევისა და ტექნოლოგიის გენერალური სამდივნოს გრანტი; კოორდინატორი ი.დარჩია).

ქართულ-ბელგიური ერთობლივი სამეცნიერო პროექტი, რომელიც გამოსცემს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ძველ ქართულ თარგმანებს სერიაში: Corpus Christianorum. Series Graeca. Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio Iberica, ed. B.Coulie, Leuven University Press (კოორდინატორი თ.დოლიძე).

გარდა ამისა, რეკორდუზიანი არის ჟურნალ „Philologus“-ის (გერმანია) რედაქციის წევრი, ხოლო თ.დოლიძე – უცხოელი თანამშრომელი ჟურნალისა ADAMANTIUS. Notiziario del Gruppo Italiano di Ricerca su “Origene e la tradizione alessandrina“ (პიზის უნივერსიტეტი).

ინსტიტუტის ბაზაზე დაარსებულია აგრეთვე „ნიკოს კაზანდაკისის მეგობართა საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს განყოფილება“ (პრეზიდენტი ზ.ვაჩიეშვილი). ამ ორგანიზაციამ 2003 წლის 18 თებერვალს მოაწყო ნიკოს კაზანდაკისის პოეზიის საღამო; 18-19 აპრილს ორგანიზაციის პრეზიდენტმა, ზ.ვაჩიეშვილმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია ნიკოს კაზანდაკისის შემოქმედების შესახებ; 12 სექტემბერს ჩატარდა ორგანიზაციის ყრილობა, 14 ოქტომბერს ჩატარდა კაზანდაკისისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი; 26 ნოემბერს გაიმართა ნიკოს კაზანდაკისის რომანის – „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ – მიხედვით მარტინ სკორსეზეს მიერ გადაღებული ფილმის ჩვენება.

2002 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი (<http://greekstudies.caucasus.net>), რომელიც სრულყოფილად ასახავს ინსტიტუტის პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით, მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას. 2003 წლის 16 დეკემბერს ინსტიტუტში, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ბაზაზე გაიხსნა ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრა. ინსტიტუტის ვებ-გვერდიც, შესაბამისად, განახლდება.

საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ (2003 წ.)

მონოგრაფიები

1. ზ.ლილუაშვილი, აქიდევსის სახე ჰომეროსთან და მისი რეცეფციები ანტიკურ ლიტერატურაში.
2. ქნადარეიშვილი, ნ.ტონია, პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები.
3. ნ.რატინი, დუმილის ფენომენი ბერძნულენოვან ლიტერატურაში.
4. ნ.ჩიხლაძე, ამადონობის მოტივი ანტიკურ ლიტერატურაში.
5. ლ.ჩოთალიშვილი, ეგეოსურ დამწერლობათა სისტემები.

თარგმანები

1. პინდაროსი, „ოდები, ფრაგმენტები“, თარგმნა, წინათქმა და განმარტებები დაურთო ნ. ტონიამ.
2. კატულუსის 33 ლექსი, შესაუალი წერილი, კომენტარები, თარგმანი მ. ღარიბაშვილისა.
3. თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგია, გამოსაცემად მოამზადეს: ს.შამანიდმა, ნ.დვალიძემ.

საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა

1. ასპარეზზე გამოდიან გმირები, თხრობა და კომენტარები ნ. ტონიასი და მ. ღარიბაშვილისა.
2. პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები, თხრობა და კომენტარები რ. ცანავასი.

სახელმძღვანელოები

1. ტრაპაიძე, დ.ქურიძე, ლათინური ენის სახელმძღვანელო იურისტებისათვის (თანაავტორი დ.ქურიძე).
2. თ.ბაკურაძე, ს.შამანიდი, Μαθησια ελληνικά, I.
3. რ.გორდუზიანი, მ.დანელია, კლასიკური ფილოლოგიის შესავალი.

ლექსიკონები

1. ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტომი II, მ-ე, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლ.კვირიკაშვილი.

სამეცნიერო ჟურნალები, კრებულები

2. Phasis (Greek and Roman Studies), vol. 5-6.
3. Caucasia (Greek and Roman Studies), vol. 6-7.
4. წელიწდეული ლოგოსი, № 1.

ინსტიტუტის თანამშრომელთა

სამეცნიერო ნაშრომების სია

2003 კალენდარული წელი

მ.აბულაშვილი, მეცნ. კანდ. ხარისხის მაძიებელი

1. On Two Unusual Rituals, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 9-16.
2. ბერძნული საშობაო მისტერია, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

შ.ასათიანი, ბიბლიოთეკის მთარგმნელ-რედაქტორი, კაბინეტის ბიბლიოთეკარი, მეცნ. კანდ. ხარისხის მაძიებელი

3. „მელანია რომაელის ცხოვრების“ ზოგიერთი ასპექტისათვის, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

თ.აფციაური, ასპირანტი

4. თავისუფალი ნების იდეა გრიგოლ ნოსელის „მოსეს ცხოვრების მიხედვით“, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ს.ბერიკაშვილი, კაბინეტის ბიბლიოთეკარი

5. დატივის გაქრობა ბერძნულ ენაში, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

6. ნ.კაზანძაკის ენა „ოდისეას“ პირველი სიმღერის მიხედვით, რეზიუმეს სახით დაიბეჭდა „ნიკოს კაზანძაკის მეგობრების საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის ფილიალის“ ბიულეტენში.

ი.გაგუა, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ., ლათინური ენის კაბინეტის გამგე.

7. ოვიდიუსის სატრფიალო ელეგიები და ავგუსტუსის რეჟიმი, Academia, № 6, 2003.

8. The Myth of Acteon and the Reason for Ovidius' Exile, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 97-99.

9. ავგუსტუსი და პრინციპატის ხანის სახობო პოეზია, წელიწდული ლოგოსი, თბილისი, 2003.

10. ოვიდიუსი, ავგუსტუსის მეხოტბე თუ ოპოზიციონერი, "პერსპექტივა XXI", № 5, თბილისი, 2003.

თ.გამრეკელი, კათედრის მასწავლებელი

11. კონსტანტინოს კავაფისის მითოლოგიური სიუჟეტის მქონე ლექსების ინტერპრეტაციისათვის, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 112-115.

12. ახალი ბერძნული ენის სწავლება საქართველოში, პრობლემები და პერსპექტივები, ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის ელექტრონული ჟურნალი *Μαγιστολόγος*, <http://www.eens.org>

13. The Principle of Circular Arrangement of Elements in Konstantinos Cavafis' Poems, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 100-109.

ე.გამყრელიძე, კათედრის მასწავლებელი, მეცნ. კანდ., ინსტიტუტის სწავლული მდივანი

14. ენობრივი კონტაქტები ანტიკურ იტალიაში და იტალიკების ლათინიზაცია, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 64-68.

15. Der Lateinische Lehnwortschaft. Sprachliche Kontakte in Altitalien, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 243-257.

თ.გაფრინდაშვილი, კათედრის მასწავლებელი

16. The Problem of Alienation in the Double Book by D. Khadzis, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 110-117.

17. ა.ფრანგიასის „შაჰი ჭირის“ პერსონაჟების მიმართება ბუნების ელემენტებისადმი, „პერსპექტივა XXI“, № 5, თბილისი, 2003.

ლ.გიგინეიშვილი, კათედრის მასწავლებელი, მეცნ. კანდ.

18. იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ზოგადი მიმოხილვა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის უურნალი, 2003, № 4, 13-19, № 5, 27-33.

19. Logos and Intellect in Philosophy of Ioane Petritsi: Origenist – Evagrian Influences, Acts of Conference Origen and Alexandrian Tradition, “Origeniana Octava“, Pisa, 2001, 27-31 August.

20. Трактат Германа Патриарха о тех, кто поклоняются кресту, а не иконам, Новосибирск, 2003 (соавтор В. Баранов).

თ.გიორგობიანი, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ., ძველი ბერძნული ენის კაბინეტის გამგე

21. ბერძნული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, „საენათმეცნიერო ძიებანი“, თბილისი, 2003.

22. ბერძნული ენის ისტორიიდან, „აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული“, თბილისი, 2003.

ლ.გორდუზიანი, კათედრის პროფესორი, მეცნ. დოქტ., წაყროთმცოდნეობისა და კლასიკური არქეოლოგიის კაბინეტის გამგე

23. დედოფალი თუ ქალღმერთი? (რეზიუმე ინგლისურ ენაზე), ენა და კულტურა 3, თბილისი, 2002, 47-54 (გამოქვეყნდა 2003 წელს).

24. ძველი საბერძნეთის კულტურა. კულტუროლოგია. რედაქტორები: გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდუზიანი, თბილისი 2003, 330-357.

25. Einige Bemerkungen zur antiken Sklaverei, Bulletin of the AGIBAS I, Tbilisi 2003, 20-25.

რ.გორდეზიანი, კათედრის გამგე, პროფესორი, მეცნ. დოქტ., ინსტიტუტის დირექტორი

26. კლასიკური ფილოლოგიის შესავალი (სახელმძღვანელო), პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003 (თანაავტორი მ.დანელია).

27. Spätantike als Periode der Kulturgeschichte, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 118-128.

28. О Проекте “Caucasus Antiquus“, Caucasia, 6, 2003.

ქ.გურჩიანი, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

29. ძველი ბერძნული ლოცვის ერთი თავისებურების შესახებ, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

მ.დანელია, ინსტიტუტის დირექტორატის რეფერენტი

30. მედეას მითის მხატვრული ინტერპრეტაციისათვის ქრისტა ვოლფთან, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 68-73.

31. კლასიკური ფილოლოგიის შესავალი (სახელმძღვანელო), პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003 (თანაავტორი რ.გორდეზიანი).

ი.დარჩია, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ., ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

32. Προβλήματα μετάφρασης της αρχαίας ελληνικής ποίησης στη γεωργιανή γλώσσα, Πρακτικά του διεθνούς συνεδρίου της Ρόδου «Η Αρχαία Ελληνική Γραμματεία στον Σύγχρονο Κόσμο», Διεθνές κέντρο λογοτεχνών και μεταφραστών Ρόδου, 2002, 313-320 (დაიბეჭდა 2003 წელს)

33. Georgian Translations of Ancient Greek Poetry: Principal Issues, Ancient Greek and Byzantine Literature in the Modern World, The International Writers' and Translators' Centre of Rhodes, 2002, 113-121 (დაიბეჭდა 2003 წელს).

34. ფერის ფუნქციისათვის თებეს ციკლის ტრაგედიებში (ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ნაწარმოებების მიხედვით), ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 73-78.

35. Colour Perception in Platos's Phaedo and Democritus' Treatise About Colours, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 35-38 .

36. მეწამული ფერის ფუნქციისათვის ესქილეს ჩვენამდე მოღწეულ ტრაგედიებში, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, პროგრამა, „ლოგოსი“, 2003.

ნ.დვალიძე, ასპირანტი

37. A Symbiosis of Antiquity and Modernity in the Double Book by Dimitris Khadzis, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, 2003, 90-96.

38. დიმიტრის ხადისის „ორმაგი წიგნის“ ენარის დადგენისათვის, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ნ.დიანოსაშვილი, კათედრის მასწავლებელი

39. ლისა მითსა და დრამაში, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 78-82.

თ.დილიძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ., ბიზანტინისტიკის კაბინეტის გამგე

40. Der Begriff der Bewegung in der Gotteslehre Plotins und Gregors von Nyssa, in: Selbst – Singularität – Subjektivität. Vom Neuplatonismus zum Deutschen Idealismus, hrsg.. Th.Kobusch, B.Mojsisch, O. F. Summerell, Amsterdam/Philadelphia: B. R. Grüner 2003, 41- 75.

41. Einige Aspekte der allegorischen Sprache in den Auslegungen von Origenes und Gregor von Nyssa zum 'Hohenlied': Origeniana Octava. Colloquium Biblicum Lovaniense, Leuven/Peeters 2003, 1061-1070.

42. Der Glaube als Erkenntnis bei Origenes: Der Kommentar in Antike und Mittelalter. Neue Beiträge zu seiner Erforschung (hrsg. von W. Geerlings und C. Schulze Clavis commentariorum antiquitatis et medii aevi 3), Leiden/Brill 2003, 185-211.

ნ.დოლიძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

43. Interpretation of the Concepts of Φυσ~ and Νομο~ in Sophists' Teaching Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 66-70.

თ.დულარიძე, ლაბორატორიის ლაბორანტი

44. ელჩობის ფუნქციისათვის „ილიადის“ IX სიმღერის მიხედვით, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 82-86.

45. ტერმინ აγγულო-ის გაგებისათვის ჰომეროსის ეპოსში, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

მ.ერქომაიშვილი, კათედრის მასწავლებელი, მეცნ. კანდ.

46. კირკეს მითი (ეკლესიის ძირითადი ასპექტები), ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 86-89.

ზ.ვაჩიშვილი, ასპირანტი

47. La théore du Rétablissement dans le roman de Nikos Kazantzaki La dernière tentation, Le Rogard cretois, Dek. 2002 (დაიბეჭდა 2003 წელს).

48. ბრძოლა ცივილიზაციებს შორის და ნ.კაზანძაკისის ტრაგედია „კუროსი“, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 123-127.

49. For cognition of God in Asceticism by N. Kazandzakis, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 212-219.

თ.თარხნიშვილი, ლაბორატორიის ლაბორანტი

50. ქურუმთა ფუნქციები პავსანიასის „ელადის აღწერილობის“ მიხედვით, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ე.კობახიძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

51. Etruscan "Interpretation" of Greek mythology, Bulletin of Agibas, American - Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies, Tbilisi State University, Cornell University, 2003, 63-68.

52. The Etruscans in Aeneid, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 141-150.

გ.კოპლატაძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

53. წმიდა ბასილი დიდი ღმრთისმეტყველებისა და ფილოსოფიის შესახებ, Academia, № 6, 2003.

რ.მარგიშვილი, კათედრის მასწავლებელი, მეცნ. კანდ.

54. შამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების განყოფილების ფონდში დაცული ენქერებისა და დაფარების ბერძნული წარწერები, ნარკვევები, VIII, თბილისი, 2003, 78-91.

მ.მეტრეველი, კათედრის ლაბორანტი

55. მარინას სახის მიმართებისათვის ევრიპიდეს მედეასთან მ. კარაღაცისის რომანის დიდი ქიმერას მიხედვით, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 130-133.

56. The Function of the Mythological Female Images in The Big Chimera – a Novel by M. Karaghatsis, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 159-164.

თ.მირიანაშვილი, კათედრის ლაბორანტი

57. Concept of New Song in the Exhortation to the Greeks of Clemens of Alexandria, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 165-172 .

მ.მჭედლიძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

58. მამა, დედა, შვილი როგორც მეტაფიზიკური ტერმინები პლატონიზმში და მათი გააზრება იოანე პეტრიწის "განმარტებაში", წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ქ.ნადარეიშვილი, ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნ. კანდ.

59. პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003 (თანაავტორი ნ.ტონია).

60. ნანა ჯანელიძის სპექტაკლი „მინდა გამოსვლა წაჩიდან... ანტიგონე“ – სოფოკლეს „ანტიგონეს“ ახალი ინტერპრეტაცია, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო

კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 96-99.

61. Women in the Law of Democratic Athens, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 173-184.

დ.პაიჭაძე, ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი

62. სიყვარულის ორი კონცეფცია ისტორიულ დრამაში „ოქტავია“, წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ნ.რატიანი, კათედრის პროფესორი, მეცნ. დოქტ.

63. The Function of Specific Colours in "Odyssey" of Homer, Bulletin of Georgian Academy of Sciences, vol.170, #3.

64. დუმინის ფენომენი ბერძნულენოვან ლიტერატურაში (მონოგრაფია), პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003.

ნ.რევიშვილი, ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

65. მედეას სახის სენეკასეული ინტერპრეტაცია, წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ნ.ტონია, კათედრის პროფესორი, მეცნ. დოქტ., საკონფერენციო ცენტრის ხელმძღვანელი

66. პინდაროსი, „ოდები, ფრაგმენტები“, თარგმნა, წინათქმა და განმარტებები დაურთო ნანა ტონიამ, პროგრამა „ლოგოსი“, 2003.

67. მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის, ტ. I, თბილისი, გამომცემლობა „ბაკმი“, 2003.

68. პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003 (თანაავტორი ქ. ნადარეიშვილი).

ა.ტრაპაიძე, ბიბლიოთეკის უფროსი მთარგმნელ-რედაქტორი

69. ლათინური ენის სახელმძღვანელო იურისტებისათვის, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი 2003 (თანაავტორი დ. ქურიძე).

მ.ფიჩხაძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

70. ტერენციუსის კომედიათა სიუჟეტები, წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

მ.ქამუშაძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

71. Image of Woman in Kariotakis' Works, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 129-133 .

გ.ქაჯაია, ასპირანტი

72. ბერძნული წარწერების ისტორიიდან, წელიწდეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

დ.ქურიძე, ბიბლიოთეკის უფროსი რედაქტორი

73. ლათინური ენის სახელმძღვანელო იურისტებისათვის, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003 (თანაავტორი ა. ტრაპაიძე).

მ.ღარიბაშვილი, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

74. კატულუსის 33 ლექსი, შესავალი წერილი, კომენტარები, თარგმანი მ. ღარიბაშვილისა, თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“, 2003.

ს.შამანიდი, კათედრის პროფესორი, მეცნ. დოქტ., ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ნეოგრეციისტიკის კაბინეტის გამგე.

75. მშვენიერი ელენე, ომის მიზეზი თუ უდანაშაულო მსხვერპლი? (ელენეს სახის ინტერპრეტაციისთვის ახალ ბერძნულ მწერლობაში), ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 135-142.

76. Classical Tradition in Modern Greek Poetry and George Seferis, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 258-293 .

ა.ჩიქოვანი, კათედრის მასწავლებელი

77. ღვთისმშობელი-გორგონა და სმარაგდე (სტრატის მირივილისის „ღვთისმშობელი გორგონას“ მიხედვით ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 145-150.

78. The Interpretation of the Asia Minor Disaster in The Story of One Captive by Stratis Doukas, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 21-34.

79. მსხვერპლშეწირვის რიტუალი სტრატის მირივილისის შემოქმედებაში, „პერსპექტივა XXI“, № 5, თბილისი, 2003.

ლ.ჩოთალიშვილი, კათედრის მასწავლებელი, მეცნ. კანდ.

80. ეგეოსურ დამწერლობათა სისტემები (მონოგრაფია), პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2003.

რ.ცანაეა, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

81. ტოტემიზმის შუქჩრდილები, წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

82. Marrying a King's Daughter, Phasis, Greek and Roman Studies, vol. 5-6, Program Logos, Tbilisi, 2003, 205-211.

ნ.ცინცაძე, ლაბორატორიის ლაბორანტი

83. ოდისეისის მოგზაურობის დრო-სივრცული თავისებურება, წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

თ.ჯაფარიძე, კათედრის მასწავლებელი

84. მითო-რიტუალური სიმბოლო spondhვ არისტოფანეს „აქარნელებში“, ამა-ს პროგრამა, პუბლიკაციები კუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო სფეროში, I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, 107-111.

ე.ჯუღელი, ლაბორატორიის ლაბორანტი

85. თეოდორიტე კვირელის სირიულიდან თარგმნილი თხზულება, წელიწადეული ლოგოსი, თბილისი, 2003.

ზ.ხინთიბიძე, კათედრის დოცენტი, მეცნ. კანდ.

86. პომეროსი, არისტოტელე და სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური თავისებურება „ვეფხისტყაოსანში“, „ქართველოლოგი“, 2003.

**ნახემატარებელი ხელსაწყოებისა და ინტეგრალური
სქემების კვლევისა და დამუშავების სამეცნიერო
ლაბორატორია**

(სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ელექტრონული ტექნიკა“)

საანგარიშო პერიოდში ლაბორატორიაში ჩატარებულია სამუშაოები გალიუმის არსენიდისა და მის საფუძველზე მიღებული პეტროსტრუქტურების ელექტროფიზიკური თვისებების შესასწავლად. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე მრავალფენოვანი ეპიტაქსიური სტრუქტურებისათვის შერჩეულია ცალკეული ფენების მახასიათებელი პარამეტრები მაღალი მახასიათებლების მქონე მზის ელემენტების, ველის ტრანზისტორებისა და ინტეგრალური სქემების მისაღებად.

შესრულებული გამოკვლევების საფუძველზე დამუშავებულია ღრმა ენერგეტიკული ცენტრების კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდი გალიუმის არსენიდის ეპიტაქსიურ სტრუქტურებში გამოყოფ საზღვარზე საფენი-ფირი. მეთოდი დაფუძნებულია გარდამავალი ფენის ტევადობის ცვლილებაზე სინათლით განათების შემთხვევაში. მიღებულ შედეგებზე სტატია გაგზავნილია დასაბეჭდად საერთაშორისო ჟურნალში "Phisica Status Solidy". სტატიის თანაავტორები არიან უკრაინელი და ამერიკელი კოლეგები.

2003 წლის სექტემბერში ქ. მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მიკრო და ნანოელექტრონიკის საკითხებს. ამ კონფერენციაზე ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ წაკითხული იქნა სამი მოხსენება. ეს მოხსენებები გამოქვეყნდება კონფერენციის შრომებში.

ლაბორატორიაში სრულდება პროექტი NATO-ს პროგრამით „მეცნიერება მშვიდობისათვის“ – SfP 973796 „გალიუმის არსენიდის საფუძველზე სპეციალური დანიშნულების ინტეგრალური სქემების დამზადების თანამედროვე ტექნოლოგიის დამუშავება.

პროექტის შესრულებისათვის დაზუსტებული იქნა ტექნოლოგიური მარშრუტი ინტეგრალური სქემების აქტიური და პასიური ელემენტების მისაღებად. მრავალფენოვანი ეპიტაქსიური სტრუქტურების საფუძველზე დამზადებული იქნა სწრაფქმედი მაღალსიხშირული ველის ტრანზისტორები ციფრული და ანალოგური ინტეგრალური სქემების მისაღებად. დამზადებული იქნა აგრეთვე სხვადასხვა ნომინალების მქონე კონდენსატორები, რეზისტორები და ინდუქტივობები. ეს ელემენტები დამზადებული იქნა ერთიან

ტექნოლოგიურ ციკლში, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალში დავაშინადოთ მონოლითური ინტეგრალური სქემები.

მიღებული ელემენტები მაღალსიხშირული პარამეტრების გასახომად გადაეცა პროექტის თანაშემსრულებელს ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემებისა და კომუნიკაციების ინსტიტუტს (საბერძნეთი, ქ. ათენი). გაზომვებში მონაწილეობდა და იმავდროულად ქ. ათენში სტაჟირება გაიარა ლაბორატორიის ახალგაზრდა სპეციალისტმა (ნ. კობრავეა). გაზომვების შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

მიმდინარეობდა სამუშაოები საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მიერ დაფინანსებულ პროექტზე G-801: გალიუმის არსენიდის ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფა თანამედროვე სენსორული მიკროსისტემებისათვის.

პროექტის თემატიკის ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დამუშავებული იქნა ტექნოლოგიური პროცესები და შესაბამისი მარშრუტი რენტგენული სენსორების დასამზადებლად.

დაპროექტებული იქნა და ამ პროექტის საფუძველზე დამზადდა ფოტოშაბლონების კომპლექტი რენტგენული სენსორების დასამზადებლად.

მიღებული ფოტოშაბლონების გამოყენებით დამზადდა რენტგენული სენსორები სხვადასხვა ფირმის მიერ გამოშვებულ ეპიტაქსიურ ფირებზე დამზადებულ ნახევრადიზოლირებული გალიუმის არსენიდის საფუძველზე და გადაეცა პარტნიორს შემდგომი გაზომვების ჩასატარებლად (ქ. დრეზდენი, გერმანია).

დამუშავებული და დაპროექტებული იქნა აგრეთვე სქემები მიკროტალღოვანი სენსორების მისაღებად. დამზადებული იქნა მიკროტალღოვანი სენსორების გიბრიდული ვარიანტი და გადაეცა პარტნიორს (გერმანია).

ჩატარებული იქნა სამუშაოები კონცერნ „Siemens“-ის მიერ გადმოცემული დიელექტრიკული ფენების მისაღებად განკუთვნილი დანადგარის ექსპლუატაციაში გასაშვებად. სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება სილიციუმის ნიტრიდის დიელექტრიკული ფენების მიღება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული იქნა შემდეგი ნაშრომები:

1. N.B.Gorev, I.F.Kodzhespirova, E.N.Privalov, L.V.Khvedelidze, N.P.Khuchua, G.G.Peradze, M.S.Shur, K.Stevens, Non-Destructive Deep

Trap Diagnostics of Epitaxial Structures, Solid-State Electronics, 47, issue 9, pp.1569-1575, 2003.

2. N.P.Khuchua, L.V.Khvedelidze, M.G.Tigishvili, N.B.Gorev, E.N.Privalov, I.F.Kodzhespirova, The Role of Deep Centers in GaAs Technology, Microelectronica, 6, 2003.

3. M.Tigishvili, N.Gapishvili, R.Melkadze, M.Ksaverieva, T.Khelashvili.

F⁺, B⁺ ion implantation into GaAs multilayer heterostructures,(ICMNE – 2003 Conference Proceedings, MOSKOW, R.F.).

4. Z.Chakhnakia, L.Khvedelidze, N.Khuchua, R.Melkadze, G.Peradze, T.Sakharova, Z.Hatzopoulos, AlGaAs-GaAs Heterostructure δ -Doped Field-Effect Transistor (δ -FET), (ICMNE-2003 Conference Proceedings, Moscow, R.F.).

5. N.Khuchua, Z.Chakhnakia, L.Khvedelidze, R.Melkadze, A.Tutunjan, G.Kalandadze, N.Tutunjan, R.Diehl, Elaboration of Gallium Arsenide Technology in Georgia for Development of Microelectronic Devices (ICMNE-2003 Conference Proceedings, Moscow, R.F).

6. Н.Б.Горев, И.Ф.Коджеспирова, Е.Н.Привалов, Н.П.Хучуа, Л.В.Хведелидзе, М.Г.Тигишвили, Влияние неоднородности подложки на пороговое напряжение эффекта управления по подложке в ИС на основе GaAs. 13-я международная Крымская конференция “СВЧ техника и телекоммуникационные технологии”, Севастополь, сентябрь, 2003.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა უდიდესი ტრადიციების მქონეა. ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენაზე, ეძებს გზებს და საშუალებებს მკითხველთა მომსახურების, თანამშრომელთა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას რეალურ მხარდაჭერას უწევს უნივერსიტეტის რექტორატი.

2003 წელს შეიქმნა ახალი – ბიბლიოთეკის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, რომელიც დამოუკიდებელია სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლებისაგან.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის საერთო წიგნადი ფონდი შეადგენს 3 664 693 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს, მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. მასში თავმოყრილია სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა უნივერსიტეტში შესასწავლ სპეციალობათა სრული კომპლექტით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებულმა მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, გარკვეული დიდი დაასვა წიგნების შექმნის საკითხს. მიმდინარე წელს ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი იყო 35 000 ლარი. აქედან ხაზინის მიერ განაღდებულია 7 480 ლარი. ეს თანხა არანაირად არ არის საკმარისი ასეთი მაღალი დონის უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკისათვის. ფონდის შევსება ძირითადად ხდებოდა თსუ გამომცემლობიდან საჩუქრად მიღებული ლიტერატურით. ინფორმაციის სპეცილისტთა და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციების დახმარებით მიღებული კარნეგის ფონდის გრანტით შესაძლებელი გახდა ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურის მიღება – სულ 154 წიგნი, ძირითადად ენციკლოპედიური გამოცემები, 21 941 ლარის ღირებულებით. ილინოისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან საჩუქრად მიღებულია 440 ცალი საბიბლიოთეკო დარგის ჟურნალი, 4 840 ლარის ღირებულებით. პროფესორ დ. კომლაძის ოჯახმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 988 წიგნი, 3 047 ლარის ღირებულებით. საერთაშორისო წიგნაცვლით შემოსულია 224 ცალი წიგნი, 2 564 ლარის ღირებულებით. ბიბლიოთეკამ თავის მხრივ წიგნაცვლით გასცა 88 წიგნი, 352 ლარის ღირებულებით.

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკაში აღსდგა სამეცნიერო საბჭოს მუშაობა. რექტორის ბრძანებით, დამტკიცებულ იქნა სამეცნიერო საბჭოს წევრთა ახალი შემადგენლობა. სამეცნიერო საბჭოს თავ-

მჯდომარეა თსუ პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორი ანზორ ხელაშვილი. ჩატარდა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები და სხვადასხვა ფაკულტეტების და კათედრების წარმომადგენლები. მოხსენებები წაიკითხეს ბიბლიოთეკის დირექტორმა – შ. აფაქიძემ, მოადგილეებმა – ე. თოხაძემ და გ. შათირიშვილმა.

ამ წელს ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა განყოფილებების, საფაკულტეტო ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო დარბაზების დათვალიერება.

ბიბლიოთეკის რამდენიმე თანამშრომელმა გაიარა ისა-ს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსები და მიიღო შესაბამისი სერთიფიკატი. ავტომატიზების განყოფილების გამგემ, ა.ჩხენკელმა ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის ჩატარა ორკვირიანი კომპიუტერული კურსები.

ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციამ ორგანიზება გაუკეთა ბიბლიოთეკაში ფონდების რესტავრაცია-ადგენაზე 3-დღიანი თეორიული და პრაქტიკული სემინარების ჩატარებას. ლექტორებად მოწვეულნი იყვნენ წამყვანი რესტავრატორები რუსეთის რუდომინოს სახელობის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკიდან. მოწვეულმა სტუმრებმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს სარესტავრაციო მასალები, გილიოტინა, წიგნის პრესი და ა. შ. ჩატარებულ იქნა მუშაობა თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდების მდგომარეობის შესასწავლად. მიღებული ანგარიში გადაეცა ბიბლიოთეკის კურატორს – პრორექტორ ა. ხელაშვილს.

თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, როგორც უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მეთოდურმა ცენტრმა, ჩატარა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების კონფერენცია თემაზე: „საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მართვა თანამედროვე ეტაპზე“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა რ.მეტრეველმა, თსუ-ს პრორექტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორმა ა.ხელაშვილმა, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დირექტორებმა და თანამშრომლებმა.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ საბიბლიოთეკო კვირულში. ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ჰანოვერის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა-საინფორმაციო ცენტრის სემინარი სამეცნიერო ელექტ-

რონული ჟურნალების შესახებ (Springer და Blackwell Synergy), სახალხო დამცველის ოფისის სემინარი, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში (EBSCO და ა.შ.) სამუშაო კლასის პრეზენტაცია, ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა, მოეწყო იშვიათი წიგნების გამოფენა, თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ნამუშევრების გამოფენა, ერთი დღე უფასო ინტერნეტი ყველა მსურველისათვის. 30 აპრილს ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე სხვა ბიბლიოთეკარებთან ერთად მოხდა თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის წამყვანი თანამშრომლების დაჯილდოება.

აქტიურობდა მასობრივი მუშაობის განყოფილება. ეწყო ბოდო ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული გამოფენები: აგრეთვე სისტემატურად ეწყო ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი წიგნებისა და ჟურნალების გამოფენა.

მიმდინარეობდა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი, რომელსაც აფინანსებს კარნეგის ფონდი ნიუ-იორკში. ეს გახლავთ სამხრეთ კავკასიის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების დახმარების 2-წლიანი პროექტი, რომელშიც ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის გარდა მონაწილეობას იღებენ სომხეთის საბიბლიოთეკო ასოციაცია და აზერბაიჯანში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ასოციაცია. ბიბლიოთეკამ მიიღო თანამედროვე პერსონალური კომპიუტერი, სკანერი, პრინტერი და პროგრამული უზრუნველყოფა (Ariel). ამის შედეგად თსუს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის განყოფილებაში ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული გაცემის სამსახური, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს, მიიღოს ინფორმაცია სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებიდან, ხოლო ბიბლიოთეკას – მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების მკითხველებს.

დაწყებულია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის კომპიუტერული ქსელის შექმნა. ამჟამად ლოკალურ ქსელში ჩართულია და ინტერნეტში მუშაობის საშუალება აქვს შემდეგ განყოფილებებს: ბიბლიოთეკის ავტომატიზების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, ბიბლიოთეკის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტური აბონემენტისა და უცხოური ლიტერატურის დამუშავების განყოფილებებს. მიმდინარეობს მუშაობა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგების შესაქმნელად.

ბიბლიოთეკაში გახსნილია ელექტრონულ ჟურნალებთან (EBSCO, Springer, Blackwell-Synergy) სამუშაო კლასი.

თსუ-ს მეორე კორპუსის სამკითხველო დარბაზში საერთაშორისო ასრციაცია „კეალი“-ს მიერ გახსნილი იქნა საგანმანათლებლო საინფორმაციო ცენტრი, რომელიც უფასო კონსულტაციებს გაუწევს ამერიკაში სასწავლებლად წასვლის მსურველებს.

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბევრ საბიბლიოთეკო ღონისძიებაში: მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამართულ გამომცემლობა „შპრინგერის“ წიგნების გამოფენაში, გ.შ. მიქელაძის სახელობის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში გამართულ ВИНИТИ-ს რუსულენოვანი რეფერატული ჟურნალების გამოფენაში. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ გ. შათირიშვილმა, მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ბერლინში ჩატარებული საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) მუშაობაში. ის აგრეთვე საქართველოს ბიბლიოთეკების ადმინისტრატორთა ჯგუფთან ერთად 3 კვირით იმყოფებოდა აშშ-ს ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტაში, სადაც გაეცნო სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ბიბლიოთეკების მუშაობას. ვიზიტის ბოლოს ჯგუფი იმყოფებოდა ვაშინგტონში, სადაც 1 დღე დაეთმო კონგრესის ბიბლიოთეკის დათვალიერებას. ავტომატიზების განყოფილების გამგე აჩხენკელი ქართველი ბიბლიოთეკარების ჯგუფთან ერთად 3 კვირის განმავლობაში იმყოფებოდა აშშ-ს მასაჩუსეტსის შტატის ქ. ამჰერსტში და გაიარა ტრენინგი, გაეცნო ამერიკული ბიბლიოთეკების მუშაობას. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების გამგე მ.რაზმაძე ქართველი ბიბლიოთეკარების ჯგუფთან ერთად 1 კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ლიტვაში, ქ. ვილნიუსში, სადაც გაეცნო ლიტველი ბიბლიოთეკარების მუშაობას.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში განუხრებლად ეყრდნობა საქართველოს საბიბლიოთეკო კანონს.

მეძანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ათივე კათედრაზე გრძელდება მუშაობა სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური ხასიათის თემებზე. ყველა თემა გარდამავალია და დასრულდება 2005 წელს. მიმდინარე საანგარიშო 2003 წელს მიღებულია შემდეგი შედეგები:

1. ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრა (გამგე პროფ. ლ. ჟიჟიაშვილი).

თემა: ფუნქციურ სივრცეთა სტრუქტურული და კონსტრუქციული ანალიზის პრობლემები (შემსრ. პროფესორები: თ. ახობაძე, ვ. ბუღაძე, რ. გეწაძე, უ. გოგინავა, თ. თევზაძე, მ. ლუკაშვილი, ლ. ჟიჟიაშვილი, გ. ტყებუჩავა, დოცენტები: ა. ამბროლაძე, გ. ბარელაძე, მ. ბიწაძე, თ. კოპალიანი, დ. ლელაძე, გ. ნადიბაძე, უ/მ. ა. მესხია).

დადგენილია:

1. დაეუშვათ, რომ $a_n \in]0,1[$, ($n=1,2,\dots$) და ω არის უწყვეტობის მოდული და

$$B(\omega, n, \alpha_n) = \max \left\{ \frac{n^{\alpha_n} - 1}{\alpha_n n^{\alpha_n}} \omega \left(\frac{1}{n} \right), \frac{\alpha_n}{n} \int_{\frac{\pi}{n}}^{\pi} \frac{\omega(t)}{t^{\alpha_n}} dt \right\}.$$

დადგენილია, რომ თუ $f \in H^{\alpha}$ და $\sigma_n^{\alpha}(x, f)$ არის f ფუნქციის ფურიეს ჩეზაროს საშუალოები, მაშინ

a) $\|\sigma_n^{\alpha}(f) - f\|_{\sigma} \leq DB(\omega, n, \alpha_n)$

b) $\sup_{f \in H^{\alpha}} \lim_{n \rightarrow \infty} \frac{\|\sigma_n^{\alpha}(f) - f\|}{B(\omega, n, \alpha_n)} > 0$

2. დამტკიცებულია, რომ ყოველი ერთობლივ შემოსაზღვრული ორთონორმირებული $\{\varphi_n(x)\}_{n=1}^{\infty}$ სისტემებიდან გამოიყოფა კრებადობის ქვესისტემა $\{\varphi_n(x)\}_{k=1}^{\infty}$, სადაც $n_k \leq c \log^2 k$.

3. დადგენილია ზოგადი დებულება მრავალგანზომილებიანი ფუნქციონალური მწკრივების ჩეზაროს მეთოდით უპირობო შეჯამებადობის საკითხთან დაკავშირებით.

4. დამტკიცებულია ჯერადი ფურიე-ულობის მწკრივების მარცინკევიჩის საშუალოების თითქმის ყველგან კრებადობა.

5. დადგენილია ფურიე-ულობის ჯერადი მწკრივების უარყოფითი რიგის ჩეზაროს საშუალოების თანაბარი კრებადობის გაუძლიერებადი პირობები.

6. დამტკიცებულია ბლოკებში ორთონორმირებული სისტემების მიმართ ორჯერადი მწკრივების ჩეზაროს მეთოდით შეჯამებადობის კრიტერიუმი.

7. დადგენილია $L_p(L)$ ($[0,1]^n$, $n \geq 2$ კლასის ფუნქციებისათვის) საკმარისად ფართო კლასის სუბწრფივი ოპერატორების მიმდევრობის ზომით განშლადობა.

8. მრავალი ცვლადის ფუნქციათა ზიგმუნდის $Z(\alpha, C)$, $Z^*(\alpha, C)$ კლასებისათვის დადგენილია მკაცრი ჩართვა $Z(\alpha, C) \subset Z^*(\alpha, C)$

9. ჰილბერტის და ჰარდი-ლიტლეუდის მრავალგანზომილებიანი ოპერატორებისათვის გადაწყვეტილია ბეზიკოვიჩის სუსტი $(1,1)$ ტიპის თვისებების მართებულობის საკითხი.

10. $L_p(L)$ ფუნქციონალური სივრცეებისათვის სიმრავლური კატეგორიის ტერმინებში დადგენილია კლასიკური მრავალგანზომილებიანი ოპერატორთა მიმდევრობის ზომით განშლადობა.

11. შემოტანილია ბანახის ფუნქციონალური სივრცის ნული ზომის სიმრავლის გასწვრივ სინგულარობის ცნება. დადგენილია, რომ ნული ზომის სიმრავლის გასწვრივ სინგულარული სივრცეები არარეფლექსურია და შესწავლილია ამ სივრცეებში მოქმედი კლასიკური (შეუღლების, მაქსიმალური და სხვა) ოპერატორების უწყვეტობის საკითხები. დამტკიცებულია, რომ სივრცის სინგულარობა რომელიღაც ნული ზომის სიმრავლის გასწვრივ იწვევს კლასიკური ოპერატორების შემოუსაზღვრელობას.

12. დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰარდი-ლიტლეუდის, წილადური მაქსიმალური პოტენციალის ტიპის ოპერატორების შემოსაზღვრელობას მუსელაკ-ორლიჩის სივრცეებში.

13. ვთქვათ, A_1 არის R^n -ზე მოცემული ყველა იმ ფუნქციების კლასი, რომელთა ჰაარის n -ჯერადი ვეიელეტის მიმართ ფურიეს კოეფიციენტების მწკრივი აბსოლუტურად კრებადია. დამტკიცებულია, რომ $\Phi \in \text{კომპოზიცია ეკუთვნის } A_1$ კლასს A_1

კლასის ყოველი f ფუნქციისათვის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც Φ არის L^1 კლასის ფუნქცია R -ზე.

II. მათემატიკური ანალიზის კათედრა (გამგე პროფ. გ. ტყე ბუჩაყა).

თემა: ვეივლეტები და მათემატიკური ანალიზის თანამედროვე საკითხები (შემსრულებლები პროფესორები: გ. ტყე ბუჩაყა, უ. გოგინავა, დოცენტები: ზ. თვედორაძე, თ. კოპალიანი, ფიზ.მათ. მეცნ.კანდ. ე. კაპანაძე და ა. აპლაკოვი).

1. დადგენილია კავშირი ვატერმანისა და ვინერის განზოგადებულ ფუნქციათა კლასებს შორის.

2. შესწავლილია ჯერადი უოლშ-კაჩმაჟის მწკრივების C და L ნორმით კრებადობის საკითხი.

3. განზოგადოებულ კერძო ვარიაციის ფუნქციათა კლასებისათვის უწყვეტობის მოდულის ტერმინებში მიღებულია გაუძლიერებადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯერადი ფურიე-უოლშის მწკრივების თანაბრად კრებადობას.

4. გადმოცემულია ალგებრული და ანალიზური მექანიზმები, თუ რატომ არ არის პარმონიულ ფორმათა ნამრავლი საზოგადოდ პარმონიული. პუასონის მრავალსახეობებზე პარმონიულ ფორმათა სივრცეში გამოყოფილია პარმონიულ ფორმათა ალგებრა.

5. არამკაფიო სიმრავლეთა თეორიაზე დაყრდნობით აგებულია ბიუჯეტის განაწილების ერთი მაგალითი.

6. შემოღებულია ბანახის ფუნქციონალური სივრცეებისათვის ნული ზომის სიმრავლის გასწვრივ სინგულარობის ცნება. $K: X \rightarrow Y$ კლასიკური ოპერატორებისათვის შესწავლილია შემოსაზღვრულობის პირობები, როცა X სივრცეს გააჩნია რაიმე ზომის სიმრავლის გასწვრივ სინგულარობის თვისებები (X არარეფლექსურია) ხოლო Y ნებისმიერი ბანახის ფუნქციონალური სივრცეა. დადგენილია მოყვანილი დებულებების საფუძველზე X სივრცეში უპირობო ბაზისის გარკვეული კლასიფიკაცია.

7. ლებეგის სივრცეებში ცვლადი მაჩვენებლით დადგენილია მაქსიმალური ოპერატორების, წილადური მაქსიმალური ოპერატორების, პოტენციალის ტიპის ოპერატორების შემოსაზღვრულობის საკითხი.

8. შესწავლილია ჯექსონის თეორემის ანალოგი ვეივლეტებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ინტეგრალურ პირობებს.

9. შესწავლილია ფურიე და ფურიე-უოლშის კერძო ჯამების ქვემიმდევრობის ყოფაქცევა.

III. ალგებრა-გეომეტრიის კათედრა (გამგე პროფ. ლ. ზამბახიძე).

1. თემა: განზომილების თეორია, ბიტოპოლოგიური სივრცეები, შეიპები და მრავალსახა ასახვები (შემსრ. პროფესორები: ლ. ზამბახიძე, ივ. წერეთელი, ვლ. ბალაძე, ბ. დვალისფილი, დ. ბალაძე, დოც. გ. ივანიძე, გ. ლაითაძე, ი. ბახია, ან. ბერაძე).

გამოკვლეულია საესებით რეგულარულ სივრცეთა კლასზე კლასიკური განზომილების ფუნქციათა ძირითადი თვისებების ტოპოლოგიურად ინვარიანტული მრავალრიცხოვანი ფუნქციებით რეალიზებადობის საკითხი.

აგებულია ტოპოლოგიურ სივრცეთა უწყვეტი ასახვების ვიბრაციული შეიპური თეორია, ამ მიზნით განვითარებულია უწყვეტი ასახვების გეომეტრიული თეორია. გამოკვლეულია უწყვეტი ასახვები, რეტრაქტებისა და შეიპების თეორიათა თვალსაზრისით დამტკიცებულია ვიბრაციული რეზოლვენტების არსებობის თეორემები. მიღებულია პროჯგუფებისა და ასახვების გრძელი ზუსტი ჰომოლოგიური მიმდევრობები. გამოკვლეულია თანაბარი აბსოლუტური რეზოლვენტები. დამტკიცებულია არსებობის თეორემები და აუცილებელი და საკმარისი პირობები იმისა, რომ თანაბარ სივრცეს ჰქონდეს ტრივიალური თანაბარი შეიპი.

განვითარებულია თანაბარ სივრცეთა ალექსანდერ-სპანიერის კოჰომოლოგიის თეორია, ნაჩვენებია, რომ აგებული თეორია სივრცის თანაბარი სტრუქტურების ტერმინებში აღწერს კომპაქტიფიკაციის კლასიკურ ალექსანდერ-სპანიერის კოჰომოლოგიის ჯგუფებს და წარმოადგენს პროკომპაქტური შეიპური თეორიის ინვარიანტს.

ზოგადი ტოპოლოგიური სივრცეების და მათი სრულყოფილი ასახვების კატეგორიაზე აგებულია გაფართოებული კანონიკური ჰომოლოგიისა და კოჰომოლოგიის ჯგუფები. ეს გაფართოებული ჯგუფები ამ კატეგორიაზე აკმაყოფილებენ სტინროდ-ვილენბერგის ყველა აქსიომებს. ამ ჰომოლოგიისა და კოჰომოლოგიის თეორემებისათვის შემოწმებულია მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისებები.

გრძელდება შესწავლა წრფივად ტოპოლოგიურ სივრცეთა პარამეტრული ჰომოლოგიისა და კოჰომოლოგიის ჯგუფების თვისებების მიმდევრობის თვალსაზრისით.

მრავალსახა ასახვების თეორიის გამოყენებით გამოკვლეულ იქნა მდგრადი განვითარების ზოგიერთი საკითხი.

განხილულია π -ბიკომპაქტურ სივრცეთა კლასზე განსაზღვრულ განზომილების ტიპის ფუნქციები, რომელთა გამოყენებით, შეისწავლება ზოგად მრავალსახეობათა განზომილებითი თვისებები. შემოტანილია სუსტად ბადისებური სივრცეების კლასი, რომელიც ვ. პროიზვოლოვის აზრით, ბადისებური სივრცეების ბუნებრივი განზოგადობაა, შესწავლილია მათი ყოფაქცევა სპეციალური ტიპის (მონოტონური, ღია) ასახვების დროს.

განმარტებულია სასრულოდ განსაზღვრული ალექსანდერ-სპანიერის კომოლოგიის ფუნქტორი. აგებული ფუნქტორი გამოკვლეულია აქსიომატიკური თეალსაზრისით. დადგენილია კაეშირი სასრულო ღია დაფარვებზე დაფუძნებული ჩეხის კოჰომოლოგიურ ფუნქტორთან. ნაჩვენებია, რომ ეს ფუნქტორი იძლევა ნორმალურ სივრცეთა ჩაკეტილი წყვილის სტოუნ-ჩეხის კომპაქტიფიკაციის ალექსანდერ-სპანიერის კლასიკური კოჰომოლოგიური ფუნქტორის სივრცის შინაგან ტერმინებში დახასიათებას. გამოკვლეულია აგებული კოჰომოლოგიური ფუნქტორის კომპაქტურ მატარებლიანი ვერსია. დადგენილია კაეშირი განსაკუთრებულ ქვეკომპლექსებით განმარტებულ ჩეხის კოჰომოლოგიურ ფუნქტორთან. გარდა ამისა, განმარტებულია და აქსიომატიკურად გამოკვლეულია ნაწილობრივ უწყვეტი სასრულოდ განსაზღვრული ალექსანდერ-სპანიერის კოჰომოლოგიური ფუნქტორი. მოძებნილია პირობები, რომელთათვისაც აგებული ფუნქტორი იძლევა სტოუნ-ჩეხის კომპაქტიფიკაციის ნაწილობრივ უწყვეტი ალექსანდერ-სპანიერის კოჰომოლოგიური ჯგუფების აღწერას.

2. თემა: ფიბრირებადი სივრცეების და განაწილების გეომეტრიის ზოგიერთი საკითხი (შემსრ. დოცენტები: ე. ალშიბაია, რ. სურმანიძე, ტ. ჯინჭარაძე).

გრძელდება კვლევა ფიბრირებული სივრცისა, რომლის ბაზაა აფინური სივრცე, ხოლო ფიბრები – ჰიპერსიბრტყეთა წნულები, კერძოდ, შეისწავლება მისი დიფერენციალური კვეთა – ჰიპერსიბრტყეთა განაწილება და მასთან ინვარიანტულად და შინაგანად დაკავშირებული წრფეები.

განაწილების II რიგის მიდამოში აგებულია ახალი ნორმალი (E), ნაჩვენებია, რომ იგი შედის ადრე აგებულ (L) და (Q) ნორმალებით განსაზღვრულ კონაში. მისთვის მოძებნილია ე.წ. II გვარის ნორმალი ჰიპერსიბრტყით ელემენტში. ამისათვის განიხილება როგორც ბომპიანი-პანტაზის თანადობა, ისე განაწი-

ლებასთან ინვარიანტულად დაკავშირებულ მიმხეებ ჰიპერკვადრიკების მიერ დამყარებული პოლარიტეტი.

შეისწავლება ზოგიერთი რიმანის სივრცე დაუყვანადი იზოტროპის ჯგუფით. ამ სივრცეებზე განიხილება 2, 3 და 4 ვალენტობის ტენსორული ველები. დადგენილია ასეთი ტენსორული ველების განზომილებები.

3. თემა: მოდულური და კვადრატულ ფორმათა თეორიის ზოგიერთი საკითხები (შემსრ. პროფ. გ. ლომაძე, დოც. ქ. შავგულიძე).

დადგენილია განზოგადებულ ოთხჯერად თეტა-მწკრივთა სივრცისათვის განზომილების ზედა საზღვრები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ნაპოვნია თვით ამ სივრცეების განზომილებებიც.

კონკრეტული ოთხცვლადიანი ფორმებისათვის შემოწმდა მიღებული შედეგები და ზოგადად მიღებულ ოთხჯერად მ-მწკრივთა სივრცეების განზომილების ზედა საზღვარი დაემთხვა შესაბამისი სივრცეების განზომილებას.

შესწავლილ იქნა პრაქტიკული კრიპტოგრაფიული ალგორითმები და რიცხვთა თეორიის ალგორითმული მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დიდი მარტივი რიცხვების მოსაძებნად.

4. თემა: ხარისხოვან ჯგუფთა თეორიის ზოგიერთი საკითხი (შემსრულებელი დოც. მ. ამაღლობელი).

ფიქსირებულ G ჯგუფზე აღგებრული გეომეტრიის პრობლემის გადაწყვეტამ მოითხოვა ჯგუფთა უნივერსალური კლასების თეორიის განვითარება, რომელიც მოცემულია პირველი საფეხურის ჯგუფური ენის უნივერსალური ფორმულებით.

განსაზღვრულია $G\chi[X]$ -თავისუფალი ჯგუფის ელემენტების კანონიკური სახე, სადაც χ არის სამსაფეხურიანი ნილპოტენტური ჯგუფების მრავალსახეობა. განსაზღვრულ m მრავალსახეობის თავისუფალი ჯგუფის სტრუქტურა, სადაც m არის მეტაბულურ ნილპოტენტურ ჯგუფთა მრავალსახეობა $C \geq 1$ ნილპოტენტობის საფეხურით.

5. თემა: სისტემური საბანკო კრიზისები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში (შემსრულებელი პროფ. ირ. კოვზანაძე). შესწავლილია თანამედროვე ეკონომიკის ისეთი აქტუალური თემები, როგორცაა მსოფლიო ეკონომიკაში საბანკო სისტემების რეგულირება, რესტრუქტურისაცია, ფულად საკრედიტო პოლიტიკის როლი საბანკო კრიზისების გადალახვაში და სისტემური საბანკო კრიზისების მათემატიკური მოდელირება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში.

IV. დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრა (გამგე პროფ. ა. გაგნიძე).

თემა: დიფერენციალური განტოლებებისა და მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანა (შემსრ. პროფესორები: ა. გაგნიძე, გ. დევედარიანი, ო. ჯოხაძე, დოცენტები: გ. კვინიკაძე, მ. გრიგოლია, ლ. სიგუა, ე. გუგულაშვილი, ფიზ.მათ.მეც.კანდ. დ. კაპანაძე, თ. ბუჩუკური, უმ. ა. ჯორბენაძე).

1. შესწავლილია მეორე და მაღალი რიგის ევოლუციური განტოლებებისათვის კლასიკური საწყისი-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნთა არსებობისა და ერთადერთობის პირობები. დადგენილია ერთადერთობის ზუსტი თეორემები. გამოკვლეულია ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევა უსასრულობაში და მცირე პარამეტრის მიმართ. შესწავლილია მეორე რიგის გადაგვარებადი ელიფსური განტოლებებისა და სისტემებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის პირობები და ეს პირობები ჩამოყალიბებულია დუგლას-ნირენბერგის პირობების ანალოგიურად. გამოკვლეულია რიმანისა და დარბუს ტიპის ამოცანები მესამე და მაღალი რიგის ჰიპერბოლური განტოლებებისა და სისტემებისათვის. დადგენილია ამოცანის კორექტულობაზე დაბალი რიგის წევრების გავლენა. შესწავლილია ლაპლასის ინვარიანტების ანალოგები ზოგადი წრფივი ელიფსური განტოლებებისათვის.

შესწავლილია კუთხოვან არეში მეორე რიგის გადაგვარებული ელიფსური განტოლებებისათვის განზოგადებული ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხები.

გამარტივებულია და დახვეწილი ზოგიერთი კლასიკური საწყისი-სასაზღვრო და სასაზღვრო ამოცანების კლასიკური და განზოგადებული ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები.

2. შესწავლილია მათ. ფიზიკის კლასიკური განტოლებებისათვის სასაზღვრო ამოცანები პირობებით ბაზარზე და მრავალსახეობის საზღვარზე. აგებულია ასეთი ამოცანების სიმბოლური ანალიზი გამოკვლეულია ბაზარის და ეკრანის ტიპის ამოცანები ელექტროდრეკადობის სისტემებისათვის. შესწავლილია ზომერფილდის გამოსხივების პრობლემები საზღვრიან მრავალსახეობებზე. გამოკვლეულია ფირფიტის წონასწორობის ამოცანები და დადგენილია მათთვის სენ-ვენანის პირობების ანალოგი.

3. შესწავლილია კლასიკური ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენება ზოგიერთი ეკონომიკური-მათემატიკური მოდელის (სო-

ლოუს მეთოდი, ჰეროდ-დომარის მეთოდი) გამოთვლებში. შემუშავებულია პრაქტიკული ოპტიმიზაციის ინტერაქტიული მეთოდები.

V. ალბათობის თეორიისა და მათ. სტატისტიკის კათედრა (გამგე პროფ. ე. ნადარაია).

თემა: განაწილების სიმკვრივისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციონალების პარამეტრული შეფასებები. სტოქასტური ანალიზის მეთოდების გამოყენება ფინანსურ მათემატიკაში (შემსრ. პროფესორები: ე. ნადარაია, ბ. დოჭვირი, მ. შაშიაშვილი, დოც.: ა. ედიბერიძე, ლ. ნადარაია, უ/მ. ნ. კეკელია, ბ. ხარაძე).

განხილულია განაწილების სიმკვრივის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების თეორიული სიმკვრივიდან გადახრა ზელინგერის მეტრიკის აზრით. მოძებნილია ამ გადახრის ზღვართი განაწილების კანონი. უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ფაქტი: ზღვართი განაწილება თავისუფალია თეორიული განაწილებისაგან. მოძებნილია აგრეთვე აგებული თანადობის კრიტერიუმის ზღვართი სიმძლავრე დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

შესწავლილია ოპტიმალური გაჩერების პრობლემატიკის საკითხები კალმან-ბიუსის ზოგადი სქემის ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი პროცესებისათვის. არასრული მონაცემებით ოპტიმალური გაჩერების ამოცანა დაყვანილია სრული მონაცემებით ოპტიმალური გაჩერების ამოცანაზე. დამყარებულია კავშირი ვარიაციული უტოლობის და ოპტიმალური გაჩერების ამოცანების ამონახსნებს შორის. გადაწყვეტილია ევროპული ტიპის ოფციონის გათვლის ამოცანა ზოგადი გადახდის ფუნქციის შემთხვევაში.

VI. ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის კათედრა (კათედრის გამგე პროფ. დ. გორდეზიანი).

თემა 1. უწყვეტ ტანთა მექანიკის ზოგიერთი მათემატიკური მოდელის ანალიზი, რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმების აგება და დაფუძნება (შემსრ. პროფესორები: დ. გორდეზიანი, ჯ. როგავა, თ. ჯანგველაძე, დოც. გ. ავალიშვილი, უფ/მ.თ. ე. გორდეზიანი, ნ. გორდეზიანი, ლაბორანტები: მ. ავალიშვილი, მ. კუპრეიშვილი).

დრეკადი პრიზმული გარსის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის აღმწერი სტატიკური და დინამიკური ამოცანები დაყვანილია ორგანზომილებიან ამოცანებზე.

ნაწვენებია რედუცირებული ამოცანების ამოხსნების არსებობა, ერთადერთობა და შეფასებულია მიახლოების ცდომილება. აკებულია დრეკად ნარეუთა არაწრფივი მოდელები.

თემა 2. ზოგიერთი არაწრფივი დიფერენციალურ განტოლებათა კლასის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა (შემსრ. პროფესორები: დ. გორდუზიანი, ჯ. როგავა, თ. ჯანგველაძე, დოცენტები: ვ. ბადაგაძე, ა. წერეთელი, შ. გელაშვილი, ი. აბულაძე, გ. ლობჯანიძე, ზ. კილურაძე, უ/მ. ა. ჩიტლაძე, ლაბორანტები: ლ. ბანცური, მ. თუთბერიძე).

გამოკვლეულია ზოგიერთი არაწრფივ კერძოწარმოებულიან და ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა და განტოლებათა სისტემის ამოხსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები დროითი ცვლადის უსასრულო ზრდისას. დადგენილია შესაბამისი კრებადობის რიგები.

დამტკიცებულია შედარების თეორემები არაწრფივ კერძო-წარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა ერთი კლასის და შესაბამისი სხვაობიანი სქემისათვის. შესწავლილია ატმოსფეროს მიწისპირა ფენის სითბური რეჟიმის მოდელირება საქართველოს რეგიონისათვის.

VII. მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდის კათედრა (გამგე პროფ. თ. თევზაძე).

მიმდინარეობდა მუშაობა ლოგიკის, მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდის დარგში (შემსრ. დოცენტები: მ. ჭიჭინაძე, მ. ბრეგაძე, ვ. ფხაკაძე, უ/მ. თ. მოსაშვილი, ზ. კოტრიკაძე).

1. მიმდინარეობს თერმთა გადაწერის სისტემების თეორიაში შემოყვანილი თერმთა გადაწერის ახალი სტრატეგიების თვისებების შესწავლა. ძირითადი აქცენტი გადატანილია თერმთა გადაწერის β -და δ -სტრატეგიაზე, რომლებიც შეესაბამებიან განზოგადებული ტიპის მათემატიკურ T თეორიაში შემოღებული შემოკლებული ფორმიდან ძირითადი ფორმის აღდგენის ძირითად β -და δ -პროცესებს. კერძოდ, ა) მოქმენილია A შემოკლებული თერმის მიმართ გამოყენებული β სტრატეგიის დამთავრებადობის საკმარისი პირობები, რომლებიც შეზღუდვას უყენებენ მხოლოდ თერმთა გადაწერის წესებს. ბ) თუ დამთავრებადია A შემოკლებული თერმის მიმართ δ -სტრატეგია, მაშინ A შემოკლებული თერმიდან δ -სტრატეგიით, და β -სტრატეგიით მიიღება ურთიერთკონგრუენტული თერმები.

2. დამუშავებულია მოსაზრებანი მათემატიკის სასკოლო კურსში ფუნქციის ცნების შემოტანასთან დაკავშირებით, როგორც შესაბამისობა ორ სიმრავლეს შორის.

3. შემუშავებულია მეთოდური რჩევები სკოლის მათემატიკის კურსში რიცხვითი სტრუქტურების სწავლებისათვის. კერძოდ, V კლასში ნატურალური რიცხვების სტრუქტურების სწავლებისათვის და V-VI კლასებში რაციონალურ რიცხვთა სტრუქტურებისათვის.

4. განხილულია აგრეთვე კომბინატორიკისა და მიმდევრობის ზღვრის ელემენტების გადმოცემა გრაფიკული ილუსტრაციების საშუალებით.

5. მიმდინარეობდა მუშაობა მათემატიკის დაფუძნებისა და მათემატიკის ისტორიაში.

VIII. ზოგადი მათემატიკის კათედრა (გამგე პროფ. ლ. გოგოლაძე).

1 თემა: ჰარმონიული ანალიზის საკითხები (შემსრ. პროფ. ლ. გოგოლაძე, დოცენტები: თ. ზერეიძე, ნ. გუნია, ვ. თევზაძე, ლ. კაკაბაძე, რ. მესხია, გ. პავლიაშვილი, ვ. ცაგარეიშვილი).

შესწავლილია ზოგადი ორთონორმირებული სისტემების მიმართ სხვადასხვა დიფერენციალური კლასის ფუნქციების ფურიეს კოეფიციენტების ყოფაქცევა და ფურიეს მწკრივების აბსოლუტურად კრებადობის საკითხები.

გამოკვლევულია n -განზომილებიანი ინტერვალებისაგან შედგენილი დიფერენციალური ბაზისებისათვის მათი მომცველი მინიმალური ბუზემან-ფელერის და მინიმალური ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისების ყოფაქცევა ინტეგრალის თითქმის ყველგან კრებადობის თვალსაზრისით.

დადგენილია, რომ ინტერვალებისაგან შედგენილი ძვრის მიმართ ინვარიანტული ბაზისებისათვის ლოკალურად რეგულარულობის პირობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ იგი L სივრცეში ძლიერი ბაზისის ეკვივალენტური იყოს.

2. უმაღლესი მათემატიკის სწავლება არასპეციალურ ფაკულტეტებზე (შემსრულებლები: ლ. გოგოლაძე, ლ. სკამკოჩაიშვილი, ზ. გოგნიაშვილი, ნ. გუნია, რ. მესხია, ვ. სამსონაძე, დ. თორაძე, მ. ბედოშვილი, ი. კაჭარავა, დ. ბაღაშვილი, ვ. გობრონიძე, კ. გოგიჩაიშვილი, ქ. კიკვაძე, მ. გელაშვილი, ლ. მადრაძე, ქ. ლოსაბერიძე, გ. ჯანჯალაშვილი, გ. სტურუა, თ. ღამბაშიძე, ზ. ჯიქია,

ზ. ბლიაძე, მ. ხატიაშვილი, ვ. სოხაძე, ჯ. კორსანტია, ე. ბურდული, ნ. სვანიძე).

შედგენილია პროგრამები და მეთოდური მითითებები უმაღლეს მათემატიკაში იმ სპეციალობებისათვის, სადაც მისაღებ გამოცდებზე არ ბარდება მათემატიკა. შედგენილია პროგრამები და მითითებები ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობებისათვის.

მომზადებულია მეთოდური მითითებები და სავარჯიშოები წრფივი ალგებრისა და ანალიზური გეომეტრიის ელემენტებში.

3. თემა: უმაღლესი მათემატიკის დიფერენცირებული სწავლების შესახებ ეკონომიკურ ფაკულტეტზე (შემსრულებელი დოც. მ. ელიზბარაშვილი).

აღნიშნულ პერიოდში განხილულია უმაღლესი მათემატიკის სწავლების საკითხები ეკონომიკური თეორიის სპეციალობაზე. შედგენილია სასწავლო პროგრამა, შესაბამისი თეორიული კურსი და ამოცანათა კრებული. ორივე ნაწილში გათვალისწინებულია აღნიშნული სპეციალობის სპეციფიკა.

მათემატიკურ საკითხებთან ერთად განხილულია ეკონომიკური ფუნქციები: მოთხოვნის და მიწოდების ფუნქციები, წონასწორობის ფასის განსაზღვრა, დანახარჯების ფუნქცია, ზღვრული დანახარჯები (მოგება, შემოსავალი), მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიმართ, მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიმართ, მომხმარებლის და მიმწოდებლის ნამატების განსაზღვრა.

IX. თეორიული მექანიკის კათედრა (გამგე დოც. გ. კაპანაძე).

თემა: ა). დრეკადობის თეორიის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები. კომპლექსური ანალიზის გამოყენება ფირფიტათა ღუნვის თეორიაში.

ბ). მიახლოებითი მეთოდებისა და ინტეგრალური განტოლებების გამოყენება სითხისა და გაზის მექანიკის ამოცანებში (შემსრულებლები: პროფ. ი. ზონენაშვილი, დოცენტები: გ. კაპანაძე, ჯ. შარიქაძე, ო. ანჯაფარიძე, ი. შუშტაქაშვილი, თ. მამნიაშვილი, კ. კახაია, ვ. შარიქაძე, ნ. ჯორბენაძე, მასწ. ი. გრძელიძე).

შესწავლილ იქნა:

1. სიხისტის წიბოთი გამაგრებული დაყრდნობილი საზღვრის მქონე წრიული ფირფიტის ღუნვის ამოცანები სხვადასხვა დატვირთვების შემთხვევებში. განხილული ამოცანები წარმოადგენენ ტიმოშინეკოს მიერ შესწავლილი მსგავსი ამოცანების განზოგადებას. ნაჩვენებია, რომ სიხისტის წიბოს გაელენით ფირფიტაში

მაქსიმალური ჩაღუნვები, ძაბვები და მღუნავი მომენტები საგრძნობლად მცირდება. შესწავლილია აგრეთვე დრეკადობის განზოგადებული ბრტყელი თეორიის შებრუნებული ამოცანა სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის მქონე ფირფიტებისათვის. მოძებნილ იქნა ფირფიტის საზღვრის გამმაგრებელი სიხისტის წიბოს ისეთი გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირფიტაში ხერელის მახლობლობაში დაძაბულობის კონცენტრაციის გაქრობას.

2. მრავალკუთხედით შემოსაზღვრულ ფირფიტებში თანაბრად მტკიცე კონტურის ამოცანა ღუნვის შემთხვევაში.

გახილულ იქნა მრავალკუთხა ფირფიტის შიგნით თანაბრად მტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა, როდესაც ფირფიტა იღუნება მრავალკუთხედის გვერდებზე მოდებული ნორმალური მღუნავი მომენტებით.

საძიებელი კონტური თავისუფალია გარეგანი დატვირთვებისაგან და იგი უნდა განისაზღვროს იმ პირობით, რომ მასზე ტანგენციალური ნორმალური მომენტი მუდმივ მნიშვნელობას ღებულობდეს, გადამჭრელი ძალა, ნორმალური და მგრეხავი მომენტები კი უდრიდეს ნულს. დაწერილებითაა გამოკვლეული წესიერი მრავალკუთხედის შემთხვევა და აგებულია საძიებელი კონტურის განტოლება. 3. ეფექტურადაა ამოხსნილი ოდნავ გაღუნული ელიფსური განივკვეთის მქონე ძელის წყვილძალით ღუნვის ამოცანა, როდესაც ძელის ზედაპირის განტოლებაში მონაწილეობს ღერძული კოორდინატის კვადრატის პროპორციული „შეშფოთება“.

4. მიახლოებითი მეთოდების გამოყენებით შესწავლილია ელექტრო-გამტარი სითხის ბრტყელი არასტაციონარული დინამიკური და ტემპერატურული სასაზღვრო ფენის ამოცანები არაინდუქციურ და ინდუქციურ მიახლოებაში მუდმივი და ცვალებადი გამტარებლობის შემთხვევაში. შესწავლილია ბლანტი სითხის მოძრაობის ამოცანები მოცულობითი მასის წყაროებისა და ჩასადენების გათვალისწინებით. შესწავლილია ფილტრაციის თეორიის ზოგიერთი ამოცანა.

X. ასტრონომიის კათედრა (გამგე დოც. შ. საბაშვილი).

1. თემა: ვარსკვლავებისა და პლანეტათა სისტემების ზოგიერთი საკითხის შესწავლა (შემსრულებლები: დოც. შ. საბაშვილი, პროფ. გ. მაალასიძე, დოც. რ. ჭილაძე).

მიგნებულ იქნა მოძრაობის მესამე, კვადრატული ინტეგრალის თეორიის ბაზაზე მასების განაწილების ერთკომპონენტური მო-

დელების სერია, რომლებისთვისაც გალაქტიკური ორბიტების ბრტყელი და სივრცული ამოცანების ამოხსნები გამოისახება სპეციალური მათემატიკური ფუნქციებით. ამავე პირობებში გალაქტიკის დამზერილ პარამეტრებზე დაყრდნობით აგებულია 'ზოგი მრავალკომპონენტიანი მოდელიც. შესაბამისი გრავიტაციული პოტენციალის საფუძველზე გაანალიზებულია ვარსკვლავთა სისტემების დინამიკა. კერძოდ, მოძებნილია კორელაცია F და G სპექტრული კლასების ჯუჯა ვარსკვლავთა გალაქტიკური ორბიტების ელემენტებსა და მათსავე ასაკობრივ მახასიათებლებს შორის.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში იუპიტერის გალილეისეული თანამგზავრების შესახებ მიღებული მრავალწლიანი დამზერიითი მასალის შესწავლით აღმოჩენილია ამ თანამგზავრების დედამიწისაკენ და მისი საპირისპირო მიმართულებით მოძრავ ნახევარსფეროთა მიერ არეკლილი სინათლის პოლარიზაციის ხარისხების სხვადასხვაობა. წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომელიც აღნიშნულ სხვადასხვაობას ხსნის იუპიტერის აღნიშნულ თანამგზავრთა და მათ მახლობელ მეტეორულ ნაკადთა ურთიერთქმედებით. შესწავლილია თანამგზავრთა პოლარიზაციის ხარისხი იუპიტერის პირისპირდგომის მახლობლობაში და ნაჩვენებია, რომ იგი განსხვავდება ნულისაგან მცირე ფაზის კუთხის დროსაც, აგრეთვე ნაჩვენებია პოლარიზაციულ მრუდებზე ინვერსიის წერტილის არსებობა.

2. მომზადებულია ასტრონომიულ ტერმინთა სიის მორიგი ნაკვეთი რამდენიმე ასოსათვის.

ფაკულტეტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და სემინარებში. კერძოდ, ე. ალშიბაია, დ. გორდუზიანი, ჯ. როგავა, მ. ავალიშვილი, მ. თუთბერიძე, მ. კუპრეიშვილი, თ. ჯანგველაძე, ვ. ფხაკაძე, ჯ. შარიქაძე, გ. კაპანაძე, ზ. კილურაძე, ა. გაგნიძე, შ. საბაშვილი, რ. კილაძე, თ. მძინარიშვილი და სხვა მოხსენებებით გამოვიდნენ მოსკოვსა და თბილისში ნ. კოლმოგოროვის და ვ. კუპრაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, აგრეთვე ნ. ვეკუას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, თბილისის საერთაშორისო სემინარზე „ენა, ლოგიკა, მეტყველება“, აბასთუმნის და ბიუროკანის ობსერვატორიების ერთობლივ კოლოკიუმში.

ფაკულტეტის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა სისტემატურად მონაწილეობს მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარებში,

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

2003 წელს ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ დაცულია 3 სადოქტორო დისერტაცია (ჯ. შარიქაძე და გ. კაპანაძე – თეორიული მექანიკის კათედრა, გ. მაღასიძე – ასტრონომიის კათედრა), 8 საკანდიდატო დისერტაცია (დ. მახარაძე – ფუნქციათა თეორიის კათედრა, ე. კაპანაძე და ა. აპლაკოვი – მათემატიკური ანალიზის კათედრა, ზ. კიდურაძე და ა. ჩიტალაძე – ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის კათედრა, გ. ლომინაშვილი – ალბათობის თეორიის კათედრა, მ. ძაძაშია და ლ. თურმანიძე – ალგებრა-გეომეტრიის კათედრა). გადაცემულია დასაცავად 2 საკანდიდატო დისერტაცია (ა. ბერაძის – ალგებრა-გეომეტრიის კათედრა და მ. ავალიშვილის – ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის კათედრა).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მ. ავალიშვილმა წელს დაამთავრა მაგისტრატურა.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ნაყოფიერად მუშაობენ ასპირანტებთან. ასპირანტები გეგმით გათვალისწინებულ საგნებს აბარებენ დროულად. მიმდინარე წელს ჩაირიცხა 5 ასპირანტი, რომლებმაც უმაღლესი შეფასება მიიღეს გამოცდებზე.

ფაკულტეტზე ნაყოფიერად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები მათემატიკაში, ასტრონომიასა და მექანიკაში.

2003 წელს აღნიშნულ სამეცნიერო წრეებში მომზადებული 52 მოხსენება გატანილ იქნა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს. სოროსის კონფერენცია-კონკურსში გამარჯვებული არიან სტუდენტები: მ. ავალიანი, ზ. ჯანელიძე, მ. კუპრეიშვილი, თ. კუპრეიშვილი, მ. თუთბერიძე, დ. გუბელაძე, ა. დანელია, თ. თორაძე, გ. ასათიანი.

2003 წელს გამოიცა შემდეგი სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და კრებულები:

1. ა. გაგნიძე, მათემატიკური ფიზიკის განტოლებები, თბილისი, თსუ, 2003 (225 გვ.).
2. ა. გაგნიძე, კ. კორკოტაშვილი, ოპტიმიზაციის მეთოდები, თბილისი, 2003 (110 გვ.).
3. ბ. დოჭვირი, ჰ. მელაძე, ფინანსური მათემატიკა, თსუ, 2003.
4. ა. გაგნიძე, დ. ლელაძე, მათემატიკა, თბილისი, 2003. (110 გვ.).

5. დ. ბალაშვილი და სხვა. უმაღლესი მათემატიკის ამოცანათა კრებული, თსუ, 2003.

6. И. Ковзанадзе, Системные банковые кризисы в условиях финансовой глобализаций, Тбилиси, 2003.

7. თ. ჯანგველაძე და სხვა. მათემატიკური ანალიზის საკითხები, ლექციების კურსი, 1-12, თბილისი, 2003. (212 გვ.).

8. გ. ლობჯანიძე და სხვა. მათემატიკური ანალიზის საკითხები, ლექციების კურსი, 1-12, თბილისი, 2003, (212 გვ.).

9. თ. ჯანგველაძე, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდები, თსუ (გადაცემულია დასაბუჯდად).

2003 წელს ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ საქართველოს და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები:

1. L. Zhizhiashvili.

On A. N. Kolmogorov's theorem on weak (1,1) type of one-dimensional operator of conjugation and its analogues for classical operators being used in modern multi-dimensional harmonic analysis. Bull. Georg. Acad. Sci 167 (2003) # 3 , 389-391.

2. G. Bareladze.

On the unconditional summability of multi-dimensional functional series. Bull. Georg. Acad. Sci , 2003, 168 # 2 p. 217-218.

3. M. Bicadze.

On uniform convergence of multiple trigonometric Fourier series. Bull. Georg. Acad. Sci, 2003, 167 # 3 p. 408-410.

4. U. Goginava.

Uniform convergence of cesaromeans of negative order of double Walsh-Fourier series. J. Approx Theory, 2003, 124 #1. p.96-108.

5. U. Goginava.

Almost every where summability of multiple Walsh-Fourier series. J. Math. Anal. Appl. 2003, 287#1. p.90-109.

6. У. Гогинова.

О чезаревских средних двойных тригонометрических рядах. Мат. заметки. 2003, 74#3, 4 стю 477-482.

7. U. Goginava.

Relations between LBV and BV ($p(n)$) classes of functions Acta Math. Hungar 101 (u), 2003, 263-272.

8. U. Goginava.

On the uniform convergence and L-convergence of double Fourier series with respect to the Walsh-Kaczmarz system, *Georg. Math. J.* 10, 2003, №2, 223-235.

9. G. Tkebuchava, E. Kapanadze.

Jackson's theorem for wavelet under integral condition, *Bull. Georg. Acad. Sci.*, 2003, 168 # 1 p. 9-10.

10. Z. Tevdoradze.

Fuzzy Oset theory and its application in the question of budget formation. მოსკოვის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გვ. 854-860, "Fussy set theory and its application", 2003.

11. Амаглобели М. Г.

Структура G-свободных нильпотентных групп степени 3. *Georg. Math. J.* 2003.

12. Амаглобели М. Г., Ремесленников.

G-свободные метаболевы нильпотентные группы. *Докл. РАН.* 2003.

13. VI. Baladze.

Fiber shape theory. Monografie, *Proc. of A. Razmadze Math. Inst.* 2003, 1-75.

14. VI. Baladze.

On existence of ARN-resolutions. *Georg. Math. J.* 2003.

15. A. Beridze.

On Alexander-Spanier's type cohomology theory with compact support. *Bull. Georg. Acad. Sci.*, 167, 1, 2003. p.11-15.

16. A. Beridze.

Partially continuous finitely generated Alexander-Spanier cohomology theory. *Bull. Georg. Acad. Sci.*, 168, 3, 2003, p. 432- 435.

17. Гоциридзе А., Лаитадзе Г.

Некоторые вопросы устойчивого развития и энергетической безопасности. "Энергия" №1, 2003.

18. Ковзанадзе И.

Роль денежно-кредитной политики в преодолении последствий банковских кризисов. "Деньги и кредит", №2, Москва, 2003, стр. 45-47.

19. И. Ковзанадзе.

Реструктуризация банковских систем, стратегия и тактика преодоления системных кризисов. "Финансы" №3, Москва, 2003, стр. 72-79.

20. И. Ковзанадзе.

Финансовая сфера, пути выхода из кризиса. "Экономист", №6, 2003, Москва, стр. 33-36.

21. L. P. Castao, L. Signa.
Solution of the Sommerfeld diffraction problem with impedance boundary conditions in the real wave number limit case". Portugal, 2003.
22. G. Devdariani, D. Gubelidze.
On a system of degenerate elliptic equations.
ივეკუას სახ. გმი მოხსენებები. ტ. 18, №2, 2003.
23. გ. დედარიანი, რ. ჯანჯღავა, მ. მოსია.
ფირფიტის წონასწორობის ამოცანის გამოკვლევა ი. ვეკუას მეთოდით. ივეკუას სახ. გმი მოხსენებები. ტ. 18, №2 2003.
24. G. Devdariani, R. Janjgava, M. Mosia.
Investigation of one nonlinear problem of isotropic plate by I. Vekua method.
ივეკუას სახ. გმი შრომები. ტ. 53, 2003.
25. D. Gubelidze.
On a generalized solution of a second order degenerate elliptic equation in an angular domain. ა. რაზმაძის სახ. მათ. შრომები, 2003.
26. D. Gubelidze.
On a second order degenerate elliptic system of equations in a domain containing an angle. საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2003.
27. D. Karanadze, B. W. Schulze.
Crack theory and edge singularities. Kluwer Academic Bull, vol. 561, 2003.
28. D. Karanadze, B. W. Schulze.
Symbolic calculus for boundary value problems on manifolds with edges. Integral equations and operator theory. v. 5. 2003.
29. O. Jokhadze.
A Darboux type problem in a dihedral angle for some classes of 3rd-order equations. Izvestia v. v. 7 Math. 492, 2003, №5.
30. O. Jokhadze.
Riemann function for hyperbolic equations and systems of higher order. Diff. uravnenia 39 2003 №9.
31. O. Jokhadze.
Influence of lower terms on the correctness of the formulation of characteristic problems. Math. Zametki 74 2003 №4.
32. E. Nadaraia.
On the statistics of the test criterion for the hypothesis of the equality of several distribution densities. Bull. Georg. Acad. Sci, v. 187 №1 2003.
33. E. Nadaraia.
On a statistics for testing the hypothesis of the equality of several distribution densities. Proceedings of a Razmadze Mathematical Institute. v. 5. 131 2003.

34. A. Danelia, B. Dochviri, M. Shashiashvili.
Stochastic variational inequalities associated to optimal stopping problems. საერთაშორისო კონფერენცია- მოსკოვი, თბილისი, თეზისები, 2003.
35. T. Jangveladze, Z. Kiguradze.
Estimates of a stabilization rate as $t \rightarrow \infty$ of solutions of a system of nonlinear integro-differential equations. Reports of enlarged session of the seminar of I. Vekua Inst. of Appl. Math. v. 118. №1, 2003.
36. Т. Джангвеладзе, З. Кигурадзе.
Метод декомпозиции для нелокальной краевой задачи Бицадзе-Самарского. Тр. ТГУ. 2003.
37. M. Tutberidze.
Comparison theorem for one nonlinear diffusion system. Reports of Enlarged Session of the seminar of I. Vekua Inst. of Applied Mathematics. v.18, №1, 2003.
38. T. Jangveladze, Z. Kiguradze.
Estimates of a stabilization rate as $t \rightarrow \infty$ of solutions of a nonlinear integro-differential diffusion system. J. Appl. Math. Mech. –Inf. 2003, №2.
39. M. Avalishvili, D. Gordeziani, G. Avalishvili.
Investigation of statical two-dimensional model of elastic plate. Proc. of Georgian Technicalk Univ. 447, 2003, 1, 9-17.
40. M. Avalishvili, D. Gordeziani.
Investigation of two-dimensional models of elastic prismatic shell. Georg. Math. J. 10, 2003 1, 17-36.
41. M. Avalishvili.
On hierarchic models for nonhomogeneous a hisotropic elastic prismatic shells. Appl. Math. Inform 8, 2003, 1, 5-16.
42. D. Gordeziani, G. Avalishvili, M. Avalishvili.
On the investigation of a dimensional reduction method for elliptic problems. Rep. of Sem. of I. Vekua Inst. Appl. Math. 29, 2003.
43. D. Gordeziani, G. Avalishvili, M. Avalishvili.
On the investigation of dynamical hierarchical model of multi-layer elastic prismatic shell. Bull. Georg. Acad. Scien. vol. 168, 2003, №1, pp. 11-13.
44. D. Gordeziani, G. Avalishvili.
On statical two-dimensional model of multi-layer elastic prismatic shell. Bull. Georg. Acad. Scien. vol. 168, 2003, №3, pp. 17-19.
45. შ. ბრეგვაძე.
ფუნქციის ცნების შემოტანისათვის მათემატიკის სასკოლო კურსში.

- ქ. „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“. №119, 2003.
46. ზ. კოტრიკაძე.
ასახვის გრაფის მეშვეობით სასწავლო თემების შინაარსის თვალსაჩინო მოდელირების შესახებ. ი. გოგებაშვილის სახ. კუდაგოვიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის შრომების კრებული №10, 2003.
47. T. Zerekidze.
On differentiability of integrals with respect to basis invariant with respect to translation. Bull. Georg. Acad. Sci. 167, 2003, №2, p. 214 -215.
48. T. Zerekidze.
On one problem of the theory of differentiation of integrals. Proc. A. Razmadze Math. Inst. 132, 2003, 153-154.
49. T. Zerekidze.
Differentiation of integrals by bases of type. Proc. A. Razmadze, Math. Inst. 133 2003, 119-130.
50. T. Zerekidze.
The solution of one problem of the theory of differentiation of integrals. Proc. A. Razmadze Math. Inst. 133, 2003, 131-155.
51. T. Zerekidze.
On the equiavelence and nonequiavelence of some differential bases. Proc. A. Razmadze Math. Inst. 133, 2003, 166-169.
52. V. Cagareishvili.
Fourier- Haar coefficients. Bull. Georg. Acad. Sci. №19, 2003, 16 -18.
53. V. Cagareishvili.
Estimates of Fourier coefficients. Georg. Math. J. 10, 2003, №2, 363-379.
54. V. Cagareishvili.
Absolute convergence of the Fourier series and the Fourier- Haar coefficients. Proc. A. Razmadze Math. Inst. 131, 2003, 79-99.
55. V. Cagareishvili.
Properties of absolute convergence of Fourier series. Bull. Georg. Acad. Sci. 167, 2003, 216 -218.
56. D. Zangurashvili.
The strong amalamation property and codeseem morphisms. Proc. A. Razmadze Math. Inst. vol. 131, 2003, 150.
57. D. Zangurashvili.
On fuctorization theorem form morphisms of groups with operators. Proc. Inst. Sci Workshop "Geometric and Group theory methods in Physics and Mathematics". Batumi, September, 2003.

58. Капанадзе Г. А.

Задача изгиба пластинки для конечной двухсвязной области с частично неизвестной границей. "Прикладная математика". Т. 39(49) №5, 2003, 121-126.

59. Зоненашвили И. А.

Оптимальное подкрепление пластинок с отверстием. "Интеллект", №2(16), 2003, 71-73.

60. Кахая К. В.

Изгиб сил однородного изотропного эллиптического бруса со слабо изогнутой осью. Тр. ТГУ 346, 2003.

61. Шарикадзе Дж. В.

Приближенные уравнения пограничного слоя переменного проводящей жидкости и их интегрирование. Тр. Груз. тех. ун-та. №1 (147) 2003, 30-34.

62. Шарикадзе Дж. В., Шарикадзе В. Дж.

Пограничный слой проводящей жидкости при сильном отсосе. Тр. ТГУ 346, 2003, 187-193.

63. Джорбенадзе Н. Г., Цицкишвили А. Р., Цицкишвили Р. А.

Поток подземных вод к совершенной водосборной галерее треугольной формы. Тр. ТГУ 346, 2003.

64. რ. ჭიღლაძე.

იუპიტერის გალილეისეული თანამგზავრების ელექტროპოლარიმეტრული დაკვირვებები. თსუ მესხეთის ფილიალის შრომები. ტ. 3, გვ. 210-215, 2003.

65. რ. ჭიღლაძე.

შერჩეული ნიმუშების რეფრაქტომეტრული და პოლარიმეტრული კვლევის შედეგები. თსუ მესხეთის ფილიალის შრომები. ტ. 3, გვ. 216-220, 2003.

66. შ. საბაშვილი, რ. ჩაგუნავა.

ბაგრატიონები და ვარსკვლავთმრიცხველობა წიგნში „ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“. „ნეოსტუდია“, თბ., 2003, გვ. 258-273.

67. შ. საბაშვილი.

ანდრია ბენაშვილის დეაწლი საუნივერსიტეტო ასტრონომიულ განათლებაში. „ინტელექტი“, №2 (18) თბ., 2003, გვ. 31-34.

ბამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მიცნობებათა ფაკულტეტი

ფაკულტეტზე რვა კათედრა და ერთი ლაბორატორიაა. 2003 წელს შესრულდა შემდეგი სახის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები:

გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა (გამგე დოც. ნ.ჯიქია). კათედრის თანამშრომლები ეწეოდნენ სამეცნიერო საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ინფორმაციის კომპაქტური წარმოდგენა (ინფორმაციის შეკუმშვა) და კოდირება. მუშაობა მიმდინარეობდა გამოსახულების კომპაქტური კოდირების საკითხებზე, როდესაც ეს გამოსახულება მიღებულია სპეციალურ მრავალდონიან საინფორმაციო მაკოდირებელ ბადეზე (ნ.ჯიქია, ვ.ქოროღლიშვილი).

მათემატიკური პროგრამირების მეთოდების გამოყენება, დაგეგმვისა და მართვის ამოცანების ოპტიმალური ამონახსნის მოძიების საკითხებში (ნ.ჯიქია, ა. არსენაშვილი, ო. კვარაცხელია, გ. ხელაია).

კომპიუტერული ლინგვისტიკის საკითხებზე, კერძოდ, გარკვეულ თემატიკაში სამუშაოები სრულდებოდა ზაარლენდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (ო.კაპანაძე).

კათედრაზე მუშაობს სამეცნიერო ხარისხის ორი მაძიებელი და ორი მაგისტრანტი. კათედრას აქვს თანამედროვე კომპიუტერებით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორია.

კათედრას აქვს გვერდი ინტერნეტში, რომლის მისამართია gic-tsu@yahoo.com

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა, გამოსაქვეყნებლად გადაეცა და დასაბუქლად მომზადებულია კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [1-8].

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრაზე (გამგე აკად. თ.გამყრელიძე) დასრულდა და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება პროფ. თ. გამყრელიძის, დოცენტების ზ.კიკნაძის, ი.შადურისა და ნ.შენგელაიას მონოგრაფია „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“. ეს არის ქართული და მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის ამსახველი, უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით შექმნილი ორიგინალური თხზულება, რომელშიც შეძლებისდაგვარად სრულად განიხილება ენობრივი სისტემების სინქრონული და დიაქრონული ანალიზის უახლესი იდეები, პრინციპები და მეთოდები, ბუნებრივ

ენათა ტაქსონომური და დინამიკური (ე.წ. წარმომშობი, ტრანსფორმაციულ-გენერატული) მოდელები, მსოფლიოს ენათა ცალკეულ ლინგვისტურ ტიპებად კლასიფიკაციის საფუძვლები ენებისთვის სტრუქტურულად არსებითი და რელევანტური ნიშნების მიხედვით, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თანამედროვე კონცეფცია ენათა სტრუქტურულ ტიპოლოგიასა და უნივერსალიათა ლინგვისტიკასთან ურთიერთკავშირში, დამწერლობის სისტემა როგორც ენის ადეკვატური გრაფიკული მანიფესტაცია და მისი განვითარების საფეხურები.

ამის შესაბამისად განისაზღვრება მონოგრაფიის არქიტექტონიკა: პირველ თავში მოცემულია ენის როგორც სემიოლოგიური სისტემის კონცეპტუალური განხილვა და ამასთან დაკავშირებით – ნიშანთა სისტემების ზოგადი თეორიის საწყისები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოძღვრებას ენობრივი ნიშნის ბუნების შესახებ. კარდინალური პრობლემა გადაწყვეტილია დამატებითობის ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური პრინციპის შესაბამისად. განიხილება ენა როგორც საკომუნიკაციო კოდი და კომუნიკაციის მათემატიკური თეორიის საფუძვლები (ენობრივ შეტყობინებათა ინფორმაციულ-თეორიული ანალიზის საკითხები: შეტყობინების ინფორმაციის ზომა, როგორც მისი ალბათობის ლოგარითმული ფუნქცია; ინფორმაციის საშუალო რაოდენობა; საკომუნიკაციო სისტემის ენტროპია ანუ განუზღვრელობის ხარისხი და სიჭარბე).

მონოგრაფიის ტექსტის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ენის ბგერითი მხარის (სამეტყველო ბგერების) ფიზიოლოგიურ (resp. არტიკულაციურ) და ფიზიკურ (resp. აკუსტიკურ) დახასიათებასა და ლინგვისტური ანალიზის პრინციპების პროცედურებისა და სპეციალური მეთოდების განხილვა-შესწავლას იერარქიული ენობრივი სისტემის ყველა დონეზე. ტაქსონომიური ლინგვისტიკა მოიცავს რთული ენობრივი ობიექტების (სტრუქტურების) სემანტიკისა და კლასიფიკაციის პრინციპებს და ამ ენობრივი სტრუქტურების შემადგენელი დისკრეტული ელემენტების პარადიგმატულ და სინტაგმატურ ურთიერთმიმართებათა ამსახველ წესებს. ამას მოსდევს წარმომშობ გრამატიკათა თეორია, რომელიც ენას განიხილავს როგორც დინამიკურ სისტემას და მიზნად ისახავს ამ ურთულესი სისტემის მოქმედების მექანიზმის ახსნას სათანადო მოდელების აგების საფუძველზე. თანამედროვე ლინგვისტური სემანტიკის ძირითადი პრინციპები და მეთოდები ეხება ენობრივი ფორმების ლექსიკური და გრამატიკული

მნიშვნელობების შესწავლას. ენათა სტრუქტურული ტიპოლოგიისა და უნივერსალიათა ლინგვისტიკისადმი მიძღვნილი თავი ეთმობა მსოფლიოს ენათა განაწილებას სხვადასხვა ტიპოლოგიურ კლასებად ღირებული და არსებითი სტრუქტურული ნიშნების მიხედვით და უზოგადესი ენობრივი კანონზომიერებებისა და ნიშან-თვისებების დადგენას, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავენ ენის როგორც ფენომენის ბუნებასა და არსს. ისტორიულ-შედარებითი, დიაქრონიული ენათმეცნიერებისადმი განკუთვნილ თავში შეისწავლება ენობრივი სისტემების დროში მიმდინარე ცვლილებები და გარდაქმნები მათ შორის შესაძლო გენეტიური მიმართებების გამოვლენითა და საერთო წარმომავლობის დადგენით. სპეციალური თავი ეძღვნება ენისა და დამწერლობის ურთიერთმიმართებას. „თანამედროვე ენათმეცნიერების დარგები“ მოიცავს ინტერდისციპლინარული კვლევის ისეთ მიმართულებებსა და მიმდინარეობებს, როგორცაა ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, გამოყენებითი, მათემატიკური და კომპიუტერული ენათმეცნიერება, ლინგვისტური რელატივიზმი და დეტერმინიზმი, ეთნოლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა, ენისა და კულტურის, ენისა და გენეტიკური კოდის ურთიერთმიმართებები. მონოგრაფიის დასკვნის მეთე თავში განიხილება მსოფლიოს ენათა განლაგება ლინგვისტურ რუკაზე, მათი არეალური და გენეალოგიური კლასიფიკაცია, ენობრივი კავშირები და მონათესავე ენათა ოჯახები. მონოგრაფიის ძირითად ტექსტს ერთვის დამატებითი ლიტერატურა თავების მიხედვით, საგნობრივი და პირთა საძიებლები, ბიბლიოგრაფიის ინდექსი, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ მკითხველს წიგნზე მუშაობისას და მისთვის საინტერესო საკითხების გაღრმავებული შესწავლისათვის.

თეორიული ენათმეცნიერების კურსი მრავალმხრივ საყურადღებო უნდა იყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგების სპეციალისტების, უწინარეს ყოვლისა კი, ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებისა და ასპირანტებისთვის. იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლების შესასწავლად.

კათედრის თანამშრომლების მიერ გარდა ამისა მიღებულია შემდეგი სამეცნიერო შედეგები:

საენათმეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოდ მიღებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ ნაჩვენებია, რომ ტექსტის შემქმნელი

სტრუქტურები-ანაფორა და კატაფორა - არსებითად განსხვავებული მოდელებია (ნ.შენგელაია).

ნაჩვენებია, რომ სივრცის სამგანზომილებიანი სემანტიკური ველიდან დროის ველში გადასვლისას შეიმჩნევა გარკვეული პარალელიზმი. ამ მეტაფორაში მონაწილე ქართული ბმული თანდებულები ორივე სემანტიკურ ველში ქმნიან ასიმეტრიულ წყვილებს (ი.შაღურია).

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა და დასაბუტყდად მომზადდა კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [9-12].

კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის (გამგე პროფ. პ. მელაძე) კათედრის თანამშრომელთა მიერ მიღებული ძირითადი სამეცნიერო შედეგები:

შესწავლილია დროის მიხედვით არალოკალური ამოცანები აბსტრაქტულ ჰილბერტის სივრცეებში I რიგის ევოლუციური განტოლებისათვის. კლასიკური ამოცანების მიმდევრობა ისე არის აგებული, რომ მათი ამონახსნები იკრიბება არალოკალური ამოცანის ამონახსნისაკენ. ნაჩვენებია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არალოკალური ამოცანა შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაბამისი კლასიკური ამოცანის აპროქსიმაცია.

აგებულია და შესწავლილია მიწისძვრის შესაძლებლობის პროგნოზის მათემატიკური მოდელი ბმულობის მეთოდის საფუძველზე. შექმნილია სუსტი, საშუალო და ძლიერი მიწისძვრის კომპიუტერული ხატები. შემოსული სიგნალების და სხვადასხვა პარამეტრების გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემების ამ ხატებთან შედარების საფუძველზე შეიძლება დადგენილ იქნეს მიწისძვრის შესაძლებლობის ზომა.

აგებულ იქნა ფონ კარმან-რეისნერის ტიპის სივრცული ცვლადების მიმართ ორგანზომილებიანი მათემატიკური მოდელები ბინარული ნარეგებისათვის დრეკადი ფირფიტის შემთხვევაში. ამ მიზნით აგებულ იქნა არაწრფივი დინამიური სამგანზომილებიანი (სივრცული ცვლადების მიმართ) მათემატიკური მოდელი დრეკადი არეებისათვის და გამოყენებულ იქნა ადრე განვითარებული მეთოდები.

შესწავლილ იქნა მეორე რიგის ევოლუციური განტოლებების ამოხსნადობისა და ეფექტური რიცხვითი ალგორითმების აგების საკითხები იმ შემთხვევისათვის, როდესაც დრო იცვლება დადებით ნახევარღერძზე. ამ შემთხვევაში ლაგერის პოლინომების

გამოყენებით ამონახსნი განისაზღვრება როგორც სტაციონარული ამოცანების მიმდევრობათა ამონახსნებით შედგენილი არასრული ფურიე-ლაგერის მწკრივი. შესწავლილია რიცხვით პროცესებთან დაკავშირებული საკითხები.

დამტკიცებულია გარკვეულ სტაციონარულ განტოლებათა სისტემის V-ელიფსურობა, რომლის კერძო შემთხვევაა დრეკადობის სივრცული თეორიის შესაბამისი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ანიზოტროპული გარემოსათვის.

კერძოწარმოებულიანი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის, რომელიც აღწერს ძელის რხევას, შესწავლილია ამოხსნადობის საკითხი და მიღებულია ერთი რიცხვითი მეთოდის ცდომილების შეფასება.

შესწავლილია არამკაფიო საშუალო მნიშვნელობები არამკაფიო გარემოში: არამკაფიო მოსალოდნელი მნიშვნელობა (FEV), შეწონილი არამკაფიო მოსალოდნელი მნიშვნელობა (WFEV) და არამკაფიო მოსალოდნელი ინტერვალი (FEI). განხილულია მათი თვისებები და მოყვანილია შესაბამისი მაგალითები. შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა მათი მნიშვნელობების დასათვლელად. შემოტანილია ორი ახალი არამკაფიო საშუალო მნიშვნელობა: განზოგადებული შეწონილი არამკაფიო მოსალოდნელი მნიშვნელობა (GWFEV) და შეწონილი არამკაფიო მოსალოდნელი ინტერვალი (WFEI). შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა მათი მნიშვნელობების დასათვლელად. განხილულია მაგალითები, როდესაც ეს საშუალოები უკეთეს შედეგებს იძლევა სხვებთან შედარებით.

განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს ძელის რხევას. გალიორკინის მეთოდის და კრანკ-ნიკოლსონის სქემის საშუალებით ამოცანა დისკრეტოზებულია სივრცითი და დროითი ცვლადების მიმართ. ამის შედეგად მიღებული არაწრფივი ალგებრულ განტოლებათა სისტემა იხსნება იტერაციულად. დამტკიცებულია იტერაციების კრებადობა.

კათედრის თანამშრომელთა (მ. თხელიძე, ნ. კარბელაშვილი, ა. ველიჯანაშვილი, ც. მიშელაძე, მ. ყარაღაშვილი) მიერ გრძელდებოდა მუშაობა ინფორმატიკის სწავლების მეთოდის პრობლემეტიკის დასამუშავებლად. დაიწყო მუშაობა დისტანციური სწავლების სასწავლო კურსის ინტერნაციონალიზაციის პრობლემებზე. შემოთავაზებულია და შესწავლილია დიდაქტიკური, კულტურული და პროგრამული პრობლემების გადაჭრის მეთო-

დები. ყველა ეს მეთოდი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას.

კათედრის თანამშრომლების მიერ მოპოვებულ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო გრანტები:

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის გრანტი №A-823 „მაღალმწარმოებლური გამოთვლების და მონაცემთა ბაზის გარემოს შექმნა სომხეთში“. ხანგრძლივობა 30 თვე, 1.03.2003-დან 1.09.2005-მდე. შემსრულებლები: კ.მელაძე, პ. წერეთელი, ი.ბლიაძე, თ.დავითაშვილი. გაელილ პერიოდში: დამუშავებულია პარალელური სინქრონული ალგორითმები არაწრფივი ალგებრული განტოლებისა და განტოლებათა სისტემის ამოხსნისათვის. დაწყებული შესაბამისი პარალელური პროგრამის დამუშავება კლასტერული ტიპის გამოთვლითი სისტემისათვის.

დაწყებულია არაწრფივ განტოლებისა და განტოლებათა სისტემისათვის ასინქრონული პარალელური ალგორითმების დამუშავება.

დაწყებულია გაზური დინამიკის ამოცანებისათვის ავტომოდული ამოხსნების პოვნის პარალელური ალგორითმების დამუშავება.

დამუშავებულია წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნის სწრაფი პარალელური ალგორითმები. დაწყებულია მათი რეალიზაცია და ტესტირება კლასტერული სისტემისათვის.

პროექტის models for control and management of pollution level of fluvial waters and their realization by application package გრანტი გადმოცემულია Georgian Research and Development Foundation (GRDF)-ის მიერ.

მუშაობა მიმდინარეობს გარემოს დაბინძურების სხვადასხვა მათემატიკური მოდელის დაზუსტებაზე, კვლევასა და რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმების დამუშავებაზე. კერძოდ კი, თეორიული თვალსაზრისით მიიღება მეორე რიგის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები ელიფსური, პარაბოლური და პლურიპარაბოლური, არაკლასიკური სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო პირობებით. არაკლასიკური პირობები შეიძლება წარმოადგენდნენ დისკრეტულ ე.წ. ბიწაძე-სამარსკის სასაზღვრო პირობების განზოგადოებებს ან ინტეგრალურ სასაზღვრო პირობებს. ეს ამოცანები, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარმოიშობა ხოლმე, ეკოლოგიური, კერძოდ კი, მდინარეებში მომწამლაკი ნივთიერებების გავრცელებისა და დიფუზიის პროცესების აღმწერი პროცესების მათემატიკური მოდელირებისას.

კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო სემინარებში თანამშრომლების მონაწილეობა:

აკად. ვ. კუპრაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია: პოტენციალთა თეორია: გამოყენებანი მყარი ტანის მექანიკაში, აკუსტიკასა და ელექტრომაგნიტური ტალღების თეორიაში. თბილისი, 2003 წ., 23-25 ოქტომბერი. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ კათედრის თანამშრომლები: ზ. გეგეჭკორი, მ. წიკლაური, ჯ. როგავა. მაღალი რიგის სიზუსტის ლიტროტერის ტიპის დეკომპოზიციის ფორმულები ნახევარჯგუფებისათვის.

თ. ვაშაყმაძე. ჰგანზომილებიან ანიზოტროპულ დრეკადობის თეორიის დინამიკის ამოცანების შესახებ.

ვ. ხუხუნაიშვილი, ზ. ხუხუნაიშვილი. კვაზიწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების ალგებრული თვისებები.

ე. გორდეზიანი, ნ. გორდეზიანი. სხვაობიანი მეთოდები პლურიპარაბოლური განტოლებებისათვის.

UNESCO Regional Bureau for Science in Europe, Georgian Academy of Sciences, Tbilisi State University, Odlar Yurdu University, Baku, Azerbaijan, Program of ISPM School & Workshop on "Mathematical Modeling and Monitoring of Environmental Pollution and Its Effects" (მათემატიკური მოდელირება და მონიტორინგი გარემოს გაბინძურებისას და მისი ეფექტები), 22-26 September, 2003, Baku, Azerbaijan.

Gordeziani E. Investigation and Realization of the Numerical Algorithms for Mathematical Models Describing Impurity Spreading in Rivers.

Chanturia A., Meladze H., Skhirtladze N., Kharalashvili M. Mathematical Modeling of the Collapse of Big Volume Mountainous Landslide Masses

აკად. ვ. კუპრაძის დაბადებიდან 100 წლისთავისა და აკად. ნ. ვეკუას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სიმპოზიუმი დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში, თბილისი, 2003 წ. 24-25 დეკემბერი.

ჯ. ფერაძე. ძელისათვის ერთი არაწრფივი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობა და მისი მიახლოებითი ამონახსნის აგების ალგორითმი.

ზ. გეგეჭკორი, ჯ. როგავა, მ. წიკლაური. მაღალი რიგის დეკომპოზიციის ფორმულები ნახევარჯგუფებისათვის.

კათედრის დოქტორანტებისა და მაძიებლების მიერ დაცული დისერტაციები:

დოქტორანტი ა. ველიევი (ბაქო) – ორმაგი კონვექციური დიფუზიის მათემატიკური მოდელების აგება და გამოკვლევა. დისერტაცია დაცულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 2003 წლის 11 აპრილს (სამეცნიერო კონსულტანტი პროფ. პ. მელაძე).

მაძიებელი მ. წიკლაური – მაღალი რიგის სიზუსტის დეკომპოზიციის სქემები ევოლუციური ამოცანებისათვის. დისერტაცია დაცულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 2003 წლის 9 იანვარს (მეცნიერ-ხელმძღვანელები დოც. ზ. გეგეჭკორი, პროფ. ჯ. როგაეა).

მაძიებელი ე. გორდეზიანი – სოგიერთი არაკლასიკური ამოცანის გამოკვლევისა და რიცხვითი ამოხსნის აგების შესახებ. დისერტაცია დაცულია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 2003 წლის 29 აპრილს (მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. თ. ვაშაყმაძე).

მომზადებულია და წარდგენილია დასაცავად შემდეგი საკანდიდატო დისერტაციები:

ა. სიხარულიძე – არამკაფიო მონაცემების წარმოდგენა საექსპერტო სისტემებში ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ტექნოლოგიების გამოყენებით (ხელმძღვანელები დოც. თ. გაჩეჩილაძე, დოც. გ. სირბილაძე).

ვ. მიშელაძე – ალგორითმების სწავლების მეთოდთა საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (ხელმძღვანელები დოც. მ. თხელიძე, დოც. ნ. სხირტლაძე).

საერთაშორისო კონტაქტები:

პროფ. თ. ვაშაყმაძე – 2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მივლინებული იყო აშშ-ს მერილენდის, დელავერისა და ჩრდილოეთ დაკოტის უნივერსიტეტებში. წაიკითხა მოხსენებები მერილენდისა და ჩრდილოეთ დაკოტის უნივერსიტეტების სამეცნიერო სემინარებზე.

დოც. ა. შაფათაევა 2003 წლის 21 აპრილიდან 21 მაისამდე მიწვეული იყო პარიზის (საფრანგეთი) სენტ-დენისის უნივერსიტეტში „მოწვეული პროფესორის“ სტატუსით. წაიკითხა ლექციები სტუდენტებისათვის რიცხვით მეთოდებში. აგრეთვე ჩაატარა ერთი მიმოხილვითი ლექცია პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

დოც. ე. გორდეზიანი მონაწილეობდა NATO-ს ASI და PrometheousINC-ის მიერ 6-19 ივლისს იტალიაში ჩატარებულ კონფერ-

ენციაში და სემინარების: "Non-Commutative Algebra and its Applications 2003" მუშაობაში. მოხსენება გაკეთებულ იქნა პოსტერის სახით.

კათედრაზე მუშაობს სტუდენტთა ორი სამეცნიერო წრე. ხელმძღვანელები: პროფ. თ. ვაშაყმაძე და დოც. თ. კივილაძე.

ოსუ სტუდენტთა 63-ე სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდა 25 სტუდენტი და მაგისტრი.

კათედრის თანამშრომელთა, ასპირანტთა და სტუდენტთა მიერ მოპოვებული იქნა შემდეგი ჯილდოები და პრემიები:

მიმდინარე წელს პ. მელაძის და ნ. სხირტლაძის სახელმძღვანელოს „გამოყენებითი მათემატიკის საწყისები“ მიენიჭა საუნივერსიტეტო პრემია.

სტუდენტთა და ასპირანტთა სოროსის კონფერენცია-კონკურსში III პრემია მიიღეს ასპირანტმა დ. ჩოკორაიამ ნაშრომისათვის „ეკუას მეთოდის გამოყენება არადამრეცი სფერული გარსებისათვის“ (ხელმძღვანელები: პროფ. პ. მელაძე, პროფ. თ. მეუნარგია).

IV კურსის სტუდენტმა თ. ლომთაძემ ნაშრომისათვის „აბსტრაქტული ჰიპერბოლური განტოლებებისათვის კოშის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა უნიტარულ ჯგუფთა აპროქსიმაციის მეთოდით“ (ხელმძღვანელები: დოც. ზ. გეგეჭკორი, პროფ. ჯ. როგავა).

სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე გაიმარჯვეს: მაგისტრებმა: ვ. ხუხუნაიშვილმა (III პრემია), თ. არობელიძემ (II პრემია), IV კურსის სტუდენტმა გ. სერგიამ (III პრემია).

პროფ. თ. ვაშაყმაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, მისი მონოგრაფია – The Theory of Anisotropic Elastic Plates წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე.

სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე ACM ICPC 2003-2004, Northeastern European Regional Contest. St Petersburg-Barnaul-Yerevan, November 26, 2003. საქართველოს ნაკრებმა გუნდმა პროგრამირებაში, რომელიც დაკომპლექტებული იყო კათედრის სტუდენტებით (ხელმძღვანელი თ. ზარქუა), დაიკავა I ადგილი.

2003 წელს გამოქვეყნდა კრებული „ბაგრატიონები-სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (მთავარი რედაქტორი აკად. რ.მეტრეველი, სარედაქციო კოლეგიის წევრი პროფ. თ. ვაშაყმაძე). წიგნი წარმოადგენს ბაგრატიონთა მრავალმხრივი შემოქმედების ფართო სპექტრის ასახვის პირველ ნაბიჯს. თ. ვაშაყმაძე ავტორია (რ. ჩაგუნავასა და თ. ეფრემიძესთან ერთად) სტა-

ტიისა: „ანგარიშის ცოდნა“ (შეხება ძირითადად ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას მათემატიკურ დისციპლინებში), გვ. 309-326.

ინტერნეტში www.sit.edu.ge მისამართზე განთავსებულია კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის Web-გვერდი. ინფორმაცია საიტზე წარმოდგენილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

კათედრას აქვს გვერდი ინტერნეტში, რომლის მისამართია: <http://www.sit-tsu.edu.ge>

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა და გადაეცა დასაბეჭდად კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [13-36, 80, 81].

მათემატიკური კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის (კათედრის გამგე პროფ. გ. ცერცვაძე) კათედრის თანამშრომელთა მიერ მიღებული ძირითადი სამეცნიერო შედეგები:

განხილულია ალბათურ-შესაძლებლობითი ბუნების ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე მეთოდი – ბმულობათა ანალიზის მეთოდი, რომლის საშუალებით აგებულია მიწისძვრის წინამორბედის – ატმოსფერული ელექტრული ველის კომპიუტერული ხატი. ნაჩვენებია, რომ ყოველი კონკრეტული დაკვირვების შედეგის შედარება ამ ხატთან საშუალებას იძლევა შეფასდეს მიწისძვრის შესაძლებლობის ზომა.

ჩამოყალიბებულია ქრონოლოგიისათვის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი და ნაჩვენებია, რომ ამ პრინციპის შესაბამისი პროცედურა ცხადი სახით იყენებს კლასიკურ ე.წ. ჩინურ თეორემას ნაშთების შესახებ.

რესტავირებულია ქრისტიანული ქრონოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – წელთაღრიცხვათა ნორმალიზაციის პრინციპი. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში დადგენილია, რომ ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვები – ქართული დასაბამი და ქორონიკონი ორგანიზებული არიან უშუალოდ ნორმალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან ერთად ამ პრინციპზე დაყრდნობით, გადაწყვეტილია თანამედროვე წელთაღრიცხვის წარმომავლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კალენდრულ – ქრონოლოგიური პრობლემაც. კერძოდ, დიონისე მცირეს 532-წლიანი პასქალური მოქცევის რესტავრაციის შედეგად აღდგენილ იქნა ამ მოქცევის შესაბამისი

მისი ნორმალიზებული ერა დასაბამიდან ეპოქით 1 იანვარი 4713 წ. ჩვ. წ-მდე, რომელიც ქრონოლოგიაში სკალიგერის ერის სახელით არის ცნობილი.

მეცნიერებათა ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარმა ფ. კუგლერმა აღმოაჩინა, რომ ძველ ბაბილონურ ასტროლოგიურ ტექსტებში არაერთგზის გვხვდება დაბნელებათა ე.წ. დიდი ბაბილონური პერიოდი სიგრძით 684 წელი. ახსნილია დაბნელებათა ამ პერიოდის გენეზისთან დაკავშირებული საიდუმლო.

განხილულია სასრული ავტომატების კოლექტიური ქცევის მოდელის ერთი ვარიანტი. შესწავლილია ავტომატების სტაციონარული განაწილების გამოსახულებები და მიღებულია ამ განაწილების დამყარების ასიმტოტური შედარება.

განხილულია მრავალდონიანი კოდირებისა და მისი გამოყენების საკითხები.

შემუშავებულია არასეპარაბელურ გულებიანი ვოლტერას პოლინომებით წარმოდგენილი არაწრფივი სტატიკური სისტემების იდენტიფიკაციის ალგორითმები.

ფინანსური პროგრამის შედგენის ამოცანა დაყვანილია მათემატიკური დაპროგრამების ამოცანაზე, რომლის საბაზო ვარიანტი შეიცავს 18 ძირითად მაკროეკონომიკურ აგრეგატს. აღნიშნული მიდგომის ბაზაზე შემუშავებულია კომპიუტერული პროგრამული პაკეტი, რომელიც იძლევა ფინანსური დაპროგრამების ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას დიალოგიურ რეჟიმში.

ჩამოყალიბებულია ქვეყნის ეკონომიკის მაქსიმალურად აგრეგირებული ეკონომეტრიკული მოდელის სახე და განხილულია მისი პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემა საქართველოსათვის. ამასთან, მოდელის დაზუსტების მიზნით, ინვესტიციების დინამიკური განტოლების გარდა შემუშავებულია მისი სტატისტიკური ვარიანტიც. ჩატარებულია აგრეგირებული ეკონომეტრიკული მოდელის დინამიკური და სტატიკური ვარიანტის ადეკვატურობის ანალიზი. ჩატარებულია ამ მოდელის დინამიკური და სტატიკური ვარიანტის სიზუსტის შედარებითი ანალიზი შერჩევითი პერიოდისათვის, რითაც დადასტურდა მოდელის დინამიკური ვარიანტის უპირატესობა სტატიკურთან შედარებით.

განხილულია სიმის სტატიკური მდგომარეობის აღმწერი კირხჰოფის არაწრფივი განტოლება. შესწავლილია ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების ამოხსნის ჩიპო-როდრიგესის მეთოდის მდგრადობის საკითხი.

კათედრის სტუდენტმა მ. მჭედლიშვილმა დაიკავა პირველი ადგილი 2003 წლის რესპუბლიკურ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაში ინფორმატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობით.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა და გადაეცა დასაბუჯდად კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [13, 18, 37-44, 80, 81].

მათემატიკური მოდელირების კათედრა (გამგე დოც. ნ.სხირტლაძე) მათემატიკური მოდელირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრთან ერთად სამეცნიერო მუშაობას სამი ძირითადი მიმართულებით ატარებს: უწყვეტი გარემოს მექანიკის არაწრფივი ამოცანების მათემატიკური მოდელირება; სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მათემატიკური მოდელირება; უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის პრობლემების მათემატიკური მოდელირება.

კათედრის თანამშრომელთა მიერ მიღებული ძირითადი შედეგები: საანგარიშო პერიოდში პირველი მიმართულებით დოც. ნ. სხირტლაძის, ფიზ.მათ.მეც.კანდ. ა. ჭანტურიას მიერ პროფ. პ. მელაძესა და მაგისტრანტ მ. ყარალაშვილთან ერთად მარჩხი წყლის თეორიის საფუძველზე აგებულია შემდეგი ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი მათემატიკური მოდელები: მთის დიდი მოცულობის მეწყერული მასივების ჩამოქცევის მათემატიკური მოდელი; კაშხლის ნგრევისას გამრღვევი ტალღის ფორმირების და გავრცელების მოდელი. მათემატიკური მოდელის რიცხვითი ამოხსნისათვის გამოიყენება არაწრფივრეგულარიზატორიანი ორშირიანი პარამეტრული სხვაობიანი სქემა. მეწყერული ნაკადის მახასიათებელი პარამეტრები გამოთვლილია ტოკის მეწყერის მაგალითზე, რომლის ჩამოქცევა მოხდა ვაიონტის წყალსაცავში (იტალია) 1963 წ. ჩატარებული მუშაობის ერთი ნაწილი მოხსენების სახით წარდგენილი იქნა ქ. ბაქოში ა.შ. 22-26 სექტემბერს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე.

ამავე მიმართულებით დოც. გ. გელაძე მუშაობდა ატმოსფეროს მეზომასშტაბურ სასაზღვრო ფენაში აეროზოლის გავრცელებაზე გარე ველებისა და წყაროების გავლენის მათემატიკური მოდელირების საკითხებზე.

პროფ. გ. ჯაიანის მიერ შესწავლილი იქნა ქაბვის ტენზორის ფიზიკური და მათემატიკური მომენტების ურთიერთმიმართების საკითხი და სასაზღვრო ამოცანების დასმის თვალსაზრისით, წამახვილებული ფირფიტებისა და ღეროებისათვის აგებულ ორ და ერთგანზომილებიანი მოდელებისათვის კორექტულად დასმული სასაზღვრო ამოცანების ფიზიკურ და სამგანზომილებიანი მოდელებთან მიმართების საკითხი.

პროფ. გ. ხატიაშვილი აგრძელებდა მუშაობას დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანების კერძო შემთხვევების ამოხსნის მიმართულებით. მის მიერ აგებულია ზოგადი სახის წრფივი ანიზოტროპიის მქონე არმირებული ცილინდრებისათვის სათანადო ამოხსნები.

მეორე მიმართულებით წლების განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგები სისტემატიზებული და თავმოყრილი იქნა დამხმარე სახელმძღვანელოში [35].

მესამე მიმართულების კვლევების ერთი ნაწილი (უმაღლესი სკოლის განვითარების სტრატეგიული მოდელები) შევიდა ზემოთ ხსენებულ დამხმარე სახელმძღვანელოში [35].

საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაცემთა ბაზების ერთიანი სტრუქტურის ჩამოყალიბების, მათი ერთ სერვერულ მოდულზე განთავსებისა და მათი მომსახურებისათვის ზოგადსაუნივერსიტეტო ქსელის შექმნისათვის (შემსრულებლები დოც. ნ. სხირტლაძე, დოც. ვ. ჯავახიშვილი, ზ. შონია, მაგისტრანტი თ. საბახტარაშვილი). საანგარიშო წელს მოდერნიზებული იქნა და ექსპლუატაციაში შევიდა მაგისტრატურის მონაცემთა ბაზა, რომელიც ლოკალურ Paradox-ის ტიპის ბაზას წარმოადგენდა. იგი გადატანილი იქნა Microsoft SQL Server 2000-ის გარემოში. 2003-2004 სასწავლო წელს მაგისტრანტთა მიღება მოხდა ამ ახალი ბაზისა და მისი კომპიუტერული უზრუნველყოფის გამოყენებით.

იგივე გარემოში შეიქმნა ბაკალავრიატში საუნივერსიტეტო არჩევითი დისციპლინების შემსწავლელი სტუდენტების ბაზა და მოხდა ცალკეული დისციპლინის შემსწავლელ სტუდენტთა ჯგუფების ფორმირება ვაკის და საბურთალოს რეგიონების მიხედვით და სხვ.

კათედრის თანამშრომელთა მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში:

I. Chanturia A., Meladze H., Skhirtladze N., Kharalashvili M., Mathematical Modeling of the Collapse of Big Volume Mountainous Landslide Masses. UNESCO Regional Bureau for Science in Europe, Georgian Academy of Sciences, Tbilisi State University, Odlar Yurdu University, Baku, Azerbaijan, Program of ISPM School & Workshop on "Mathematical Modeling and monitoring of Environmental Pollution and Its Effects."

(მათემატიკური მოდელირება და მონიტორინგი გარემოს გაბინ-
ქურებისას და მისი ეფექტები).

კათედრის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით დაცული დი-
სერტაციები:

პროფ. გ. ჯაიანის ხელმძღვანელობით საანგარიშო წელს და-
ცულია საკანდიდატო დისერტაცია: ნ. ჩინჩაღაძე, წამახვილე-
ბული ფირფიტების ბლანტი სითხით გარსდენა.

საერთაშორისო სამეცნიერო გრანტები:

ფიზ.მათ.მეცნ.კანდ. თ. დავითაშვილი მონაწილეობდა სამეც-
ნიერო თემის „Создание среды высокопроизводительных вычислений
и баз данных в Армении“ (МНТЦ, А 823) დამუშავებაში.

საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით შემუშავდა პარა-
ლელური თვლის საიტერაციო ალგორითმები არაწრფივი გან-
ტოლებების მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად. მუშავდება
აგრეთვე გაზური დინამიკის ზოგიერთი ამოცანის ამონახსნის
პოვნის პარალელური საიტერაციო ალგორითმები. შედგენილია
პროგრამები და გამოთვლები ჩატარებულია კლასტერზე. მიღე-
ბული შედეგები გაფორმებულია სტატიის სახით მოსკოვის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოსაქვეყნებლად.

კათედრის თანამშრომელთა მიერ მოპოვებული ჯილდოები და
პრემიები:

საანგარიშო პერიოდში დოც. ნ. სხირტლაძის და ჰ. მელაძის
სახელმძღვანელოს „გამოყენებითი მათემატიკის საწყისები“, თსუ,
2000 წ. მიენიჭა საუნივერსიტეტო პრემია.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა კათედრის თანამშრო-
მელთა ნაშრომები [23, 33, 35, 45-51].

მართვის თეორიის კათედრა (გამგე აკად. გ. ხარატიშვილი).

საანგარიშო პერიოდში შესრულებულია შემდეგი სამეცნიერო
სამუშაო:

ოპტიმიზაციის გლუვ ამოხსნეკილ ამოცანათა სპეციალურ
კლასში დამტკიცებულია ექსტრემალურობის პრინციპი. ამ პრინ-
ციპის გამოყენებით ოპტიმალური მართვის წრფივ შერეულშეზ-
ღუდვებიან ამოცანაში გამოყვანილია ოპტიმალურობის აუცილე-
ბელი პირობები და ამ ბაზაზე აგებულია ოპტიმალური პროცესი
დაგროვება-მოხმარება ტიპის ეკონომიკური ამოცანის შესაბამისი
მათემატიკური მოდელისათვის (ზ. ცინცაძე).

შესწავლილია ორდარგოვანი საწარმოო პროცესის ოპტიმი-

ზაციის ამოცანა დაგვიანებებისა და “ვიწრო ადგილის” ტიპის შეზღუდვების პირობებში. აგებულია ამ ამოცანის მათემატიკური მოდელი და პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგის გამოყენებით დადგენილია ოპტიმალური მართვის სტრუქტურა. პარამეტრების ზოგიერთი მნიშვნელობისთვის (დადგენილი ოპტიმალური სტრუქტურის გათვალისწინებით) ბოლომდეა ამოხსნილი განხილული პროცესის ოპტიმიზაციის ამოცანა (ზ. ცინცაძე).

ოპტიმალური მართვის წრფივ შერეულ შეზღუდვებიან ამოცანაში მიღებულია პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგი დროის ფიქსირებულ მონაკვეთზე შუალედური ფუნქციონალური შეზღუდვების არსებობის პირობებში (ზ. ცინცაძე).

დაგვიანებულარეუმენტებიანი არაწრფივი და ნეიტრალური ტიპის კვაზიწრფივი სამართი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით, დამტკიცებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები (თ. თადემაძე, ლ.ალხაზიშვილი).

ბულის წრფივი პროგრამირების ამოცანების მიახლოებითი ამონახსნებისათვის შესწავლილია მდგრადობის საკითხი. მიღებულია მდგრადობის რადიუსის გამოსათვლელი ფორმულა. შესწავლილია მარშრუტიზაციის ამოცანების ერთი კლასი (ბ. დვაბერიძე).

არამკაფიო დაფარვის ამოცანის ბიკრიტერიალურ ამოცანაზე მიყვანის გზით დამუშავებულია მისი ამოხსნის მეთოდი (ბ. დვაბერიძე).

კათედრის თანამშრომლებმა დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები:

კ. გელაშვილი, აბსტრაქტული ევოლუციური სისტემების ანალიზი და გამოყენებები ექსტრემალურ ამოცანებსა და დიფერენციალურ განტოლებებში

ზ. ცინცაძე, შეზღუდვათა მოხსნის ლაგრანჟის პრინციპი და მისი გამოყენება ოპტიმიზაციის გლუვ-ამოზნექილ ამოცანებში.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა და გადაეცა დასაბეჭდად კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [52-62].

უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე (გამგე პროფ. რ. კორძაძე), საანგარიშო პერიოდში შესრულებულია შემდეგი სამეცნიერო სამუშაო:

შემოღებულია $L_{\bar{z}}^{(\alpha)}(\Omega)$ და $C_{loc, \bar{z}}^{(\alpha)}(\Omega)$ ვექტორული სივრცეები და მოცემულია ამ სივრცეთა ნებისმიერი ვექტორების ზოგადი წარმოდგენა პოლომორფულ ფუნქციათა საშუალებით. დამტკიცებულია შებრუნებული თეორემები, დამყარებულია ურთიერთ ცალსახა თანადობა შესაბამისად $L_{\bar{z}}^{(\alpha)}(\Omega)$ და პოლომორფულ ვექტორთა $\tilde{L}^{(\alpha)}(\Omega)$ სივრცეთა შორის, $C_{loc, \bar{z}}^{(\alpha)}(\Omega)$ და პოლომორფულ ვექტორთა $\tilde{C}_{loc}^{(\alpha)}(\Omega)$ სივრცეთა შორის, აგრეთვე ორი ცვლადის პოლომორფულ ფუნქციათა გარკვეულ კლასსა და $C_{loc, \bar{z}}^{(\alpha)}(\Omega)$ სივრცეთა შორის. შესწავლილია ერთი კლასის უსასრულო რიგის დიფერენციალურ განტოლებათა უსასრულო სისტემის ამოხსნათა ძირითადი თვისებები (რ.კორძაძე).

შემოღებულია ორი ცვლადის ფუნქციათა $BV(p(n)) \uparrow p, q(n) \uparrow q, r(n) \uparrow r$ კლასები. შესწავლილია ამ კლასების ზოგიერთი თვისება. მიღებულია $BV(r(n)) \uparrow \infty \subset V[v_1, v_2, v]$ ჩართვის პირობები. დამტკიცებულია ფურიეს მწკრივის თანაბარი კრებადობის საკმარისი ნიშანი. შესწავლილია თანაფარდობა უოტერმანისა და ვინერის ფუნქციათა განზოგადებულ კლასებს შორის (თ.ახობაძე).

განიხილებოდა ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს კლიმატური სისტემის მათემატიკური მოდელირების საკითხები. შექმნილია რიცხვითი მოდელი, რათა შესწავლილ იქნეს შავი ზღვის რეაქცია არასტაციონარულ ატმოსფერულ პროცესებზე. აღნიშნული მოდელის საშუალებით ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები შავი ზღვის დინამიკის ცვალებადობის გამოსაკვლევეად. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეალურ დროში დაკვირვების მონაცემთა ციფრების სადგურის არსებობის შემთხვევაში შექმნილი მოდელის მეშვეობით შესაძლებელია განვახორციელოთ შავი ზღვისა და ატმოსფეროს მონიტორინგი. მონიტორინგის განხორციელება საშუალებას იძლევა რეალურ დროში დაეკვირდეთ ატმოსფეროსა და ზღვის დინებებს, ტემპერატურის ველს, ატმოსფეროს ტენიანობასა და ზღვის მარილიანობას, სიმკვრივეს და სხვ. (ა.კორძაძე).

განხილულია პოტენციალთა თეორიის შებრუნებული ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის საკითხი. დამტკიცებულია

ერთადერთობის თეორემა, საიდანაც მიიღება კერძო შემთხვევაში პ.ნოვიკოვის და ლ.სრეტინსკის შედეგი. გარდა ამისა, განხილულია არალოკალური ამოცანა. ჩამოყალიბებულია ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის პირობები ბიპარმონიული განტოლებისათვის (ჯ.კაპანაძე).

სინგულარული ინტეგრალი განსაზღვრულია ახალ ფუნქციათა კლასში, კერძოდ, კვაზიორადპერიოდულ ფუნქციათა კლასში და ამ კლასში მიღებულია წრფივი სინგულარული ინტეგრალური განტოლების ეფექტური ამოხსნები (ნ.ხატიაშვილი).

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა და გადაეცა დასაბუჯდად კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [63-79].

შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრა (გამგე აკად. ნ.ე. ხანია).

კათედრაზე სრულდებოდა ორი თემა:

გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე ექსპერტულ-ანალიტიკური არამკაფიო ტექნოლოგიები და არამკაფიო დინამიური სისტემები.

შესწავლილია ზოგიერთი ტიპის არამკაფიო დინამიური სისტემები ე.წ. ექსტრემალური სისტემები, აგებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს სუჯენოს ტიპის არამკაფიო ინტეგრალის გავრცობის თეორიას. მიღებულია გარკვეული შედეგები, რომლებიც ასახულია სამეცნიერო ნაშრომებში. ექსტრემალურ სისტემებში მნიშვნელოვანი როლი უკავია გადაწყვეტილებათა ანალიზს.

გადაწყვეტილების მიღების არამკაფიო ექსპერტულ-ანალიტიკურ მოდელირებაში არსებითია არამკაფიო ზომების შესწავლა. ამ მიზნით შესწავლილია არამკაფიო ზომების კამპოს-ბოლანოსისა და მუროფოში სუჯენოს ალბათური წარმოდგენები. დადგენილია კავშირი მათ შორის. დამტკიცებულია თეორემები შოკის მეორე რიგის ტევადობათა თვისებებზე აღნიშნულ წარმოდგენებში. შესწავლილია მონოტონური მოლოდინის ზოგიერთი ახალი თვისებები (გ. სირბილაძე).

ზოგადი განუზღვრელობის (არამკაფიო განუზღვრელობის) მქონე გადაწყვეტილებათა ანალიზში მნიშვნელოვანია არამკაფიო სტატისტიკური მეთოდების განვითარება. ამ მიზნით შექმნილია განზოგადოებულ არამკაფიო შეწონილ სტატისტიკათა ერთიანი თეორია. შესწავლილია მათი ძირითადი თვისებები არამკაფიო ზომის კამპოს-ბოლანოსის წარმოდგენებში. აგებულია

გამოთვლითი იტერაციული ალგორითმები განზოგადოებული შეწონილი სტატისტიკების პრაქტიკაში მათი ეფექტური გამოყენებისათვის. შექმნილია მათი ინტერვალური გაფართოებანი და გამოთვლითი ალგორითმები(გ. სირბილაძე).

თემის ფარგლებში შესწავლილია დისკრეტული ოპტიმიზაციის გადაწყვეტილებებში არამკაფიო დაფარვის ერთი ამოცანა, რომელიც მიყვანილია ბიკრიტერიალურ ამოცანამდე, რომლის გამოთვლითი ალგორითმები კარგადაა ცნობილი(გ. სირბილაძე).

აგებულია არამკაფიო განაწილებანი: ბინომიალური, პუასონის, გაუსის, უარყოფითი ბინომიალური და სხვ.(თ. გაჩეჩილაძე).

თემის შესრულებისას მათემატიკური ლინგვისტიკის ამოცანებში გამოყენებულია არამკაფიო ზომის აპარატი ენის სტრუქტურების არამკაფიო იმიჯის ასაგებად. გაანალიზებულია 5 ენა: ინგლისური, ფრანგული, ლათინური, ესპანური, ქართული. ასევე აგებულია ენის ე.წ. წრფივი სტრუქტურები (თ. გაჩეჩილაძე, გ. სირბილაძე, თ. მანჯაფარაშვილი, ნ. ჯორჯიაშვილი, ნ. ზაპოროჟეცი).

გამოყენებით ასპექტებში, კერძოდ, მიწისძვრების მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში აქტივობათა (წინამორბედების) რეპრეზენტატიული ჯაჭვების გამოსაველენად, რაც შემდგომში გამოიყენება მიწისძვრის შესაძლებლობითი პროგნოზისათვის, გამოყენებულია არამკაფიო სტატისტიკის ერთ-ერთი მეთოდი, ბმულობათა ანალიზი (თ. გაჩეჩილაძე, გ. სირბილაძე, ნ. ჯორჯიაშვილი).

კათედრის თანამშრომლების, მაგისტრანტების, ასპირანტებისა და მაძიებელთათვის მუშაობას განაგრძობდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „არამკაფიო დინამიური სისტემები და ექსპერტულ-ანალიტიკური ტექნოლოგიები არამკაფიო გადაწყვეტილებებში“, ხელმძღვანელი დოც. გ. სირბილაძე.

კათედრაზე მომზადდა ერთი საკანდიდატო დისერტაცია: არამკაფიო მონაცემები საექსპერტო გადაწყვეტილებათა ბიბლიოთეკებში (ხელმძღვანელები: თ. გაჩეჩილაძე, გ. სირბილაძე), ხოლო დასრულების პერიოდშია კიდევ ორი საკანდიდატო დისერტაცია (ნ. ჯორჯიაშვილი, ნ. ზაპოროჟეცი).

„ალბათური ზომები წრფივ სივრცეებში და ფუნქციონალური ანალიზის შესაბამისი საკითხები“ შესრულდა პროფ. ნ. ვახანიას მონაწილეობით.

პროფ. ნ. ვახანია საანგარიშო წელს ეწეოდა კვლევით მუშაობას ფუნქციონალური ანალიზის მიმართულებით. შესწავლილ იქნა, კერძოდ, ბანახის სივრცეში ადამარის მწკრივების

უპირობოდ კრებადობის საკითხები. მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა დვორეცკი-როჯერსის კლასიკური თეორემის ახლებური დამტკიცებისა და გარკვეული დაზუსტების მისაღებად. გარდა ამისა, მიღებულ იქნა პ. კოსტირკოს ამოცანის ამოხსნა უპირობო ბაზისიან ბანახის სივრცეთა კლასში. მიღებული შედეგები თავმოყრილია ნაშრომში "Ряды Адамара в банаховых пространствах", რომელიც მომზადებულია გამოსაქვეყნებლად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში "Функциональный анализ и его приложения".

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა და გადაეცა დასაბეჭდად კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები [13, 21, 22, 55, 80-88].

ფიზიკური კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორია (მეცნიერ-ხელმძღვანელი აკად. ვ. ჭავჭავანიძე, გამგე დოც. ნ. ბოკუჩავა).

საანგარიშო პერიოდში ფიზიკური კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები წარმართა სამეცნიერო თემატიკის – რთული სისტემების კვლევა, მოდელირება და მართვა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებით შემდგომი დამუშავების მიმართულებით, კერძოდ, შემდეგი ქვეთემების დამუშავების მიმართულებით:

1. არამკაფიო ლოგიკა და სხვა გამოთვლითი ინტელექტუალური ტექნოლოგიები და მეთოდოლოგიები მედიცინაში (ხელმძღვანელები აკად. ვ. ჭავჭავანიძე და დორტმუნდის უნივერსიტეტის პროფ. რ. როიში).

2. რთული დინამიკური სისტემებისა და მათში მიმდინარე პროცესების ოპტიმალურად მართვადი მათემატიკური მოდელები (ხელმძღვანელი მ/კ ნ. ბოკუჩავა).

3. გადაწყვეტილებათა მიღების ექსპერტონული მოდელები (ხელმძღვანელები: მ/კ თ. გაჩეჩილიძე და მ/დ გ. ცერცვაძე).

4. კრიპტოგრაფიული და შეცდომამედეგი სისტემებისათვის ახალი მეთოდების, ალგორითმებისა და სტრუქტურების დამუშავება (ხელმძღვანელი მ/დ რ. მეგრელიშვილი).

5. ჰიბრიდული ინფორმაციული სისტემის რეალიზაციისათვის საჭირო ალგორითმებისა და პროგრამების შემუშავება (ხელმძღვანელი მ/კ ზ. მუნჯიშვილი).

6. საზოგადოების ინფორმატიზაციის კონცეფცია (ხელმძღვანელი მ/კ დ. მამფორთა).

7. ენის სტრუქტურების არამკაფიო ორგანიზაციის ახალი ზოგადი მახასიათებლები (ხელმძღვანელები: მ/კ თ. გაჩეჩილაძე და მ/კ თ. წილოსანი).

8. ქცევის პროგნოზირების პრობლემა და აზროვნების ფსიქოენერგეტიკა (ხელმძღვანელი მ/კ ი. ფილიპაშვილი).

9. დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა ენერგო-ინფორმაციული (ტორსირებული) ველების მეოხებით (ხელმძღვანელი მ/კ ნ. შერგელაშვილი).

აღნიშნული ქვეთემების დამუშავებაში ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლების გარდა მონაწილეობას იღებდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის, შემთხვევით პროცესთა თეორიის, მალაგის უნივერსიტეტის მათემატიკური სტატისტიკის, გერმანიის ღორტმუნდის უნივერსიტეტის ინფორმატიკის კათედრებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლები.

ქვეთემების დამუშავებისას მიღებული შედეგების მოკლე ანოტაციები (ჩამონათვლის შესაბამისად):

1. არამკაფიო ლოგიკაზე დაყრდნობით, შემუშავდა სუბიექტური, ინდივიდუალიზებული, არაზუსტი და კონტექსტურად მგრძნობიარე სამედიცინო ინფორმაციის დასამუშავებელი ახალი ტექნოლოგიები.

2. ჩამოყალიბებულ იქნა რთულ დინამიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესების შესაბამისი მართვადი მათემატიკური მოდელის აგების განზოგადოებული ალგორითმი და მასზე დაყრდნობით დაწყებულ იქნა კვლევები ბიოლოგიურ სისტემებში მიმდინარე პროცესებისა ბიოპოლიმერების – როგორც ინფორმაციის მატარებლების დონეზე.

3. აგებულ იქნა ექსპერტონთა მეთოდზე დაფუძნებული გადაწყვეტილებათა მიღების მათემატიკური მოდელი, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულია სხვადასხვა სეისმოსადგურების მიერ დაფიქსირებული მიწისძვრების ინტენსივობის რიცხვითი მონაცემების დამუშავების პროცედურა.

4. დამუშავებულ იქნა ორიგინალური კრიპტოგრაფიული მეთოდები ასიმეტრიული სისტემებისათვის და გამოკვლეულ იქნა ახალი სტრუქტურები შეცდომამდეგი კოდების მისაღებად. მთლიანობაში კვლევის მიღებული შედეგები მოიცავენ ინფორმაციის დაც-

ვის ყველა იმ ძირითად რგოლებს, რომლებიც განაპირობებენ კრიპტოგრაფიული სისტემის შეცდომამდე ფუნქციონირებას.

5. ზრდადი პირამიდული ქსელების მეთოდის გამოყენებით შემუშავებულ იქნა ჰიპერტექსტით ორგანიზებულ ინფორმაციულ მასივებში ძებნის განვლილი ტრაექტორიების აგების ალგორითმი. შემუშავებულ იქნა აგრეთვე ე.წ. მიმთითებლის, როგორც დასახელებითი წინადადებების სემანტიკური ანალიზის ალგორითმები.

6. შესწავლილ იქნა ქ. თბილისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველოს მუშაობის პრინციპი მისი ერთ-ერთი ძირითადი რგოლის – მომხმარებლებს შორის მედიკამენტების განაწილება -- საქმიანობის მაგალითზე. მედიკამენტების ოპტიმალური განაწილების ამოცანა გადაწყვეტილ იქნა მათემატიკური მეთოდებისა და პროგრამული უზრუნველყოფის აპარატის გამოყენებით; დაიწერა სათანადო ალგორითმი და გათვლის პროგრამა. პროგრამა აპრობირებულია კომპიუტერზე.

7. პირველადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად ინგლისური, ფრანგული, ლათინური, ესპანური და ქართული ენებისათვის აგებული იყო სიტყვის მარცვალთა სტრუქტურის ხატი. დეტალურმა განხილვამ გამოავლინა, რომ ეს ენები იყოფიან სამ ჯგუფად: 1) ინგლისური, 2) ფრანგული და ლათინური 3) ესპანური და ქართული, ამასთან, წრფივი (ანუ კემინგის) მანძილი ენებს შორის ჯგუფის გარეთ ნულის ტოლია, ხოლო ჯგუფის შიგნით – ერთის ტოლი.

8. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სოციალური ქცევის პროგნოზირებისათვის შექმნილმა მოდელმა უნდა ასახოს არა მარტო ზოგად-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, არამედ ფსიქიკის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, განსაკუთრებით კი კოგერენტობა – დისკოგერენტობა.

9. ენერგო-ინფორმაციული (ტორსიული) ველების მეშვეობით შემუშავებულ იქნა ადამიანის სხვადასხვა დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები.

ლაბორატორიის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონის სამეცნიერო კონფერენციებში, ხელმძღვანელობდნენ სტუდენტთა საკურსო და სამაგისტრო ნაშრომებს, ხელმძღვანელობდნენ ასპირანტებსა და მაძიებლებს და სხვ.

ინფორმაცია ლაბორატორიის შესახებ შეტანილია ინტერ-
ნეტში. მისამართი www.tsu.edu.ge ინფორმაციის განახლება ხდება
ყოველწლიურად.

გამოქვეყნდა ლაბორატორიის თანამშრომელთა ნაშრომები
[13, 89-97].

**გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომელთა 2003 წელს
გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად გადაცემულ და
დასაბეჭდად მომზადებულ შრომების სია**

1. ნ.ჯიქია, ც.ქოროღლიშვილი, ინფორმაციის დაცვის ერთი
მეთოდი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის შრომები, 12 გვ., (მომზადებულია დასაბეჭდად).

2. აარსენაშვილი, ნ.ჯიქია, ეკონომიკური კვლევის მათემა-
ტიკური საფუძვლები (ოპერაციათა გამოკვლევა, თამაშთა თეო-
რია), 180 გვ., (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

3. ნ.ჯიქია, ო.კვარაცხელია, გ.ხელია, წრფივი პროგრამირე-
ბა, 197 გვ., (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

4. აარსენაშვილი, ენერგეტიკის სექტორის ოპტიმალური და-
ფინანსების ამოცანა ეროვნული ეკონომიკის განვითარების ფონ-
ზე, 10 გვ., (მომზადებულია დასაბეჭდად).

5. აარსენაშვილი, შემოსავლების კანონზომიერი განაწი-
ლება – სახელმწიფოს სოციალურ ეკონომიკური სტრატეგიის
ერთ-ერთი ძირითადი გარანტი, 7 გვ., თსუ შრომები, პოლიტო-
ლოგია, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

6. ო.კაპანაძე, კომპიუტერული ლინგვისტიკის შესავალი,
ლექციების კურსი, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 150 გვ.,
თბილისი, 2003.

7. ო.კაპანაძე, მრავალენოვანი ვალენტური ლექსიკონის არ-
ქიტექტურა ენის ტექნოლოგიისათვის: ქართულ-რუსულ-ინგლი-
სურ-გერმანული (GREG) ვალენტური ლექსიკონის ნიმუში. კონ-
ფერენციის მასალები. ბუნებრივ ენათა დამუშავება – ქართული
ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები, 5 გვ., თბილისი, 2003.

8. O.Kapanadze, N.Kapanadze, L.Wanner, St. Klatt, Towards A Se-
mantically Motivated Organization of A Valency Lexicon for NPL: A GREG
Proposal, Proceedings of the EURALEX conference, 7 p., Copenhagen, 2003.

9. თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია, თეო-
რიული ენათმეცნიერების კურსი.

10. ი.შადური, სივრცე → დრო სემანტიკური გავრცობა და თანდებულების ასიმეტრია ქართულში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. გამოყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებანი, ტ. 22, 203.

11. ა.შადური, ი.შადური, აფხაზურ ზმნურ სიტყვაფორმათა სინთეზი. „ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“, თბილისი, 2003.

12. N. Shengelaia, On Anaphoric and Cataphoric Devices, "5th International Symposium on Language, Logic and Computation", Tbilisi, 2003.

13. T. Gachechiladze, F. Criado, H. Meladze, G. Tsertsvadze, Z. Khvedelidze, G. Sirbiladze, N. Jorjiashvili, Theory of connectivity and apportionment of representative chains in the problem of decision-making concerning earthquake possibility. Int. J. General Systems, v.32, n 2, pp. 103-121, 2003.

14. D.Gordeziani, H.Meladze, G.Avalishvili, On One class of Nonlocal in Time Problems for First-order Evolution Equations // Журнал обчисл. матем. (J. Comput. Appl. Math.)-№1 (88)-pp.66-78, 2003.

15. თ.ვაშაყმაძე, რ.ჯანჯღავა, ფონ კარმან-რეისნერის ტიპის განტოლებათა სისტემის აგებისა და დაფუძნების შესახებ დრეკად ფირფიტათა ბინარული ნარევისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები №1 (447), თბილისი, 2003. გვ. 53-65.

16. T.Vashakmadze, To Dynamical Problems for 3D Anisotropic Theory of Elasticity. Proceedings of I.Javakhishvili Tbilisi State University Applied Mathematics and Computer Sciences, v.22 (344), 2003.

17. T.Vashakmadze, To Some Thermo-Dynamical Nonlinear Special Problems of Piezo-Poro-Elasticity for Binary Mixture. DEMPH 2003, part 2, 2003.

18. T.Abesadze, V.Odisharia, J.Peradze, On the influence of a calculation error on the solution of the Kirchhoff nonlinear static equation, Rep. Sem. Inst. Applied Math. Tbilisi State University, 29, Tbilisi, 2003.

19. J.Peradze, The existence of a solution and a numerical method for the Timoshenko nonlinear wave systems, Math. Model. Numer. Anal., 28p., Paris, 2003 (იბეჭდება).

20. J.Peradze, The solvability of a nonlinear initial boundary value problem for a beam and the algorithm of construction of its approximate solution. Abstrac. sympos."Differ. Equat. Math. Physics" dedicated to the 100th

birthday anniversary of acad. V.Kupradze and 90th birthday anniversary of acad. I.Vekua, Ip., Tbilisi, 2003 (ჩაბარებულია დასაბუჭდად).

21. G. Sirbiladze , A.Sikharulidze, Weighted fuzzy averages in fuzzy environment, part I. Insufficient expert data and fuzzy averages, International Journal of Uncertainty, Fuzziness and Knowledge-based Systems, vol. 11, №2, 2003, pp. 139-158.

22. G. Sirbiladze , A.Sikharulidze, Weighted fuzzy averages in fuzzy environment, part II. Generalized weighted fuzzy expected values in fuzzy environment, International Journal of Uncertainty, Fuzziness and Knowledge-based Systems, vol. 11, №2, 2003, pp. 159-172.

23. Меладзе Г., Схиртладзе Н., Чантурия А., Каралашвили М., Математическое моделирование катастрофических явлений, возникающих вследствие различного рода обвально-оползневых явлений. Математическое моделирование и мониторинг загрязнения окружающей среды и его последствия, Баку, 2003-12-12

24. Б. პაპუკაშვილი, იტერაქციული პროცესი კირპოვის ძელის არაწრფივი დისკრეტული სისტემისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ.167 №1, გვ. 27-30, 2003.

25. Laaser W., Karalashvili M. Didactic, Cultural and Programming Aspects of Foreign Language-Versions of Educational Multimedia Courseware. // Proc. of the First International Conf. on Educational Technology in Cultural Context, University of Joensuu, International Proc. series 3; Joensuu 2003, Finland, pp. 71-90

26. А. Велиджанашвили, "Мультимедийные технологии – современная образовательная среда". Материалы Международной научно-методической конференции «Компьютеризация обучения и проблемы гуманизации образования в техническом ВУЗе», 16-18 апреля 2003 г., г. Пенза.

27. Велиджанашвили А.З., Шадури А., Систематизация и публикация информации на базе Inernet-технологий на примере электронных изданий. Материалы Международной конференции и сателитного Молодежного форума "Единое информационное пространство", Е-Цивилизация. Днепрпетровск, 3-4 дек., 2003.

28. А. Велиджанашвили, Некоторые вопросы творческой деятельности и роль информационных технологий в их формировании, электронный научный журнал "Системные проблемы надежности, качества и информационных технологий - СИСТЕМОТЕХНИКИ", №1, 2003, <http://kofan.narod.ru/mag/N1/ogl/html>.

29. Н.О.Карбелашвили, К вопросу обучения информационным технологиям, Материалы Международной конференции и сателитного Молодежного форума "Единое информационное пространство", Е-Цивилизация. Днепропетровск, 3-4 дек.

30. Н.О.Карбелашвили, К вопросу оптимизации методов обучения по специальности "Компьютерное искусство". Материалы Международной научно-методической конференции "Компьютеризация обучения и проблемы гуманизации образования в техническом ВУЗе", Пенза, 2003, стр. 268-273.

31. Н. Карбелашвили, "Разработка и применение интерактивных информационных обучающих систем на основе современных программных средств», электронный научный журнал "Системные проблемы надежности, качества и информационных технологий – СИСТЕМОТЕХНИКИ", №1, 2003, <http://kofan.narod.ru/mag/N1/og/html>

32. მ.თხელიძე, ინფორმატიკის სწავლების მეთოდის საკითხისათვის. სამეცნიერო შრომების კრებული „საზრისი“, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნ. ინსტიტუტი, №10, 2003, 90-95გვ.

33. ჰ.მელაძე, მ.მენტეშაშვილი, ნ.მჭედლიშვილი, ნ.სხირტლაძე, გამოთვლითი მათემატიკის საფუძვლები. ნაწილი I, თსუ, 350გვ, 2003.

34. ბ. დოჭვირი, ჰ.მელაძე, ფინანსური მათემატიკა. ალბათობა და სტატისტიკა (ელემენტები). (დამხმარე სახელმძღვანელო), თსუ, 194 გვ., 2003.

35. გ.ბელთაძე, ჰ.მელაძე, ნ.სხირტლაძე, გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში. თბილისი, თსუ, 480 გვ., 2003.

36. ს.რაზმაძე, ინტერნეტის თანამედროვე ტექნოლოგიები, თბილისი, 2003.

37. Н.Канделаки, Г.Церцвадзе. Китайская теорема об остатках и нормализации летоисчислений в хронологии. თსუ შრომები. ტ.342 (22), 2003.

38. ნ.კანდელაკი, გ.ცერცვაძე, ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა ნორმალიზაცია და ქორონიკონი, "ლოგოსი", № 1, 2003.

39. ნ.კანდელაკი, გ.ცერცვაძე, დიდი ბაბილონური პერიოდის საიდუმლო, „ამირანი“, № 9, 2003.

40. F.Crido, G.Tsertsvadze, On asymptotic of Stationary Distribution of Automata By Games in One Version of Geore Games. ადაცემული ურნალში IEEE Transaction on SMC.

41. ნ.ნანობაშვილი, ფორმის მთლიანობითი წარმოდგენა მრავალდონიანი კოდირებისას და მისი დანართები. საქ მეცნ.აკად. „მომბე“. ტ.103-8, № 1, 2003.

42. D. Bashaleishvili, Identification of the nonlinear static Systems, represented by Voltera polynomial with the non-separable Kernels. გადაცემულია საქ. მეცნ.აკად. „მომბეში“.

43. აგაბელაია, ფინანსური დაპროგრამება მათემატიკური დაპროგრამების ბაზაზე. გადაცემულია კრებულში „მართვა რთულ სისტემებში“ დასაბეჭდად.

44. აგაბელაია, აგრეგირებული ეკონომეტრიკული მოდელის რეალიზაციის პრობლემა საქართველოსთვის. გადაცემულია საქ. ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაშრომთა კრებულში გამოსაქვეყნებლად.

45. გ. გელაძე, კოლხეთის დაბლობის სადგურებისათვის დამოუკიდებელი მეტეოროლოგიური მონაცემების შესახებ, გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 2003, ტ. 21, გვ. 156-159.

46. G. Jaiani, Some remarks concerning cusped plates and Bars, Transaction of Georgian Technical University, Tbil., 2003, 1 (447), pp. 44-48.

47. Г. Хатиашвили, О решении некоторых трехмерных задач теории упругости для армированных цилиндров с прямолинейной анизотропией общего вида. Труды Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили (математика, механика, астрономия), 2003, т.345, с. 83-116.

48. გ. ლობჯანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე, მათემატიკური ანალიზის საკითხები (ლექციების კურსი). თსუ, 2003, 212 გვ.

49. გ. ლობჯანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე, წიფივი ალგებრის საკითხები (ლექციების კურსი). თსუ, 2003, 172 გვ.

50. ვ. კოსარევი, თორმეტი ლექცია გამოთვლით მათემატიკაში (მთარგმნელი ლ. ლატარია, რედ. ნ. სხირტლაძე), თსუ, 2003, 323 გვ.

51. ნ. ნადარეიშვილი, მათემატიკური ტექსტები და ამოცანები გერმანულ ენაზე. რედ. პროფ. გ. ჯაიანი. თსუ, 2003.

52. T.Tadumadze, L. Alkhazishvili, Formulas of variation of solution for non-linear controlled delay differential equations with discontinuous initial condition. Mem. Diff. Equat. Math. Phys. 29(2003) p 125-150.

53. L. Alkhazishvili, The linearized maximum principle for optimal problems with variable delays and continuous initial condition. Mem. Diff. Equat. Math. Phys. 29(2003) p153-156.

54. B.Gvaberidze, Stability of approximate solutions of boolean optimization problems. Bull. Georg. Acad. Sci., 167,2,2003, 219-222.

55. G. Sirbiladze, B. Gvaberidze, Possibilistic analysis of the Fuzzy covering problem. Bull. Georg. Acad. Sci 167,1,2003,47-50.

56. K. Gelashvili, About a simple analytic proof of Pontryagin's maximum principle. (Memoirs on Diff. Equat. Math. Phys. vol 31, 2004) , 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

57. Z. Tsintsadze, Optimal processes in the specific control systems. (Memoirs on Diff. Equat. Math. Phys.) p 5, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

58. T. Tadumadze, Formulas of variation of solution for quasilinear controlled neutral differential equations with continuous initial condition (with I.Ramishvili) , 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

59. T.Tadumadze, L. Alkhazishvili, Formulas of variation of solution for non-linear controlled delay differential equations with continuous initial condition. (Memoirs on Diff. Equat. Math. Phys.) p 15, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

60. Г. Харатишвили, Т.Тадумадзе, Формулы вариации решения дифференциального уравнения с запаздывающим аргументом и разрывным начальным условием, Математический сборник, 20 стр., 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

61. Z. Tsintsadze, Necessary conditions of optimality to linear control systems in the presence of mixed and intermediate restrictions.(დიფ. განტ. და მათ. ფიზ. სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისებში, ინტერნეტ მისამართზე [http://www.rmi,agnet ge /DEMPH](http://www.rmi,agnet.ge /DEMPH)) , 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

62. Z. Tsintsadze, Optimal processes in the inear systems with delays and mixed restriction. (VII მსოფლიო მულტიკონფერენციის თბილისში მოწვეულ სესიის თეზისების შრომათა კრებულში Proc. of the 7-th World Multiconference on SCI, Orlando, Florida,SCI 2003/ISAS203.) ,2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

63. R.Kordzadze, General representation of one class of functions through holomorphic functions, Georgian Acad. Sci. /68/ 3, 2003.

64. R.Kordzadze, On a general representation of one class of functions through holomorphic functions, Georgian Acad. Sci. /69/ 1, 2003.

65. Т.Ахобадзе, Обобщенная вариация функций двух переменных и сходимость рядов Фурье, в сб. : Некоторые вопросы теории функций функционального анализа, т.5, Тбилиси, ТГУ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

66. T.Akhobadze, Relations between ΔBV , $BV(p(n))^\infty$, P and $BA(p(n))^\infty$, φ classes of functions, Proc.of Javakhishvili TSU, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

67. ა.კორძაძე, დ.დემეტრაშვილი, ზღვა-სმელეთი-ატმოსფეროს კლიმატური სისტემის მათემატიკური მოდელირება, საქ. მეცნ. აკად. გეოგრაფიის ინსტ. შრომათა კრებული „პავის თანამედროვე ცვლილება საქართველოში. მეტეოროლოგიური ელემენტების ურთიერთკავშირი და ცვალებადობა“, ტ. 21, გვ.16-30, 2003.

68. А.А.Кордзадзе, Д.И.Деметрашвили, Численное моделирование влияния нестационарных атмосферных процессов на гидрологический режим Черного моря, Сб. труд. междунар. конфер. по матем. метод. в геофиз.- МАГ-2003, посвящ. 75-летию со дня рожд. акад. А.С. Алексеева, Новосибирск, Академгородок (Россия), 8-12 октября, 2003.

69. A.Kordzadze, D.Demetrashvili, Numerical modeling of inner-annual variability of the hydrological regime of the Black Sea with taking into account of alternation of different types of wind above its surface. Proc. Inter. Confer."30 Pacem in Maribus. A year after Johannesburg Ocean Governance and Sustainable Development: Ocean and Coasts a Glimpse into the Future". October 27-30, Kiev, 2003.

70. A.Kordzadze, D.Demetrashvili, Numerical experiments on the model of the Black Sea dynamics in perspective of its use for monitoring. Materials Inter. Confer. "Scientific and Policy challenges towards an effective management of the marine environment", October 13-18, Albena, Bulgaria, 2003.

71. A.Kordzadze, D.Demetrashvili, Results of numerical experiment on modeling of inner-annual hydrological regime of the Black Sea, J. Georgian Geophys. Soc., v. 8b, Tbilisi, 2003.

72. A.Kordzadze, D.Demetrashvili, Numerical modeling of hydro-physical fields in the Black Sea, J. Georgian Geophys. Soc., v. 8b, Tbilisi, 2003.

73. А.А.Кордзадзе, Д.И.Деметрашвили, Численное моделирование локальной циркуляции Черного моря в районе г. Поты, Тр. Инст. геофизики АН Грузии, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

74. А.Кордзадзе, Д.Деметрашвили, Г.Качарава, Н.Кавтария, И.Хведелидзе, О физических механизмах формирования основных особенностей циркуляции Черного моря, Тр. инст. геофизики АН Грузии, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

75. J.Kapanadze, On the solution uniqueness of the inverse problem of the potential theorie, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, 2003 (იბეჭდება).

76. J.Kapanadze, On a nonlocal boundary value problem for a bihar-

monic equation, Sem. Inst. Applied Math. Tbilisi State University, 29, Tbilisi, 2003 (იბეჭდება).

77. Д.Капанадзе, О единственности решения обратной задачи теории потенциала для круговых многоугольников, Тр. Инст. геофизики АН Грузии, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

78. N.Khatiashvili, Inversion of the Cauchy Integral taken over the doubly-periodic line, Georg. Math. Journal, v. 10,N1, pp 133-144, 2003.

79. N.Khatiashvili, On the linear conjugation problem for the doubly quasi-periodic functions, J. Amer. Math. Soc., 30 p., 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

80. T.Gachechiladze, G.Sirbiladze, N.Jorjiashvili, T.Manjaparashvili, F.Criado, H.Meladze, G.Tsertsvadze, Fuzzy Image Construction on the Set of Insufficient Data, Information Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

81. T.Gachechiladze, T.Manjaparashvili, F.Criado, H.Meladze, G.Tsertsvadze, Mathematical Models of Language Fuzzy Structures. Preprint, მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

82. G.Sirbiladze, A.Sikharulidze, G.Korakhasvili, Decision-Making Aiding Fuzzy Informational Systems in Investments. Part I. Discrimination Analysis in Investment Projects. Proc.of Javakhishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

83. G.Sirbiladze, G.Khachidze, Decision-Making Aiding Fuzzy Information Systems in Investments. Part II. Demster_Shaper's Expected Utility in the Investment Decisions. Proc. of Javakhishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

84. N.Jorjiashvili, Fuzzy Analysis (image construction) of the language structure on the finite set of insufficient data, Proc.of Javakhishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

85. ნ. ზაპოროჟევი, გრაფემების ამოცნობა, Proc.of Javakhishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

86. ლ. არევაძე, ქართული გრაფემების კომპიუტერული ხატის აგება ბმულობათა თეორიის მიახლოებაში. Proc.of Javakhishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

87. თ.არევაძე, არამკაფიო კლასების სტატისტიკის მიახლოება არამკაფიო მონაცემთა დამუშავებისათვის მიწისძვრის შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. Proc.of Javak-hishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences, 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

88. თ.კერვალიშვილი, ელექტრული ველის ცვლილებების, როგორც მიწისძვრის წინამორბედის ხატის აგება. Proc.of Javak-hishvili TSU, Applied Mathematics and Computer Sciences , 2003 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

89. ნ.ბოკუჩავა, ბიოპოლიმერები-გენეტიკური ინფორმაციის მატარებლები, მეცნიერება და ტექნოლოგიები, № 4-6, 2003.

90. T. Kiseliova, H. Peters, Representation of the different approaches to computer-assisted diagnosis of oral mucousa lesions based on a general scheme, Intern. Fuzzy Syste Association World Congress IFSA 2003, Turkey, Istanbul, June 29-July 2, 2003.

91. D. Mamporia, Some aspects for use of Dynamic Programming Method, საქ. ტექნიფორმის ქართული რეფერატული ჟურნალი, №1235, 2003

92. D. Mamporia, Application of Dynamic Programming Method, საქ. ტექნიფორმის ქართული რეფერატული ჟურნალი, №1236, 2003.

93. R. Megrelishvili, I. Khomeriki, The search of original assotiative identification methods of memory fields organization. The new cryptographic and error- correcting methods of threatment and security of information. Sixth ISTC Scientific Advisory Com. Semin. "Science and Coputing " (Abstracts), Moscow, Russia, 15-17 September, 2003.

94. ზ. მუნჯიშვილი, თ.მუნჯიშვილი, საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების ავტომატიზაცია ხცელის ფუნქციების გამოყენებით, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003.

95. ნ. შერგელაშვილი, ცნობიერება და მართვა ცოცხალ ორგანიზმებში, მეცნიერება და ტექნოლოგიები, № 3-4, 2003.

96. ნ. შერგელაშვილი, ინფორმაციული ენერგეტიკული ველების აზროვნების, სინერგეტიკის პრობლემების შესახებ, მეცნიერება და ტექნოლოგიები, № 7-9, 2003.

97. ი.ფილიპაშვილი, ადამიანის ცნობიერება და მართვა ცოცხალ ორგანიზმებში, მეცნიერება და ტექნოლოგიები, № 1-3, გამომცემლობა „მაცნე“, 2003.

ფიზიკის შაკულტატი

ფიზიკის ფაკულტეტზე 2003 წელს სამეცნიერო მუშაობა სრულდებოდა 14 კათედრის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

დამუშავდა 50-მდე საბიუჯეტო თემა. ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულია 80-მდე სამეცნიერო სტატია. ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომლები სამეცნიერო მივლინებით და სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იმყოფებოდნენ.

დაკული იქნა 1 სადოქტორო და 10-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. ფაკულტეტზე ჩაირიცხა 6 ასპირანტი და 52 მაგისტრანტი. ფაკულტეტის 47 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში. მათგან 20-მდე სტუდენტი დაჯილდოვებულია რესპუბლიკური კონფერენციისა და სოროსის ეგიდით ჩატარებულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების დიპლომებით.

1) ზოგადი ფიზიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ჯ. მებონია) საანგარიშო წელს სრულდებოდა 2 სამეცნიერო თემა:

ა) მცირეწილონიანი ბირთვული სისტემების და მცირეწილონიანი ატომური სისტემების მონაწილეობით მიმდინარე პროცესების გამოკვლევა (ხელმძღვ. პროფ. ჯ. მებონია).

ბ) ფიზიკის სწავლების ორგანიზაცია უმაღლეს და საშუალო სკოლებში (ხელმძღვ. პროფესორები ჯ. მებონია, თ. ხაზარაძე).

მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია ორი სტატიის სახით საქართველოსა და რუსეთის სამეცნიერო ჟურნალებში. გარდა ამისა, ზოგადი ფიზიკის კათედრაზე 2003 წელს შესრულდა რამდენიმე სამეცნიერო მეთოდური და პედაგოგიური სამუშაო. ამ მიმართულებით კათედრის თანამშრომლების მიერ გამოცემულია რამდენიმე სტატია საქ. მეც. აკადემიის „მომამბეში“ და თსუ შრომებში. გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „ბირთვულ ფიზიკაში“ (პროფ. ჯ. მებონია), „ფიზიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა“ (პროფ. თ. ხაზარაძე), „რელატივისტური კლასიკური ფიზიკის საფუძვლები სასკოლო კურსში“ (პროფ. თ. ხაზარაძე), „ამოცანათა კრებული ფიზიკაში“ (თ. ერქომაიშვილი, ი.პაპავა და სხვა), კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ (შ. შოშიაშვილი). გამოსაცემად მზადდება რამდენიმე სალექციო კურსი და ამოცანათა კრებული ზოგად ფიზიკაში. დაცულია ერთი საკანდიდატო დისერტაცია (კ. სულაკაძე).

2) ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ი. თევზაძე), სრულდებოდა 5 თემა: ა) კორელაციების და კოლექტიური პროცესების შესწავლა მაღალ ენერგიული ლეპტონების, ადრონების და იონების ურთიერთქმედებაში (ხელმძღ. პროფ. ი. თევზაძე).

ბ) ადრონთა კვარკული სტრუქტურის ბეტე-სოლპიტერის განტოლებების საფუძველზე (ხელმძღ. პროფ. თ. კოპალეიშვილი).

გ) პოლარიზებული პროტონების პოლარიზებულ სამიზნესთან ურთიერთქმედების შესწავლა შუალედურ ენერგიებზე (ხელმძღ. პროფ. მ. ნიორაძე).

დ) ნეიტრონულ-ბირთვულ დაჯახებებში დაბადებული პიპერონების და ანტიპიპერონების შესწავლა ენერგიებზე 51 გევი (ხელმძღ. დოც. მ. კოპაძე).

ე) სუსტი ურთიერთქმედებების ფენომოლოგიური კვლევები (ხელმძღ. დოც. ა. ლიპარტელიანი). მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატიის სახით უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში, მომზადებულია გამოსაცემად კიდევ 2 სტატია. გრძელდება სამეცნიერო კონტაქტები კათედრის თანამშრომლებსა და გერმანიის ქ. იულიხის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს შორის. ამჟამად, იქ სტაჟირებას გადის ასპირანტი ი. ქეშელაშვილი.

3) მიკროპროცესორებისა და მიკროპროცესორული სისტემების კათედრაზე (გამგე პროფ. ოლ. ნამიჩეიშვილი), სრულდებოდა სამეცნიერო თემა „ადაპტაციის სტრატეგიები ორობითი არხების ზღურბლური დარეზერვებისას. ადაპტაციის ალგორითმების მოდელირება და მათზე დაკვირვების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. (ხელმძღ. პროფ. ოლ. ნამიჩეიშვილი). დამუშავებულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ადვილად მოვახდინოთ კონკრეტული ალგორითმების მოდელირება. იგი დაწერილია პროგრამირების ენა lava-ზე.

4) ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის (გამგე პროფ. აგერასიმოვი) კათედრა და მასთან არსებულ ს/კ ლაბორატორიაში გრძელდებოდა კვლევები, დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ინტეგრაციის ინტეგრალური სქემების ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. დადგენილია, რომ მაღალ ტემპერატურაზე ხდება მინარევების არაკონტროლირებადი გადანაწილება დიფუზიის გზით, ამიტომ სასურველია დამზადების პროცესიდან გამოირიცხოს მაღალი ტემპერატურები. ამ მხრივ კათედრამ, ერთერთმა პირველმა დაიწყო მუშაობა, დამუშავებულ და შემოთა-

ვაზებულ იქნა რამდენიმე ორიგინალური ტექნოლოგია, მათ შორის დამუშავებულ იქნა ფოტოსტიმულირებადი პროცესები. კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ მინარევის კონცენტრაცია და შეღწევის სიგრძე დამოკიდებულია ფოტონიმპულსის ხანგრძლივობაზე და ინტენსივობაზე, მაგრამ შემწეულ იქნა, რომ გარკვეულ სტადიაზე ადგილი აქვს უკუ დიფუზიას, ეს კი გვაძლევს საშუალებას გაეხადოთ მართვადი მინარეების შეღწევა განსაზღვრულ სიღრმეზე და ზედაპირული კონცენტრაციის დაგროვება, რადგან პროცესი ურთიერთშეთანხმებულია. ცდებით დადგინდა, რომ დიფუზიის კოეფიციენტი ფოტოსტიმულირებულ დიფუზიის დროს უფრო მეტი სიდიდისაა ვიდრე თერმული დიფუზიისას ანალოგიური ტემპერატურის პირობებში. დაბალ ტემპერატურაზე სხვაობა კიდევ უფრო მეტია.

ლაბორატორიაში ამ პრობლემის გარდა ექსპერიმენტები მიმდინარეობდა სხვა საკითხებზეც, როგორცაა ამორფული მეტალური ფირების რეკრისტალიზაცია, გვირაბული დენი ელექტროდებს შორის და სხვა აქტუალური საკითხები, შედეგები მნიშვნელოვანია და ნანოტექნოლოგიებისათვის საკვანძო საკითხებს წარმოადგენენ. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 9 შრომა საზღვარგარეთ, 5 მოხსენება წაკითხულ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე. მომზადებულია 2 სამაგისტრო ნაშრომი.

5) მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრაზე (პროფ. გ. მრევლიშვილი) სრულდებოდა 6 თემა:

ა) დნმ-ის მოლეკულის ჰიდრატული შრის მდგომარეობის დადგენა პოლინუკლეოტიდთა ორმაგი და ერთმაგი ჯაჭვების შესწავლით კალორიმეტრული და ნეიტროგრაფიული მეთოდებით (ხელმძღვ. პროფ. გ. მრევლიშვილი).

ბ) ბაქტერიული ვირუსებიდან გენომის (დს-დნმ) ეჯექციის დროს ორმაგი სპირალის კონფორმაციული ცვლილების შესახებ (ხელმძღვ. პროფ. გ. მრევლიშვილი).

გ) ბაქტერიოფაგებიდან დნმ-ის გამოსვლისა და მისი ბაქტერიულ უჯრედთან ურთიერთქმედების მექანიზმები (ხელმძღვ. პროფ. თ. მძინარიშვილი).

დ) ულტრაიიფერი სხივების ზემოქმედება კოლაგენის მოლეკულის სამმაგ სპირალზე (ხელმძღვ. პროფ. გ. მრევლიშვილი).

ე) ბილირუბინის ფოტოდაჟანგვის ენციფალოპათიის ფოტოთერაპია (ხელმძღვ. პროფ. ე. ჩიკვაიძე).

ვ) ნაღვლის კენჭების პარამაგნიტური შემადგენლობა და ბილირუბინის შესაძლო როლი მათ ფორმირებაში (ხელმძღვ. პროფ. ე. ჩიკვაიძე).

აღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნებულია 5 ნაშრომი. კათედრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 2 საერთაშორისო კონფერენციაში.

ბ) გეოფიზიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ზ. ხვედელიძე) მისივე ხელმძღვანელობით გრძელდებოდა მუშაობა ტრადიციულად პრობლემაზე „კავკასიის ტერიტორიის ლითოსფეროსა ატმოსფეროს ლოკალური და რეგიონალური გეოფიზიკური პროცესების შესწავლა გეოფიზიკური ველების საფუძველზე“. გამოკვლეულია ამიერკავკასიის რეგიონზე ჰაერის შემოჭრის ტურბულენტური გრივალების ენერგეტიკული სიდიდეები, ჩატარებულია მეტეოროლოგიურ ელემენტთა იზოკორელაციური ველის ანალიზი საქართველოს რეგიონისათვის. გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს ტერიტორიის გრავიმეტრული რუკის კატალოგის დასაზუსტებლად. გრძელდებოდა კვლევები მიწისძვრათა ტრიგერული ფაქტორების გამოვლენის მიზნით. მიღებულია ახალი შედეგები საქართველოს გვიანკაინოზური მაგნიტოქრონოსტრატიგრაფიული სკალის ახალი მოდელის შექმნის დროს. გამოქვეყნებულია 15 სამეცნიერო შრომა.

7) ბირთვული ფიზიკის კათედრის (გამგე პროფ. ლ. ქურდაძე) ორ სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში მუშაუდება 8 სამეცნიერო თემატიკა, რომელიც ეძღვნება ბირთვული სპექტროსკოპიის, ბირთვული ასტროფიზიკის, გარემოს რადიაქტიული და ჰუჭუიანების კონტროლის, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, საქართველოს ცალკეული რეგიონების რადიაციული მდგომარეობის შესწავლის საკითხებს.

ატომურ-მოლეკულური პროცესების ს/კ ლაბორატორიის (გამგე პროფ. თ. კერესელიძე) ოპტიკური სპექტროსკოპიისა და დაჯახებითი სპექტროსკოპიის განყოფილებათა თანამშრომლების მიერ დასრულებულ იქნა INTAS-ის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოთა ციკლი. ანგარიში გაეგზავნა ევროგაერთიანებას.

პროფ. თ. კერესელიძემ და მისმა ჯგუფმა თემაზე – ჰელიუმის ატომისა და ჰელიუმისმაგვარი იონების ორჯერადი იონიზაცია ელექტრონებით – გააკეთა მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე შვედეთში, სტოკჰოლმში და სტატია გაგზავნილია საერთაშორისო ჟურნალში. ნაშრომში გათვლილია ორჯერადი იონიზაციის სრული განიკვეთები. მანვე თემაზე – ორი კულონური

ცენტრის პრობლემა – გააკეთა სამი მოხსენება. შედეგების საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილია 2 პუბლიკაცია საერთაშორისო ჟურნალში. მიღებულია საყურადღებო შედეგები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გრძელდება სამეცნიერო თანამშრომლობა ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან (ბელგია), სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან. ლოს-ალამოსის ნაც. ლაბორატორიასთან, კანადის ჯგუფთან.

თემაზე – მყარი სხეულების გამოკვლევა მეორადი იონების მასსპექტრომეტრიული და დაჯახებისას ინდუცირებული გამოსხივების ანალიზის მეთოდებით – კვლევების ეფექტურობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ქმედითი ღონისძიებები, გაძლიერდა ჯგუფი, მიმდინარეობს ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება, ანალიზი. დადგინდა რომ ოქე-შეესება მიმდინარეობს, როგორც უშუალოდ მყარ სხეულში, ასევე ემისიის შემდეგ იზოლირებულ აგზნებულ ატომში. საჭიროა ექსპერიმენტის გაგრძელება, სხვადასხვა საზღვარგარეთის ცენტრებთან კონტაქტები.

შავი ზღვის აუზის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ბირთვული ფიზიკის რადიონახშირბადის და დაბალი რადიოაქტივობის განყოფილება (ხელმძღ. დოც. ს.ფაღავეა) ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ტექნიკური კოოპერაციის დეპარტამენტის (JAEA TC) მხარდაჭერით ჩართულ იქნა პროექტში – შავი ზღვის საზღვაო გარემოს რადიოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება. ჩამოყალიბდა ლაბორატორია. აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, მობილური გამა-სპექტრომეტრით, კომპიუტრით, პროგრამული უზრუნველყოფით, წყლის ანალიზისათვის მოსამზადებელი სისტემითა და სხვა. ახალგაზრდა მეცნიერებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია გერმანიის სხვადასხვა ცენტრებში, მონაკოში. მიიღეს მონაწილეობა 3 საერთაშორისო ექსპედიციაში, ხოლო „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა 4 ექსპედიცია შავი ზღვის აკვატორიასა და სანაპირო ზოლში. შედეგები მოხსენებულ იქნა 3 საერთაშორისო კონფერენციაზე – მონაკო, ვენა, ბაქო. გამოქვეყნდა 12 შრომა. JAEA TC – ხელმძღვანელობით 2004 წლის იანვარში ჩატარდა დასკვნითი, შემაჯამებელი შეხვედრა. სხვა საკითხებთან ერთად, დადგენილ იქნა, რომ პრობლემა კვლავ რჩება აქტუალურად და საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. ამ შეხვედრაზე ხაზი გაესვა ჩვენი განყოფილების წარმატებას პროექტის განხორციელებაში. მიეცა რეკომენდაცია, რომ კოლაბორაციის ბაზაზე ჩამოყალიბდეს გარემოს რადიოეკო-

ლოგიური მდგომარეობის შესწავლისა და მონიტორინგის ეროვნული ცენტრი საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინაციის ქვეშ. მას დაევალა აგრეთვე დახმარება გააწვიოს კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს. დანერგოს მიღწეული შედეგები.

გადაწყდა, გაგრძელდეს ამერიკის აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან პროფ. ტომ გიზელის ხელმძღვანელობით 2003 წელს დაწყებული პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში პირველად საქართველოში გამოყენებული იქნება ახალი ტიპის იონიზაციური კამერები რადონის კონცენტრატის დასადგენად ჰაერსა და წყალში. ბოლო წლებში განყოფილებაში ჩატარებული კვლევების ფარგლებში დამყარებულ იქნა სასარგებლო საერთაშორისო კავშირები, იგი ჩართულ იქნა ამერიკის საუნივერსიტეტო კონსორციუმში და მიერთებულ იქნა აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის მონაკოს მიერ დაკვეთილ ორ გრანტულ პროექტში. ექსპერიმენტული მონაცემების კონტროლისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განყოფილება ჩაერთო გერმანიის გამოსხივების დაცვის ფედერალური სააგენტოს ინტერკალიბრების პროგრამაში, რომელიც დღესაც გრძელდება. ფაკულტეტის ბაკალავრიატის 4 კურსდამთავრებული განყოფილების ხელმძღვანელის რეკომენდაციით სწავლას გააგრძელებს აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ფიზიკის პროგრამის მაგისტრატურაში. ერთერთმა მათგანმა გ. ხარაშვილმა ა.წ. თებერვალში წარმატებით დახურა მაგისტრატურის სრული კურსი.

დაგეგმილია ამერიკელებთან ერთობლივ გაეროს რეკომენდაციებისა და წინადადებების პრაქტიკული განხორციელება საქართველოში.

ყველა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ს ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე რადიოეკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბებას, რომელსაც მაღალ პროფესიულ დონეზე შეუძლია შეისწავლოს რადიოეკოლოგიური მდგომარეობა და გასცეს რეკომენდაციები ბუნებრივი გარემოს, მათ შორის საზღვაოს შეფასების თვალსაზრისით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამოიცა მსოფლიოში რადიოეკოლოგიის ხაზით ჩატარებულ სამუშაოთა ფუნდამენტური კრებული, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი თსუ-ს განყოფილების კვლევის შედეგები, რაც ძალზე საინტერესოა.

გარდა ამისა, გრძელდებოდა მუშაობა თემებზე „კილოელექტრონოვოლტოვანი ენერჯის დამუხტულ ნაწილაკთა ნაკადის ატომებთან და მოლეკულებთან ურთიერთქმედების დროს მიმდინარე არადრეკადი პროცესების შესწავლა“, „მძიმე ატომური ნაწილაკების ატომებთან და იონებთან დაჯახებისას მიმდინარე არადრეკადი პროცესები“. ჩამოთვლილი სამეცნიერო თემატიკის ირგვლივ გამოქვეყნებულია 12 სამეცნიერო სტატია.

8) მყარი სხეულების ფიზიკის კათედრის (გამგე პროფ. ზ. ქაჩლიშვილი) სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში გრძელდებოდა კვლევა თემაზე: დაბალტემპერატურული არაწრფივი კინეტიკური მოვლენები ნახეარგამტარებში. კვლევის თემატიკით მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება მაღალი და დაბალი სიხშირის ცვლადი დენის გენერატორების, გადაწყობადი სიხშირის მქონე მონოქრომატული გამომსხივებლების, მაღალსიხშირული იმპულსების გენერატორებისა და მაღალი მგრძნობიარობის მქონე ფოტო და მაგნიტომგრძნობიარე მიმღების შესაქმნელად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მყარი სხეულის კათედრის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი აგრძელებდა კვლევას თემაზე – მყარ სხეულებში მიმდინარე პროცესების ექსპერიმენტულ კვლევებში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. ამ მიმართულებით შესწავლილ იქნა სინათლის ზოლის სასრულობის ზეგავლენა ნ/გ დიფუზური სიგრძის განსაზღვრის მოძრავი სინათლის ზონდის მეთოდში. გამოქვეყნებულ იქნა 4 სამეცნიერო სტატია.

9) ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის (გამგე პროფ. ბ. ბერულავა) დაბალი ტემპერატურის ფიზიკის ს/კ ლაბორატორიაში სრულდებოდა შემდეგი სამეცნიერო თემები: კვანტური ქაოსის პრობლემა, არატრივიალური ამოხსნები 2D სივრცეში და ზომური დაკვანტის ეფექტი, ცვლად მაგნიტურ ველში მაღალტემპერატურული ზეგამტარის დამაგნიტების გამოკვლევა. შესწავლილია არაწრფივად ოსცილირებადი ნაწილაკის მოძრაობა, როდესაც მასზე მოქმედებს მოკლე ელექტრომაგნიტური იმპულსების პერიოდული თანამიმდევრობა. შედეგები გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო ნაშრომის სახით, მათ შორის ერთი – განსაკუთრებულად ავტორიტეტულ ამერიკულ ჟურნალში Phys. Rev. E.-ში.

10) რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის კათედრაზე (გამგე აკად. თ. სანაძე) სრულდებოდა თემები:

ა) რეზონანსი არაწრფივინდუქტივობიან და არაწრფივინაღობიან რხევით კონტურში (ხელმძღ. დოც. მ. კობახიძე). გამოკვლეუ

ულია რესონანსის მოვლენა რხევით კონტურში იმ შემთხვევაში, როცა ვარისტორი წრედში მიმდევრობით არის ჩართული. გამოყვანილია რხევითი კონტურის დიფერენციალური განტოლება, რომელიც ამოხსნილია ვან-დერ-პოლის მეთოდით.

ბ) სტრუქტურული სიჭარბის გავლენა ელექტრული წრედის დისკრეტული პასიური ელემენტების არამეტრულ საიმედოებაზე არაწრფივი დამოკიდებულებების შემთხვევაში (ხელმძღვ. დოც. ქ. ხომასურიძე).

გ) მაგნიტური კომპლექსების მიკროსკოპული სტრუქტურის შესწავლა იმპულსური ეპრ სპექტროსკოპიის მეთოდით კვანტური ელექტრონიკის კრისტალებში (ხელმძღვ. აკად. თ. სანაძე). თემა მიზნად ისახავდა მაგნიტური იონის მახლობლობაში მესრის ლოკალური დამახინჯებების შეფასებას შემოთავაზებული ახალი მეთოდით.

რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის კათედრის კვანტური ელექტრონიკის ს/კ ლაბორატორიაში სრულდებოდა თემა, რომელიც მიზნად ისახავდა მძლავრი ტალღგამტარული ლაზერის შექმნას ნეოდიმის მინაზე რამდენიმე ათეული ჯოული გამოსხივების ენერგიით. გრძელდება თეორიული შრომები, რომელიც მიეძღვნა მრავალფოტონიანი პროცესების ახალი მექანიზმის შესწავლას. სულ ჩამოთვლილ თემატიკებზე გამოქვეყნებულია 11 ნაშრომი, აგრეთვე 3 ბროშურა ლაზეროთერაპიის საკითხებზე (გამომცემლობა „ცოდნა“).

11) თეორიული ფიზიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ა. ხელაშვილი) კვლევები გრძელდებოდა რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, ა) ნაწილაკთა ბმული მდგომარეობების თვისებების შესწავლა არარელატივისტური და სხვადასხვა რელატივისტური განტოლებების საშუალებით; ბ) მაღალ ენერგიებზე ბირთვულ-ბირთვულ დაჯახებებში დაბადებული მეორადი დამუხტული ნაწილაკების მრავლობითობების განაწილების თეორიული ანალიზი; გ) ლოკალური ყალიბრული სიმეტრიის გარდაქმნის გაწარმოებული ფუნქციის აგება ბმებიანი სისტემისათვის დირაკის ფორმალიზმის ფარგლებში. გამოქვეყნებულია 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი. დამტკიცებულია, რომ მოდიფიცირებულ დირაკის განტოლებას აქვს კვარკების ჩამჭერი ამონახსნები. ეს ახალი შედეგია სამეცნიერო ლიტერატურაში.

12) ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის კათედრის (გამგე პროფ. ნ. კეკელიძე) ს/კ ლაბორატორიაში გრძელდებოდა კვლევითი სამუშაოები ძლიერ ელექტრულ და მაგნიტურ ველებ-

ში GaALAS-ის ტიპის სამმაგ შენაერთებში არაწონასწორულ პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის კათედრა მყარი სხეულების ფიზიკის კათედრასთან ერთობლივად აგრძელებს კვლევებს ფართოზონიან ნახევარგამტარებში. გამოქვეყნებულია რამდენიმე ნაშრომი.

13) მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის პრობლემურ ლაბორატორიაში (გამგე დოც. გ. კეკელიძე) სრულდებოდა რეგიონალური გრანტით გათვალისწინებული თემატიკა – სამხრეთ კავკასიის მდინარეების მტკვრის და არაქსის მონიტორინგი (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე ირანში. მომზადდა მონოგრაფია „ფურიესპექტროსკოპია“, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს შესაბამისი დარგის სტუდენტებსა და მაგისტრებს.

14) იონოსფეროს ობსერვატორიაში (გამგე პროფ. ზ. შარაძე) მუშაობა მიმდინარეობდა თემაზე – თბილისში 1980-92 წლებში გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით სიკვდილიანობაზე მზის აქტივობის ცვალებადობისა და გეომაგნიტური ქარიშხლების ზეგავლენა. იონოსფეროში რადიოტალღების შთანთქმის დიელამური ცვლილებების გამოკვლევა შესრულებულია მზის აქტივობის გათვალისწინებით. გამოქვეყნებულია 2 ნაშრომი.

15) გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიაში (გამგე დოც. ს. წერეთელი) სრულდებოდა თემა – ახალი კომპლექსური მეთოდი მიწისძვრის წინამორბედების დასადგენად. შემუშავებულია ახალი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სისტემატური კვლევების ჩატარება მიწისძვრის წინმსწრები მოვლენების შესასწავლად. გამოქვეყნებულია 2 სამეცნიერო ნაშრომი.

16) ნახევარგამტართა ფიზიკის ს/კ ლაბორატორიაში (გამგე დოც. შ. მირიანაშვილი) გრძელდებოდა მუშაობა თემაზე – გალიუმის არსენიდის და მისი მონათესავე ნახევარგამტარული მასალების და სტრუქტურების მიღება და მათი კომპლექსური გამოკვლევა. გამოქვეყნებულია 2 ნაშრომი.

ძიშიის ფაკულტეტი

ქიმიის ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობდა 8 კათედრაზე.

არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრაზე (გამგე პროფ. რეგიგაური) იკვლევდნენ საქართველოს წიაღისეული რესურსების რაციონალური გამოყენების გზებს. მათგან ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან წიაღისეულზე, როგორცაა: ოქრო, სპილენძი, სურმა და დარიშხანი.

შემუშავდა ახალი მიდგომა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ჩამდინარე წყლებიდან სპილენძის რეგენირებისა. ამ დროს სპილენძი აღდგება 90 % გამოსავლიანობით.

შეისწავლებოდა რაჭისა და ცანის სამთო-ქიმიური ქარხნების წარმოების ნარჩენები დარიშხანის და ოქროს შემცველობაზე. ცანის არსენოპირიტული მადნების გამოწვით დარჩენილ კუდებში ოქროს შემცველობა მერყეობს 4-11 გ/ტ ფარგლებში, ხოლო რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის წარმოების ნარჩენებში ამ ელემენტის მაქსიმალური შემცველობა არ აღემატება 4 გ/ტ-ს. ისინი წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც კონცენტრატი ოქროს წარმოებისთვის.

სურმისა და დარიშხანის ბაზაზე კათედრის თანამშრომლების მიერ სინთეზირებულია 70-ზე მეტი ახალი ნაერთი, რომელთა შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია ქიმიური ანალიზით და კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. კადმიუმის და ვერცხლისწყლის მონოსელენოარსენიტებს აღმოაჩნდათ დეფოლიანტური ბუნება.

კვლევის შედეგები კათედრამ გამოაქვეყნა 18 მეცნიერული ნაშრომის სახით. კათედრაზე სადისერტაციო სამუშაოს ასრულებს 4 ასპირანტი და 7 მაძიებელი.

კათედრამ აღადგინა სამეცნიერო-შემოქმედებითი ურთიერთობა ყაზანის ქიმიურ-ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან. მიღწეულია შეთანხმება ინფორმაციის სისტემატური გაცვლის თაობაზე პნიქტოგენების ქიმიაში.

ფაკულტეტის შიგნით არაორგანული ქიმიისა და ზოგადი ქიმიის კათედრა წარმატებით თანამშრომლობს ქიმიური კინეტიკის კათედრასთან. განვლილი ორი წლის განმავლობაში ერთობლივი ძალებით მომზადდა სამი ასპირანტი და მაძიებელი.

კათედრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართული სტუდენტები. გასულ წელს საუნივერსიტეტო კონფერენციას მოხსენდა 7 მოხსენება.

ანალიზური ქიმიისა და გარემოს ქიმიის კათედრის (გამგე პროფ. გ.სუპატაშვილი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა ორი ძირითადი მიმართულებით: 1. ორგანულ რეაგენტებთან კათიონთა ურთიერთქმედების რეაქციების შესწავლა ანალიზურ ქიმიაში მათი გამოყენების მიზნით; 2. საქართველოს ბუნებრივი წყლების ჰიდროქიმიური და ეკოქიმიური გამოკვლევა.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი იყო ფუძე საღებავების, აზოტ შემცველი ორგანული რეაგენტების და სხვ. მძიმე ლითონებთან კომპლექსწარმოქმნის რეაქციები. დამუშავებულია ბუნებრივ ობიექტებში მანგანუმის ფოტომეტრიული განსაზღვრის მეთოდი (დოც. ქვრიგალაშვილი), ანტიპირინის რიგის საღებავები გამოყენებულია მიკრორაოდენობა ფოსფატების ტურბიდიმეტრიული მეთოდით განსაზღვრისათვის (დოც. ნ.თელია).

გრძელდება ბუნებრივ ობიექტებში დარიშხანის და სხვა ნორმირებული ნივთიერებების განაწილების შესწავლა (პროფ. გ.სუპატაშვილი, დოც. ნ.ლორია, დოც. ჟ.გურჯია). პროფ. გ.მახარაძის და დოც. ნ.გოლიაძის მიერ შესწავლილი იყო მძიმე ლითონების სორბცია ჰუმუსის მჟავების შემცველ სისტემებში. მიმდინარეობს მდ. ხობის და მისი შენაკადების ჰიდროქიმიური და ეკოქიმიური გამოკვლევა (პროფ. გ.სუპატაშვილი). კათედრის თემატიკაში დამკვიდრდა გამოკვლევები ყოფილი სამხედრო ბაზების ეკოქიმიური მდგომარეობის შესწავლის დარგში.

საანგარიშო პერიოდში კათედრის თანამშრომლების და ასპირანტების მიერ გამოქვეყნებული იყო 14 ნაშრომი. იბეჭდება გ.სუპატაშვილის მონოგრაფია „საქართველოს ჰიდროქიმია“. დაცულია ერთი საკანდიდატო დისერტაცია. სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე გატანილი იქნა 14 მოხსენება, მათგან ორი წარდგენილი იქნა რესპუბლიკურ კონფერენციაზე.

ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის (გამგე პროფ. შ. სამსონია) თანამშრომლებმა შეასრულეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრძელვადიანი პროგრამის ერთ-ერთი მიმართულების „ბუნებრივი და სინთეზური ორგანული ქიმია“ სამეცნიერო პრობლემის – „პრაქტიკული მნიშვნელობის თვისებების მქონე ნივთიერებების სინთეზის მეთოდების განვითარება, საქართველოს ფლორის შესწავლა ალკალოიდების შემცველობაზე“ – გეგმით გათვალისწინებული გამოკვლევები.

სინთეზირებულია 2-ფენილინდოლის ახალი დიჰიდროქსი- და ალკოქსი წარმოებულები, 3-ფორმილ-2-ფენილინდოლის წარმოებულების ამინებთან კონდენსაციის პროდუქტები. შესწავლილია

2-ეთოქსიკარბონილ-3-ფორმილინდოლის და 2,2-დიეთოქსიკარბონილ-3,3-დიფორმილ-ბის-(5-ინდოლილ)მეთანის ჰიდროქსილამინთან, ჰიდრაზინჰიდრატთან და ფენილჰიდრაზინთან ურთიერთქმედების რეაქციები, მიღებულია შესაბამისი ოქსიმები, ჰიდრაზონები და ფენილჰიდრაზონები, რომელთა შიგამოლეკულური ციკლოკონდენსაციით სინთეზირებულია შესაბამისი მონო- და ბის-ინდოლოპირიდაზინონები (ხელმძღ. პროფ. ი. ჩიკვაიძე)

გამოკვლეულია დიდყვავილა მაგნოლიის – *Magnolia Grandiflora*-ს ფოთლები ალკალოიდების შემცველობაზე. გამოყოფილია ალკალოიდთა ჯამური პრეპარატი, რომლის დაყოფით მიღებული და იდენტიფიცირებულია ინდივიდუალური ალკალოიდები: იუზირინი, კაავერინი და დეჰიდრორემერინი (ხელმძღ. პროფ. დ. წაქაძე).

რნბ – მატრიცის სტრუქტურული მოდერნიზაციით მიღებულია ახალი ტიპის მატრიცა – კვაზი-რნბ-მატრიცა. დადგენილია, რომ კვაზი-რნბ-მატრიცის დეტერმი-ნანტის ათობითი ლოგარითმი წარმოადგენს ეფექტურ ტოპოლოგიურ ინდექსს „აღნაგობა – თვისება“ კორელაციების დასადგენად ორგანულ ნაერთთა სხვადასხვა კლასისათვის. შესწავლილია ნორმალური ალკანები, პალოგენსმარმეაგები, ნაჯერი ალდეჰიდები, თიენილშემცველი სილოქსანები.

კვაზი-რნბ-მატრიცების მეთოდისა და შენონის ინფორმაციის ენტროპიის მეთოდის ფარგლებში შესწავლილია კრებსის ციკლის შემადგენელი ქიმიური რეაქციები. გაანალიზებულია ალკალოიდ ანონაინის N-ალკილირების პროცესი (ხელმძღ. პროფ. მ. გვერდწითელი).

შესწავლილია იზომერული ამინოფენოლების გლიკოზილირება გლუკოზითა და გალაქტოზით. მიღებულია შესაბამისი გლიკოზიდები (ხელმძღ. დოც. რ. კუბლაშვილი).

ჩატარებულია თელეთის №39 და საცხენისის №11 ჭაბურღილების ნავთობის ფრაქციონირება, განსაზღვრულია ფრაქციების მოცულობითი და მასური წილები, განსაზღვრულია ნედლი ნავთობისა და ცალკეული ფრაქციების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები. შესწავლილია თითოეული ფრაქციის ჯგუფურ-ნახშირ-წყალბადური შედგენილობა. დადგენილია, რომ №11 ჭაბურღილის ნავთობი მიეკუთვნება ნაფთენურ-არომატულ ტიპს, ხოლო თელეთის №39 ჭაბურღილის ნავთობი – პარაფინულ-ნაფთენურს (ხელმძღ. დოც. თ. დოქსოპულა).

დამუშავებულია პოლიორთოანილინოამიდების კატალიზური ციკლოდეჰიდრატაციის მეთოდი ქლორწყალბადის თანაობისას ისეთ

გამხსნელებში, როგორცაა დამეთილფორმამიდი, დამეთილაცეტამიდი, დიოქსანი, დამეთილსულფოქსიდი და სხვ. მიღებულია აღნიშნულ გამხსნელებში ხსნადი მაღალმოლეკულური პოლიმერები, რომლებიც შესაბამისად წარმოქმნიან მტკიცე და ელასტიურ აფსკებს (ხელმძღვ. პროფ. დ. ტულუში).

ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე საანგარიშო წელს გამოქვეყნებულია 24 სამეცნიერო-მეთოდური შრომა, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებულია 8 მოხსენება, სტუდენტთა კონფერენციებზე – 10 მოხსენება, მოპოვებულია ერთი პირველი, ერთი მეორე და ერთი მესამე ადგილი. სოროსის კონფერენციაზე წარდგენილია ორი მოხსენება, მოპოვებულია ერთი პირველი, ერთი მეორე ადგილი. დაცულია 7 სამაგისტრო სამუშაო და 2 საკანდიდატო დისერტაცია.

კათედრის ორგანული სინთეზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში (გამგე პროფ. შ. სამსონია) ჩატარებული სამუშაოს შედეგად სინთეზირებულია ბისინდოლური ოქსიმების და ჰიდრაზონების რიგი. ბის-ჰიდრაზონების შიგამოლეკულური ბის-ციკლიზაციით მიღებულია ბის-ტრიციკლური ჰეტეროციკლური სისტემები (ხელმძღვ. ნ.თარგამაძე). სინთეზირებულია ხიდური ნ-ჰექსანის ჯგუფით დაკავშირებული ურაცილისა და პირიდაზინის ბირთვების შემცველი ნაერთები. ამ ნაერთთა პირიდაზინის ბირთვის გარდაქმნით მიღებულია ფლუორენ-შემცველი სპირონ-ერთები. (ხელმძღვ. ე.გოგრიჭიანი, მ.ტრაპაიძე). შესწავლილია ანგულარული აღნაგობის 2 პიროლის ბირთვის შემცველი 3,6-პიროლო[3,2-*e*]ინდოლის აცილირების რეაქციები; ნაჩვენებია, რომ წარმოიქმნება მხოლოდ მონოჩანაცვლების პრო-დუქტი (ხელმძღვ. დ.ყაჯრიშვილი). 2-არილ-3-ფორმილინდოლების საფუძველზე სინთეზირებულია ახალი ოქსიმები და აზომეთინები (ნ.ნარიშანიძე, ნ.მირზიაშვილი). ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო შრომა და კონფერენციებზე გაკეთებულია 5 მოხსენება.

ფიზიკური ქიმიის კათედრაზე (გამგე პროფ. შ.სიდამონიძე) სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით.

პროფ. მ.რუხაძის ჯგუფის კვლევის მიზანს წარმოადგენდა არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით: პოლიოქსიეთილენ (23) ლაურილ ეთერით, პოლიოქსიეთილენური სორბიტანის ეთერით, პოლიეთილენგლიკოლის მესამეული ოქტილფენილეთერით მოდიფიცირებული მოძრავი ფაზებით ბიოლოგიურად და სამედიცინო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაერთების

ქრომატოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა. ქრომატოგრაფიული მახასიათებლების მნიშვნელობათა საფუძველზე გათვლილი იქნა მოდელური ნივთიერებების ჰიდროფობურობის ინდექსები. მიღებული შედეგების საფუძველზე შეფასდა ხელოვნურ მემბრანათა შეღწევადობა ფიკის დიფუზიის I კანონის ანალოგიური ფორმულის გამოყენებით.

კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირული AM1 მეთოდის გამოყენებით შესრულებულია პიროლის, პირაზოლის, იმიდაზოლის, ტრიაზოლის და ტეტრაზოლის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების კორელაციური ანალიზი. ნაპოვნია გამოკვლეული აზოლების იონიზაციის პოტენციალის, დიპოლური მომენტის და მჟავურობის (pK_a) წრფივი დამოკიდებულება სიჭარბის ინდექსთან, აგრეთვე, იონიზაციის პოტენციალსა და ენთალპიას შორის. შესწავლილია კრებსის ციკლის ენერგეტიკული ბალანსი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ტრიკარბომჟავების გარდაქმნის რაოდენობრივ აღწერისთვის (პროფ. ჯ.კერესელიძე).

სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის დახმარებით შესწავლილია ფილიფსიტ-შემცველი ტუფი და დადგენილი იქნა, რომ იგი ხასიათდება ცეოლითის - ფილიფსიტის მაღალი შემცველობით, ხოლო მინარევთა სახით შეიცავს მინდვრის შპატს, კვარცს, ლომონტიტს (დოც. ა.რუხაძე).

კათედრის ცეოლითური კატალიზის ლაბორატორიაში (გამგე პროფ. შ.სიდამონიძე) შემუშავებულია ქისათიბის დიატომიტის საფუძველზე მყარი სარჩულის მომზადების მეთოდი და შესწავლილია მიღებული მყარი სარჩულების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები: მექანიკური მდგრადობა, ნაყარი სიმკვრივე, ზედაპირის pH, ხვედრითი ზედაპირი, კატალიზური და ადსორბციული აქტიურობა. დადგენილია, რომ ფიზიკურ-ქიმიური მახვენებლებით, ქისათიბის დიატომიტის მყარი სარჩული უცხოური წარმოების დიატომიტურ მყარ სარჩულთა Chromosorb W და Chromosorb-N-ის ალტერნატივას წარმოადგენს. ნაჩვენებია, რომ ქისათიბის ტიპის მყარ სარჩულზე წარმატებით შეიძლება დაიყოს არომატული და ნაჯერი ნახშირწყალბადები და ალიფატური სპირტები.

კათედრის ენერგორესურსების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორიაში (გამგე დოც. გარეშიძე) შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა სამგორის სასაქონლო ნავთობის პირდაპირნახადი ნავთის ფრაქციიდან ადსორბციული დეპარაფინიზაციით მიღებული ნ.ალკანები ($C_{10}-C_{15}$), რომელთა თერმოკატალიზური გარდაქმნის პროდუქტებს წამოადგენს ოლეფინები. აირადი ქრომატოგრა-

ფიის მეთოდით შესწავლილია ნავთის ფრაქციული შედგენილობა 1 მას. % სიზუსტით (ამერიკული მეთოდის SimDis), განსაზღვრულია მასში ნალკანების რაოდენობრივი შემცველობა. გამოწვლილული ნალკანები ხასიათდება 95-98 % სისუფთავით. თერმოკატალიზური გარდაქმნის პროცესში შესწავლილია ტემპერატურის, მოცულობითი სინქარის და კატალიზატორის გავლენა. დადგენილია კატალიზატის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები.

მოლეკულათშორისი გამოცნობისა და ნივთიერებათა დაყოფის მეთოდების ლაბორატორია აგრძელებდა კვლევით საქმიანობას კაპილარული ელექტროფორეზის, კაპილარული ქრომატოგრაფიის და კაპილარული ელექტროქრომატოგრაფიის დარგში. კვლევითი სამუშაოები ძირითადად ტარდებოდა ზემოაღნიშნული და მთელი რიგი სხვა ფიზიკო-ქიმიური მეთოდების გამოყენებით ენანტიომერული და ბიოსამედიცინო ანალიზის სფეროში.

ლაბორატორიის მიერ მოგროვილი სამეცნიერო შედეგები გამოქვეყნდა 8 სამეცნიერო პუბლიკაციის სახით საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, წიგნებში ცალკეული თავების სახით და განაცხადის სახით იაპონურ პატენტებზე (იხილეთ შესაბამისი სია). ჩვენი კვლევების შედეგები წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დარგების წამყვან საერთაშორისო კონფერენციებზე მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, 7 პლენარული და მიწვეული მოხსენების სახით (სამეცნიერო სემინარი ნაგოიას უნივერსიტეტში 2003 წლის მარტში; პლენარული მოხსენება სამკურნალწამლო საშუალებათა ანალიზის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, ცოგნე, (იტალია,) 2003 წლის ივნისში; მიწვეული მოხსენება ფარმაცევტული ქიმიის საერთაშორისო სიმპოზიუმზე სტამბულში (თურქეთში)- სპი, ზუკუბა (იაპონია) 2003 წლის ოქტომბერში, პლენარული მოხსენება მოლეკულური ქირალობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, ჰიზუოკა (იაპონია) 2003 წლის ოქტომბერში; მიწვეული მოხსენება ქირალობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, ჰიზუოკა (იაპონია) 2003 წლის ოქტომბერში, სამეცნიერო სემინარი ნაგოიას უნივერსიტეტში (იაპონია) 2003წ წლის ოქტომბერში.

ლაბორატორიის გამგის ბეჟან ჭანკვეტაძის თანარედაქტორობით გამოიცა ერთი საერთაშორისო ჟურნალის თემატური ტომი ენანტიომერული ანალიზის საკითხებზე: *Eleetroforezis, v. 24, issue 15, 2003*

ლაბორატორია აგრძელებდა სამეცნიერო თანამშრომლობას ნაგოიას (იაპონია), მიუნსტერის (გერმანია), ლიეჟის (ბელგია) და

კაიას (იტალია) უნივერსიტეტებთან, ისევე როგორც რომის ქრომატოგრაფიულ ცენტრთან (იტალია). 2003 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა კიოტოს (იაპონია) ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან და კოლორადოს (დენვერი) უნივერსიტეტთან (ამერიკის შეერთებული შტატები). გარდა ამისა, საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას ევროპის რამდენიმე ფირმასთან და სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციასთან, რის საფუძველზეც გაკეთებული იქნა განაცხადი ევროგაერთიანებიდან დაფინანსების მიღების შესახებ.

2003 წლის ივლისის თვეში ლაბორატორიაში გადმოზიდული იქნა კაპილარული ელექტროფორეზის საუკეთესო ხელსაწყო ფირმა აჯილენტისაგან, როგორც საჩუქარი პროფ. ჭანკვეტაძის კვლევებისათვის. გარდა ამისა, ტიუბინგენის უნივერსიტეტიდან (გერმანია) საჩუქრად მივიღეთ გაზური ქრომატოგრაფი სამუშაო მდგომარეობაში, რომელიც გათვალისწინებულია ლაბორატორიაში არსებული იონური ჩაჭერის მასპექტრომეტრთან მისაერთებლად. ამ შენაძენმა საშუალება მოგვცა გავაძლიეროთ კვლევითი სამუშაო აღნიშნულ ლაბორატორიაში. ამჟამად ლაბორატორიის სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში ჩაბმული არის ქიმიის ფაკულტეტის 2 სტუდენტი: დავით ჯიშკარიანი და ირაკლი ფიცხელაური.

ლაბორატორიული ფართის სიმცირე, კომპიუტერული და კომუნიკაციის საშუალებების ნაკლებობა და ზოგიერთი სუბიექტური მიზეზები საშუალებას არ იძლევა ლაბორატორიაში არსებული პოტენციალის სრული დატვირტვით გამოყენებისათვის. ლაბორატორიის საჭიროებისათვის პირადი სახსრებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შექნილი იქნა ერთი კომპიუტერი, საბუჯდი მოწყობილობა, ტელეფონისა და ფაქსის ხელსაწყო, შემოყვანილი იქნა ქალაქის ტელეფონის ხაზი, შექნილი იქნა ლაბორატორიული ხელსაწყოები (pH მეტრი, სასწორი, და ა.შ.) და გარდა ამისა, გაღებული იქნა უცხოეთიდან ზოგიერთი დანადგარის გადმოზიდვის ხარჯები.

1. B. Chankvetadze, Enantioseparation in capillary chromatography and capillary electrochromatography using polysaccharide-type chiral stationary phases, Book chapter, G. Gübitz, M. Schmid (Ed-rs), Methods in Molecular Biology. Vol. 243: Chiral Separations: Methods and Protocols, Humana Press Inc., Totowa, NJ, USA, 2003, pp. 387-399 (Chapter 23).

2. B. Chankvetadze, Recent trends in enantioseparation of chiral drugs, Book Chapter (Ed-s: T. Dingermann, G. Folkers, D. Steinhilber) Molecular Biology in Medicinal Chemistry, Wiley-VCH, Chapter 7, pp. 181-210, 2003.

3. B. Chankvetadze, K. Lomsadze, N. Burjanadze, J. Breitkreutz, G. Pintore, M. Chessa, D. Bergenthal, K. Bergander, G. Blaschke, Comparative enantioseparations with native β -cyclodextrin and heptakis-(2,3-di-O-acetyl)- β -cyclodextrin in capillary electrophoresis, *Electrophoresis*, 2003, 24, 1083-1091.

4. B. Chankvetadze, N. Burjanadze, G. Blaschke, Enantioseparation of mefloquine and its analogues in capillary electrophoresis using various cyclodextrin type chiral selectors, *J. Pharm. Biomed. Anal.*, 2003, 32, 41-49.

5. B. Chankvetadze, C. Yamamoto, Y. Okamoto, Very fast enantioseparations in HPLC using cellulose tris(3,5-dimethylphenylcarbamate) as chiral stationary phase, *Chem. Lett*, 2003, 32 (9), 850-851.

6. G. Blaschke, B. Chankvetadze, Interaction between chiral drugs and cyclodextrins, Book chapter, *Affinity Capillary Electrophoresis in Pharmaceuticals and Biopharmaceutics* (Ed-rs: R. Neubert. H.-H. Rüttinger), Marcel Dekker Inc., 2003, Chapter 8, pp. 175-210.

7. Y. Okamoto, B. Chankvetadze, C. Yamamoto, Monolithic chiral columns for enantioseparation. Application number: 2003-15555414. Application date: May 30, 2003. Daicel Chemical Industries, Tokyo, Japan.

8. Y. Okamoto, B. Chankvetadze, C. Yamamoto, Monolithic chiral columns for enantioseparation containing covalently attached polysaccharide derivative. Daicel Chemical Industries, Tokyo, Japan.

კათედრის თანამშრომელთა მიერ განვლილ წელს გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გამოქვეყნებულია 30 სამეცნიერო ნაშრომი, წარდგენილია 5 მოხსენება რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე, დაცულია 3 საკანდიდატო დისერტაცია. სოროსის კონფერენციაზე კათედრის ასპირანტმა მოიპოვა პირველი ადგილი.

ქიმიური კინეტიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ზ.ძოწენიძე) ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით, მიღებული იქნა ბოცერის სისხლის პლაზმაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების – კარბამაზეპამინის და ფენობარბიტალის კონცენტრაციის ცვლილების კინეტიკური მრუდები, სადაც დაფიქსირდება ჯერადი პიკების არსებობა. მათი აღწერისთვის შემუშავებულია მოდულური სქემა, რომლის მიხედვით, ორგანიზმში ორალურად მიწოდებული პრეპარატი თავდაპირ-ველად ნაწილდება სხეულის სხვა ტიპის ქსოვილში, საიდანაც თანმიმდევრულად ხორციელდება პრეპარატის აბსორბცია სისხლში. აქედან ხდება მისი შემდგომი – ელიმინაცია. ამ სქემის საფუძველზე მიღებულია მათემატიკური განტოლება, რომელიც რაოდენობრივად აღწერს ექსპერიმენტულ მონაცემებს. განსაზღვრულია განტოლებაში შემავალი ფარ-

მაკოქიმიური მახასიათებლების რიცხვითი მნიშვნელობანი საფეხუროვანი აბსორბციის გათვალისწინებით.

კინეტიკური ექსპერიმენტის ჩატარების გზით შესწავლილია დარიშხანოვანი ანჰიდრიდსა და ბუთილის სპირტს შორის არაინსოთერმულ რეჟიმში მიმდინარე კეტეროგენური რეაქცია. თანაური პროდუქტის (წყლის) მოცილებისა და კინეტიკური მრუდის გრაფიკული დიფერენცირების მეთოდებით დადგენილია მყარი ფაზის ქიმიური გარდაქმნის ხარისხისა და რეაქციის სიჩქარის მნიშვნელობანი დროის სხვადასხვა მომენტისათვის. მონტე-კარლოს, ხელოვნური ნეირონული ბადის და მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზის მეთოდებით დამუშავებულია ექსპერიმენტული მონაცემები და ჩაწერილია კინეტიკური განტოლება, როგორც აღნიშნული რეაქციის მათემატიკური მოდელი. შემოთავაზებულია მოდელური სქემა, რომლის მიხედვით პროცესის სიჩქარის მაღლიმიტირებელ სტადიას წარმოადგენს სპირტის მოლეკულების დისსოციატიური ქემოსორბცია მყარი ფაზის ზედაპირზე.

საანგარიშო წლის მანძილზე კათედრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომი, დაცულია 1 საკანდიდატო დისერტაცია.

მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის (გამგე პროფ. ო.მუკბანიანი) თანამშრომლების მიერ შესრულებულია საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ერთ-ერთი მიმართულების სამეცნიერო პრობლემების – „პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სილიციუმორგანული მონომერების სინთეზი და პოლიმერები მათ ბაზაზე“ – გეგმით გათვალისწინებული გამოკვლევები.

შესწავლილია აცეტილენური რიგის სილიციუმ- და გერმანიუმშემცველი ალდეჰიდების, კეტონების და მჟავების თერმული გარდაქმნის რეაქციები. ჩატარებულია 1,3,5-ტრიმეთილ-1,3,5-ტრის(ტრიციკლოდეცენილ)ციკლოტრისილაზანის პოლიმერიზაციული კონდენსაცია 4,4'-დიოქსიდიფენილპროპანთან.

შესწავლილია ეპოქსისილოქსანების ურთიერთქმედება ორგანულ ამინებთან და ქლორსილანებთან. შესწავლილია თანაოლიგომერიზაციის პროცესები, კერძოდ, ეპოქსისილოქსანის ან ამინოსილოქსანის თანაოლიგომერიზაცია ციკლოსილოქსანებთან. ნაჩვენებია სინთეზირებული ოლიგომერების გამოყენების შესაძლებლობა რეზინულ კომპოზიციებსა და საღებავებში.

ჩატარებული და შესწავლილია ბის(დიეთილამინო)მეთილთიენილსილანის პოლიკონდენსაციის რეაქციები არომატულ ბისფენოლებთან.

ჩატარებულია 1,4-დილითიუმ-1,4-დიჰიდრონაფთალინის კონდენსაციის რეაქცია მეთილენილდიქლორსილანთან, რის შედეგად მიღებულია α,ω-დიქლორ-1,4-ბის(მეთილენილსილჰიდრო)ნაფთილენსილოქსანები, რომელთა ჰიდროლიზით ტუტე არეში სინთეზირებულია შესაბამისი დიჰიდროქსინაწარმები.

შესწავლილია ორგანოსილოქსანური ამინოსპირტებისა და დაბალმოლეკულური სილიციუმორგანული ეპოქსისილოქსანების თანაპოლიმერიზაცია ამონიუმის სილოქსანდიოლატის თანდასწრებით. დადგენილია, რომ სილიციუმორგანული ამინოსპირტების დამატება „სიკ-3“-ის რეზინულ კომპოზიციაზე იწვევს წინაღობის გაზრდას მრავალჯერადი გაჭიმვის მიმართ და თბურ დაძველებას.

დამზადებულია კომპოზიციები ეპოქსიდინური ფისის საფუძველზე, მოდიფიცირებულია სილიციუმორგანული ოლიგომერებით და გამდიდრებულია იაფი შემავსებლით, ხასიათდება კარგი შემთავსებლობითი უნარით, მეტალებთან მაღალი ადჰეზიით, დრეკადობით, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს ნებისმიერი მეტალთა ღრმულებისა და ნაპრალების საპერმეტიზაციოდ და საგოზავად.

კათედრის თანამშრომელთა მიერ დაწერილ წიგნში განხილულია ციკლოხაზოვანი თანაპოლიმერების სინთეზი, თვისებები და გამოყენება. შედგება 7 თავისგან. თითოეულ თავში მოტანილია საწყისი მონომერების სინთეზი. წიგნი განკუთვნილია სილიციუმორგანული პოლიმერების დარგში მომუშავე მეცნიერთათვის.

საანგარიშო პერიოდში კათედრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 9 სამეცნიერო სტატია და ერთი სახელმძღვანელო, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება პატენტზე.

ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის კათედრა (გამგე პროფ. ლ. ასათიანი) 2003 წელს მუშაობდა თემაზე „პრაქტიკულად მნიშვნელოვანი თვისებების მქონე ელემენტორგანული ნაერთების ახალი ფორმების შექმნა და შესწავლა“.

ფეროცენის შემცველი ნაერთები ამჟღავნებენ მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი სტრუქტურები, რომელთა მოლეკულები ერთდროულად შეიცავენ ფეროცენისა და ფენოლის ან ნაფთოლის ციკლებს, რაც ზრდის ამ ნაერთების ბიოლოგიურ აქტივობას და ამცირებს მათ ტოქსიკურობას. შესწავლილია კრეზოლებისა და ნაფთოლების ალკი-

ლირება ფეროცენის შემცველი სპირტებით. საკვლევე ობიექტად აღებული იყო ფეროცენილმეთანოლი და ჩატარებულია აღნიშნული სპირტით α - და β -ნაფთოლისა და ორთოკრეზოლის ალკილირება.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი იყო ადამანტანებისა და ზოგიერთი მოდელური ნაერთების ანტიმიკრობული აქტიურობა სხვადასხვა სახეობის მიკრობთა შტამებზე.

ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის კათედრასთან არსებულ საკვლევე-სამეცნიერო ლაბორატორიაში შექმნილია მეტად მნიშვნელოვანი ნაერთი ფეროცენ-A, რომელიც ამჟღავნებს ავთვისებიანი სიმსივნის გაჩენის საწინააღმდეგო თვისებას.

შექმნილია პრეპარატი მაღალი იმუნოტროპული მოქმედებით, რომელიც გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, კერძოდ, ის თავისი აქტიურობით ორ-სამჯერ უკეთეს შედეგს ამჟღავნებს, ვიდრე არსებული პრეპარატები: რიბოქსინი და სიდნოკარბი. აღნიშნულმა პრეპარატმა გამოცდები გაიარა შესაბამის ორგანიზაციაში. სინთეზირებულია პერსპექტიული ნაერთები ანტიჰელმინთური და ანტიმიკრობული აქტიურობით სხვადასხვა მიკროორგანიზმის მიმართ.

მიღებულია პოლიმერები, რომლებიც წარმოადგენს კაუჩუკის-მაგვარ ელასტიურ, შეფერილ ნაერთებს, რომლებიც შესრესით იხსნება CCl_4 -ში, არ იხსნება წყალში და თხევად ნაჯერ ნახშირწყალბადებში. რენტგენოფაზური ანალიზის მეთოდით დადგენილია პოლიმერების ამორფული სტრუქტურა.

კათედრაზე არსებულ ელემენტორგანულ ნაერთთა მოდელირებისა და სინთეზის ლაბორატორიაში (გამგე ქიმიის მეც. კანდ. გ.ლეკიშვილი) მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები:

მთავარი კომპონენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ბენზიმიდაზოლების ისეთი წარმოებულების შეყოვნების დროთა მოდელირება, რომლებიც შეიცავენ ბრომის ატომებს, შეუძლებელია მონაცემთა არსებული კრებსის ბაზაზე და მათი მოცილება მნიშვნელოვნად ამაღლებს მოდელის ხარისხს და პროგნოზირების მდგრადობას; საუკეთესო სტრუქტურულ კოდად წარმოგვიდგა ე.წ. GATEWAY მეთოდი; საუკეთესო მოდელები აგებულ იქნა PLS-ის საშუალებით; მოდელის სტატისტიკური პარამეტრები ცხადმყოფენ მის მაღალ ხარისხს: კორელაციის კოეფიციენტი, $R^2=0.981902$; ცდომილება ტესტირებისას, PRESS=0.749194.

განხორციელებული თეორიული კვლევების საფუძველზე საესებით შესაძლებელია ბენზიმიდაზოლების ახალი წარმოებულუბის მიზანმიმართული სინთეზების პრაქტიკული განხორციელება.

კვლევების უზრუნველსაყოფად, გრძელდებოდა მუშაობა ქემონფორმატიკულ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული ბიბლიოთეკის შესაქმნელად. მოდულების პაკეტი შესრულებულია მაღალი დონის ობიექტზე ორიენტირებული და ფუნქციონალური პროგრამირების ენის, „პითონის“ (Python) მეშვეობით. ბიბლიოთეკა, რომლის პირობითი სახელწოდებაა “Chempyon” (CHEMoinformatics via PYthon), შეიცავს შემდეგ მეთოდებს: მონაცემთა წინასწარი დამუშავება და გარდაქმნა; მრავლობითი რეგრესიული ანალიზი; ორთოგონალური ანალიზი; მთავარი კომპონენტების ანალიზი და რეგრესია; ნაწილობრივი უმცირესი კვადრატები; უკუგავრცელებითი ხელოვნური ნერვული ქსელები.

2003 წელს, გამომცემლობამ „Wiley-VCH“ ინგლისურ ენაზე დასტამბა პირველი სახელმძღვანელო თეორიული ქიმიის ერთ-ერთ პერსპექტიულ უახლეს დარგში – ქემონფორმატიკაში, რომელიც შეისწავლის ინფორმატიკისა და მონაცემთა ანალიზის მეთოდების გამოყენებას ქიმიის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადასაწყვეტად. სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს 650 გვერდს, შეიქმნა ავტორთა კოლექტივის მიერ აღნიშნული დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის პროფ. ი.გაშტაიგერის რედაქციით. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი (მეოთხე) თავის ავტორია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მოდელირებისა და სინთეზის ლაბორატორიის გამგე ქ. მ. კ. გ.ლეკიშვილი.

სახელმძღვანელოში განხილულია მეთოდთა და მიდგომათა უფართოესი სპექტრი, რომელიც მოიცავს ქიმიური ინფორმაციის მენეჯმენტს, მოლეკულური სტრუქტურების ციფრობრივ კოდირებასა და აღწერას, მონაცემთა წინასწარ დამუშავებას მათი შემდგომი გამოყენების მიზნით, სინთეზის კომპიუტერულ დაგეგმვასა და მართვას, მოლეკულური და კვანტური მექანიკის პრაქტიკულ მიდგომებს, „აღნაგობა-ბიოლოგიური აქტიურობა“ (ე.წ. QSAR) მოდელირებას, მოლეკულურ დესკრიპტორებს, მონაცემთა ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებსა და ხელოვნური ინტელექტის (ნეირონული ქსელები, გენეტიკური ალგორითმები) გამოყენებას მოდელირებასა და ქიმიური ინფორმაციის ანალიზ-

ში, აგრეთვე, თანამედროვე ქიმიის სხვა მრავალ აქტუალურ პრობლემას.

განხილული მეთოდები საშუალებას იძლევა შეიქმნას პრინციპულად ახალი ფუნქციური შესაძლებლობების მქონე ქიმიური სტრუქტურები, აგრეთვე მონაცემთა ბაზა, რომელიც მაღალ-ეფექტური და მცირე მასალატევადი ნაერთების (მაგ. სამედიცინო სამკურნალო საშუალებების) სტრუქტურის პროგნოზირებას უზრუნველყოფს.

კათედრაზე შესრულებული სამუშაო გამოქვეყნებულია 17 სამეცნიერო პუბლიკაციის სახით.

ბიორგანული ქიმიის კათედრაზე (გამგე პროფ. რ.გახოკიძე) 2003 წელს წლიური სამეცნიერო სამუშაო შესრულებულია თემაზე: მონოსაქარიდების ნაწარმთა სინთეზი და გარდაქმნები.

შესწავლილია ზოგიერთი აცეტილირებული Se-გლიკოზიდის სინთეზის მეთოდები (რ.გახოკიძე, ნ.სიღამონიძე, ნ.ბოგვერაძე, რ.ვარდიანიშვილი) და ნახშირწყლებისა და გლიციდმჟავების კონდენსაციის რეაქციები (რ.გახოკიძე, ნ.სიღამონიძე, მ.ისაკაძე, ს.მამულია, გ.მაჭარაძე).

სინთეზირებული სელენგლიკოზიდის აგებულება დადგენილი იქნა კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით: ელემენტური ანალიზით, პოლარიმეტრიით, ინფრაწითელი სპექტროსკოპიით.

სინთეზირებული იქნა 1-Se-ტრიმეთილსილილ-2,3,4,6-ტეტრა-0-აცეტილ-β, D-გლუკოპირანოზა, რომლის აგებულება დადგენილია კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.

საანგარიშო პერიოდში შემუშავებული და აპრობირებული იქნა ღვინოში რეზვერატროლის გეომეტრიული იზომერების განსაზღვრის მეთოდი კაპილარული ელექტროკინეტიკური ქრომატოგრაფიის მეშვეობით. ნაჩვენებია ამ მეთოდის პერსპექტიულობა, გაანალიზებულია მიცელურ ქრომატოგრაფიულ სისტემაში რეზვერატროლის იზომერების დაყოფის მექანიზმი. პირველად ქრომატოგრაფიული (კაპილარული ელექტროფორეზი) მეთოდით ქართულ თეთრ ღვინოში იდენტიფიცირებული და რაოდენობრივად განსაზღვრულ იქნა რეზვერატროლი.

ჩატარებულია ვაშლის მჟავას მჟაუნმჟავად და მჟაუნმჟავას ლიმონმჟავად გარდაქმნის პროცესების თეორიული კვლევა კვანტური ქიმიის (AM1 მეთოდის) და ალგებრული ქიმიის (კვანთრნ-მატრიცების მეთოდის) ფარგლებში.

2003 წელს გამოცემულია სახელმძღვანელო „ბიორგანულ ნაერთთა კვლევის მეთოდები“ (ავტორები: კ. ამირხანაშვილი, რ. გა-

ხოკიძე, ნ. სიღამონიძე). გამოქვეყნებულია 15 სამეცნიერო სტატია რესპუბლიკურ და უცხოურ ჟურნალებში. რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულია 2 მოხსენება.

კათედრის სტუდენტურ სამეცნიერო წრეში აქტიურად მუშაობს 22 სტუდენტი. სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 4 მოხსენება, რესპუბლიკურ სტუდენტურ კონფერენციაზე – 2 მოხსენება. დაცულია ერთი საკანდიდატო დისერტაცია.

საანგარიშო 2003 წლის 1-3 ივლისს ქიმის ფაკულტეტზე, საქართველოს ქიმიური საზოგადოებასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან თანაორგანიზებით, შედგა ახალგაზრდა ქიმიკოსთა IV რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 70 ავტორის 60 მოხსენება. საუკეთესო მოხსენებები აღინიშნა აკად. რ.აგლაძის და აკად. ქრ.არეშიძის სახელობის პრემიებით.

ბეობრაფიის ფაკულტეტი

გეოგრაფიის ფაკულტეტზე 2003 წელს მუშავდებოდა 25 სამეცნიერო-კელევიითი თემა. ამ თემებიდან 9 დასრულდა, ხოლო 16 გარდამავალია.

ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის კათედრის (გამგე პროფ. ზ. სეფერთელაძე) თანამშრომლები მუშაობდნენ ძირითადად ორ საკითხზე: პირველი, ითვალისწინებს მონოგრაფიის „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ მომზადებას. მონოგრაფიაში განხილული იქნება საქართველოს ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხები. კერძოდ, მოხდება საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება, ჩატარდება ღანდშაჟტურ-ეკოლოგიური ანალიზი და შემუშავდება რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემასთან დაკავშირებულ წინადადებათა დასაბუთებული ჩამონათვალი. თემა გარდამავალია (2003-2007).

პირველ ეტაპზე (2003 წ.) ჩატარდა დარგობრივ გეოგრაფიული ანალიზი. ნაშრომში განხილულ იქნა საქართველოს ბუნების შემადგენელი კომპონენტები და მათი რესურსული პოტენციალი. კერძოდ: გეოგრაფიული შესწავლის ისტორია; გეოგრაფიული მდებარეობის შეფასება; რელიეფი; ბუნების განვითარება გეოლოგიურ წარსულში; თანამედროვე სტიქიური მოვლენები; მინერალური რესურსები; ჰავა და კლიმატური რესურსები; შიდა წყლები და წყლის რესურსები. აღნიშნული საკითხები ასახულია კათედრის თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებში.

თემის ხელმძღვ. პროფ. ზ.სეფერთელაძე.

შემსრულებლები: პროფ. ზ.სეფერთელაძე, პროფ. ი.ბონდირევი, დოც. გ.მარგველანი, დოც. თ.ზირაქიშვილი, დოც. რ.მალაქელიძე, უმასწ. ე.ხიტალიშვილი, უმასწ. ნ.დიასამიძე, მასწ. ნ.პაიჭაძე, მასწ. თ.მამუკაშვილი, ასისტ. თ.ალექსიძე, უმ.თ. ო.ჯაყელი.

მეორე საკითხი ეხება – გეოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგიას. გარდამავალი თემაა და მოიცავს (2003-2007წწ). უმაღლეს სასწავლებლებში და საშუალო სკოლაში სწავლების თანამედროვე დონეზე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უახლესი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მეთოდოლოგიის სრულყოფის აუცილებლობას.

თემის ხელმძღვანელი და შემსრულებელია დოც. ლ.კვერენხილაძე.

საქართველოს გეოგრაფიის კათედრა (გამგე დოც. ნელიზ-ბარაშვილი) თემა დასრულებულია და შედგენილია „ეკოლოგიის ხუთენოვანი (ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე) განმარტებითი ლექსიკონი“.

თანამშრომლების მიერ შედგენილია სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, მეორე ნომერი.

მომზადებულია გამოსაცემად „გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები“. დამხმარე სახელმძღვანელო გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. შემსრულებელი დოც. დ.ნიკოლაიშვილი.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრა (გამგე დოც. ი.სალუქვაძე). საანგარიშო პერიოდში კათედრაზე მუშავდებოდა 10 თემა. მათ შორის 5 დასრულდა, ხოლო 5 გარდამავალია.

გარდამავალ თემასთან დაკავშირებით საქართველოს მიწის რეფორმების გეოგრაფიული ასპექტები (შემსრულებელი დოც. ი.სალუქვაძე). შესწავლილია მიწის საკადასტრო სისტემის დანერგვის მდგომარეობა საქართველოში. კვლევის შედეგები ასახულია სტატიებში: „კადასტრის უპირატესობანი და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის“, „მიწის ინფორმაციული საკადასტრო სისტემა და მისი დანერგვა საქართველოში“ და „ადგილობრივი სარეგისტრაციო სისტემები, კადასტრი და LIS საქართველოს მაგალითზე“.

დოც. ნ. კეკელია მუშაობს თემაზე მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა პოსტსაბჭოურ საქართველოში.

შესწავლილია საქართველოში დღეს დამკვიდრებული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხები. კვლევას საფუძვლად დაედო სოფლის მცხოვრებთა გამოკითხვისა და ანკეტირების მონაცემები. გაანალიზებულია მიწის პრივატიზაციის მიმდინარეობა და კერძო მიწათმფლობელის ჩამოყალიბების პროცესი. გამოვლენილია მიწათსარგებლობის ტიპები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი დაიკავა ოჯახურმა მეურნეობებმა – ტრადიციული გლეხურ-სამომხმარებლო და ნახევრად სასაქონლო მიმართულებით. განხილულია ფერმერული მიწათმფლობელობის საკითხებიც. კვლევის ძირითადი მონაცემები ასახულია სტატიაში აგრარული ურთიერთობანი საქართველოში.

დოც. მ. ბოკერიას მიერ დასრულებულია თემა: საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები გარდამავალ პერიოდში. ნაშრომში ჩამოყალიბებულია საქართველოს მრეწველობის დარ-

გობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა და დეტალურადაა განხილული და დახასიათებული მრეწველობის დარგები. კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიაში: „საქართველოს გეოგრაფია. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია“, თავი „მრეწველობა“.

თემა: გენდერი და კონფლიქტი დასრულებულია დოც. ფ.ზურაბიშვილის მიერ.

შესწავლილია ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონულ ტერიტორიაში. კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნდა როგორც სახელმძღვანელოში: „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“, რომელიც გასულ წელს გამოიცა, ასევე შემდეგი სტატიების სახით: „ქალის და ისლამური კულტურის ენციკლოპედია“, „ქალი, გენდერი და დედობა“, „ოჯახური ძალადობა და ურთიერთობანი“, „სიღარიბის გენდერული ასპექტები“, „ქალი და პოლიტიკა საქართველოში“ და მოხსენების სახით გამოტანილ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე.

თემა: სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი დასრულებულია დოც. ნ.პაველიაშვილის მიერ.

ნაშრომში განხილულია სამცხისა და ჯავახეთის ბუნებრივი და ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. მოცემულია რეგიონის მოსახლეობის, მეურნეობის დარგების მოკლე მიმოხილვა, მათ შორის, ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, საუბარია აგრეთვე პერსპექტივებზე და საინტერესო ტურისტულ მარშრუტებზე. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა მონოგრაფიაში: „საქართველოს გეოგრაფია“, ნაწილი II, თავი: სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია.

დოც. ე.აბულაძის მიერ დასრულებულია თემა სუეცის არხი: წარსული და მომავალი.

ნაშრომში განხილულია სუეცის არხის მშენებლობის ისტორია, გამოკვეთილია მისი როლი მსოფლიო ნავსადგომის ისტორიაში. წარმოდგენილი და გაანალიზებულია არხის რეკონსტრუქციის პროექტები.

დასრულებულია აგრეთვე უ.მ.თ. გლაშხიას მიერ (სალექციო კურსი). თემა: მომსახურების გეოგრაფია.

სალექციო კურსის ბოლო ნაწილში, რომელიც საანგარიშო წელს შესრულდა, განხილულია მომსახურების სფეროს შემდეგი დარგები: ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.

უ.მ.თ. მემელიქსეთბეგი მუშაობს გარდამავალ თემაზე საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია (სალექციო კურსი).

ნაშრომს საფუძვლად დაედება ლექციები, რომელიც იკითხება ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. საანგარიშო პერიოდში დამუშავდა კურსის სტრუქტურა, შესავალი, აგრეთვე თავები: პოლიტიკური რუკის ფორმირება, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა.

დამუშავების პროცესშია ასევე გარდამავალი თემა ირანის ტურისტულ-გეოგრაფიული მეგზური (შემსრულებელი უ.მ.თ. ნ.გოგინაშვილი).

საანგარიშო პერიოდში შესწავლილია ირანის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებანი, მოსაზღვრე და ახლო მეზობელი ქვეყნების ურთიერთობების ძირითადი საკითხები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები.

16. T.Macharashvili, T.Chelidze. Increase of Averaged Mutual Information between various Domains of Seismicity Inside Critical Regions to Large Events in Caucasus. Proc. of JISC “New Geometry of Nature”, Kazan University Press, Vol. 1, pp. 297-299.

17. N. Janiashvili, T.Macharashvili, T.Chelidze. Investigation of Dynamics of Myocardial Contractile Function in Patients With Hypertension. Proc. of JISC “New Geometry of Nature”, Kazan University Press, Vol. 2, “biology”, pp. 137-139.

18. T.Chelidze, O.Lursmanashvili. Electromagnetic and Mechanical Control of Slip. Laboratory Experiments With Slider System. Non-linear Processes in Geophysics, European Geosciences Union, 20, 1-9, 2003.

კონფერენციებში მონაწილეობა

1. შ.ადამია, ვ.გუგუშვილი, გ.ზაქარიაძე, ზ.ლებანიძე, ბ.თუთბერიძე, ი.შავეიშვილი. საქართველოსა და მომიჯნავე ტერიტორიების გვიანპალეოზოური, მეზოზოური და კაინოზოური ეულკანიზმის გეოდინამიკური მდგომარეობა. „ეულკანიზმი და გეოდინამიკა“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქ. ეკატერინბურგი 2003.

2. ვალფაძე. ლითოსფეროში გაჭიმვა-შეკუმშვის პროცესები და ტექტონიკური მოძრაობის ინტენსიურობისა და ნიშნის ცვლილების პერიოდული მორიგეობის პრობლემა. აკადემიკოს პ. გამყრელიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, 2003.

3. გ. ღონღაძე. ექინოიდების მიხედვით კავკასიის ზედა ცარცულისა და დანიურის ზონალური განაწილება. აკადემიკოს პ. გამყრელიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 2003.

4. ბ.თუთბერიძე, მ.ახალკაციშვილი. პონტიდებისა და კავკასიის გეომორფოლოგია პლენისტრუცენში. 100 წლის სახელობის ვანის (თურქეთი) უნივერსიტეტის საერთაშორისო გეოგრაფიული კონფერენცია. 6-14 ივნისი, 2003 წელი.

გეოლოგიის ფაკულტეტის 14 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 63-ე კონფერენციაში. მათგან სამი სტუდენტის მოხსენება: ვ. მამაიაშვილი-თბილისის წყალსაცავის გეოლოგია და მისი დეპრესიის წარმოშობა, ხელმძღვანელი პროფ. ვ.ალფაიძე. ებაზერაშვილი, ს.მათიაშვილი-დამეწყრილი უბნის შესწავლა ძიების სეისმური და ელექტრული მეთოდებით, ხელმძღვანელი პროფ. ო. ლურსმანაშვილი, გატანილ იქნა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, ხოლო ორმა სტუდენტმა, ლ.ქავთარაძემ და ნ.ტორიაშვილმა სოროსის ფონდის მიერ გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებისათვის: „უცხო ქანების (ქსენოლითების) თრიალეთისა და სამსარის ქედების ნეოგენ-მეოთხეულ ვულკანიტებში“ (ხელმძღვანელი პროფ. ბ.თუთბერიძე) პრემია დაიმსახურეს.

საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობა

გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის პროფესორი შ. ადამია, როგორც პროგრამის გეოლოგიური ნაწილის ხელმძღვანელი, მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის პროექტის – კავკასიის სეისმურობა შესრულებაში (დაიწყო 2001 წელს და დასრულდება 2004 წლის ბოლოს). პროექტის შესრულებაში მონაწილეობდნენ აშშ-ს, გერმანიის, საბერძნეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს გეოლოგიური და გეოფიზიკური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლები. სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის გრანტული პროგრამა ითვალისწინებს კავკასიის რეგიონის სეისმური რუკის შედგენას, სეისმური რისკის შეფასებას და მიწისძვრებით გამოწვეული საზიანო შედეგების შერბილების ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავებას.

ქ. ანკარაში, ინგლისურ ენაზე, გამოქვეყნდა თურქეთისა და საქართველოს გეოლოგიების ერთობლივი მონოგრაფია „თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლის გეოლოგიური შესწავლა“, რომლის ერთ-ერთი ავტორია გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის პროფესორი შ. ადამია. ნაშრომი დათარიღებულია 2001 წლით, თუმცა საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა.

პრემიები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2003 წლის პრემია მიენიჭა პროფესორ გ.ღონღაძის სახელმძღვანელოს – „გეოლოგიის საფუძვლები“, რომელიც გამიზნულია გეოფიზიკის, გეოგრაფიის და ჰიდროლოგიის სპეციალობების სტუდენტთათვის. თსუ გამომცემლობა, 2001 წელი.

დისერტაციების დაცვა

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ზ.ღებანიძემ 2003 წლის 7 მაისს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველო ადრეულ მეზოზოურში: მცენარეული საფარი, ბიოსტრატиграფია და პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები“.

ბიოლოგიის ფაკულტეტი

ბიოლოგიის ფაკულტეტის კათედრებისა და ლაბორატორიების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო მუშაობის ანგარიშების გაცნობისას ცხადი ხდება, რომ რიგი ტექნიკური პრობლემების მიუხედავად, ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რაც ამ ფაკულტეტის თანამშრომელთა უაღრესად დიდ დამსახურებას წარმოადგენს.

2003 წელს ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრასა (გამგე პროფ. ნ. ალექსიძე) და კათედრასთან არსებულ „ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების“ ლაბორატორიაში სამეცნიერო კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა 4 ძირითადი მიმართულებით:

1. სამკურნალო მცენარეებში არსებული ლექტინების გამოყოფა, გასუფთავება, ბიოქიმიური დახასიათება და ფუნქციების შესწავლა;
2. ნერეული უჯრედის ბირთვის ლექტინების შესწავლა;
3. ცხოველური წარმოშობის ლექტინების ფუნქციური თვისებების შესწავლა;
4. სტრესის გავლენა ცხოველთა ფუნქციურ აქტივობასა და ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე.

1. შესწავლილი იქნა CS-Gal-ლექტინის ჰიპოგლიკემიური ეფექტის უჯრედშიდა მოლეკულური მექანიზმები და მისი გლუკოზის გადამტან GLUT-1-თან ურთიერთქმედება ადამიანის ერითროციტებსა და საქონლის ღვიძლის უჯრედებში. მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ერითროციტებში ლექტინის ჰიპოგლიკემიური ეფექტის რეალიზაციის დროს არ აღინიშნება Na^+/H^+ -ცვლის გაძლიერება. რაც შეეხება გლუკოზის ტრანსპორტიორთან ლექტინის ურთიერთქმედების დადგენას ციტოქალაზინ B-სა და ადენილატციკლაზური სასიგნალო სისტემის ინჰიბიტორების თანაობისას, კვლევა ამ მიმართულებით მომდევნო წელს გაგრძელდება. პარალელურად შესწავლილი იქნა ლექტინის გავლენა გლუკოზის უჯრედშიდა გარდაქმნაში მონაწილე ფერმენტ ალდოლაზასა და გლუკოზ-6 დარჩეს ფოსფატაზას აქტივობაზე ერითროციტებსა და საქონლის ღვიძლის უჯრედებში. დადგენილი იქნა, რომ როგორც ერითროციტების ჰემოლიზატში, ისე ღვიძლის უჯრედების ჰომოგენატში აღინიშნება ალდოლაზას აქტივობის ზრდის ტენდენცია, თუმცა აქტივობის მკვეთრი მატება გამოვლენილ იქნა მხოლოდ გლუ-

კოზა-6-ფოსფატაზას აქტივობაში. უჯრედგარე არეში გლუკოზის არ არსებობის დროს, საკონტროლოდგან შედარებით, აღინიშნებოდა გლუკოზის გარკვეული რაოდენობის მატება უჯრედგარე სივრცეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლექტინი CS-Gal არეგულირებს გლუკოზის რაოდენობას უჯრედში და, შესაბამისად, უჯრედგარე სივრცეში.

პროსტატის სხვადასხვა დაავადების დროს ლექტინების შესწავლისას კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სხვადასხვა დიაგნოზის მქონე (ადენომა, PING-უჯრედების სხვადასხვა ხარისხით გამოხატული ადენომა, კარცინომა) წინამდებარე ჯირკვლის პოსტოპერაციული ქსოვილის ფიბრო-მუსკულარული და სეკრეტორული უბნები. წინასწარი მონაცემების საფუძველზე სხვადასხვა პათოლოგიების მქონე წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილის უჯრედებში გამოვლენილია განსხვავებული ნახშირწყალ-სპეციფიკურობის მქონე ხსნადი და მემბრანული ლექტინები, რომელთა სპექტრი იცვლება დაავადების გართულების პარალელურად. კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება.

2. ნერვული უჯრედის ბირთვის ლექტინების კვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ნახშირწყალ-სპეციფიკური ლექტინების განაწილების შედარებითი შესწავლა ხბოსა და ვირთაგვას თავის ტვინის ბირთვის მემბრანასა და ბირთვულ მატრიქსში. ნაჩვენებები იქნა, რომ ვირთაგვას თავის ტვინის ბირთვის მემბრანის ლექტინური აქტივობის მქონე ცილოვანი ფრაქციის ჰემაგლუტინინაციური აქტივობა კავდება 5 ნახშირწყალთ: GlcNAc, Gal, Man, Glc, Lac-ით, მაშინ როცა ხბოს თავის ტვინის ამავე ფრაქციის ჰემაგლუტინინაციური აქტივობა კავდება სამი ნახშირწყალთ: GlcNAc, Gal, Man-ით. ხბოსა და ვირთაგვას თავის ტვინის ბირთვული მატრიქსი შეიცავს GlcNAc-, Gal-სპეციფიკურ ლექტინებს. რაც შეეხება Man-სპეციფიკურ ლექტინს მისი არსებობა მხოლოდ ვირთაგვას თავის ტვინის ბირთვულ მატრიქსშია აღმოჩენილი.

მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფიით გელ-ფილტრაციულ ტანდემურ სვეტებზე Protein PAK-300-SW, U-60 (Waters, USA) ხბოს თავის ტვინის ბირთვის მემბრანისა და ბირთვული მატრიქსის GlcNAc-სპეციფიკური ლექტინი დაიყო ოთხ ფრაქციად. გამოთქმულია მოსაზრება პოლიმერაზულ აქტივობაში მათი მონაწილეობის შესახებ.

3. ცხოველური წარმოშობის ლექტინების ფუნქციური თვისებების შესწავლისას ზრდასრული ქათმის თავის ტვინიდან გამოყოფილია ლაქტოზა-გალაქტოზა სპეციფიკური ლექტინი და მემ-

ბრანული წარმოშობის ლექტინური აქტივობის მქონე გლიკოპროტეინები, კერძოდ, გლიური წარმოშობის ინოზიტ- (GAL-I) - და გალაქტოზა-სპეციფიკური (GAL-L) და სინაპსური ვეზიკულუმების მემბრანებიდან გამოყოფილი ინოზიტ- და N-აცეტილ-D-გლუკოზამინ-სპეციფიკური ლექტინები. შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. დადგენილია აღნიშნული ლექტინების გავლენა Na^+ , K^+ , Ca^{2+} - და HCO_3^- ატფ-აზებზე, რაც მიგვანიშნებს მათ აქტიურ მონაწილეობაზე ნეიროგლიური უჯრედების ტროფიკულ ფუნქციებში.

ლექტინები გამოყოფილი იქნა აგრეთვე ხარის თავის ტვინის სინაპსური ვეზიკულებიდან. ხარის თავის ტვინის სინაპსური ვეზიკულებიდან გამოყოფილ ჯამურ ცილოვან ფრაქციაში შეინიშნება რამდენიმე განსხვავებული ტიპის ლექტინი, რომლებიც სპეციფიკურ მგრძნობელობას ამჟღავნებენ გლუკოზის, N-აცეტილ-D-გალაქტოზამინის, რამნოზის, მანოზისა და ინოზიტის მიმართ. დადგენილი იქნა, რომ დითიოტრეიტოლით დისულფიდური ხიდაკების აღდგენა იწვევს ლექტინური აქტივობის ზრდას. ლექტინი განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენს Ca^{2+} -ისა და სხვა ორვალენტური იონების მიმართ. ლექტინის ჰემაგლუტინაციურ აქტივობაზე გავლენას არ ახდენს ისეთი იონები, როგორცაა Fe^{2+} , Pb^{2+} , Sn^{2+} , Zn^{2+} , Cd^{2+} , Ba^{2+} , მაშინ როცა საინკუბაციო არეში Ca^{2+} -ისა და Mg^{2+} -ის შეტანა იწვევს ლექტინის პაპტენტან დამაკავშირებელი ცენტრის ბლოკირებას და შედეგად აღინიშნება ლექტინური აქტივობის შეკავება.

ზემოთ მოხსენებული კვლევების პარალელურად დაწყებულია სამუშაოები ადამიანის ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილიდან, ნორმასა და სხვადასხვა პათოლოგიების დროს, შემბრანული და ხსნადი გლიკოპროტეინების გამოყოფისა და გასუფთავების მიზნით. ნორმალური და პათოლოგიური ქსოვილებიდან გამოყოფილია ხსნადი და მემბრანული გალაქტოზა-სპეციფიკური ლექტინური აქტივობის მქონე ცილები. საწყის ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული ბიოაქტიური ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება. ცდების საბოლოო შედეგების მიხედვით განისაზღვრება კვლევების შემდგომი მიმართულება.

4. შეისწავლებოდა ფიზიოლოგიური სტრესის დროს მიმდინარე ზოგიერთი ბიოქიმიური გარდაქმნა, კერძოდ, ერთთროციტების მემბრანის ზედაპირის ცვლილებები და თავის ტვინის სხვადასხვა უბანში კატექოლამინების ცვლაში მონაწილე ფერმენტის - მონოამინოქსიდაზას (მაო) აქტივობა ვირთაგვას აგრე-

სიულ და სტრესულ მდგომარეობაში. დადგენილი იქნა, რომ სტრესის დროს მნიშვნელოვანად მცირდება გალაქტოზისადმი სპეციფიკური ლექტინის დაკავშირება. ცვლილებები არ აღინიშნება N-აცეტილ-D-გლუკოზამინისადმი სპეციფიკური ლექტინის შემთხვევაში. ერთროციტების შემზრანიდან β-გალაქტოზისადმი სპეციფიკური ლექტინდამკავშირებელი გლიკოკონიუგატი ექსტრაგირდება 0.1%-იანი ტრიტონ X-100-ით და სტრესის დროს საგრძობლად იზრდება შესაბამისი ლექტინის დაკავშირება.

შესწავლილი იქნა სტრესის დროს მიკ-ების კონცენტრაცია. ნაჩვენები იქნა მისი მნიშვნელოვანი ზრდა სტრესის დროს. განსაკუთრებით ეს ეხება მცირე ზომის მიკებს ($p < 0.01$).

პარალელურად შესწავლილი იქნა მონოამინოქსიდაზის (მაო) აქტივობა სტრესირებული და აგრესიული ცხოველის თავის ტვინის შემდეგ უბნებში: ჰიპოთალამუსი, შუბლის წილი, საფეთქლის წილი. აგრესიის დროს აღინიშნება მაო-ს აქტივობის შემცირება შემდეგი თანამიმდევრობით: ჰიპოთალამუსი → შუბლის წილი → საფეთქლის წილი ($p < 0.01$), ხოლო სტრესის დროს მაო-ს აქტივობა იზრდება: შუბლის წილი → საფეთქლის წილი ($p < 0.001$). ჰიპოთალამუსში ცვლილება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო. მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია აგრესიისა და სტრესის პროცესების გამიჯვნა, განსაკუთრებით შუბლის წილში მიმდინარე პროცესების მიხედვით, სადაც მაო-ს აქტივობის ცვლილება ყველაზე მეტად გამოვლინდა.

მიმდინარე წელს კათედრის წევრმა (ნ. ალექსიძე) მოიპოვა CRDF-ის გრანტი, ერთი თანამშრომელი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ისრაელში, ინგლისის სამეფოდან FEBS-ის ხაზით კათედრამ მიიღო უახლესი სამეცნიერო წიგნები და ხელსაწყოები, სოროსის ფონდის კონფერენციაზე კათედრის სამმა სტუდენტმა გაიმარჯვა და ხელმძღვანელებთან ერთად ისინი დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიით.

კათედრის თანამშრომლების მიერ მიმდინარე წელს გამოქვეყნდა 7 სამეცნიერო სტატია, 3 კი იბეჭდება.

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. გ. ალექსიძე) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს, როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი მიმართულებით. 2003 წელს გამოქვეყნებულია 7 და ბეჭდვაშია 1 სამეცნიერო ნაშრომი. ამავე წელს კათედრამ და ვაშინგტონის სახ. უნივერსიტეტის კიბოს კვლევის განყოფილებამ, საქართველოსა

და აშშ-ს ორმხრივი გრანტების პროგრამაში (GRDF) მონაწილე-
თათვის გამოცხადებულ კონკურსზე წარადგინა პროექტი – ფილტ-
ვის სხეადასხვა ტიპის სიმსივნურ უჯრედებზე ახალი მცენარეუ-
ლი ანტიკანცეროგენული პრეპარატი GA-40-ის მოქმედების მო-
ლეკულური მექანიზმების შესწავლა. მან მიიღო დადებითი
შეფასება და შესაბამისად დაფინანსებაც. ამჟამად მიმდინარეობს
ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მცენარეთა ანა-
ტომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის და ვაშინგტონის სახ. უნი-
ვერსიტეტის კიბოს კვლევის განყოფილების ლაბორატორიებში.

კათედრის სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებებს გა-
ნეკუთვნება მცენარეთა ზრდისა და განვითარების რეგულაციის
ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლები.

შესწავლილია ევზოგენური აუქსინის გავლენა თუთის აღმო-
ნაცენთა ცალკეულ ორგანოებში ლექტინების შემცველობის დი-
ნამიკაზე. შესწავლილია ენდოგენური აუქსინების და ზრდის ინ-
ჰიბიტორების აქტივობა და ლექტინების შემცველობა თუთის ფოთ-
ლებსა და ყვავილედეში, ონტოგენეზის სხეადასხვა (კენწრული
კვირტის, ყვავილობის წინა, ყვავილობის და სიმწიფის) ფაზაში.
ნაჩვენებია მკვეთრად გამოსხატული კორელაცია ლექტინების
შემცველობასა და ზრდის მასტიმულირებელი ჰორმონების აქტი-
ვობას შორის. ჩატარებული გამოკვლევების შედეგებით ნაჩვენე-
ბია ლექტინების მაღალი შემცველობა და მათი დაგროვება თუ-
თის მზარდ ორგანოებში. შემჩნეულია თუთის თესლებიდან ინ-
დივიდუალური მოლეკულის სახით გასუფთავებული Gal-სპეცი-
ფიკური ლექტინით (MNL) გამოწვეული ხორბლის კოლეოპტი-
ლების გაჭიმვით ზრდის მკვეთრი სტიმულირება. გაკეთებულია
დასკვნა, რომ თუთის ლექტინებს ახასიათებს მცენარეული ლექ-
ტინებისათვის დღემდე უცნობი ჰორმონის მსგავსი ეფექტი და
რომ MNL-ის მონაწილეობა გაჭიმვით ზრდის პროცესებში ხორ-
ციელდება შაქრის დამაკავშირებელი ცენტრების საშუალებით.

შესწავლილი იქნა ფითრის ტოქსიკური ლექტინების გავლენა
მცენარის ზრდის პროცესებზე, ლექტინების შემცველობა და მა-
თი სპეციფიკური აქტივობა ფითრის მწიფე ნაყოფში, აგრეთვე
მათი დინამიკა ნაყოფის განვითარების პერიოდში. დადგენილია,
რომ ლექტინების სპეციფიკური აქტივობის მიხედვით ნაყოფი და
კვირტები, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება.

ფიზიოლოგიურ ექსპერიმენტებში შესწავლილ იქნა ჰემაგლუ-
ტინაციური აქტივობის მქონე ცილების ლოკალიზაცია და აქტი-

ვობა ევროპული ფითრის სტრუქტურულ-ფუნქციონალურად განსხვავებულ ორგანოებში.

კათედრის მეორე თემასთან – მცენარეთა მოლეკულური ბიოლოგია – დაკავშირებით, შემუშავებულია ხორბლის (*Triticale*) ფოთლის მეზოფილის უჯრედებიდან ბირთვების და სუბ-ბირთვული ფრაქციების მიღების მეთოდები. შესწავლილია ლექტინების და გლიკოპროტეინების ლოკალიზაცია ამ სუბირთვეულ ფრაქციებში (მემბრანები, კარიოპლაზმა, ქრომატინის ჰისტონური და არაჰისტონური ფრაქციები). პირველად ქრომატინიდან, გამოყოფილია ჰემაგლუტინინაციური აქტივობის მქონე ცილა (მანოზა სპეციფიკური-ლექტინი). ლექტინი მიეკუთვნება ჰისტონური ცილების კლასს. ქრომატინის არაჰისტონური ცილების ფრაქციიდან, ასევე პირველად იქნა გამოყოფილი გლიკოპროტეინული ბუნების ლექტინის სპეციფიკური ლიგანდი, რომელიც უნდა მიეკუთვნებოდეს ქრომატინის სწრაფად გადაადგილებადი გლიკოპროტეინული ბუნების არაჰისტონური ცილების ჯგუფს (**HMG**). გამოთქმულია ვარაუდი, რომ გამოვლენილი ახალი ლექტინური სისტემა ბირთვში ასრულებს გენეტიკური სისტემის ფუნქციონირების დღემდე უცნობი, სრულიად ახალი რეგულატორული მექანიზმის როლს.

კათედრაზე მიმდინარეობს მუშაობა თემაზე – ფიტოიმუნიტეტი. რადგანაც ცნობილია, რომ პათოგენური სოკოები მცენარეულ ქსოვილებთან ურთიერთობის დროს გამოყოფენ ტოქსინებს, რომლებიც იწვევენ დაავადებას ან რეზისტენტული მცენარეების მიერ თავდაცვითი რეაქციების ჩართვას, მიმდინარეობდა კვლევა მოდელური სისტემის შექმნის მიზნით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ორმხრივ რეაქციებში მონაწილე ნაერთების გამოვლენა და მათი მოქმედების მოლეკულური მექანიზმების შეწავლა. დადგინდა, რომ სოკო ლიოცლადიუმე-როსეუმს გამოყოფს ტოქსინებს, მაგრამ მათი კონცენტრაცია ვერ იწვევს ყლორტების დასნებოვნებას, თუმცა დამთრგუნველად მოქმედებს სოკო ესტაროზია – სპორების განვითარებაზე.

სხვადასხვა დაავადების მიმართ გამძლე ქართული ჯიშის წითელი კარტოფილის ტუბერების შესწავლისას გამოთქმულია ვარაუდი, რომ ნივთიერება, რომელიც აძლევს კარტოფილის კანს წითელ შეფერილობას, უნდა ასრულებდეს დამცავ ფუნქციას. გამოყოფილია წითელი ფერის მეორეული ნაერთი, რომელიც აწლენს ანტიმიკრობულ თვისებებს ფიტოპათოგენურ სოკოებსა და ბაქტერიებს.

თემაზე – სტრესი და ეკოლოგიური ფიზიოლოგია მუშაობისას ექსტრემალურ პირობებთან მცენარეთა აკლიმატიზაციაში, ლექტიონების მონაწილეობის კვლევისათვის ობიექტად შეირჩა სამკურნალო მცენარე ალანცჰოე დაიგრემონტიანა. დადგინდა, რომ დასხივებისას ჩეკია კვირტების ლექტიონური აქტივობა იზრდება და ნარჩუნდება 1-2 კვირის განმავლობაში, რაც დროის მიხედვით კორელირებს ამ ორგანოს ადაპტაციისა და რეპარაციის პროცესებთან. მიღებული შედეგები მიუთითებენ მცენარის დასხივების უარყოფითი მოქმედებით გამოწვეულ დაზიანების საწინააღმდეგო ადაპტაციურ და რეპარაციულ პროცესებში ლექტიონების მონაწილეობაზე.

პრობლემასთან – მცენარე და მედიცინა დაკავშირებულ Georgian Research and Development foundation მიერ დაფინანსებულ პროექტში – ფილტვის სხვადასხვა ტიპის სიმსივნურ უჯრედებზე ახალი მცენარეული ანტიკანცეროგენული პრეპარატის GA-40 მოქმედების მოლეკულური მექანიზმების შესწავლა, ერთის მხრივ, მონაწილეობს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეორის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბოს კვლევის ლაბორატორია და პათოფიზიოლოგიის განყოფილება. მიმდინარე 2003 წლის სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული იყო:

1. ანტიკანცეროგენული და იმუნომოდულატორული პრეპარატი GA-40-ის მიღება და ლიოფილიზაცია.
2. სიმსივნური ქსოვილის ბიოფიზიური მასალის პისტოლოგიური გამოკვლევა.
3. ადამიანის ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნის მოკვლევა-დიანი სუსპენზიური კულტურების მიღების ტექნიკური პირობების დამუშავება.

დამზადებული იქნა სამკურნალო პრეპარატი GA-40-ის სტანდარტული ხსნარი. პრეპარატის გამოსავალმა შეადგინა 7.7-8%, რის შედეგადაც გახანგრძლივდა მისი აქტიური ფორმით შენახვის პერიოდი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც კვლევების, ასევე მკურნალობის ეფექტურობის თვალსაზრისით. საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ სამეცნიერო ცენტრსა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შედეგად ქირურგიული ოპერაციის შემდგომ აღებული იქნა ადამიანის ავთვისებიანი სიმსივნეების ქსოვილთა მასალები და შემუშავებული იქნა მათი მორფოლო-

გიური და ჰისტოლოგიური გამოკვლევების ტექნოლოგიები ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედთა ტიპების დადგენის მიზნით.

ფითრის (*Viscum album* L.) მწიფე ნაყოფიდან გამოყოფილია ლექტინური აქტივობის მქონე პეპტიდები, რომელთა მოლეკულური მასები გელ-ფილტრაციის მონაცემების მიხედვით შეადგენს 8 და 5 ± 2 კდა-ს. ფითრის ნაყოფის ლექტინის მსგავსი პეპტიდები ხასიათდება მაღალი ჰემაგლუტინინაციური აქტივობით ბოცვრის ტრიპსინიზებული ერითროციტების მიმართ, მაგრამ არ მოქმედებს ბოცვრისა და ადამიანის ნატიურ ერითროციტებზე, არ ავლენს სპეციფიკურობას მარტივი ნახშირწყლების მიმართ და მაღალი თერმოსტაბილურობით ხასიათდება. დაწყებულია მიღებული პეპტიდების ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა. კერძოდ, შეისწავლება მათი ანტიკანცეროგენული, იმუნომოდულატორული, ანტისოკოვანი, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანტიანთებითი, ანტიოქსიდანტური თვისებები *in vitro* ექსპერიმენტებში.

თსუ იმუნოლოგიის კათედრისა და იმუნორეგულაცია/იმუნობიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში შეისწავლება უჯრედების პროგრამირებული კედომა ანუ აპოპტოზი, რაც აუცილებელია ორგანიზმის განვითარების და ფუნქციონირებისათვის. აპოპტოზი გენეტიკურად განპირობებული პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ქსოვილების სტრუქტურული და ფუნქციური ჰომეოსტაზის შენარჩუნებას. აპოპტოზის რეგულაციის დარღვევა საფუძვლად უდევს მთელ რიგ პათოლოგიურ პროცესს და მრავალი დაავადების მიზეზს წარმოადგენს [White et al., 1996; Leonardo et al., 1997; Webt et al., 1997]. შესაბამისად, ამგვარი პათოლოგიების მკურნალობისათვის პერსპექტიულ მიდგომას წარმოადგენს სხვადასხვა აგენტების საშუალებით აპოპტოზის მოდულაცია. აპოპტოზის პროცესის ეფექტური მოდულაციისათვის კი საჭიროა თვით აპოპტოზის მექანიზმების ღრმა შესწავლა და მისი რეგულაციის დარღვევის შესაძლო გზების გარკვევა.

B-ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (B-ქლლ) შეგვიძლია განვიხილოთ როგორც აპოპტოზის დარღვევის თავისებური მოდელი. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა B-ქლლ (B-ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია) უჯრედებში *in vitro* აპოპტოზის ინდუცირება ანტი-CD5 და ანტი-CD19 მონოკლონური ანტისხეულებით (მკა) და იმ ფაქტორების გამოვლინება, რომლებიც განაპირობებენ B-ქლლ ლიმფოციტების მგრძობელობას ინდუცირებული აპოპტოზის მიმართ. უჯრედების პროგრამირებული კედო-

მა ანუ აპოპტოზი გენეტიკურად განპირობებული პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ქსოვილების სტრუქტურული და ფუნქციური პომეოსტაზის შენარჩუნებას. აპოპტოზის რეგულაციის დარღვევა საფუძვლად უდევს მთელ რიგ პათოლოგიურ პროცესს და მრავალი დაავადების მიზეზს წარმოადგენს. B-ქლლ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც აპოპტოზის დარღვევის თავისებური მოდელი, რომელიც წარმოადგენს ლეიკემიის ყველაზე გავრცელებულ ფორმას დასავლეთის ქვეყნებში. მისთვის დამახასიათებელია CD5+ CD19+ ფენოტიპის მქონე B ლიმფოციტების აკუმულაცია, რომელიც, როგორც ფიქრობენ, გამოწვეულია არა აქტიური პროლიფერაციით, არამედ აპოპტოზის ინჰიბირებით და უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებით.

სამეცნიერო ჯგუფის კონკრეტული ამოცანა გახლდათ B-ქლლ ლიმფოციტების ფენოტიპური პროფილის და უჯრედული ციკლის ფაზებში გადანაწილების შესაძლო გავლენის შესწავლა ანტი-CD5 და ანტი-CD19 მკა-ით აპოპტოზის გამოწვევაზე.

ამ მიზნების მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. B-ქლლ უჯრედების ფენოტიპის შესწავლა დაავადების პათოგენეზთან ასოცირებული ზედაპირული მოლეკულების ექსპრესიის გამოვლენით.

2. B-ქლლ უჯრედების უჯრედული ციკლის ფაზებში გადანაწილების განსაზღვრა ეთიდიუმ ბრომიდით შეღებვის მეთოდით.

3. B-ქლლ უჯრედების *in vitro* აპოპტოზის განსაზღვრა ანტი-CD5 მკა-ით და ანტი-CD19 მკა-ით სტიმულირების შედეგად აპოპტოზის ფაზების დადგენით:

აპოპტოზის ადრეულ სტადიებზე მყოფი უჯრედების რაოდენობის დადგენა ფოსფატიდილსერინის ექსპრესიის მიხედვით;

აპოპტოზის გვიან სტადიებზე მყოფი უჯრედების გამოვლინება დნმ-ის ფრაგმენტაციის მიხედვით.

4. B-ქლლ უჯრედების უჯრედული ციკლის ფაზის გავლენა ინდუცირებულ აპოპტოზზე.

მიღებულ შედეგებში პირველადაა ნაჩვენები ანტი-CD19 მონოკლონური ანტისხეულებით აპოპტოზის ინდუცირების შესაძლებლობა B-ქლლ ლიმფოციტებში. B-ქლლ შემთხვევათა 90%-ში გამოვლენილია ცალკეული პოპულაცია, რომელსაც მომატებული მგრძობელობა ახასიათებს ანტი-CD19 მკა-ით გამოწვეული აპოპტოზის მიმართ. დადგენილია, რომ CD19-ის დაბალი ექსპრესია ხელს უწყობს ანტი-CD19 მკა-ით აპოპტოზის ინდუქციას.

ნაჩვენებია ანტი-CD5 მკა-ით პროგრამირებული კედომის სტიმულაციის შესაძლებლობა B-ქლლ უჯრედებში. დადგენილია, რომ CD5-ის დაბალი ექსპრესია ხელშემწყობი ფაქტორია ანტი-CD5 მკა-ით აპოპტოზის ინდუქციისათვის. აგრეთვე დადგენილია, რომ CD19-ის და CD5-ის ლიგაციით გამოწვეული აპოპტოზის დონე B-ქლლ-ის უჯრედებში პირდაპირ დაკავშირებულია CD79b-ს ექსპრესიის დონესთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოვლენილ კანონზომიერებას, რომ ანტი-CD5 და ანტი-CD19 მკა-ით ინდუცირებული აპოპტოზისადმი მგრძობელობა ახასიათებს CD38⁺ ლეიკემიურ უჯრედებს, რომლებიც სტანდარტული თერაპიული მეთოდების მიმართ რეზისტენტულნი არიან.

უჯრედული ციკლის ფაზებში გადანაწილების სურათის მიხედვით B-ქლლ შემთხვევათა შორის გამოვლენილია ატიპური ფორმები. B-ქლლ უჯრედების აპოპტოზის ინდუქციებასა და ფენოტიპის ანალიზს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს B-ქლლ უჯრედებში აპოპტოზის დარღვევის მექანიზმის შესწავლაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზედაპირული რეცეპტორების მაღალი ექსპრესიის დამორგუნველი გავლენა აპოპტოზზე და ანტი-CD5 ლიგაციით გამოწვეული აპოპტოზის დამოკიდებულება CD38 და CD79b ექსპრესიაზე, რაც მოწმობს მათ საერთო სასიგნალო გზებზე.

გამოკვლევას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგანაც ჩვენი შედეგები საშუალებას იძლევა ვიმედოვნოთ, რომ ანტი-CD5 და ანტი-CD19 მონოკლონური ანტისხეულებით დამუშავებით შესაძლებელი გახდება B-ქლლ უჯრედების რიცხვის შემცირება მათი აპოპტოზის გზით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ დაავადების იმუნოთერაპიისათვის. ამრიგად:

ანტი-CD19 მონოკლონური ანტისხეულებით შესაძლებელია აპოპტოზის ინდუქცია ლეიკემიურ B-ქლლ უჯრედებში ავადმყოფების დაახლოებით 23%-ში.

ანტი-CD5 მონოკლონური ანტისხეულებით შესაძლებელია აპოპტოზის ინდუქცია ლეიკემიურ B-ქლლ უჯრედებში ავადმყოფების დაახლოებით 25%-ში.

CD19-ის და CD5-ის ლიგაციით გამოწვეული აპოპტოზის დონე B-ქლლ-ის უჯრედებში პირდაპირ დაკავშირებულია CD38-ის და CD79b-ს ექსპრესიის დონესთან.

CD5 და CD19 ლიგაციით გამოწვეული აპოპტოზის მიმართ მგრძობიარე აღმოჩნდნენ სწორედ ის CD38+ B-ქლლ უჯრედები, რომლებიც რეზისტენტულია სხვა თერაპიული ჩარევების მიმართ;

B-ქლლ-ის უჯრედებში CD19-ის დაბალი ექსპრესია ხელს უწყობს CD19-ის ლიგაციით აპოპტოზის გამოწვევას, ხოლო CD5-ის დაბალი ექსპრესია ხელს უწყობს CD5-ის ლიგაციით აპოპტოზის გამოწვევას.

B-ქლლ-ის უჯრედებზე CD79b-ის ექსპრესია პირდაპირ კორელირებს IgM-ის, CD5-ის, CD19-ის და CD38-ის ექსპრესიასთან, რაც მიუთითებს ამ მოლეკულების ფუნქციურ კავშირზე.

B-ქლლ-ის უჯრედებში აქტიურად პროლიფერირებადი უჯრედების მომატებული რიცხვი ხელს უწყობს CD19-ის და CD5-ის ლიგაციით აპოპტოზის გამოწვევას.

B-ქლლ-ის შემთხვევათა შორის ხდება ატიპიური ფორმები პროლიფერირებადი უჯრედების მაღალი რიცხვით, რაც გასათვალისწინებელია ქიმიოთერაპიული სტრატეგიის შერჩევის დროს.

თსუ იმუნოლოგიის კათედრისა და იმუნორეგულაცი/იმუნობიოტექნოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ საანგარიშო წელს გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო შრომა.

ჰიდრობიოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ჯ. ონიანი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება საანგარიშო წელს იყო წყალმცენარეთა უჯრედების მემბრანული განვლადობის და რეცეპტორული რეგულირების შესწავლა ზედაპირულად აქტიური ნაერთთა მოქმედების ფონზე.

სამუშაოს მიზანს შეადგენდა ბიოგენური ამინების, აცეტილქოლინის ეგზოგენური მოქმედების პირველადი მემბრანული მექანიზმების შესწავლა იონოსელექტიური ელექტრომეტრიის მეთოდის გამოყენებით. ობიექტად გამოყენებულ იყო მიკროწყალმცენარე *Chlorella vulgaris* და წყალმცენარე *Nitella flexilis*-ს ინტერნოდალური უჯრედები. დადგენილ იქნა ბიოგენური ამინებისა და აცეტილქოლინის მოქმედებით ელექტრული მახასიათებლების ძირის ზღურბლოვანი სიდიდეები. *Nitella*-ს უჯრედების პლაზმალემა განსაკუთრებით მგრძობიარე აღმოჩნდა ადრენალინის, სეროტონინის მიმართ. ნაჩვენები იქნა, რომ ადრენომიმეტიკების და აცეტილენის უჯრედების სუსპენზიაში შეტანის შედეგად ადგილი ჰქონდა K^+ , Na^+ , Ca^{2+} იონების მეტი ნაკადების ცვლილებას. ამასთან, ადრენომიმეტიკების მოქმედებისას აღინიშნებოდა Ca^{2+}

გარე არეში გამოსვლის ტენდენცია, ხოლო აცეტილქოლინის შემთხვევაში – იონების შესვლა უჯრედში. დადგენილია აგრეთვე, რომ სოკიერთი ბიოგენური ამინის (ბილდრონატი და მისი ანალოგები) მემბრანოტროპული ეფექტის არ არსებობა დაკავშირებულია მათ სპეციფიკურ მოქმედებასთან Na^+ / K^+ -ატფ-ზე, რომელიც *Nitella*-ს პლაზმალემაში ჩვეულებრივ პირობებში არ ავლენს აქტიურობას.

შემუშავებულ იქნა სიგნალის ტრანსდუქციის სქემა ბიოგენური ამინების და აცეტილქოლინის მოქმედების დროს. ტრანსდუქცია განპირობებულია მეორადი მესენჯერების აქტივაციით. ადრენომიმეტიკების შემთხვევაში უჯრედის ბიოელექტრული პასუხის განვითარების ტრიგერს წარმოადგენს უჯრედებში თავისუფალი Ca^{2+} -ის კონცენტრაციის ზრდა.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი.

ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის და განვითარების ბიოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. დ. ძიძიგური) შესრულდა 2 სამაგისტრო და 1 საკვალიფიკაციო ნაშრომი. 2003 წლის დეკემბერში კათედრის ინიციატივით ჩატარდა პროფ. ალ. ლეუაფას დაბადების 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი); კონფერენციის მასალები დაიბეჭდა საქ. მეც. აკადემიის ჟურნალში – მაცნე (2003, სერია ბიოლოგია, № 1-2).

2003 წელს პროფ. დ.ძიძიგურმა მიიღო მონაწილეობა ორი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში: 1. შავი ზღვის აუზის ქვეყნების მორფოლოგთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, წყალტუბო; 2. სრულიად რუსეთის უჯრედის ბიოლოგიის I ყრილობა, სანქტ-პეტერბურგი. პროფ. პ. ჭელიძე შევლინებულია და მუშაობს საფრანგეთის ქ. რეიმსში. მან საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო სამი საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში: 1. 2003წ. საფრანგეთი, ბორდო. რაოდენობრივი მიკროსკოპიის და ციტომეტრიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი; 2. ბირთვის სტრუქტურისა და ფუნქციისადმი მიძღვნილი თათბირი, იტალია, პავია 2003; 3. ვიდეომიკროსკოპიის სიმპოზიუმი საფრანგეთი, 2003 წლის ოქტომბერი.

საანგარიშო პერიოდში კათედრაზე მუშავდებოდა ერთიანი სამეცნიერო თემატიკა: ეუკარიოტული უჯრედების ფუნქციონირების სარეგულაციო მექანიზმების შესწავლა. კერძოდ, შესწავლილია უკუდო ამფიბიების, კერძოდ, ბაყაყის ღვიძლის რეპარა-

ციული რეგენერაციის საწყის ეტაპზე გენების ექსპრესიის თავისებურებები და ადრეული მიტოზების აღმოცენების ფაქტი. დადგინდა, რომ: 1) პროლიფერაციისადმი სტიმულირებულ ღვიძლის უჯრედებში ზრდის მაკონტროლირებელი გენების რეპროგრამირების პროცესი მსგავსი სქემით ხორციელდება მღრღნელებსაგან ფილოგენეზურად დაშორებულ უკუდო ამფიბიებში. 2) ადგენითი ზრდის საწყის ეტაპზე ადრეული პასუხის გენების აქტივაცია, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მიტოზების აღმოცენებასთან, დამახასიათებელია განსხვავებული ცხოვრების ნირის და ორგანიზაციის მქონე ინდივიდების რეგენერირებადი ღვიძლის ქსოვილისათვის. დადგენილია აგრეთვე, რომ ბირთვაკის სუბკომპონენტების ქვრადობა მთლიანად არის განპირობებული რიბოსომული ქრომატინის კონდენსაციის ხარისხის ცვლილებებით.

შესწავლილია აგრეთვე, ქოლესტაზის ზეგავლენით თეთრი ვირთაგვის ღვიძლის უჯრედებში ადრეული პასუხის გენების ექსპრესიის ინაქტივაციის მოლეკულური მექანიზმები. დადგინდა, რომ ქოლესტაზის პირობებში ნაღლის მუაგების მომატებული კონცენტრაციის გავლენით 11-მ დეჰიდროგენაზას ინაქტივაციის შედეგად იზრდება კორტიკოსტერონის კონცენტრაცია, რის გამოც რეჟექციონებული ღვიძლის ჰეპატოციტებში ხდება ადრეული პასუხის გენების ნაწილობრივი ინაქტივაცია და შესაბამისად რეპარაციულ რეგენერაციასთან დაკავშირებული პროცესების მიმდინარეობის შეფერხება.

კათედრის თანამშრომლების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 15 სამეცნიერო სტატია ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში.

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ნ. კოტრიკაძე) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა ორი მიმართულებით:

1. კანცეროგენული ტრანსფორმაციის მოლეკულური საფუძვლების შესწავლა. ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდების შემუშავება.
2. მიკროორგანიზმებით გამოწვეული სინთეზური პოლიმერების დეგრადაციის მექანიზმების შესწავლა დაბინძურებისაგან გარემოს დაცვის მიზნით.

ნორმალური უჯრედის ავთვისებიანში ტრანსფორმაციის მოლეკულური მექანიზმების დადგენის მიზნით 2003 წ. შესწავლილი იქნა პროსტატის სიმსივნეები და მათი კვლევის მოლეკულური ასპექტები. აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობდა კათედრის 7 თა-

ნამშრომელი და 3 მაგისტრი „უჯრედული ბიოლოგიისა“ და „ბიოლოგიური მედიცინის“ სპეციალობით. შესწავლილ იქნა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლში პროსტატსპეციფიური სიმსივნური მარკერული ფერმენტის – მჟავა ფოსფატაზას, და ფერმენტ სუპეროქსიდდისმუტაზას აქტივობა, ერთროციტებში Na^+, K^+ -ATP-აზას აქტივობა, Na^+ და K^+ იონების განვლადობა.

დადგენილ იქნა პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნით (ადენოკარცინომა) დაავადებულ მამაკაცთა სისხლში პროსტატსპეციფიური მარკერული ფერმენტის – მჟავა ფოსფატაზას აქტივობის მკვეთრი მატება კეთილთვისებიან სიმსივნესთან და ნორმასთან შედარებით, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი სადიაგნოსტიკო საშუალება სხვა არსებულ მეთოდებთან ერთად (PSA; IGF).

დადგინდა, რომ აღნიშნული დაავადების დროს ადგილი აქვს ფერმენტ სუპეროქსიდდისმუტაზასა და ადრენორეცეპტორების ინაქტივაციას, რაც თავის მხრივ უნდა განაპირობებდეს ორგანიზმში კომპენსატორულ-აღდგენითი რეაქციების დაქვეითებას და ხელს უწყობდეს შეუქცევადი პროცესების ჩამოყალიბებას.

დადგენილ იქნა Na^+, K^+ -ATP-აზას აქტივობის ზრდა პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ მამაკაცთა სისხლის ერთროციტებში. აღმოჩნდა, რომ ფერმენტის აქტივობის გაზრდა იწვევს Na^+ იონების ტრანსპორტის გაძლიერებას ანუ ფერმენტის აქტივობა პირდაპირ კავშირშია Na^+ იონების ტრანსპორტთან, რაც შეეხება K^+ იონებს, მისი ტრანსპორტი შემცირებულია ფერმენტის გაზრდილი აქტივობის ფონზე.

დადგენილ იქნა, რომ Na^+, K^+ -ATP-აზას აქტივობა შემცირებულია პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში. ფერმენტის აქტივობის შემცირების ფონზე მცირდება როგორც Na^+ ასევე K^+ იონების ტრანსპორტი.

საერთო დასკვნით, პროსტატის სიმსივნეების განვითარებისას ადგილი აქვს Na^+, K^+ -ATP-აზას აქტივობის ცვლილებას და Na^+ და K^+ იონების ტრანსპორტის დარღვევას, რაც გამოწვეული უნდა იყოს მემბრანის განვლადობის ცვლილებით. ეს უკანასკნელი კი მიუთითებს მემბრანის სტრუქტურის ცვლილებაზე, რასაც ადასტურებს ფოსფილიპიდების საერთო რაოდენობის გაზრდა, ცალკეული ფოსფოლიპიდების რაოდენობის მკვეთრი ცვლილება, ქოლესტეროლის რაოდენობის მატება. სისხლში ადგილი აქვს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივაციას. ამგვარად უჯრედის

შემბრანაში ყველა კომპონენტის შეთანხმებული ურთიერთქმედების წონასწორობის დარღვევა შეიძლება გახდეს სიმსივნური ტრანსფორმაციის მიზეზი.

1) აღნიშნული მიმართულებით 2003 წ. გამოქვეყნებულ იქნა 45 სამეცნიერო ნაშრომი საქ. მეც. აკადემიის მაცნეში, ბიოლოგიური სერია A. კათედრის ხუთმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო და მოხსენება გააკეთა მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალური პრობლემები.

2) უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალობით, სამაგისტრო ნაშრომი წარჩინებით დაიცვა ორმა მაგისტრმა, ხოლო ბიოლოგიური მედიცინის სპეციალობით ერთმა მაგისტრმა.

3) უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალობის მე-2 კურსის ორმა მაგისტრმა მონაწილეობა მიიღო სოროსის ფონდის სამეცნიერო კონფერენციაში. ორივე მაგისტრის ნაშრომი პროსტატის სიმსივნეების კვლევას ეხებოდა. ორივე სოროსის ლაურეატი გახდა.

4) უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ერთმა ასპირანტმა და ერთმა თანამშრომელმა დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

5) უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრაზე ფუნდამენტური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა მეთოდების კომპლექსი, რომელიც პროსტატის სიმსივნეების (კეთილთვისებიანი, ავთვისებიანი) და პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნის დიფერენცირების საშუალებას იძლევა (შესაძლებელი გახდა ავადმყოფების იმ ჯგუფის დაფიქსირება, რომელთაც გააჩნდათ დიდი რისკფაქტორი კეთილთვისებიანი სიმსივნის ავთვისებიანში გადაზრდის).

ბიოდაზიანების მექანიზმების შესწავლა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, თანამედროვე ბიოლოგიის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მიკროორგანიზმების მიერ გამოიმუშავებული აქტიური მეტაბოლიტები – ორგანული მჟავები, ფერმენტები, ჟანგბადის აქტიური ფორმები, აზოტის ოქსიდი (NO), მექანიკურ დაზიანებასთან ერთად იწვევენ მასალების ფიზიკო-ქიმიური და სხვა პარამეტრების მნიშვნელოვან ცვლილებებს და შტამის დესტრუქციულ აქტიუობას განაპირობებენ. მიკროორგანიზმების მიერ უცხო ნაერთთა გარდაქმნის სიჩქარე დამოკიდებულია უჯრედში ქსენობიოტიკების

შელწევის უნარზე, მაგრამ მიკროორგანიზმთა თანასასოგადობებს შეუძლიათ ნივთიერებების პირველადი გარდაქმნების გარემოში განხორციელებაც ე.წ. ეგზოფერმენტებისა და ეგზოგენური აგრესიული მეტაბოლიტების საშუალებით. მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაზიანების პროცესში ეგზოფერმენტებთან ერთად წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ჟანგითი რეაქციების შედეგად წარმოქმნილ ჟანგბადის აქტიურ ფორმებს (სუპეროქსიდანიონ რადიკალი, ჰიდროქსილის რადიკალი, წყალბადის ზეჟანგი). გარემო არის ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებით მიკროორგანიზმების მემბრანების ბარიერული ფუნქციის დარღვევის მიზეზი. საპასუხოდ იზრდება უჯრედების განვლადობა, რაც თავის მხრივ იწვევს მეტაბოლიზმის დისკოორდინაციას და მიკროორგანიზმების უჯრედების ფუნქციური აქტივობისა და სიცოცხლისუნარიანობის ცვლილებას. უჯრედული მემბრანები რადიაციული ზემოქმედების მნიშვნელოვან „სამიზნეს“ წარმოადგენენ. H_2O_2 და სხვადასხვა ტიპის რადიაციული ზემოქმედება ზოგადად მსგავსი ბიოლოგიური ეფექტით ხასიათდება: დასხივების შედეგად იცვლება მიკროორგანიზმთა მემბრანული სტრუქტურების ფოსფოლიპიდური შედგენილობა და განვლადობა. პეროქსიდაციის ინტენსივობის ცვლილება მემბრანის ლიპიდური კომპონენტის დამახასიათებელ ცვლილებებს იწვევს, რაც მემბრანის განვლადობაზე და შტამის დესტრუქციულ აქტივობაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიკროორგანიზმების მიერ არეში პროდუცირებული მეტაბოლიტები განსაზღვრავენ მათ დესტრუქციულ აქტივობას. მიკროორგანიზმების მიერ არეში პროდუცირებული მეტაბოლიტების კონცენტრაციის რეგულირების საშუალებებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ბიოდაზიანების მექანიზმების შესასწავლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში წარმოებული კვლევა მიზნად ისახავდა აქტინომიცეტების ადგილობრივი შტამის $11^{5(1)}$ y *Nocardiophasis dessonvillei*-ს უჯრედების ზოგიერთ ფუნქციურ მახასიათებელზე ულტრაიისფერი გამოსხივების გავლენის შესწავლას. ექსპერიმენტში $11^{5(1)}$ y *Nocardiophasis dessonvillei*-ს უჯრედებზე ზემოქმედებისათვის გამოყენებული იყო ულტრაიისფერი გამოსხივების ხუთი განსხვავებული დოზა. შესწავლილი იყო ულტრაიისფერი სხივების გავლენა შტამის უჯრედების სიცოცხლისუნარიანობაზე, ეგზოგენური ცილის პროდუქ

«კიაზე, ეგზოფერმენტულ აქტივობაზე და კულტურალურ არეში პეროქსიდაციის ინტენსივობაზე.

ექსპერიმენტის შედეგები მოხსენებულია II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – ბიოლოგიის და მედიცინის აქტუალური პრობლემები და სტუდენტთა 63-ე სამეცნიერო კონფერენციაზე.

მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით 2002-2003 წელს შესრულებულია ერთი საკურსო და ერთი სამაგისტრო ნაშრომი. კათედრის თანამშრომლებისა და მაგისტრების ავტორობით გამოქვეყნებულია 3 სტატია.

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე (გამგე აკად. თ. იოსელიანი) 2003 წელს შეისწავლებოდა შემდეგი საკითხები:

1. არასივრცითი მეხსიერების მექანიზმები;
2. დოფამინური აგონისტების გავლენა პარკინსონით დაავადებული ვირთვების ქცევით მოდელზე;
3. ეპილეფსიური და ინტაქტური ვირთვების დასწავლა-მეხსიერების მექანიზმები;

რადგანაც ექსპერიმენტებით დადასტურებულია პრიმატებში მეხსიერების 2 ფორმის: სივრცითი (პასუხი კითხვაზე სად?) და არასივრცითი (პასუხი კითხვაზე რა არის ეს?) მეხსიერების არსებობა, საინტერესო იყო მიშკინის მიერ მოწოდებული ტესტის ე.წ. დაყოვნებული შერჩევა ნიმუშის მიხედვით შესწავლილყო არასივრცითი მეხსიერება კატებში, რადგანაც ამ საკითხის გარშემო ლიტერატურა პრაქტიკულად არ არსებობს.

მოდელიზირებული ტესტირების პირობებში ამოცანის გადაწყვეტა ცხოველისაგან მოითხოვდა არა ლოკომოტორული ხასიათის რეაქციის გამოყენებას, არამედ თათების მანიპულაციურ მოძრაობებს. ჩატარებული კვლევიდან გაირკვა, რომ ნიმუშიდან დაყოვნებული შერჩევის ტესტის აღნიშნულ მანიპულაციაში ცხოველები უფრო სწრაფად აღწევენ კრიტერიუმს, ვიდრე ადრე ჩატარებული ტესტის ლოკომოტორულ ვარიანტში. გათვალისწინებულია ტესტის შესრულების შესწავლა თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურების დაზიანებისა თუ იმ კატექოლამინების გამოყენებისას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზოგადად მეხსიერების ფუნქციაში.

პარკინსონით დაავადებული ვირთვების ქცევით მოდელზე სხვადასხვა დოფამინური აგონისტების (სელექტიური, არასელექ-

ტიური) გავლენის შესწავლა მიმდინარეობდა უნგერშტედტის და არბუტრონის მიერ მოწოდებული პარკინსონიზმის მოდელირების გზით. აპომორფინის მცირე (0,05 მგ/კგ) დოზების ინექციით გამოვლენილ დოფამინური დენერვაციის 95%-იანი დონის მქონე ვირთაგვებში გამოიყენებოდა დოფამინური D_1 და D_2 რეცეპტორების სპეციფიკური და არასპეციფიკური აგონისტები. დადგენილია, რომ ეპილეფსიურ ვირთაგვებში ინტაქტურობისაგან განსხვავებით გაუარესებულია დასწავლა და დაქვეითებულია საექსპერიმენტო გარემოსადმი ადაპტაციის უნარი.

ბიოფიზიკის კათედრამ (გამგე პროფ. ზ. ლომინაძე) შეასრულა სამეცნიერო კვლევები, დღეისათვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორიცაა გარემოს სტრესული ფაქტორების მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძლიერი დესტრუქციული ფაქტორია ჟანგვითი სტრესი. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ჩართულია ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა რადიაციის ზემოქმედება, ინფარქტი, ინსულტი, იმუნური პასუხი სხვადასხვა ინფექციების დროს, აპოპტოზი და გერონტოლოგიური პრობლემები.

შესწავლილია საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მცენარის მოქმედება ჟანგვით სტრესზე. აღნიშნულ მცენარეებში იდენტიფიცირებულია სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები, რომლებსაც აღმოაჩნდათ ძლიერი ანტიჟანგვითი ეფექტი. კონკრეტულად შესწავლილია მათი მოქმედება ლიპიდების ზეჟანგურ ჟანგვაზე, ციტოქრომ-450-დამოკიდებულ მონოოქსიგენაზურ სისტემაზე, ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე. აგრეთვე შესწავლილია აღნიშნული ბიოაქტიური ნაერთების მოქმედება ცხიმოვანი მუავების გარდაქმნის ისეთ ბიოლოგიურად აქტიურ პროდუქტებზე, როგორიცაა ოქსილიპინები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნულმა ნაერთებმა ძლიერი დადებითი ეფექტი გამოავლინეს ისეთი პათოლოგიური პროცესების მკურნალობის დროს, როგორიცაა თერმული დამწვრობა, ათეროსკლეროზი, დიაბეტი, სხვადასხვა მიკრობული და ვირუსული ინფექციებით გამოწვეული დაავადებები. ზემოხსენებული სამეცნიერო კვლევები შესაძლებელს გახდის აღნიშნული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები გამოყენებულ იქნეს სამედიცინო პრაქტიკაში და კვების მრეწველობაში.

გენეტიკის კათედრის (გამგე პროფ. თ. ლეჟავა) სამეცნიერო თემატიკა ითვალისწინებდა გარემოს მავნე ფაქტორთა (მძიმე მეტალები, ზოგიერთი პესტიციდი) დამაზიანებელი მოქმედების შე-

ფასებას სხვადასხვა ტესტ-ობიექტების გენეტიკურ აპარატზე მათი ზემოქმედებისას ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. ობიექტების მიხედვით მიღებულია შემდეგი შედეგები: ადამიანის ლიმფოციტების მოდელურ სისტემაში 70-80 წლის ინდივიდთა ქრომოსომების ფუნქციურ მახასიათებლებზე ნატრიუმის პიდროფოსფატის 2×10^{-6} კონცენტრაციის ხსნარით ზემოქმედებისას რიბოსომული გენების ტრანსკრიპციული აქტივობისა და შეიღულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების მიხედვით აღინიშნა ქრომოსომათა გარკვეული უბნების დეკონდენსაცია. S-ჰეტეროქრომატინული ბლოკების პოლიმორფიზმის შესწავლამ გამოავლინა 1-ლი ქრომოსომის სტრუქტურული ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაცია. იგივე მოდელურ სისტემაში შესწავლილ იქნა კობალტისა და კადმიუმის მოქმედებით გამოწვეული ანეუპლოიდიისა და სატელიტური დნმ-ლოკუსების რეპლიკაციის დამოკიდებულება ფიშ-მეთოდის გამოყენებით. ქრომოსომათა ცენტრომერული უბნების ფლოუორესცენტული ნათების წერტილების კონფიგურაციის მიხედვით დადგენილ იქნა დნმ-ის რეპლიკაციის დინამიკა და თანამიმდევრობა, რის მეშვეობითაც განისაზღვრა ჰომოლოგიურ ქრომოსომათა რეპლიკაციის სინქრონიზაციის ხარისხი. დადგენილ იქნა, რომ მძიმე მეტალების ზემოქმედება არღვევს შესწავლილი ჰომოლოგიური ქრომოსომული წყვილების (მე-10, მე-17) ცენტრომერული უბნების რეპლიკაციის სინქრონულობას და იწვევს ანეუპლოიდიის სიხშირის მატებას. შესწავლილ იქნა აგრეთვე ვერცხლისწყლის ქლორიდის სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარების გაყლენა ადამიანის ქრომოსომათა სტრუქტურული და რაოდენობრივი დარღვევების სიხშირეზე საშუალო ასაკის ინდივიდთა უჯრედებში. ნაჩვენებია ამ მარილის დოზა-დამოკიდებული ეფექტი, გამოვლენილია შესწავლილი პარამეტრების ინდივიდუალური ვარიაბელობა. ჩატარებულ იქნა მძიმე მეტალთა მიერ (Pb, Cd, Ni) ლეტალური გენური მუტაციების ინდუქციის უნარის კვლევა დროზოფილაში. სამივე ნივთიერებამ გამოავლინა სხვადასხვა ხარისხით გამოხატული დოზა-დამოკიდებული ეფექტი, უფრო ძლიერი მუტაგენური აქტივობით გამოირჩეოდა ტყვია. სამივე მეტალისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა გარკვეული ფიზიოლოგიური მოქმედებაც მორფოზების ინდუქციის თვალსაზრისით. მცენარულ ობიექტზე – სოიაზე გამოკვლეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოყენებული პესტიციდების: რიდომილისა და ხომიციინის გენეტიკური აქტივობა. აღმოჩნდა, რომ რიდომილი უფრო მაღალი სიხშირით, ვიდრე ხომი-

ცილი იწვევს როგორც სომატურ მოზაიციზმს, ისე პირდაპირი მუტაციების ინდუქციას. ორივე პრეპარატი თანაბარი ხარისხით ინდუცირებს აგრეთვე რევერსიებსაც.

კათედრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო შრომა, ორმა ასპირანტმა შეასრულა საკვალიფიკაციო ნაშრომი.

ბოტანიკის კათედრა (გამგე პროფ. რ. გაგნიძე) აგრძელებდა კათედრის ძირითად მიმართულებებზე და სამეცნიერო თემატიკაზე მუშაობას: საქართველოს ფლორის ბიომრავალფეროვნების შესწავლა; ფლორის კრიტიკული ტაქსონების სისტემატიკური კვლევა; საქართველოს იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მისული სახეობებისათვის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის სტატუსების დადგენა; კარტოგრაფირება წერტილოვანი, კვადრატული და დარუკების შტრიხული მეთოდებით.

გრძელდებოდა მუშაობა კათედრის გარდამავალ (2001-2005) სამეცნიერო თემატიკაზე – სარკინეთისა და არმაზის ქედების კომპლექსური შესწავლა. მნიშვნელოვანია კათედრაზე გამოყენებითი ბოტანიკის განვითარება. შეისწავლება სამკურნალო მცენარეების ბოტანიკურ-გეოგრაფიული, ტაქსონომიური, გამოყენებითი საკითხები. მზადდება მონოგრაფია და სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის სამკურნალო მცენარეების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კათედრის სამეცნიერო თემატიკაში, კათედრის თანამშრომლებთან ერთად, ჩასმული არიან ბოტანიკისა და ბიოგეოგრაფიის სპეციალობის მაგისტრანტები, ფაკულტეტის სტუდენტები. საანგარიშო პერიოდში კათედრაზე შესრულებულ სამეცნიერო თემაში III კურსის სტუდენტმა საქართველოს ღია საზოგადოების სოროსის ფონდის II პრემია დაიმსახურა (ხელმძღვ. პროფ. რ. გაგნიძე).

გრძელდებოდა ფენოლოგიური დაკვირვება საერთაშორისო „წითელ ნუსხაში“ შესატან იშვიათ მერქნიან და ბალახოვან მცენარეების სახეობებზე. შესწავლილია მათი ფენოფაზები, მერქნიან მცენარეთა კამბიალური ზრდა (ბიჭვინთის ფიჭვი; ქართული, იმერული, კოლხური მუხები; ქართული ნეკერჩხალი, არმაზის შინდანწლა, უხრავე). შესწავლილია აღმ. აზიისა და ჰიმალაის მერქნიან მცენარეთა ინტროდუქცია-ადაპტაცია თბილისის პირობებში დასანერგად და ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური რეჟიმის დასადგენად (პროფ. ა. ციცივიძე).

ბოტანიკის კათედრამ საქ. მეცნ. აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტთან ერთად შეისწავლა ჭარბტენიანი ეკოსისტემების საქარ-

თელოს ფლორის (ჭაობებისა და ტბების) ერთლებნიან მცენარეთა ოჯახების გეარებისა და სახეობის ტაქსონომია და ნომენკლატურა და მოამზადა გამოსაცემად „საქართველოს ფლორის“ ფუნდამენტური ცნობარის მორიგი ტომისათვის. ბოტანიკის ინსტიტუტთან ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის შედეგად დაიბეჭდა „საქართველოს ფლორის“ XIV ტომი (რედ. რ.გაგნიძე), რომელშიც შესულია რთულყვავილოვანთა ოჯახის ენაყვავილოვანი მცენარეების ტაქსონომიურ-ნომენკლატურული, ეკოტოპოლოგიური დახასიათება, ფიტოქოროლოგიური მასალები. აღნიშნული გამოცემა საერთაშორისო ბოტანიკური ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია და რეცენზირებას გადის ბერლინ-დალეშის ბოტანიკურ ბაღში.

კათედრის თანამშრომლებმა (პროფ. გ.ნახუცრიშვილი ჯგუფით) მონაწილეობა მიიღეს პროექტის ევროპის მცენარეულობის რუკის შედგენაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო სიმპოზიუმებზე (ევროპის ქვეყნებში) რამდენჯერმე გაკეთდა მოხსენება. გ.ნახუცრიშვილი მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე „მსოფლიოს მაღალმთის მცენარეულობის“ (კავკასია) მონოგრაფიის შედგენაში. ამასთან დაკავშირებით, მომზადდა ყაზბეგის (ხევის) მცენარეულობის რუკა.

კათედრა, ბერნის (შვეიცარია) უნივერსიტეტის ფიტოლოგიის ინსტიტუტთან (ხელმძღ. აკად. ბ.ამანი) და საქ. მეცნ. აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტთან ერთად, მუშაობდა ერთობლივ ხელშეკრულებაზე, რომელიც მიზნად ისახავს პოლოცენური (უკანასკნელი 12000 წლის მანძილზე) და თანამედროვე ეკოსისტემებისა და პალეოკლიმატური სიტუაციის შესწავლას კელვის უახლესი მეთოდების (პალინოლოგიური, კარტოგრაფიული) გამოყენებით.

აღნიშნული პრობლემების შესასწავლად შეეიცარიელ და იტალიელ კოლეგებთან ერთად ჩატარდა ერთობლივი ბოტანიკური ექსპედიცია მთიან აჭარაში, თრიალეთზე, ჯავახეთში. აღებულია ჭაობური და ტბური დანალექების ნიმუშები 6-8 მ-ის სიღრმეზე. მასალის ანალიზი ჩატარდება ბერნის უნივერსიტეტში.

კათედრამ (რ. გაგნიძე) მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სემინარში, რომელშიც მონაწილეობდნენ ცოცხალი ბუნების დაცვის საეკივალისტები (აშშ, შვეიცარია, ჩინეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი); მიღებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კავკასიის მცენარეთა წითელი წიგნის შედგენის პერსპექტივას და აღნიშნულისათვის გასაწევი ხარჯების დაფინანსებას.

კათედრა სისტემატურად მონაწილეობს საშუალო სკოლების ბიოლოგიის პედაგოგთა შეკრებებში, სემინარებში, რომლებზეც კონსულტაციები უტარდებათ სკოლებში ბუნების დაცვის საფუძვლების დასანერგად. საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად ბოტანიკის კათედრის ინიციატივით ჩატარდა საშუალო სკოლებში კონკურსში გამარჯვებული ბიოლოგიის სახელმძღვანელოების განხილვა.

კათედრის მეცნ. თანამშრომელი ნ.დავითაშვილი აგრძელებს სტაჟირებას ბოტანიკის სპეციალობით ავსტრიის აგრარულ აკადემიაში.

კათედრის თანამშრომელი ზ.შევეარდნაძე 3 თვით მივლინებული იყო მიუნხენისა და ბერლინის ბოტანიკურ ბაღებში დეკორატიული მცენარეულობის მეთოდების ასათვისებლად და ბოტანიკური კვლევის თანამედროვე მეთოდების გასაცნობად.

კათედრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სიმპოზიუმებში, რომლებიც მიეძღვნა ბიომრავალფეროვნების, ევოლუციური ბიოლოგიის, მადალმთის ფლორისა და მცენარეულობის, მეცნიერული კომუნიკაციების, დაუსახლებელი ტერიტორიების ეკოსისტემების მდგომარეობის საკითხებს.

კათედრის თანამშრომლების მიერ 2003 წელს საერთაშორისო და საქართველოს გამოცემებში დაიბეჭდა სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც განხილულია ფლორისტული, სისტემატიკური, ფიტოცენოლოგიური, მიკოლოგიური საკითხები.

კათედრის თანამშრომელთა მიერ 2003 წ. გამოქვეყნდა 18 სამეცნიერო ნაშრომი.

ზოოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. ა. გეგეჭკორი) გრძელდებოდა სამუშაოები კათედრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებით. კათედრის გამგემ, პროფ. ა. გეგეჭკორმა გამოსცა სახელმძღვანელო „დედაბუნება“ II კლასის მოსწავლეთათვის და აგრეთვე კრიტიკული წერილების კრებული „როგორ გავიგეთ თავისუფლება?“ განათლების სამინისტროს ეგიდით გამოცემულ 9 სახელმძღვანელოზე. იგი მიწვეული გახლდათ ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში, სიდნეიში, სადაც ბუნების ისტორიის მუზეუმში მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები მის მიერ შეთავაზებულ თემაზე – ცენტრალურაზიური ელემენტი ავსტრალიის ველურ ბუნებაში.

საველე ექსპედიცია განხორციელდა ავსტრალიის 3 შტატში: ვიქტორია, ახალი სამხრეთ უელსი, ჩრდილოეთის ტერიტორია და მოიცავდა უდაბნოებს (სიმპსონის, დიდი ქვიშის უდაბნოები).

საენებსა და მთის ქსეროფიტებს (მაკდონელის ქედის რაიონი), გაუდაბნოებულ მთებსა და ავსტრალიის ალპებს (მთა კოსციუშკო). მოპოვებულია მდიდარი ფაუნისტური, ფლორისტული, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მასალა (ნაწილი გადაეცა საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებს).

ჩატარდა გამოკვლევები ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ღაცვის ცენტრის (სიდნეი) ენტომოლოგიურ ფონდებში. სიდნეის UNSW-ის უნივერსიტეტში პროფ. ა. გეგეჯორის მიერ წაკითხულ იქნა კონტრაქტით გათვალისწინებული ლექციები და სემინარები „ბიოგეოგრაფიის“ კურსით. მიღებულ იქნა კონსულტაციები ქვეყნის წამყვან სპეციალისტებთან ისტორიულ გეოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ევოლუციის თეორიაში, ბიოგეოგრაფიაში.

პროფ. ა. გეგეჯორმა მიმდინარე წლის დეკემბერში მონაწილეობა მიიღო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ეგიდით მოწყობილ კონფერენციაში, სადაც წარსდგა მოხსენებით – „ცენტრალურაზიური ელემენტი ავსტრალიის ველურ ბუნებაში“. გახლავთ საყმაწვილო ენციკლოპედიის ორი წიგნის კონსულტანტი და მიმდინარე წელს გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო შრომა.

ეკოლოგიის კათედრამ (გამგე პროფ. გ. ქაჯაია) და პოპულაციური ეკოლოგიის ს/კ ლაბორატორიამ წლის განმავლობაში შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ჩაატარა.

გამოცემულია გ. ქაჯაიასა და ზ. კერესელიძის სახელმძღვანელოები „გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები“ და „ზღვევისა და მტკნარი წყლების ბიოლოგია“, აგრეთვე გ. ქაჯაიას მონოგრაფია „სასურსათო პროდუქტების მათემატიკური ფესხახსრიანები საქართველოში“. მომზადებულია გამოსაცემად მ. დევიძის მონოგრაფია „გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი“ და სპეცკურსი „ეკოლოგიური გენეტიკა“. გრძელდება მუშაობა გ. ქაჯაიას სახელმძღვანელოზე „ცხოველთა ეკოლოგია“ (თანაავტორი ი. ელიავა), მ. ჩხაიძის ეკოლოგიის განმარტებით ლექსიკონზე (II გამოცემა), ნ. ჩიკვაიძის ეკოლოგიური ტერმინების ლექსიკონზე.

კათედრის წევრები მონაწილეობდნენ რეგიონალური ეკოლოგიური ცენტრის „კავკასია“ III საერთაშორისო კონფერენციაში – კავკასიის მთის რეგიონების მდგრადი განვითარება, საქართველოს პედაგოგიური აკადემიის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციაში, „სისაქის“ (საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯან-თურქეთის კონსორციუმი) თათბირში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

„კავკასიათმცოდნეობის“ სპეციალობის შემოღებასთან დაკავშირებით.

დ. თარხნიშვილი მიმდინარე საანგარიშო წლის იანვრიდან მასამდე მუშაობდა ბონის ზოოლოგიური ინსტიტუტისა და ბონის მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში. კათედრის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო თათბირებში (ე. აბაშიძე – პროფესიონალური რისკი მავნე ორგანიზმთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებისას, კოპენჰაგენი, მ. დევიძე – ვეროპის რეკონსტრუქციის ბანკი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ლონდონი).

კათედრაზე მიმდინარეობს მუშაობა ევროგაერთიანების პროექტზე მიკროპესტიციდების გამოყენება კალიების მავნე სახეობებთან ბრძოლაში (INTAS) (ხელმძღ. ე. აბაშიძე). კათედრაზე ამჟამად მსვლელობაშია კიდევ 5 პროექტი.

14. Gvritishvili M.N., Hayova V.P., Minter D.W. Electronic distribution maps of Georgian Fungi. - PDMS Publishing, 2003.

15. Nakhutsrishvili G. High-mountain Vegetation of the Caucasus Region. In: "Alpine Biodiversity in Europe". Eds.: L.Nagy, G.Grabherr, Ch.Körner, D.B.A. Thompson. Springer. Berlin-Tokyo, 2003: 93-103.

16. Nakhutsrishvili G. High-mountain Vegetation of the Caucasus; Diversity, Ecology. In: "Status and trends of, and threats to, mountain biodiversity and marine, coastal and inland water ecosystems". CBD Technical Series, N 8, Montreal, 2003: 37-39.

17. Heiselmayer P., Elvebakk A., Nakhutsrishvili G. Die natürlichen Vegetationsformationen Europas und ihre Untergliederung. In: "Map of the natural Vegetation of Europe". Federal Agency for Nature Conservation. Bonn, Germany 2003: 105-115.

18. Dolukhanov A., Nakhutsrishvili G. Die natürlichen Vegetationsformationen Europas und ihre Untergliederung. In: "Map of the natural Vegetation of Europe". Federal Agency for Nature Conservation. Bonn, Germany 2003: 384-389.

ნეირობიოლოგიის ს/კ ლაბორატორია

1. დ. მუსერიძე, ე. დიდიმოვი, ნ. ჯაფარიძე, ი.ბრეგვაძე, ც. ცაიშივილი, ღვინაძე, ლ. გეგენავა, ი. სვანიძე, ს. ცაგარელი, ე. ონაშვილი. მამოძრავებელი სისტემის ქერქული და ქერქვეშა სტრუქტურების ფორმირება თეთრი ვირთაგვების ალკოჰოლით პრე- და პოსტნატალური ინტოქსიკაციის დროს. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A. ტ.29, №1-2, 2003წ. გვ. 105-113.

2. Stamateli A., Tsagareli S. Evaluation of optimum algorithm by testing of modified direct delayed reaction. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser.B. vol.1. № 1-2, pp. 70-73, 2003.

3. Archvadze N.G., Tsagareli S.N. Correlation analysis of behavioral parameters during passive avoidance formation. Actual Problems of Biology and Medicine. Collection of works II. pp.307-311. Tbilisi University Press, Tbilisi, 2003.

4. ს. ცაგარელი, ა. სტამატელი, მტკივნეულ გაღიზიანებაზე განრიდების დასწავლის მოდელი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალური პრობლემები. შრომათა კრებული II. გვ.179-182. თსუ გამომცემლობა,

თბილისი, 2003. Rukhadze M.D., Alexishvili M.M., Gonashvili M.V., Okujava N.V., Sebiskveradze M.V. Interaction of carbamazepine and prometazine in rabbits. Biomedical Chromatography. v.17, pp. 62-69, 2003.

5. Rukhadze M.D., Sebiskveradze M.V, Makharadze T.G., Sidamonidze N. S. Influence of nonionic surfactants on the chromatographic behaviour of proteins in hydrophobic interaction chromatography. Biomedical Chromatography. v.17, pp. 538-542, 2003.

6. Rukhadze M.D., Bezarashvili G., Kutkhashvili M., Sarajishvili T. Study of the chromatographic behaviour of the model compounds in submicellar RP-HPLC with Triton X-100 by means of multifactor design. Research Journal of Chemistry and Environment. v.7, № 4, pp.5-11, 2003.

7. М.Д. Рухадзе, М.Г. Кутхашвили, Ш.И. Сидамонидзе, Т.Г. Сараджишвили. Исследование зависимости фактора удерживания некоторых модельных соединений от концентраций Бридж-35 в биораспределительной мицелярной хроматографии. Журнал физической химии, т.77, № 12, с. 2226-2229, 2003.

მორფო-ფიზიოლოგიის საპრობლემო ლაბორატორია

1. Горгилაძე Г.И. Восстановление утраченных Горгилაძე Г.И., Самарин Г.И. Влияние невесомости на состояние компенсации у односторонне делабиринтированных тритонов. Авиакосмическая и экологическая медицина, 2003, т. 37, №3, с. 23-28

2. Части тела у хвостатых амфибий в 102-суточном орбитальном полете на пилотируемой орбитальной станции «Мир». В сборнике: Четвертый Международный аэрокосмический конгресс, посвященный 100-летию авиации, 18-23 августа 2003, Москва, Россия, с. 412

3. Г.И. Горгилაძე, Л.В. Ноздрачева. Активность дыхательных ферментов в статоцистах, нервных ганглиях и в мышце ноги у наземных легочных улиток *Helix lucorum*, экспонированных в невесомости на автоматических космических аппаратах «Фотон» и «Ресурс-Ф» и на пилотируемой орбитальной станции «Мир». В сборнике: Четвертый Международный аэрокосмический конгресс, посвященный 100-летию авиации, 18-23 августа 2003, Москва, Россия, с. 410

4. П.В. Никитин, Г.И. Горгилაძე, С.А. Козырев. Содержание и динамика связанного кальция в статоцистах у наземных легочных улиток *Helix lucorum*, экспонированных в невесомости на пилотируемой орбитальной станции «Мир». В сборнике: Четвертый Международный аэрокосмический конгресс, посвященный 100-летию авиации, 18-23 августа 2003, Москва, Россия, с. 408

5. Г.И. Горгиладзе. Восстановление вестибулярной функции при ее частичной утрате с помощью электростимуляции поврежденной стороны. В сб. Материалы Российской конференции с международным участием «Организм и окружающая среда: адаптация к экстремальным условиям», 3-5 ноября 2003, Москва, 2003, с. 101

6. Г.И. Горгиладзе. Восстановление вестибулярной функции при ее частичной утрате с помощью электростимуляции поврежденной стороны. В сб.: Материалы Российской конференции с международным участием «Организм и окружающая среда: адаптация к экстремальным условиям», 3-5 ноября 2003, Москва, 2003, с. 101-102

7. Г.И. Горгиладзе, Г.И. Самарин. Станут ли земные организмы космическими существами? В сб. Тезисы докладов «XXXVIII научные чтения памяти К.Э. Циолковского». Калуга, 2003, 2003, с. 109-110

8. Г.И. Горгиладзе, Г.И. Самарин. Возможна ли адаптация к условиям безопорности? (Эксперименты на пилотируемой орбитальной станции «Мир»). В сб. Материалы Российской конференции с международным участием «Организм и окружающая среда: адаптация к экстремальным условиям», 3-5 ноября 2003, Москва, 2003, с. 103-104

9. Г.И. Горгиладзе, А.М. Шкель. Коррекция вестибулярной функции при ее частичной утрате с помощью электрического тока. 5-я Международная конференция «Радиоэлектроника в медицине», 1-2 октября 2003 г., Москва, Россия, сборник докладов, с. 100-103

გამოყენებითი ფიზიოლოგიის ს/კ ლაბორატორია

1. ი. მელქაძე, ო. ახმეტელაშვილი. დისკრიმინაციული დასწავლა ინტაქტურ და ნაკერის ბიროვებდაზიანებულ ვირთაგვებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალური პრობლემები. შრომათა კრებული II. გვ. 11-116, 2003.

ხერხემლიან ცხოველთა ბიოლოგიისა და დაცვის ს/კ ლაბორატორია

1. რ. ჟორდანია. ჰერპეტოლოგია. სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის. თსუ, 2003.

2. მ. ბურდული, ლ. ჟორდანია, რ. ტარტარაშვილი, ლ. კიკალიშვილი. ძუძუმწოვრების ინტროდუქცია და მისი შედეგები საქართველოში. ერევანი, 2003.

3. მ. ბურდული. საქართველოს ძუძუმწოვრების ტერმინოლოგიური ლექსიკონი. თსუ, 2003.

ეკოლოგიური ბიოფიზიკის ს/კ ლაბორატორია

1. ფ.გოგინაშვილი, გ.სუპატაშვილი, თ.დვალიძე, ხ.ჩაჩავა, ე.ტყეშელაშვილი, თ.ონიანი, ჯ.ონიანი. 3 და 5-ვალენტური დარიშხანის გავლენა *Chorella vulgaris*-ის ზოგიერთ სასიცოცხლო ფუნქციაზე. საქ. მეც. აკ. მაცნე. სერია – ბიოლოგია, 2003. ტ.29, №1-2.

2. ხ.დანელია, ა.ჭოლოშვილი, ლ.აბალოესკაია, თ.ამირანაშვილი, თ.ონიანი, ჯ.ონიანი. სპილენძის, კობალტის და დარიშხანის ერთობლივი მოქმედების შესწავლა *Chorella vulgaris*-ის სიცოცხლისუნარიანობასა და გამოსაქცევის ინტენსივობაზე. საქ. მეც. აკ. მაცნე. სერია – ბიოლოგია, 2003. ტ.29, №3-4.

3. ნ.მახმანიძე, ლ.ლურსმანაშვილი, ჯ.ონიანი. მძიმე მეტალების განსაზღვრა სხვადასხვა ასაკობრივი (ზომითი) ჯგუფის მიდიებში. საქ. მეც. აკ. მაცნე. სერია – ბიოლოგია, 2003. ტ.29, №3-4.

მედიცინის ფაკულტეტი

შინაგან დაავადებათა კათედრაზე (გამგე პროფ. დ.გორდელაძე) ერთდროულად სამეცნიერო მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

გადაუდებელი თერაპიისა და კლინიკური ტოქსიკოლოგიის (კიკლის სამეცნიერო მუშაობის მიმართულება: მწვავე მოწამელები (მწვავე ქიმიური ტრავმა); მწვავე ალკოჰოლური ჰეპატიტისა და ინფექციური ჰეპატიტის („C“ ჰეპატიტი) ერთდროული არსებობის პირობებში ღვიძლის დაზიანების (ღვიძლის მწვავე უკმარისობა, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია) საკითხები. მეორე რიგის სამეცნიერო ინტერესთა სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე ეკოლოგიური ტოქსიკოლოგია – „ეკოტოქსიკოლოგია“, რომელიც პირველად საქართველოში აღნიშნული ე.წ. კათედრის წევრთა კვლევის საგანი გახდა და უკვე ჩამოყალიბდა როგორც ტოქსიკოლოგიის ცალკე მიმართულება.

საანგარიშო პერიოდში კურსის ხელმძღვანელისა და წევრების მიერ გამოქვეყნებულია 1 მონოგრაფია „გადაუდებელი თერაპია“ (გ. კაციტაძე, მეორე გამოცემა, 2003), 5 სამეცნიერო შრომა:

– ტოქსიკოლოგიური სამსახურის თავისებურებები აშშ-ში (გ. კაციტაძე, მ. შალამბერიძე; კრებული – „ამერიკის შესწავლის საკითხები“ მე-5 ყოველწლიური კონფერენციის მასალები, თბილისი, 2003).

– საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებები (გ. კაციტაძე, ნ. გაბუნია; ჟურნალი „ოჯახის ექიმი“, 2003, № 2),

– Новые аспекты острой интоксикации Баклофеном (Г. Кашидзе, С. Кутубидзе; II съезд токсикологов России. Тезисы докладов, Москва, 2003),

– Рабдомиолиз и ОПН у больных отравлением грибами (Н. Лобжанидзе, Н. Чавчавадзе, С. Кутубидзе и др.; II съезд токсикологов России. Тезисы докладов, Москва, 2003 г.)

კათედრის თანამშრომლები მონაწილეობენ:

პროგრამის – „გარემო და ჯანმრთელობა“ შესრულებაში (გ. კაციტაძე);

დარგობრივი რეზიდენტურის პროგრამის განხორციელებაში (გ. კაციტაძე, ნ. ლობჯანიძე, ნ. ჭავჭავანიძე);

ექიმთა სასერტიფიკაციო გამოცდებში (გ. კაციტაძე, ნ. ლობჯანიძე).

კურსის ხელმძღვანელი დოც. გ.აკაციტაძე არჩეულია საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტად და ევროპის ტოქსიკოლოგთა ასოციაციის ნამდვილ წევრად.

დოც. ნ. ჭავჭავანიძე შეყვანილია ჯანდაცვის სამინისტროს ნარკოტიკებით მოწამლულ ავადმყოფთა მკურნალობის გაუმჯობესების შემსწავლელი კომისიის წევრად.

თერაპიის განხრით სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

ტოქსიკური ჰეპატიტებით დაავადებულ ავადმყოფთა ეპიდემიოლოგიური კვლევა და პრევენციული მკურნალობის მეთოდების შემუშავება;

მწვავე კორონარული სინდრომის და გულის უკმარისობის მკურნალობის ოპტიმალური გზების ძიება და ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგვა;

ფიზიკური დატვირთვით ინდუცირებული მიოკარდიუმის იშემიის ახალი დიაგნოსტიკური ეკგ კრიტერიუმების იდენტიფიკაცია და მათზე ზოგიერთი ანტიანგიინური პრეპარატების და რეკლამაციის გავლენის შესწავლა;

უეცარი სიკედილის პრობლემატიკა;

გულის რითმის დარღვევის პრობლემატიკა – სუპრავენტრიკულური ტაქიარითმიებისა და სიცოცხლისათვის საშიში მაღალი გრადაციის – ექსტრასისტოლიის მართვა, პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობის თანამედროვე ასპექტები;

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პრევენცია.

ბრონქული ასთმის მკურნალობის საკითხები.

აღნიშნული მიმართულებებით თანამშრომლები მონაწილეობდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროექტში:

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა პრევენცია (ბ.წინამძღვარი შვილი – ხელმძღვანელი ბ.ქობულა).

"Euro Heart Survey" პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო მულტიცენტრული კვლევები (ბ. ქობულა – ნაციონალური კოორდინატორი, გ. ტაბიძე, ზ. ფადავა, მ. იაკობაშვილი).

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული პროექტის „ათეროგენეზის ინდი-

ვიდუალური გამოკვლევის საფუძველზე“ განხორციელება (კ.მაჭავარიანი).

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ჩატარდა ეპიდემიოლოგიური და პრევენციული კვლევა, რის საფუძველზეც შემუშავდა და დაისტამბა 5 მეთოდური რეკომენდაცია:

- ცხოვრება მაღალი არტერიული წნევით და ჯანსაღი კვება,
- ცხოვრება მაღალი არტერიული წნევით და ოჯახის როლი,
- ცხოვრება მაღალი არტერიული წნევით და შაქრიანი

დიაბეტით.

დასტამბულია შრომები, მიძღვნილი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა გავრცელების დინამიკისადმი საქართველოს მოსახლეობაში და კერძოდ აჭარის რეგიონში (ბ. წინამძღვრიშვილი, ნ. ბურკაძე).

ორგანიზებულია და ჩატარებულია სემინარი, მიძღვნილი უცარი სიკვდილის იდენტიფიკაციის და რეგისტრაციისადმი (ბ. წინამძღვრიშვილი).

ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ მიერ მომზადდა სამედიცინო – ორგანიზაციული მნიშვნელობის სტატია: ვიზიტი თერაპევტთან (პროფ. დ.გორდელაძე 14. VIII. 2003).

გაზეთ „მედიცინის“ დაკვეთით მომზადდა და 2003 წ. 29 მარტის ნომერში დაიბეჭდა სტატია – უცარი სიკვდილის საპრობლემო საკითხები (ბ.ბურდიაშვილი).

გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით და მზადდება გამოსაცემად მეთოდური რეკომენდაციები უცარი სიკვდილის (შესაბამისი მაღალი რისკის ჯგუფებში) პირველადი და მეორადი პრევენციის ღონისძიებათა შესახებ, რაც გამოცემული იქნება მიმდინარე წლის ბოლოსათვის (ბ. ბურდიაშვილი).

თანამშრომელთა სამეცნიერო მუშაობის მიმართულების შესაბამისად მომზადდა და გამოქვეყნდა გაიდ-ლაინები წინაგულთა ფიბრილაციის მართვის შესახებ.

დასასტამბად მზად არის ნაშრომები: არითმიისა და მასთან ასოცირებულ დაავადებათა მართვის სადღეისო პრობლემებზე (გ.აბულაძე);

გულის ქრონიკული უკმარისობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რეკომენდაციები, რომელიც ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის ექსპერტთა კომიტეტის მონაცემებს ეყრდნობა (გ.ტაბიძე);

თარგმნილი და რედაქტირებულია ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის რეკომენდაცია გულის უკმარისობით ავადმყოფთა ფიზიკური დატვირთვების შესახებ (ზ. ფაღავა, გ. ტაბიძე).

ნათარგმნია ინგლისურიდან და იბეჭდება ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების მიერ შექმნილი სახელმძღვანელო რეკომენდაციები – მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მართვა (პ. მაჭავარიანი).

მიმდინარეობს მუშაობა სტატიაზე, რომელიც შეაფასებს 15 წლის განმავლობაში საქართველოში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მკურნალობის ევოლუციის გავლენას ავადმყოფთა კლინიკურ მდგომარეობაზე და პროგნოზზე (პ. მაჭავარიანი).

გამოცემულია და გავრცელებულია მეთოდური სახელმძღვანელო სპეციალისტებისათვის ფიზიკური დატვირთვის ეკ. სინჯები (ზ.ფაღავე).

ჩატარდა კონფერენცია:

თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის და თსუ კლინიკის თანამშრომელთა პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დ. გორდელაძის და გადაუდებელი თერაპიის ციკლის ხელმძღვანელის, დოც. გ. კაციაძის ხელმძღვანელობით.

თანამედროვე ასპექტები კარდიული არითმიების კვლევაში: პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა 2003 (გ. აბულაძე), რომლის მუშაობაშიც აქტიურად მინაწილეობდნენ კათედრის თანამშრომლები (ნ. ამბროლაძე, ც. ქრისტესაშვილი, მ. იაკობაშვილი).

ჩატარდა ფრანგულ ფარმაცევტულ ფირმა „სერვიეს“, საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოებისა და საქართველოს კარდიოლოგთა ასოციაციის ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმი „პრესტარიუმი-პირველი არჩევის აგფ – ინჰიბიტორი არტერიული ჰიპერტენზიისა და გულის უკმარისობის სამკურნალოდ“ და მეცნიერული სიმპოზიუმი „არიფონ-რეტარდი პირველი არჩევის დიურეტიკი არტერიული ჰიპერტენზიისა და კარდიოვასკულარული გართულებების სამკურნალოდ“ (ბ.წინამძღვრიშვილი).

დოც. თ.მაღლაკელიძემ საინტერესო მოხსენებებით მიიღო მონაწილეობა ევროპის რესპირატორთა ასოციაციის საერთაშორისო კონგრესზე სტოკოლმში თემით „ბრონქიალური ასთმის მკურნალობა პრეპარატ სერედიტით“.

ფირმა „ბურინგერ ინგელჰაიმის“ კონფერენციაზე „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“.

ფირმა „სოლვეი ფარმას“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: „IRS-19 გამოყენება მწვავე რესპირატორული დაავადებების დროს“.

საანგარიშო პერიოდში კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

1. Investigation of Risk-factors Contributing to the Development of Atherosclerosis among refugees in Georgia" (პ. მაჭავარიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2003, № 2, გვ. 102-105);

2. The Response of Arterial Blood Tressure on the Stimulation with cold in the patients with stable angina pectoris and different degrees of cold-induced dispersion of Ventricular repolarization. (ბ. ქობულია, ზ. ფაღავეა, ც. ქრისტესაშვილი და სხვ.);

3. იზოსობრიდ დინისტატიის და კორდარონის გავლენა ეკგ ST ინტერვალის დისპერსიაზე გულის იშემიური დაავადებით შეყვარობილ პირებში (ბ. ქობულია, ზ. ფაღავეა და სხვები), „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა,“ 2003, №2 გვ. 111-114;

4. აზოტის ოქსიდის შემცველობის ცვლილებები სისხლის პლაზმასა და ერითროციტებში სხვადასხვა გენეზის გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე ავადმყოფებში (რ.აბაშიძე, „სამედიცინო მოამბე, 2003, ტ. 167, № 3, 549-555).

კათედრის თანამშრომელთა მიერ მომზადდა უწყვეტი მედიცინის განათლების პროგრამები, რომლებიც აკრედიტებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

ღვიძლის დაზიანების ტოქსიკოსინდრომი მწვავე მოწამელებისას (დოც. თ. ყანდაშვილი); გულის უკმარისობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების სწავლება (პროფ. გ. ტაბიძე);

ქრონიკულ არაინფექციურ დაავადებათა ეპიდემიოლოგია და პროფილაქტიკა (პროფ. ნ. ბურკაძე);

გადაუდებელი თერაპია და მწვავე მოწამელების მკურნალობის თანამედროვე მეთოდები (დოც. კ. კაციტაძე).

კათედრაზე აპრობაცია გაიარა შინაგან დაავადებათა კათედრის ასპირანტის ნ. ჭაღიაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომმა: ფიზიკური დატვირთვით ინდუცირებული მიოკარდიუმის იშემიის სხვადასხვა კლინიკური გამოვლინების მქონე პირთა კლინიკური და ფსიქოსოციალური თავისებურებები მიოკარდიუმის Q-კბილოვანი ინფარქტის შემდგომ პერიოდში (ხელმძღვანელები: პროფესორი ზ.ფაღავეა და პროფესორი გ.ქავთარაძე).

ფთიზიატრიის სამეცნიერო მიმართულებაა ძირითადად ტუბერკულოზი, როგორც მედიკო-სოციალური პრობლემა. საანგარიშო პერიოდში შესრულებულია შემდეგი სამეცნიერო შრომები:

1. Структурные особенности эндотелия при туберкулезе Хечинашвили Г. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია, 2002, № 3-4.

2. ენდოთელიუმი ნორმაში და მისი განვლადობა, გ. ხეჩინაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია, 2002, № 1-2, ტ. გვ. 37-40.

3. T-ლიმფოციტები, როგორც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო იმუნიტეტის ეფექტორები. გ. ხეჩინაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია, 2002, № 1-2, ტ. გვ. 213-216.

4. სიკვდილობის მიზეზთა ანალიზი ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა შორის. ნ. ქირია, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „მედიცინა კლასიკურ საუნივერსიტეტო განათლებაში“ სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2002, გვ. 123-124.

5. პლაზმის ნაკადის გამოყენება გულის პათოლოგიის მქონე ავადმყოფთა წინასაოპერაციო მომზადებისათვის. ლ. კუპრეიშვილი, ს. ვაშაკიძე, რუსეთის ფთიზიატრთა XIV ყრილობის მასალები, მოსკოვი, 2003, გვ. 114-116.

6. ტუბერკულოზი, როგორც მედიკო-სოციალური პრობლემა იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის. ლ. კუპრეიშვილი, ს. ვაშაკიძე, რუსეთის ფთიზიატრთა XIV ყრილობის მასალები, მოსკოვი, 2003, გვ. 114-116.

ინფექციურ სნეულებათა სამეცნიერო მიმართულებაა ძირითადად HCV-აივ ინფექციის შესწავლა და პრევენცია, ასევე საქართველოში „C“ ჰეპატიტის პრობლემების გადაწყვეტა.

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. Prevention of Cercial Transmission of HIV infection. Guideline in Georgian for the healthcare workers involved in the reproductive medicine (62 pages). T. Tsertsvadze, N. Gochitaishvili, L. Sharvadze, Tbilisi, 2003.

2. CNS complications and their relationship with CD4 count and viral load in treatment naïve HIV/AIDS patients. 2nd IAS Conference on HIV Pathogenesis and Treatment. T.Tsertsvadze, N. Gochitaishvili. July 13-17, 2003. Paris, France.

3. Epidemiology of CMV infection among different high-risk groups in Georgia. T. Tsertsvadze Georgian Medical News, 2002; 1 (82): 117-121.

4. Epidemiology of HIV, HBV and HCV among selected population groups in Georgia, Tsertsvadze T., Nelson K., del Rio C., at all Abstract presentation, IDSA 40th annual meeting, October 24-27, 2002 Chicago, USA.

5. CMV infection in HIV patients, T. Tsertsvadze, N. Gochitashvili, L. Sharvadze. XIV International AIDS Conference 2002. Barcelona, July 7-12, 2002.

6. Immunological Disorders and their Relationship with Clinical Manifestations in Patients with Chronic HCV Infection. T. Tsertsvadze, L. Sharvadze. International congress on autoimmunity. Switzerland, 2002.

7. Efficiency of PEG Intron and Ribavirin in Patients with Chronic Hepatitis C Nonresponders to the Antiviral Therapy. 37th Annual Meeting of the European Association for the Study of the liver (EASL). T. Tsertsvadze, L. Sharvadze, April 18-21, 2002, Madrid.

8. დიფთერიული მიოკარდიტი. თბილისი. ა. ლალიძე. „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა,“ 2002, გვ. 51-53.

9. ჰემოფილური ინფექციით გამოწვეული მენინგოენცეფალიტის შემთხვევა. ა. ლალიძე. „საქართველოს მოამბე,“ 2002, № 3, გვ. 11-15.

10. Клинические особенности кишечного амебиоза и сравнительная оценка диагностических методов на современном этапе. G. Kvitaishvili. Georgian Medical News # 2 (49) Февраль, 2002, с. 33-35.

11. Animated amino acids and their role in the development of subclinical HE. G. Kvitaishvili. Georgian Medical News. May 2003.

მონაწილეობა სამეცნიერო გრანტულ პროექტებში:

1. AIV ინფექციის ეპიდემიოლოგია, მოლეკულური თავისებურებანი და კლინიკური მიმდინარეობა საქართველოს მოსახლეობაში (Biotechnology Engagement Program (BTEP), აშშ, 2002-2004); თ. ცერცვაძე, ლ. შარვაძე, ნ. გოჩიტაშვილი.

2. საქართველოში ღვიძლის არაინფექციური და ინფექციური ქრონიკული ავადმყოფობის ეპიდემიოლოგია და მათით აღძრული ღვიძლის უკმარისობის სკრინინგ-დიაგნოსტიკის, პრევენციისა და მკურნალობის პრინციპების მეცნიერული უზრუნველყოფა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ უზრუნველყოფის სამინისტრო, 2002. თ. ცერცვაძე, ნ. გოჩიტაშვილი.

3. AIV ინფექცია/შიდსის ვერტიკალური გადაცემის პროფილაქტიკა. საგანმანათლებლო გრანტი რეპროდუქციულ სფეროში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკებისთვის. გაეროს შიდსის პროგრამის (UNAIDS) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) გრანტი, 2003. თ. ცერცვაძე, ნ. გოჩიტაშვილი, ლ. შარვაძე.

4. კოორდინირებული კვლევითი პროგრამა საქართველოში აუგ, სგგდ და HCV შესწავლისთვის. ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების (აშშ) გრანტი (2003-2004). თ. ცერცვაძე, ნ. გოჩიტაიშვილი, ლ. შარვაძე.

თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში

1. 2nd IAS Conference on HIV Pathogenesis and Treatment. T.Tsertsvadze, L. Sharvadze, N. Gochitaishvili. July 13-17, 2003. Paris, France.

2. 38th Annual Meeting of the European Association for Study of the Liver. T.Tsertsvadze, L. Sharvadze, July 7-12, 2003. Geneva, Switzerland.

3. XIV International Congress on Immunorehabilitation. L. Sharvadze. Paris, France, May, 2002.

4. XIV International AIDS Conference 2002 T. Tsertsvadze, Barcelona, July 7-12, 2002.

კათედრის თანამშრომლების ინიციატივით და მონაწილეობით ჩატარდა კონფერენცია 2002 წლის ნოემბერში „C“ ჰეპატიტის მართვის თანამედროვე მეთოდები“.

2003 წელს კათედრის თანამშრომლების მიერ ჩატარდა რამდენიმე ლექცია-სემინარის რამდენიმე ციკლი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროექტის ფარგლებში. მათ შორის:

1. AIV ინფექცია/შიდსი

ორსულთა პათოლოგიის გამომწვევი ინფექციური დაავადებები, მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი (SARS).

დანიში ორუსის უნივერსიტეტის ოლბორგის საუნივერსიტეტო კლინიკაში დიპლომის შემდგომი დახელოვნების და სპეციალიზაციის კურსები სპეციალობით ანესთეზია – ინტენსიური თერაპია გაიარა შინაგან დაავადებათა კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ნ.მჭედლიშვილმა.

უროლოგიის კათედრაზე (პროფ. ლ.მანაგაძე) მიმდინარეობდა სამეცნიერო მუშაობა თემაზე – პროსტატის სიმსივნეები და მათი კვლევის მოლეკულური ასპექტები, უფრო კონკრეტულად კი ქვეთემაზე – პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული ადამიანების სისხლის მეტაბოლური პარამაგნიტური ცენტრების შესწავლა.

გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო შრომები:

1) პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (PIN), როგორც პროსტატის აეთვისებიანი სიმსივნის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია A. თბილისი 2003, №3-4 ტ. 29. გვ. 327-334. – ნ. ვეშაპიძე, კ. არცივაძე, ე. ხუციშვილი, თ. ჩიგოგიძე, ლ. მანაგაძე, ნ. კოტრიკაძე.

2) პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის ერითროციტების შემზრანული ცილების დაყოფა პოლიაკრილამიდის გელში. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერ. A, 2002, ტ. 28, №5-6, გვ. 445-451. – მ. ალიბეგაშვილი, მ. ცხომელიძე, ბ. ლომსაძე, ლ. მანაგაძე, თ. ჩიგოგიძე, ნ. კოტრიკაძე.

3) პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის ერითროციტების შემზრანების ლიპიდური სპექტრის შესწავლა. // საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერ. A, 2002, ტ. 28, №5-6, გვ. 437-443. – მ. ალიბეგაშვილი, მ. ქიტიაშვილი, ბ. ლომსაძე, ლ. მანაგაძე, თ. ჩიგოგიძე, ნ. კოტრიკაძე.

4) თირკმელზედა ჯირკვლის სტეროიდული ჰორმონების რაოდენობის შესწავლა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის შრატში. // საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერ. A, 2003, ტ. 29, №5-6. – მ. ალიბეგაშვილი, მ. ქიტიაშვილი, ბ. ლომსაძე, ლ. მანაგაძე, თ. ჩიგოგიძე, ნ. კოტრიკაძე.

5) „პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის ერითროციტების ელექტროფორეზული ძვრადობის განსაზღვრა“. // საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერ. A, 2003, ტ. 29, №5-6. – კ. არცივაძე, მ. ალიბეგაშვილი, ქ. ქარენაშვილი, ი. ბოჭორიშვილი, ზ. ზურაბაშვილი, ლ. მანაგაძე, თ. ჩიგოგიძე, ნ. კოტრიკაძე.

6) Влияние плаферона на функцию и метаболизм почек крыс, ишемизированных в течение 90 минут - Georgian Medical News. 2003, 5, (98), 25-27. - В. Сулханишвили, Т. Чигогидзе.

7) Plaferon application in patients with urolithiasis of only kidney. Annals of Biomedical and Education. April-June, 2003, 138-141. - В. Сулханишвили, Т. Чигогидзе.

8) Применение плаферона у больных с двухсторонней мочекаменной болезнью с латентной формой почечной недостаточности. - Georgian Medical News. 2003, 6, (99), 20-23. - В. Сулханишвили, Т. Чигогидзе.

9) შარდ-სასქესო სისტემის ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში – ექსპერიმენტული და კლინიკური

მედიცინა. თბილისი, 2003, №1-2 (11-12), გვ. 92-94. – თ. ჩიგოგიძე, თ. დოჭვირი.

კათედრაზე მუშაობს ასპირანტი თ.დოჭვირი თემაზე – შარდსასქესო სისტემის პათოლოგიური ცვლილებები ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში. ხელმძღვანელი: მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ დოჭვირი.

კათედრის გამგე, პროფესორი ლ.მანაგაძე მონაწილეობდა ესპანეთის ქ. მადრიდის ევროპის უროლოგთა ასოციაციის XVIII კონგრესზე, 2003, 10-16 მარტი.

კათედრის პროფესორი თ.ჩიგოგიძე მონაწილეობდა რუსეთის საერთაშორისო კონფერენციაზე „მამაკაცთა ჯანმრთელობა“, მოსკოვი, 2003 წელი, 19-21 ნოემბერი.

კათედრის თანამშრომლები ასევე მონაწილეობდნენ შემდეგ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში: საქართველოს უროლოგთა ასოციაციის კონგრესზე, თბილისი, 2003, 20-22 ივნისი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოსა და შინაგან დაავადებათა კათედრის თანამშრომელთა პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 2003 წლის 2 ივლისი.

საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია, საქართველოს რადიოლოგთა II კონგრესი, თბილისი, 2003 წელი, 3-4 ოქტომბერი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ერთობლივი – IV საერთაშორისო კონფერენცია „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის აქტუალური საკითხები“ – თბილისი, 2003 წელი, 19-20 დეკემბერი.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭო: უროლოგია, ტრანსპლანტოლოგია, ხელოვნური ორგანოები. საბჭოს თავმჯდომარე მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ლ. მანაგაძე; თავმჯდომარის მოადგილე მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი თ. ჩიგოგიძე; სწავლული მდივანი მედ. მეცნ. დოქტორი

!დ. ჭავჭავანიძე. სადისერტაციო საბჭოზე დაცულ იქნა 1 სადოქტორო დისერტაცია.

ვ. სულხანიშვილი – „პლაფერონის ზეგავლენა თირკმლის ფუნქციაზე შარდკენჭოვანი დაავადების დროს“. 29/XII-2003.

ნეეროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრაზე (გამგე პროფ. რ. შაქარიშვილი) გრძელდებოდა მუშაობა გარდამავალ თემაზე, ინსულტის სიხშირე, რისკ-ფაქტორები და პატერნები თბილისის ნაძალადევის რაიონის პოპულაციაში (ერთობლივი ქართულ-შვეიცარიული კვლევა). იგი დაწყებულია 2000 წელს და დასრულდა 2003-ში. კვლევის მიზანია, თბილისის განსაზღვრულ პოპულაციაში ინსულტის სიხშირის სიკედილობის რისკფაქტორების და კლინიკური მახასიათებლების შესწავლა. კვლევის დიზაინი: პროსპექტული, პოპულაციური შემთხვევა-კონტროლის ტიპის კვლევა.

თემის შემსრულებლები: პროფ. რ. შაქარიშვილი, პროფ. ჯანელიძე, დოცენტები: ა. ცისკარიძე, მ. ჯიბუტი, დ. გუგუციძე, ასისტენტები: თ. ვაშაძე, გ. ლომიძე, ს. აფრიდონიძე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2003 წლის ზაფხულში გერმანიაში, მაგდებურგში, ლეიბნიცის სახელობის ნეირობიოლოგიის ინსტიტუტში, დასწავლისა და მეხსიერების კვლევის ცენტრში, დოქტორ მაიკლ კრეუცის ჯგუფში უკვე მეორედ მიწვეული იყო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი თ. მაჭარაძე, მიმდინარე პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. მის კონკრეტულ სამუშაოს წარმოადგენდა თავის ტვინის განვითარებაზე მოქმედი მდედრობითი სქესის ოეგანიზმის იმუნურ უჯრედებში წარმოქმნილი ნეიროპროტექტორის პოლიპეპტიდური ფაქტორის (1-330) ბიოქიმიური მახასიათებლის შესწავლა მის მიერ „Mgc-His-tagged“ შერწყმული ცილის კლონირება, მათი შემდგომი ექსპრესია ბაქტერიებში და აღნიშნული ცილების გასუფთავება. სამუშაოს პროცესში მას შეხება ჰქონდა მრავალ განსხვავებულ რეკომბინაციურ ტექნოლოგიებსა და ცილის კვლევის თანამედროვე ბიოქიმიურ მეთოდებთან. სამუშაოს დასასრულს იგი მოხსენებით წარსდგა განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

რენტგენოლოგიისა და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კათედრაზე (გამგე აკად ფ. თოდუა), რომლის ბაზა სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტია, მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა შემდეგ თემებზე.

1. არაპოჯკინის ლიმფომების სხივური დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის ეფექტურობის შეფასება.

2. ინტრავენური დინამიური კონტრასტირება კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლის ქვეშ, მისი როლი და მნიშვნელობა გულმკერდის ღრუს ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნის მსხვილ სისხლძარღვებზე გავრცელების ხარისხის დასადგენად.

3. მექანიკური სიყვითლის სხივური დიაგნოსტიკა.

4. თირკმელების ახალწარმონაქმნთა სხივური დიაგნოსტიკა, ინტრავენური კონტრასტირებისა და მისი ფაზების მნიშვნელობა თირკმელების ახალწარმონაქმნთა დიაგნოსტიკასა და დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში.

5. სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ინტერვენციული ჩარევები სხვადასხვა პათოლოგიების დროს (კერძოდ, ღვიძლის კისტების, აბსცესების და პანკრეასის კისტების დროს).

6. საკეერცხეების დაავადებების კომპლექსური სხივური დიაგნოსტიკა.

აღნიშნულ თემებზე მუშაობის პროცესში ჩართულია სხივური დიაგნოსტიკის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა კომპიუტერული და მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, რომელთა გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და შესწავლა ხელს უწყობს პათოლოგიათა ადრეულ სტადიაზე გამოვლენას, მკურნალობის ეფექტურობის შეფასებას, ასევე სხივური დიაგნოსტიკური მეთოდების შესაძლებლობათა შედარებას.

აეტორთა კოლექტივთან ერთად აკად ფ. თოდუას ხელმძღვანელობით გამოცემულია მონოგრაფია – ხერხემლისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია.

კათედრაზე მიმდინარეობს აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა. თემა, თირკმელების ახალწარმონაქმნათა სხივური დიაგნოსტიკა, მოხსენებულ იქნა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე.

ტრავმატოლოგიის, ორთოპედიის და სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის თანამშრომელმა ნ. კობახიძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია „მუხლის სახსრის მენისკების დაზიანება“. მ. ფირალიშვილმა კი გაფორმებული საკანდიდატო დისერტაცია წარუდგინა საბჭოს თემაზე, გრძელი ძვლების შეუხორცებელი მოტეხილობის და ყალბი სახსრების მკურნალობა ოსტეორეფლექსოთერაპიის გამოყენებით. ნ. თევდორაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდ-

ნილობა მოხრდილებში." მანვე გამოაქვეყნა სტატია მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე. ს. მაღრაძემ საინტერესო მოხსენება წარუდგინა ტრავმატოლოგ-ორთოპედთა სიმპოზიუმს თემაზე, პროტეზირება ტრავმატოლოგია-ორთოპედიაში. გ. ჯალიაშვილი თანაავტორებთან ერთობლივად მუშაობს ორთოპედიული ტერმინოლოგიის განმარტებით ლექსიკონზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის (გამგე რ. ურუშაძე) თანამშრომლები ასრულებდნენ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის გრანტული პროექტების ფარგლებში. სამუშაოები დაფინანსებული იყო საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის მიერ. ერთი პროექტი ესეზოდან ანტიბიოტიკორეზისტენტობის ხასიათს საქართველოში და მეორე კი საქართველოში ბოტულიზმის კონტროლის, ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის სრულყოფას. გამოქვეყნებულია 21 ნაშრომი, მომზადებულია 5, გამოსულია მეთოდური სახელმძღვანელო „კლინიკური ბაქტერიოლოგია“. აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში.

კათედრაზე მიმდინარეობს გამოყოფილი პათოგენური მიკროორგანიზმების მოლეკულური ბიოლოგიის შესწავლა, რითაც ფაქტობრივად საფუძველი ეყრება ქვეყანაში მოლეკულური ეპიდემიოლოგიის მეთოდების დანერგვას.

განხორციელებულია მასშტაბური პრაქტიკული სამუშაოები, სახელმწიფო პროგრამები, დიდი წვლილი აქვთ კათედრის თანამშრომლებს საზოგადოების ჯანდაცვის სფეროში სამართლებრივი სიერცის განვითარებაში. მომზადებულია ბუკლეტები, კლიპები და სხვა საშუალებანი საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების შესახებ. თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საკმაოდ წარმატებულად თამბაქოს, ნარკომანიის, ტრავმატიზმისა და სხვა საკითხებში.

საანგარიშო პერიოდში კათედრის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით მუშავდებოდა 8 საკანდიდატო დისერტაცია. დაცულია სადოქტორო დისერტაცია. სრულდება აგრეთვე 5 სამაგისტრო ნაშრომი და 2 სადიპლომო სამუშაო.

პედიატრიის კათედრაზე (გამგე პროფ. რ. ქარსელაძე) სამეცნიერო მუშაობა წარმოებდა რამდენიმე თემაზე. ერთი მათგანია ატოპური დერმატიტის ადგილობრივი პრეპარატით (ასკანკოლის მალამო) მკურნალობის ახალი მეთოდის კლინიკური შეფასება. კათედრის ბაზაზე ჩატარდა ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში შემუშავებული (ლიცენზირებული) სამამულო

წარმოების, ნატურალური მაღამოს-ასკანკოლის კლინიკური გამოცდა GCP-ის პრინციპებზე დაყრდნობით. კვლევაში მონაწილეობდა სტუდენტი პროფ. რ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით. შედეგები მოხსენებულ იქნა სტუდენტთა კონფერენციაზე.

მეორე თემა მედიცინაში საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობის შეფასებაა-ალერგიით შეპყრობილი ბავშვისა და მისი ოჯახის წევრთა განათლება მიმდინარეობდა ინსტიტუტთან არსებულ ასთმა-სკოლაში. მომზადებულია შესაბამისი სალექციო კურსი (ხელმძღვანელი პროფ. ლ. ჟორჯოლიანი).

გრძელდებოდა მუშაობა თემაზე, სასუნთქი სისტემის არასპეციფიკური მწვავე დაავადებების დროს (პნევმონია, ბრონქიტები) რაციონალური ანტიბაქტერიული თერაპია გამომწვევითა სპექტრის გათვალისწინებით. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით მუშავდება ძირითად გამომწვევთა რეზისტენტობა, გამოკვეთილია, სამწუხაროდ, წლების მიხედვით მატების ტენდენცია, კვლევა გრძელდება.

მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა რაციონალური ანტიბიოტიკოთერაპიის საერთაშორისო კავშირთან (APUA), რომელიც განთავსებულია ბოსტონში. კათედრის ორი თანამშრომელი არის ამ ორგანიზაციის რეგიონალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. მიმდინარეობს აქტიური საგანმანათლებლო მუშაობა ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენების შესახებ, ვინაიდან დადგენილია რომ რეზისტენტობის შემცირებისათვის ამ პრობლემას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ერთ-ერთი თემაა - იმუნოლოგიურ მაჩვენებელთა კვლევა სასუნთქი სისტემის არასპეციფიკური დაავადებების დროს. გარდამავალია, მიმდინარეობს მუშაობა.

შესწავლილ იქნა იმუნოლოგიური მაჩვენებლები მწვავე ბრონქიტით დაავადებულ ბავშვებში, არ შეიმჩნევა ნორმიდან გადახრა. კვლევა გაგრძელდება ქრონიკული პათოლოგიის მქონე პაციენტებზე.

გამოქვეყნებულია რამდენიმე ნაშრომი ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე.

სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის კათედრის (გამგე - პროფ. ვლ. მარგველაშვილი) თანამშრომლების მიერ დაცული იქნა ერთი სადოქტორო და ორი საკანდიდატო დისერტაცია. დოც. ს.მღებრიშვილის სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტი იყო კათედრის გამგე, პროფ. ვლ.მარგველაშვილი.

კათედრის წევრების მიერ აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებული იყო 11 სამეცნიერო სტატია სეს-ის მიერ აკრედიტებულ ჟურნალებში. 2002 წელს პროფ. ა.ბრეგადის ავტორობით გამოიცა სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის ორთოპედიულ სტომატოლოგიაში.

კათედრის წევრები (ელ.მარგველაშვილი, მ.კალანდაძე) მონაწილეობდნენ სტომატოლოგთა მსოფლიო ასოციაციის კონგრესებში – 2002 წლის ოქტომბერი (ვენა) და 2003 წლის სექტემბერი (სიდნეი). ასევე კონგრესზე სიტყვით გამოვიდა პროფ. ელ.მარგველაშვილი, რომელიც ამავე დროს არის სტომატოლოგთა მსოფლიო პარლამენტის წევრი.

პროფ. ელ.მარგველაშვილი ამ პერიოდში იყო ერთი სადოქტორო და ოთხი საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი. ასევე მის მიერ რეცენზირებული იქნა რვა სამეცნიერო სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა სეს-ის მიერ აკრედიტებულ ჟურნალებში.

პროფ. ელ.მარგველაშვილის ავტორობით შეიქმნა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია USG საბჭოს მიერ და დღესაც წარმატებით მუშაობს (პროგრამის თანაავტორი მედ. მეც. დოქტ. ს.მღებრიშვილი).

კათედრის გამგის, პროფ. ელ.მარგველაშვილის, დოც. მ.შანიძის, დოც. ზ.ჩიჩუას და მ.კალანდაძის ავტორობით შეიქმნა პროგრამები სტუდენტებისათვის ორთოპედიულ, თერაპიულ და ქირურგიულ სტომატოლოგიაში.

ქირურგიის კათედრაზე (გამგე პროფ. ბ.მოსიძე) სამეცნიერო მუშაობას ეწევა 37 თანამშრომელი, მათ შორის 5 პროფესორი, 1 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 3 დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა 17 კანდიდატი. კათედრაზე საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობს 1 დოქტორანტი – ედაუშვილი (კონსულტანტი – კათედრის გამგე, პროფესორი ბ.მოსიძე) 5 ასპირანტი და 4 რეზიდენტი. კათედრის სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა მათი მუშაობის ანგარიშები.

დამთავრებული და პუბლიკაციისათვის ჩაბარებულია სახელმძღვანელო ამბულატორიულ ქირურგიაში.

კათედრის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა ქირურგთა გასვლითი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მინიინვაზიურ ქირურგიაში პუმანიტარული ოპერაციების ჩატარებით (აზერბაიჯანი).

საანგარიში პერიოდში კათედრაზე მიმდინარეობდა მუშაობა სამეცნიერო თემატიკის მიხედვით: არასტანდარტული სიტუაციები

ქირურგიაში; თემის გარშემო და კიდევ სხვა მიმართულებით კათედრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 26 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 სტატია საზღვარგარეთის (European Surgical Research, აზერბაიჯანი, რუსეთი) სამედიცინო ჟურნალებში, 8 სტატია – ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, 10 ნაშრომი თეზისების სახით გამოქვეყნებულია სხვადასხვა კონფერენციების მასალებსა და ნაშრომთა კრებულში. გარდა ამისა, კათედრის თანამშრომელთა მონაწილეობით ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულია მეთოდური რეკომენდაციები – ქირურგიულ სტაციონარში ინფექციის კონტროლის საკითხები.

კათედრის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით ორგანიზებულია ამიერკავკასიის ქირურგთა საერთაშორისო ყრილობა, რომელიც გაიმართება თბილისში აწ ნოემბერში. კათედრის თანამშრომლებმა თავისი წვლილი შეიტანეს ათეროსკლეროზის I საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზაციაში, რომელიც აწ 9-10 ოქტომბერს გაიმართება თბილისში. მომზადებული და გამოსაცემად ჩაბარებულია 7 სამეცნიერო ნაშრომი. მომავალი წლისათვის დაგეგმილია გაგრძელდეს მუშაობა ძირითადად სამეცნიერო თემატიკაზე. იგეგმება ვირტუალური სასწავლო პროგრამის შემუშავება.

ნორმალური ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზე (გამგე დოც. ნ.ხოდელი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოიცავდა გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოთა და სისტემების ზოგიერთი პათოლოგიის ტოპოგრაფიულანატომიური საფუძვლების, მათი ქირურგიული მკურნალობის ხერხებისა და შედეგების შესწავლას, კათედრაზე დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები ადამიანის თავის ქალის რბილი ქსოვილების ტოპოგრაფიული თავისებურებების შესასწავლად.

კათედრაზე მიმდინარეობს მუშაობა – მუცლის ღრუს ქირურგიის, ორგანოებისა და სისტემების პროთეზირების საკითხებზე.

კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია ნაშრომები:
1. ნ.ხოდელი, ჯ.ფარცახაშვილი, ადამიანის შუბლ-თხემ-კეფის მიდამოს შემაერთებელი ქსოვილოვანი შრეები და მათი კლინიკური მნიშვნელობა, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, თბილისი, 2003, №11-12, გვ. 99-100.

კათედრაზე გრძელდება მუშაობა მეორე ტომის – „ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (თავი და კისერი)“ სახელმძღვანელოზე.

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი

ჩვენი დღევანდელი საზოგადოება ღირებულებათა ორმაგი გადაფასების ეპოქაში ცხოვრობს. მისთვის დამახასიათებელია ტოტალიტარისტული ცნობიერების ლიბერალურ-დემოკრატიულ ცნობიერებად გარდაქმნა და პარტიკულარისტულ მსოფლიოში გლობალისტური ტენდენციების გაძლიერება. ეს პროცესები განსაზღვრავენ ფილოსოფიური და სოციოლოგიური კვლევის ძირითად შინაარსს. ასეთად ბოლო წლებში უცვლელად რჩება ადამიანის ყოფიერებასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობრივი და სოციალური პრობლემების ისეთი ახლებური ფორმულირება და მათი გადაჭრის გზების ძიება, რაშიც აისახება საზოგადოებისა და პიროვნების, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულების საკითხების აქტუალიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, პოლიტიკური ცხოვრების სიმწვავე, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და განსაკუთრებით ზნეობრივი ცნობიერების რადიკალური ცვლა.

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. კერძოდ, მიმდინარეობდა თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიურ-მორალური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური პრობლემატიკის კვლევა. ამასთან, ყველგან არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული სოციოლოგიურ ასპექტებს; სოციალური ფილოსოფიისა და საერთოდ სოციალურ მეცნიერებათა როლის ზრდას თანამედროვე ეპოქაში.

სოციალურ მეცნიერებათა პრობლემატიკის დამუშავებასთან ერთად, ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა კვლავაც გრძელდებოდა ფილოსოფიის ისტორიული თემატიკის, რელიგიის ისტორიის საკითხების, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების, ქართული კულტურის თეორიისა და ისტორიის, ლოგიკის მეცნიერებისა და საერთოდ მეცნიერების ფილოსოფიის სფეროებში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ფაკულტეტზე 2003 წელს გაწეული სასწავლო-მეთოდური მუშაობა, რომელიც მოიცავს სტუდენტებისათვის (როგორც ბაკალავრების, ისე მაგისტრანტებისათვის) სასწავლო პროგრამების, სპეცკურსების, დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებასა და გამოცემას.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა 2003 წელს ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ არაერთ სა-

მეცნიერო სტატიასა თუ მონოგრაფიაში (2003 წლის სამეცნიერო პუბლიკაციების სია იხ. ბოლოში).

ამჟამად ფაკულტეტზე მუშაობს შვიდი კათედრა და ოთხი სამეცნიერო ცენტრი. ყველგან შესრულდა სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებული წლიური შრომები და მოხდა მათი რეცენზირება-დამტკიცება დადგენილ ვადებში.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების ფილოსოფიის კათედრაზე (გამგე პროფ. ნ. კვარაცხელია) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებას ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის სხვადასხვა ასპექტების დამუშავება წარმოადგენდა. კერძოდ, ადამიანისა და ბუნების, ადამიანისა და საერთოდ ყოფიერების ურთიერთმიმართების პრობლემები თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში, ცოდნისა და რწმენის, როგორც ადამიანური უნარების, ურთიერთდამოკიდებულების საკითხი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლის პერიოდში, ადამიანის პრობლემის ქრისტიანული გადაწყვეტის თავისებურებანი და სხვა. გამოქვეყნებული შრომებიც სწორედ ასეთ საკითხებს შეეხება.

1) ნ. კვარაცხელია, სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა („ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003). შრომაში გაანალიზებულია სიკვდილ-სიცოცხლის ბიოლოგიური პრობლემის განსხვავება საკითხის ფილოსოფიური კუთხით განხილვისაგან. ნაჩვენებია სიკვდილის ფენომენის ფილოსოფიურ-ექსისტენციალისტური გააზრების თავისებურებანი. ადამიანის ზნეობრივ არსებად ყოფნა გაგებულია როგორც სიკვდილ-სიცოცხლის ბიოლოგიური სფეროს გარეთ, გონით სამყაროში გასვლა.

2) რ. ჩანტლაძე, ყოფიერების საზრისი (თსუ, 2003 წ. მონოგრაფია). ნაშრომში ვრცლად არის განხილული ყოფიერების საზრისის პრობლემა. ვრცელი ისტორიული ექსკურსების მოშველიებით, ნაცადია ადამიანური ყოფიერების საზრისის შესახებ საკითხის დასმისა და მისი გადაწყვეტის შესაძლებლობების გარკვევა.

3) ვ. რამიშვილი, ქრისტეს პარადიგმა ჰაიდეგერის ონტოლოგიაში („რელიგია“, №4-6, 2003). შრომა ეხება ქრისტიანული პრინციპების მიმართების გარკვევას მ. ჰაიდეგერის ფუნდამენტური ონტოლოგიის ძირითად პრინციპებთან.

ჰუმანიტარული ფაკულტეტების ფილოსოფიის კათედრის (გამგე პროფ. ბ. ლუტიძე) სამეცნიერო-კვლევითი გეგმით ძირითადად გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა სასწავლო დისციპლინებისა და სპეც-

კურსების მომზადება. კათედრამ განსაზღვრა სახელმძღვანელო დანიშნულების სასწავლო კურსების მომზადების მოთხოვნები: სალექციო თემებთან დაკავშირებული პრობლემების ახლებური, შემოქმედებითი გააზრება, კვლევით ნაშრომებში დასაველეთის მოწინავე ფილოსოფოსებისა და სოციოლოგების მეცნიერული მონაპოვრების ასახვა, თეორიული კვლევა-ძიების დაკავშირება თანამედროვე საქართველოს სინამდვილესთან და სხვა.

კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ზემოაღნიშნული ძირითადი მიმართულება კარგად აისახა კათედრის წევრთა მიერ გამოქვეყნებულ დამხმარე სახელმძღვანელოებში: 1) ბ. ლუტიძე, გლობალიზაცია: არსი, პრობლემები (დამხმ. სახელმძღვანელო, თსუ, 2003). 2) გ. ასათიანი, დასაველური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია (დამხმ. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თსუ, 2003). 3) ზ. ხასაია, ფილოსოფიის ძირითადი ცნებები და პრობლემები (დამხმ. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თბილისი, 2003).

გარდა ამ სახელმძღვანელო ხასიათის ნაშრომებისა, კათედრის კვლევითი მუშაობა ასახულია სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში: 1) ბ. ლუტიძე, ფრ. ენგელსის კომენტარის კომენტარი („ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003); 2) გ. ასათიანი, გ. ბარამიძე, პოლიტიკური ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის („ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003); 3) ზ. ხასაია, ადამიანი და იძულება („ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003) და სხვა.

ფილოსოფიის ისტორიის კათედრის (გამგე აკად. გ. თევზაძე) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საერთო გეგმის შესაბამისად მომზადდა შეიდი ნარკვევი. ეს ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიის სხვადასხვა პრობლემას ეძღვნება და გამიზნულია ამ საგანში ზოგადი კურსის შესაქმნელად, რომელიც შეავსებს ფილოსოფიის ისტორიაში ქართულ ენაზე არსებულ სახელმძღვანელოთა ხარვეზებს.

კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია მონოგრაფიებისა და სტატიების სახით. მათგან აღსანიშნავია: 1) მ. მახარაძე, რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო (თბილისი, 2003, მონოგრაფია); 2) გ. თევზაძე, იდეოლოგია და კომენტარი შუა საუკუნეების საქართველოში (ქ. ბოხუმი, 2003, გერმანულ ენაზე); 3) ვ. მახნიაშვილი, სტრუქტურული ტრავმა („ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003, ინგლისურ ენაზე); 4) თ. ცხადაძე, მეცნიერული რაციონალიზმის პოპერისეული კონცეფციები („მაცნე“, 2003, №1-2) და სხვა.

აღნიშნული შრომები შეეხება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს და ურთიერთგანსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებებს. მათი მიზანია ხელი შეუწყოს ფილოსოფიის ისტორიის მთლიანი კურსის სრულყოფას და შექმნის დაგეგარად შეავსოს ნაკლებად დამუშავებული მონაკვეთები ფილოსოფიის ისტორიიდან.

ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრაზე (გამგე პროფ. თ. ფანჯიკიძე) და მასთან არსებულ რელიგიის კვლევის ცენტრში (ხელმძღვ. პროფ. თ. ფანჯიკიძე) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო რელიგიური პროცესების მიმდინარეობის გაშუქება დღევანდელ საქართველოში, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე მომხდარი ცვლილებები რელიგიურ ცხოვრებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რელიგიისადმი ადამიანების თავისუფალი დამოკიდებულების პრობლემა, სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობისა და თანაბარუფლებიანობის საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების დარეგულირების პრობლემა, ზნეობრივი იდეალებისა და ღირებულებების გადაფასების პროცესები ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე.

კათედრის წევრთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები ამ საკითხებისადმი მიძღვნილი: 1) თ. ფანჯიკიძე, რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე (თბილისი, 2003). ნაშრომში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა რელიგიური ცხოვრება საქართველოში, ეროვნულისა და რელიგიურის ურთიერთმიმართება, რელიგიური ფაქტორის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ქართველთა ტოლერანტული ბუნება, თანამედროვე საზოგადოებისა და მართლმადიდებელი სამღვდლოების ურთიერთობა. რელიგიური უმცირესობების ბედი საქართველოში და სხვა. 2) ბ. გელაშვილი, ადამიანის უფლებები და რელიგია (თბილისი, 2003 წ. თანაავტორობით). შრომაში განმარტებულია რელიგიის თავისუფლების არსი. აღნიშნულია, რომ რელიგიის თავისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს იქ, სადაც დასაშვებად არის მიჩნეული სხვადასხვა რელიგიათა თანაარსებობა. გატარებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რელიგიური და პოლიტიკური უფლებები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. 3) ზ. ფირალიშვილი, იოჰან გოტლიბ ფიხტეს ფაუსტური ანთროპოლოგია (თბილისი, 2003, მონოგრაფია). შრო-

მაში განხილულია ფიზიკის ეთიკური კონცეფცია და თანამედროვეობის მორალური პრინციპები.

ლოგიკის კათედრის (გამგე დოც. ლ. მჭედლიშვილი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შესაბამისად შესრულდა წლიური შრომები, რომლებიც ეძღვნება ლოგიკის, ლოგიკის ისტორიისა და ლოგიკის ფილოსოფიის პრობლემებს.

აღნიშნული საკითხების ირგვლივ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები ასახულია კათედრის წევრთა მიერ 2003 წელს გამოქვეყნებულ სხვადასხვა შრომებში: 1) *Л. Мчедлишвили. Об интерпретации одного утверждения из „Первой аналитики“ Аристотеля. – К истокам против течения, Тбилиси, 2003, გვ. 198-204.* ნაშრომში მტკიცდება, რომ ფრაზა 30 ბ 2-4 გულისხმობს არისტოტელეს მიერ უმართებულოდ მიჩნეული პირველი ფიგურის შერეული აპოდიქტიკური კერძობითი მოდუსების დარღვევის შესაძლებლობას ანალოგიური ზოგადი მოდუსების დასარღვევად გამოყენებული მეთოდით. ნაჩვენებია ამ მეთოდის ლოგიკური არაკორექტულობა. 2) *М. Бежанишвили. О семантике частных описаний возможных миров. – К истокам против течения. Тбилиси, 2003, გვ. 210-216.* ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს ცოდნისა და რწმენის მოდალობების სტანდარტულ რელატიურ სემანტიკაში გაგების სიძნელები ავტორის მიერ შემოთავაზებულ სამყაროთა აღწერების კონცეფციის საფუძველზე. 3) *ნ. თომაშვილი, კარლ პოპერი კრიტიკის მეთოდის შესახებ („მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №1-2, 2003).* შრომაში გადმოცემულია კ. პოპერის შეხედულებები მეცნიერული ცოდნის მოპოვების მეთოდების შესახებ. ყურადღება გამახვილებულია კრიტიკის, როგორც მეცნიერული მეთოდის, პოპერისეულ კონცეფციაზე.

ესთეტიკის კათედრის (გამგე დოც. ა. ყულიჯანიშვილი) და მასთან არსებული კულტურის ფილოსოფიური კვლევის ლაბორატორიის (ხელმძღვ. პროფ. ჯ. კორძაია) სამეცნიერო მუშაობა რამდენიმე მიმართულებით განისაზღვრა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებებიდან აღსანიშნავია: კულტურა და მსოფლიო გლობალიზაციის პრობლემები, კულტურა და მასმედია; ქართული ესთეტიკის ისტორია. ამ მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად გამოქვეყნებულ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო შრომები 2003 წლის საანგარიშო პერიოდში: 1) *ა. ყულიჯანიშვილი, გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური კულტურები (ჟურნ.*

„ეპოქა“, №1, 2003). შრომა შეეხება პრობლემას, რომელიც დგება ნაციონალური კულტურების წინაშე გლობალიზაციის ეპოქაში. რამდენად არის შესაძლებელი კულტურის ეროვნული სახის შენარჩუნება გლობალიზაციის ეპოქაში? რა გზები არსებობს სხვადასხვა კულტურების თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, მაშინ როდესაც მსოფლიო ინტეგრაციის პროცესები სხვადასხვა სტრატეგიულ სფეროებში სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს? ავტორი ცდილობს პასუხები გასცეს მსგავს კითხვებს. 2) ჯ. კორძაია, კულტურის სუბსტანციისათვის (თბილისი, 2003, ბროშურა). ავტორი ცდილობს განსაზღვროს კულტურა და გარკვეოს კულტურის ცნების მთავარი ნიშანი, რომელიც ასახავს იმ უმთავრეს სფეროს ადამიანისა და საზოგადოების საქმიანობაში, რასაც კულტურა ეფუძნება. 3) ლ. იაკობიშვილი, დემოკრატიიდან ტელეკრატიამდე (ყურნ. „ახალი პარადიგმები“, №6, 2003). ავტორი განიხილავს ტელევიზიას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტიურს და ქმედითუნარიანს ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს შორის, და ცდილობს კრიტიკულად შეაფასოს მისი როლი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, იქნება ეს პოლიტიკური სფერო, სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა. 4) ლ. წურწუშია, ნიკო ნიკოლაძე და რუსული კლასიკური ესთეტიკა (ნ. ნიკოლაძე – 160, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2003). ნაშრომში გადმოცემულია ნ. ნიკოლაძის ესთეტიკური შეხედულებები და მისი დამოკიდებულება რუსული ესთეტიკის კლასიკოსებისადმი.

სოციოლოგიის კათედრაზე (გამგე სოციოლოგიის მეცნ. დოქტ. ი. კაჭკაჭიშვილი) მუშავებოდა თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების (მათ შორის ქართულის) სხვადასხვა აქტუალური პრობლემები. კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შეეხებოდა ისეთი საკითხების გაშუქებას, როგორიცაა: ღია საზოგადოება და ბიუროკრატია, ინფორმაციული საზოგადოება და ძალაუფლება, გაუცხოების პრობლემა თანამედროვე საზოგადოებაში, კულტურის სოციოლოგია, შემეცნების სოციოლოგია, გენდერული პრობლემებისა და მენტალობის სოციოლოგიური გამოკვლევის აქტუალურობა საქართველოში და სხვა.

აღნიშნულ საკითხთა დამუშავების საფუძველზე კათედრის წევრებმა 2003 წელს გამოაქვეყნეს არაერთი საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევა: 1) ა. ბერძენიშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ძალაუფლება („მაცნე“, ფილოსოფიის სერია, 2003, №1-2). შრომაში გაანალიზებულია ინფორმაციული საზოგადოე-

ბის არსებითი ნიშნები; ყურადღება გამახვილებულია ინფორმაციის, როგორც ძალაუფლების წყაროს მნიშვნელობაზე. 2) ვ. გოროზია, გაუცხოების ფენომენი ფრიდრიხ ნიცშეს მოძღვრებაში („ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003). ნაშრომი ეხება გაუცხოების ფენომენის გამოვლენის სხვადასხვა ფორმებისა და ასპექტების გარკვევას. 3) ლ. მეზერიშვილი, ეკონომიკური სოციოლოგია (თბ., 2003, დამხმ. სახელმძღვანელო სოციოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებისათვის). წიგნში გაანალიზებულია სოციალური ინსტიტუტების ფართო ქსელის ზეგავლენა ეკონომიკურ ინსტიტუტებზე. 4) ლ. სურმანიძე, ქართული მენტალობის ექსპერიმენტული კვლევა (სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2003). შრომაში ნაჩვენებია, რომ ექსპერიმენტული მეთოდებით შესაძლებელია ქართული კულტურის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა. ეს მეთოდები იძლევა საშუალებას კულტურის „შიგნიდან“ შესწავლისა, მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კონცეპტებზე დაყრდნობით.

ფაკულტეტთან არსებულმა ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელმა სამეცნიერო-კვლევითმა ჯგუფმა (ხელმძღვ. ფილოს. მეცნ. კანდიდატი დ. ჯალაღონია) შეასრულა სამეცნიერო-კვლევითი თემა: „პროგრესირების საზღვრები და თავისუფლების პროგრესის ცნება“. კვლევის შედეგები ძირითადად ასახულია გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში: 1) დ. ჯალაღონია, ფილოსოფიის მომავალი და მისი რწმენითი დაფუძნების მცდელობა (ეურნალი „რელიგია“, 2003, № 4-6). ადამიანის არსების დეფინიციები და ქრისტიანობა (ეურნ. „რელიგია“, 2003, №11-12). ნაშრომებში საუბარია იმაზე, თუ როგორ დაუპირისპირდა ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნა რელიგიურს. ადამიანის არსის გარკვევა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ეს დეფინიციები ვერ ამოწურავს ადამიანურ არსებას, თუ არ წარმოვაჩინთ ადამიანს როგორც „ღვთის ხატს“ და მსგავსს, როგორც მორწმუნე არსებას. ყველა სხვა შემთხვევაში ის ცალმხრივად იქნება განხილული. 2) ირ. ბრაჭული, ზეკაცის მსოფლმხედველობა (რეფერატი რუსულ და ინგლისურ ენებზე, კავკასიის რეფერატიული ეურნალი, №1, 2003). შრომაში განხილულია ადამიანის არსების პროგრესის იდეა და მისი კრიტიკა ჯერ რუსოს, ხოლო შემდეგ ნიცშეს მიერ. გაანალიზებულია ე. წ. პოსტტექნიციისტური ეპოქის ნიშნები და „პოსტადამიანი“, როგორც პერმენევტიკული ანთროპოლოგიის ძირითადი ცნებები. 3) ა. ზაქარიაძე, ბიოეთიკა (სასწავლო-მეთოდური პროგრამა, თსუ,

2003). ბიოეთიკის ეს პროგრამა საშუალებას იძლევა, რომ მომავალი სპეციალისტი უფრო ზუსტად გაერკვეს თანამედროვე ბიომედიცინისა და ჯანდაცვის სისტემაში არსებული ბიოეთიკური პრობლემების არსში.

კონფერენციები: (საიუბილეო სესიები)

2003 წელს ფაკულტეტის ძალებით და მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები და საიუბილეო სესიები. მათ შორის აღსანიშნავია: 1) საერთაშორისო სიმპოზიუმში სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. სიმპოზიუმში გაიმართა თბილისში და 4-დან 7 სექტემბრამდე გრძელდებოდა. მისი თემატიკა მრავალ სფეროს მოიცავდა – რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების ტრადიციები; ადამიანის ფენომენი და ნაციონალური კულტურა; ადამიანი, საზოგადოება და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია; ლოგიკა და მეცნიერების ფილოსოფია და ა. შ. 2) ფილოსოფოსის დღისადმი მიძღვნილი მეხუთე გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია (12 დეკემბერი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტთან ერთად. კონფერენციაზე ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ წაკითხულ იქნა საინტერესო მოხსენებები: ლ. მჭედლიშვილი – „ტერნარული სილოგისტიკა“; ა. ბერძენიშვილი – „ღია საზოგადოება და ბიუროკრატია“; ლ. ანტონოვა – „ანთროპოზომადობის ღირებულებითი პრინციპი“, და სხვა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აგრეთვე საიუბილეო სამეცნიერო სესიები მიძღვნილი პროფ. ა. ბეგიაშვილის ხსოვნისადმი (25 მარტი); პროფ. ნ. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი (5 მაისი), აკად. გ. ჯიბლაძის ხსოვნისადმი (10 მაისი). 21 ოქტომბერს ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერთა მესამე გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია ფილოსოფიის ინსტიტუტთან ერთად.

2003 წლის 14-19 აპრილს ფაკულტეტზე მოეწყო სტუდენტთა 63-ე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა წარმატებით. ჩვენი ფაკულტეტის ორმა სტუდენტმა: ფლორა ვსებუამ და თამარ გეგეშიძემ, შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს სტუდენტთა ამ კონფერენციის რესპუბლიკურ ტურში.

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. პროფ. ბ. ლუტიძემ ბიზნესის აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „გლობალიზაციის არსებითი მახასიათებლები“. აკად. გ. თევზაძემ მონაწილეობა მიიღო ქართულ-გერმანულ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა ისრაელში (ქ. ხილონი). მისი მოხსენების თემა იყო „ებრაული ფილოსოფია საქართველოში“. პროფ. თ. ფანჯიკიძე იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში – „ღია და დახურული საზოგადოება, გლობალიზმი და ტრადიციონალიზმი“. დოც. ა. ყულიჯანიშვილმა მოხსენება გააკეთა ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე (სანკტ-პეტერბურგი – თბილისი, 4-7 სექტემბერი); მოხსენების თემა იყო – „ადამიანი და კულტურა“. დოც. დ. ჯაღალღონია და პროფ. ი. ბრაჭული მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში (თბილისი, 16 დეკემბერი). მათი მოხსენებების თემები იყო, შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობა, პრობლემები, პერსპექტივები“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკვალიფიკაციო მინიმუმის შესახებ“. პროფ. ა. ზაქარიაძე მონაწილეობდა მოსკოვის უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ბიოსამედიცინო ეთიკის პრობლემებს შეეხებოდა. მისი მოხსენების თემა იყო – „ბიოეთიკის თანამედროვე პრობლემები“. დოც. ლ. იაკობიშვილი მონაწილეობდა ვენის საერთაშორისო კონფერენციაში – „გლობალიზაცია და ლოკალიზაცია“. მისი მოხსენების თემა იყო: „დემოკრატიიდან ტელეკრატიამდე“ (მოხსენების ტექსტი გავრცელებულია ინტერნეტის მეშვეობით).

უცხოეთთან ურთიერთობები

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტზე ლექციები წაიკითხეს უცხოელმა სპეციალისტებმა. მათ შორის: პროფ. ტილმან ალერტმა (ფრანკფურტი, გერმანია) აპრილში წაიკითხა ლექცია თემაზე – „კაუკასიის ქვეყნების სტრუქტურული პრობლემები და სოციალურ მეცნიერებათა ანალიტიკური პოტენციალი“. რებეკა კატცის (აშშ) მიერ წაკითხულ იქნა სალექციო კურსი (სექტემბერ-ოქტომბერში) სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისთვის. სალექციო კურსი ორ თემას ეძღვნებოდა: 1) „კვლევის მეთოდები სოციოლო-

გიაში“; 2) „კრიმინოლოგია“. პროფ. მანფრედ პეტერსმა (ბრიუსელი, ბელგია) ოქტომბერში ფაკულტეტზე გააკეთა მოხსენება თემაზე – „სოციალური კონფლიქტების პოზიტიური მართვა“.

2003 წლის 1 სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე სოციოლოგიის კათედრის გამგე, სოც. მეცნ. დოქტ. ი. კაჭკაჭიშვილი იმყოფებოდა ნიუჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ) საფაკულტეტო განვითარების პროგრამის ფარგლებში. ფილოსოფიის ისტორიის კათედრის მასწავლებელი თ. ცხადაძე მიწვეული იყო სტაჟირებაზე აპალაჩის უნივერსიტეტში (აშშ, იანვარი-მაისი). მანვე მონაწილეობა მიიღო ბუდაპეშტის (უნგრეთი) საზაფხულო სკოლაში (იელისი). პროფ. ზ. ფირალიშვილი 20 ივნისიდან 4 აგვისტომდე იმყოფებოდა ფულბრაიტის საზაფხულო სკოლაში (სანტა ბარბარას უნივერსიტეტი, აშშ).

პროფ. ლ. ალექსიძეს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები აქვს თავის ფრანგ და გერმანელ კოლეგებთან. ისტორიული და სოციალური კვლევების ინსტიტუტმა (პარიზი) მიმდინარე წელს 200 დასახელების ლიტერატურა გადასცა საჩუქრად ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელ ჯგუფს. ამავე ჯგუფმა ა. ფ. ჰუმბოლდტის ფონდიდან სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, საჩუქრად კომპიუტერიც მიიღო. პროფ. ა. ზაქარიაძეს მუდმივი კონტაქტები აქვს საზღვარგარეთელ მეცნიერებთან. მიიღო მიწვევა ლექციების წასაკითხად მოსკოვის მართლმადიდებლურ უნივერსიტეტიდან და მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოეთიკის კათედრიდან.

დისერტაციები:

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები პუბლიკაციების გარდა, აისახა ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ 2003 წელს დაცულ არაერთ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაში. საანგარიშო პერიოდში საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს: გ. ლაკეხელიანმა (რელიგიათმცოდნეობის კათედრა), ე. ელიზბარაშვილმა (ფილოსოფიის ისტორიის კათედრა), ვ. მახნიაშვილმა (ფილოსოფიის ისტორიის კათედრა), ე. ჯგერენაიამ (სოციოლოგიის კათედრა), ი. ბულალაურმა (ჰუმანიტარული ფაკულტეტების ფილოსოფიის კათედრა); სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს: მ. ბეჟანიშვილმა (ლოგიკის კათედრა), დ. ანდრიაძემ (ესთეტიკის კათედრა). ჰუმანიტარული ფაკულტეტების ფილოსოფიის კათედრის

დოცენტს ლ. ანტონოვას მომზადებული აქვს სადოქტორო დისერტაცია. ამავე კათედრის ასპირანტურადამთავრებულის, ე. ნაცვლიშვილის საკანდიდატო დისერტაციის დაცვა დანიშნულია 2004 წლის 23 იანვრისთვის.

წიგნების განხილვა:

ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად იქცა გამოქვეყნებული ნაშრომების საჯარო განხილვები. 2003 წელს ფაკულტეტმა მოაწყო სხვადასხვა ფილოსოფიური შრომების განხილვა. მათგან აღსანიშნავია: მ. ჭელიძისა და რ. გორდუზიანის ერთობლივი ნაშრომი – „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია (ინდოეთი, ჩინეთი)“. თსუ, 2001, მონოგრაფია; გ. თევზაძის შრომა – „XX საუკუნის ფილოსოფია“ (დამხმ. სახელმძღვ. სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის). თსუ, 2002. თ. ფანჯიკიძის – „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე“. თბ., 2003.

პუბლიკაციები:

საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტზე ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მეთოდური მუშაობის ძირითადი შედეგების ასახვა მოხდა სხვადასხვა სახის პუბლიკაციებში (დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ცალკეული სამეცნიერო სტატიები):

1. ნ. კვარაცხელია, სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა. „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003.
2. მ. ბიჭაშვილი, კონსტრუქციები შელინგის მითოლოგიის ფილოსოფიაში. ჟურნ. „ახალი პარადიგმები“, №6, 2003.
3. რ. ჩანტლაძე, ყოფიერების საზრისი. თსუ 2003 (მონოგრაფია).
4. ე. რამიშვილი, ქრისტეს პარადიგმა ჰაიდეგერის ონტოლოგიაში. ჟურნალი „რელიგია“ №4-6, 2003.
5. В. Нибладзе, Мировоззренческие проблемы человеческого бытия. Бытие и человек. Кавказский реферативный журнал. Тбилиси, 2003, №2.
6. ბ. ლუტიძე, ფრ. ენგელსის კომენტარის კომენტარი. „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003.

7. ბ. ლუტიძე, გლობალიზაცია: არსი, პრობლემები. თსუ, 2003 (დამხმ. სახელმძღვანელო).
8. გ. ასათიანი, დასავლური პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრებების ისტორია. თსუ, 2003 (დამხმ. სახელმძღვანელო).
9. გ. ასათიანი, გ. ბარამიძე, პოლიტიკური ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის. „ფილოსოფ. ძიებანი“, ტ.VII, 2003.
10. ზ. ხასაია, ფილოსოფიის ძირითადი ცნებები და პრობლემები. თბილისი, 2003 (დამხმ. სახელმძღვანელო).
11. ზ. ხასაია, ადამიანი და იძულება. „ფილოსოფ. ძიებანი“, ტ.VII, 2003.
12. დ. ბეჭვაია, კანტი და აქსიოლოგია. „მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №1-2 2003.
13. გ. თევზაძე, იდეოლოგია და კომენტარი შუა საუკუნეების საქართველოში. ქ. ბოხუმი, 2003 (გერმანულ ენაზე).
14. მ. მახარაძე, რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო. თბ., 2003 (მონოგრაფია).
15. ე. მახნიაშვილი, პიროვნების იგივეობა. ჟურნ. „რელიგია“, №10-12, 2003.
16. თ. ცხადაძე, მეცნიერული რაციონალიზმის პოპერისეული კონცეფციები. „მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №1-2, 2003.
17. თ. ფანჯიკიძე, რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე. თბ., 2003 (მონოგრაფია).
18. ბ. გელაშვილი, ადამიანის უფლებები და რელიგია. თბ., 2003 (მონოგრაფია, თანაავტორობით).
19. ზ. ფირალიშვილი, ი. გ. ფიხტეს ფაუსტური ანთროპოლოგია. თბ., 2003 (მონოგრაფია).
20. ც. თარგამაძე, შოპენჰაუერი და მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი. ჟურნ. „რელიგია“, №4, 2003.
21. რ. წიქვაძე, ისლამი თანამედროვე მსოფლიოში. ჟურნ. „რელიგია“, №7-9, 2003.
22. რელიგიათმცოდნეობა (სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატისათვის), თსუ, 2003.
23. Л. Мчедlishvili, Об интерпретации одного утверждения из „Первой аналитики“ Аристотеля. К истокам против течения. Тбилиси, 2003, стр. 198-204.
24. М. Бежанишвили, О семантике частных описаний возможных миров. К истокам против течения. Тбилиси, 2003, стр. 210-216.

25. მ. ბეჟანიშვილი, ლოგიკის ენის სემანტიკური კატეგორიები. „მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №1-2, 2003.
26. ნ. თომაშვილი, კ. პოპერი კრიტიკის მეთოდის შესახებ. „მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №1-2, 2003.
27. აკ. ყულიჯანიშვილი, გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური კულტურები. ჟურნ. „ეპოქა“, №1, 2003.
28. ჯ. კორძაია, კულტურის სუბსტანციისათვის. თბ., 2003 (ბროშურა).
29. ლ. წურწუშია, ნ. ნიკოლაძე და რუსული კლასიკური ესთეტიკა. საიუბილეო კრებული – „ნ. ნიკოლაძე-160“. თბ., 2003.
30. ლ. იაკობიშვილი, დემოკრატიიდან ტელეკრატიამდე. ჟურნალი „ახალი პარადიგმები“, №6, 2003.
31. მ. ქუმსიშვილი, რა დაუშავა კულტურამ ფროიდს. თბ., 2003 (ბროშურა).
32. დ. ანდრიაძე, დრო და ანთროპოლოგიური პარადოქსი. ჟურნ. „ახალი პარადიგმები“, №3, 2003.
33. დ. ანდრიაძე, ძალის რეპრეზენტაცია. ჟურნ. „კრიტიკურიუმი“, №8, 2003.
34. ი. კატკაჭიშვილი, ე. გიდენსის სტრუქტურაციის თეორია და ქართული სინამდვილის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. „ეპოქა“ №2, 2003.
35. I. Kachkachishvili, Giddens structuration theory and some peculiarities of Georgian Society. London, 2003.
36. ა. ბერძენიშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ძალაუფლება. „მაცნე“, ფილოსოფ. სერია, №1-2, 2003.
37. ლ. სურმანიძე, ქართული მენტალობის ექსპერიმენტული კვლევა. კრებულში: სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2003.
38. ე. გოროზია, გაუცხოების ფენომენი ფრ. ნიცშეს მოძღვრებაში. „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. VII, 2003.
39. Н. Дурглишви, Применение алкоголя населением Грузии. Москва, 2003.
40. ლ. მეზერიშვილი, ეკონომიკური სოციოლოგია. თბ., 2003 (დამხმარე სახელმძღვანელო მაგისტრანტებისათვის).
41. დ. ჯალაღონია, ფილოსოფიის მომავალი და მისი რწმენით დაფუძნების მცდელობა. ჟურნ. „რელიგია“, №4-6, 2003.
42. დ. ჯალაღონია, ადამიანის არსების დეფინიციები და ქრისტიანობა. ჟურნ. „რელიგია“, №10-12, 2003.

43. ი. ბრაჭული, The supermen`s World Outlook. Multidisciplinary Abstracts on the Caucasus, 1, 2003.

44. L. Alexidze, Die Namenstheorie im so genannten „Nachwort“ des Ioane Petrizi., in Kaukasische Sprachprobleme, hrsg. von W. Boeder. Oldenburg, bis 2003, 19-34.

45. ა. ზაქარიაძე, ბიოეთიკა – სასწავლო-მეთოდური პროგრამა. თსუ, 2003.

46. ა. ზაქარიაძე, ევთანაზია, თანამედროვეობის პრობლემა. ჟურნ. „რელიგია“, №4-6, 2003.

თარგმანები:

1. არისტოტელე, ნიკომახეს ეთიკა. თბ., 2003. (თარგმანი ძველი ბერძნულიდან თ. კუკავასი).

2. ი. პაბერმასი, დამატებები და შევსებები ქმედების კომუნიკატიური თეორიისათვის. თბ., 2003 (თარგმანი გერმანულიდან გ. ბარამიძისა).

ფსიქოლოგიის ფაკულტეტი

სოციალური ფსიქოლოგიის კათედრაზე კვლევის ძირითადი მიმართულებებია: სოციალური ქცევის დეტერმინანტების კვლევა, ატიტუდების და ღირებულებათა კვლევა, სოციალური გავლენების, ჯგუფების და ორგანიზაციების, გენდერული სპეციფიკა სოციალურ ცხოვრებაში (ჯანმრთელობა, განათლება,) ინტერპერსონალური ურთიერთობები, კონფლიქტის ფსიქოლოგიური მახასიათებლები, პოლიტიკური ფსიქოლოგია და საჯარო პოლიტიკა.

კათედრის გამგის, პროფესორ გ. მაღრაძის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებები მიმდინარე წელს იყო კონფლიქტის სტრუქტურული წყაროების კვლევა, სოციალური გავლენები და გენდერული განათლების მიმართულებები.

კონფლიქტის სტრუქტურული წყაროების კვლევა ეხება ურთიერთობას სოციალურ სისტემების ტიპსა და კონფლიქტს შორის. სოციალური სისტემის მართვის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას. სტრუქტურული ტიპების გავლენას კულტურაზე და იმაზე, თუ რა გზებით შეუძლია იერარქიულ სოციალურ სტრუქტურას კონფლიქტის წარმოქმნა. რა სახის სტრუქტურული პირობები არის საჭირო კონფლიქტის გადაჭრისთვის, რაც საფუძველს იძებს სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობისაგან; როგორი ტიპის კონფლიქტები ჩნდება თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიკაში და როგორ შეიძლება იქნეს კონფლიქტი კონცეპტუალური პოსტმოდერნულ სამყაროში. ჩვენი მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულება ამ მხრივ არის კვლევა იმისა, თუ როგორ შეიძლება მოვახდინოთ დომინანტური სოციალური სტრუქტურის წყაროების იდენტიფიცირება რომლებიც წარმოშობენ კონფლიქტებს. ეს მიმართულება მოიცავს ისეთი შემთხვევების განხილვას როგორცაა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონფლიქტები, შრომითი დისპუტები და სხვა ძალადობრივი კულტურის მიერ შექმნილი კონფლიქტები. ეს მიმართულებები ფართოდ იყენებს კარლ მარქსის, მაქს ვებერის, ზიმბარდოსა და სხვათა თეორიულ პოსტულატებს. საბოლოო მიზანი ამ კვლევისა არის, მოვახდინოთ კონფლიქტის თეორიების და სოციალური სისტემების სინთეზი, რაც საფუძველად უნდა დაედოს კონფლიქტის გადაწყვეტის სტრატეგიების შემუშავებას.

სოციალური გავლენების ფსიქოლოგიაში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა უმცირესობის და უმრავლესობის გავლენის ფსიქო-

ლოგიური კანონზომიერებები. წლევანდელ სამუშაოში შესწავლილ იქნა ის კანონზომიერებები რაც უზრუნველყოფს უმცირესობის გავლენის ეფექტურობას. ამ საკითხის კვლევამ უჩვენა, რომ უმცირესობის გავლენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური სისტემის წარმატებულ მართვისთვის.

გენდერული განათლების მიმართულებაში შეისწავლებოდა უმაღლეს სკოლაში გენდერული განათლების შესაძლო შინაარსები და ფორმები. ამასთან ერთად, შემუშავებულ იქნა უკრაინულ და ამერიკულ კოლეგებთან ერთად გენდერული სტერეოტიპების დაძლევისკენ მიმართული ტრენინგების სისტემა – უფლებამოსილებითი განათლების ტრენინგების პროგრამა.

გამოქვეყნებული შრომები:

1. სახელმძღვანელო -- კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა (ავტორთა ჯგუფთან ერთად), გაეროს ქალთა ფონდის გამომც. 2003.

2. ქალების როლი რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში, ანკარის კონფერენცია, იენისი, 2003.

3. გენდერული განათლება უმაღლეს სკოლაში, ბუხარის კონფ. 2003, ნოემბერი.

4. ლექციების კურსი „შესავალი კონფლიქტოლოგიაში“, კონფლიქტოლოგიის მაგისტრებისთვის.

კათედრის დოცენტ რ. ქვარცხავას სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულება მიმდინარე წელს იყო ორი პრობლემა: კონფლიქტის ფსიქოლოგიური თეორიები და ინტერჯგუფური კონფლიქტები.

კონფლიქტის ფსიქოლოგიურ თეორიებში განიხილება ფსიქო-დინამიკური თეორია, ველის თეორია და ფსიქიკური კლიმატის თეორია, ექსპერიმენტული თამაშის თეორია, ადამიანური ურთიერთობის პერსპექტივები და კონფლიქტის სტილი. ინტერჯგუფური კონფლიქტების კვლევები, კოგნიტური და ინტერაქციონალისტური პერსპექტივები და კონფლიქტი, ვერბალური აგრესიულობის თეორია, სოციალური გავლენების თეორია და ეპიზოდების კონფორტაციის თეორია.

მეორე საკითხის შესწავლისას განიხილება გარემოსეული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერჯგუფური კონფლიქტების განვითარებას, ეს ფაქტორებია: უშუალო კონტაქტი, დანახვა, სოციალური ცვლილებები.

ასევე ყურადღება გამახვილდა ჯგუფის შინაგან თავისებურებებზე და ინტერჯგუფურ კონფლიქტებზე: კონკურენცია, ჯგუფის კოჰესიურობა. ჯგუფის სტრუქტურა.

შეისწავლება და განიხილება: ა) კლასები და კლასებს შორის კონფლიქტები. ბ) რასები და რასებს შორის კონფლიქტები.

მის მიერ მომზადებული იქნა ლექციების კურსი კონფლიქტის თეორიებზე და ჯგუფებს შორის კონფლიქტებზე მაგისტრანტებისათვის.

მასალა ჩაშვებულია დასაბეჭდად.

კათედრის დოცენტის რ. ციციქიშვილის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სოციალური ზეგავლენების ფსიქოლოგია. ამ სფეროში მას გამოქვეყნებული აქვს რიგი თეორიული და ექსპერიმენტული ნაშრომები, რომლებიც შეეხება სხვადასხვა ტიპის ზეგავლენების თავისებურებებს რიგ სოციალურ სიტუაციებში, ნაჩვენებია ამ ფენომენის მნიშვნელობა ინტერპერსონალური ურთიერთობების დინამიკაში და საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეს საკითხი მასობრივ კომუნიკაციასთან მიმართებაში ქვეყნისათვის გარდამავალ პერიოდში. სოციალური ზეგავლენების თეორიული კურსის კითხვასთან ერთად რ.ციციქიშვილი ხელმძღვანელობს საკურსო ნაშრომებს ამ სფეროში. გარდა ამისა, 2003 წელს რ. ციციქიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპერიმენტული და თეორიული კვლევები შეეხება შემდეგ საკითხებს: მასობრივი კომუნიკაციის გავლენა ღირებულებათა სისტემასა და სოციალურ განწყობებზე, პოლიტიკური პროცესების გავლენა ინტერპერსონალური ურთიერთობის სტილზე, სოც. გარემოს ეფექტები პიროვნების სტრუქტურაზე. რ. ციციქიშვილის ხელმძღვანელობით დაწერილი საკურსო ნაშრომების გარდა, მისი მეცნიერული მუშაობის შედეგები ასახულია მიმდინარე წელს გამოქვეყნებულ ორ სამეცნიერო სტატიაში:

1) მნიშვნელოვანი სხებთან იდენტიფიკაციის გავლენა საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაზე, „ინტელექტი“, №1, თბილისი, 2003.

2) Тенденция изменения гендерных ролей в современной Грузии, „Кавказоведение“, N4, Москва, 2003.

კათედრის დოცენტ რ. ჯორბენაძის სამეცნიერო ინტერესები ეხებოდა სოციალური ფსიქოლოგიის სხვადასხვა საკითხებს, მათ შორისაა: გამოცდილებითი სწავლების მეთოდები, სკალირების მეთოდები, კონფლიქტების მართვა.

1. სკალირების მეთოდები – სკალირება ძირითადად ეხება დამოკიდებულებების გაზომვას რაიმე საგნის, ობიექტის ან მოვლენის მიმართ. დამოკიდებულებების გაზომვა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. არსებობს სხვადასხვა სკალები, რომლითაც შესაძლებელია ამა თუ იმ ობიექტის მიმართ პიროვნების ან ჯგუფის დამოკიდებულებები გაეზომოთ. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებლობა იქმნება შევისწავლოთ ადამიანების განსხვავებული დამოკიდებულებები. ძირითადად ცნობილია ტურსტონის, ლაიკერტის, ოსგუდის, ბაგარტუსის, გუტმანის და სხვა სკალები. ამ მეთოდების შესწავლა სტუდენტს საშუალებას აძლევს შეიმუშაოს სკალა, რომლითაც გაზომავს რაიმე ობიექტის მიმართ დამოკიდებულებას.

2. გამოცდილებითი სწავლების მეთოდები – გამოცდილებაზე დამყარებული სწავლება აადვილებს მასალის შესწავლას, ცოდნის გადაცემას და სწავლის პროცესს. გამოცდილებითი სწავლების მეთოდები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა საგნის სწავლებისას. მათი გამოყენება შეიძლება სკოლაში, კოლეჯში, უმაღლეს სასწავლებელში. გამოყენებითი სწავლების მეთოდებში შედის პრეზენტაცია, როლური თამაშები, სიმულაციები, შემთხვევების ანალიზი და სხვა. მეთოდი ასევე მიღებული ცოდნის შემოწმებასაც გულისხმობს. ამ მეთოდების შესწავლა სტუდენტებს გამოადგებათ პედაგოგიური მოღვაწეობის ან ტრენინგების ჩატარების პროცესში.

3. კონფლიქტების მართვა მნიშვნელოვანია დღევანდელი ცხოვრების პირობებში. მართვის მეთოდების შესწავლა ხელს უწყობს კონფლიქტების ესკალაციის ტიპების გამოვლენას; კონფლიქტების ანალიზის ჩატარებას; მოლაპარაკების და შუამავლობის პროცესის დაუფლებას. ყურადღება ეთმობა ასევე კონფლიქტების მართვის ალტერნატიულ მეთოდებს, რომელიც დაფუძნებულია დაპირისპირებულ მხარეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის წარმართვაზე. სტუდენტები ასევე შეისწავლიან კონფლიქტების მართვის სხვადასხვა მეთოდებს, ტრენინგების ჩატარებას, რაც მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგებათ.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დოც რ. ჯორბენაძე მუშაობს კონფლიქტების მართვის საკითხებზე.

გამოქვეყნებული შრომები:

1. კონფლიქტები, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა (თანაავტორობით). გაეროს ქალთა ფონდის გამოცემა, თბ., 2003.

2. პოლიტიკური კონფლიქტის ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები. თბ., 2003.

კათედრის დოცენტ შ. აბზიანიძის სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებები ეხებოდა ქცევის რეგულაციის პრობლემას, ნაციონალიზმის ფსიქოლოგიური საფუძვლებისა და ეთნიკური სტერეოტიპების კვლევას. დასაბუჯდად ჩაშვებულა საში სტატია:

1) ნაციონალიზმის ფსიქოლოგიური საფუძვლები (თ. ტყეშელაშვილთან, ე. კვანჭილაშვილთან და ნ. აბზიანიძესთან ერთად);

2) ეთნიკური სტერეოტიპების კვლევა ქართველ ახალგაზრდებში (მ. დესპოტაშვილთან ერთად);

3) ქცევის დეტერმინანტები (ა. ქიტიაშვილთან ერთად).

კათედრის დოცენტ ნ. ბელქანიას სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა შედარება, რელიგიის როლი და კონფლიქტის პოტენციალი აღმოსავლურ და დასავლურ საზოგადოებებში, მათი მშვიდობიანი თანაარსებობის გზები და პერსპექტივები და საქართველო, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა გზაშესაყარი, აღმოსავლური და დასავლური კულტურების სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი, ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმების კვლევა და ინტერპერსონალური კომუნიკაციებისა და კონფლიქტების ანალიზი. აგრეთვე მუშაობს ადამიანის ბიოგრაფიის ანალიზზე ასაკობრივი ციკლების მიხედვით და პროფესიულ, მომსახურებით და საწარმოო ორგანიზაციათა ელემენტების, მათი განვითარების ფაზების ანალიზსა და კონსულტაციაზე.

სალექციო კურსებისა და სემინარების ძირითადი მიზანი იყო სტუდენტებისათვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება. შესაბამისად მომზადდა ლექციების კურსი აღნიშნულ საგნებში და ჩატარდა სემინარები და ტრენინგები ინტერპერსონალური კომუნიკაციების და კონფლიქტების მართვაში, ორგანიზაციის განვითარებაში, ბიოგრაფიკაში. გამოქვეყნდა სამეცნიერო და ანალიტიკური სტატიები ქართულ და უცხოურ სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში.

1. ადამიანთა ერთობის ფორმების სოციალურ ფსიქოლოგიური ანალიზი. ქართულ ფსიქოლოგიური ჟურნალი. თბილისი, 2003, გვ. 46 – 51.

2. Georgien-Land und Leute, ქართული კულტურის დღეები შვეიცარიაში. სტატიათა კრებული, Basel, 2003.

3. Georgien im Umbruch, Jurnal Gegenwart, 2003, N 4, გვ. 37-41.

4. Georgiens Weg in die Zukunft, Jurnal Gegenwart, 2004, N 1, გვ. 26-30.

კათედრის დოცენტ ნ. სუმბაძის სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებებია პოლიტიკური ფსიქოლოგია, სოციოლოგია და საჯარო პოლიტიკის საკითხები.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის სფეროში ჩატარებულ იქნა გამოკვლევა მოქალაქეთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თაობაზე, რომელიც გამოქვეყნებული იქნა საერთაშორისო – სადისკუსიო წერილთა სერიაში საერთო სათაურით: „დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში“. სტატიაში განხილულია მოსახლეობის მონაწილეობის სახეები, მონაწილეობის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები პოსტ-საბჭოურ საქართველოში.

გ. თარხან-მოურავთან ერთად ჩატარებულ იქნა საქართველოს მოსახლეობის ორი პანელური გამოკითხვა, რომელიც ეხებოდა მოსახლეობის პოლიტიკურ არჩევნებს საქართველოს საერთაშორისო ორიენტაციის, საჯარო პოლიტიკის, ძირეული ღირებულებების აღქმებსა და დამოკიდებულებებს. მიღებული შედეგები განხილულ იქნა რესპოდენტთა ასაკობრივი, ეკონომიური მდგომარეობის ჭრილიდან. ასევე წარმოდგენილ იქნა ძირითად პოლიტიკურ პარტიათა ელექტორატის პროფილები. შედეგები გამოქვეყნდა ბუკლეტში „საქართველოს მოსახლეობის პანელური გამოკითხვა“, 2002 წლის ოქტომბერი.

გ. თარხან-მოურავთან ერთად ჩატარებულ იქნა მოსახლეობის გამოკითხვა ნოემბრის მოვლენებისადმი დამოკიდებულების და მომავლის მოლოდინის თაობაზე. თბილისის მოსახლეობის მონაწილეობა ნოემბრის მოვლენებში, ამ მოვლენების შეფასება, ასევე ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების მზაობა იქნა შესწავლილი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ბუკლეტში „საზოგადოებრივი აზრი თბილისში: 2002 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“.

საჯარო პოლიტიკის დარგში შესრულებულია შემდეგი გამოკვლევები:

სამხრეთ საქართველოს მუსულმანური მოსახლეობის რეპატრიაციის პრობლემები. ნაშრომში განხილულია საკითხის ისტორია, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება რეპატრია-

ციისადმი, ასევე მუსულმან მესხთა ორგანიზაციითა პოზიცია რეპატრიაციისადმი. ნაშრომი გამოქვეყნებულია კრებულში: „ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში“.

გ. თარხან-მოურავთან ერთად მომზადებულია ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების თაობაზე და ასევე ახალციხისა და ახალქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ პერსპექტივების თაობაზე.

გამოქვეყნებული მასალა:

1. ნ. სუმბაძე, გ. თარხან-მოურავი. (2003) საქართველოს მოსახლეობის პანელური გამოკითხვა. 2002 წლის ოქტომბერი. სპი. თბილისი.

2. ნ. სუმბაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალეში. (2003). მსგგც და სპი.

3. Sumbadze N & Tarkhan – Mouravi g. (2003) Panel survey of Georgia' s population: October, 2002 . IPS: Tbilisi.

4. Sumbadze N (2003) Civic Participation in Public and Life. IN Building Democracy in Georgia. Discussion paper 7. Interneational IDEA: Stockholm. p. 29-35.

ნ. ქაჯაიამ 2003 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: სქესობრივი სტერეოტიპები და ჯანმრთელობის მდგომარეობის განცდას შორის ურთიერთობის საკითხისათვის.

გამოქვეყნებული სტატიები:

1. სქესი და ჯანმრთელობა, „კავკასიის მაცნე“, № 6.

2. სქესობრივი დიმორფიზმის ფსიქოლოგიური ნიშნები, „კავკასიის მაცნე“, № 6.

თ. მახარაძის სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ორგანიზაციული კულტურის კვლევას. ორგანიზაციულ კულტურასთან დაკავშირებული კვლევები პირველად 80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა აშშ-ში. ამ პერიოდში ორგანიზაციული კულტურისადმი ინტერესი მეტად დიდი იყო, რადგან გაერცვლებული და იდუა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციის წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი ორგანიზაციული კულტურა. თუმცა შემდეგ-

მა კვლევებმა მნიშვნელოვანი კავშირი ორგანიზაციის კულტურასა და მის წარმატებას შორის ვერ დაადასტურეს.

საქართველოში ორგანიზაციული კულტურა თითქმის არ ყოფილა სერიოზული, ფუნდამენტური კვლევის საგანი. ამიტომ კვლევის შედეგები საინტერესო იქნება, როგორც მკვლევარებისათვის, ასევე საზოგადოების გარკვეული ჯგუფისათვის – განსაზღვრული ორგანიზაციების მენეჯმენტისათვის, თანამშრომლებისათვის – რადგან მათთვის პრაქტიკული რეკომენდაციების მატარებელი იქნება.

კვლევის მიზანია არსებული ორგანიზაციული კულტურის შესწავლა თბილისის ჯანდაცვის ორგანიზაციებსა და ზოგიერთ საწარმო-ორგანიზაციებში („ყაზბეგი“, „კოკა-კოლა“, „ქართუ – უნივერსალი“).

დაგეგმილია ანალოგიური კვლევის ჩატარება ზემოთ მითითებულ საწარმო ორგანიზაციებში. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, თითოეული ორგანიზაციისათვის კონკრეტული რეკომენდაციები შეიქმნება და გაკეთდება კვლევის შემაჯამებელი ანალიზი. მზადდება სტატია სამედიცინო ორგანიზაციებში ჩატარებული კვლევის მონაცემების გასაანალიზებლად.

შრომის ფსიქოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. გ.ჭირია) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პირობებში შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით კვალიფიცირებული კადრების მომზადების საკითხებთან და წარმოებს შემდეგი მიმართულებით.

1. პროფესიული შრომის სენსომოტორული, პერცეპტული ფაქტორები და მათი ინდივიდუალური პარამეტრების ექსპერიმენტული კვლევა.

გამოკვლევები მიმართულია „დამიანი-ტექნიკის“ ერგატული სისტემის ტიპურ პროფესიებში სენსორული, მოტორული და პერცეპტული რეაქციების სისწრაფის, ვარიაბილობის, სტერეოტიპულობის, რიგიდულობა-ფლექსიბურობის გამოვლინებების ინდივიდუალური ფორმების დადგენისადმი. გამოკვლევის შედეგები გამოიხატება პერსონალის პროფესიული შრომის სახეობისადმი შესატყვისობის სენსორულ-პერცეპტული ფაქტორის დონის დადგენისადმი მათი ფაქტორული წონის დადგენის საშუალებით

(პროფ. გ. ქირია, დოც. მ. კალანდარიშვილი, მასწ. ნ. იშხნელი, მასწ. დ. ჯებირაშვილი, დოც. გ. ხოსროშვილი).

2. პროფესიული შრომის მოტივაციის, განწყობისა და ატიტუდების ფორმირება—ცვლილებების კვლევა. როგორც ემპირიული მასალიდან ირკვევა, პროფესიული შრომის მოტივების, განწყობების, ატიტუდების და ა.შ. ჩამოყალიბება და მათი სწორი თვითშეფასება წარმოადგენს მომავალი სპეციალისტის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან კომპონენტს. იმავედროულად გამოირკვა, რომ უფროსკლასელთათვის საკუთარი პროფესიული ავტოპორტრეტის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია და საჭიროებს დახმარებას პროფესიული შრომის აღწერა-ანალიზის, საკუთარი უნარშესაძლებლობების გაცნობიერების მიმართულებით. კათედრაზე დამუშავებულია საშუალო სკოლის უფროსკლასელთა პროფესიული ორიენტაციების, პიროვნული ღირებულებებისა და პროფესიული თვითშეფასების მეთოდური ხერხები. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მეთოდური საშუალებები ემყარება დ. უზნაძის განწყობის თეორიის იმ საკვანძო დებულებებს, რომლებიც მას ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჰქონდა ჩამოყალიბებული და რომლებიც, სამწუხაროდ, შემდგომში არ განვითარებულა (პროფ. გ. ქირია, მასწ. ნ. კერესელიძე, დოც. ი. კუტალაძე, დოც. გ. გოროშვიძე, მასწ. თ. ციმაკურიძე).

3. მაგისტრატურაში რეკლამის ფსიქოლოგიის სპეციალობის შემოღებასთან დაკავშირებით, კათედრის წევრთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს რეკლამის ეფექტურობის შეფასების მეთოდების, სასაქონლო სახელწოდების პროექტირების, მომხმარებლის პიროვნულ მახასიათებელთა პარამეტრების გამოკვლევის მიმართულებით (მასწ. მ. რობაქიძე, მასწ. ი. ჯანჯღავა, ლაბ. თ. ხიდაშელი).

4. დამუშავდა სალექციო კურსი: „ორგანიზაციული ცვლილებების და განვითარების მენეჯმენტი“ (დოც. ი. კუტალაძე). გარდა ამისა, 2002 წელს დამუშავებულ ფსიქომეტრიის კურსის პროგრამას დაემატა ტესტი „კლასიკური თეორიის საფუძვლები და პუნქტებზე პასუხების თეორია“ (დოც. ი. კუტალაძე).

5. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჭრილში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კათედრის წევრების მიერ რამდენიმე პროფდიაგნოსტიკური მეთოდური ხერხების კონსტრუირება და მათი გამოყენებით აპლიკანტთა პროფეარგისიანობის ფსიქოლოგიური შეფასება მძლოლის, სპეციალური ობიექტების დაცვის, მედიცინის მუშაკების და სხვათა პროფესიებისათვის.

2003 წელს გამოცემა:

1. პროფ. გ. ქირია, ალქმის ფსიქოლოგია, – დამხმარე სახელმძღვანელო.

2. პროფ. გ. ქირია, მ. კალანდარიშვილი, ქცევის თვითრეგულაცია, როგორც ფიქსირებული განწყობის ფუნქცია.

3. დოც. ი. კუტალაძე, უნარების ტესტების პრედიქტული ვალიდობა სელექციის პროცესში, მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა კონფერენცია „შეფასება და საზოგადოების მიზნები“-ს მასალებში (ქ. მანჩესტერი. 2003 წელი).

გადაცემულია გამოსაცემად:

1. დოც. მ. კალანდარიშვილი, ვიზუალური ველის ორგანიზაცია, როგორც ფიქსირებული განწყობის ფუნქცია.

2. დოც. მ. კალანდარიშვილი, განწყობის ასიმბლაციური მოქმედება ფიგურის გეშტალტის შექმნაში.

პროფდიაგნოსტიკური სისტემა:

ფირმა „პრომონის“ დავალებით, ჩაუტარდა პროფდიაგნოსტიკური შემოწმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე პროფესიონალ ავტომძღოლ 230 აპლიკანტს; სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის 87 აპლიკანტს, 30 სამედიცინო დახმარების აპლიკანტს.

(პროფდიაგნოსტიკური ტესტირება ჩაატარეს პროფ. გ. ქირიამ, დოცენტებმა: გ. გოროშიძემ, მ. კალანდარიშვილმა, გ. ხოსროშვილმა, მასწავლებლებმა: მ. რობაქიძემ და დ. ჯებირაშვილმა).

ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრის (გამგე დოც. მ. მირიანაშვილი) სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა სამი ძირითადი მიმართულებით:

1. დაწყებითი განათლების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პრობლემათიკა.

2. სწავლება-სწავლის პროცესის მოტივაციური კანონზომიერებები.

3. სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და მისი მონაპოვრების მნიშვნელობა პედაგოგიური ფსიქოლოგიისათვის.

ელემენტარული სკოლის დონეზე მოსწავლის შემეცნებითი, ემოციურ-სოციალური, ფიზიკური მზაობის გათვალისწინება თანამედროვე დაწყებითი განათლების აუცილებელი მოთხოვნაა.

კათედრა ჯეროვან ყურადღებას უთმობს ამ საკითხს. სასკოლო მზაობის დიაგნოსტიკება ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი საკითხია. დაკვეთა ასეთ ტესტირებაზე ძალიან მაღალია. არსებობს დიდი საფრთხე ტესტების არაკვალიფიციური გამოყენებისა, ტესტირების მოთხოვნათა ეთიკური ნორმების სრული დარღვევით. გადაწყდა სასკოლო მზაობის ტესტის შეჯერებული ვარიანტის დამუშავება.

ჩატარდა არსებული ტესტების ფსიქოლოგიური ანალიზი. შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი ექსპრეს დიაგნოსტიკისათვის, მომზადდა გაფართოებული ვარიანტიც. აპრობაცია გაიარა ოთხ სკოლაში. ეს სამუშაო გრძელდება, შემდგომში დასრულდება სტატისტიკური მასალის დამუშავებით.

აქტუალურია ასევე დაწყებითი სწავლების პრინციპების შემუშავება, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. გამოყოფილ იქნა სწავლების ექვსი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენისას.

მეორე პრობლემა ეხებოდა სწავლება-სწავლის პროცესის მოტივაციური კანონზომიერების საკითხებს. მოტივაციის ცნების უახლესი გაგებიდან მნიშვნელოვანია ორი გარემოება: მოტივაცია მოქმედებს არა მხოლოდ ქცევის განხორციელებამდე, არამედ მოიცავს მთლიანად ქცევას და პიროვნების მიერ მიღწეული შედეგის შეფასებას. მოტივაციას აღარ განიხილავენ, როგორც ერთადერთ, უალტერნატივო ქცევის აღმძვრელს. მოტივაცია არის კონკურენცია ქცევის სხვადასხვა ალტერნატივებს შორის. არჩევანი დამოკიდებულია ქმედების აღმძვრელი სტიმულის სიძლიერეზე და წარმატების სუბიექტურ ალბათობაზე. ექსპერიმენტულად დგინდება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევით შესაძლებელია სწავლის მოტივაციის ამაღლება.

სწავლის მოტივაციის გარეგან ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პედაგოგიურ ინტერაქციას, სწორი შთაბეჭდილებითი ხატის შექმნას, რაც თავიდან აგვარიდებს მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მცდარ კატეგორიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური მოლოდინების საკითხი, რომელიც ნ. ადამაშვილის კვლევის თემა იყო. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის ინტერპერსონალური მოლოდინები (ანტიციპაცია და ნორმატიული მოლოდინი) უშუალოდ მოქმედებს მოსწავლის წარმატების მოტივზე. ინტერპერსონალური ნდობის ხარისხზე დამოკიდებულია მოსწავლის დადებითი სასწავლო

მოტივაცია და წარმატებები ინტელექტუალურ და პიროვნულ განვითარებაში.

დოც. მ. მელიქიშვილის კვლევის საგანს წარმოადგენდა საზოგადოების ზეგავლენა მოზარდის პიროვნების ფორმირებაზე. კვლევის მიზანი იყო, საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი მხარის გავლენის შესწავლა თანამედროვე ქართველ მოზარდებზე. კვლევა მიმდინარეობს კითხვარების მეშვეობით.

სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია კვლევის მესამე მიმართულებაა სიტყვის ბგერით მხარესა და მის მნიშვნელობას შორის არსებული კავშირის ბუნება მრავალი მეცნიერის ინტერესის საგანია. ამ პრობლემატიკით ერთნაირად იყო დაინტერესებული ენათმეცნიერება, ფილოსოფია, ფსიქოლოგია. ეს დიდი ინტერესი განპირობებულია ისეთი საკითხების აქტუალობით, როგორცაა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა, მეტყველების წარმოშობა, მისი ფსიქოლოგიური მექანიზმები, ენისა და ენობრივი ნიშნის ბუნება.

კათედრის თანამშრომელი ს. თევდორაძე იკვლევდა სიტყვის ბგერითი მხარის და მისი მნიშვნელობის ურთიერთკავშირის მნემურ ღირებულებას. მიღებულია ექსპერიმენტული გზით მნიშვნელოვანი შედეგები.

ისტორიის ფაკულტეტი

საანგარიშო წელს ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა 13 კათედრა, 7 ს/კ ლაბორატორია და 2 ცენტრი.

ისტორიის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები, გარდა რეკომენდებული განსაზღვრული კოორდინირებული სქემისა (თბილისის უნივერსიტეტი და ქართული ისტორიოგრაფია), იდენტურ სამეცნიერო ტენდენციებს და პრიორიტეტებს ავლენდა:

1. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები.
2. სასკოლო სახელმძღვანელოები.
3. ფაქტოლოგიის ისტორიოსოფიით ჩანაცვლების გარკვეული ტენდენციები.

4. დეცენტრალიზაცია კონფერენციებისა და პერიოდიკის რეალიზაციასთან დაკავშირებით – კათედრების ინიციატივა ამ შემთხვევაში ძირითადია.

5. ახალი ტიპის სტატიების აპრობაცია – ელექტრონული ვერსიები.

6. დიდი საერთაშორისო პროექტები – ინტერკულტურული და საინტეგრაციო სახელმძღვანელოები.

7. ინტერინსტიტუციური კოოპერაცია – თანამშრომლობა სხვა აკადემიურ ცენტრებთან, აქაც და ევროპაშიც.

8. უცხოური პუბლიკაციები.

9. საკვალიფიკაციო საბჭოებისა და ფაკულტეტის მუდმივ მოქმედი სემინარის მუშაობის ინტენსიფიკაცია.

10. თანამშრომლობა სახელმწიფო ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან რეკომენდაციების სახით.

11. თანამშრომლობა უცხოურ აკადემიურ ცენტრებთან ინტერნეტის საშუალებით – ორმხრივი რეკომენდაციები, და აშ.

თითოეული კათედრის წვლილი მნიშვნელოვანია.

საქართველოს ისტორიის კათედრის (გამგე აკად. რ. მეტრეველი) მიზანია, შექმნას საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში, ქართული დიპლომატიის ისტორიასა და სხვა დამხმარე დისციპლინებში, აგრეთვე – ქრესტომათიები და მეცნიერულად დამუშავებული პროგრამები; იკვლიოს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემები.

საქართველოს ისტორიის კათედრის ორწლიან (2001-2003) სამეცნიერო თემას შეადგენდა საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელთა მეცნიერული კვლევის შედეგები (უნივერსიტე-

ტის დაარსებიდან დღემდე), თსუ ისტორია, საქართველოს ისტორიის კათედრის ისტორია. თემის სტრუქტურა ასეთია:

1. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა

2. საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფია

ა) უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს.

ბ) V-X სს.

გ) XI-XIII სს.

დ) XIV-XVIII სს.

ე) XIX-XX სს.

3. დამხმარე დისციპლინები

ა) ეპიგრაფიკა

ბ) სიგელთმცოდნეობა-დიპლომატიკა

გ) ნუმიზმატიკა-მეტროლოგია

დ) საქართველოს ეკლესიის ისტორია

ე) საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

ვ) ქართული დიპლომატიის ისტორია

ზ) არმენისტიკა

4. თსუ ისტორია

5. საქართველოს ისტორიის კათედრის ისტორია

ორწლიანი თემა შესრულებულია და წარმოდგენილია კათედრაზე. ის მოხმენილ იქნება 2004 15 იანვრიდან თვის ბოლომდე კათედრის გაფართოებულ სხდომაზე მოხსენებების სახით.

გადაცემულია დასაბეჭდად საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ქართული დიპლომატიის ისტორიის სახელმძღვანელო და ქრესტომათია.

კათედრის წევრებმა გამოსცეს რიგი საინტერესო მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოებისა:

1. რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია, მეფეთა მეფე გიორგი II, თბ., 2003.

2. ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, VII კლასი. თბ., 2003.

3. მ. ბახტაძე, ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 1801 წ.). თბ., 2003.

4. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.), თბ., 2003.

5. დ. ლეთოდიანი, ძიებანი, თბ., 2003.

6. თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ფული საქართველოში. თბ., 2003.

რიგი სპეციალისტებისა (პროფ. თ. დუნდუა, აკად. რ. მეტრეველი, პროფ. მ. ვაჩნაძე, პროფ. ვ. გურული) ჩართულნი არიან საერთაშორისო დიდ პროექტებში:

1. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ისტორია. სკოლის სახელმძღვანელო. (ევროსაბჭოს ეგიდით). გამოიცემა 2004 წ. ოსლოში.

2. კავკასიის ხალხთა ისტორია. სკოლის სახელმძღვანელო (ევროსაბჭოს ეგიდით). გამოიცემა 2004 წ. ლონდონში.

3. XIX-XX სს. ევროპის ისტორიის ქრესტომათია (ევროსაბჭოს ეგიდით).

ჩატარდა კათედრის ტრადიციული სამეცნიერო კონფერენცია. კათედრის წევრები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში.

ინტენსიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. კათედრაზე მომზადდა, მსელელობა მიეცა თუ დაცულ იქნა რამდენიმე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

კათედრაზე შესრულებული ნაშრომების ნაწილი მოთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რუსეთის ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. მ. ვაჩნაძე) წევრებმა დაასრულეს ორწლიან თემაზე მუშაობა, რომელიც ზოგადსაუნივერსიტეტო თემის შემადგენელი ნაწილია და კონკრეტულად ისახავს მიზნად კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლას. კათედრის წევრებისგან შეიქმნა რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც შესაბამისი პერიოდების მიხედვით გაინაწილეს სამუშაო: დოც. თ. ფარცვანიამ, დოც. გ. ჟუჟუნაშვილმა და უმასწავლებელმა ვ. ჩიჩუამ აღწერეს კათედრის პროფესორების – მიხ. პოლიევქტოვის, ი. ცინცაძის, ვ. მაჭარაძის, ნ. ნაკაშიძის და დოც. ნ. მურღულიას შემოქმედება. დოც. ლ. გოდერიძემ და პროფ. დ. კანდელაკმა მოიპოვეს მასალა და შეისწავლეს კათედრის შემდგომი წევრების ცხოვრება და პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობა: პროფ. ზ. შევლიძის, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის, პროფ. ა. სურგულაძის, პროფ. მ. გოცაძის, დოც. ბ. სოხვაძის და დოც. გ. ზედგენიძის. კათედრის დოცენტებმა – გ. დემეტრაძემ, რ. ვაჟბედაშვილმა და გ. ზარქუამ წარმოადგინეს პროფ. ნ. ქადეიშვილის, ი. ხუციშვილის, ა. მენტეშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალა.

კათედრის წევრებმა დოც. თ. ფარცვანიამ და უმასწავლებელმა ვ. ჩიჩუამ დაასრულეს რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო-

ზე მუშაობა და ამზადებენ მას გამოსაცემად (თანაავტორია აწ გარდაცვლილი ნ. მურდულია).

კათედრის დოცენტი გ. დემეტრაძე პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

კათედრის წევრები აქტიურად მუშაობდნენ რუსეთის ისტორიისა და დიპლომატიის ისტორიის ჯგუფის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის განყოფილების სტუდენტებთან. მომზადდა რამდენიმე თემა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ზოგიერთმა მათგანმა მაღალი შეფასება მიიღო და მათ სტატიის სახით დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა.

კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრაზე (გამგე დოც. ე. კოპალიანი) მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ პრობლემაზე: კავკასიოლოგიური პრობლემატიკა XX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში. პრობლემა დაიყო 10 თემად. თემების დასამუშავებლად შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფები. დოც. ე. კოპალიანი მუშაობდა ორ სამეცნიერო თემაზე – კავკასია რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობებში XVI-XVIII სს., და კავკასიის ხალხთა სოციალურ-კულტურული ცხოვრება და ურთიერთობები XVI-XIX სს. (შ. ჩაჩავასთან ერთად).

უმასწ. გ. ხუნდაძე და ისტ. მეცნ. კანდ. თ. კენკებაშვილი ამუშავებდნენ შემდეგ თემებს: რუსეთ-კავკასიის ომი (1817-1864 წწ.) და მისი შედეგები, რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა კავკასიაში და მოდერნიზაციული პროცესები XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყისში.

ისტ. მეცნ. კანდ. კ. ცერცვაძე საანგარიშო პერიოდში იკვლევდა პრობლემას: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კავკასიაში 1917-1921 წწ. დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოების დაარსება, ფუნქციონირება და დამარცხება.

კათედრის სამი წევრი – უმასწ. ო. მელაძე, უმასწ. მ. შენგელია და ლაბ. ლ. ადამაშვილი მუშაობდნენ ორ პრობლემაზე: კავკასიის ხალხები სსრკ შემადგენლობაში 1922-1991 წწ., და კავკასიელები სსრკ-გერმანიის ომში 1941-45 წწ.

პროფ. ჯ. კვიციანი და ლაბორანტი მ. ანდრიაშვილი საანგარიშო პერიოდში ამუშავებდნენ პრობლემას – კავკასია XX ს. 90-იან წწ.: რუსეთის ფედერაციაში ჩრდილოკავკასიულ ხალხთა სუვერენულ სუბიექტთა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დემოკრატიული აღმშენებლობა.

დოც. ნ. აფციაური – ხალხები და უძველესი სახელმწიფოები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

დოც. ივ. წიკლაური - კავკასია შუა საუკუნეებში. პრობლემა ძირითადად დამუშავებულია.

გამოქვეყნდა რიგი საინტერესო ნაშრომებისა, მაგ. დოც. ე. კოპალიანის და დოც. ი. წიკლაურის სტატია დაიბეჭდა ესპანეთში ინგლისურ ენაზე გამოსულ სპეციალურ კავკასიოლოგიურ კრებულში; დოც. ნ. აფციაური ერთ-ერთი ავტორია სომხური სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოსი. დაიბეჭდა საგნობრივი პროგრამები.

აქტიურია კათედრა სამეცნიერო კონფერენციებისა თუ სესიების მუშაობაშიც (კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია).

ე. კოპალიანი არის ვარშავის ქართველოლოგიური ჟურნალის Pro Georgia-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი. კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრა არის თსუ-დან ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორი კავკასიის უნივერსიტეტების საერთაშორისო კონსორციუმისა, რომელიც აშშ-ს ინიციატივით შეიქმნა. კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ვარშავისა და ლოდის უნივერსიტეტებთან.

კათედრასთან არსებობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე.

დემოგრაფიის კათედრის (გამგე პროფ. ე. ლორთქიფანიძე) წევრები, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, ეწევიან სამეცნიერო საქმიანობასაც. მათ მიერ გამოქვეყნებულია: ა. სახვაძე, დემოგრაფიული ეტიუდები, II, თბ., 2003. 124 გვ., A. Сахвадзе, Особенности демографической и экономической безопасности. ჟურნ. „ეკონომიკა“. 2003. №3-4, გვ. 95-98, რუსულ ენაზე, ვ. სპერანსკისა და დ. ჯანგულაშვილის თანაავტორობით; ა. თოთაძე. აფხაზები საქართველოში. ჟურნ. „ემიგრანტი“. მოსკოვი. 2003. №3, ა. სახვაძე, დემოგრაფია უნივერსიტეტში, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. 2003. 28 ნოემბერი, №40-41(1951), გვ. 11; და ა. თოთაძის სტატიები.

კათედრამ მოაწყო შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონულ წარმომადგენლებთან შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის მიზნით. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან თანამშრომლობით გამოიცა კათედრის დოცენტის ე. გურგენიძის მონოგრაფია პერსონალის მართვა. 200 გვ.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრამ (გამგე, პროფ. ი. არსენიშვილი) და ამავე კათედრასთან არსებულმა დასაველეთ ევროპისა და თანამედროვე ხელოვნების სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიამ საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად წარადგინა რამდენიმე თანამშრომელი.

კათედრის თანამშრომლები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას. წლიურ სამეცნიერო თემების პარალელურად, მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს მიმდინარე წლის გაზაფხულზე კათედრის მიერ ჩატარებულ მორიგ (№5) სამეცნიერო კონფერენციაზე (კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა მეცნიერებმა(ც). კათედრის მიერ გამართულ კონფერენციაზე წარმოდგენილი შრომები იბეჭდება კათედრის მორიგი № 5 შრომების კრებული სახით.

ამასთან, მიმდინარე წლის კათედრაზე ლექციები კათედრის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის წაიკითხეს უცხოელმა პროფესორებმა.

მიმდინარე წელს კათედრის თანამშრომლები მუშაობდნენ შემდეგ სამეცნიერო პრობლემებზე, ამას თან ვურთავთ მათ მიერ წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომების არასრულ სიას.

1. პროფ. ი. არსენიშვილის კვლევის სფეროა: დასავლეთ ევროპისა და ქართული თანამედროვე ხელოვნება. ამჟამად მუშაობს სამეცნიერო საკითხზე – ველასკესის ინფანტა მარგარიტას პორტრეტები.

მიმდინარე წელს ი. არსენიშვილის ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა კათედრის ასპირანტმა ე. გელეკანიშვილმა თემაზე – „პირი ღმრთის იკონოგრაფია ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელოვნებაში (მანდილიონი და წმ. ვერონიკას ხატი)“.

არის რამდენიმე ასპირანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

დოც. ნ. ჯაბუას კვლევის სფეროს ქრისტიანული ხუროთმოძღვრება წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოსა და ბიზანტიის ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური და არქიტექტურულ-სიმბოლური გაგების შესწავლის საკითხები. ამჟამად მუშაობს სამეცნიერო შრომაზე – არქიტექტურულ ტიპთა ურთიერთობის შესახებ საქართველოს ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში.

არის ერთი ასპირანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

დოც. ნ. ჩხარტიშვილის კვლევის სფეროს წარმოადგენს კინო ხელოვნება. მუშაობს შრომაზე – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და კინოხელოვნების განვითარება-სრულყოფა. მიმდინარე წელს წიგნად გამოსაცემად უკვე მზადაა მისი ერთი ნაშრომი, – „მეცნიერება, ტექნიკა, კინოხელოვნება“.

დოც. გ. ჯავახიშვილის თემაა – წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება.

ამჟამად ის მუშაობს სამეცნიერო შრომაზე – საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლები. მიმდინარე წელს მის მიერ შესრულებულ იქნა აგრეთვე ნაშრომი – ქართული ქანდაკების საწყისებთან, რომელიც იბეჭდება ჟურნალ წელიწდეულში.

დოც. დ. ვაჩნაძის კვლევის სფეროა ქართული საერო და სამონასტრო არქიტექტურა. ამჟამად მუშაობს შრომაზე – გვიანანტიკური და ადრე შუასაუკუნეების საერო და სატაძრო ხუროთმოძღვრების ურთიერთმიმართება და გავლენები.

დოც. ნ. სიმონიშვილის კვლევის სფეროა: შუა საუკუნეების ხელოვნება და თანამედროვე ვირტუალური ხელოვნება.

მიმდინარე წლის განაფხულზე ნ. სიმონიშვილმა მონაწილეობა მიიღო კათედრის მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე თემით – ნიკოპეას ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებისა და კტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში. ნაშრომი იბეჭდება კათედრის №5 სამეცნიერო შრომების კრებულში.

დოც. ი. ჭიჭინაძე მუშაობს თემაზე – ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმება, კერძოდ – XIV ს-ის I ნახევრის კტიტორული პორტრეტი. მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციაზე თემით – მახარებელთა გამოსახულებები პალეოლოგოსთა ხანის მინიატურაში. არის ერთი ასპირანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

თ. ურუშაძის ნაშრომი ეხება თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ისტორიის საკითხებს და მნიშვნელოვან ცვლილებებს. ამჟამად მუშაობს პრობლემაზე – XX ს-ის დასაწყისში თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების საკითხისათვის. მონაწილეობა მიიღო კონფერენციაზე თემით – კოსტუმის პრობლემა 1920-30 წწ. ქართულ სცენოგრაფიაში (უ. შექსპირის „ოტელოს“ მაგალითზე).

დოც. ი. ნიკოლეიშვილი მუშაობს ქართულ რელიგიურ ქანდაკებაზე, კერძოდ – სხიერის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კანკელის რეკონსტრუქციის ცდა გამოსახულებათა იკონოგრაფიის მაგალითზე. შედეგები მოხსენებულ იქნა კონფერენციაზე.

დოც. ნ. ჯაფარიძე სწავლობს პირველყოფილი პერიოდის ხელოვნებას.

ამჟამად მუშაობს პრობლემაზე: ფიგურული კომპოზიციები ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე.

დოც. მ. ციციშვილი იკვლევს თანამედროვე ქართულ ფერ-წერას. ამჟამად მუშაობს პრობლემაზე – ქართული პეიზაჟი 1900-1950-იან წლებში.

მიმდინარე წელს მიღებული აქვს გრანტი: ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოსგან, ასეთი საკითხისთვის – „თბილისი, ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი XX საუკუნის 40-იან წლებამდე“ (2003-2004 წწ.).

დოც. ნ. მეტრეველი იკვლევს თანამედროვე მხატვრების შემოქმედებას.

ნაშრომი – ახალი ქართული ხელოვნების განვითარების საკითხისათვის იბეჭდება კათედრის №5 სამეცნიერო შრომების კრებულში.

დოც. ი. მირიჯანაშვილის კვლევის სფეროა: ქართული დარბაზული ტიპის საკულტო არქიტექტურა. ამჟამად მუშაობს შრომაზე – X-XI საუკუნეების ჯავახეთის დარბაზული ტიპის ეკლესიები.

მასწავლებელ ლ. ბოცვაძის კვლევის სფეროა: ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრება. ამჟამად მუშაობს ნაშრომზე – ბოლნისის ქაფანაქისა და ქასური წმ. გიორგის ეკლესიების შესახებ.

მასწავლებელი ნ. ხუციშვილი იკვლევს თანამედროვე დასავლეთ ევროპის ხელოვნებას. ამჟამად მუშაობს შრომაზე – მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი.

მეცნიერ-თანამშრომელ ნ. ქავთარიას სამეცნიერო კვლევის სფეროა ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმება. მან უკვე წარადგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი – კალიპოსის მონასტრის სკრიპტორიუმი XI ს-ში.

მეცნიერ-თანამშრომელ ი. გივიაშვილის სამეცნიერო კვლევის სფეროა შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა და რელიეფი, ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ი. გივიაშვილმა ნ. ბაგრატიონთან თანაავტორობით მონაწილეობა მიიღო კათედრის მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე თემით – ზეგანი (იგივე ზაქი), რეკონსტრუქციის ცდა. ნაშრომი იბეჭდება ჟურნალ „სიძველენში“ (№3).

კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა (გამგე პროფ. გ. ლორთქიფანიძე). მიმდინარე წელს გ. ლორთქიფანიძე მუშაობდა ქართული კულტურის ისტორიის სახელმძღვანელოს II ნაწილზე. გამოიცა კათედრის თანამშრომელთა მიერ მომზადებული კულტუროლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს II ნაწილი (20 თაბახი), რედაქტორი პროფ. გ. ლორთქიფანიძე, აგ-344

რთვე სახელმძღვანელო – კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია). ასევე გამოქვეყნდა კრებული – კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები (№№ 15, 17).

კათედრის თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია საინტერესო მონოგრაფიები და სტატიები, მათ შორის საზღვარგარეთ.

ლ. გორდესიანი, დედოფალი თუ ქალღმერთი? ენა და კულტურა. №3, თბ., 2003.

გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნუმიზმატიკური ძეგლები. AGIBAS biuleteni. I. Tb., 2003.

Н. Чиковани, К вопросу единого кавказского культурного пространства. Журнал Северо-Кавказского научного центра высшей школы. Ростов-на-Дону, 2003.

ბ. გელაშვილი, კულტურათა სინთეზი ალი ყულიბეგ ჯაბადარის ერთი ნამუშევრის შუქზე. ქართული დიპლომატია. წიგნი №10. თბ., 2003.

N. Gelashvili, Shah Ismail's Policy Towards Georgia. Summary. The 4th International Round Table of Safavi Studies. Bamberg. 2003, pp. 12.

2003 წლის გაზაფხულზე ჩატარდა კათედრის სამეცნიერო კონფერენცია – საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. კათედრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში (გერმანია, თურქეთი და ირანი).

საანგარიშო წელს წარმატებით იქნა დაცული რიგი საკანდიდატო დისერტაციებისა. ინტენსიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე და მუდმივმოქმედი კოლოკიუმი – „ადამიანი, საზოგადოება, კულტურა“.

2003 წელს დასრულდა ეთნოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ვ. შამილაძე) ხუთწლიანი გარდამავალი (2001-2005 წწ.) თემის – „კავკასიის ხალხების ეთნოლოგიური შესწავლის პრობლემები (ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა მონაცემების მიხედვით)“, მესამე ნაწილი, რომლის მიზანი იყო ფეოდალური ხანის მოგზაურ-მკვლევართა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება და მეცნიერული დამუშავება. საკვლევი თემა მოიცავს ქართველ, რუს და ევროპელ ავტორთა ცნობებს კავკასიის ხალხების ეთნიკური კულტურის შესახებ. კვლევის შედეგი საფუძვლად დაედება საქართველოსა და კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის სახელმძღვანელოსა და სპეცკურსების მომზადებას. კერძოდ, დამუშავდა შემდეგი თემები:

1. მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება ფეოდალური ხანის რუს მკვლევართა მიხედვით. პროფ. ვ. შამილაძე, დოც. თ. გვიმრაძე.

2. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები. პროფ. ს. ჭანტურიშვილი.

3. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა, ეთნოლოგიური კულტურის საფუძვლები, მიგრაციისა და ადაპტაციის პრობლემების ისტორია. პროფ. თ. ცაგარეიშვილი.

4. კავკასიის ხალხთა სულიერი კულტურის ასახვა გერმანულ მკვლევართა შრომებში. დოც. თ. ღუდუშაური.

5. სომეხი ავტორები ქართული ეთნოკულტურის შესახებ.

6. კალმახელიძე.

6. ფრანგი მოგზაურები XVII ს-ის საქართველოს ყოფასა და კულტურის შესახებ. .ქ. შოშიაშვილი.

7. რუსი ავტორები რაჭის სამეურნეო ყოფისა და სულიერი კულტურის ტრადიციების შესახებ. დოც. ლ. ჭეღია.

ეთნოლოგიის კათედრასთან ფუნქციონირებს:

1. ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი ლაბორატორია (იხ. ქვემოთ), ხელმძღვანელი – პროფ. ო. მიმინოშვილი.

2. ეთნო-ეკოლოგიური განყოფილება – მიმართულების ხელმძღვანელი და პროექტის ავტორია დოც. ი. კვიციანი.

ეთნო-ეკოლოგიური განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ შესრულებულია მესტიის რაიონის ეთნო-ეკოლოგიური მონიტორინგი. თემა შესრულდა თსუ აეროკოსმიურ ლაბორატორიაში და შეტანილია საერთაშორისო კომპიუტერულ სისტემაში.

კათედრის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 2003 წელს ეთნოლოგთა მორიგი ექსპედიცია თუშეთში. სტუდენტთა ექსპედიციას, როგორც წინა წლებში, ხელმძღვანელობდა პროფ. თ. ცაგარეიშვილი. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები. ექსპედიციის ანგარიში გაკეთდა დოკუმენტური ფილმისა და ფოტოგამოფენის ფონზე 2003 წ. 15 ოქტომბერს.

2003 წლის აპრილში ეთნოლოგიის კათედრაზე ჩატარდა მეორე ტრადიციული სტუდენტ-ეთნოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. კონფერენციას ტრადიციულად ხელმძღვანელობს დოც. ი. კვიციანი, ხოლო გამოფენას მეცნიერ-თანამშრომელი მ. გაბუნია. ეთნოლოგე

ბი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. ამის შესახებ მასალა ინახება ეთნოლოგიის კათედრაზე.

ეთნოლოგიის კათედრაზე პროფ. ს. ჭანტურიშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა საქართველოს ეთნოლოგიური ლექსიკონი, რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს კათედრის თანამშრომლებმა.

ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. გ. ქავთარია) წევრების მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი ნაშრომები:

1. გ. ქავთარია (კათედრის გამგე), უკანასკნელი ატალიდი და პერგამოსის სამეფოს დაცემა. ძველი ისტორია. III. 2003, გვ. 5-24.

კვინტუს სერტორიუსი. ძველი ისტორია. IV. 2003, გვ. 126.

2. გ. გამრეკელი, იულიანე განდგომილი და რელიგიური რეფორმის ცდა. ინტელექტი (№ 1(15)), გვ. 90-92.

3. გ. გამრეკელი, ამიანე მარცელინე, გვიანდელი რომის ისტორიკოსი. ინტელექტი (№2 (16)), გვ. 101-103.

4. თ. ინანეიშვილი. დემეტრიოს პოლიორკეტის პოლიტიკური პორტრეტისათვის. ძველი ისტორია. ტ. III. 2003, გვ. 86-95.

5. თ. ინანეიშვილი, ბრძოლა მაკედონისათვის ძვ. წ. III ს. I მეოთხედში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V. 2003, გვ. 207-211.

6. ჯ. შარაშენიძე, მუშახელის შრომის ანაზღაურების ერთი თავისებურების შესახებ ურის III დინასტიის დროინდელი შუმერის სახელმწიფო მეურნეობაში. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. XI. 2003, გვ. 65-69.

მანვე მონაწილეობა მიიღო აკად. გ. მელიქიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. წაიკითხა მოხსენება – პროტოფეოდალური საზოგადოების მელიქიშვილისეული თეორია.

გამოიცა სხვა საინტერესო სტატიებიც.

ინტენსიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე.

არქეოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. გ. ავალიშვილი) კვლევის თემაა ქვისა და ბრინჯაოს ხანა საქართველოში. საანგარიშო წელს გეგმით გათვალისწინებული შრომები დაისტამბა „არქეოლოგიური კრებულის“ № 3 ტომში.

1. ო. ჯაფარიძე, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და ამიერკავკასიის უძველესი კონტაქტების ისტორიიდან.

2. გ. ავალიშვილი, მეღვინეონე ხელოსნის სოციალური სტატუსი.

3. გ. გრიგოლია, სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია 1977.

4. ნ. აფციაური, მარტყოფის ადრეული ყორღანის სამკაული.

5. ქ. სტურუა, ნ. ქადაგიძე, საქართველოს შავიზღვისპირეთის და ევროპის ქვის ხანის კულტურათა ურთიერთკავშირის საკითხისათვის.

6. ნ. ასათიანი, ბ. მაისურაძე, დედოფლისწყაროს ყორღანები.

საანგარიშო წელს დაისტამბა აკად. ო. ჯაფარიძის წიგნი – საქართველოს ისტორიის სათავეებთან; პროფ. გ. ავალიშვილის მონოგრაფია – საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ძველი ლითონების ხანაში. არის სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციებიც.

არქეოლოგიის კათედრასთან მუშაობს სტუდენტ-არქეოლოგთა სამეცნიერო წრე. კათედრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებისა თუ ექსპედიციების მუშაობაში.

ტრადიციულად იქცა სტუდენტთა ექსპედიციები ჯავახეთში. დიდია ახალგაზრდების ინტერესი საქართველოს ამ უძველესი ტერიტორიის შესწავლასა და განვითარებაში. პროფ. კახა კახიანის ხელმძღვანელობით ერთი ჯგუფი სოფელ ტამბოვის მახლობლად მდებარე ყორღანზე მუშაობდა, ხოლო სტუდენტთა ფოკის არქეოლოგიურმა ჯგუფმა „ბრიტიშ პეტროლიუმის“ სპონსორობით მონაწილეობა მიიღო თურქეთის საზღვართან მდებარე ე.წ. ორჯოშანის ნამოსახლარის გათხრებზე. ნამარხებში, რომელიც ბრინჯაოს ხანისა და გვიან ფეოდალურ პერიოდს განეკუთვნებოდა, ძალზედ საინტერესო ინვენტარი ამოდიოდა. ამ ტერიტორიაზე სულ ცოტა ხნის წინ არათუ არქეოლოგიური საქმიანობა, მიახლოებაც კი წარმოუდგენელი იყო. სულ რამდენიმე მეტრში თურქეთ-საქართველოს საზღვარი იწყებოდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ახალგაზრდების დაინტერესებას სამშობლოს ძირძველი ისტორიული საგანძურით და კვლევა-ძიებამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის (გამგე დოც. გ. ბოლოთაშვილი) წევრები მუშაობდნენ რამდენიმე სამეცნიერო მიმართულებით:

1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა;
2. მსოფლიო ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და უკვე არსებულის გადაშუშავება;
3. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის, ისტორიის თეორიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის და თეორიის, ქალთა საკითხების, ისტორიის სწავლების დიდაქტიკისა და მეთოდების და ა.შ. კონკრეტული პრობლემების კვლევა.
4. სარედაქციო და მთარგმნელობითი მუშაობა.
კათედრის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები:
 1. ვ. თვალაიაძე, ახალი ისტორია. მეორე ნაწილი. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2002.
 2. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია. თბ., თსუ გამომცემლობა. 2002.
 3. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია (მზად არის გამოსაქვეყნებლად).
 4. ც. ჩიკვაიძე, ძველი მსოფლიოს ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VI კლასისათვის. თბ., გამომცემლობა „კონა“. 2002 (გაიმარჯვა სახელმძღვანელოთა კონკურსში). თანაავტორი ქ. თვალაიაშვილი.
 5. კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა, შუა საუკუნეების ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VII კლასისათვის. თბ., გამომცემლობა „კონა“. 2002, 2003 (გაიმარჯვა სასკოლო სახელმძღვანელოთა კონკურსში).
 6. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VIII კლასისათვის. თბ., გამომცემლობა „კონა“. 2002, 2003.
 7. გ. ბოლოთაშვილი, ნ. კილურაძე, ე. მექმარიაშვილი, უახლესი ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის IX კლასისათვის. თბ., გამომცემლობა „კონა“. 2002, 2003.
 8. გ. ბოლოთაშვილი, ცივილიზაციების ისტორია. XI კლასის სახელმძღვანელო. თბ., გამომცემლობა „კონა“. 2002, 2003.
- კათედრის წევრებმა შეიმუშავეს ახალი კურიკულუმები, სახელმძღვანელოთა კონცეფციები და მასწავლებლის წიგნები შესაბამის დისციპლინებში. შეიქმნა რამდენიმე ახალი სალექციო კურსი:

1. ე. მექმარიაშვილი, თანამედროვეობის გლობალური პრობლემები (მზად არის გამოსაცემად).

2. ნ. კილურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები (თანაავტორი გ.სანიკიძე). თბ., 2002.

კათედრამ გამოსცა სამეცნიერო ნაშრომების კრებული, მიძღვნილი უშანგი სიღამონიძის ხსოვნისადმი (თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2002). მასში გამოქვეყნებულია კათედრის წევრების შემდეგი ნაშრომები:

1. მ. კალანდაძე, უშანგი სიღამონიძე (გვ.3-8);

2. მ. კალანდაძე, თამაზ ხუციშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (გვ. 126-129);

3. ე. მექმარიაშვილი, ისრაელისა და მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტის ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში (გვ. 24-34);

4. ე. მექმარიაშვილი, ჩინეთის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ისტორიის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში (გვ. 110-117);

5. ლ. ფირცხალავა, გაზეთი „ივერია“ ევროპის სახელმწიფოებში არსებული განათლების სისტემის შესახებ (გვ. 56-63);

6. ლ. ფირცხალავა, ისტორია და საიუველირო ნაწარმი (გვ. 118-121);

7. ლ. ფირცხალავა, ისტორია და მსოფლიო ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების მიზნები (გვ. 122-125);

8. ვ. კაჭარავა, ჰერბერტ ჰუეერის დანიშნა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის თანამდებობაზე (გვ. 136-141);

9. ვ. თვალავაძე, მებაბეშუმეობა სამტრედიის რაიონში (XIX ს. ბოლო და XX ს. დასაწყისი) (გვ. 160-164);

10. ვ. თვალავაძე, მეფრინველეობა სამტრედიის რაიონში (XIX ს. ბოლო და XX ს. დასაწყისი) (გვ. 142-145);

11. ნ. ნამორაძე, ამერიკული ჟურნალი „ნაპოლეონი“ (გვ. 107-109).

ლ. ფირცხალავამ გამოსაცემად მოამზადა კათედრის ისტორია.

ნ. კილურაძე არის კენეტ უოლტის ნაშრომის „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ სამეცნიერო რედაქტორი.

კათედრასთან მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. წრეზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებები გატანილ იქნა საუნივერსიტეტო და ამერიკანისტთა საერთაშორისო კონფერენციებზე.

კათედრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციისა და სემინარის მუშაობაში:

1. ვ. კაჭარავა – ამერიკის შესწავლის პოლონეთის ასოციაცია- (კიის ყოველწლიური კონფერენცია (ლოძი, პოლონეთი, 2003).
2. ც. ჩიკვაიძე – ევროკლიოს კონფერენცია (იტალია, 2003, მარტი).

პოლიტოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ო. გოგიაშვილი) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა:

1. ტრანსფორმირებადი პოლიტიკური სისტემები (პოლიტიკური ხელისუფლების არსი და რესურსები გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთმიმართების პრობლემები, საარჩევნო სისტემები, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავისებურებები საქართველოში და სხვ.).

2. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები (მსოფლიო პოლიტიკა XXI საუკუნის დამდგეს, საქართველო სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური უსაფრთხოების სისტემაში, ადამიანის უფლების საერთაშორისო დაცვის დოკუმენტები და სხვ.).

მიმდინარე წელს პროფ. ო. გოგიაშვილისა და დოც. ე. ბატიაშვილის შრომებმა (ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი. ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა. თბილისი. 1998; ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი. ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიები. თბილისი. 2001.) საუნივერსიტეტო პირველი პრემია დაიმსახურეს.

კათედრის 2003 წლის 3 დეკემბრის სხდომამ (ოქმი №4) დადებითად შეაფასა პროფესორ-მასწავლებლების მიერ 2003 წელს გაწეული მუშაობა და დაამტკიცა მათ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშები.

1. პროფ. გ. აბესაძე, პოლიტოლოგია (ლექციების კურსი) პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი, 2003. ნაშრომი დამუშავებულია რაციონალური პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის პრობლემები, პოლიტიკური მეცნიერებების როლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულებების საკითხები.

2. პროფ. გ. აბესაძე, პოლიტიკური იდეოლოგია თანამედროვე პოლიტიკური მენეჯმენტის სისტემაში. ჟურნალი „პოლიტიკა“ 2003 წლის №1-3;

3. პროფ. გ. აბესაძე, პოლიტიკური სისტემა, პოლიტოლოგია (ლექციების კურსი). მეორე შეესებული გამოცემა. პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით. გამომც. უნივერსალი. თბ., 2003.

პროფ. გ. აბესაძე ხელმძღვანელობას უწევს 4 ასპირანტს, 1 მაძიებელს, მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო ორმა სტუდენტმა.

4. პროფ. მ. მაცაბერიძემ 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „მსოფლიო XXI საუკუნის დამდევს: ძირითადი გეოპოლიტიკური კონცეფციები“ გამოაქვეყნა ნაშრომი „გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები“. მეორე გამოცემა. თბილისი, 2003. ავტორი მიუთითებს, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ადგილისა და როლის განსაზღვრას სამხრეთ კავკასიის ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში.

მიმდინარე წელს პროფ. მ. მაცაბერიძე ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ხელშეწყობით მუშაობდა თემაზე „არჩევნები და საზოგადოება“. კელევის შედეგები გამოაქვეყნა ორ მონოგრაფიაში.

5. მ. მაცაბერიძე, „არჩევნები და საზოგადოება“. თბილისი, 2003.

6. მ. მაცაბერიძე, „პოლიტიკური მარკეტინგის საკითხები“. თბილისი, 2003.

მ. მაცაბერიძე ხელმძღვანელობას უწევს 3 ასპირანტს, 2 მაძიებელს, არის პოლიტიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მისი ხელმძღვანელობით პოლიტოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა მ. აბლოთიამ და ნ. ჩანადირმა სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე აიღეს პირველი ადგილი.

3. პროფ. ვ. ქარუმიძე, 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „ახალგაზრდობის პოლიტიკური უფლებების დაცვის დოკუმენტები“ გამოაქვეყნა მონოგრაფია: იხ. ვ. ქარუმიძე. საქართველოს არასრულწლოვანთა კანონმდებლობა. გამომც. „ცოდნა“. თბილისი, 2003.

წარმოდგენილ ანგარიშში პროფ. ვ. ქარუმიძე მიუთითებს, რომ ახალგაზრდობას წამყვანი როლი უკავია პოლიტიკურ პროცესებში და ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები.

მიმდინარე წელს პროფ. ვ. ქარუმიძემ გამოაქვეყნა შემდეგი ნაშრომები: საერთაშორისო ორგანიზაციები. გამომც. „ცოდნა“.

თბილისი, 2003. საბაჟო სამართალი, გამომც. „ცოდნა“, თბილისი. 2003.

პროფ. ვ. ქარუმიძის ნაშრომმა დაიმსახურა პროფ. ა. ციბაძის სახელობის პირველი პრემია.

პროფ. ვ. ქარუმიძე ხელმძღვანელობას უწევს 2 ასპირანტს, 1 მაძიებელს. მისი ხელმძღვანელობით პოლიტოლოგიის სპეციალობის სტუდენტები მონაწილეობენ სტუდენტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებში.

4. პროფ. ს. შარიქაძე – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „ინტერესთა ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები“ გამოაქვეყნა ნაშრომი: იხ. ს. შარიქაძე პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები. იხ. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი). მეორე შევსებული გამოცემა. პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი 2003 წ. ს. შარიქაძე. ინტერესთა ჯგუფები. იხ. ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“. №4, თბილისი, 2003.

პროფ. ს. შარიქაძე ხელმძღვანელობს 3 ასპირანტს, 2 მაძიებელს.

5. პროფ. კ. შარია – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრების პირობები და ნიშნები“ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც მითითებულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებას პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში; დაწერილებითაა შესწავლილი პოლიტიკური პლურალიზმის დამახასიათებელი თავისებურებები.

პროფ. კ. შარიამ მიმდინარე წელს გამოაქვეყნა ნაშრომი – სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ფორმირება. იხ. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი), მეორე შევსებული გამოცემა. პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით. თბილისი, 2003.

პროფ. კ. შარია ხელმძღვანელობს 2 ასპირანტს, 2 მაძიებელს.

6. პროფ. გ. ხუნწარია – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „თანამშრომლობა და კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში“ წარმოადგინა ანგარიში, სადაც მითითებულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში თანამშრომლობის და კონფლიქტების პრობლემები მჭიდრო კავშირშია ცალკეული სახელმწიფოების და პირველ რიგში აშშ. ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებთან, ახლადჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ მისწრაფებებთან და გლობალიზაციის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესთან.

7. პროფ. ა. ტუკვაძე – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგია“ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც მითითებულია, რომ კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას პოლიტიკური ლიდერების ვებერისეული ტიპოლოგია; თუმცა თანამედროვე პოლიტიკური განვითარების პროცესები წარმოშობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ლიდერების „ახალ ტიპებს“, რომლებიც თავისი მახასიათებლებით ცილდებიან ტრადიციულ წარმოდგენებს პოლიტიკურ ლიდერობაზე. ასევე ანგარიშში მითითებულია რომ ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა წინა პლანზე წამოწია ზოგი ქარიზმატული ლიდერი.

პროფ. ა. ტუკვაძემ მიმდინარე წელს გამოაქვეყნა ნაშრომები: პოლიტიკური ელიტა; პოლიტიკური კულტურა. იხ. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი). მეორე შეესებულები გამოცემა. თბილისი 2003; ასევე თსუ პოლიტიკური კვლევის ცენტრის შრომებში იბეჭდება თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურის თავისებურებები (პროფ. ო. გოგიაშვილის თანაავტორობით).

პროფ. ა. ტუკვაძე ხელმძღვანელობს 4 ასპირანტს, 1 მაძიებელს.

პროფ. ა. ტუკვაძე არის პოლიტოლოგიის სპეციალისტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებში.

8. დოც. ბ. შაფაქიძე – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში“ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც მითითებულია, რომ სახელმწიფოს თეორიული პრობლემის დამუშავებას პრაგმატული ღირებულება გააჩნია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში.

9. დოც. ვ. დოლიძე – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „ხელისუფლების ფორმები და რესურსები“ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ფორმებისა და რესურსების თეორიული პრობლემების დამუშავებას პრაგმატული ღირებულება აქვს ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესში.

მიმდინარე წელს იბეჭდება ვ. დოლიძის სტატია „საზოგადოებრივი პოლიტიკის განხორციელების გარემოს დაცვის პოლიტიკის კონსტრუქციის საკითხები“. მუშაობის დასრულების შემდეგ იქნება გამოცემული „მაცნეში“.

10. დოკ. მ. კუხიანიძე – 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაზე „საარჩევნო კომპანიის ტექნოლოგია და მენეჯმენტი“ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც მითითებულია, რომ თანამედროვე საქართველოს საარჩევნო სისტემების სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საარჩევნო ტექნოლოგიების თეორიული პრობლემების დამუშავებას.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. ა. მენთეშაშვილი) წევრები ამზადებდნენ სახელმძღვანელოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლეს ისტორიაში. აღნიშნული სახელმძღვანელოს გასრულება ნაგარაუდევია 2004 წელს. სახელმძღვანელოს ცალკეული ნაწილები დაიბეჭდა კრებულში – ახლო და შუა აღმოსავლეთი. I. 2003.

მომზადდა და მეორედ გამოიცა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის სახელმძღვანელო (წ. I-II).

კათედრამ გამოსცა კიდევ ერთი სახელმძღვანელო – გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები.

გამოსაქვეყნებლად მზადდება სახელმძღვანელო – XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები.

გარდა ამისა, ზ. მენთეშაშვილმა მოამზადა გამოკვლევა: „აფრიკის ქვეყნების ისტორიის ისტორიოგრაფია“.

კათედრის წევრებმა გამოაქვეყნეს სტატიები კრებულში – საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, სადაც თანამედროვე აქტუალური პრობლემებია მიმოხილული.

კათედრას აქვს სამეცნიერო ურთიერთობები მ. ლომონოსოვის სახ. აზიისა და აფრიკის ინსტიტუტთან, აგრეთვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტთან, სორბონის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ინსტიტუტთან (ქუროლოგიის კათედრა), პარიზის ავიცენას სახელობის კულტურის ინსტიტუტთან და პარიზის ქუროთა ინსტიტუტთან.

კათედრაზე მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე.

კათედრაზე მომზადდა და დაცულ იქნა რამდენიმე დისერტაცია.

შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. გ. კუტალია). კათედრას რამდენიმე ასპირანტი ჰყავს. ლ. ხუბაშვილმა 2003 წლის დეკემბერში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე –

„ენციკლისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV სს.“. ის სისტემატურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, მისი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა რესპუბლიკური კონფერენცია შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე. ლ. ხუბაშვილის კვლევის სფეროა იტალიის დიპლომატია შუა საუკუნეებში.

კათედრაზე გამოიცა კრებული „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“ (ტ. V) და ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

კათედრასთან ყალიბდება შავი ზღვის რეგიონის შემსწავლელი ცენტრი დოც. ე. ჟორდანიას ხელმძღვანელობით.

კათედრის წევრებმა დაასრულეს და დასაბუჯდად გადასცეს „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელო (ტ. I), რომელიც მომზადებულია გ. კუტალიას რედაქტორობით და თანაავტორობით.

კათედრის წევრებმა გამოაქვეყნეს არაერთი სტატია და თარგმანი:

1. გ. კუტალია, პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობა და ე.წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი“. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. ტ. V. თბ., 2003.

2. კ. მეშველიანმა მოამზადა 6 თავი „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელოსათვის (ტ. I).

3. დოც. ლ. ხუბაშვილმა, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და დაბეჭდა სტატია – „ვენეციური მითი“ საბელიკოსა და ჯუსტინიანის მიხედვით. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 2003. მანვე მოამზადა ნაწილები „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელოსათვის.

4. დოც. ბ. ჯავახიამ მოამზადა 6 თავი „შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოსათვის“; დაბეჭდა სტატიები: 1) ბიზანტიური კულტურა. კულტუროლოგია. თბ., 2003; 2) გოთები და „დიდი ომიანობა“ ეგრისში. კულტურის ისტორიის საკითხები. 2003. მანვე გამოსცა ა. გეთიაშვილთან ერთად „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელო VII კლასის მოსწავლეებისათვის. ბ. ჯავახია იმყოფებოდა მივლინებით საარბრიუკენის უნივერსიტეტში, აგროვებდა მასალებს სადოქტორო დისერტაციისათვის.

5. დოც. ა. გეთიაშვილმა მოამზადა 7 თავი „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელოსათვის (ტ. I); დაბეჭდა სტატია - „ახალი სიონი“ მიუნსტერში. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. ტ. V. თბ., 2003.

6. დოც. მ. სტეფნაძე ამთავრებს მუშაობას სადოქტორო დისერტაციის თემაზე – „იერუსალიმის ქართული კოლონია და მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში“.

7. დოც. თ. წითლანაძემ 2003 წ. მარტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; გამოაქვეყნა რიგი სტატიებისა. ედუკაციის II ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდიას.

8. დოც. თ. ქარჩავამ მოამზადა ერთი თავი „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელოსათვის, დაბეჭდა სტატია – არისტოტელეს ხელახალი აღმოჩენა და მისი მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის აზროვნების განვითარებაში. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. ტ. V. თბ., 2003. ის ხელმძღვანელობს კათედრასთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. იღებს ახალგაზრდა მეცნიერთა საპრეზიდენტო (II ხარისხის) სტიპენდიას.

9. მ. სონღულაშვილმა გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო „ტაძრების მეგზური“ ბიბლიის შემსწავლელთათვის; მონაწილეობს ოქსფორდის მისიოლოგიური კვლევის პროგრამაში, რომლის დასრულება გათვალისწინებულია 2006 წლისათვის.

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ხელმძ. აკად. რ. მეტრეველი) მუშაობდა რამდენიმე მიმართულებით:

1. მომზადდა და გამოსაცემად სტამბას გადაეცა ქართული დიპლომატიის ისტორიის სახელმძღვანელო.

2. მომზადდა ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტომათია.

3. ცენტრის კოლექტივმა დაამუშავა საქართველოს ისტორიის კათედრის ორწლიანი გეგმით გათვალისწინებული თემის მის მიერ შესასრულებელი ნაწილი.

4. გამოსაცემად მომზადდა ქართული დიპლომატიის ისტორიის (წელიწადეული) მორიგი ტომი.

ცენტრის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს არაერთი მონოგრაფია თუ სტატია, რომლებშიც გაანალიზებულია საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის აქტუალური პრობლემები.

შესრულდა რამდენიმე საკვალიფიკაციო ნაშრომი.

ცენტრის წევრები მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონფერენციებში.

საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია.

ლაბორატორიის თანამშრომლებმა დაასრულეს მუშაობა საუნივერსიტეტო გეგმით გათვალისწინებულ თემაზე – წყაროთმცოდნეობითი კვლევა თსუ-ში.

დამუშავებულ იქნა საქართველოს ისტორიის კათედრის წევრთა წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომები უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე:

ივ. ჯავახიშვილი (მ. სანაძე). ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, ვ. დონდუა (ე. კაჭარავა). ს. ჯანაშია, თ. ლომოური, შ. ხანთაძე (ს. ჯანაშია). ე. თაყაიშვილი, შ. მესხია, შ. ბადრიძე (მ. ბახტაძე). ლ. მუსხელიშვილი (თ. ქორიძე). ე. გრიგოლია, მ. ლორთქიფანიძე (ქ. ნადირაძე). ა. კიკეიძე, მ. დუმბაძე (ლ. ასლამაზიშვილი). ს. კაკაბაძე, გ. გელაშვილი (ე. კვაჭანტირაძე). გ. ოთხმეზური (ლაბორატორიის გამგე) – ქართული ეპიგრაფიკა თსუ-ში.

დაცულ იქნა ორი საკანდიდატო დისერტაცია.

გამოიცა საყურადღებო მონოგრაფიები და სტატიები:

მ. სანაძე, საქართველოს ისტორია. წ. I. ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები. თბ., 2003.

მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003.

ლაბორატორია ინტენსიურად მუშაობს სტუდენტებთან.

ლაბორატორიის წევრებმა წაიკითხეს მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის სამეცნიერო საკვლევე ლაბორატორიის საკვლევე პრობლემა – საქართველოს პოლიტიკური პარტიების XX ს. ისტორიის ისტორიოგრაფია. საკვლევე პრობლემა განაწილებულ იქნა ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლებზე. დამუშავებულია დიდძალი ლიტერატურა. გამოქვეყნებულია სტატიები და მონოგრაფიები. პრობლემა, ძირითადად, დამუშავებულია.

გამოიცა კრებული – საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის საკითხები. ტ. I. თსუ გამომცემლობა.

ინდივიდუალური ნაშრომები:

გ. ციციშვილი. რატომ დახვრიტეს ვაჟა ფშაველას პირშოლკეან რაზიკაშვილი.

დ. ცინცაძის ინიციატივით რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი – საქართველოს საზღვრები.

გ. საითიძე – ათზე მეტი სტატია და მონოგრაფია, წარადგინა სადოქტორო დისერტაცია.

საკუთრივ წლიური თემის სტრუქტურა კი ასეთია:

ანარქიზმი საქართველოში XIX ს. 90-იანი წწ. XX ს. 20-იან წწ-მდე (რ. ჯამრიშვილი – ლაბორატორიის გამგე, ნ. ფოცხვერაშვილი).

ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიოგრაფია (გ. ციციშვილი).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის ისტორიოგრაფია (გ. საითიძე).

სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციების (1901-1923 წწ.) ისტორიის ისტორიოგრაფია (გ. კვაჭანტირაძე).

ეროვნულ-დემოკრატიული პრესის ისტორიოგრაფია 1900-1910 წწ. (დ. ლორთქიფანიძე).

XX ს. 70-90-იანი წწ. პოლიტიკური ისტორიის ისტორიოგრაფია (ა. მათიაშვილი).

კომუნისტური პარტიის ისტორიის სწავლება უნივერსიტეტში (დ. შველიძე).

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიოგრაფია (უ. ნანსყანი).

1905-1907 წწ. რევოლუციის ისტორიოგრაფია (დ. ცინცაძე).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის ისტორიოგრაფია (რ. ჯორჯიკია).

რუსეთის ისტორიის კათედრასთან არსებული მ. პოლივექტოვის სახ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

ლაბორატორიის წევრებიც მონაწილეობდნენ კათედრის წლიური თემის დამუშავებაში. გარდა ამისა, ლაბორატორიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად მუშაობდა მისთვის საინტერესო სამეცნიერო პრობლემებზე, ღებულობდნენ მონაწილეობას კონფერენციებში და აქვეყნებდნენ სამეცნიერო ნაშრომებს. კონკრეტულად:

დ. კანდელაკი (ლაბორატორიის გამგე) – გამოაქვეყნა მონოგრაფია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში. მას მიენიჭა საქართველოს პრეზიდენტის I ხარისხის სტიპენდია. გ. ჟუჟუნაშვილი – მონაწილეობა მიიღო პე-

ტერბურგის დაარსებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულის შედგენაში. დ. დარჩიაშვილი – მოამზადა ორი სტატია: ა) საქართველოს სამომავლო დილემაები – ცენტრ აზიაკავკასიის ინსტიტუტის ბიულეტენი – 21. 05. 2003, ბ) საქართველოს უსაფრთხოების პრობლემაები და პოლიტიკა – იბეჭდება პარიზის უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტის აკადემიურ სერიაში. მივლინებით იმყოფებოდა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში (აშშ, ვაშინგტონი). მ. ჭანტურიშვილი – აგრძელებდა მუშაობას საკანდიდატო ნაშრომზე „უცხოელ მოგზაურთა ცნობები თბილისის შესახებ“ (XVIII – XIX სს).

ხელოვნების ისტორიის კათედრის დასავლეთ ევროპისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორია (ხელმძ. პროფ. ი. არსენიშვილი).

მიმდინარე წელს ლაბორატორიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კათედრის მიერ გაზაფხულზე გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე. აგრეთვე ისინი აქტიურ მონაწილეობასღებულობენ თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის საქმიანობაშიც.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სილაგაძე იკვლევს ქართულ წარმართულ არქიტექტურასა და ადრექრისტიანულ ეკლესიებს.

მონაწილეობა მიიღო კონფერენციაზე თემით: „ქართული „საფლავეს ზედა“ ეკლესიები და მათი პარალელები“. ნაშრომი იბეჭდება კათედრის №5 შრომების კრებულში.

2003 წ. გამოქვეყნებული აქვს შემდეგი ნაშრომი: “Some Questions of Irano-Georgian Cultural Attitudes”. The Caspian Sea International Conference. Mazandran University, Faculty of Humanities and Social Sciences. 19-20 October. p. 54. მონაწილეობას იღებს რამდენიმე საერთაშორისო პროექტში – შავი ზღვის აუზის ქვეყნების საინტეგრაციო სახელმძღვანელო, ევროსაბჭოს ეგიდით; კავკასიის ხალხთა ისტორია, ევროსაბჭოს ეგიდით.

ირინა ალექსიძე ამჟამად მუშაობს შრომაზე – ისტორიული ეანრი ვალერიან სიღამონ-ერისთავის ფერწერაში.

ს. ქებურია მუშაობს თემაზე, შეასაუკუნეების ქართული ოქრომკვედლობა, სახარებათა მოჭედებლობა. კონფერენციაზე წარსდგათემით: „სახარების ყდა – იკონოგრაფიული და სახვითი სპეციფიკა“. ნაშრომი იბეჭდება კათედრის მორიგ №5 შრომების კრებულში.

მიმდინარე წელს გამოქვეყნდა მისი შემდეგი შრომები:

ა) დენილი ქართველი მეფის კვალი ტრაპეზუნდის ჭელურ სახარებაზე. საქართველოს სიძველენი, №3, 2003.

ბ) ათონის ივერთა მონასტრის საგანძურიდან. ქართული დიპლომატიის ისტორიის კრებული, №10, 2003.

ამჟამად მუშაობს სადისერტაციო თემაზე.

ბ. კაპანაძის კვლევის სფეროა საეკლესიო ხუროთმოძღვრება. სიმბოლიკა და სიერცის ორგანიზაციის პრობლემები.

კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე – ლიტურგიკა და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება ადრე ქრისტიანულ ხანაში. ნაშრომი იბეჭდება კათედრის №5 შრომების კრებულში.

ამჟამად მუშაობს სადისერტაციო თემაზე.

გ. ჭოლოშვილის სამეცნიერო კვლევის სფეროა თანამედროვე ქართული ხელოვნება.

ამჟამად მუშაობს შრომაზე – „გერმანული კოლონიები თბილისში – XIX საუკუნე“.

მიმდინარე წელს გამოქვეყნდა მისი შრომა:

1. Deutsche Kolonien in Tbilisi, „ირანი და კავკასია“, ერევანი, 2003.

მოპოვებული აქვს შემდეგი გრანტები:

1. INTAS-ის გრანტი „თბილისი XIX საუკუნეში: ისტორია და კულტურა“, მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისათვის ვენეციაში, იენისი, 2003.

2. ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს გრანტი: „თბილისი ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მხატვრების შემოქმედებაში XVIII საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე“, 2003-2004.

ეთნოლოგიის კათედრასთან არსებული ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია.

აქ მუშაულობს პრობლემა – „საქართველოსა და კავკასიის კულტურა, ტრადიციები ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შუქზე“. თემა გარდამავალია და მისი დასრულება დაგეგმილია 2005 წელს. აღნიშნული ლაბორატორიის (გამგე პროფ. ო. მიმინოშვილი) 2003 წლის ანგარიში ცალკეა წარმოდგენილი და თან ერთვის ეთნოლოგიის კათედრის ანგარიშს.

კულტურის ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია (გამგე პროფ. ნ. გელაშვილი) ძირითადად მუშაობს ორი მიმართულებით: 1. ქართული კულტურის პრობლემატიკა, 2. ქართულ-უცხოური კულტურული ურთიერთობები. რამდენიმე სტატია დაიბეჭდება კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის კრებულში – კულტურის ისტორიის საკითხები. ლაბორატორიის წევრები მონაწილეობას იღებენ კათედრის მიერ მომზადების სტადიაში მყოფი სახელმძღვანელოს დამუშავებაში.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრასთან არსებული ამერიკის შესწავლის ცენტრი.

გამოქვეყნდა ამერიკის შესწავლის ცენტრის (ხელმძ. დოც. ვ. კაჭარავა) სამეცნიერო სტატიების ორი საერთაშორისო კრებული: „ამერიკის შესწავლის საკითხები“ I, თბ., თსუ გამომცემლობა, 2002 და „ამერიკის შესწავლის საკითხები“. II, თბ., 2003.

ცენტრში მიმდინარეობს კვლევა აშშ-ს ისტორიის საკითხებზე.

ცენტრმა ჩაატარა თავისი ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აშშ-ს ისტორიის, პოლიტიკის, სამართლის, ეკონომიკის, განათლების, რელიგიის, კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა საკითხებს. ცენტრს აქვს მჭიდრო ურთიერთობა ამერიკის საელჩოსთან საქართველოში. მისი დახმარებით ცენტრი აღიჭურვა კომპიუტერთა და ქსეროქსით.

მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში ეთნოკონფესიონალურ ურთიერთობათა შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია.

პრობლემა: ეთნოკონფლიქტები და კონფესიური ურთიერთობები.
თემა: საგარეო პოლიტიკა და ეთნოკონფესიონალიზმი.

ყურადღება ექცევა ისლამის მოძღვრების მიმდინარეობებს გუშინ და დღეს, მათ კავშირს საგარეო-პოლიტიკურ კონიუნქტურასთან. გამოიცა კრებული – ახლო და შუა აღმოსავლეთი. თბ., 2003. ლაბორატორიის გამგეა პროფ. ზ. მენტეშაშვილი.

ფილოლოგიის ფაკულტეტი

ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მსოფლიო ხალხთა სამწერლობო, ლიტერატურათმცოდნეობითი და საენათმეცნიერო პროცესების შესწავლას, საზღვარგარეთის უმთავრეს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში მიღწეული შედეგების გაცნობას და სხვა საკითხებს.

ფილოლოგიის ფაკულტეტი აერთიანებს ერთ ინსტიტუტს (კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინიტიკისა და ნეოგრეცისტიკის), 14 კათედრას, 1 სამეცნიერო ცენტრს (სლავისტიკის), 5 სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიასა და 6 კაბინეტს.

ძველი ქართული ენის კათედრის (გამგე პროფ. გ. გოგოლაშვილი) ძირითად სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენს ქართულ ენაზე არსებული ტექსტების აკადემიური გამოცემები, ძველი და საშუალო ქართული ენის ლექსიკური ფონდის შესწავლა და ლექსიკონების შედგენა, ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით შესწავლა, დამწერლობის არმქონე, უმწერლობო, ქართველურ ენათა ტექსტების მოძიება და გამოცემა, ლექსიკონების შედგენა და სხვა. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა:

გამოსაცემად მომზადდა ა. შანიძის „ხევსურული პოეზია“, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა.

დასრულდა ძველი და საშუალო ქართული ენის ტექსტების ელექტრონული ბანკის შექმნისა და ქართული ენის თეზაურუსი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები. კომპიუტერში შეტანილია ძველი და საშუალო ქართულის ძირითადი ტექსტები, აგრეთვე, მეგრული ტექსტები.

2003 წლისათვის კათედრა ასრულებდა რამდენიმე სამუშაო თემას – ერთწლიანს და გარდამავალს:

1. ხელმეორედ გამოსაცემად მზადდება აკ. შანიძის ძველი ქართული ენის გრამატიკა განახლებული ტექსტებითა და სრული ლექსიკონით (ხელმ. მ. შანიძე).

2. კათედრა ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებაზე (ავტორები ლ. ბარამიძე, თ. მეტრეველი, რ. ენუქაშვილი). შექმნილია სამი სამუშაო ჯგუფი, მოწმდება და კომპიუტერულად მუშავდება მასალა (გარდამავალი).

3. გამოსაცემად მომზადდა და სტამბას გადაეცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამხმარე სახელმძღვანელო ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების ძირითადი კურსისა - ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, გამოქვეყნებული და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წერილების საფუძველზე.

4. გამოსაცემად მომზადდა ძველი ქართული ენის კათედრის შრომების 31-ე ტომი, რომელშიც ძირითადად კათედრის თანამშრომელთა ნაშრომები იბეჭდება.

5. ასევე კათედრის თანამშრომელთა ძალისხმევით მომზადდა კრებული „ენათმეცნიერების საკითხები,“ 2003, № 2 (მთავარი რედაქტორის მოადგილე პროფ. გ. გოგოლაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი გ. შაბაშვილი).

6. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად კათედრის წევრთა ძალისხმევით გამოვიდა ორი ჟურნალი: „საენათმეცნიერო ძიებანი XIV“ და „ბურჯი ეროვნებისა“ (მთავარი რედაქტორი და გამომცემელი პროფ. გ. გოგოლაშვილი).

მეტად მნიშვნელოვანი იყო კათედრის ორი წევრის (პროფ. გ. გოგოლაშვილისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის კ. გაბუნისა) მონაწილეობა საერთაშორისო სიმპოზიუმში, რომელიც ჩატარდა გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში. სიმპოზიუმის თემა იყო – ენობრივი სიტუაცია კავკასიაში. სიმპოზიუმზე მათ წაიკითხეს მოხსენებები თემებზე:

გ. გოგოლაშვილმა, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის თანამედროვე სტატუსი და კ. გაბუნიამ – ქართული და მისი მონათესავე ენები (სოციოლინგვისტური ანალიზი).

სახელმწიფო ენის გაერცელების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კათედრის ორი წევრი (ნ. შარაშენიძე, კ. გაბუნია) არის ეუთო-ს ეუუკ-ის ექსპერტი ქართული ენის სწავლების საკითხში. მათი ავტორობით მომზადდა შემდეგი წიგნები:

1. სამნაწილიანი – „საიმედო“ – ქართული ენის სახელმძღვანელო სომხურენოვანი მოსახლეობისათვის, შეიცავს სავარჯიშოების კრებულს, რომლის მე-3 ნაწილი იბეჭდება.

2. ქართული ენის თვითმასწავლებელი თურქულენოვანი მოსახლეობისათვის;

3. სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის სომხურენოვანი სტუდენტებისათვის I და II ნაწილი, მომზადებულია I ნაწილი.

კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამ წელს წარმატებით დაიცვა დისერ-

ტაცია თ. ცხადია ამ თემაზე: „აბსტრაქტული და მსგავსებანირო-ბის გამომხატველი სახელები მეგრულსა და ძველ ქართულში“;

კათედრის მაძიებელმა ე. ბერიშვილმა, წარმოადგინა დისერტაცია თემაზე „ფრაზეოლოგიზმები ქართულ ოთხთავში“ (რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მაჩხანელი).

ქართული ფილოლოგიური სკოლის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმატების დასტურია ადიშის ოთხთავის ახალი გამოცემა, რომლის პრეზენტაცია 2003 წელს მოეწყო. ძვირფას ქართულ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი ადიშის ოთხთავის სახელით არის ცნობილი. იგი გადაწერილია 897 წელს, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაფუძნებულ შატბერდის სავანეში. იგი ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერია ქართულ ოთხთავთა შორის. მას მშვენიერი მინიატურებიც ამშვენებს. დღეისათვის ადიშის ოთხთავის რამდენიმე არასრული აღწერილობა იყო გამოცემული. პროფ. ზ.სარჯველაძემ ითავა დაედგინა ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტი და მოემზადებინა მისი აკადემიური გამოცემა. მრავალწლიანი შრომა დასრულდა შესანიშნავი გამოცემით, რაშიც სხვებთან ერთად წვლილი მიუძღვით ჩვენ შესანიშნავ მეცნიერებს (მათ შორის მ.მაჩხანელსაც).

ახალი ქართული ენის კათედრა (პროფ. ე. ბაბუნაშვილი). ახალი ქართული ენა თეორიული, პრაქტიკული თუ სპეციალური კურსების სახით ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე იკითხება, მათ შორის ფაკულტეტების რუსულ სექტორებზეც.

კათედრამ დაასრულა მუშაობა ორწლიან თემაზე „ახალი ქართული ენის კათედრის ისტორია“.

კათედრა მუშაობს ცალკეული კურსების პროგრამებზე, მეთოდურ მითითებებსა და სახელმძღვანელოებზე. გადამუშავდა და უკვე იბეჭდება ახალი ქართული ენის ძირითადი პროგრამა (ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის), დასრულდა მუშაობა და მალე გამოიცემა ქართული მეტყველების კულტურის სახელმძღვანელო, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ენის პრაქტიკულ სწავლებას არასპეციალურ ფაკულტეტებზე.

კათედრის წევრები მონაწილეობდნენ რესპუბლიკური და საერთაშორისო გრანტებით გათვალისწინებულ სამუშაოებში:

პროფ. თ. უთურგაიძე ხელმძღვანელობდა პროექტს სახელთა და ზმნათა კომპიუტერული სისტემის დამუშავებას (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი);

დოც. შ. აფრიდონიძე მონაწილეობდა ინგლისურ-ქართული კომპიუტერული ლექსიკონის შექმნაში (დიდი ბრიტანეთის სამთავრობო გრანტი).

პროფ. ა. არაბული ხელმძღვანელობდა ქართული ენის მანქანური ფონდის შექმნას (გრანტული დაფინანსების პროექტი).

კათედრის წევრები წარმატებით მუშაობენ უცხოელ სტაჟიორებსა და ასპირანტებთან, ასევე, საქართველოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დოც. მ. ნიკოლაიშვილის სპეციალური სახელმძღვანელო ქართული ენის არაქართველ შემსწავლელთათვის და მის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდური მიდგომები.

კათედრა მონაწილეობდა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე საიუბილეო ღონისძიებებში, შიძღვნილს შ. ძიძიგურის 90 წლისთავისადმი (შიძღვნითი კრებული დაიბეჭდა 2002 წელს), ო. ურიდიას ხსოვნისადმი და სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ონომასტიკის ლაბორატორიამ ფ. ერთელიშვილის 80 წლისთავს მიუძღვნა 2003 წლის ნოემბერში.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაში, რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სესიაში, სხვა სამეცნიერო სესიებში მონაწილეობდნენ კათედრის თანამშრომლები (გამოქვეყნებულია თეზისებისა და მასალების სახით).

დოც. შ. აფრიდონიძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თ. უკლებამ დაასრულა მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე (ხელმძღვანელი პროფ. ი. კიკნაძე); საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა პროფ. ე. ბაბუნაშვილის ასპირანტმა ი. ბებიაშვილმა.

რეგულარულად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე (ხელმძღვანელი დოც. ლ. გეგუჩიაძე), სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო ღონისძიებებში. ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა დ. ანფიმიადიმ სტუდენტთა 2003 წლის რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე პირველი ადგილი მოიპოვა.

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრა (პროფ. თ. გამყრელიძე) საფაკულტეტო შორისოა. მას აქვს ორი განყოფილება: ზოგადი ენათმეცნიერების – ფილოლოგიის ფაკულტეტზე და სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კომპიუტერულ მეცნიერებათა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულ-

ტეტზე. ამას გარდა, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორ-მასწავლებლებს მიჰყავთ ზოგადი და თეორიული კურსები ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე. კათედრის გამგის აკად. თამაზ გამყრელიძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით დასრულდა მუშაობა თეორიული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოზე.

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრასთან ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი ლინგვისტური სემინარი, რომელზეც მოხსენებებს კითხულობენ ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ისტორიკოსები. კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ როგორც საუნივერსიტეტო, ისე რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში. ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრამ წელს უკვე მესამედ უმასპინძლა საერთაშორისო სიმპოზიუმს „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“.

პროფ. მ. ანდრონიკაშვილი აგრძელებს მუშაობას ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებზე. იგი წელს იკვლევდა ფონეტიკური და სემანტიკური კრიტერიუმების მნიშვნელობას ინდო-ირანული ენებიდან ქართველურ ენებში შეთვისებული ლექსიკის ქრონოლოგიისა და შემოსვლის გზების დადგენის საკითხში. იგი გამოსაცემად ამზადებს მისი ცნობილი მონოგრაფიის – „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ – II ტომის II ნაწილს.

პროფ. ნ. ქუთელია იკვლევდა შრჩ და ჩშრ სტრუქტურის კონსონანტურ ჯგუფებს ზანურში. მან მიზნად დაისახა ფონემათა არანჟირების სტრუქტურული კანონზომიერების დადგენა ზანურში (რესპ. მეგრულ-ლაზურში). ეს პრობლემა უშუალოდ ძირეულ და აფიქსულ მორფემათა ფონოლოგიური სტრუქტურისა და მათი შეერთების სინტაგმატურ კანონზომიერებათა საკითხს ეხება. პროფ. ნ. ქუთელიამ დაადგინა, რომ ზანური ფონოტაქტიკის თვალსაზრისით, ერთი მორფემის ფარგლებში სრულად დაშვებულია სონანტი თანხმონის მომდევნო პოზიციაში ნებისმიერი სიდიდის კონსონანტურ ჯგუფში. გამონაკლისს შეადგენს შრჩ და ჩშრ სტრუქტურის კონსონანტური ჯგუფები; თუმცა, ამ სისტემას ახასიათებს გარკვეული დისტრიბუციული შეზღუდვები. პროფ. ნ. ქუთელია გამოსაცემად ამზადებს მონოგრაფიას „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“.

პროფ. კ. ჭრელაშვილი აგრძელებს წოვა-თუშური ენის სალექსიკონო მასალის მომზადებას დასაბეჭდად. აქედან 700 სიტყვა დანართის სახით დაიბეჭდა მისსავე მონოგრაფიაში „წოვა-თუშური ენა“, თბ., 2002. მიმდინარე წელს პროფ. კ. ჭრელაშვილმა წაიკითხა სამი მოხსენება – ორი ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე: კომპარატივის კატეგორია ქართულში და „ივრის არტანი“; ხოლო მესამე მოხსენება თემაზე, ტოპონიმ სპეროზას ეტიმოლოგიისთვის წარმოადგინა თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სამეცნიერო სესიაზე.

პროფ. ი. მელიქიშვილი საანგარიშო პერიოდში მუშაობდა თემაზე „ქცევა და ასპექტის კატეგორიათა ურთიერთმიმართებისთვის“. ამ მიზნით მან შეისწავლა ქცევის კატეგორიის ფუნქციონირება ქართველურ ენებში. ქცევის კატეგორიის მეშვეობით მყარდება მიმართება ზმნასა და მასთან დაკავშირებულ აქტანტებს შორის. ამდენად, ქცევა პრედიკაციის განხორციელების საშუალებაა ქართველურ ენებში და ქცევის ექსპონენტები გამოხატავენ სხვადასხვა სახის მიმართებებს აქტანტებთან. მისი აზრით, ქცევის კატეგორია პრედიკაციას ახორციელებს ქართველურ ენებში ანალიზური ენების მეშველი ზმნების მსგავსად.

პროფ. ი. მელიქიშვილმა 2003 წელს გამოაქვეყნა შრომა: „Lider die Evolution des Begriffes „Freiheit“ (Was die Worte „Freiheit“ und „Tavisupali“ erzaehlen), Die Christengemeinschaft, 7-8, 2003. წელსვე კრებულში – „ენა და საზრისი“, დასაბეჭდად გადასცა სტატია: „თავისუფლების“ ცნების აღმნიშვნელ სიტყვათა ეტიმოლოგიური დიაპაზონისათვის. სოციალურიდან – ინდივიდუალურამდე“.

პროფ. მ. ქურდიანის წლიური სამეცნიერო თემა იყო „მესამე ტიპის უმლაუტი სვანურში“. აქამდე ცნობილი ორი ტიპის უმლაუტს: პალატალურსა და უკანა მიმართულების უმლაუტს სვანურში პროფ. მ. ქურდიანმა დაამატა მესამე ტიპის უმლაუტი, რომელსაც იწვევს ირაკიონალური ხმოვანი (შ). იგი ამ საკითხზე ამზადებს ნაშრომს გამოსაცემად. პროფ. მ. ქურდიანმა 2003 წელს გამოაქვეყნა სტატიები სხვადასხვა საკითხზე: საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციაზე; გალაკტიონოლოგიაზე და ა.შ.

პროფ. მ. ქურდიანი 2003 წელს აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში:

1. The Great Silk Road – Transit of Great Culture. 1st International Silk Road Symposium June 25-27, 2003. Tbilisi. Georgia (თანაავტორი მზია ჩიჩუა);

2. Роль лингвистического учения В. Гумбольдта в формировании вербоцентрической теории предложения. Международный симпозиум МАПРЯЛ. Тбилиси. 10-12 октября, 2003 (თანაავტორი მზია ზაქარიაძე);

3. К вопросу о проблемах общекавказской интеграции (традиционная геополитика Кавказа на фоне глобализации). Международная конференция: Археология, Этнология и Фольклористика Кавказа. Ереван, 17-18 ноября. 2003 (თანაავტორი მზია ჩიჩუა).

პროფ. თ. ბოლქვაძემ 2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე, ენა და დიდი ტრადიცია (ენათა სოციოლინგვისტური ტიპოლოგია და ენობრივი პოლიტიკის საკითხები). ნაშრომის სხვადასხვა ნაწილი მოხსენებების სახით იკითხებოდა საერთაშორისო კონფერენციებზე 2003 წელს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

წელსვე გამოქვეყნდა მისი ორი სტატია:

1. The Georgian Dictionary by Sul Khan-Saba Orbeliani (1658-1725), History of Linguistics 1999, Selected papers from eight international Conference of the history of the Language Sciences, Fontenay-St. Cloud, Edited by Sylvian Auroux, ENS-LSH, Lyon, Sohn Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia, 2003.

2. A. Cikobava, „sur l' historicisme dans les theories linguistiques, Le discours Sur la langue en URSS a l' e'poque stalinienne (epistemologie, philisophie, ideologie), edite par Patrick Seriot, Cahiers de l'ILSL, n 14, Universite de Lausanne, 2003.

დოც. ი. თევდორაძე 2003 წელს იკვლევდა განხშვის ერთ-ჟამიერობის საკითხს აქცესიურ და დეცესიურ კომპლექსებში. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხოლოდ დეცესიურ (მარმონიულ) კომპლექსებში შემავალ თანხმოვანთა არტიკულაცია როდი მიისწრაფვის ერთ-ჟამიერობისაკენ; საზიარო არტიკულაცია (იგულისხმება განხშვის მომენტი) ახასიათებს აქცესიურ კომპლექსებსაც. ამასთან დაკავშირებით იგი აყენებს „ანტიციპატორული კოარტიკულაციის საკითხს“.

ამავე წელს დოც. ი. თევდორაძემ ენციკლოპედიისათვის „ქართული ენა“ მოამზადა სტატიები: რიტმი, ტონი, ჩქამი, ტემპი, ტემბრი, პროსოდია და მარცვალი.

დოც. ნ. ჩიქოვანის წლიური სამეცნიერო თემა იყო „სემანტიკა და წინადადების სტრუქტურა“. მისმა კვლევამ აჩვენა, რომ პო-

ლისემანტური სიტყვის მნიშვნელობა რეალიზდება განსაზღვრულ სტრუქტურულ მოდელში. ხშირ შემთხვევაში არ არსებობს ცალსახა თანაფარდობა წინადადებაში სიტყვათა წყობასა და მისი ბირთვის შინაარსს შორის. მაგალითად, მოძრაობისა და ხედვის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკა გავლენას ახდენს წინადადებაში სიტყვათა წყობაზე. მასალად გამოყენებული იყო ქართველი კლასიკოსების – მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას პროზა.

პროფ. თ. გვანცელაძე საანგარიშო პერიოდში მუშაობდა აფხაზური ენის სახელთა მორფოლოგიაზე. ეს შრომა აისახა 2003 წელს იენესკოს ეგიდით (კონტრაქტი № 4500005265) გამოცემულ ორტომეულში „აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის.“ იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და სესიებში. წელს გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე მისი წერილი: La „gnette des langues“ au Caucase (1917-1950), - Le discours Sur la langue en ERSS a l'epoque Stalinienne (epistemologie, philosophie, ideologie). edite par Patrick Seriot, Cahiers de FILSL` n 14, Universite de Lausanne, 2003.

პროფ. თ. გვანცელაძემ კათედრის რეკომენდაციით ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“ 2003 წლის II ნომერში გამოაქვეყნა სტატია: „არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? (პასუხად პროფ. ა. ონიანს)“.

დოც. ი. ლეჟავა წელს იკვლევდა მუღერობის აკუსტიკურ კორელატებს. მან სვანურ ენაზე იზოლირებულად წარმოთქმული სიტყვების ოსცილოგრამებისა და სპექტოგრამების ანალიზით გაარკვია, რომ ნაპრალონების მუღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირების აკუსტიკური რეალიზაცია განსხვავებულია პოზიციების მიხედვით და განისაზღვრება რამდენიმე ურთიერთსაკომპენსაციო პარამეტრით – მუღერობით, ჩქამის ინტენსივობითა და გრძლიობით. ამავე საკითხზე დოც. ი. ლეჟავამ წაიკითხა მოხსენება ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე 2003 წელს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ბაბუხაძია აგრძელებს მუშაობას ნიკო მარის ლინგვისტური თეორიის ტიპოლოგიური ასპექტების კვლევაზე. მან 2003 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ამ საკითხზე. ამავე წელს ნ. მარის იაფეტური თეორიის ძირითად დებულებებზე წაიკითხა მოხსენება თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების V სამეცნიერო სესიაზე.

2003 წელს მ. ბაბუხადიამ გამოაქვეყნა ორი სტატია:

1. სახელმწიფო, არასახელმწიფო, ეროვნული, და ეთნიკური ენების ცნებები და ამასთან დაკავშირებული ენობრივი პოლიტიკის საკითხები (თანაავტორები: ქ. გოჩიტაშვილი, ნ. შარაშენიძე), ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2003.

2. რელიგია, საზოგადოება, თანამედროვეობა და ახლო მომავალი, ენგის სახლი, № 3-4, 2003.

კავკასიურ ენათა კათედრის (პროფ. ტ. სიხარულიძე) ამოცანას შეადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხივე ჯგუფის (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური) ფონეტიკური, ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მიმართებების კვლევა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

კავკასიის ხალხთა ენების ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის მეცნიერული იდეა დატვირთულია პოლიტიკური თვალსაზრისითაც და უშუალოდ უკავშირდება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს – ერთიანი და მშვიდობიანი კავკასიის შესახებ. ამ ეტაპზე და მომავალშიც, გარდა ტრადიციული შესწავლისა, აუცილებელია აუდიო-ვიზუალური და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს კავკასიურ ენათა „ცოცხალი სახით“ დაფიქსირება-შენახვას.

კათედრის წევრები მუშაობენ თემაზე: ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ისტორია, XX საუკუნის 40-60-იანი წლები. თემის შემსრულებელთა შორის საკითხები ასეა განაწილებული:

პროფ. ტ. სიხარულიძე – ქართული კავკასიური სკოლის ისტორია – ლეზგიური ჯგუფის ენები (უდიური ენები).

პროფ. ალ. მაჰომეტოვი – ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ისტორია – დარგუული ენა.

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი ვ. შენგელია, დოც. რ. ჯანაშია – ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ისტორია – აფხაზურ-ადიღური ენები.

ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი ც. ბარამიძე – ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ისტორია – თაბასარანული ენა.

დოც. ეკ. ოსიძე, დოც. ნ. იოსავა, მეცნ. თანამშრომელი ეთ. ვიბლიანი – ქართველური ენები, სვანური ენა.

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ბ. შავხელიშვილი – ჩაჩნური ენები.

უ/მასწ. რ. აბაშია – დაღესტნის ენათა ქვეჯგუფი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები.

მასწ. ნ. რუხაძე - „შამ-დაღის ენები“ (ბუღდუხურ-ხინაღულურ-კრიწული - კავკასიის ძველ ალბანურ ენათა ნაშთები).

მასწ. თ. უჯუხუ - ადიღეურ და ყაბარდოული (ზემო ადიღეური) ენები.

კავკასიურ ენათა კათედრის წლიური თემა „ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ისტორია, XX ს. 40-60-იანი წლები“ გარდამავალია, შრომის ამ ნაწილში იგულისხმება II ეტაპი, ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი კავკასიოლოგიაში - კავკასიური სამყაროსადმი დამოკიდებულება თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ იყო განსაზღვრულ-ნაკარნახევი („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბ., 1937 წ. წინასიტყვაობა XV...).

კათედრის წევრებმა დოც. ექ. ოსიძემ და დოც. ნ. იოსავამ წარმოადგინეს რუსულ ენაზე ნათარგმნი არნ. ჩიქობავას „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, თბ., 1965, I ნაწილი.

კათედრაზე მუშავდება უდიურ-ქართული ლექსიკონი - პროფ. ტ. სიხარულიძე; კათედრის წევრმა, მასწ. ნ. რუხაძემ უდიურ-ქართული ლექსიკონის უდიური ენის მასალა შეუდარა თემატურ მასალას (ლექსიკონი მზადდება გამოსაცემად); ლექსიკონში ახალი რედაქციითა და კომენტარებით წარმოდგენილი იქნება ს. ბეჟანოვის მიერ უდიურად თარგმნილი (1893წ.) და „СМОНІК“ში გამოქვეყნებული (1902წ.) „ოთხთავიდან“ (სახარებიდან) 1. „სახარებაჲ მათეს თავისაჲ“ და 2. „სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ“. ლექსიკონს დართული ექნება თავისებურ ფორმათა და გამოთქმათა განმარტება.

კათედრის მაგისტრანტები ხ. კაკავა, ნ. ჯაფოშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო მუშაობაში.

კავკასიურ ენათა კათედრამ (პროფ. ტ. სიხარულიძე), წარმოადგინა პროგრამა სოც. ლინგვისტიკაში (საგანი შეტანილია საუნივერსიტეტო დისციპლინათა ნუსხაში).

კავკასიურ ენათა კათედრას აქვს თავისი გვერდი ინტერნეტში, ინფორმაცია ამის შესახებ მოხსენდა დეკანატს.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის (პროფ. ე. ხინთიბიძე) პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობა შემდეგი თემატიკით წარიმართებოდა:

პროფ. ე. ხინთიბიძის წლიური შრომა - „რუსთველოლოგია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, გარდამავალი იყო, მუ

შავდებოდა 2002 და 2003 წლებში. დღეისათვის შესრულებულია შემდეგი სამუშაო: შეკრებილია მასალა, შედგენილია სრული ბიბლიოგრაფია, გაკეთებულია ძირითადი დასკვნები და განსოგადებები. 2004 წლისთვის გამოიზნულია ამ თემის ლიტერატურულად გაფორმება და საბოლოო სახით დაბეჭდვა, რათა იგი შეტანილი იქნეს კრებულში: „ძველი ქართული მწერლობის შესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელსაც კათედრა ამზადებს გამოსაცემად.

პროფ. რ. სირაძე ამუშავებდა თემას – „ქართული ესთეტიკის ისტორიის შესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. დამუშავებული აქვს რამდენიმე საკითხი. რ. სირაძე განაგრძობს აღნიშნულ თემაზე მუშაობას.

პროფ. გრ. ფარულავას ნაშრომი „მიწიერისა და ღვთაებრივის შეხავეების პრინციპისათვის ძველ ქართულ ლიტერატურაში“ მიზნად ისახავს წარმოაჩინოს, თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში რეალური და იდეალური, მატერიალური და სულიერი. ყველგან თავს იჩენს სწრაფვა მათი შეხავება-გამთლიანებისკენ. „მარტივობათა“ ჟანრის თხზულებებში ეს დაახლოება ერთობ „ძვირად“, სიკოცხლის მსხვერპლად მიტანით მიიღწევა.

პროფ. რ. ბარამიძე – ჰაგიოგრაფიისა და პომილეტიკის შესწავლა XX საუკუნის მანძილზე (2003-04 წწ. გეგმა).

ქართული ჰაგიოგრაფიისა და პომილეტიკის შესწავლას ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო XX საუკუნეში აკად. კორნელი კეკელიძის მიერ საგანგებო ყურადღება დაეთმო ამ ჟანრის თხზულებათა შესწავლას და თვით ბატონი კორნელისა და მისი მოწაფეების მუშაობის შედეგად ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე აღნიშნული თხზულების კვლევამ განსაკუთრებული მასშტაბურობა მიიღო.

აკად. კ. კეკელიძემ თავის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის I და II ტომებსა და ეტიუდებში დაბეჭდილ ნაშრომებში საგანგებო ყურადღება მიაქცია ჰაგიოგრაფიისა და პომილეტიკის ჟანრის თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ და ლიტერატურულ საკითხებს, რომელთა კვლევა შემდეგში განაგრძევს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის სხვა წევრებმა.

დოც. ლ. გრიგოლაშვილის ნაშრომში – „კ. კეკელიძე და ქართული ჰიმნოგრაფია“ გამოკვეთილია კ. კეკელიძის სამეცნიერო

მოღვაწეობის მთავარი ეტაპები დაკავშირებული სასულიერო პოეზიის განვითარების საკვანძო საკითხებთან.

კ. კეკელიძის ფუნდამენტური ნაშრომები, რომელთა მეშვეობით ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევა გასცდა ქართველოლოგიის ჩარჩოებს, აღიარებულია მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა მიერ, ამ შრომებით შექმნილია მყარი ტრადიციები ქართული პოეზიის შესასწავლად.

ბ. ზარიძე იკვლევს თემას – „სერაპიონ ზარზმელის ცხორების“ საკითხები.

დღემდე სადავოა, როდის დაიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხორება“, ერთნი მას VII საუკუნის ძეგლად თვლიან, სხვანი კი X საუკუნეს აკუთნებენ. XI საუკუნეში ჩამოყალიბებულად მიიჩნევდნენ მის მეტაფრასულ რედაქციას. სადავოა ამ ძეგლის სიუჟეტურ-კომპოზიციური ერთიანობის საკითხიც, ამტკიცებენ, რომ მის ჩვენამდე მოღწეულ რედაქციებში, რომელიც ზარზმის ბერთა წინაშე გაკეთებული მოხსენებაა, სამი სხვადასხვა მთხრობელის ხმა განიჩნევა. ერთი ბასილისაა, ერთი მისი ინფორმატორის, რომელიც თან უნდა ხლებოდა სერაპიონს სამონასტრე ადგილის შემოწერისას. ამათგან განსხვავებულია გიორგი მაწყვერელის ნაამბობი.

სპეციალური დაკვირვება კი გვიჩვენებს, რომ ძეგლი თავიდანვე ერთიან თხზულებად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

დოც. ლ. ჭუმბურიძის წლიურ თემაში მხატვრული გამონაგონისა და ისტორიული სინამდვილის ურთიერთობის საკითხი აღნიშნულია, რომ არსებობს ორგვარი სინამდვილე: ფანტაზიით შექმნილი სინამდვილე, რომელიც მხატვრული გამონაგონის სახელითაა ცნობილი და რეალური, ისტორიული სინამდვილე.

წლიური თემის მიზანია ამ სინამდვილეთა შორის ურთიერთობის გარკვევა, რადგან სხვადასხვა ეპოქაში მათ შორის განსხვავებული დამოკიდებულებაა.

ამ თვალსაზრისით, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია როგორც სასულიერო მწერლობის ზოგიერთ ძეგლზე, ისე კლასიკური ეპოქის სახოტბო პოეზიასა და მატთანზე.

დოც. ო. გოლიაძემ მიმდინარე სასწავლო წელს სამეცნიერო მუშაობის გეგმით დაასრულა შემდეგი თემა – სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედების მხატვრული სპეციფიკისათვის.

ნაშრომში არაერთი სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროს გამოყენებით ნაჩვენებია, რომ შუასაუკუნეობრივი კულტურის

ასე თუ ისე მყარი მხატვრული სისტემის კვალობაზე იმდროინდელი ქართული ლიტერატურული წრის (ს.-ს. ორბელიანი, დ. გურამიშვილი) სულიერი განწყობილება მეტწილად განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით და, იმავედროულად, ორივე შემოქმედის ლიტერატურულ ნაღვაწში შეინიშნება სიმბოლოსა და ალეგორიის ერთგვარი დომინირება, აგრეთვე, თვალშისაცემია პესიმისტური მოტივების არცთუ იშვიათად გაჟღერება, თუმცა შემოქმედებითი კავშირი ადრეულ მემკვიდრეობასთან მთლიანად სულაც არაა დარღვეული და უწინდელი პრინციპები კვლავაც თვალსაჩინოდ იგულვება, ოღონდ ახლებური მნიშვნელობით.

დოც. დ. მენაბდემ მონაწილეობა მიიღო კათედრის ერთობლივი თემის დამუშავებაში: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.“ მან საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ძველი ქართული ლიტერატურის ე.წ. აღორძინების ხანის მწერლობის შესწავლაზე. ცნობილია, რომ აღორძინების ხანის ლიტერატურის კვლევას დიდი ადგილი დაეთმო კ. კეკელიძის, ა. ბარამიძის, ლ. მენაბდის ნაშრომებში;

ქ. გაფრინდაშვილის წლიური ნაშრომია - იოანე ზედაზნელის ცხოვრების არქიტექტონიკა, რაც გულისხმობს ძველის არქიტექტონიკის გარკვევას არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეუკრავია და ერთგვარად დაულაგებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, არამედ იმითაც, რომ ამ ნაწარმოებში დასმული სათქმელის ერთგვარად გაურკვეველობამ გამოიწვია მისი ჟანრის არასწორი განსაზღვრა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იოანეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები განფენილია ასურელ მამათა „ცხოვრებებში“.

ნ. გონჯილაშვილის ნაშრომში - ნინოს ცხოვრების ერთი ეპიზოდის გააზრებისათვის, განხილულია შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციაში მოთხრობილი იესო ქრისტეს ჯვარცმასთან და კვართის ამბავთან დაკავშირებული მცხეთელ ებრაელთა დიასპორის ეპიზოდი. კ. კეკელიძე ნარკვევში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ნაწილში, რომელშიც იხილავს წყაროებს და ეროვნულ ტენდენციებს, ეხება რა თხზულების ამ დამოუკიდებელ მონაკვეთს, აღნიშნავს, რომ თხზულება „პოვნა პატიოსნისა ჯუარისა“, რომელიც ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ქრისტეს ჯვრის ძებნის ამბებს მოგვითხრობს, როგორც წყაროს, თავი უჩენია „მოქცევა ქართლისაჲს“ VII თავში, სადაც მოთხ-

რობილია მცხეთაში იერუსალიმიდან ქრისტეს კვართის მოტანის ამბავი.

ი. ნაცვლიშვილის თემაა – პერსონაჟის სიტყვა ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატინანში“. პერსონაჟის მეტყველება ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ელემენტია, რომელიც ერთეუბა სიუჟეტის განვითარებაში. შუა საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფია, რომელიც ბევრად სცილდება ქრონიკის ჩარჩოებს და თხრობის ლიტერატურულ პრინციპს მისდევს. დიალოგებისა თუ მონოლოგების სიმრავლით გამოირჩევა. განსაკუთრებით მდიდარია ამ თვალსაზრისით „ასწლოვანი მატინანე“, სადაც პერსონაჟის სიტყვა აქტიურად ფუნქციონირებს, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ისტორიკოსიც მის სპეციფიკურ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს აყალიბებს. აქ ყურადღებას იქცევს გმირის აზროვნებისა და მეტყველების მობილური სტილი, რის გამოც ამგვარ სიტყვათა მხატვრულ სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად სწორედ „ბიბლიური“ აყალიბებს.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე ოცამდე მოხსენება წაიკითხეს.

აღდგა რუსთველოლოგიური სემინარი. სემინარის პირველ შეკრებაზე მოხსენება – რუსთველი, დანტე, პეტრარკა, – წაიკითხა პროფ. ე. ხინთიბიძემ.

კათედრის წევრთა გარკვეული ნაწილი პროფ. ე. ხინთიბიძის ხელმძღვანელობით, მუშაობს ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაზე – „ქართული ლიტერატურათმცოდნეობა“.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს, პროფ. ე. ხინთიბიძის რედაქტორობით დაიბეჭდა კრებული „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“. კრებულის განსაკუთრებულ მეცნიერულ ღირებულებას კიდევ გაეესვა ხაზი აწლის 1 ოქტომბერს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აღნიშნული მონოგრაფიის პრეზენტაცია.

საგანგებო და განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს პროფ. ე. ხინთიბიძის ხელმძღვანელობით საანგარიშო წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული ტრადიციული საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა, რამაც უცხოეთისა და ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო, საუნივერსიტეტო და სამთავრობო წრეებში ძალზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ხაზგასმით და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყოველთვის, 2003 წელსაც კათედრის წევრებმა მეტად

ნაყოფიერად იმუშავეს სამეცნიერო წრეში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტუდენტთა 63-ე სამეცნიერო კონფერენციაზე (2003 წ. 14-19 აპრილი) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით წაკითხულ იქნა 22 მოხსენება.

საანგარიშო წელს შედგა დოც. ხ. ზარიძის სადოქტორო დისერტაციის – „ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის“ დაცვა.

2003 წლის 30.IX – 4.XI დოც. დ. მენაბდემ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე წაკითხა ლექციების კურსი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გვინდა აქვე აღვნიშნოთ, ის სიკეთე რაც გაცვლით პროგრამებს მოაქვს. ობიექტურად და იშვიათი პედაგოგიური აღდგენის წყალობით შეირჩა პროფ. ე. ხინთიბიძის მიერ გაგა შურღაიას კანდიდატურა და იგი ცნობილი ლიტურგისტი მიგელ არანცის მოწაფე გახდა. მან 1996 წელს რომში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი ავტორია მნიშვნელოვანი სტატიებისა ლიტურგიკასა და ზოგადად ქრისტიანული კულტურის ისტორიაში. 2000 წელს მან რომში გამოსცა „წმინდა ნინო და საქართველო“ (ოქროს საწმინის ქვეყნის ისტორია და ქრისტიანული სულიერი კულტურა), რომელიც უდავოდ მნიშვნელოვან კულტუროლოგიურ ფაქტად აღიქმება. საერთოდ გაგა შურღაიას მოღვაწეობა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ კადრს ზრდის თბილისის უნივერსიტეტი და რომ მან საკუთარი ძალისხმევით გაიკვლია გზა. ამავე დროს იგი თავის აღმზრდელ პედაგოგებს გულწრფელ მადლობას სწირავს, უძღვნის რა თავის წიგნებს ქალბატონ ელენე მეტრეველის, ლევან მენაბდის ხსოვნას. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მის მიერ შესრულებული „აბოტფილელის წამების“ იტალიური თარგმანი თავისი კომენტარებით, მნიშვნელოვანი გამოკვლევით, დასკვნებით, ბიბლიოგრაფიული შენიშვნებითა და საძიებლებით, რომელიც სამეცნიერო გამოცემებისათვის უჩვეულო ტირაჟით გამოიცა და ევროპელი მკვლევარების თვალთახედვის არეშიც მოექცა. იგი პირველი სრული თარგმანია ტექსტისა ევროპულ ენაზე და თავისი არსით ფილოლოგიური მეცნიერების უახლესი დონეს განეკუთვნება. ჩვენი სულიერი საგანძურის მშვენება გამოცემულია „აღმოსავლური ქრისტიანული სულიერი კულტურის“ სერიალით. მას უდაოდ ზოგადკულტუროლოგიური მასშტაბი აქვს. ეს გამოცემა

მნიშვნელოვანია იმითაც, რომ თხზულება ექცევა ქრისტიანული ლიტერატურის მსოფლიო საგანძურში და მისი ქართველოლოგიური მნიშვნელობა ზოგად კულტურულ მასშტაბში გადაიზრდება. ამჟამად გ. შურღაია რომის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლა საპიენცას“ პროფესორი და ვატიკანის ბიბლიოთეკის მეცნიერ კონსულტანტი, საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია კათედრას (პროფ. ა. გომართელი) გასულ სასწავლო წელს დაგეგმილი ჰქონდა შესასრულებლად 9 სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის თემა. მუშაობაში ჩაბმული იყვნენ კათედრის წევრები.

პროფ. ა. გომართელის წლიური თემა იყო ქართული ლირიკის რელიგიური ნაკადის სწავლებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. პროფ. ა. გომართელი მიდის შემდეგ დასკვნამდე, რომ „რელიგიური ნაკადი ქართულ პოეზიაში არ მთავრდება მარტოოდენ ჰიმნოგრაფიით. მისი ანარეკლი იგრძნობა XIX და XX საუკუნის პოეზიაშიც.“ ავტორი ამ თვალსაზრისით განიხილავს ქართველი რომანტიკოსის ნ. ბარათაშვილის „მერანს“.

დოც. ტ. სულაბერიძეს 2003 წლის სამეცნიერო საკვლევ თემად აღებული ჰქონდა მეტყველების განვითარების საკითხები ქართულ მწერლობაში – II ნაწილი.

ნაშრომში გაანალიზებულია რიგი საკითხებისა, რომელთა საფუძვლიანი დაუფლება უდავოდ აამაღლებს მეტყველების კულტურას, ასეთებია: მიმართვის, კითხვა-პასუხის და ქცევის წესების დაცვა.

დოც. ი. ქაფიაშვილი აგრძელებს მუშაობას ძველი ქართული მწერლობის სწავლების ისტორიის საკითხებზე. მის მიერ შესრულებული ნაშრომი ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების სათავეებთან წარმოაჩენს დ. ჩუბინაშვილის დამსახურებას მეთოდოლოგიური აზროვნების ისტორიაში.

დოც. რ. ძნელაძის ნაშრომია ნაცვალსახელთან დაკავშირებული ძველი ქართული ენის საკითხების სწავლებისათვის სკოლაში. ნაცვალსახელი ერთ-ერთი რთული უბანია შესწავლის თვალსაზრისით. მათი მეტი ნაწილი უბრუნველია. მხოლოდ ნაწილს ეწარმოება ზოგიერთი ბრუნვის ფორმა. მუდმივი ყურადღება სჭირდება ნაცვალსახელების გამოყენებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების სათანადო შესწავლასა და დაცვას“.

კვლევის მიზანი გახლავთ ის, რომ მოსწავლეები შეემაზადონ ჰაგიოგრაფიული ძეგლების უკეთ შესწავლისათვის.

უ/მასწ. ი. მაცაბერიძის წლიური თემა მოიცავს მოსწავლეთა აქტივობის განვითარებას სასკოლო ლექციაზე სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომში განხილულია სასკოლო ლექციის ჩატარების გზები და საშუალებანი როგორც ტრადიციული, ისე ინოვაციური, ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით.

მასწ. ნ. წერეთელი მუშაობს ქართველ კლასიკოსთა დიდებულ ნაწარმოებთა აბეგმვასა და მეთოდოლოგიურ დამუშავებაზე. ამჯერად მან წარმოადგინა ნაშრომი კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ პერსონაჟთა დახასიათებისათვის, გამოკვლევაში გამოყენებულია მწერლის მოგონებები, თუ რა წყაროებს ეყრდნობა ეს მხატვრული ნაწარმოები. ავტორი მიმართავს შედარების ხერხსა და დამაჯერებლად საუბრობს პერსონაჟთა დახასიათების გზებსა და საშუალებებზე.

მასწ. ვლ. კვიციანიას წლიური თემა „ბახტრიონის“ ზნეობრივ-აღმზრდელობითი ასპექტები – წარმოადგენს მეთოდოლოგიურ ხასიათის ნაშრომს, სადაც ყურადღება გამახვილებულია მხატვრული ნაწარმოების სწავლების აღმზრდელობითი შესაძლებლობების გააქტიურებაზე.

მასწ. ნ. ლომთაძის წლიური ნაშრომი – ქართული სასწავლებლის მეცნიერული ანალიზი (შემდგენლები: ე. სვანიძე, დ. ბაკურაძე, ს. კალატოზიშვილი, თბ., 2003). ავტორი დასკვნით ნაწილში შენიშნავს: „ეს ნაწარმოებები მდიდარია იმ ტერმინოლოგიით, რომელსაც ბავშვობიდანვე უნდა ეჩვეოდეს ყოველი ქართველი.“

მასწ. მზ. ხვედელიძის თანაავტორობით შესრულებული „ქართული ენის სახელმძღვანელო VI კლასისათვის“, დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ დამხმარე სახელმძღვანელოდ, რადგანაც დღეს სასკოლო რეფორმის მიხედვით უპირატესობა ენიჭება ახალი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით შედგენილ სახელმძღვანელოებს. წიგნს ეფექტურს ხდის გრაფიკული და ილუსტრირებული თვალსაჩინოების გამოყენება.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის (პროფ. თ. კიკაჩიშვილი) ერთმა ჯგუფმა – პროფესორების თ. კიკაჩიშვილის, ლ. მინაშვილის, ჯ. ჭუმბურიძის, ი. ევგენიძის შემადგენლობით 2003 წლის სამეცნიერო-საკვლევ თემად შეარჩია „ქართული ლიტერატურული კრიტიკის“ ქრესტომათია, ნაწ. 3. თემა გარდამავალია.

საანგარიშო პერიოდში მოძიებულია ძალზე საინტერესო მასალა მათ შორის 85–90 წლის გაზეთ „ივერიაში“ და სხვა ჟურ-

ნალებში. მიკვლეულია მასალები, რომლებიც ეხება მაგალითად გრ. ორბელიანის თარგმანს დეკაბრისტ რილეევის პოემის ეპიზოდისა „ნალივაიკოს აღსარება“, რომელიც პოეტს ქართველ შეთქმულთა დაკვეთით შეუსრულებია 1831 წელს პატრიოტული სულის აღორძინების მიზნით. თარგმანი აღმოჩნდა ორიგინალთან შედარებით სუსტი.

მე-19 საუკუნის პერიოდიკის, საარქივო და სამუზეუმო მასალების შესწავლის შედეგად ნათლად წარმოჩნდა ნ. ლომოურის მტკიცედ განსაზღვრული მოთხოვნები, რასაც უყენებდა იგი საყმაწვილო ლიტერატურას, პედაგოგიურ-მხატვრულ საბავშვო ჟურნალებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, რაც შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ - ღრმა მეცნიერული ცოდნის გავრცელება, მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა, ეროვნული სულის აღზრდა-წარმოჩენა, ესთეტიკური გრძნობის ამძღვლება და გამართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება.

გამოიკვეთა ისიც, რომ ჯერ კიდევ 1937 წელს სოლ. ყუბანეიშვილმა მისცა დასაბამი მწერალთა ირგვლივ დაგროვილი მასალის კლასიფიკაციას და შექმნა კიდევ საინტერესო დოკუმენტებისა და მასალების კრებული სახელწოდებით: „ვაჟა-ფშაველა“, I, 1937. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს სამეცნიერო კრებულებში გაფანტულ მასალებს, აკაკის გარშემო ასეთი კრებული პირველად ქვეყნდება. ცხადია, აქ არაა საკითხთა სისტემური განხილვა-განზოგადება. ესაა მხოლოდ მასალის, თუ შეიძლება ითქვას, ნედლი მასალის თავმოყრა. ანგარიში შეიცავს ვრცელ მასალას, მაგრამ გამოქვეყნების შემდგომ უმჯობესი იქნება მათი მოკლე მიმოხილვა.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა (პროფ. რ. მიშველაძე) მუშაობს სამეცნიერო კვლევით თემაზე - უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემები.

კათედრის წევრებმა წარმოადგინეს ერთწლიანი სამეცნიერო ნაშრომები. ინფორმაცია გამოქვეყნებული შრომების შესახებ არ ახლავს ანგარიშს, ამიტომ მათი ანოტაციები დაიბეჭდება შემდგომ კრებულში გამოქვეყნების შემდგომ.

ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის (პროფ. რ. სირაძე) პროფესორ-მასწავლებლები აგრძელებდნენ მუშაობას ქრისტიანული კულტურის კარდინალურ პრობლემებზე, კერძოდ, ქრისტიანულ ჯვრებზე, ქართული ეკლესიების ისტორიაზე, ტერმინოლოგიაზე, ისტორიოგრაფიაზე, ქრისტიანულ ანთროპოლოგიაზე და სხვა.

ყოველ დროს თავისი იდეალური გმირი ჰყავდა. თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეროვნული გმირი, ამას ეპოქათა იდეალები განსაზღვრავდა. იყო დრო ბრძოლისა და რაინდული შემართებისა, დრო აღმშენებლობისა და სოციალური იდეალებისათვის თავდადებისა. მაგრამ იყო დრო პრინციპთა შინაგანი შენარჩუნებისა (ვ. რწმენის შინაგანი დაცვისა. ამის გამომხატველია ეროვნული გმირის პატიოგრაფიული იდეალი. შუა საუკუნეებში სარწმუნოების მტკიცედ დაცვა ნიშნავდა ეროვნული მეობის შენარჩუნებას. ამაზე მაღალი ესთეტიკური იდეალი მაშინდელ მწერლობას არა ჰქონდა.

ამ პრობლემათა უკეთ გაცნობის მიზნით, კათედრის პროფესორ-მასწავლებლებს ორჯერ მიეცათ საშუალება ექსპედიციამოეწყოთ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ტაო-კლარჯეთში: ერთხელ ისტორიის ფაკულტეტთან ერთად, ხოლო მეორედ – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლებთან. ექსპედიციის შედეგებზე მრავალრიცხოვანი სტატიები დაიბეჭდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, თუმცა მოპოვებული მასალების კვლევა კვლავაც გრძელდება.

კათედრის თანამშრომლები აქტიურად მუშაობენ ქრისტიანული კულტურის სპეციალიზაციის ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან, რაზეც მეტყველებს რამდენიმე მათგანისთვის საპატრიარქოს სტიპენდიის დანიშვნა.

ფოლკლორისტიკის კათედრა (პროფ. ზ. კიკნაძე) საანგარიშო წელს მუშაობდა თემაზე „ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები“, რომელთა კვლევა საყურადღებოა ქართული კულტურისა და ტრადიციების შესწავლის თვალსაზრისით.

კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილ ნაშრომებში განხილულია ჯაეახეთში შემონახული ისტორიული თქმულებები, ხალხური ღირიკის კლასობრივი და სოციალური ხასიათი, ძველი და უახლესი პერიოდის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში ფოლკლორული მემკვიდრეობის შემოქმედებითი გადამუშავების მაგალითები. ეთნოგრაფიული მასალის ფონზე შესწავლილია მითოლოგიური მოტივები (როგორც კოსმიური და საქვეყნო, ისე საოჯახო მასშტაბის), რომლებშიც აირეკლა ქართველურ ტომთა მითო-რელიგიური აზროვნება და მათი ურთიერთობა ისტორიულ მეზობლებთან.

ფოლკლორისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენებები, რომელთაგან სამი აღინიშნა სპეციალური დიპლომებით. კათედრის წევრებმა დაბეჭდეს 15-მდე სტატია სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში და წაიკითხეს მოხსენებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და – თარგმანის კათედრის (პროფ. ო. ბაქანიძე) საერთო სამეცნიერო თემაა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართულ-რუსულ, ქართულ-უკრაინულ, ქართულ-ბელორუსულ და ქართულ-უცხოურ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალის (წიგნები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები) ანალიზი. თემა გარდამავალია და მიმდინარე წელს დასრულდება.

ბოლო 20 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა საკმაოდ დიდია რაოდენობით, ამიტომ დაყოფილია შემდეგ კონკრეტულ ნაწილებად (თემებად):

ა) ქართულ-უკრაინულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები (პროფ. ო. ბაქანიძე, დოც. რ. ხვედელიძე).

ბ) ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული ურთიერთობები (დოც. კ. კვაჭანტირაძე, პროფ. ნ. გაფრინდაშვილი).

გ) კათედრაზე გამოცემული ორენოვანი (სინქრონული) კრებულების ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი (დოც. ლ. ნემსაძე).

დ) კათედრაზე დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები (დოც. თ. მღებრიშვილი).

ე) მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკული საკითხები (თ. გორდეზიანი, თ. ლორთქიფანიძე).

ვ) სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა (უფ. მასწ. თ. ჩოხელი, დოც. რ. ჭანტურიშვილი).

ზ) კათედრის მიერ ორგანიზებული და მისი წევრების მონაწილეობით გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმები, კონფერენციები, სამეცნიერო სემინარები (მეც. მუშაკი მ. ჭელიძე).

ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრამ ჩაატარა რამდენიმე საერთაშორისო სიმპოზიუმი მ. გორკის სახელობის მოსკოვის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტთან, კიევის უნივერსიტეტთან და პეტერბურგის უნივერსიტეტთან ერთად (1977; 1982; 1984; 1985 წ; შესაბამისად, გამოიცა სიმპოზიუმის მასალები: ტ. 1, 1978, ტ. 2, 1982, ტ. 3, 1984, ტ. 4 1985).

კათედრის თანამშრომელთაგან დისერტაციები დაიცვეს: ნ. გაფრინდაშვილმა, მ. მირესაშვილმა (სადოქტორო), თ. გორდუზიანმა, ე. თაყაიშვილმა, ლ. ნემსაძემ, ნ. წერეთელმა (საკანდიდატო). ნ. ვერძაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პოეტური ენა და თარგმანი“.

რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის (დოც. ნ. ფორაქიშვილი) პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობა ტრადიციულად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: სასწავლო პროცესის გათვალისწინებით (ლექციები, სემინარები, პრაქტიკუმები) და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. კათედრაზე ინტენსიურად მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის ხელმძღვანელიცაა დოც. ტ. მეგრელიშვილი.

კათედრის თანამშრომელთა კვლევით ინტერესებში შედის კულტუროლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ცალკეულ რუს მწერალთა შემოქმედების სიღრმისეული კვლევა, აგრეთვე, სამეცნიერო კრებულებისა და ანთოლოგიების გამოცემა.

სლავური ენების კათედრის (პროფ. ნ. ჭოხონელიძე) წევრები განვლილი დროის მანძილზე ინტენსიურად მუშაობდნენ როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის კურსებთან. იკითხება ლექციები, რომლებიც მაქსიმალურადაა მიახლოებული ლინგვისტიკის თანამედროვე დონესთან. ეს ეხება როგორც ტრადიციულ კურსებს (თანამედროვე რუსული ენა, ენის ისტორია და სხვ.), ასევე იმ კურსებს, რომლებიც შემოღებულ იქნა უკანასკნელ წლებში (ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, რუსული ენათმეცნიერების ისტორია და სხვა). პარალელურად მიმდინარეობდა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა რუსული ენის სხვადასხვა საკითხებზე, რასაც შედეგად მოჰყვა ჟურნალის „Славистика в Грузии“ მეხუთე ნომრის შედგენა და გამოცემა.

კათედრის მასწავლებლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო სიმპოზიუმების და კონკურსების მუშაობაში, რომლიდანაც გამოიყოფოთ კათედრის გამგის, პროფ. ნ. ჭოხონელიძის გამოსვლას МАПРЯЛ-ის საერთაშორისო კონგრესზე (სანკტ-პეტერბურგი) თემაზე: „ლექსიკო-სემანტიკური გარდაქმნები“, რომელშიც მონაწილეობდა პროფ. ნ. ჭოხონელიძის და დოც. მ. ბერიას სტატიები.

კათედრაზე მომზადებულია გამოსაცემად: 1) რუსული ენის სახელმძღვანელო თურქულენოვანი სტუდენტებისთვის; 2) რუსულ-

ქართული მართლმადიდებლური ლექსიკონი; 3) ბიბლიოგრაფიული კრებული „ქართული სლავისტიკის ისტორია“. კათედრის წევრები მონაწილეობდნენ შემდეგ გრანტებში: 1) კომპლექსური სახელმძღვანელო თანამედროვე რუსულ ენაში; 2) კომპლექსური სახელმძღვანელო თურქულენოვანი აუდიტორიისთვის.

სასწავლო პროგრამები: კათედრაზე სამ წიგნად მომზადებულია და უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოიცა: ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ასპირანტურის პროგრამები. სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ხელმძღვანელობს ნ. თოფურია. თვეში ორჯერ ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო სხდომები, რომლებზეც იკითხება მოხსენებები. კონკურსის სახით ხდება მოხსენებების შერჩევა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის.

2003 წელს კათედრის სტუდენტმა ა. ხუციშვილმა რესპუბლიკურ კონფერენციაში დაიკავა მეორე ადგილი. სისტემატურად გამოდის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებული.

ტრადიციულად 2003 წლის მაისში ჩატარებულ იქნა კონფერენცია სამეცნიერო თემაზე: „საქართველოში რუსული ენის სწავლება და ფუნქციონირება ახალ პირობებში“, რომელსაც მიეძღვნა „სლავური დამწერლობისა და კულტურის დღე“. ამ თარიღებთან დაკავშირებით გამოიცა აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული (სტატია), სადაც გამოქვეყნდა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული და მოწონებული მოხსენებები.

მიმდინარე წლის დასასრულს მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის ინსტიტუტში მივლინებით გაიგზავნა უფროსი მასწავლებელი ს. ბერია, რომელიც გაეცნო აუდიტორიაში მუშაობის უახლეს მეთოდებს და ამის შესახებ გააკეთა მოხსენება კათედრაზე.

ამჟამად კათედრა ინტენსიურად მუშაობს ბიბლიოგრაფიული კრებულის „ქართული სლავისტიკის ისტორია“ დასახვეწად და მისთვის საბოლოო სახის მისაღებად.

რუსული ენის კათედრაზე (პროფ. დ. გოცირიძე) სრულდება მუშაობა რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონის შედგენაზე. ამჯერად დადგენილია სიტყვათა მოცულობა და განსაზღვრულია მისი მიზანი, შეგროვებულია მონაცემთა დიდი ბაზა.

ლექსიკონის გამოცემა 2004 წლისთვისაა დაგეგმილი პროფ. დ. გოცირიძის ხელმძღვანელობით. სამმა მაძიებელმა დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო კათედრის დოცენტმა თ. ფუტკარაძემ წარმოადგინა სადოქტორო დისერტაცია „სახის ასოცირებული ფუნქციონირება რუსულ ენა-

ში“. პროფ. ნ. ბასილაიას ხელმძღვანელობით განხილულია საკანდიდატო ნაშრომი მაძიებელ ვ. საყვარელიძისა „პერიფრაზული გამოთქმები საგაზეთო პუბლიკაციებში“.

კათედრის თანამშრომლები განსაკუთრებით ინტენსიურად თანამშრომლობენ კათედრაზე გამომავალ სამეცნიერო შრომების კრებულთან – „სლავისტიკა საქართველოში“, რომელიც იბეჭდება სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. კათედრამ ორგანიზება გაუკეთა სიმპოზიუმს აქტუალურ ჰუმანიტარულ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც აისახა 440-გვერდიან კრებულში „სათავეებთან მდინარების წინააღმდეგ სვლისა“.

კათედრის თანამშრომლები პროფ. დ. გოცირიძე, ნ. ბასილაია, ი. ნინუა და თ. ფუტყარაძე აქტიურად მონაწილეობენ „МАПРЯЛ“-ის კონგრესის – „რუსული სიტყვა მსოფლიო კულტურაში“, რომელიც 2003 წლის 30 ივნისს – 5 ივლისს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა.

ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (დოც. ი. ლეჟავა) 8 თანამშრომლის მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაო:

1. მიცემითბრუნვიანი სუბიექტის სემანტიკა და ტიპოლოგია – დადგენილია, რომ ქართული ენის მიცემითბრუნვიანი სუბიექტით შედგენილი კონსტრუქციების თავისებურებები ემთხვევა სხვა ენებში გამოვლენილ უნივერსალურ სემანტიკურ და ფუნქციურ კანონზომიერებებს.

2. ნ. მარის ტრანსკრიფციული სისტემის თავისებურებები-სათვის – ნ. მარის ნაშრომებში მოცემული ტრანსკრიფციული ნიშნების სისტემა განხილულია სხვა ტრანსკრიფციულ სისტემებთან მიმართებაში.

3. ლეზგიურ ენათა ფონოსტატიკის საკითხები – ლეზგიური ჯგუფის (უდიური, თაბასარანული, აღულური) ენების მასალაზე დადგენილია ფონემათა სიხშირე, კონსონანტურობის ინდექსი და ღია/დახურული მარცვალთშეფარდება.

4. ლექსიკური ველების კვლევა ქურთულ ენაში – დადგენილია ქურთულ-ქართული ნასესხობების განაწილება სემანტიკურ ველებში.

5. ქართული ენის ორწევრა თანხმოვანთკომპლექსების აკუსტიკური ანალიზი – გამოვლენილია დეცესიური და აქცესიური თანხმოვანთკომპლექსების აკუსტიკური თავისებურებები.

6. ქართული ენის ყრუ ხშულ-მსკდომთა აღქმისათვის - დადგენილია ყრუ ხშული ბგერების ფაზების ინფორმაციულობა ბგერათა აღქმის თვალსაზრისით.

7. თანხმოვანთკომპლექსები ქართულში, ფონოტაქტიკა - დადგენილია ქართული ენის თანხმოვანთკომპლექსების ზოგადი კონოტაქტიკური კანონზომიერებანი ძირეული მოფემის ფარგლებში.

8. ქართული ენის ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საკითხები - განხილულია დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთმართება და საწარმოთქმო ნორმათა თავისებურებები.

9. ფონეტიკის განვითარების ისტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - გამოკვლევა მომზადებულია საუნივერსიტეტო კრებულისათვის „XX საუკუნე და უნივერსიტეტი“.

ლაბორატორიის თანამშრომლები 2003 წელს მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, მათ შორის მნიშვნელოვანია მოხსენება - „ქართული ზმნის ფორმათა კონცეპტუალური რეპრეზენტაცია“ - V საერთაშორისო სიმპოზიუმი - ენა-ლოგიკა-გამოთვლები, თბილისი (რ. ასათიანი). გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია - „ქუთთიეზიდთა მრწამსი და ყოფა-ცხოვრება“ (შ. კოტეტიშვილი), „რელიგია, საზოგადოება, თანამედროვეობა და ახლო მომავალი“ (მ. ბაბუხაძე).

ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ თეზისებისა და სტატიების სახით დაბეჭდილია 11 შრომა.

ი. ლეჟავა მონაწილეობდა გრანტით გათვალისწინებული პროექტის შესრულებაში - „ქართველურ ენათა ფონოთეკა“.

ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (ფილ. მეცნ. დოქტორი პ. ცხადაია) მრავალწლიანი საკვლევე პრობლემატიკა არის ქართველური ონომასტიკა. მიმდინარე წელს გრძელდებოდა მუშაობა გარდამავალ თემაზე: „ქართველური ტოპონიმი და ანთროპონიმი (ისტორია, სტრუქტურა, სემანტიკა)“. 2003 წელს ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკთა მუშაობის შედეგები ასეთია:

პ. ცხადაია აგრძელებდა მუშაობას კოლხეთის ტოპონიმიისა და ანთროპონიმიის სტრუქტურასა და სემანტიკაზე. წაიკითხა მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე (თსუ-სა და მისი ფილიალების ფილოლოგიის ფაკულტეტების მე-6 სამეცნიერო სესიაზე; ქუთაისურ საუბრებზე; რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე. მასალები დაბეჭდილია); დაბეჭდა სამეცნიერო სტატია „ზოონომენები და ზოონიმები კახურსა და მეგრულსა“

რეალში“ (თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები, 2003წ., ტ. IV);
აგრის რედაქტორი საქართველოს ტოპონიმის III ტომისა, რო-
შიელშიც შევიდა ქვემო იმერეთის მასალები; გაუწია ოპონენტობა
ირამდენიმე სადოქტორო დისერტაციას. გამოსცა წიგნები: 1.
„სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (თანაავტორთან
ერთად); 2. „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (თანაავ-
ტორთან ერთად); 3. „წალენჯიხის რაიონის გეოგრაფია და გეოგ-
რაფიული სახელწოდებანი“ (ბ. გერგედავასთან ერთად).

გ. ხორნაული მუშაობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის
ღიალექტების – მთიულურ-გუდამაყრულის, მოხეურისა და ფშაუ-
რის – მიკროტოპონიმის ლექსიკაზე (დარგობრივი და შედარე-
ბითი ანალიზი). წაიკითხა მოხსენება „პირის საკუთარი სახე-
ლები ქართულში“ III რესპუბლიკურ ონომასტიკურ სამეცნიერო
სესიაზე. დაბეჭდა მონოგრაფია „ქართული ონომასტიკა“ (თსუ
გამომცემლობა), აგრეთვე „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ და ფოლ-
კლორული კრებული „კიდევაც დაიზრდებიან“. შეადგინა ხევისა
და მთიულეთ-გუდამაყრის ანბანური და ინვერსიული ლექსიკონი.

უ. სახლთხუციშვილი აგრძელებს მუშაობას მონოგრაფიაზე
„გარეკახური და ქიზიყური კილოკავების აპელატიური და ონი-
მური ლექსიკა“. წაიკითხა მოხსენებები III რესპუბლიკურ ონო-
მასტიკურ სამეცნიერო სესიაზე, აგრეთვე თსუ და თსუ ფილია-
ლების VI სამეცნიერო სესიაზე. დაბეჭდილი აქვს სტატიები:
„შიბლიანი – ანთროპოტოპონიმი“, თსუ სიღნაღის ფილიალის
შრომები, ტ. IV; „ყვარლის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის“, ილიას
კაბინეტის შრომები, II, თბ., 2003. გამოსცა „გარეკახური ლექ-
სიკონი“ (400-მდე გვ.); თსუ-ში ატარებს ლექციების კურსს ონო-
მასტიკაში; რამდენიმე სტუდენტი მოამზადა სამეცნიერო კონფე-
რენციებისათვის.

ქ. გოდერძიშვილი აგრძელებს მუშაობას ქართული ანთრო-
პონიმების სტრუქტურასა და სემანტიკაზე. გამოსცა მონოგრაფია
„ანთროპონიმიკური ძიებანი“. III რესპუბლიკურ ონომასტიკურ
სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება „გვარი თუ გვარსა-
ხელი?“

ვ. ჯოჯუამ მოამზადა და გამოსცა „სამურზაყანოს გეოგრა-
ფიული სახელწოდებანი“ (თანაავტორთან ერთად) და „რაჭის გე-
ოგრაფიული სახელწოდებანი“ (თანაავტორთან ერთად). იკვლევს
იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის ღიალექტების ტოპონიმურ ლექ-
სიკას. შეადგინა და გამოსცა „საქართველოს ტოპონიმია (მასა-
ლები) ტ. III, ქვემო იმერეთი“ (ორ თანაავტორთან ერთად).

მ. კემულარია იკვლევს იმერხევის ტოპონიმთა. წაიკითხა სამეცნიერო მოხსენებები კონფერენციებზე, რომლებიც გაიმართა ახალციხესა და თბილისში. არის თანაავტორი ლექსიკონისა „საქართველოს ტოპონიმთა (მასალები) ტ. III, ქვემო იმერეთი“. აგრძელებს მუშაობას ქვემო ქართლის ტოპონიმთა ლექსიკონზე.

ა. ასრათოემა მოამზადა და დასაბუჯდად გადასცა თსუ გამომცემლობას ნაშრომი „საინგილოს ონომასტიკა“. გამოაქვეყნა სტატიები: 1. „ისევ ზაქათალას შესახებ“, საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003. 2. „საინგილოს ტოპონიმები ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „ატლასების“ მიხედვით“, ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“, №№3-4, 5-6, თბ., 2003. წაიკითხა მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე: ა) „ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ინგილოურ ტოპონიმთაში“ (თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ე. თაყაიშვილის დაბადების 140-ე წლისთავისადმი. მასალები, თბ., 2003); ბ) ტოპონიმ „საინგილოს“ გაგებისათვის (III რესპუბლიკური ონომასტიკური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ფ. ერთელიშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი). გამოსცა წიგნი „საინგილოს ღირსეული მამულიშვილები“; შეადგინა და დაბეჯდა პროგრამა ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის „ისტორიული ჰერეთი – საინგილო“. მუშაობს ინგილოურ დიალექტის ლექსიკასა და ტოპონიმთაზე.

ს. მელიქიძე აგრძელებს მუშაობას ქართველურ საკუთარ სახელთა ფონემატურ სტრუქტურაზე. იკვლევს ქართლური დიალექტის ტოპონიმთა აპელატიურ ლექსიკას. წაიკითხა მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე: 1. „აფრიკატთა და სპირანტთა სამწვერა ტიპის კომპლექსები ტოპონიმთაში“ (III რესპუბლიკური ონომასტიკური სამეცნიერო სესია); 2. „აბრუბტივები პტკ-ს სამწვერა ტიპის კომპლექსები ტოპონიმთაში (თსუ მესხეთის ფილიალის სამეცნიერო კონფერენცია); 3. „ხშულთა და ნაპრალოვანთა CVC კომპლექსები“ (თსუ მესხეთის ფილიალის სამეცნიერო კონფერენცია); დაბეჯდა სამეცნიერო სტატიები: ა) „დაიტიჟა“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის (თსუ მესხეთის ფილიალის შრომები, III, თბ., 2003); ბ) CVC ტიპის კომპლექსები ონომასტიკასა და ცნებით ლექსიკაში („კავკასიის მაცნე“, №4). გადაცემულია დასაბუჯდად შრომები: ა) „ქვაბისხევის ონომასტიკონი“, ბ) „ბაკურიანის ონომასტიკონი“. დაასრულა მუშაობა

მონოგრაფიაზე: „ქართულ საკუთარ სახელთა (გვარები, ტოპონიმები) ფონემატური სტრუქტურა“ (250 გვ.).

ქართულ-სახლგარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ს/კ ლაბორატორიის (პროფ. ე. ხინთიბიძე) თანამშრომელთა საკვლევე პრობლემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.

პროფ. ე. ხინთიბიძის წლიური თემაა „რუსთველოლოგია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. თემა გარდამავალი იყო. მუშავდებოდა 2002 და 2003 წლებში. დღეისათვის შესრულებულია შემდეგი სამუშაო: შეკრებილია მასალა, შედგენილია სრული ბიბლიოგრაფია, გაკეთებულია ძირითადი დასკვნები და განზოგადებები. 2004 წლისთვის გამიზნულია ამ თემის ლიტერატურული გაფორმება და საბოლოო სახით დაბეჭდვა, რათა იგი შეტანილი იქნეს კრებულში: „ძველი ქართული მწერლობის შესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელსაც ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა ამზადებს გამოსაცემად.

პროფ. მ. ოძელმა მიმდინარე წელს წარმოადგინა შრომა: „მსოფლიო ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა“. ნაშრომში განხილულია მეორე ათასწლეულის ცივილიზაციის პროცესში ქართული ლიტერატურის ადგილი; მსოფლიო ლიტერატურის ცნება, მისი წარმოშობის დრო და შექმნილია კომპიუტერული საძიებო სისტემები – ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა; ლიტერატურული ურთიერთობა და მისი კვლევა; თარგმანი და თარგმანმცოდნეობა. განხილულია ლიტერატურული კომუნიკაციის მოდელები.

უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მ. თხინვალების წლიური თემაა „აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში 2000-2003 წწ.“ (მასალის შეგროვება). ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა, რომლის წარმოშობა და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აკად. გ. წერეთლის სახელთან, როგორც დამოუკიდებელი სკოლა, ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის შუა წლებში. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის ძირითადი ცენტრებია: მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო მოღვაწეობა წარმოებს შემდეგი მიმართულებებით: სემიტოლოგია, ირანისტიკა, თურქოლოგია, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია, ინდო-ევროპული ენები, ზოგადი

ფონეტიკა და ტიპოლოგია, ებრაულ-არამეული ფილოლოგია, ასირიოლოგია. განყოფილებებისა და კათედრების მიხედვით შეგროვდა ბიბლიოგრაფიული მასალა 2000-2003 წწ.

უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მ. ბეჟიტაძემ წარმოადგინა ნაშრომი – „ანდრე ბელი 20-იანი წლების ქართველ ლიტერატორთა თვალთ“. ნაშრომში განხილულია გრიგოლ რობაქიძის ურნალ „თემში“ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია ა. ბელის რომანის – „მოსკოვი“ შესახებ. ასევე ტიცვიან ტაბიძის სტატია მწერლის შემოქმედებაზე. მიკვლეულია ბელის წერილები მეგობრისადმი, სადაც საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებია გადმოცემული. მათში წარმოჩენილია მწერლის ერთობ საინტერესო მოსაზრებანი როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული კულტურის შესახებ. ეს ბარათები იქცა უთუოდ „ქარი კავკასიიდან“-ის შექმნის წინაპირობად.

უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მ. ელბაქიძემ წარმოადგინა ნაშრომი: „რუსთაველი. კურტუაზული სიყვარული. ოვიდიუსის „სიყვარულის ხელოვნება“.

ნაშრომში გამოკვეთილია საერთო სიუჟეტური მოტივები თუ პარალელები, რაც ერთმანეთთან აკავშირებს რუსთაველის შემოქმედებას, შუასაუკუნეების რაინდულ რომანს და ანტიკური პერიოდის ძეგლს – „სიყვარულის ხელოვნება“. გამოტანილია დასკვნა, რომ შუასაუკუნეების ლიტერატურაზე დიდი გავლენა მოახდინა ოვიდიუსის „სიყვარულის ხელოვნებამ“, რომლის ცალკეული სიუჟეტური მოტივები (მაგ. სატროსთვის გაწეული სამსახური) აქ ტრანსფორმირებული სახით ხვდება და რუსთაველური თუ კურტუაზული სიყვარულის საფუძველს წარმოადგენს.

მეცნიერ-თანამშრომლის ნ. საგინაშვილის ნაშრომში – „ჩემი მოგონებები“ – აღექსანდრე მანველიშვილის ბიოგრაფიული ცნობების წყარო – აღნიშნულია, რომ „ჩემი მოგონებები“ აღ. მანველიშვილის ბიოგრაფიული ცნობების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელიც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარმა, პუბლიცისტმა, პოლიტიკოსმა, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ იდეოლოგმა ემიგრაციაში ყოფნის დროს დაწერა. მათზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა უნდა ყოფილიყო ა. მანველიშვილის ემიგრაციაში წასვლის რეალური მიზეზი, ობიექტურად შევაფასოთ ქართველი ემიგრანტის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და გავაანალიზოთ უცხოეთში გაშლილი ქართული კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება.

ილიას კაბინეტი (პროფ. ლ. მინაშვილი) მიმდინარე წელს მუშაობას აგრძელებდა „ილია ჭავჭავაძის ფრაზეოლოგიურ ლექსიკონზე“.

ეს ლექსიკონი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქართული ენისათვის დამახასიათებელ სიტყვათშეერთებებს, მკვეთრად ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე მიმართავს, არამედ იმ გამომსახველობით ხერხებსაც, რომლებიც ილიას ფრაზის დიდ ორიგინალურობას და მხატვრულ ძალას წარმოაჩენს და საკუთრივ მისთვისაა დამახასიათებელი.

დიდია ასეთი ლექსიკონის მნიშვნელობა.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქეგლ-ის რვატომეულში წარმოდგენილი ილიას ფრაზეოლოგიზმების შესწავლა; მომზადდა ვრცელი ნარკვევი, აღჭურვილი სათანადო საილუსტრაციო მასალით, რომელიც ითვალისწინებს იმ სურათს, რასაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მასალა წარმოგვიდგენს. ეს ნარკვევი შევიდა „ილიას კრებულის“ (ილიას კაბინეტთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარის შრომები) II ტომში. სამუშაო შეასრულეს კაბინეტის თანამშრომლებმა რ. კიკნაძემ და მ. კვაჭანტირაძემ (ხელმძღვანელები პროფ. ი. კიკნაძე და პროფ. ლ. მინაშვილი).

ამავე საანგარიშო პერიოდში მუშაობა გრძელდებოდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ათ ტომად, ოც ტომად) საძიებლების შედგენაზე. საძიებლების შედგენას უაღრესად დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და საერთოდ ქართული ლიტერატურის მკვლევარებისა და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის ილიას მდიდარი მემკვიდრეობის გამოყენება-მომარჯვების თვალსაზრისით.

2003 წელს მუშაობა მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის III ტომზე (ოცტომეულის V და VI ტომზე). სამუშაოს ასრულებდნენ პროფ. ლ. მინაშვილი (ხელმძღვანელი), თ. ხვედელიძე და ე. ვარდოშვილი.

კაბინეტს განზრახული აქვს მოაგროვოს მასალები კრებულისათვის „ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძის შესახებ“. კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს დიდი მწერლის ასპარეზზე გამოსვლის დროიდან XX საუკუნის ბოლომდე ქართველი მწერლების მიერ შექმნილი ლექსები, ესეები, კრიტიკული წერილები, ნარკვევები, მემუარები, პირად წერილებში დაცული ცნობები, რომლებიც შეიცავენ შეფასებით მიმართებას, დახასიათებას დიდი მოაზროვნისა და შემოქმედისა. ეს კი მეტად მნიშე-

ნელოვანი კულტუროლოგიური საქმეა. მიმდინარე წელს შედგა ბიბლიოგრაფია, დაიწყო მასალის შეგროვება. კრებულის შედგენაში ჩართულია კაბინეტის ყველა თანამშრომელი. საანგარიშო პერიოდში თსუ გამომცემლობას გადაეცა „ილიას კრებულის“ II ტომი. კაბინეტის თანამშრომელმა ე. ვარდოშვილმა გამოაქვეყნა წიგნი „რელიგიური მოტივი ილია ჭავჭავაძის ლირიკაში“, რედაქტორები პროფ. რ. სირაძე და პროფ. ლ. მინაშვილი.

ილიას კაბინეტმა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან, აკაკის კაბინეტთან და ვაჟას კაბინეტთან ერთად საანგარიშო წელს მოამზადა და გამოსცა:

გრ. კიკნაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, ტომში შევიდა პროფ. გრ. კიკნაძის მონოგრაფია „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისთვის“ და ორი ნარკვევი „პლასტიკურ ხატთა საუნჯე“ და „ჩვენი ვაჟა“.

წელს მომზადდა და მომავალი წლის იანვარში თსუ გამომცემლობას გადაეცემა გრ. კიკნაძის თხზულებათა ხუთტომეულის I ტომი. ტომში შედის მონოგრაფია „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ და ოთხი ვრცელი ნარკვევი ვაჟას შემოქმედებაზე. ტომს წინ უძღვის პროფ. ი. ევგენიძის შესავალი წერილი გრ. კიკნაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ტომის რედაქტორია პროფ. ი. ევგენიძე.

დღედღეზე გამოვა კრებული „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ“.

ილიას კაბინეტთან ჩამოყალიბდა და ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას ილია ჭავჭავაძის მუდმივმოქმედი სემინარი, რომლის სხდომებზე ხდება მოსმენა სამეცნიერო მოხსენებებისა, როგორც ლიტერატურის, ასევე ენათმეცნიერების, იურისპრუდენციის, ისტორიის და ა. შ. სფეროებში. სემინარზე აპრობირებული შრომები პერიოდულად ქვეყნდება მუდმივმოქმედი სემინარის შრომების კრებულში – „ილიას კრებულში“. გროვდება მასალა III ტომისთვის.

კაბინეტში შეიქმნა ერთგვარი ტრადიცია და ყოველწლიურად აღინიშნება ილიას დაბადების დღე სემინარით, მრგვალი თარიღები – სამეცნიერო სესიით.

მიმდინარე წელს სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს პროფ. ლ. მინაშვილმა და დოც. უ. სახლთხუციშვილმა – ყვარელი კახეთის თვალი; კაბინეტის თანამშრომლები მ. კვაჭანტირაძე და რ. ჯალაღანია მუშაობენ სადისერტაციო ნაშრომებზე.

მიმდინარე წელს კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელმა დაბეჭდა ნარკვევები, სტატიები და მოხსენებები:

1. ნარკვევები „ილია ჭავჭავაძე“, „იოსებ დავითაშვილი“ – ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს II ტომში.

2. წიგნი „ნარკვევები და წერილები“.

3. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, ჯ. ჭუმბურიძესა და ი. ევგენიძესთან ერთად.

4. აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, პროფ. ი. ევგენიძესთან ერთად.

5. წიგნი მწერლისა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ (რეცენზია ი. ევგენიძის ნარკვევების I ტომზე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აღმანახი „მწიგნობარი“, 2003).

აკაკის კაბინეტის გამგემ პროფ. ი. ევგენიძემ დაბეჭდა ნარკვევები და გამოაქვეყნა წიგნი: „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I. 2003 წელს გამოსცა წიგნი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ II. არის თანაავტორი კრებულისა: „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ“, 2003. ავტორია წიგნის „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, II.

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატმა ნ. იმედაძემ წაიკითხა მოხსენება უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე. დაიბეჭდა მისი შრომა „აკაკის კრებულში“ I. აკაკის კრებულის II ტომში იბეჭდება მისი შრომა „აკაკის ვოდევილები“.

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ც. სანიკიძე მუშაობს „აკაკის მცირე ლექსიკონზე“.

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატ ნ. ფრუიძის ნარკვევები აკაკი წერეთლის კრებულის II ტომში იბეჭდება, აქვე გამოქვეყნდება ლაბორანტ ნ. ოზბეთელაშვილის ნარკვევი.

ლაბორანტმა ნ. ოზბეთელაშვილმა დაბეჭდა შრომა „აკაკის კრებულში“ I. აკაკის კრებულის II ტომში იბეჭდება მისი ნარკვევი.

6. ლომინაძეს მზად აქვს დისერტაცია. კაბინეტში მუშავდება I კომპლექსური თემა, კრებული „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. ხელმძღვანელი პროფ. ი. ევგენიძე. კრებულში „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ – თავმოყრილია აკაკი წერეთლის გამონათქვამები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. აქ, სხვადასხვა ენაზე არსებული კრებულების მსგავსად, შესულია აკაკის ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები და სათანადო პროზაული თუ ლექსითი თხზულებების სრული ტექსტი ან ნაწყვეტი. აგრეთვე, დიდი მწერლის შესახებ ცალკეულ პირთა მოგონებებში დაცული შესაბამისი მასალა.

კრებულის მიზანია, საზოგადოებას სრული სახით გააცნოს აკაკი წერეთლის შეხედულება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: ლიტერატურისა და ხელოვნების რაობა, დანიშნულება და მხატვრული გამოსახვის ფორმები.

კრებულის შედგენაში მონაწილეობდნენ კაბინეტის თანამშრომლები. ანგარიში წარმოდგენილია მხოლოდ კაბინეტის თანამშრომელთა მიერ გაწეულ მუშაობაზე.

კომპლექსური თემა, კრებული „აკაკი წერეთელი“ (დოკუმენტები და მასალები ქართული პრესის მონაცემთა მიხედვით). ხელმძღვანელი პროფ. ი. ევგენიძე (გარდამავალი თემა).

1. ფილ. მეცნ. კანდიდატი, მეცნ. მუშაკი ნ. იმედაძე მუშაობს თემაზე – „აკაკი წერეთელი გაზეთ „დროებაში“ (გარდამავალი თემა).

2003 წელს ნ. იმედაძემ საგანგებოდ შეისწავლა 1875-1885 წლების „დროების“ ნომრებში გამოქვეყნებული როგორც საკუთრივ აკაკი წერეთლის თხზულებათა რაოდენობრივი და თემატიკური შედგენილობა, ასევე დიდი პოეტის გარშემო არსებული კრიტიკულ-ლიტერატურული სტატიები, ქრონიკა – ინფორმაციები და სხვა. 2003 წლის გეგმით გათვალისწინებულ თემაში ძირითადად შინაარსობრივ-თემატიკური თვალსაზრისით არის ამოკრებილი და დახასიათებული აკაკი წერეთლის თხზულებები, რითაც გარკვეულია სახელოვანი მწერლის დამოკიდებულება, მისი მიმართება, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი სიმპათიები ამ გაზეთის პოზიციის მიმართ.

თემაზე მუშაობას ნ. იმედაძე აგრძელებს და „დროებაში“ მოცემული მასალის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასებას შემდგომში მოახდენს. მან ამჟამად მოამზადა სტატია „აკაკის კრებულისთვის“ II – აკაკის ვოდევილები.

ფილ. მეცნ. კანდიდატი, მეცნ. მუშაკი ნ. მუჯირი მუშაობს თემაზე – „აკაკი წერეთელი 1900-1915 წლების ქართულ პრესაში“ („თემი“, „ცნობის ფურცელი“).

პარალელურად მუშაობს თემაზე – „აკაკი და ბიბლია“ (გარდამავალი თემა), „სიზმარი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ (აკაკი წერეთელი).

მეცნიერ-მუშაკმა ნ. მუჯირმა ამჯერად შეისწავლა გაზ. „აზრსა“ და „ცნობის ფურცელში“ აკაკი წერეთლისა და მის გარშემო დასტამბული თხზულებები და კრიტიკულ-ლიტერატურული თუ ინფორმაციული მასალა. ნ. მუჯირის მიზანია, როგორც აკაკი წერეთლის შემოქმედებითი აქტივობის დადგენა ამ გაზეთებში, 394

ასევე ქართული ინტელიგენციის მიმართების შესწავლა დიდი პოეტისადმი. თემაზე მუშაობას ავტორი აგრძელებს.

მეცნიერ-მუშაკი დ. გამეზარდაშვილი - „აკაკი წერეთელი გახუთ „ივერიაში“ (თემა გარდამავალია).

დ. გამეზარდაშვილმა შეისწავლა „ივერიის“ 1889-1892 წლების მასალა. ქრონოლოგიური და ჟანრობრივი თვალსაზრისით თანმიმდევრულად მიმოიხილა იგი. სამუშაოს დ. გამეზარდაშვილი აგრძელებს და საბოლოო დასკვნებსაც გარდამავალი თემის დასრულებისას მოგვაწვდის.

ვაჟას კაბინეტში (პროფ. ჯ. ჭუმბურიძე) მიმდინარეობს მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ლიტერატურისმცოდნეობითი და ენათმეცნიერული თვალსაზრისით. თანამშრომლები ინტენსიურად მუშაობენ ვაჟა-ფშაველას სიხშირის ლექსიკონზე. თემა გარდამავალია. უკვე არსებობს მილიონსიტყვიანი ფონდი, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა. ამ ფონდს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგისთვის. აქ აღნუსხული იქნება, თუ რა სიხშირით იხმარება ესა თუ ის სიტყვა. საერთოდ, როგორი მარაგი აქვს ვაჟას ლექსიკას. ამით საფუძველი ეყრება მწერლის ლექსიკური მარაგის ყოველმხრივ შესწავლას.

კაბინეტში მზადდება აგრეთვე ვაჟა-ფშაველას იდიომატურ თქმათა ლექსიკონი, მასში მონაწილეობენ კაბინეტის თანამშრომლები; ხელმძღვანელი პროფესორი ი. კიკნაძე.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მეცნიერული კვლევის მიზნით ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, სწავლობს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამ თვალსაზრისით, კაბინეტში დაარსდა და სისტემატურად იბეჭდება „ვაჟას კრებული“. ასევე მოქმედებს ვაჟას მუდმივი სემინარი, რომელშიც გაერთიანებული არიან მწერლის შემოქმედებით დაინტერესებული ფილოლოგები, ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები და სხვა სპეციალობის ადამიანები. მუშაობა თავიდანვე ორი მიმართულებით წარიმართა: ვაჟას მემკვიდრეობის შესწავლა ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით და ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ასეთი მუშაობის შედეგად, კაბინეტის გრიფით, გამოქვეყნდა 20 დასახელების წიგნი.

კრიტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (დოც. მ. თავდიშვილი) თანამშრომლები საანგარიშო წელს ძირითადად მუშაობდნენ მრავალწლიან თემაზე - „XX საუკუნის ქართველი კრი-

ტიკოსები“. უკვე მომზადდა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წარედგინა პირველი ნაკვეთი, რომელშიც შესულია ლაბორატორიის თანამშრომელთა ნარკვევები ცალკეულ კრიტიკოსებზე (ბიოგრაფია, კრიტიკული შემოქმედების ანალიზი, ბიბლიოგრაფია).

საანგარიშო წელს ლაბორატორიაში ფუნქციონირებდა მუდმივმოქმედი სემინარი, რომელიც პერიოდულად ისმენდა თანამშრომელთა ნარკვევებს მე-20 საუკუნის ქართველ კრიტიკოსებზე.

ნაშრომის პირველ ნაკვეთში წარმოდგენილი იქნებიან გ. ქიქოძე, გრ. ცეცხლაძე, გ. ნატროშვილი, გ. ასათიანი და სხვები.

ლაბორატორიის თანამშრომლებმა წლეულსვე დაიწყეს მუშაობა წიგნის მეორე მონაკვეთზე. ნ. ჯანტიშვილმა, ლ. ურდულაშვილმა გამოაქვეყნეს ცალკეული სტატიები ქართულ მწერლობასა და სალიტერატურო ენის საკითხებზე. მ. თავდიშვილმა „მწერლის გაზეთში“ დაბეჭდა სტატიების სერია რუბრიკით: „ენობრივად წელში გაწყვეტილი სახელმძღვანელოები“, რომელშიც გაკრიტიკებულია განათლების სამინისტროს მიერ სკოლებში შეტანილი სახელმძღვანელოების ენობრივი სახე. მ. უორდანიამ სემინარზე წაიკითხა მოხსენება „კრიტიკოსი შალვა ამირეჯიბი“.

ცალკეული თანამშრომლები აგრძელებენ მუშაობას საკვალიფიკაციო ნაშრომებზე.

ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაშრომები:

1. ა. არაბული, ქართული ენის სამყარო, მოსწავლის წიგნი, V კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003.
2. მისივე, ქართული ენის სამყარო, მოსწავლის რვეული, V კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003.
3. ა. არაბული, ს. ოშიაძე, ქართული ენის სამყარო, მოსწავლის წიგნი, VI კლასის საკონკურსო სახელმძღვანელო, თბ., 2003.
4. მათივე, ქართული ენის სამყარო, მოსწავლის რვეული, VI კლასი, თბ., 2003.
5. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული (მეორე გამოცემა), თბ., 2003.
6. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი მეოთხე, თბ., 2003.
7. კ. ტრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.

8. თ. ბოლქვაძე, ე. აფხაზაევა, ქართული ენის V კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003.
9. თ. გევანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, I-II ტ., თბ., 2003. (იუნესკოს ეგიდით კონტრაქტი № 4500005265).
10. ნ. იოსავა, დამხმარე სახელმძღვანელო ქართული ენის სინტაქსის შესასწავლად, თბ., 2003.
11. ე. ხინთიბიძე, ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, თბ., 2003.
12. ტ. სულაბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 2003.
13. ი. ქაფიაშვილი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა და მისი სწავლების საკითხები, თბ., 2003.
14. მ. ხვედელიძე, ქართული ენის VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003.
15. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, თბ., 2003.
16. გ. გოგოლაშვილი, მრავალგზისობის ორგანული და აღწერითი წარმოების ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 31, თბ., 2003.
17. გ. გოგოლაშვილი, ნორმა არა გვაქვს, ნორმა უნდა მივიღოთ; ბურჯი ეროვნებისა, № 5-6; თბ., 2003.
18. გ. გოგოლაშვილი, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ქართულში, XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.
19. ზ. ჭუმბურიძე, აღუდას ეტიმოლოგიისთვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №8, 200.
20. ზ. ჭუმბურიძე, ოთარ ქაჯაია – 80, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 7, 2003.
21. ზ. ჭუმბურიძე, უბადლო ინტელიგენტი, კრებული „ალექსანდრე გეახარიას“, 2003.
22. ლ. ბარამიძე, სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში, თბ., 2003.
23. ლ. ბარამიძე, სუბიექტური მესამე პირი -ა სუფიქსით აღნიშვნისათვის ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში, ენათმეცნიერების საკითხები, № 2, 2003.
24. ალ. ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ. 2003.
25. ალ. ონიანი, ენა და დიალექტი, ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?!, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 2003.

26. ალ. ონიანი, ისევ ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ. ენათმეცნიერების საკითხები, № 2, 2003.

27. ბ. შავიშვილი, ნეკრესის ნაქალაქარის ერთი წარწერის წაკითხვისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003.

28. ლ. ციხელაშვილი, ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი -ენ სუფიქსის ადგილისათვის ზმნურ ფორმაში ძველ ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი XV.

29. ნ. შარაშენიძე, წინავითარების გამომხატველი რთული მოდალური კონსტრუქცია ქვემოიმერულში, ენათმეცნიერების საკითხები №2,2003.

30. ნ. შარაშენიძე, ო- პრეფიქსიანი ზანიზმები ქვემოიმერულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 31, 2003.

31. ნ. შარაშენიძე, ერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის ა. წერეთლის პოემიდან „პატარა კახი“ – დამკლისუფლობა, „აკაკის კრებული.“

32. მ. მელიქიძე, ფენ ფუძის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი XIV, 2003.

33. მ. მელიქიძე, ნათესავის სემანტიკისათვის ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 31, 2003.

34. გ. შაბაშვილი, პერფექტის კატეგორიისთვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, 2003.

35. გ. შაბაშვილი, აფექტური ზმნების პერფექტული ბუნებისათვის; ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები; VII, თბილისი, 2003.

36. ქ. გოჩიტაშვილი, კომპიუტერი და სახელმწიფო ენა; ქუთაისური საუბრები; X; ქუთაისი, 2003.

37. ქ. გოჩიტაშვილი, უწყვეტლისა და ხოლმეობითის სემანტიკურ მახასიათებელთა ურთიერთმიმართებისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში; XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.

38. ქ. გოჩიტაშვილი, უწყვეტლისა და I ხოლმეობითის ფორმები კახურში; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.31, თბ., 2003.

39. ა. მეფარიშვილი, მიმღეობა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“; ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები; VII, თბ., 2003.

40. საქართველოს ტოპონიმია, ტ. III (მასალები), ქვემო იმერეთი (შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია).

41. საქართველოს ტოპონიმია, ტ. IV (მასალები), გურია (შემდგენელი რ. ძნელაძე).
42. გ. ხორნაული, ქართული ონომასტიკა (მონოგრაფია).
43. უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური დიალექტი (მონოგრაფია).
44. ქ. გოდერძიშვილი, ანთროპონიმიკული ძიებანი (მონოგრაფია).
45. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი.
46. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი.
47. ბ. გერგედავა, პ. ცხადაია, წალენჯიხის რაიონის გეოგრაფია და გეოგრაფიული სახელწოდებანი.
48. ჯ. ტუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, თბ., 2003.
49. ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2003.
50. მისივე, მარტივი და ალამდარი (კ. გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 2003 წ. I და III ტომები, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ფაკულტეტზე გამოდის შემდეგი კრებულები და ჟურნალები:

1. ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები;
2. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების ფილოლოგიის ფაკულტეტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომები;
3. „ლიტერატურა და სხვა“ (ჟურნალი).
4. „ენათმეცნიერების საკითხები“ (ჟურნალი).
5. „ფაზისი“ (ჟურნალი).
6. „ქართველოლოგი“ (ჟურნალი).
7. „სლავისტიკა საქართველოში“ (ჟურნალი), რომელიც გამოდის სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან ერთად.
8. „ექო სახიერი“.

ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ანი უძილაური, რესპუბლიკურ კონფერენციაში გამარჯვებული, დაჯილდოვდა პრეზიდენტის სახელობის პრემიით.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის (ვალკეულ დანაყოფებში (კათედრები, კაბინეტი, ლაბორატორია) საანგარიშო წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მედიალოგიისა და - კომუნიკატივისტიკის, პრესის თეორიის, ტელე-რადიოჟურნალისტიკის ისტორიისა და სხვა მეცნიერული თვალსაზრისით აქტუალურ პრობლემებზე. ფაკულტეტის თანამშრომლებმა, გარდა წლიური თემების დამუშავებისა, გამოაქვეყნეს მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სასწავლო-მეთოდოლოგიური ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, მონაწილეობა მიიღეს კონფერენციებში, სემინარებსა და სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო ღონისძიებებში. ფაკულტეტზე მომზადდა და გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებულები, პერიოდული გამოცემები და სხვა სახის ნაშრომები. ამასთანავე, ფაკულტეტის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ნიკო ნიკოლაძის დაბადების 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია და სხვა ანალოგიური ღონისძიებანი.

მედიალოგიის, კომუნიკატივისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის კათედრაზე (გამგე დოც. ნ.ფოფხაძე) საანგარიშო წელს მიმდინარეობდა ჟურნალისტიკამცოდნეობის თეორიული საკითხების მეცნიერული სისტემატიზაცია-დამუშავება. კერძოდ: ჟურნალისტიკის ცალკეულ სახეთა (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) ტიპოლოგიური ურთიერთმიმართების კვლევა, ჟურნალისტიკისა და მომიჯნავე დარგების (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, კომუნიკაციის თეორია...) ურთიერთმიმართების აქტუალური პრობლემემატიკის დამუშავება, ჟურნალისტიკამცოდნეობაში საერთაშორისო გამოცდილებისა და თანამედროვე მიღწევების სისტემატიზაცია, შესწავლა და ათვისება.

კათედრაზე ინტენსიურად გრძელდება მუშაობა ე.წ. კომპლექსურ თემაზე - მედია და ხელისუფლება, რომელშიც ჩართულია კათედრის ყველა წევრი და რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მედიისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართებისა თუ ურთიერთხემოქმედების არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს (მედია როგორც პოლიტიკური მართვის ბერკეტი, მედია და პოლიტიკური ბრძოლა, მედია და კონფლიქტები, მედია და არჩევნები, ადა-

მიანი - ინფორმაცია - საზოგადოება, ჟურნალისტის პროფესიული იდეოლოგია და სხვ.).

კათედრამ იუნესკოს საქმეთა საქართველოს ეროვნული კომისიის, თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტის, თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თანამონაწილეობით მოაწზადა და 2003 წლის 20 ნოემბერს ჩატარა ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კათედრის წევრებმა ხსენებულ კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებები:

1. მედია და ფილოსოფია XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე (დოც. ნ. ფოფხაძე);
2. მასმედიის თავისუფლება (პრობლემის ფილოსოფიური ანალიზი) (პროფ. რ.ბალანჩივაძე);
3. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები (უფ.მასწ. ე.ლომიძე);
4. თანამედროვე საზოგადოების საინფორმაციო უსაფრთხოების აქტუალური პრობლემები (დოც. მ.ვეკუა);
5. მედია და პოლიტიკურ ლიდერთა სტერეოტიპები (დოც. მ. ნადარეიშვილი).

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით წარსდგა, აგრეთვე, პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრის პროფესორი დ.ტყუბუჩავა (არაცნობიერის ფაქტორი და პუბლიცისტური შემოქმედების იმპულსები).

კონფერენციის დღეებში გამოიცა სპეციალური ბიულეტენი (ფილოსოფიის მსოფლიო დღე), ხოლო წაკითხული მოხსენებები შევიდა კრებულში - „მედიის ფილოსოფიური პრობლემები“ (რედაქტორი პროფ. რ.ბალანჩივაძე).

კათედრაზე მომზადდა დოც. მ.ვეკუას სალექციო კურსი „Полемика как искусство“, რომელიც დაიბეჭდა თსუ გამომცემლობაში.

კათედრის წევრმა, უფ. მასწ. ი.ღვინერიამ საანგარიშო წელს მონაწილეობა მიიღო IREX-ის მედიანოვაციური პროგრამების სემინარში - სასწავლო პროგრამების დახვეწა და სწავლების ინოვაციური მოდელები, აგრეთვე, ქერევანში ჩატარებულ მრგვალ მაგიდაში - სამხრეთ კავკასიის რეგიონის ჟურნალისტური განათლების აკადემიური მოდელის განვითარება, სადაც წაიკითხა მოხსენება - ახალი მიდგომები ჟურნალიზმის სწავლებაში. საანგარიშო წელს ი. ღვინერია იმყოფებოდა ცენტრალური ევროპის

უნივერსიტეტის (ქბუდაპეშტი) სასწავლო პროგრამების ცენტრში, სადაც მის მიერ წარდგენილმა პროგრამამ – პრაქტიკული კონფლიქტოლოგია ჟურნალისტებისათვის – სპეციალური გრანტი დაიმსახურა.

კათედრის წევრმა, დოც. მ. ნადარეიშივილმა საანგარიშო წელს მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ კონფერენციაში – ამერიკის შესწავლის საკითხები, სადაც წაიკითხა მოხსენება – მედია და პოლიტიკოსთა იმიჯი (ამერიკული პრესის მიხედვით). მანვე კრებულში „ჟურნალისტური ძიებანი“ (IV, თბ., 2003). გამოაქვეყნა ნაშრომი – შუქჩრდილები პრეზიდენტის გარშემო.

მასწ. რ. დანელიამ კათედრაზე მოამზადა და საანგარიშო წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – დასავლეთგერმანული მემარცხენე პრესა XX საუკუნის 60–70–იან წლებში (ჟურნალები „კურსბუხი“ და „კიურბისკერნი“) (ხელმძღვანელი პროფ. თ.ჯოლოგუა).

პროფ. თ.ჯოლოგუას მონაწილეობით საანგარიშო წელს გამოცა წიგნი – ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), მე-XXტ. შემდგენელი: აბაქრაძე, თ.ჯოლოგუა (თ.ჯოლოგუას რედაქტორობით, შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით).

პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ნ.ტაბიძე; საანგარიშო წლის ნოემბრიდან – დოც. მ.ვეკუა) დამუშავდა შემდეგი თემები: ფელეტონის კომპოზიცია (პროფ. ნ.ტაბიძე), პუბლიცისტური შეფასების ვერბალიზაციის ზოგიერთი სტილური თავისებურება თანამედროვე მედიაში (პროფ. დ.ტყეშელაშვილი), წიგნის აპარატი (დოც. მ. ებრალიძე), კორპორაციულობის ცნება ჟურნალისტიკაში (დოც. ი.ბიჭიკაშვილი), დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში და ქართული მედია (დოც. გ. კაპანაძე) და სხვ.

კათედრა ყოველწლიურად აქვეყნებს პერიოდულ სამეცნიერო გამოცემას – „ჟურნალისტური ძიებანი“ (რედაქტორი პროფ. ნ.ტაბიძე). საანგარიშო წელს დაიბეჭდა IV ტომი, სადაც შესულია ნაშრომები პრესის თეორიისა და ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: იდეათა განფენა ჟურნალისტიკაში, რეკლამა ინტერნეტში, გაზეთის პირველი გვერდი, გორში პრესის დაარსების ისტორია, ეროვნული კულტურის საკითხები ი. მაჩაბლის პუბლიცისტულში, ნ. ლომოურის პუბლიცისტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტენდენციები და სხვ. კრებულს ერთ-ერთის დარგთან დაკავშირებული საზღვარგარეთ (რუსეთი, აშშ, გერმანია) გამოცემული ახალი წიგნების ანოტაციები.

პროფ. ნ.ტაბიძემ საანგარიშო წელს გამოსცა წიგნი „25 მე-დალიონი“. მანვე პერიოდულ გამოცემებში გამოაქვეყნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი თუ საგაზეთო სტატია. მათ შორის: საქართველოს მოამბე (ალმანახი „მწიგნობარი“, 2003), გალაკტიონის უცნობი პოემა (ჟურ. „ცაიტნოტი“, 2003, № 2), ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან (ს.გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომები“, 2003), გალაკტიონოლოგიის ფრაგმენტები („ლიტერატურული საქართველო“, 2003, № 48) და სხვ.

დოც. გ.კაპანაძემ გამოაქვეყნა წიგნი – ქართული მედია და საქართველოს ეკონომიკა.

კათედრის წევრებმა (პროფ. ნ.ტაბიძე, პროფ. დ.ტყეპუჩავა, დოც. იბიჭიკაშვილი, დოც. გ.კაპანაძე) და ასპირანტებმა (მ.გერსამია, ს.ჯგებენაძე) მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წაიკითხეს მოხსენებები პრესის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

საანგარიშო წელს კათედრის ასპირანტებმა თსუ ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინეს კათედრაზე მომზადებული საკანდიდატო დისერტაციები:

1. მ. გერსამია, ინფორმირების თავისებურებანი პუბლიცისტურ ჟანრებში (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ტაბიძე);

2. დ. ოსეფაშვილი, პუბლიცისტიკის ჟანრთა ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ტაბიძე);

3. ნ.ჯიქია, პაოლო იაშვილი – პუბლიცისტი და რედაქტორი (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ტაბიძე).

ყველა ზემოდასახელებული სადისერტაციო ნაშრომი გადაცემულია სესში შემდგომი მსვლელობისთვის.

ტელერადიოჟურნალისტიკის კათედრაზე (გამგე პროფ. ნ.ლეონიძე) იკვლევენ ჟურნალისტიკის აუდიო-ვიზუალური დარგების თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საანგარიშო წელს კათედრამ გამოსცა ყოველწლიური პერიოდული კრებულის – „ტელერადიოჟურნალისტიკის საკითხების“ – მორიგი VI ტომი. კრებულში გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი შრომები სატელევიზიო კომუნიკაციის თავისებურებებზე (პროფ. ნ. ლეონიძე), ტელევიზიაში სპექტაკლის ტრანსფორმაციის საკითხებზე (პროფ. ე. იბერი), სახელმწიფოსა და ტელევიზიის ურთიერთმიმართების მექანიზმებზე (დოც. ნ. თათარაშვილი), რადიოდიქტორის ინსტიტუტის ისტორიისა და დღევანდლობაზე

(დოც. თ. მუჯანაძე), ახალი ამბების როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში (დოც. ნ. რუხაძე), ტელეწამყვანისა და აუდიტორიის ურთიერთობის სპეციფიკურ თავისებურებებზე (ასპირანტი ნ. ჭალაგანიძე) და სხვ. აქვეა დაბეჭდილი ქართული თარგმანი ცნობილი კანადელი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის პერბერტ მარშალ მაკლუენის (1911–1980) ნაშრომისა – „საშუალება არის შეტყობინება“.

საანგარიშო წელს კათედრის წევრმა, პროფ. ი. იბერმა გამოცა მონოგრაფიული ნაშრომი „რადიოჟურნალისტიკა“ (მესამე, შესწორებული და შეესებულებული გამოცემა). მანვე დოც. რ. სურგულაძესთან ერთად გამოაქვეყნა დამხმარე სახელმძღვანელო მასობრივი კომუნიკაციის თეორიაში – „მასობრივი კომუნიკაცია“, გამოიცა კათედრის აწ განსვენებული წევრის, დოც. ნ. თათარაშვილის წიგნი „ტელერადიოჟურნალისტიკის საკითხები“.

კათედრაზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ისტორიის მონოგრაფიულ შესწავლაზე.

კათედრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წაიკითხეს მოხსენებები ტელევიზიისა (პროფ. ნ. ლეონიძე) და რადიოს (პროფ. ე. იბერი) თეორიის, აგრეთვე, რადიოს ისტორიის (დოც. თ. მუჯანაძე) საკითხებზე.

ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრაზე (გამგე დოც. დ. ჩიკვილაძე) დასრულდა მუშაობა და გაუკეთდა საბოლოო რედაქცია წინა წლებში შესრულებულ გარდამავალ თემას – პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (მენშევიკების) პერიოდული პრესა (1918–1921 წწ.). განსაზღვრულია სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ნაშრომის გამოცემა. კათედრაზე მომზადდა დოც. გ. საითიძის მონოგრაფია „ჟურნალი „კლდე“ (1912–1915)“.

სტამბაშია აწ გარდაცვლილი პროფესორის შ. გაგოშიძის მიერ შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელო ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20–იანი წლები).

კათედრის წევრებმა საანგარიშო წელს სხვადასხვა სახის პერიოდულ გამოცემებში გამოაქვეყნეს ნაშრომები:

1. დოც. დ. ჩიკვილაძემ (უღმობელი საქმის კაცი, ჟურნ. „ომეგა“, 2003, № 4); ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესაძირკველ, („საქართველოს რესპუბლიკა“, 2003, 10.V) და სხვ..

2. დოც. ლ. ფერაძემ („აკაკი წერეთელი და ივანე მაჩაბელი, („აკაკის კრებული“, II, 2003); ნიკო ნიკოლაძე და ივანე მაჩაბელი (კრბ. „ნიკო ნიკოლაძე – 170“, თბ., 2003); ეროვნული კულტურის საკითხები ივანე მაჩაბლის პუბლიცისტიკაში („ჟურნალისტური ძიებანი“, IV, 2003) და სხვ.

კათედრამ საანგარიშო წელს ფართოდ აღნიშნა ნიკო ნიკოლაძის დაბადების 160 წლისთავი. კერძოდ, ჩატარდა ამ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. გამოიცა კრებული „ნიკო ნიკოლაძე – 160“ (შემდგენელ-რედაქტორი დოც. დ.ჩიკვილაძე). ჩატარდა, აგრეთვე, იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალებიც დაიბეჭდა სერიით – „სტუდენტთა სამეცნიერო კვლევები“.

კათედრის წევრებმა (პროფ. ნ. მახარაძე, დოცენტები: დ.ჩიკვილაძე, ლ.ფერაძე, მ.მონიავა, ჯ.ასათიანი, ს.მინაშვილი) მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წაიკითხეს მოხსენებები ქართული და საზღვარგარეთული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხებზე.

საანგარიშო წელს კათედრის მაძიებელმა ე.მამულაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – გორის პრესის სათავეებთან (ხელმძღვანელი დოც. დ. ჩიკვილაძე).

კათედრის გამგეს, დოც. დ.ჩიკვილაძეს დაუმტკიცდა სადოქტორო დისერტაციის თემა – 1918–1921 წლების ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები.

ფაკულტეტმა მოამზადა და საანგარიშო წელს ჩაატარა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და იე.ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მედილოგიის, კომუნიკატივისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის, პრესის თეორიისა და პრაქტიკის, ტელე-რადიოჟურნალისტიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიის სექციებზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს როგორც ფაკულტეტის თანამშრომლებმა, ისე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა (შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, თსუ ახალციხის ფილიალის და სხვ.) თუ ჟურნალისტური ორგანიზაციების (საქართველოს ტელე-რადიოკორპორაცია, საქართველოს პრეზიდენტის პრესცენტრის ანალიტიკური სამსახური და სხვ.) წარმომადგენლებმა. გამოიცა კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისე-

ბი (ჟურნალისტიკა, XI, თბ., 2003. რედაქტორი პროფ. დ. ტყე ბუჩავა).

საბარდა სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია. გამარჯვებულმა სტუდენტმა, ნ.ნატროშვილმა (ტელერადიოჟურნალისტიკის განყოფილება. თემა – ტელევიზია და მასკულტურა). მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაში.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე საანგარიშო წელს განაგრძობდნენ მუშაობას მუდმივმოქმედი სემინარები. სამეცნიერო-სადისერტაციო (ხელმძღვანელი პროფ. თ.ჯოლოგუა), სამეცნიერო-მეთოდოლოგიური (ხელმძღვანელი დოც. დ.ჩიკვილაძე), მედია და სოციალური მართვა (ხელმძღვანელი დოც. ლ.მეტრეველი) და სტუდენტური კლუბი „რეპორტიორი“.

2003 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ გამოცემული

ა) წიგნები

1. ე. იბერი, რადიოჟურნალისტიკა (მესამე შესწორებული და შეესებებული გამოცემა);
2. გ. კაპანაძე, ქართული მედია და საქართველოს ეკონომიკა;
3. გ. საითიძე, ჟურნალი „კლდე“ (1912–1915);
4. ნ. ტაბიძე, 25 მედალიონი;
5. ნ. თათარაშვილი, ტელერადიოჟურნალისტიკის საკითხები.

ბ) სახელმძღვანელოები

1. შ. გაგოშიძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20–იანი წლები) (დამხმარე სახელმძღვანელო).
2. რ. სურგულაძე, ე. იბერი, მასობრივი კომუნიკაცია (დამხმარე სახელმძღვანელო);
3. Векуа М., Полемика как искусство (სალექციო კურსი).

გ) კრებულები

1. მედიის ფილოსოფიური პრობლემები (რედაქტორი რ. ბა-ლანჩივაძე);
2. ნიკო ნიკოლაძე, 160 (რედაქტორ–შემდგენელი დ. ჩიკვილაძე).

დ) პერიოდული გამოცემები

1. „ჟურნალისტური ძიებანი“, IV (რედაქტორი ნ.ტაბიძე);
2. „ტელერადიოჟურნალისტიკის საკითხები“, VI (რედაქტორი ნ. ლეონიძე);
3. ჟურნალისტიკა (საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და იეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), XI (რედაქტორი დ. ტყეშუაია).

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა, მიღებული შედეგები მრავალფეროვნებითა და აქტუალურობით გამოირჩევა. პრიორიტეტული მიმართულებებიდან შეიძლება გამოეყოთ შემდეგი: სამეცნიერო, სასწავლო-მეთოდური, ლექსიკოგრაფიული და მთარგმნელობითი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდა მასწავლებლების, ასპირანტთა და მაგისტრანტთა წილი საერთო მიღწევებში აქტიურად იმუშავეს სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა, გაიზარდა კონტაქტები ევროპის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებთან, რის შედეგადაც უფრო მეტმა მასწავლებელმა და სტუდენტმა თუ მაგისტრანტმა გაიარა სტაჟირება საზღვარგარეთ, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ერთობლივი შრომების რაოდენობაც. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ასპირანტებმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, სემინარებსა და მეცნიერულ საუბრებში.

ფაკულტეტის ყველა კათედრაზე მიმდინარეობდა სამეცნიერო მუშაობა როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ სამეცნიერო-საკვლევ თემებზე. მოკლედ მიმოვიხილოთ ამ მუშაობის შედეგები კათედრების მიხედვით.

ინგლისური ფილოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. რ. ენუქიძე) პროფესორ-მასწავლებლების ნაშრომებში აისახა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. ასე, მაგალითად: პროფ. ლ. გოქსაძემ გამოაქვეყნა ორი სამეცნიერო სტატია: 1. ინგლისური ენის ქართულ შემსწავლელთა ტიპობრივი შეცდომების შესახებ („საენათმეცნიერო ძიებანი“ XIV, თბილისი, 2003) და 2. ლ.გოქსაძე, აბოჯორიშვილი: ცოტა რამ საჩუქრის თაობაზე, ანუ რა ვაჩუქო? („ბურჯი ეროვნებისა“ 7-8, 2003). პირველ სტატიაში ტიპობრივი შეცდომები დაყოფილია ორ მთავარ ჯგუფად – წმინდა ენობრივი და სოციალური. წმინდა ენობრივი შეცდომები განხილულია ენის ყველა დონეზე. სოციალური შეცდომები კი დაყოფილია ორ ქვეტიპად: ა) მარტივი, უენებელი შეცდომები და ბ) ყოფითი, შოკის გამომწვევი შეცდომები. მეორე სტატიაში საჩუქრის პრობლემა განხილულია კულტუროლოგიური თვალსაზრისით და

სხვადასხვა ყოფაში სხვადასხვა სიტუაციისათვის შესაბამისი საჩუქრის ათი ტიპია გამოყოფილი.

დოც. ნ. დარასელიამ მაგისტრანტებისათვის მოამზადა ლექციათა კურსი: ლინგვისტური ცვლილებების მექანიზმები (ისტორიული ლინგვისტიკა). კურსი მოიცავს 12 თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას. ისტორიული ლინგვისტიკის აღნიშნული ასპექტის ანალიზი ხორციელდება ძველი გერმანიკული ენებისა და ინგლისური ენის სამი პერიოდის მასალაზე.

კათედრის დოც. თ. ჯაფარიძემ დაამთავრა მუშაობა მონოგრაფიაზე სოციოლინგვისტიკის შესავალი.

დოც ნ. ძოწენიძემ და მაგისტრანტმა ი. კუციამ გამოაქვეყნეს ერთობლივი ნაშრომი: ანდაზების ოკაზიური თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურენოვან პრესაში („პოლიგლოტი“, 2003, №1-2, გვ. 25-40), რომელმაც აჩვენა, რომ თანამედროვე პრესაში ხშირია ანდაზების მოდიფიცირებული ფორმით გამოყენების შემთხვევები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირია ანდაზების ლექსიკური ცვლილებები, თუმცა ხშირად გვხვდება ლექსიკურ-გრაფიკული და კვანტიტატურ-გრაფიკული მოდიფიკაციებიც.

პროფ. მ. რუსიეშვილმა გამოაქვეყნა სტატია: ანდაზის ერთი სახეობის შესახებ („საენათმეცნიერო ძიებანი“, 14, თბილისი, 2003, გვ. 29-32).

თსუ დ/ე ფაკულტეტის შრომების №2 კრებულში გამოქვეყნებულია დოც. ნ. ნემსაძის სამეცნიერო სტატიები: 1. ი. პროგოზინის თეორია და ლინგვისტიკაში მისი მნიშვნელობის დამტკიცების მცდელობა; 2. ენტროპიისა და ნეგატიური ენტროპიის ცნებები და მათი გამოყენების შესაძლებლობა ენის განვითარების შესწავლის პროცესში; 3. ენობრივი ქაოსი და მისი რეგულირების გზები.

დოც. რ. ტყემალაძე აგრძელებს მუშაობას თემაზე: Sociolinguistic bases for phonetic changes in modern English. მანვე დაამთავრა მუშაობა სახელმძღვანელოზე ფონეტიკაში: The English Phonetics Handbook.

დოც. თ. ჯაფარიძის ასპირანტმა ი. დიასამიძემ კრებულ „საენათმეცნიერო ძიებანში“ გამოაქვეყნა სტატია: ტექსტის გრაფიკული გაფორმების სტილური მახასიათებლები. კათედრაზე დაცული იქნა შვიდი სამაგისტრო შრომა.

ინგლისური ფილოლოგიის კათედრის პროფესორ რ. ენუქიძის ხელმძღვანელობით ინგლისური ენის კათედრის მასწავლებელმა

ბ. პეტრიაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – ავტორისეული წიაღსვლების ლინგვისტური ორგანიზაცია (ინგლისური რომანის მასალაზე).

კათედრის წევრთა ერთი ჯგუფი: უ/მ ს. ბოლქვაძე, უ/მ ც. ბოცვაძე, უ/მ დ. სირია, დოც. ც. ხვედელიძე, დოც. რ. ციციშვილი მუშაობს დამხმარე სახელმძღვანელოზე წერის ასპექტში (Writing in English). აღნიშნული თემა გარდამავალია და 2004 წლისათვის დამთავრდება. საანგარიშო პერიოდში კი ჯგუფი აგროვებს მასალებს იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც სახელმძღვანელოში იქნება მოცემული.

პროფ. რ. ენუქიძე, დოც. თ. ჯაში, უ/მ ც. ბოცვაძე და უ/მ თ. ჩხეიძე მუშაობენ სახელმძღვანელოზე: საქმიანი ინგლისური ქართული სტუდენტებისათვის.

გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ა. კარტოზია) წევრები სისტემატურად აქვეყნებდნენ სამეცნიერო სტატიებს როგორც გერმანიის, ისე საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებში. მაგალითად,

Prof. M. Gwendadse, Lerngermanistik für deutsch als Fremdsprache, kommunikativ angelegt, interkulturell orientiert (პროფ. ლ. გიოტცეს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2003 წელს საარბრიუკენის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული).

დოც. თ. ჭუმბურიძე მასალები გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (საისტორიო ჟურნალი „არტანუჯი“, 11, 2003).

Prof. Th. Karbelaschwili, „Der verbale Bereich der Argumentation im Deutschen“ („Germanistische Studien“, 2, 2003).

უ/მ ნ. ხუციშვილი, კრ. მორგენშტერნის სიტყვათშემოქმედების სახეები (თსუ შრომები, 339,2).

ჰუმანიტარული ფაკულტეტების გერმანული ენის კათედრა (გამგე პროფ. დ. ფანჯიკიძე-კოკია).

კათედრის თითოეული წევრი ყოველ წელს გრამატიკული, ლექსიკური და ტერმინოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად ირჩევს არაადაპტირებულ სამეცნიერო ტექსტს, ურთავს მას ე.წ. განმარტებებს და ამუშავებს ერთ ან რამდენიმე გრამატიკულ თემას, რომელიც ყველაზე უფრო აქტუალურია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ტიპის სამეცნიერო ნაშრომი საანგარიშო წელს წარმოადგინა კათედრის 20-მა წევრმა. პარალელურად, კათედ-

რის რამდენიმე წვერი ინდივიდუალურ სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა:

პროფ. დ. ფანჯიკიძემ 2003 წელს გამოაქვეყნა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად წერილი – პოლიტიკური ცხედარი, მეცნიერული ზეთი და ნაღების კარაქი („ლს“, 17.10.2003); მე-20 საუკუნის ავსტრიული ლიტერატურა საქართველოში (საუნჯე, No.3-4, 2003); მისი რედაქციით გამოიცა კრებული მესამე თაობა. თანამედროვე ავსტრიული ლიტერატურა (გამომც. ენა და კულტურა, თბ., 2003); დ. ფანჯიკიძემ სიმპოზიუმზე „ენები. მთები. ტურიზმი“ (05. 2003) წაიკითხა მოხსენება თემაზე – ქართული, როგორც მიზანი – ენა გერმანულიდან ქართულად თარგმნის დროს (გერმანულ ენაზე).

კათედრის დოცენტმა მ. ანდრაზაშვილმა დაასრულა გერმანული ენის გრამატიკის ოთხტომეული. მე-4 ტომი გამოიცა 2003 წელს.

დოცენტმა ნ. გოგოლაშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი: თარგმანი მთარგმნელის თვალთ („ლს“, 19.09.2003) ; მისი რედაქციით გამოიცა კრებული მესამე თაობა. თანამედროვე ავსტრიული ლიტერატურა; მანვე წაიკითხა მოხსენება თარგმანის პრობლემებზე სიმპოზიუმზე „ენები. მთები. ტურიზმი“ (05. 2003).

უმ მ. ასათიანის რედაქციით გამოიცა სპეცტექსტების კრებული ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის (თსუ გამომც. 2003).

უმ ნ. ქიქოძემ 2003 წელს გამოაქვეყნა ნაშრომები: „გრაფიკულ-გრაფიკულად პუანტირებული ტექსტების ლინგვისტური ინტერპრეტაცია“ (თსუ გამომც. 2003); „Zum Problem der linguistischen Interpretation der monolithischen Texte“ (თსუ I საერთ. ლინგვ. კონფერენციის მასალები, თბ., 2003); „ენობრივი თამაშები ფიგურებით“ (ენა და კულტურა. ენა და თარგმანი. ლიტერატურა, თბ., 2003); „მონოლითური ტექსტის ლინგვისტური ინტერპრეტაცია“ („ახალი პარადიგმები“, 1, თბ., 2003).

უმ ნ. კაპანაძემ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოაქვეყნა ბროშურა: მონოტექსტური მიმართებები, მათი ფუნქციები და მეტატექსტის წარმოქმნა. აგრეთვე, სპეცტექსტი კომენტარებითურთ (კრებულში: გერმანული სპეცტექსტები ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის); ტექსტის წარმოქმნისა და გაგების პრობლემები (კრებულში: „საენათმეცნიერო ძიებანი,“ XV, გამომც. „ქართული ენა“, თბ., 2003).

კრებ. „საენათმეცნიერო ძიებანში“ შევიდა თ. ჩახნაშვილის სამეცნიერო სტატია – ჩარჩოს თავისებურებანი გერმანულ წინადადებაში (ტ.15. გამომც. „ქართული ენა“. 2003). კათედრის თანამშრომლებმა ნ. კაპანაძემ და ნ. ქიმერიძემ დაასრულეს მუშაობა საკანდიდატო დისერტაციებზე. წარმოდგენილმა ავტორეფერატებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. ი. ფხაკაძე) ანალოგიურად სხვა კათედრებისა, სასწავლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა.

2002-2003 წწ-ში „საენათმეცნიერო ძიებანში“, „ენათმეცნიერების საკითხებში“ და უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნდა აღნიშნული კათედრის თანამშრომლების – ჯ. მუხაძის, ნ. სურგულაძის, ასპირანტ თ. ქაცანაშვილისა და პროფ. ი. ფხაკაძის სამეცნიერო სტატიები.

იბეჭდება ფრანგული ენის გრამატიკის ორენოვანი სახელმძღვანელო (1000 გვ.-ზე მეტი). კათედრის რამდენიმე მაძიებელმა დაასრულა მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე.

ფრანგული ენის კათედრის გამგე პროფ. ც. ახვლედიანი მუშაობს ნაშრომზე ფრანგული ენის ისტორია (ქართულ ენაზე)..

იტალიური ფილოლოგიის კათედრის (გამგე დოც. მ. ჯავახიძე) წევრები მუშაობდნენ ინდივიდუალური გეგმის მიხედვით:

დოც. მ. ჯავახიძის ნაშრომში – ფრაზეოლოგია კულტურულ კონტექსტში- განხილულია ფრაზეოლოგიური მარაგის კულტურულ კონტექსტში შესწავლის თეორიული საფუძვლები, დაზუსტებულია ის მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც გამოიკვეთება ფრაზეოლოგიის კულტურული სემანტიკის მეთოდებისა და შედეგების აღწერისას ორი საგნობრივი სფეროს – ენისა და კულტურის კვლევის ჩარჩოებში.

ნ. ფეიქრიშვილმა გამოაქვეყნა სტატია - სომატურ ფრაზეოლოგიზმთა დიფერენციაციის საკითხი („საენათმეცნიერო ძიებანი“ 14, თბილისი, 2003), რომელშიც ავტორმა წარმოადგინა ადამიანის სომატურ ნაწილებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების ანალიზი და დაადგინა, რომ იტალიური, რუსული და ქართული ენების თითქმის ყველა ფრაზეოლოგიზმს აქვს საკუთარი სინონიმური რიგი.

უმ ნ. ხმალაძემ შეისწავლა ფრანგული ენის გავლენა იტალიურ ენაზე და დაასკვნა, რომ სწორედ ფრანგულმა შეუწყო ხელი სხვა ევროპული ენებიდან სიტყვების შემოსვლას იტალიურში.

უ/მ ნ. ცერცვაძის თემა – თანამედროვე მედია და სალაპარაკო იტალიური: სმს-ები. წარმოადგენს ე. წ. „მესიჯების“ ლინგვისტური კომპონენტების ტექსტობრივ ანალიზს. ნაშრომში ძირითადი ყურადღება ეთმობა ურთიერთდამოკიდებულებას სმსების ენასა და თანამედროვე იტალიური ენის სასაუბრო ფორმებს შორის.

ესპანური ფილოლოგიის კათედრა (გამგე დოც. ლ. ლორია). მასწ. ი. კარგარეთელის სამეცნიერო თემა ეძღვნება ესპანურ ენაში რეფლექსურობის კატეგორიას და მის ლექსიკურ-გრამატიკულ ველს.

მასწ. მ. კობეშავიძემ გამოაქვეყნა ორი სტატია: 1. მელანქოლიური მოტივები ანტონიო მანადოს პოეზიაში („მნათობი“, 1-2, 2002, გვ. 113-117); 2) ნეოლოგიზმები თანამედროვე ესპანურ ენაში (გადაცემულია დასაბეჭდად 2003წ. თსუ შრომებში).

მასწ. გ. ჩიქოვანის მიერ დაწერილია ესპანური ენის ლექსიკოლოგიის კურსის მე-2 ნაწილი. კათედრის ასპირანტი მ. გუგუნავა განაგრძობს კვლევით მუშაობას სადისერტაციო თემაზე: *Los rasgos gramaticales del poema El Mio Cid*.

ნ. აფხაიძემ გამოაქვეყნა გარსია ლორკას და ხუან რამონ ხიმენესის რამდენიმე პოემა გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“-ს 2002 წ. მაისის ნომრებში.

მასწ. ი. ჭელიძე აგრძელებს მუშაობას თემაზე – *La realidad objetiva vista a traves del prisma de mito y fantasia en la novela latinoamericana de anos 60-70*. მან აგრეთვე თარგმნა ესპანელი მწერლის ანტონიო გალას ორი მოთხრობა: ძნელი გოგონა და ბედნიერი მსუქანი ქალი. მოთხრობები გადაეცა ჟურნალ „ომეგა“-ს 2003 წ.

საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. ნ. კაკაბაძე) წევრთა ერთი ჯგუფი აგრძელებს მუშაობას გარდამავალ კომპლექსურ თემაზე: საზღვარგარეთის მწერალთა ლექსიკონი (თემის ხელძღვანელი პროფ. ნ. კაკაბაძე).

საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის წევრები: დოც. ნ. გუნცაძე, უ/მ გ. ეკიზაშვილი და მასწ. ნ. ქავთარაძე ფრანგულიდან თარგმნიან სახელმძღვანელოს. 2003 წელს მათ თარგმნეს: კომინიკ რენხე, ნერნარ ვალეტი და ფრანგული ლიტერატურის ისტორია (ანრი მიტერანის რედაქციით), XX საუკუნე: დოც. ნ. გუნცაძე – გვ. 234-306; უ/მ გ. ეკიზაშვილი – გვ. 530-606; მასწ. ნ. ქავთარაძე – გვ. 382-455.

პროფ. ნ. ორლოვსკაია ნაყოფიერად მუშაობს ქართულ-ევროპულ ურთიერთობების პრობლემებზე. 2003 წელს მან წარმოადგინა 4 ნაშრომი, რომელთაგან 2 უკვე დაიბეჭდა, 2 კი გადაცემულია დასაბეჭდად:

Из записок английского путешественника XIX века; в журнале "Caucasica", 5, 2003.

Образ Меден в поэме Джона Гауера (თსუ შრომები. დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა, 4, 2003).

Мальвида Мейзентбург - переводчица Толстого (в сб.: А. Н. Толстой и его межнациональное значение (გადაცემულია დასაბეჭდად თბილისის უნივერსიტეტის შრომებში).

Из переводческой деятельности Александра Сараджишвили (в сб.: актуальные вопросы межнациональных филологических общений, 7 (გადაცემულია დასაბეჭდად თბილისის უნივერსიტეტის შრომებში).

დოც. ნ. ბაქანიძემ დაამუშავა თემა: გოეთე და ეზოტერიზმი.

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატმა, მასწ. ა. თვარაძემ შეასრულა შრომა მე-12-14 საუკუნეების დასავლეთ ევროპული ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ.

მასწ. ბ. წიკლაურმა წარმოადგინა ნაშრომი ბიოგრაფიული ელემენტები ალბერ კამიუს შემოქმედებაში.

მასწ. ნ. თვალჭრელიძემ შეისწავლა სიმბოლოთა ინტერპრეტაცია მანუელ კიუიკის შემოქმედებაში (2003-2004) .

გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტმა ზ. აბაშიძემ დაამუშავა თემა მარტინ ვალზერის რომანის „კრიტიკოსის სიკვდილი“-ს ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი.

დოც. ლ. კერესელიძემ წარმოადგინა ნაშრომი კანონისა და სამართლიანობის შეუთავსებლობა შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ მიხედვით.

2002-2003 სასწავლო წელი მეტად ნაყოფიერი იყო აღნიშნული კათედრის პროფესორ თ. კობახიძისათვის. მან გამოაქვეყნა შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

Миф и мелос в поэтике "Четырѣх квартетов" Т.С. Эллиота (გადაცემულია დასაბეჭდად).

ტომას ელიოტის სუინიადა („კრიტიკერიუმი“, 8, 2003). ელიოტის დიონიები: „სუინი ბუღბუღლთა შორის“ („კაუკასუს კონტექსტი“, 2, 2003).

სამყაროს მითოპოეტიკური აღქმა მოდერნისტულ ლიტერატურაში („ლიტერატურათმცოდნეობა. წერილები ლიტერატურულ

ურთიერთობებზე“. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2003 (რუსულ ენაზე).

მოდერნიზებული კარნავალი ტომას ელიოტის ენეციკაში, „არილი“, 6 და 7, 2003.

პროფ. თ. კობახიძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა შემდეგი სამაგისტრო ნაშრომები: ლ. ჩახაია, მითოსის კონცეფცია ნორთროპ ფრაის ლიტერატურულ თეორიაში და ი. გელაშვილი, სინამდვილის ტრაგიკული განცდა სილვია პლატის შემოქმედებაში.

დ/ე ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს სასწავლო-მეთოდური მუშაობის მხარდამხარ და ეს გასაგებიცაა, რადგან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ძირითადი ამოცანაა სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა, მათთვის დღევანდელი დღისათვის შესაფერისი განათლების მიცემაა. ამ თვალსაზრისით, გასული წელი ნაყოფიერი იყო პუმანიტარული ფაკულტეტების ინგლისური ენის კათედრის (გამგე პროფ. ნ. საყვარელიძე) წევრებისთვის.

2003 წელს კათედრაზე დამთავრდა მუშაობა და გამოიცა შემდეგი სახელმძღვანელოები:

English for Journalists – ინგლისური ენის სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, II გამომუშავებული გამოცემა, ავტორები: პროფ. ნ. საყვარელიძე, დოც. თ. ზარიძე, უ/მ დ. კალაძე, თსუ გამომცემლობა.

World's Major Religions – სახელმძღვანელო ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ავტორი უ/მ რ. ცუცუნაშვილი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

Modern Public Speaking – სახელმძღვანელო საჯარო გამოსვლის პრაქტიკული კურსის სწავლებისათვის პუმანიტარულ ფაკულტეტთა სტუდენტებისათვის, ავტორი უ/მ მ. ბაქრაძე, გამომცემლობა „თობაღისი“.

The Law of Treaties – სახელმძღვანელო საერთაშორისო სამართლისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ავტორთა კოლექტივი: უ/მ დ. აფციაური, დოც. რ. დოლიძე, დოც. გ. ყუფარაძე, უ/მ თ. მხეიძე, თსუ გამომცემლობა.

ინგლისური ენის (საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისათვის) კათედრის (გამგე პროფ. ზ. გაჩეჩილაძე) თანამშრომლები, ამ კათედრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად მუშაობენ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტებისათვის ლექსიკო-

ნებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენაზე. მათ შორის ყურადღების ღირსია შემდეგი:

პროფ. ნ. ჩიჩუა, დოც. ც. ჯაში, სამეცნიერო ინგლისურის პრაქტიკული კურსი (ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, იბჭ-დება);

ც. ჯაში, ქ. სურგულაძე, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, I ტომი;

უ/მ ნ. ურუშაძე, ნობელის პრემიის 12 ლაურეატი (ბიოლოგიური ფაკ. II-III კ. სტუდენტებისათვის);

ლ. მეგრელიშვილი, ნ. ფოცხვერაშვილი, დამხმარე სახელმძღვანელო მედიკოსი სტუდენტებისათვის.

გ. ბეროძე, ნ. გელოვანი, ნ. ივანიძე, ლ. პაქსაშვილი, ნ. სვანიძე, დამატებითი საკითხავი წიგნი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

დოც. ნ. დოლიძე, ინგლისური ენის დამხმარე სახელმძღვანელო ქიმიკოსებისათვის.

უ/მ ნ. ჩხიკვაძე, ც. ჩარკვიანი, ოქსფორდის ბიზნესის ლექსიკონის ქართული თარგმანი;

ნ. ზაქარიაძე, დ. წულუკიძე, დამხმარე სახელმძღვანელო საშინაო კითხვისათვის.

მ. ბერაძე, ქართულ-ინგლისური ბიოლოგიური ლექსიკონი.

გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე შესრულებულ სახელმძღვანელოთაგან აღსანიშნავია დოც. თ. სესიაშვილის სახელმძღვანელო გერმანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის *Deutsch für georgische Germanistikstudenten*, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003. ეს არის ახალი ტიპის სახელმძღვანელო, რომელიც ენობრივთან ერთად კომუნიკაციური და ინტერკულტურული კომპეტენციის გამომწვევებას ემსახურება. მასში, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებულია გერმანული ენის ქართველი შემსწავლელების ინტერესები და მოთხოვნილებები, გერმანული და ქართული ენებისა და კულტურების თავისებურებები და ის სიძნელებები, რომლებსაც ხვდებიან ქართველები გერმანული ენის შესწავლისას.

თსუ გამომცემლობამ მიმდინარე წელს აბიტურიენტთათვის გამოსცა 2002წ. მისაღები გამოცდების ტექსტებისა და ტესტების ნიმუშები გერმანულ ენაში (შემდგენლები: მ. ახალკაცი, დ. გამყრელიძე, ნ. გოგელია, ქ. კალანდაძე, მ. პაიჭაძე, ლ. სოლომონია, თ. ჭუმბურიძე).

მ. ახალკაცმა, დ. გამყრელიძემ, ნ. გოგელიამ, ქ. კალანდაძემ, ნ. ტყეშელაშვილმა, თ. ჭუმბურიძემ გამოსცეს გერმანულენოვანი ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის დამხმარე სახელმძღვანელო საშუალო სკოლების VIII-X კლასებისათვის, გამომცემლობა „დიობენე“.

ესპანური ფილოლოგიის კათედრის მასწ. ნ. ქარჩავა და ა. გველესიანი ესპანეთიდან მოწვეულ კოლეგასთან ერთად განაგრძობენ მუშაობას ესპანურ-ქართული სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაზე.

დოც. ლ. ლორია ამთავრებს მუშაობას სახელმძღვანელოზე ესპანური ლიტერატურის ისტორია.

ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა

დასაყვლეთ ევროპის ფაკულტეტს ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის მდიდარი ტრადიციები აქვს. ამ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები დღესაც ნაყოფიერად შრომობენ აღნიშნული მიმართულებით, მაგალითად, ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე გრძელდება მუშაობა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონზე. მიმდინარე წელს გამოვიდა ასო “M”. მიმდინარეობს მუშაობა მის ქართულ-ინგლისურ ვარიანტზეც (უ/მ ა. ჭანტურია, დოც. თ. მარგალიტაძე, უ/მ გ. ანთელავა, უ/მ მ. ზაალიშვილი).

ამავე კათედრის მასწავლებელთა ერთი ჯგუფი (ქ. თუხარელი, ქ. ქაეთარაძე, თ. ხატელიშვილი, ც. ხვედელიძე, დ. ჭილაია, მ. ყიფშიძე, მ. გიგინეიშვილი, ლ. გომიაშვილი, რ. ებრაღიძე) აგრძელებს მუშაობას ინგლისურ-ქართულ თემატურ ლექსიკონზე. აღნიშნული ლექსიკონი მიზნად ისახავს დარგობრივი ტერმინების ქართული შესატყვისის საშუალებით გააცნოს ინგლისური ენის შემსწავლელთ ცალკეულ დარგთა (ხელოვნება, სპორტი, იურისპრუდენცია) ტერმინოლოგია, დიდი ბრიტანეთის ხალხების წესჩვეულებები და ა.შ.

ფრანგული ფილოლოგიის კათედრაზე 2002-2003 წწ. მიმდინარეობდა მუშაობა ქართულ-ფრანგულ ლექსიკონზე. 2003წ. დოც. ს. მგელაძემ, დოც. ნ. მოსაშვილმა, დოც. გ. კანდელაკმა, პროფ. ი. ფხაკაძემ, დოც. ე. მელქაძემ, დოც. ქ. გაბუნია, უ/მ ნ. მირიანაშვილმა, უ/მ თ. ბელიაშვილმა და კათედრის სხვა წევრებმა წარმოადგინეს ასო „განი“, რომელიც თავისი მოცუ-

ლობით ყველაზე დიდგანზომილებიანია როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენაშიც.

ფრანგული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებლების მიერ მიძღინარე წელს რედაქტირებულ იქნა და გადაეცა დასაბეჭდად უნივერსიტეტის გამომცემლობას ქართულ-ფრანგული თემატურ-დარგობრივი ლექსიკონი (შემდგენელები: უ/მ ლ. დარაშვილი, უ/მ მ. ჭილაშვილი, უ/მ ნ. მოდებაძე, უ/მ ნ. კიკნაზე, უ/მ ნ. აფშილავა, უ/მ მ. კვანტალიანი, უ/მ დ. ბუხრაშვილი, უ/მ ლ. მჭედლიშვილი, დოც. ც. ბიბილეიშვილი, დოც. ნ. ქადეიშვილი, პროფ. ც. ახელედიანი.) მათ მიერ შესრულდა ძირითადი სამუშაოები ფრანგულ-ქართული თემატურ-დარგობრივი ლექსიკონის მომზადებისათვის. დოც. ლ. კაკაბაძემ შეასრულა ნაწილი სახელმძღვანელოსი - ფრანგული ენა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისათვის.

დოც. ნ. თევდორაძემ და უ/მ მ. ჭილაშვილმა დაასრულეს მუშაობა ნაშრომზე: ფრანგული ენის სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთათვის და ამზადებენ გამოსაცემად.

უ/მ ნ. მოდებაძემ შეასრულა ნაწილი სახელმძღვანელოსი ფრანგული ენა ისტორიის, დიალექტისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

უ/მ ჟ. ართმელაძემ შეავსო ახალი მასალით მის მიერ უკვე გამოცემული ფრანგული ენის სახელმძღვანელო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთათვის და ამზადებს გამოსაცემად.

დოც. ნ. მგელაძემ დაამთავრა ნაწილი ნაშრომისა ფრანგული ენა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

უ/მ ლ. გოგიშვილმა და უ/მ ლ. ხუციშვილმა შეასრულეს ნაწილი ნაშრომისა ფრანგული ენა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

უ/მ ლ. დარაშვილმა მოამზადა და გადასცა დასაბეჭდად უნივერსიტეტის გამომცემლობას ფრანგული ენის სახელმძღვანელო ფიზიკოსებისათვის.

უ/მ ე. მაყაშვილი ამზადებს სახელმძღვანელოს: ფრანგული ენა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

უ/მ ი. ჩაჩავა და უ/მ ი. ჩიქვინიძე მუშაობენ ფრანგული ენის სახელმძღვანელოზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

უ/მ მ. კვანტალიანმა და უ/მ ი. სეხნიაშვილმა შეასრულეს ნაწილი სახელმძღვანელოსი: ფრანგული ენა ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტთათვის.

გერმანული ენის კათედრა 2003 წელს აგრძელებდა მუშაობას ჯერმანულ-ქართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე (ცალკეული ჟღარგების მიხედვით). ვინაიდან არ არის სათანადო ბაზა ლექსიკონის წარმოდგენილი ნაწილების უნიფიცირებისა და დამუშავებისათვის, კათედრა ცდილობს ცალკეული ჟღარგების მიხედვით შეადგინოს ლექსიკონი – მინიმუმი და დაურთოს ის სასწავლო პროგრამას. ამავე მიზნით კათედრა უკავშირდება სათანადო მაპროფილებელ კათედრებს, რომლებიც მას ეხმარებიან სათარგმნი მასალისა და ტერმინების შერჩევასა და შერჩეული მასალის რეცენზირებაში. ამგვარი მუშაობის ორგანიზებაში ჩაბმული არიან მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების კათედრები და ცალკეული სპეციალისტები.

კათედრის სხდომაზე განხილულ იქნა დოც.ლ. ხაეთასის, დოც. ლ. ბარამიძის, უ/მ თ. გასიტაშვილის, უ/მ ლ. ცქიტიშვილის, უ/მ ნ. ჯაფარიძის, უ/მ გ. ვარდიაშვილის ლექსიკონის შესრულებული ნაწილები (დაახლოებით 500-მდე ლექსიკური ერთეული).

კათედრა აგრძელებს მუშაობას ტერმინოლოგიური ლექსიკონის (მინიმუმის) შედგენაზე.

როგორც ყოველთვის, წელსაც ინტენსიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ გერმანული ფილოლ. კათედრის წევრები ნ. ამაშუკელი და ნ. ხუციშვილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ამაშუკელის მიერ თარგმნილი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „არჩევითი ნათესაობა“, ო. ყარალაშვილის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

ნ. ხუციშვილის მიერ ითარგმნა რ. მ. რილკეს ადრეული მოთხრობები, თსუ გამომცემლობა, 2003.

ინგლისური ფილოლოგიის კათედრის უ/მ მ. ზაალიშვილმა თარგმნა უილიამ შექსპირის „ვენერა და ადონისი“, გამომცემლობა „ლიტერა“, 2003.

ფრანგული ენის კათედრის უ/მ მ. ჭილაშვილმა გამოსცა თარგმანი: ჟიულ რენარის „ბუნების ამბები“, გამომცემლობა „ქრონოგრაფი“.

ინგლ. ფილოლ. კათედრის უ/მ დ. სირიამ მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების მუშაობაში. 21-ე სესიაზე მან წაიკითხა მოხსენება თემაზე ინგ-

ლისური ენის ვარიანტებისა და დიალექტების როლი ინგლისური სალიტერატურო ენის განვითარებაში. 22-ე სესიაზე გაკეთებული მოხსენების თემა კი იყო სკოტური (შოტლანდიური) ენა თუ დიალექტი. დ. სირიამ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ქ. ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2002–2003 წწ. გამართულ სიმპოზიუმებში (მოხსენების მასალები დაბეჭდილია ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“ – 2002–2003 წწ.). დიდი მოწონება ხედა წილად დ. სირიას შემდეგ მოხსენებებს: ვერბალური სიმბოლიზმის საკითხისათვის ბიბლიაში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე) და ენათა კონტაქტები და ლექსიკური ფონდის ინტენსიური ზრდა (ინგლისური ენის მასალაზე).

ესპანური ფილოლ. კათედრის პროფ. ნ. ცქიტიშვილმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ესპანური ენის ისტორიის საკითხებს. კონფერენცია მოეწყო მადრიდის უნივერსიტეტში 2003წ. 29 სექტ.–3 ოქტ. ნ. ცქიტიშვილის მოხსენების თემა იყო „სილაბური ზღვრულობის საკითხისათვის“.

2003 წლის 23 მაისს გერმანული ენის საზოგადოების თბილისის ფილიალის მიერ ჩატარებულ სტუდენტთა მე-8 სამეცნიერო კონფერენციაზე გერმანული ენის ლექსიკოლოგიისა და ფრაზეოლოგიის საკითხებზე პროფ. თ. კარბელაშვილის, უ/მ ი. აღლაძის, უ/მ ლ. ბარამიძის ხელმძღვანელობით საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს გერმანულ ენაზე სტუდენტებმა ი. ზანდუკელმა, მ. ქაფიანიძემ, მ. მაისურაძემ, თ. დეკანოიძემ, თ. კალაძემ და სხვ.

გერმანული ენის საზოგადოების თბილისის ფილიალი (ხელმძღ. პროფ. თ. კარბელაშვილი) სისტემატურად ბეჭდავს სტუდენტურ სამეცნიერო კრებულებს გერმანულ ენაზე. 2003 წელს გამოვიდა ბოლო კრებული, რომელშიც დაბეჭდილია გერმანული განყოფილების სტუდენტებისა და მაგისტრანტების ნაშრომები, რომელთა მომზადებაშიც თავიანთი წვლილი შეიტანეს პროფ. მ. გვენცაძემ, პროფ. თ. კარბელაშვილმა, დოც. თ. სესიაშვილმა და უ/მ ი. აღლაძემ.

ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს ინგლისური ფილოლოგიის კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრე (ხელმძღვ. პროფ. ლ. გოქსაძე). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ წრის სხდომებზე წარმოდგენილ ნაშრომს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მასშტაბით გამართულ კონფერენციაში.

2003 წლის სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე დასაველეთ ევროპის ლიტერატურაში პირველი ადგილი დაიკავა იტალიური ენის განყოფილების სტუდენტმა ქ. ევაქემ თემით: ჯ. ლეოპარდი, Infinito (ხელმძღვ. დოც. ნ. ლადარია), მეორე ადგილი მიენიჭა მეოთხე კურსის სტუდენტ თ. ლომიძეს ნაშრომისათვის იტალიური ანდაზის სტრუქტურა (ხელმძღვ. დოც. მ. ჯაფახაძე).

დადებითად უნდა შეფასდეს ესპანური ენის შემსწავლელ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაც. სტუდენტების ინტერესების ფართო დიაპაზონი, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სერიოზული პროფესიული მომზადება თავს იჩენდა სამეცნიერო სემინარებზე, რომლებიც სისტემატურად ტარდება.

ამა წლის აპრილის თვეში, ჩვეულებისამებრ, მოეწყო საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია ფრანგულ ენაზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს და ფრანგულ ენაზე მოხსენებები წაიკითხეს უ/მ ლ. დარაშვილის, უ/მ ნ. მოდებაძის, უ/მ მ. ჭილაშვილის, დოც. ნ. თევდორაძის, უ/მ ნ. აფშილავას, უ/მ ნ. კიკნაძის, დოც. ლ. კაკაბაძის, უ/მ ლ. გოგიშვილის, დოც. ნ. მგელაძის სტუდენტებმა.

კონტაქტები საზღვარგარეთთან; საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

2003 წელს გერმანული ფილოლოგიის კათედრა განაგრძობდა კონტაქტებს გერმანიისა და ავსტრიის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უალრესად მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა საარბრიუკენისა და ბამბერგის უნივერსიტეტების გერმანისტიკის განყოფილებებთან (ხელმძღვანელები პროფ. ლუტც გიოტცე და პროფ. ჰელმუტ გლიუკი). გერმანული ენის სწავლების ახალი მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით საარბრიუკენის უნივერსიტეტში მივლინებული იყვნენ პროფ. მ. გვენცაძე და დოც. ე. შავერდაშვილი. აქვე კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდნენ მაგისტრანტები ქ. დარსანია, ნ. ბურჯანაძე, თ. შაშიაშვილი. ამჟამად იქ არიან ტ. ჯაიანი და ნ. ლოლაძე.

კვლავაც მჭიდრო კონტაქტები არსებობს გოეთეს ინსტიტუტსა და გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურთან (DAAD),

რომლებიც აქტიურად ეხმარებიან კათედრას გერმანიაში გამოცემული სახელმძღვანელოებითა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით. გოეთეს ინსტიტუტმა სამუშაო ოთახი გამოუყო და ყოველმხრივ დახმარებას უწევს ქართულ-გერმანულ საზოგადოებას (ხელმძღვანელი დოც. ნ. ამაშუკელი).

დოც. ნ. ამაშუკელი, უ/მ ნ. ხუციშვილი, უ/მ დ. სიხარულიძე აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენებისა და კულტურათა უნივერსიტეტის ავსტრიის ბიბლიოთეკის ღონისძიებებში.

ესპანური ფილოლ. კათედრის წევრები – დოც. ლ. ლორია, პროფ. ნ. ცქიტიშვილი, ი. ჭელიძე და ი. კარგარეთელი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ ესპანეთის უნივერსიტეტებში.

2003 წ. მაისში ფრანგული ფილოლოგიის კათედრამ უმასპინძლა მიშელ ბოპრეს ნანტის უნივერსიტეტიდან, ოქტომბერში კი – ნამიურის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს მანფრედ პეტერსს. შეხვედრა ლექციისა და კოლეგიალური დიალოგის სახით გაიმართა.

ფრანგული განყოფილების სტუდენტები წარმატებით აბარებენ სერთიფიკატის ყველა დონის გამოცდებს, ხოლო ასპირანტები და მაგისტრები წარმატებით გადიან პრაქტიკას საფრანგეთის უნივერსიტეტებში.

ფრანგული განყოფილების სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ საფრანგეთის განათლების სამინისტროსა და საფრანგეთის საელჩოს კულტურისა და ენის დეპარტამენტის მიერ მოწყობილ მანიფესტაციებსა და კონკურსებში.

კათედრა მჭიდროდ თანამშრომლობს საფრანგეთის საელჩოსთან პედაგოგიკის, ენათმეცნიერებისა და თარგმანის ყველა მიმართულებით.

ფრანგული ფილოლ. კათედრის დოც. ქ. გაბუნია ორთვიანი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა პარიზის „La maison de l'homme“-ში, სადაც ის მიწვეულ იქნა რეფერენციის საკითხებზე სამუშაოდ.

დოც. მ. ჯავახიძე, როგორც კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიანტი, 2003 წლის ივლისის თვეში სამი კვირით მივლინებული იყო იტალიაში, პერუჯის უნივერსიტეტში იტალიური ენის პედაგოგთა კურსებზე. ამავე უნივერსიტეტში „თანამედროვე იტალიური ენის კურსის“ მუშაობაში 2003 წლის ივლისის თვეში

მონაწილეობას ღებულობდა იტალიური ენის კათედრის მასწავლებელი, კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიანტი ხ. ცხადაძე.

2003 წლის ზაფხულში ქ. უორეკის უნივერსიტეტში წინასასესიო კურსის წასაკითხად ხუთი კვირით მიწვეული იყო ინგლისური ფილოლ. კათედრის დოცენტი მ. თევზაძე.

ინგლ. ფილოლ. კათედრის პროფ. მ. რუსიეშვილმა 2003 წლის დეკემბერში იმოგზაურა ნოტინგჰემის ტრენტის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სადაც ჰქონდა შეხვედრები ინგლისური ენის ფაკულტეტის კათედრის გამგესთან, ქნ. სანდრა ჰარისთან, რომელმაც შესთავაზა ერთობლივი ნაშრომის დაწერა პრაგმატიკაში. წელს დაგეგმილია მ. რუსიეშვილის მორიგი ვიზიტი ნოტინგჰემში.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი

2003 წელს აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. დ.კაციტაძე) წევრთა მიერ შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაო: პროფ. დ.კაციტაძე მუშაობდა მონოგრაფიის – III-XVIII საუკუნეთა ირანის ისტორიის წერილობითი წყაროები – მომზადებაზე. გარდა ზემოხსენებული მონოგრაფიისა მან გამოაქვეყნა შემდეგი სტატიები:

1. არჩილის გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, როგორც საისტორიო წყარო. ურნ. „აღმოსავლეთი და კავკასია“, №1, თბილისი, 2003, გვ. 47-56.

2. ქართველები XVI საუკუნის ირანში. „აღმოსავლეთი და კავკასია“, №2, თბილისი, გვ. 74-80.

3. ერთი ფოტოს კვლადაკვალ (პეტერბურგის ქართული სათვისტომოს ისტორიიდან). გაზ. „ახალი ეპოქა“, 22-28 აგვისტო, 2003, №38 (262). „ჩვენი მწერლობა“. სალიტერატურო ჩანართი, №33 (163), გვ.8

4. სადაც არ უნდა ყოფილიყო (ალექსანდრე გვახარიას ხსოვნას). კრ. ალექსანდრე გვახარია, თბილისი, 2003, გვ. 47-50.

5. ჩვენ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. კრებ. აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, თბილისი, 2003, გვ. 112-118.

მასვე დასაბეჭდად გადაცემული აქვს სტატია XVIII საუკუნის ერთი ქართული დოკუმენტი ირან-რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 11. თბილისი, 2004

პროფ. დ.კაციტაძის ხელმძღვანელობით ასპირანტურის კურსდამთავრებულმა ხ.ბაინდურაშვილმა დაასრულა საკანდიდატო დისერტაცია, დაცულ იქნა სადოქტორო დისერტაცია (ინაჭყებია), ხოლო მეორე ასპირანტი იწყებს მუშაობას ირანის ისტორიის სპეციალობით.

ამჟამად იგი ხელმძღვანელობს 6 მაგისტრანტს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა 63-ე სამეცნიერო კონფერენციაზე პროფ. დ.კაციტაძის ხელმძღვანელობით სამმა სტუდენტმა წაითხა მოხსენება.

პროფ. ნ.შენგელიამ თურქულიდან თარგმნა 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. გარდა ამისა, მან გამოაქვეყნა შემდეგი ნაშრომები:

1. 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, როგორც წყარო სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის, ქართული დიპლომატია, წელიწდგული, 10, თბილისი, 2003, გვ. 443-450.

2. მონოგრაფია სელჩუკთა სახელმწიფოების ისტორიის შესახებ. ქართული დიპლომატია, წელიწდგული, 10, თბილისი, 2003, გვ. 541-567.

3. სულთან აჰმედ III ორი ფირმანი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბილისი, 2003, გვ. 19-26.

4. ოსმალური კანუნ-ნამეები საქართველოს შესახებ. „აღმოსავლეთი და კავკასია“ №1, თბილისი, 2003, გვ.103-105.

5. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ქართლის შესახებ“, „აღმოსავლეთი და კავკასია“, №2, 2004 დასაბეჭდად გამზადებულია:

1. მონოგრაფია – შვირე აზიის სელჩუკები და საქართველო (XI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – XIII საუკუნე), თბილისი, 2003.

2. ოსმალური „ხაზინის თესქერები“ სოხუმის ციხის შესახებ. ნ.შენგელია ხელმძღვანელობს 5 მაგისტრანტს. ერთმა მათგანმა წაიკითხა მოხსენება სტუდენტთა კონფერენციაზე.

პროფ. გალასანიამ მიმდინარე წელს გამოაქვეყნა შემდეგი სტატიები:

1. თვითიდენტიფიკაცია შუა საუკუნეთა საქართველოში კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, VII, ქუთაისი, 2003, 22-33.

2. საქართველოს დამოკიდებულება ოსმალეთზე ქალაღღზე და რეალობაში კრ. „აღმოსავლეთი და კავკასია“. №1, 2003, გვ. 19-27.

3. ქართველების და ისლამადელი თურქების ერთობლივი ბრძოლის ისტორიიდან. კრ. „აღმოსავლეთი და კავკასია“, 2, 2004, 13-33.

4. ყივჩაღები და საქართველო კრ. მიძღვნილი ვალერიან გაბაშვილისადმი. თბ., 2003.

5. Georgians and pre-Islamic Turks.– Caucasia (1-3 X 2002 წელს თბილისში ჩატარებული წყაროთმცოდნეობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული), თბ., 2003.

6. Significance of roads and journeys in pre-modern Georgia. – Collection (Ist International silk road symposium). Istanbul.

იგი მოხსენებებით მონაწილეობდა კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვს თესიზები:

1. ქართული წყაროების „სამეფო აფხაზეთისა“-ს მნიშვნელობის დაზუსტებისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის ი.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. 2003, 27-30 მაისი.

2. Significance of roads and journeys in pre-modern Georgia. – (1st International silk road symposium). June 25-27, 2003, Tbilisi – Georgia.

Symposium is organized by International Black Sea University in cooperation with Georgian Academy of Sciences, Tbilisi, 2003.

მისი ხელმძღვანელობით დასრულდა ორი საკანდიდატო დისერტაცია:

1) მ.მახარაძე, ანტიოსმალური კოალიციები მე-15-16 სს.

2) ტ.ლებანიძე, მრავალპარტიული სისტემა თურქეთში.

და დაცულ იქნა 3 სამაგისტრო ნაშრომი.

სტუდენტურ კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს: დ.სოფრომაძემ, ქ. ალექსი-მესხიშვილმა, ლ.მეტრეველმა, მ.ბუქურმა.

მიმდინარე წელს ამერიკული საბჭოების გრანტით 4-კაციან ჯგუფთან ერთად მისი ხელმძღვანელობით ტექნიკური უნივერსიტეტისათვის მომზადდა კონფლიქტოლოგ-პედაგოგისათვის 4 კურსის პროგრამა და საკითხავი მასალა, მოეწყო პრეზენტაცია.

ამერიკული საბჭოების კონკურსით, მიიღო მონაწილეობა, როგორც ფასილიტატორმა, ამერიკაში ჩატარებულ ერთთვიან პროგრამაში სკოლის დირექტორებისათვის (ვაშინგტონი-მონტანის შტატი).

იენისში ჩატარდა აბრეშუმის გზისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი პროფ. გალასანია გახლდათ.

იგი იყო განთელავას ოპონენტი, რომელმაც დაიცვა დისერტაცია „ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესისა და ტექნოლოგიის კონსოლიდაციის ისტორიული პროცესის სათავეები და შედეგები“.

მან დაიწყო მუშაობა „თურქეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე. მიმდინარე წელს დაიწერა მონაკვეთი მე-16 საუკუნემდე.

დოც. მტიკაძემ 2003 წლის იენისში დაამთავრა და მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ოსმალთა ბატონობა სირიაში და ისლამური ინსტიტუტები (კონსერვატიზმი და ევოლუციის ნიშნები, XVIII ს.).

გარდა ამისა, შეასრულა შემდეგი სამუშაო:

1. გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია – არაბულ-ოსმალური კულტურული ორიენტაციის საკითხი და ისლამური ინსტიტუტები

ბი თანზიმათის წინ. კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, კრებული XIV, თბილისი, 2003, გვ.85-92.

2. ყოველწლიური ჰაჯი და სირიის რელიგიური სტატუსი ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVIII ს.) „აღმოსავლეთი და კავკასია“, №2, თბილისი, 2004, გვ.113-118.

გადაცემული აქვს დასაბეჭდად:

1. მომთაბარე ტომები და მუსლიმ პილიგრიმთა უსაფრთხოების საკითხი სირიაში (XVIII ს) თსუ ისტორიის ფაკულტეტის შრომები.

2. სირიის ოსმალური რეჟიმი და მუსლიმ პილიგრიმთა დაცვის საკითხი XVIII საუკუნეში (ჯარდას ქარაევანი). თსუ, სამეცნიერო კრებული.

3. შარიფების ორგანიზაცია სირიის პოლიტიკურ სარბიელზე ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVII-XVIII სს.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული.

4. სირიის აიანთა როლი ოსმალთა ბატონობის პერიოდში. სომხეთ-ირანის სამეცნიერო კრებული (რუსულ ენაზე).

მიმდინარე წელს მის მიერ რედაქტირებული და გამოქვეყნებულია ლ.ბლიაძის და თ.ქარცივაძის სამეცნიერო სტატიები, აგრეთვე მაგისტრანტების ლ.ჯაბაეას, ლ.კაჭარაეას, თ.შალაშვილის ნაშრომები (იხ. „აღმოსავლეთი და კავკასია“, II, 2004). ამჟამად ხელმძღვანელობს 4 მაგისტრანტს და 2 ასპირანტს. 2003 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა 63-ე კონფერენციაზე მისი ხელმძღვანელობით მოხსენებები წაიკითხა 5 სტუდენტმა.

მასწავლებელი მ.მახარაძემ 2003 წელს დაასრულა და წარადგინა ნაშრომი: XV საუკუნის ანტიოსმალური კოალიციები. ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

მან გამოაქვეყნა სტატიები:

1. გიორგი VIII სპარსთა მეფედ მოხსენიების საკითხის გამო. „აღმოსავლეთი და კავკასია“, №1, თბილისი, 2003, გვ.74-77.

2. ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა XVI ს-ის დასაწყისში. „აღმოსავლეთი და კავკასია“, №2, თბილისი, 2004, გვ. 107-113.

3. დესპინას დიპლომატიური მოღვაწეობა. „აღმოსავლეთი“ (პუბლიცისტურ-შემეცნებითი ჟურნალი), თბილისი, 2003, №4 (თებერვალი-მაისი), გვ.19.

დასაბუჯდად გადაცემული აქვს ორი სტატია:

1. ქორწინება და ქალთა დიპლომატია XV საუკუნის ანტი-ოსმალურ კოალიციაში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. XI.

2. საქართველოში უზუნ ჰასანის შემოსევის თარიღის დადგენა. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო.

მისი ხელმძღვანელობით აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქეთის ისტორიის II და IV კურსების სტუდენტებმა თურქულიდან ქართულად თარგმნეს თურქეთის რესპუბლიკაში გამოცემული წიგნი, რომელშიც ლაპარაკია ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე. დაიბეჭდება ეურნალ „აღმოსავლეთში“.

მ.მახარაძე არის ეურნალ „აღმოსავლეთი და კავკასიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის (გამგე აკად. კ.წერეთელი) გეგმით გათვალისწინებულ თემებზე მიმდინარეობდა მუშაობა დოც. მ.გოცირიძე, დოც. ლ.გულედანი: „ქართულ-ებრაული ლექსიკონი“. შედგენილია ლექსიკონის მასალა „ზენიდან“ „ნარამდე“.

დოც. დ.სვანი: სირიული გრამატიკული ტერმინოლოგია. საანგარიშო პერიოდში შესწავლილია XIII საუკუნის შემდგომი ხანის სირიული ლინგვისტური მოძღვრების ისტორია და შესაბამისი ტერმინოლოგია.

დოც. მ.ჩაჩიბაია: დასრულებულია მუშაობა სახელმძღვანელოს „სირიული ლიტერატურის ისტორია“ მეოთხე და მეხუთე თავებზე, რომლებშიც განხილული და შესწავლილია VII-XI სს. იაკობიტი და ნესტორიანი მწერლების შემოქმედება (ორიგინალური და თარგმნილი თხზულებები).

გრძელდებოდა აგრეთვე მუშაობა შემდეგ თემებზე: ბიბლიური საკუთარი სახელები ქართულში (აკად. კ.წერეთელი); საკითხავი წიგნი (ქრესტომათია) ებრაულ-არამეულ ეპიგრაფიკაში (დოც. მ.ჭელიძე); იდიში როგორც სპეციფიური ებრაული ენა (მასწ. ი.ასათიანი).

გამოქვეყნებულია ნაშრომები:

1. მ.გოცირიძე, შენიშვნები ხუთთანხმოვნიანი ზმნების შესახებ ბიბლიის ებრაულში. „სემიტოლოგიური ძიებანი“, VI, თბ. 2003.

2. მ.გოცირიძე, მორფოლოგიური და ლექსიკური კაუზატივები თანამედროვე ებრაულში. აკად. კ. წერეთლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (იბეჭდება).

3. ლ.გულედანი, ომონიმიის საკითხისათვის თანამედროვე ებრაულში. „სემიტოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 2003.
4. დ.სვანი, ზოგი რამ დიაკრიტიკული ნიშნების და მახვილის შესახებ სირიულში. აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2003.
5. დ.სვანი, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხისათვის სირიულში. „სემიტოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 2003.
6. დ.სვანი, სირიული გრამატიკული ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხისათვის. აკად. კ.წერეთლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (იბეჭდება).
7. ჯ.აჯიაშვილი, ანდალუსიის ებრაელი პოეტები. „სემიტოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 2003.
8. მ.ბუცხრიკიძე, ფუნქციური სიტყვა waday (bewaday) შ. აგნონის ენაში, „აღმოსავლეთი და კავკასია, №1, თბ., 2003
9. მ.ბუცხრიკიძე, გამეორება შმუელ იოსეფ აგნონის თხზულებებში და მისი გადმოცემის გზები ქართულ თარგმანში. „სემიტოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 2003.
10. ლ.ბახტაძე, იმპერატივის გამოხატვის ალტერნატიული საშუალებები ებრაულ ენაში. „სემიტოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 2003.

მომზადდა გამოსაცემად:

მონოგრაფია „ცხოვრება წმიდა პეტრე იბერიისა“. ასურულ-ქართული ვერსიები (მ.ჩაჩიბაია).

დ.სვანი მონაწილეობდა ქუთაისში გამართულ აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში (მოხსენება გამოქვეყნებულია).

მ.ბუცხრიკიძემ წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შ.აგნონის თხზულებათა ენა, სტრუქტურა და თარგმანი“ (ავტორეფერატი დაბეჭდილია). მანვე თარგმნა ორიგინალიდან და გამოსცა ქართულად თანამედროვე ებრაული პროზის ანთოლოგია სათაურით „წმინდა მიწა – კაქტუსების ქვეყანა“ (თბ., 2003).

კათედრაზე მომზადდა ორი სამაგისტრო ნაშრომი:

1. მოსეს ხუთწიგნეულის წარმომავლობის ზოგიერთი საკითხისათვის (ხელმძღვანელი ჯ.აჯიაშვილი).
2. ბიბლიური წარმოშობის ანდაზები ქართულ ზეპირმეტყველებაში (ხელმძღვანელი პროფ. ზ.კიკნაძე).

კათედრის წევრები დ.სვანი, მ.გოცირიძე, ლ.გულუდანი მონაწილეობდნენ მეცნ. აკადემიის აკად. გ.წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად პროექტში „ზმნის უღვლილების სისტემა თანამედროვე სემიტურ ენებში“ (პროექტის ხელმძღვანელი აკად. კ.წერეთელი).

ასირიოლოგიის კათედრა (გამგე აკად. გ.გიორგაძე). კათედრის პროფესორ-მასწავლებლები ამუშავებდნენ სხვადასხვა ძველად-მოსავლურ პრობლემას:

აკად. გ.გიორგაძე იკვლევდა ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხებს, პროფ. ი.ტატიშვილის კვლევის ობიექტია ხეთური რელიგია, პროფ. ჯ.შარაშენიძე მუშაობდა შუმერის სახელმწიფოს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემაზე, დოც. ე.ასტახიშვილი ამუშავებდა ხურიტული საზოგადოების საკითხებს, დოც. ნ.სამსონია იკვლევდა ურარტუს ისტორიას, ხოლო ლაბორანტი მ.ღამბაშიძე – ხეთური წყაროთმცოდნეობის პრობლემებს.

2003 წ. გამოქვეყნებულია პროფესორ-მასწავლებელთა შემდეგი ნაშრომები:

გ.გიორგაძე

1. Observations on Arameographical inscription on the Gold Ring and Bracelets Found in Mtskheta. „Bulletin of the AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and Archeological Studies)“, N1, Tb., 2003, 26-28;

2. „მტერი“ და „ჩასახლება“ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მასათ-პუიუქიდან, თსუ „შრომები“, მიძღვნილი აკად. გ.მელიქიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი, თბ., 2003, ტ.349, 35-43;

3. ქართველურ ენებში ინდოევროპულ ნასესხობათა შესახებ (ხეთური ენის მონაცემთა მიხედვით). „ქუთაისური საუბრები“, X, სიმპოზიუმის მასალები, 2003, 43-44;

4. ერთი დაუვიწყარი რეცენზია (წიგნზე: ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები. V-X სს. თბ., 1980). „ანამკი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“. თბ., 2003, 346-354;

5. წინასიტყვაობა და რედაქცია წიგნისა: გ. მელიქიშვილი, უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003, გვ. 291;

6. რეცენზია წიგნზე: Н. В. Арутюнян. Корпус урартских клинообразных надписей. Ереван, 2001. „Вестник древней истории“, 2003, N2, 211-215 (თ. გამყრელიძესთან ერთად);

7. რეცენზია წიგნზე: ე. ავალიანი, ძველი ცივილიზაციების ფორმები მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროში, თბ., 2001. „ძველი ისტორია“, III, თბ., 2003, 101-109;

8. ნეკროლოგი: Памяти Г. А. Меликишвили. „Вестник древней истории“, 2003, N3, 255-256.

ი.ტატიშვილი – „იმქვეყნიური ცხოვრება ხეთების რწმენა-წარმოდგენებში“.

ნაშრომში, ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემების საფუძველზე განხილულია ხეთების წარმოდგენები სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, გათვალისწინებულია არქეოლოგიური მონაცემებიც. მოცემულია დაწერილებითი მიმოხილვა „სამეფო დაკრძალვის რიტუალისა“, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აღნიშნული საკითხების საკვლევად.

განყოფილების სასემინარო სხდომაზე მოხსენება: გამოთქმა „შავი/ბნელი მიწა“ ხეთურ ტექსტებში.

ხეთური და ანტიკური ხანის (ძვ.წ. II-I ათასწლეულების) ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ანატოლიის ტოპონიმების და ეთნონიმების კორპუსი.

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში (ძვ.წ. II ათასწლეული) მოხსენიებული ტოპონიმები და ეთნონიმები.

ხეთური ლურსმული ტექსტების და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებისას შედგენილ იქნა ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ანატოლიის ტოპონიმთა და ეთნონიმთა (ცალკეულ ტომთა სახელების, ეთნიკურ გაერთიანებათა სახელებების და ა.შ.) ინდექსი, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული სია. მოპოვებულ იქნა ანატოლიის აღნიშნული რეგიონების ისტორიულ-გეოგრაფიული რუკები. ჩატარებული სამუშაო საშუალებას მოგვცემს შევეუდაროთ ერთმანეთს სხვადასხვა ტოპონიმისა თუ ეთნონიმის დღემდე სადავო ლოკალიზაციები და, კორპუსის საბოლოო სახით წარმოდგენისას, აისახოს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული ჰიპოთეზები, შესაბამის ლურსმულ წყაროებზე დაყრდნობით.

ამ თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ორი შრომა – ხეთების კოსმოლოგიის საკითხები (რეზიუმე ინგლისურ ენაზე), „ენა და კულტურა“, №3, თბილისი 2002.

Quelques remarquessur la formation du panthéon hittite. Bulletin of the AGIBAS I, Tbilisi, 2003, 18-19.

გადაცემულია დასაბუთებად:

1. მუვათალი II-ის საბუთებების შესახებ (რეზიუმე ფრანგულ ენაზე). კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული XI, რედ. ბ.გიორგაძე.

2. Sur un aspect de l'activité religieuse de Muwatalli II. materials of the V International Congress of Hittitology, Gorum 2-6 Sept. 2002.

გარდა ამისა მანვე შეასრულა სარედაქციო სამუშაო ჟურნალ „ენა და კულტურის“ №3, 2002 წ. გამოსაცემად მოსამზადებლად.

გაუწია ოპონენტობა მაია დამბაშიძის საკანდიდატო დისერტაციას – ხეთური ანალიტიკა.

ჯ. შარაშენიძემ გამოაქვეყნა შემდეგი ნაშრომები:

1. სამუშაოს ნორმირება ურის მესამე დინასტიის დროინდელი შუმერის სახელმწიფო მეურნეობაში. ძველი ისტორია; III, 2003, გვ. 15-32.

2. შრომის ანაზღაურების ერთი თავისებურების შესახებ ურის მესამე დინასტიის დროინდელი შუმერის სახელმწიფო მეურნეობაში, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, XI, 2003, გვ. 65-69.

მონაწილეობა მიიღო აკად. გ.მელიქიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მუშაობაში, 2003 წლის 10-11 ნოემბერი.

მოხსენებით თემაზე: „პროტოფეოდალური საზოგადოების მელიტიშვილისეული თეორია“.

ნ.სამსონიამ გამოაქვეყნა შრომები:

1. გილგამეშის ეპოსის გ.წერეთლისეული თარგმანი, საისტორიო აღმანახი, „კლიო“ №15, გვ. 27-42.

2. წარღვნის ეპიზოდი გილგამეშის ეპოსში, „კლიო“ №15, გვ. 42-50.

ამჟამად მუშაობს შუამდინარული და მცირეაზიური საბუთებების იკონოგრაფიაზე. დასაბუთებად გამზადებული აქვს ნაშრომი „უბველესი ცილინდრული საბუთებები“.

2003 წლის 27. II – 2. IV – მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე ოქსფორდში, როგორც აღმოსავლეთ ევროპელი მკვლევარი პროფ. ჯერემი ბლექის ხელმძღვანელობით. მოიძია 100-მდე ნაშრომი წინააზიის გლიპტიკასთან დაკავშირებით, რომლებიც მისი დაბრუნების შემდეგ გამოიგზავნა ასირიოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში მონაწილეობა

გ.გიორგაძემ მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმში „ქუთაისური საუბრები“, X, 2003, 10-11 მაისი, წაიკითხა მოხსენება თემაზე: ქართველურ ენებში ინდოევროპულ ნასესხობათა შესახებ (ხეთური ენის მონაცემთა მიხედვით);

პ.რამიშვილი მივლინებულია აშშ-ში ერთი წლით

მ.ღამბაშიძე იმყოფებოდა გერმანიაში – მიუნხენში. მუშაობს ხეთური ანალისტიკის საკითხებზე. მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხეთური ანალისტიკა“ (ხელმძღვანელი აკად. გ.გიორგაძე).

მ. ფუთურიძე – არქეოლოგთა კონფერენცია, ნიუ-იორკი – სტამბული 27.XI-22.XII

გ.გიორგაძემ მიიღო აკად. ს.ჯანაშიას სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის: უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002.

აკად. გ.გიორგაძის 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ორი წიგნი:

1. Bulletin of the AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and Archeological Studies), Tb., 2003

2. „ენა და კულტურა“ – „Sprache und Kultur“, №3. დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტი (უცხოელ და ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით), თბ., 2003.

ასირიოლოგიის კათედრას ჰყავს – სამი ასპირანტი და ორი მაგისტრანტი.

ლ.გორდეზიანი მუშაობდა-თემაზე: მიკენური ტექსტების ქალბატონი (Potnia) – დედოფალი თუ ქალღმერთი?

მასში განხილულია ის ტექსტები, რომლებშიც მოიხსენიება „ქალბატონი“ (Potnia). მათი შედარება მეფისა და ღვთაებების მოხსენიების კონტექსტებთან იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ „ქალბატონი“ ეპითეტის გარეშე დედოფალი უნდა იყოს.

გამოქვეყნებულ იქნა სამი ნაშრომი:

1. დედოფალი თუ ქალღმერთი? (რეზიუმე ინგლისურ ენაზე), ენა და კულტურა 3, თბილისი 2002, 47-54.

2. ძველი საბერძნეთის კულტურა. კულტუროლოგია. რედ. გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდეზიანი, თბილისი 2003, 330-357.

3. Einige Bemerkungen zur antiken Sklaverei. Bulletin of the AGIBAS 1, Tbilisi 2003, 20-25.

გადაცემულია დასაბუჯდად შრომები:

1. საგანგებო მდგომარეობა პილოსის ტექსტებში (რეზიუმე ინგლისურ ენაზე). კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI, რედ. გ. გიორგაძე.

2. Einige Bemerkungen zur Troianischen Krieg. Materials of the V. International Congress of Hittitology, corum 2-6 Sept. 2002.

3. გამოწეწილ პირთა ენციკლოპედიაში 4 სტატია: არისტარქოს სამოსელი, კამბისეს I, კლავდიოს პტოლემეაიოსი, კროისოსი.

4. პროფ. გ. ლორთქიფანიძესთან ერთად – კულტუროლოგია, თბილისი. 2003.

5. „ენა და კულტურა“, 3, 2002 (გამოქვეყნდა 2003 წელს).

6. „Caucasia“, 6 და 7, 2003.

7. „Phasis“, 5-6, 2003.

სამეცნიერო მუშაობა სემიტოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. ნ.ფურცელაძე) მიმდინარეობდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: არაბული ენის სტრუქტურა – დოც. მანდრონიკაშვილი, უმასწავლებლები: ლ.ზედელაშვილი, ხ.თუმანიშვილი, ლექსიკა – დოც. მნედოსპასოვა, დოც. ნ.კახიანი, ტერმინოლოგია – დოც. დ.სარქისოვი, დოც. ნ. ერგემლიძე, არაბული ლიტერატურის ისტორიის (კლასიკური და თანამედროვე) პრობლემები – პროფ. ნ.ფურცელაძე, უმასწავლებლები: ი.ზურაბიშვილი, დ.გარდავაძე, მასწავლებლები: გ.ლობჯანიძე, ნ. დოლიძე, ლაბორანტი მ.ზურაბაშვილი, ტექსტის კომპიუტერული ჰერმენევტიკა – დოც. მნანობაშვილი.

კათედრის თანამშრომლებმა 2003 წ. გამოაქვეყნეს მთელი რიგი სამეცნიერო სტატიებისა არაბისტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

Проф. Н. Пурцеладзе – О вторичных значениях прилагательных цвета в арабской поэзии. აკად. კ.წერეთლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.

დოც. მანდრონიკაშვილი – სახელთა კლასის მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სასაუბრო არაბულში. „სემიტოლოგიური ძიებანი“ VI.

დოც. მ. ნედოსპასოვა – „ეკლესიასტე“ და მისი არაბული სახელი, აკად. კ.წერეთლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.

Доц. Н. Ергемлидзе – О терминах Корана. Gonferenc ibnet ORG @ Ru, 2003-2004.

უმასწავლებელი დ. გარდავაძე – ღაზალი ისლამამდელ კასი-
დაში, ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა
შრომები, VII, თბილისი, 2003.

პიჯაზური (ომარტული) ღაზალი, „აღმოსავლეთი და კავკა-
სია“ №2, 2004.

უზრიული ღაზალი, მ. ანდრონიკაშვილის საიუბილეო კრებუ-
ლი (გადაცემულია დასაბუჯდად);

გადმოცემები (ZBIY-A) უზრიულ პოეტ-მიჯნურებზე, პერს-
პექტივა, №5 (გადაცემულია დასაბუჯდად);

საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი – უზრიული ღა-
ზალი და გადმოცემები უზრიულ პოეტებზე (სამეცნიერო ხელ-
მძღვანელი პროფ. ნ. ფურცელაძე; დისერტაციის დაცვა და-
ნიშნულია 2004წ-ის 17 იანვარს).

უმასწავლებელი ი. ზურაბიშვილი – იორდანელი ნოველისტი
იბრაჰიმ ალ-‘აბსი, პერსპექტივა, №5 (გადაცემულია დასაბუჯ-
დად)

ლაბორანტი მ. ზურაბაშვილი – არაბული ისტორიული რო-
მანის ფესვები, „აღმოსავლეთი და კავკასია“ №2, 2004.

გარდა ამისა, დოც. მ. ნანობაშვილმა ტექსტის კომპიუტერული
პერმენეტიკის პრობლემებზე გამოაქვეყნა: ადამიანისა და კომ-
პიუტერის ერთობლივი სამუშაო ეტაპები ქართული ტექსტის
პერმენეტიკისათვის, ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა
მეცნიერთა შრომები, VII, თბილისი, 2003.

Lexicological System and Lemmatized Concordance – Basic Foundations
of Text Hermeneutics (on an example of a Georgian poem). „აღმო-
სავლეთი და კავკასია“ №2, 2004.

ლაბორანტმა აბალიშვილმა გამოაქვეყნა სტატია „ბაღვაშები“,
ნაწ. V, ჟურნალი „აია“, №11. 2003.

მიმდინარე წელს გამოქვეყნდა აგრეთვე შუა საუკუნეების
არაბული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლის, ქილილა და
დიმნა-ს გ. ლობჯანიძის სრული თარგმანი, გამომცემლობა „ლო-
მისი“; ასევე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო – ძე კაცისა“-ს გ.
ლობჯანიძის მიერ შესრულებული თარგმანი არაბულიდან, გა-
მომცემლობა „დიოგენე“, 2003.

გაზეთ „ახალი ეპოქის“ ლიტერატურულ დამატებაში „ჩვენი
მწერლობა“ 2003 წლის მანძილზე რეგულარულად იბეჭდებოდა
თანამედროვე არაბული ლიტერატურის ნიმუშები, თარგმნილი
სემიტოლოგიის კათედრის თანამშრომელთა მიერ (მაგ., მაია ანდ-

რონიკაშვილის მიერ თარგმნილი ნობელის პრემიის ლაურეატის, ეგვიპტელი ნაგებ მაჰფუზის ნოველები: „მუმის გამოღვიძება“ და „აღაჰმა აკურთხოს შენი საღამო“, გ.ლობჯანიძის მიერ შესრულებული სპარსული ლიტერატურის ნიმუშთა თარგმანები), უურნალ „ომეგაში“ დაიბეჭდა ჯებრან ხალილ ჯებრანის „პოეტი“ და „თვითმკვლევლობამდე“, თარგმნილი დ.გარდავაძის მიერ.

ირანული ფილოლოგიის კათედრა. ირანული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლები აგრძელებდნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ირანისტიკის სხვადასხვა სფეროებში. ყურადღება ექცეოდა ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების მომზადებასაც. კათედრის წევრები მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო კონფერენციებში.

დოც. ლ.თუშიშვილი, დოც. მ.კვაჭაძე და დოც. ქმეგრელიშვილი ასრულებენ მუშაობას გარდამავალ თემაზე „სპარსული ენის ქრესტომათია“ (I-II კურსებისათვის).

დოც. ლ.ჟორჟოლიანის, დოც. მ.ალექსიძისა და დოც. მ.ბურჯანაძის მიერ მომზადებულია „სპარსული ქრესტომათიის“ III ტომი, რომელიც ორგანული გაგრძელებაა პროფ.დ.კობიძის მიერ შედგენილი „სპარსული ქრესტომათიის“ I და II ტომებისა (1963 და 1967 წლები) და მოიცავს XX საუკუნის II ნახევრის ირანული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშებს, ამჟამად გადაცემულია დასაბეჭდად ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გამომცემლობაში. მიმდინარე წლის ზაფხულში თბილისში იმყოფებოდა ამ სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირი ბ.ნი ქაფაში, რომელიც ატორთა კოლექტივთან ათანხმებდა გამოცემის ტექნიკურ საკითხებს.

დოც. ნ.ნახუცრიშვილისა და ასპ. ნ.აელოხაშვილის მიერ მზადდება „თანამედროვე სპარსული პრესის ქრესტომათია“ ლექსიკონითურთ. ძირითადი მასალა შეგროვებულია.

კათედრის წევრები აგრძელებდნენ ინდივიდუალურ სამეცნიერო მუშაობას:

პროფ. ვ.კოტეტიშვილმა დაბეჭდა სტატია „სპარსული ლირიკის სათავეებთან“ (გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 7-13 მარტი).

დოც.ლ.თუშიშვილმა დასაბეჭდად მოამზადა სტატია ქაშანის მცხოვრებ ებრაელთა სპარსულის გრამატიკისა და ლექსიკის ზოგიერთი საკითხი.

მიმდინარე წელს თსუ-ს გამომცემლობამ დაბეჭდა დოც.ლ.ჟორჟოლიანის ორი ნაშრომი 1. ზააქიანის სპარსულ-ქართული ვერსიები; 2. ნ.ფალსაფის შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ფრაგმენ-

ტული თარგმანი (ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ).

დოც.თ.კეშელავამ ქუთაისში გამართულ აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება საღეჯ ჰედაიათი და საქართველო, ტექსტი იბეჭდება სამეცნიერო კრებულში.

დოც.ნ.ბართაიამ თეირანში გამართულ სპარსული ენის პროფესორ-მასწავლებელთა IV საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება „ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობანი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე“, რომელიც დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში. ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე მან წარმოადგინა მოხსენება „ქართული საერო მწერლობის სათავეებთან“ (დაიბეჭდა თეზისები). ასევე იგი მონაწილეობდა ქუთაისის აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციაში მოხსენებით „ეტიმოლოგიური ძიებანი“, რაც იბეჭდება კრებულში სტატიის სახით.

დოც.ნ.ნახუცრიშვილმა მონაწილეობა მიიღო სამ კონფერენციაში: 1. თსუ ახალციხის ფილიალში: „ირანელი მოგზაურის ჰაჯ საიაჰის ცნობები სამხრეთ საქართველოს შესახებ“; 2. თსუ მსოფლიო ისტორიის კულტურის კათედრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე“: „ჰაჯ საიაჰის სამი მოგზაურობა საქართველოში“; 3. ქუთაისის აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციაში (გ.ბერაძესთან) ერთად: „XIX საუკუნის ქუთაისი სპარსულ წაყროებში“. სამივე მოხსენება იბეჭდება შესაბამის კრებულებში.

დოც.მ.ალექსიძემ ვენეციაში INTAS-ის გრანტის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „თბილისი XIX საუკუნეში. ისტორიას და კულტურა“ წაიკითხა მოხსენება „ისლამი და კონფესიული პროცესები XIX ს. თბილისში“.

დოც.ქ.მეგრელიშვილმა გამოაქვეყნა სტატია „ფლორის აღმნიშვნელი რამდენიმე ლექსიკური ერთეული და მათი როლი გმირთა ფიზიკური მხარის გადმოსაცემად „ვის ო რამინსა“ და ვისრამიანში“ (საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთი და კავკასია“ № 2).

ასპირანტმა თ.ჯანაშიამ 2003 წ. დეკემბერში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შერე ნოუ“ და ფორუე ფაროხზადის ცხოვრება და შემოქმედება“ (ხელმძღვანელი დოც.ვლ.ჟორჟოლიანი).

კათედრის თანამშრომელმა თ.შურღაიამ დაბეჭდა საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი „სპარსული პარემიოგრაფია და სპარსული ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა“ (ხელმძღვანელი აწ გარდაცვლილი პროფესორი ალექსანდრე გვახარია). დაცვა შედგება 2004 წ. იანვარში. მანვე ირანულ ჟურნალში „ადაბიათ ვა ფაღსაფე“ („ლიტერატურა და ფილოსოფია“, 2003 წ. სექტემბერი, № 11) სპარსულ ენაზე დაბეჭდა რეცენზია პროფ. ვ. კოტეტიშვილის თარგმანების კრებულზე „ადმოსავლურ-დასავლური დივანი“.

კათედრის წევრების აქტიური მონაწილეობით და საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსთან თანამშრომლობით ჩატარდა „ფირდოუსის დღე საქართველოში“, რომელზეც დოც. ლ. თუშიშიშვილმა წაიკითხა მოხსენება „შაჰ-ნამეს ლექსიკის შესწავლისათვის“, დოც. ლ. ჟორჯოლიანის მოხსენების თემა იყო „ფირდოუსი და საქართველო“. დოც. ლ. თუშიშიშვილმა და დოც. ნ. ბართაიამ ამ ღონისძიებაზე წარმოადგინეს აგრეთვე „შაჰ-ნამეს“ ზოგიერთი ფრაგმენტის საკუთარი თარგმანები.

საანგარიშო წლის ოქტომბერ-ნოემბერში ირანის ისლამური რესპუბლიკის სპარსული ენის გავრცელების საბჭომ ირანული ფილოლოგიის კათედრაზე 3 კვირით მოავლინა თეირანის ალამე თაბათაბაის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ჰასან ჰასანზადე და თეირანის შაჰიდ ბეჰეშთის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი აჰმად ხათამი, რომლებიც მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის III-IV კურსელებს უტარებდნენ მეცადინეობებს შემდეგ საგნებში: 1. სასაუბრო სპარსული; 2. სპარსული ენის გრამატიკა; 3. კლასიკური და თანამედროვე სპარსული ლიტერატურა; 4. ირანული წყაროთმცოდნეობა; 4. ირანის კულტურა. მათი მონაწილეობით კათედრაზე მოეწყო მრგვალი მაგიდა სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე. ხსენებული ღვექტორები კონსულტაციებს უწევდნენ კათედრის ასპირანტებსა და მაძიებლებს. დაისახა ქართველ და ირანელ მეცნიერთა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

კათედრის თანამშრომლები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ მთარგმნელობით და პუბლიცისტურ ასპარეზზეც.

ქართულ პერიოდიკაში დაიბეჭდა პროფ. ვ. კოტეტიშვილის რამდენიმე სტატია და ინტერვიუ.

დოც. ნ. ბართაიამ გამოსცა თარგმანი – საადი შირაზელის „გოლესთანადან“ (რედ. დოც. თ. კეშელავა).

გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ სხვადასხვა ნომრებში დაიბეჭდა ლ. ჟორჯოლიანის, მ. ბურჯანაძის, ნ. ნახუცრიშვილისა და თ. შურ-

დაიას მიერ თარგმნილი თანამედროვე სპარსული ლიტერატურისა და ფოლკორის ნიმუშები.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა კრებული „ალექსანდრე გვახარია“, მიძღვნილი 2002 წელს გარდაცვლილი თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგის ხსოვნისადმი. ამ კრებულში დაბეჭდილია კათედრის თანამშრომლების ერთობლივი წერილი, აგრეთვე პროფ. ვ.კოტეტიშვილის, დოც.მზურჯანაძის, დოც.ნახუცრიშვილის, თ.შურღაიას, თ.ფარულავას და მ.გოცაძის წერილები.

არმენოლოგიის კათედრა (გამგე, ისტ.მეცნ.დოქტორი, საქმეცნ. აკადემიის წ/კ, პროფ. ზ.ალექსიძე). პროფ. ზ.ალექსიძე აგრძელებდა მუშაობას სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური ტექსტის გაშიფერასა და გამოსაცემად მომზადებაზე.

პროფ. ზ.ალექსიძემ მონაწილეობა მიიღო სინას მთაზე, წმ.ეკატერინეს სახელობის მონასტერში განხორციელებულ სამეცნიერო ექსპედიციაში (2003 წლის გაზაფხული), ასევე ოქტომბრის თვეში (19-29) იტალიაში, ვენეციასა და ლჩეში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში. მისი მოხსენება წარდგენილი იქნა სომხეთში – ერევანში ჩატარებულ არმენოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, კონგრესის მასალები თეზისების სახითაა გამოცემული; გარდა ამისა მან გამოაქვეყნა შემდეგი ნაშრომები:

1. ქრისტიანობა და მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბილისი, 2003, 3, 23-45.

2. ON THE GEORGIAN COLLECTION OF PALIMPSESTS: Rinascimento Virtuale. Rediscovering Written Records of Hidden European Cultural Heritage, Bratislava, 2003.

3. კავკასიის ალბანელები ალაპარაკდნენ, სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური ტექსტების იდენტიფიკაცია და გაშიფერა, თბილისი, 2003, 127 (აზებაიჯანულ ენაზე).

4. ქართლში ბაგრატიონთა დინასტიის პირველი გამოჩენა (ახალი დოკუმენტური მასალა), წგ.: ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, თბილისი, 2003.

5. The Albanian Script, Azerbaijan International, L.A., 2003.

6. Language of the lost Kingdom, Caucasus Environment, 2003, N3.

მიმდინარე წელს პროფ. ზ.ალექსიძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა საკანდიდატო დისერტაცია, ასევე იგი არის ორი მაძიებელის ხელმძღვანელი.

არმენოლოგიის კათედრის პროფ. ელენე დოჩანაშვილი გეგმის მიხედვით აგრძელებდა მუშაობას ე.წ. მცხეთური ბიბლიის ლექსიკონის მომზადებაზე, რაც გულისხმობს მასალის ამოღებას, სისტემატიზაციასა და ანბანზე დალაგებას, ასევე თითოეული ერთეულისათვის შესატყვისი სომხური და ბერძნული ფორმის დაძებნას. ეს სამუშაო გაგრძელდება 2004 წელსაც.

არმენოლოგიის კათედრის დოცენტი, ფილოლ.მეცნ. დოქტორის მ. რობაქიძის მიერ შესრულებულია წლიური გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო შრომა – „აფხაზ“ ტერმინი XII ს-ის სომეხი უამთააღმწერლის მათეოს ურჰაეცის თხზულებაში. ავტორი რამდენჯერმე ახსენებს თავის „უამთააღმწერლობაში“ „აფხაზისა“ და „აფხაზეთს“. როგორც ეთნონიმი – „აფხაზი“ მათეოს ურჰაეცის მიერ გამოყენებულია მხოლოდ ეთნიკური „ქართველის“ მნიშვნელობით /„მეფე აფხაზთა“ „აფხაზი მეომარი“/. რაც შეეხება „აფხაზეთ“ ტერმინს – ეს ტოპონიმი „უამთააღმწერლობაში“ მოწოდებულია როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე ერთიანი /მთლიანი/ საქართველოს მნიშვნელობით.

მერაბ რობაქიძემ ამა წლის 30.IX. დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპოლოგიურ ცნებათა ინტერპრეტაციისათვის“ ქართულ-სომხურ ლექსიკურ ურთიერთობათ ამსახველი მასალის გამოყენებით.

დაბეჭდილია 1. ავტორეფერატი: „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპოლოგიურ ცნებათა ინტერპრეტაციისათვის“ (თბილისი 2003).

2. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ცნების ინტერპრეტაციისათვის, თსუ-ს შრომები, კრებ. „ლიტმცოდნეობა“, №348, 2003.

ძირითად შტატში ჩატარებული სალექციო საათების გარდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ფასიანი ანაზღაურების წესით მ.რობაქიძე ლექციებს უტარებს თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებსა და მაგისტრებს.

არმენოლოგიის კათედრის დოცენტი, ისტ.მეცნ. კანდიდატი ნათია ჩანტლაძე აგრძელებდა მუშაობას თემაზე: „მიქაელ ასურის „უამთააღმწერლობის“ ძვ.სომხური თარგმანი, როგორც საისტორიო წყარო“.

ნ.ჩანტლაძის მოხსენება წარდგენილი იქნა სომხეთში – ერევანში ჩატარებულ არმენოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, კონგრესის მასალები თეზისების სახითაა გამოცემული; გარდა ამისა, მან გამოსაქვეყნებლად მოამზადა სტატია „გარნისთან გამართული ბრძოლის რამდენიმე ახალი დეტალი“.

ნ.ჩანტლაძის ხელმძღვანელობით სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე III კურსის სტუდენტმა სოფიო ჭარბაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „აღდგომის დღესასწაული სომხურ და ქართულ ეკლესიებში“. ნ. ჩანტლაძე არის II კურსის მაგისტრის ხ. სიღამონიძის სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი.

არმენოლოგიის კათედრის დოცენტი, ისტ.მეცნ. კანდიდატი ნ.აფციაური აგრძელებდა მუშაობას თემაზე: „მოქცევაჲ ქართლისაჲ და სომხური სამყარო“. მისი თანაავტორობით ეუთოს ეგიდით დაიბეჭდა ჯავახეთის სომხური მოსახლეობისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს I და II ტომი.

2003 წლის სექტემბერში მონაწილეობა მიიღო სომხეთში, ერევანში ჩატარებულ არმენოლოგთა I საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „წმ. ნინოს ცხოვრების სომხური სეინაქსარული რედაქციები და ქართველთა გაქრისტიანების საკითხი“

დასაბუჯდად გადაცემულია ნაფციაურის შემდეგი შრომები:

1. თანამედროვე ქართულ-სომხური ურთიერთობანი
2. ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიური გზები
3. წმინდა ნინო სომხურ მწერლობაში

დოც. ნ.აფციაურის ხელმძღვანელობით სტუდენტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე წაიკითხული იქნა ორი მოხსენება.

1. აფხაზეთი სომხურ მწერლობაში
2. ჯავახეთი და ქართულ-სომხური თანამედროვე ურთიერთობანი.

ნ.აფციაური ხელმძღვანელობდა II კურსის მაგისტრანტს.

არმენოლოგიის კათედრის დოცენტი, ფილოლ.მეცნ. კანდიდატი რ. ჭუბაბრია საანგარიშო წელს მივლინებით იმყოფებოდა მესხეთში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შესარჩევ კომისიაში და ამავე პროგრამით გათვალისწინებულ საქართველოს უცხოენოვან მოხელეთათვის განკუთვნილ ქართული ენის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით. ასევე მივლინებული იყო ახალქალაქსა და ნინოწმიდაში ქართული ტელეგადაცემების (კერძოდ, „კურიერისა“ და „მოამბის“) სომხურად ტრანსლაციისათვის განკუთვნილი კადრების შესარჩევად INTERNEWS-ის მიერ ჩატარებული კონკურსის კომისიის წევრად.

2003 წლის 7-11 მაისს რ.ჭუბაბრია ახლდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს ოფიციალურ დელეგაციას ერე-

ვანში. ასევე იყო ახალციხის უნივერსიტეტის არმენოლოგიის განყოფილების და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტის არმენოლოგიის განყოფილების საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

მიმდინარე საანგარიშო წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ჟურნალში „აღმოსავლეთი“ დაიბეჭდა რ.ჭუბაბრიას მიერ თარგმნილი გემინის ლექსები.

თურქოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ნ.ჯანაშია) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით მიმდინარეობდა სალექსიკონო მასალის შეგროვება და პირველადი კლასიფიკაცია.

აღნიშნული სამუშაოს გარდა კათედრის თანამშრომლებმა შეასრულეს შემდეგი სამუშაო:

გამოქვეყნებული შრომები:

- 1) დოც. ი. გოცირიძე – თურქული ენის სახელმძღვანელო. დაწეებითი კურსი უმაღლესი სასწავლებლებისათვის.
- 2) დოც. ე. კვანტალიანი – თურქული ქრესტომათია ლექსიკონით. თსუ.
- 3) ნ. ჯანაშია – ქართველი თურქოლოგების საჩუქარი. ახალი თურქულ-ქართული ლექსიკონი. ჟურნალი „ხიდი“, №1, 2002. (რეცენზია).
- 4) Э. Бжалава. О семантико-грамматических отношениях между корневыми и второобразными глаголами в турецком языке. Журнал. Восток и Кавказ. N2, 2003-2004 (სტატია).

ხელნაწერი შრომები:

- 1) დოც. ქ. ლორთქიფანიძე: პ. ა. ჟობერი, როგორც დესკრიპტული თურქული გრამატიკის ადგილი სხვა თურქული ენების გრამატიკებს შორის. გადაეცა ფრანგულ ჟურნალ Turcica-ში გამოსაქვეყნებლად (შრომა შესრულებულია საფრანგეთში მივლინების დროს)
- 2) ი. გოცირიძე, მ. წიკლაური, თურქული საისტორიო ტექსტები ლექსიკონითურთ, XIV-XX სს.

თეზისები:

- 1) დოც. ი.გოცირიძე 2002 15 მაისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ.წერეთლის სახელობის აღმოსავ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დოც. ე.გუდიაშვილი – 80.

გამოქვეყნებული თარგმანები:

1) შეადამის ნაკვესები, ჟურნალი „ხიდი“, №11, 2002 წ. გვ.56 (ნ.ჯანაშია).

2) ალი აქბაში. ტყის ზმანებანი. 100 მწერლის გაზეთი. (ნ.ჯანაშია).

3) ორჰან ფამუქი, „სადილზე“, თავი რომანიდან – ჯეედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები. გაზეთი „ახალი ეპოქა“ სალიტერატურო ჩანართი, ჩვენი მწრლობა №31 (109) (ნ. ჯანაშია).

4) ერდალ ათაბეგი, „ფეხზე დგომის საბადლო“, „მწერლის გაზეთი“. № 27, (35). 12-18. 09. 2002. გვ. 9 (ნ.ჯანაშია).

5) ბექირ სიიქი ქუნთიი „ბექჯედი“, მწერლის გაზეთი №27 (35) (ნ. ჯანაშია).

6) მუსტაფა გიუზელი, „ბრინჯის ყანებში“. მწერლის გაზეთი №2 (52) 13-19, თებერვალი (ნ.ჯანაშია).

პროფ. მ. ჯიქია იყო ორი მაგისტრანტის – ნინო მელიქიძისა და ნინო ალაგარდაშვილის სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი;

2003 წლის მაისში მოხსენებით გამოვიდა ქ. ქუთაისში აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციაზე;

2003 წლის ნოემბერში მოხსენებით გამოვიდა ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ III რესპუბლიკურ ონომასტიკურ სამეცნიერო სესიაზე;

სიტყვათგანლაგება თურქულში (თხრობითი წინადადების მაგალითზე) – იბეჭდება აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციის მასალებში;

სიტყვათა რიგი თურქული ენის კითხვით წინადადებაში – იბეჭდება მზია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილ კრებულში – პერსპექტივა XXI;

Тюркизмы в личных именах и фамильных основах картвелов – იბეჭდება მოსკოვში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ედჰიამ ტენიშევის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში.

მანვე „Turkology Annual“-ს წელსაც მიაწოდა ფილოლოგიანათმეცნიერებასა და ისტორიაში მომუშავე ქართველ თურქოლოგთა ნაშრომების ანოტაციები.

იურიდიული ფაკულტეტი

იურიდიული ფაკულტეტის შვიდი კათედრიდან თითოეული მუშაობს თავისი პროფილის სამეცნიერო პრობლემებზე.

სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის (გამგე პროფ. გ. ინწკირველი) სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებებია სახელმწიფოს თეორიისა და სამართლის თეორიის აქტუალური საკითხების კვლევა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემატიკის დამუშავება. აქცენტი ძირითადად გადატანილია ისეთი ინსტიტუტების კვლევაზე როგორცაა, მაგალითად, დემოკრატიის ინსტიტუტი, სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, სამართლის წყაროები, სახელმწიფოს ფორმები; სამართლებრივი რეგულირება და მისი მექანიზმი, საკონსტიტუციო კონტროლი, საპარლამენტო სამართლის ცალკეული საკითხები, მოქალაქეობა და სხვ.

ტრადიციულ მიმართულებებს უკანასკნელ პერიოდში დაემატა სამართლის ფილოსოფიის საკითხებით აქტიური დაინტერესება, რაც გამოიხატა კიდევ იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში „სამართლის ფილოსოფიის“ როგორც ძირითადი დისციპლინის გათვალისწინებაში. ამავე დროს უმოკლეს ვადაში პროფ. გ. ხუბუას მიერ მომზადდა და უახლოეს მომავალში დაიბეჭდება სახელმძღვანელო აღნიშნულ დისციპლინაში (წიგნის გამოცემა ფინანსდება მის მიერ მოპოვებული გრანტით).

კათედრის მიერ დამუშავებული იქნა ასევე კათედრის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები.

მიმდინარე წელს გამოვიდა პროფ. გ. ინწკირველის სახელმძღვანელოს „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის“ გადამუშავებული ვარიანტი. წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და მასში განხილულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

გამოიცა პროფ. ო. მელქაძისა და გ. თევდორაშვილის თანაავტორობით მომზადებული მონოგრაფია „რეგიონალიზმი – სახელმწიფო ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით)“. მასში პირველად კონსტიტუციურ-სამართლებრივ მეცნიერებაში განხილულია სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის იშვიათი ფორმის – რეგიონალიზმის თეორიული და პრაქტიკული თავისებურებები, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, რეგიონალიზმის პოლიტიკურ-სა-

მართლებრივი ბუნების გათვალისწინებით და ღრმა ანალიზის ფონზე განხილულია საქართველოში რეგიონალიზმის ექსტრაპოლაციის შესაძლებლობა.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დაიბეჭდა „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, ლექსიკონი-ცნობარი, რომლის ერთ-ერთი თანაავტორია კათედრის უმასწავლებელი ლ. გიორგაძე.

გამოიცა ო. მელქაძის მიერ მომზადებული მონოგრაფია „კონსტიტუციონალიზმი – თეორიის საკითხები“. მასში განხილულია კონსტიტუციონალიზმის თეორიული საკითხების მთელი კომპლექსი: კონსტიტუციური სამართლის ადგილი სამართლებრივ სისტემაში, მისი სუბიექტები და წყაროები; კონსტიტუციათა სახეები, ძირითადი ნიშნები და მოქმედების თავისებურებები; სამართლებრივი და პოლიტოლოგიური კუთხითაა გაანალიზებული სახელმწიფოს უმთავრესი კონსტიტუციური მახასიათებლები, საზოგადოებრივი წყობილების კონსტიტუციური საფუძვლები, კონსტიტუციური სამართალი და პოლიტიკური სისტემა.

კათედრის პროფესორს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს ოთარ მელქაძეს მიენიჭა ღირსების ორდენი. კათედრის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის კომენტარებზე მუშაობაში. ეს კეთდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თაოსნობითა და საერთაშორისო ორგანიზაციის „JRS“ დაფინანსებით. მასში აქტიურად არიან ჩართულნი პროფ. ზ. ჯინჯოლავა, პროფ. ო. მელქაძე, დოც. პ. ცნობილაძე, დოც. ნ. ჭიღლაძე, დოც. კ. ყურაშვილი, დოც. ლ. იზორია. მათ მიერ მომზადებულია კონსტიტუციის ცალკეული მუხლების კომენტარები; თავად კომენტარები დასრულებული სახით უახლოეს მომავალში გამოიცემა.

კონფერენციები

1. პროფ. გ. ინწკირველი, საერთაშორისო კონფერენცია „მოსკოვის იურიდიული ფორუმი, გლობალიზაცია, სახელმწიფო, სამართალი, XXI საუკუნე“, 22-24 იანვარი.

2. პროფ. გ. ინწკირველი, საერთაშორისო კონფერენცია-სემინარი: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ადვოკატებისათვის, საადვოკატო ეთიკისა და საადვოკატო საქმიანობის თანამედროვე პრობლემები, თბილისი, 24-25 ივლისი.

3. დოც. ლ. იზორია, 2003 წლის ივნისში საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობის საიუბილეო თარიღისათვის მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

4. პროფ. გ. ხუბუა, დოც. ლ. იზორია. თბილისის, 2003 წლის სექტემბერი, ფედერალიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

5. დოც. ა. ლორია, თბილისი, 2003 წლის თებერვალ-მარტი, კონფერენციები იურიდიული პროფესიის შესახებ და იურიდიული განათლების შესახებ.

6. დოც. კ. ყურაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სემინარზე – საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პერსპექტივები. მოხსენების თემა: საქართველოს ფედერაციული მოწყობის პერსპექტიული მოდელი. ქ. ბათუმი, 2003.

7. დოც. კ. ყურაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სემინარზე „უმაღლესი იურიდიული განათლების სახელმწიფო სტანდარტები“, მის მიერ წარდგენილ იქნა საექსპერტო დასკვნა უმაღლესი იურიდიული განათლების სახელმწიფო სტანდარტების პროექტზე.

8. 2003 წლის 11-30 იანვარს USAID-ის დაფინანსებით, გუდაურში ჩატარდა სამეცნიერო სემინარები შემდეგ თემებზე: 1. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების ტექნიკა და პროცესი; 2. საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. სემინარში მონაწილეობდნენ პროფ. გ. ხუბუა, დოც. ნ. ჭილაძე, დოც. პ. ცნობილაძე, დოც. ლ. იზორია, დოც. მ. ბეგიაშვილი.

9. დოც. გ. გოგიაშვილი, 2003 წლის გაზაფხულზე ევროსაბჭოს ეგიდით სამეცნიერო სემინარები საფრანგეთსა და იტალიაში თემაზე – სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემები.

კანონშემოქმედებითი საქმიანობის თვალსაზრისით, კათედრის წევრები ეწევიან აქტიურ მოღვაწეობას.

1. 2003 წელს პროფ. გ. ინწკირველი და დოც. ლ. იზორია მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოებისა და უშიშროების სისტემის ინსტიტუციური რეფორმის კომისიაში.

2. დოც. ა. ლორია აქტიურად მონაწილეობდა „ადეოკატთა შესახებ“ 2001 წლის 20 ივნისის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მომზადებაში და

იურიდიული განათლების კონცეფციის შემმუშავებელი კომისიის მუშაობაში.

3. დოც. გ. კვერენჩილაძემ 2003 წლის გაზაფხულზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში, სადაც მზადდებოდა საქართველოს კანონის პროექტი „კომუნიკაციების შესახებ“.

4. დოც. გ. კვერენჩილაძემ მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებაში.

5. დოც. მ. ბეგიაშვილი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ კანონპროექტზე მუშაობაში.

2003 წლის განმავლობაში კათედრაზე მომზადებული და დაცული იქნა ოთხი საკანდიდატო დისერტაცია. კათედრას ჰყავს ჩვიდმეტი ასპირანტი, აქედან საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული პროგრამიდან ყველა საგანი ჩაბარებული აქვს 8 ასპირანტს და 2 მაძიებელს.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. ვ. მეტრეველი) სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, რომის სამართალი, ქართული საეკლესიო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, მუსლიმური სამართალი.

გამოიცა გადაამუშავებული პროფ. ვ. მეტრეველის სახელმძღვანელო „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“. მასში შესულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი.

გრძელდება რომის სამართლის ძეგლების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა, რასაც ნაყოფიერად ახორციელებს პროფ. ნ. სურგულაძე. 2003 წელს გამოიცა იუსტინიანეს ინსტიტუციების ქართული თარგმანი. ნაშრომს დართული აქვს წინასიტყვაობა, შენიშვნები, იურიდიულ ტერმინთა და საკუთარ სახელთა საძიებელი. რომის სამართლის ძეგლების ქართულ ენაზე თარგმნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რომის სამართლის წყაროების უშუალოდ შესწავლის თვალსაზრისით.

ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლის საქმეში ნაყოფიერად მოღვაწეობს კათედრის დოცენტი გ. დავითაშვილი,

რომელმაც გამოსცა „სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში“. ნაშრომში განხილულია სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით.

გამოიცა დოც. ლ. შოშიაშვილის ნაშრომი „ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში“. აქ განხილულია როგორც წინასაქორწინო მოქმედებების სამართლებრივი მნიშვნელობა, ასევე ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ ინსტიტუტში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გამოცემულ იქნა შემდეგი შრომები:

1. ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2003.
 2. ვ. მეტრეველი, ბაგრატიონთა ღვაწლი ქართულ სამართალში, უურნ. „სამართალი“, №1-2, 2003.
 3. გ. დავითაშვილი, ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლის პრობლემები და პერსპექტივები, უურნ. „სამართალი“, №3, 2003.
 4. გ. დავითაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, უურნ. „სამართალი“, 4-5, 2003.
 5. B. Savaneli, Character of international Human Rights Law, თბ., 2003.
- 2003 წელს კათედრის წევრების მიერ დამუშავებულ იქნა კათედრის ისტორიის საკითხები.

კონფერენციები

1. ბ. სავანელი, კონფერენცია თემაზე: შედარებითი სამართალმცოდნეობა, ბრიუსელი, 24-26 ოქტომბერი. მოხსენების თემა-ადამიანის უფლება, გლობალიზაცია, ნორმატიული პლურალიზმი და შედარებითი სამართალი.
2. ბ. სავანელი, განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, 9-11 სექტემბერი. 2003 წელი, ჰონოლულუ, ჰავაი. (ძირითადი მომხსენებელი). მოხსენების თემა – ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი როგორც „ორსახოვანი იანუსი“.
3. ბ. სავანელი, განათლება და ეთიკა ევროპაში. სამართლის პროფესორთა ასოციაციის 38-ე წლიური კონფერენცია. მასტრიხტის

უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. მოხსენების თემა – განათლების რეორიენტაციის აუცილებლობა ადამიანის უფლებებზე.

4. ო. სიჭინავა, რომის სამართლის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებული სემინარი თემაზე: ნივთები და სამართალი. ქ. სოვერატო, იტალია, 2003 წლის 31 აგვისტო – 9 სექტემბერი.

კათედრაზე მომზადებულ და დაცულ იქნა 2 დისერტაცია. კათედრას ამჟამად ჰყავს სამი ასპირანტი.

სამოქალაქო სამართლის კათედრის (გამგე პროფ. რ. შენგელია) ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, საერთაშორისო კერძო სამართალი.

კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დამუშავებულ იქნა კათედრის ისტორიის საკითხები.

კათედრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებით გამოცემულ იქნა შემდეგი ნაშრომები:

1. პროფ. ბ. ზოიძე, ქართული სანიეთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, თბილისი, 2003. ნაშრომი ეძღვნება ქართულ სანიეთო სამართალს, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეორე წიგნს წარმოადგენს. მასში შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ქონება, მფლობელობა, საკუთრება, საჯარო რეესტრი და ა.შ. წიგნში გაანალიზებულია დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მიღწევები.

2. დ. ძამუკაშვილი, რ. შენგელია, დ. გაბუნია, ვ. ხრუსტალი, ს. ჯორბენაძე, სააგტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2003 წელი.

3. პროფ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2003 წელი. ეს ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევას სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხზე – მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ. წიგნში გაშუქებულია ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია მორალური ზიანის ცნებასთან, პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ანაზღაურების ფორმებთან და ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სამართლებრივ სტატუსთან. წიგნი დახმარებას გაუწევს სამართალდამცავი ორგანოების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის მუშაკებს, მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს, ასევე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს.

4. დოც. ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003. ამოცანების კრებული სამოქალაქო საპროცესო სამართალში მიზნად ისახავს სასემინარო-პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას ამ დისციპლინაში; შედგენილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

5. პროფ. ა. ლაბარტყავა, ეკოლოგიური სამართალი, თბილისი, 2003. ეს სახელმძღვანელო დაწერილია 1995 წლის კონსტიტუციის, მოქმედი სპეციალური, აგრეთვე საერთო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიხედვით და ეკოლოგიური სამართლის პროგრამის შესაბამისად. ნაშრომს დართული აქვს ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ნორმატიული-სამართლებრივი აქტების ვრცელი სია.

6. დოც. მ. კახაძე, სამართალმცოდნეობა, თბილისი, კარი VII, 2003.

7. პროფ. ლ. ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში, თ. ლილუაშვილის 75 წლის საიუბილეო კრებული, 2003.

8. პროფ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, ჰაინ ბელინგთან ერთად, გამომცემლობა ჯისიაი, 2003.

9. პროფ. ლ. ჭანტურია, იურიდიული პროფესიები სამართლებრივ სახელმწიფოებში, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2003.

10. პროფ. ბ. ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2003.

11. პროფ. ბ. ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის ენა, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003.

12. დოც. რ. მიგრიაული, დირექტორთა შორის ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება. ჟურნალი „ნოტარიატი“. 2003 ივლისი-აგვისტო-სექტემბერი.

13. დოც. დ. ძამუკაშვილი, „საქართველოს საპატენტო კანონის კომენტარები“ თბილისი, 2003.

14. დოც. რ. ცინცაძე, ზოგიერთი მოსაზრება სატრანსპორტო გადაზიდვების სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფის შესახებ, ჟურნალი „სამართალი“ №11-12, 2003.

15. დოც. ზ. გაბისონია, საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, თბილისი 2003.

16. პროფ. ლ. ჭანტურია, სამართალმცოდნეობა, თბილისი, V კარი, 2003.

17. დოც. ზ. ძლიერიშვილი, ლიზინგი და გადასახადები, ჟურნალი „სამართალი“ №7, 2003.

18. დოც. ზ. ძლიერიშვილი, უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, თ. ლილუაშვილის 75 წლის საიუბილეო კრებული, 2003.

19. დოც. ეკა ზარნაძე, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში, IV ნაწილი, „მემკვიდრეობითი სამართალი“, თბილისი, 2003.

კონფერენციები

1. პროფ. ლ. ჭანტურია, 18-27 იანვარი, 2003, პონკონგი, საერთაშორისო კონფერენცია, პარტნიორობა კორუფციის წინააღმდეგ.

2. პროფ. ლ. ჭანტურია, 15 თებერვალი, 2003, თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია, იურიდიული პროფესია სამართლებრივ საზოგადოებაში.

3. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 23 აპრილი, სემინარი, მოხსენება თემაზე: იურისტი სამართლებრივ სახელმწიფოში.

4. პროფ. ლ. ჭანტურია, 16-17 მაისი, ქ. ლვოვი, სიმპოზიუმი თემაზე: მართლმსაჯულების როლი გარემოს დაცვითი კანონმდებლობის ფორმირებასა და განხორციელებაში.

5. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 19-23 მაისი, ქ. ვაშინგტონი, მოსამართლეთა მე-11 კონფერენცია, თემაზე: უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები, სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხები.

6. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 5-6 ივნისი, ქ. თბილისი, სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თემაზე: კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით.

7. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 14-18 ივლისი, ბუდაპეშტი, კონფერენცია, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვა უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

8. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 9-10 ოქტომბერი, ქ. მოსკოვი, საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: სასამართლო და სა-

მართლებრივი რეფორმების მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

9. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 17-19 ოქტომბერი, სემინარი თემაზე: სასამართლო, მასმედია და არჩევნები.

10. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 24-26 ოქტომბერი, ბაკურიანი, სემინარი-კონფერენცია, თემაზე: საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

11. პროფ. ლ. ჭანტურია, 2003 წლის 2 დეკემბერი მოსამართლეთა მე-2 საერთაშორისო კონფერენცია თემებზე: 1) სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და 2) მოსახლეობის დარიბი ფენებისათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობა.

12. დოც. დ. ძამუკაშვილი, 2003 წლის ნოემბერი. პატენტ-რწმუნებულთა საერთაშორისო კონფერენცია, მოხსენება თემაზე: საპატენტო უფლებების მოქმედება სივრცეში.

13. დოც. ე. შენგელია, 5-6 ივნისი, ქ. თბილისი, სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თემაზე: კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, მოხსენება თემაზე: სააქციო საზოგადოების როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლობის ქმედებებისათვის ქართულ სამართალში.

14. დოც. ე. შენგელია, 2003 წლის 2 დეკემბერი მოსამართლეთა მე-2 საერთაშორისო კონფერენცია თემებზე: 1) სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და 2) მოსახლეობის დარიბი ფენებისათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობა, მოხსენება თემაზე: სამართლის განვითარება მოსამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა.

15. ს. ჯორბენაძე, პატენტ-რწმუნებულთა საერთაშორისო კონფერენცია, 2003 წლის ნოემბერი.

16. დოც. რ. მიგრიაული, გაკოტრების სემინარი, 2003 წლის 7-11 ივლისი.

17. დოც. ე. ზარნაძე, დოც.ზ. გაბისონია, 2003 წლის 5-6 ივნისი, ქ. თბილისი, სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თემაზე: კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით.

18. დოც. ე. ზარნაძე, 2003 წლის 2 დეკემბერი მოსამართლეთა მე-2 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: სამართლის გან-
452

ვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობა.

19. დოც.ზ. გაბისონია, 2003 წლის სექტემბერი, საერთაშორისო სემინარი თემაზე: შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპების შესახებ.

20. დოც.ზ. გაბისონია, 2003 წლის ოქტომბერი, საერთაშორისო სემინარი თემაზე: კანონთა კომენტარებზე მუშაობის მეთოდოლოგიისა და ტექნიკის შესახებ.

21. ზ. გაბისონია, 2003 წლის ნოემბერი, საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟებისა და მათი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

22. ზ. გაბისონია, 2003 წლის დეკემბერი, საერთაშორისო კონფერენცია სასამართლო პრაქტიკა და სამართლის განვითარების პერსპექტივები, თბილისი, „მერიოტ-თბილისი“.

კათედრაზე 2003 წელს დაცულ იქნა 4 დისერტაცია. კათედრას ჰყავს 29 ასპირანტი და 4 მაძიებელი.

სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის (კათედრის გამგე პროფ. გ. ტყეშელიაძე) ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალური საკითხების კვლევა. ამ ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებით გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში აღსანიშნავია კათედრის წევრების მიერ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარებზე გაწეული შრომა, რის შედეგადაც ფაქტიურად მომზადდა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ამ სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ კათედრის შემდეგი წევრები: პროფ. გ. ტყეშელიაძე (იგი არის აგრეთვე აღნიშნული სახელმძღვანელოს რედაქტორიც), პროფ. გ. ნაჭყებია, პროფ. ა. გაბიანი, დოც. გ. მამულაშვილი, დოც. ს. პაჭკორია, დოც. ნ. გვენეტაძე, დოც. ნ. თოდუა, დოც. მ. ივანიძე, დოც. გ. ხუროშვილი, მასწ. ი. დვალისძე.

კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი მონოგრაფიები:

1. პროფ. ზ. წულაიას „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003. ამ მონოგრაფიაში მოცემულია როგორც კრიმინოლოგიის სასწავლო პროგრამის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: კრიმინოლოგია და მისი საგანი; დანაშაულობის ცნება; დანაშაულობის მიზეზები და ხელშემწყობი პირობების ცნება; დანაშაულის ჩამდენი პირის

ცნება, ვიქტიმოლოგია (დანაშაულის მსხვერპლი); დანაშაულის თავიდან აცილების ცნება, დანაშაულობის პროგნოზირების ცნება და დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვა; ასევე კრიმინოლოგიის კერძო ნაწილის ისეთი საკითხები, როგორცაა: პროფესიული დანაშაულობა, ორგანიზებული დანაშაულობა, რეციდიული დანაშაულობა.

2. პროფ. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2003 წლის 15 აპრილის მდგომარეობით), ტ. I, (მეორე გამოცემა,). ამ მონოგრაფიაში საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობის გათვალისწინებით, განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცნება; დანაშაულის კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა; კერძო ნაწილის ნორმის სტრუქტურა; კერძო ნაწილის სისტემა და ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცალკეული სახეები.

3. პროფ. მ. ლეკვეიშვილისა და დოც. გ. მამულაშვილის თანაავტორობით გამოცემულ იქნა ნაშრომი „პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის“, თბილისი, 2003. ეს წიგნი საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის სამეცნიერო პრაქტიკული კომენტარის გაგრძელებაა. ამ ნაშრომში ავტორები იხილავენ საერთაშორისო დანაშაულს, კერძოდ, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ტერორიზმსა და ტერორისტული შინაარსის ტრანსნაციონალურ დანაშაულს.

4. დოც. ნ. თოდუასა და დოც. რ. გოგშელიძის თანაავტორობით გამოიცა ნაშრომი „ნარკოტიკული დანაშაული“, თბილისი, 2003. ნაშრომში მოცემულია ნარკოტიკული დანაშაულის კომენტარები და მისი გახსნის მეთოდუკასთან დაკავშირებული საკითხები.

კონფერენციები

1. დოც. გ. ხუროშვილის ხელმძღვანელობით 2003 წლის მაისში მომზადდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ნარკომანია და XXI საუკუნე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, ასევე მოწვეულმა ექსპერტებმაც.

2. პროფ. მ. ლეკვეიშვილმა და დოც. გ. ხუროშვილმა მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „სისხლის სამართლის განვითარების შემდგომი ტენდენციები“.

3. დოც. გ. ხუროშვილმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო კრიმინოლოგთა კონგრესზე – „ნორმათა იმპლემენტაცია“ (ქ. ვენა) და არჩეულ იქნა მსოფლიო კრიმინოლოგთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტად.

4. პროფ. მ. ლეკვეიშვილმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ამერიკის განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: ტრეფიკინგის პრობლემები.

5. დოც. მ. ტურაევა, 24-26 ოქტომბერი, 2003 წელი, ბაკურიანი. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის და აშშ-ს საელჩოს თანადგომით ჩატარებულ სემინარში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის განხილვას. დოც. მ. ტურაევამ გააკეთა პროექტის მიმოხილვა.

კათედრას ჰყავს 16 ასპირანტი და 3 მაძიებელი.

სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის (გამგე პროფ. შ. ფაფიაშვილი) ძირითადი მიმართულებებია სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის აქტუალური საკითხების კვლევა. გეგმიური წლიური თემების გარდა კათედრის წევრების მიერ დამუშავებულ და გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი შრომები:

1. პროფ. შ. ფაფიაშვილი, სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგია, თბილისი, 2003. იგი ეხება ისეთ საერთო სახის სამოხელეო დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების პრობლემებს, როგორცაა: სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სამსახურეობრივი სიყალბე და სამსახურეობრივი გულგრილობა; ასევე სატრანსპორტო დანაშაულები.

2. მასწ. ზ. ცინცაძე, ჟურნ. „სამართალი“, №6, 2003. დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია დაკითხვის მომზადების, ჩვენების ფორმირების პროცესსა და მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის ზოგიერთ თავისებურებებზე.

3. მასწ. ზ. ცინცაძე, ჟურ. „სამართალი“, №1-2, 2003 წელი, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ევრსიების

აგება, გამოძიების დაგეგმვა და დანაშაულის გახსნის ძირითადი თავისებურებანი.

საქართველოში წიგნის ბაზრის კვლევისას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრეს პრობლემად რჩება ამ ბაზრის მარკეტინგული კვლევა. წიგნის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების ძირითად პრობლემად რჩება, საქართველოს მთავრობის უუნარობა ჩაერიოს არსებულ სისტემაში და მოამზადოს რეფორმათა სტრატეგია.

4. გ. ნადირაშვილი, მ. პაპიაშვილი, მარკეტინგის პრიორიტეტული როლი საბაზრო ეკონომიკაში. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

შეიმჩნევა მარკეტინგის ანალიტიკური ასპექტის გაძლიერების ტენდენცია. ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, კონკურენტულ და სოციალურ-კულტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ცალსახად დადგენილია და დასაბუთებული მარკეტინგის პრიორიტეტული როლის შესახებ საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

5. ე. უროტაძე, მარკეტინგის ეფექტიანობის განსაზღვრის ახალი მეთოდია. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში შემუშავებულია მარკეტინგის ეფექტიანობის განსაზღვრის ახალი მეთოდია, რომელიც ეფუძნება პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონესა და მოთხოვნის პროგნოზირებას.

6. მ. ნანიტაშვილი, ც. კვირიკაშვილი, მოთხოვნილება, როგორც სამომხმარებლო ქცევის ობიექტურ-სუბიექტური კატეგორია. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში დაზუსტებულია მოთხოვნილების ცნება, კერძოდ, ამ ცნების ქვეშ უნდა გვესმოდეს არა უბრალოდ საჭიროება, არამედ ობიექტურ-სუბიექტური საჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ავტომატურად იქცევა წარმოების კატეგორიად და უკვე აღარ არის მოხმარების კატეგორია. შემდგომში ჩამოყალიბებულია მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია და მოცემულია მათი ცალკეული ნაირსახეობების დახასიათება მარკეტინგის პოზიციიდან.

7. გ. შუბლაძე, ი. ადვიშვილი, ტურიზმი და მისი კლასიფიკაცია. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში გაშუქებულია ისეთი ცნებების არსი, როგორიცაა ტურიზმი და „ტურისტი“, დახასიათებულია ტურიზმის ძირითადი სახეები: შიდა ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, რეკრეაციული ტურიზმი, გამაჯანსაღებელი ტურიზმი, ეგზოტიკური ტურიზმი და ა.შ.

8. თ. ბუკია, თ. ჯაში, სამრეწველო საქონლის კლასიფიკაცია და მისი შეფასება. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

ნაშრომში განხილულია ფალსიფიკაციის არსი, მისი წარმოშობის მიზეზები, დახასიათებულია ფალსიფიკაციის სახეები სამრეწველო საქონლის ცალკეული ჯგუფების მაგალითზე, მოცემულია ფალსიფიკაციის განსაზღვრის მეთოდები.

9. ა. ლაშხია, მ. ლაშხია, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია მარკეტინგულ საქმიანობაში „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს როლი და ფუნქცია ეკონომიკის რეგულირებაში. ეს განსაკუთრებით ეხება წარმოების საშუალებებს, რამდენადაც ისინი ერთდროულად მატერიალური რესურსებიცაა და სამრეწველო საქონელიც, უფრო მეტიც, საბაზისო საქონელი, რომელთა საშუალებითაც იწარმოება ახალი საქონელი.

10. ნ. ბენდუქიძე, მ. გელაშვილი, რადიოელექტრონული ნაწარმის შენახვის თავისებურებანი. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში ჩამოყალიბებულია რადიოელექტრონული ნაწარმის შენახვის თავისებურებანი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მ. ალანია, თ. ჟორჟოლიანი, ნ. ჩარეკიშვილი, ტურიზმის მართვის სტრუქტურა. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

ნაჩვენებია, რომ ტურისტული ორგანიზაციის ფორმირება ისე უნდა მოხდეს, რომ შემდგომში შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული საერთო სტრატეგიის ეფექტიანად შესრულება დასახული მიზნების მისაღწევად.

12. ნ. ჩარეკიშვილი, თ. ბუკია, საყოფაცხოვრებო დანიშნულების სილიკატური საქონლის სამომხმარებლო თვისებები. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

ნაშრომში საინტერესო განზოგადოებაა პრობლემისა, რომ სილიკატური ნაწარმი ასრულებს ორ ფუნქციას: საწყისს, რომელიც დამოკიდებულია მინის თვისებებზე და საბოლოო, რომელიც დამოკიდებულია ნაწარმის კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე.

13. მ. მელაძე, ელექტრონული ბიზნესი და მარკეტინგული კვლევა ინტერნეტის საშუალებით. ტურიზმში „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ტურისტულ ფირმებს მარკეტინგულ საქმიანობაში სჭირდებათ ინფორმაცია უფრო მსხვილ და დაშორებულ ბაზრებზე. უახლოეს ათწლეულში კომპიუტერები და ქსელები ტურიზმის ბიზნესის ძირითად ინსტრუმენტად გადაიქცევა, ამიტომ ტურისტული კომპანიები უნდა

გადავიდნენ მაღალ ტექნოლოგიებზე, რათა უზრუნველყონ კონკურენტუნარიანობა.

14. ნ. კირვალიძე, სასტუმრო ბიზნესის განვითარება საქართველოში. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში მოცემულია ამ სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში. სასტუმრო ბიზნესი ორიენტირებულია მიწოდებაზე, ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოთხოვნის შესწავლა კი იგნორირებულია, რაც დაუშვებელია. მომხმარებელთა ანალიზი გამოყენებული უნდა იყოს ტურისტული პროდუქტის დამუშავების პროცესში.

15. ნ. კირვალიძე, ც. ნანიკაშვილი, სასტუმრო მომსახურებაზე მოთხოვნის პროგნოზირების საკითხები. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

ნაშრომში განხილულია პროგნოზირების ზოგიერთი საკითხი სტუმართმასპინძლობის სფეროში. სასტუმრო მომსახურების დონის რეალიზაცია დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. თანამედროვე პირობებში რაციონალურია მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზი. გამოყენებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელი, პროგნოზის შედეგებისა და ექსპლუატაციის შეჯერება.

16. ე. მაღლაკელიძე, ი. ადგიშვილი, ც. კვირიკაშვილი, კერძო სექტორის ფორმირების ზოგიერთი მარკეტინგული ასპექტი ელექტროენერგეტიკის ბაზარზე. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

მწვავე ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსასვლელად, ჩვენ მოგვეთხოვება საკუთარი რეზერვების ამოქმედება და მცირე ბიზნესის ეკონომიკური სტრატეგიის მხარდაჭერა. მცირე ბიზნესის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ინტეგრირებული მარკეტინგის აქტიურად გამოყენება, რომელიც გეგმარება პრობლემების დაძლევისა და ზრდის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენაში.

17. თ. ქობლიანიძე, კონკურენტუნარიანობის პრობლემა საფეიქრო მრწველობაში. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში განხილულია ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის კატეგორიებს შორის განსხვავების თეორიული ასპექტები. ჩვენს გაჯერებულ ტექსტილის ბაზარზე წარმოდგენილია დაბალხარისხიანი, მაგრამ მცირე ფასიანი საქონელი. მათ ღირსეული კონკურენცია შეუძლია გაუწიოს სამამულო ტექსტილის

ნაწარმმა, თუ ვიხელმძღვანელებთ შემდეგი მოთხოვნებით: კარგად ორიენტირებული სეგმენტი, რეკლამა, მისაღები ხარისხი და დაბალი ფასი.

18. თ. ქობლიანიძე, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ურთიერთმიმართების საკითხი. უურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №6.

ხარისხი კონკურენტუნარიანობის მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი შემადგენელია. ხარისხობრივი მახასიათებლების უცვლელობისას მისი კონკურენტუნარიანობა შეიძლება შეიცვალოს ფართო საზღვრებში, რასაც ხელს უწყობს კონიუნქტურის, საქონლის ფასის ცვლილება, რეკლამა და ა.შ.

19. ნ. კაციტაძე, ი. ვაწაძე, რეკლამის დაძველების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V. თსუ გამომცემლობა.

სტატიაში ნაჩვენებია რეკლამის დაძველების მიზეზები და ამ პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები.

20. მ. გოცირიძე, შრომითი მიგრაციის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში. „მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში“. გამომცემლობა „ლეგა“.

განხილულია საქართველოში მიგრაციის სამართლებრივი ბაზა, აღნიშნულია, რომ არსებული ბაზა არ შეესაბამება მიგრაციის რეგულირების ამოცანებს, არ არის სრულფასოვნად გამოკეთილი არსებული შრომითი მიგრაციის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები და მექანიზმები. ჩამოყალიბებულია სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანები და მათი რეალიზაციის გზები.

21. მ. გოცირიძე, საქართველოდან შრომითი მიგრაცია. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

შემოთავაზებულია მიგრაციის კვლევის ახალი მეთოდოლოგია, შესწავლილია საქართველოდან მიგრაციის სტრუქტურა ყველა ასპექტში, მოცემულია წინადადებები მიგრაციის, ლეგალიზაციის დონის ამაღლების თავლსასრისით.

22. გ. შუბლაძე, საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ, უურნალი „მომამბე“ №6.

სტატიაში განხილულია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებანი საერთაშორისო მარკეტინგის შესახებ და ნაჩვენებია ავტორისეული მოსაზრება მოცემულ საკითხზე. ხაზგასმით ნაჩვენებია, რომ საერთაშორისო მარკეტინგი აუცილებელია იმ ფირმებისათვის (კომპანიებისათვის), რომლებიც ფუნქციონირებენ საერთაშორისო ბაზარზე.

23. გ. შუბლაძე, ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის (ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ეკონომიკის) დეფინიციის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ.3.

სტატიაში გამოიხსენიებულია ცნებები, „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“, „ბიზნესმენი“ და „მეწარმე“, გადმოცემულია ავტორისეული მოსაზრებანი მარკეტინგის, მენეჯმენტის, ეკონომიკის შესახებ.

24. თ. ბუკია, საქართველოში ანტიკვარული საქონლის შემოტანის ისტორიული გზები. ჟურნალი „კავკასიის მაცნე“, ტ. 9, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.

სხვადასხვა მონოგრაფიებზე და შრომებზე დაყრდნობით მოცემულია ანტიკვარული საქონლის შემოტანის წყაროები საქართველოში.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეში ყოველწლიურად 50-მდე მოხსენების მოსმენა ხდება. მიმდინარე წელს წარმოდგენილი იყო 43 დასახელების სამეცნიერო თემა. კათედრის პროფილის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებში.

პროფ. გ. ნადირაშვილი იმყოფებოდა სამეცნიერო სემინარებზე საფრანგეთში (იონის დეპარტამენტი) და პოლონეთში (რჯე-შოვის უნივერსიტეტი)

პროფ. გ. შუბლაძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში. გააკეთა მოხსენება თემაზე – ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის დეფინიციის შესახებ. თეზისები დაიბეჭდა პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომებში, ტ.3.

კათედრის ინიციატივით, ფაკულტეტთან ერთად ჩატარდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მეოთხე რესპუბლიკური კონფერენცია სახელწოდებით: ტურიზმი და საქართველოს მომავალი.

მ. გოცირიძე მონაწილეობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტში – საქართველოდან სამუშაო ძალის მიგრაცია და აგრეთვე ამერიკის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს პროექტში – მასწავლებელთა მომზადება ეკონომიკაში. იგი ორივე პროექტის ხელმძღვანელია.

მ. მარგველაშვილმა მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტში – ტურიზმის მარკეტინგი.

კათედრასთან შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე სამომხმარებლო საქონლის ბაზრისა და კონკურენტუნარიანობის კვლე-

კის სამეცნიერო ლაბორატორია (ხელმძღ. პროფ. გ. ნადირაშვილი).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო შრომებისა, გამოქვეყნებულია სასწავლო პროგრამები, მეთოდმითითებანი და ლექციების კურსი:

1. მ. გოცირიძე, მ. მელაძე, შესავალი სპეციალობაში (ლექციების კურსი ტურიზმის კომერციასა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისათვის), თსუ გამომცემლობა.

2. გ. შუბლაძე, კომერციისა და ბიზნესის საფუძვლები, პროგრამა ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

3. ნ. ბენდუქიძე, კვლევის თანამედროვე მეთოდები – პროგრამა ბაკალავრიატისათვის; თსუ გამომცემლობა.

4. ნ. ბენდუქიძე, საკურსო ნაშრომების შესრულების მეთოდთა, მეთოდური მითითებანი ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

5. ე. მაღანია, ტურისტული პროდუქციის და სასტუმროების კონკურენტუნარიანობა და ხარისხი. პროგრამა ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

6. გ. ნადირაშვილი, ე. მაღანია, პოლიტიკა ხარისხის დარგში, პროგრამა ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

7. ც. უროტაძე, სტრანდარტიზაცია და პროდუქციის ხარისხის მართვა. პროგრამა მაგისტრატურისათვის, თსუ გამომცემლობა.

8. თ. ქობლიანიძე, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციები, პროგრამა ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

9. ც. ნანიკაშვილი, თ. ჟორჟოლიანი, მარკირება, სერტიფიკაცია და ლიცენზირება. პროგრამა ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

10. ლ. ჭოველიძე, ფირმების ორგანიზაცია. პროგრამა ბაკალავრიატისათვის, თსუ გამომცემლობა.

სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობის, სერტიფიკაციის და კომერციის კათედრა (გამგე პროფ. გ. მიქელაძე) ამზადებს სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნე კომერსანტებს და ექსპერტებს. 1975 წლიდან კათედრასთან ჩამოყალიბდა ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი გ. მიქელაძე. ლაბორატორია იყო სათავე დაწესებულია, რომელიც კოსმონავტიკისათვის ქმნიდა საკვებს. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ნარჩენებისაგან, ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით აწარმოებდა სასურსათო პროდუქტებსა და ცხოველთა

საკეებს. ლაბორატორიის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიების ბაზაზე აშენდა მცხეთაში ექსპერიმენტული საწარმო და მოხდა ახმეტის ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია. ლაბორატორია მონაწილეობდა საერთაშორისო სისტემური ანალიზის ინსტიტუტის მუშაობაში, სადაც ხდებოდა აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა მსოფლიო მასშტაბით. 2001 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კანადის წმიდა მარიაშის უნივერსიტეტთან ერთად შექმნილი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი. კათედრას დავალებული აქვს კანადაში და აშშ-ში ქართული ღვინოების რეალიზაციის ხელშეწყობა.

კათედრა სამეცნიერო კვლევით მუშაობას აგრძელებდა პრობლემაზე: საქართველოს ბაზრის უზრუნველყოფა სასურსათო პროდუქტებით და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანი პროდუქციის რეალიზაციის გზებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში – პროფ. გ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით, ძირითადად ორიენტაცია გაკეთებულია ახალი სამეცნიერო სახელმძღვანელოების შექმნაზე. კათედრაზე მიმდინარე 9 დასახელების სამუშაოდან – 7 სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნას ითვალისწინებს.

ქართულ ენაზე ახალი სახელმძღვანელოების შექმნა მიზნად ისახავს ერთის მხრივ, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და ამის საფუძველზე ქვეყნის სასურსათო ბაზის მეცნიერული უზრუნველყოფის ხელშეწყობას, მეორეს მხრივ, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი სასურსათო პროდუქციის წარმოებასა და სასურსათო ბაზრის დაცვას ფალსიფიცირებული და მდარე ხარისხის პროდუქციისაგან.

დღეისათვის კათედრის პროფილით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გართულებულია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნილებების შესაბამისად სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მასალების მწვავე დეფიციტის გამო. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიმდინარე პერიოდში განსაკუთრებით შეიმჩნევა სტუდენტთა მოთხოვნა მშობლიურ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოებზე.

კათედრის თანამშრომელთა კვლევის შედეგად სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზისა და საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობის დარგში დადგენილ იქნა, რომ მიუხედავად დიდი ეროვნული კაპიტალის (ნედლეულის სახით) არსებობისა, მცირე გამონაკლისის გარდა, საქართველოში წარმოებული კვების

პროდუქტები - არაკონკურენტუნარიანია, რაც უწინარეს ყოვლისა განპირობებულია წარმოებაში დასაქმებულ პირთა უცოდინარობით და რაოდენ საკვირველი არ უნდა იყოს, თავად ხელმძღვანელობის არაპროფესიონალიზმით.

კათედრის თანამშრომლების მიერ 2003 წელს მიღებული ძირითადი სამეცნიერო შედეგები:

1. გ. მიქელაძე, ს. ყიფიანი, ლ. ხუხუნაიშვილი, საქართველოს ლუდის ბაზრის და მისი განვითარების პერსპექტივები. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, ტ.V. თსუ გამომცემლობა. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ლუდის წარმოებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რაც განპირობებული იყო უცხოური ინვესტიციების შემოსვლით და ადგილობრივი ლუდის მწარმოებლების კვალიფიკაციის შერწყმით. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით ლუდის წარმოების განვითარებას ექნებოდა უფრო დიდი ეკონომიკური და სოციალური ეფექტი

2. ლ. ბერიკაშვილი, ნაყინის წარმოების პერსპექტივები საქართველოში ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №11.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად ავტორი გეთავაზობს ხილის პექტინოვანი ნაყინის წარმოების ახალ ტექნოლოგიას, რომელიც დაპატენტებულია. ამ ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად მიიღწევა ხილის ნაყინის გემოვანი თვისებების გაზრდა და მისთვის სამკურნალო თვისებების მინიჭება, დამზადება კი შესაძლებელია მთლიანად ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით.

3. ე. სარჯველაძე, ინოვაციების როლი კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში. ჟურნალი „ეკონომიკა“ №1-2. პოსტსაბჭოთა კვების მრეწველობის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ახალ ეკონომიკურ პირობებში აუცილებელია ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ეხება კომპლექსური ინოვაციების გატარებას, უნდა იქნეს მიღებული მარკეტინგული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ბაზრის დეტალური შესწავლის შედეგად. მხოლოდ ასეთი კურსი შეიძლება ჩაითვალოს სწორად.

4. ე. თოფაძე, მ. კობაიძე, ქართული ხორბალი და მისი წარმოების პერსპექტივები. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, ტ.V. თსუ გამომცემლობა.

საქართველო წარმოადგენს ხორბლის კულტურის უძველეს კერას და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ამ მცენარის სახეობრივი და ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. საქართ-

ველოს ხორბლის შესწავლით დაინტერესებული იყო და არის მსოფლიოს მრავალი დარგის მეცნიერი. დაგროვილი მონაცემები ნათლად გეიჩვენებს, რომ ქართული ხორბლის აბორიგენული ჯიშები გამოირჩევა ბევრი დადებითი ნიშნით და მათ შორის მაღალი პურსაცხოხობი უნარით.

5. თ. ცინცაძე, ე. დოიჯაშვილი, ალპური ჩაი. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, სამეცნიერო ნაშრომთა კრებული ტ.V. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნაშრომში განხილულია ველური მცენარეებიდან საკვები პროდუქტების შექმნა მაღალი ბიოლოგიური ღირსებებით და თვისებებით, ასევე მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტების წარმოების ორგანიზაციის საკითხები.

6. თ. ცინცაძე, ე. დოიჯაშვილი, მ. კობაიძე, არატრადიციული ნედლეულისაგან ჩაის ტიპის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების პერსპექტივები. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული. „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, ტ.V. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნაშრომში განხილულია შავი ბაიხის ტიპის ჩაის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიღების საკითხები, რომელსაც ექნება მაღალკალორიული, სამკურნალო-პროფილაქტიკური და მაღალი საგემოვნო თვისებები.

7. თ. ცინცაძე, ე. დოიჯაშვილი, ლ. ხუხუნეიშვილი, პურის ხარისხის პრობლემები. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, კრებული ტ.V. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნაშრომი ეხება საქართველოში წარმოებული პურის ხარისხის პრობლემებს. მასში განხილულია ხარისხოვანი პურის წარმოების ასპექტები – კომპლექსური წარმოების დანერგვის მიზანშესატყვისობა, მზა პროდუქციის რეალიზაციის, წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა და პურის ხარისხის გაუმჯობესების გზები.

კათედრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 1 სახელმძღვანელო 3 დამხმარე სახელმძღვანელო.

1. გ. მიქელაძე, გემოვანი პროდუქტების საქონელმცოდნეობა (სახელმძღვანელო) უნივერსიტეტის გამომცემლობა.

2. გ. მიქელაძე, მ. კობაიძე, ე. დოიჯაშვილი, ჩაი და მისი ექსპერტიზა (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომცემლობა „უნივერსალი“.

3. გ. მიქელაძე, მ. კობაიძე, ს. ყიფიანი, ღვინის საქონელმცოდნეობრივი დახასიათება და ექსპერტიზა (დამხმარე სახელმძღვანელო). გამომცემლობა „უნივერსალი“.

4. გ. მიქელაძე, მ. კობაიძე ე. დოიჯაშვილი, ყავა და ყავის სასმელები (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომცემლობა „უნივერსალი“.

კათედრის პროფილის სტრუქტურები აქტიურად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებში. 3 საუკეთესო (თ. მენტეშაშვილი, გ. ფარსადანიშვილი, თ. გოდიშვილი) წარდგენილ იქნა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, მათ შორის 1 დაჯილდოებულია მარკეტინგული კვლევის ცენტრის დიპლომით.

კათედრაზე მუშაობს 3 ასპირანტი პროფ. გ. მიქელაძის ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთაგან ერთმა (ლ. ბერიკაშვილმა) დაამთავრა დისერტაციაზე მუშაობა.

მარკეტინგის კათედრა (გამგე პროფ. ნ. თოდუა) ჩამოყალიბდა 2002 წელს. საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირებამ განაპირობა მრავალი თეორიული წარმოდგენის, კატეგორიის და კონცეფციის ახლებური გააზრება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა ბაზრის, საბაზრო ეკონომიკის იდეა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ისეთი სახით ჩამოყალიბებისათვის, როგორც არსებობს დასავლეთში, აუცილებელია ცივილიზებულ სასაქონლო-ფულად ურთიერთობებზე დამყარებული ახალი სამეურნეო მექანიზმის დაფუძნება, პრაქტიკულად ხელახლა უნდა შეიქმნას ეროვნული მეურნეობის ახალი მოდელი. აღნიშნულ სიტუაციაში დიდი როლი ეკისრება ისეთი თეორიული დისციპლინის შესწავლას, როგორცაა მარკეტინგი.

მარკეტინგის მეცნიერებას დიდი ყურადღება ექცევა დასავლეთის ქვეყნებში. იგი მიჩნეულია, როგორც ბიზნესის მართვის ფილოსოფია. ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში მარკეტინგი მომავალ ბიზნესმენტა მომზადების აუცილებელი საგანია. ჩვენი ქვეყანა მარკეტინგის გამოყენების საწყის ეტაპზეა. მართალია, 90-იანი წლებიდან საქართველოშიც დაიწყო მარკეტინგის სწავლება, მაგრამ იგი არ ატარებდა ორგანიზებულ ხასიათს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური პროფილის სხვადასხვა კათედრებზე ცალკეული პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ მარკეტინგს, მაგრამ ასეთ სწავლებას არ ჰქონდა აკადემიური მიმართულება, ამიტომ სამეცნიერო კვლევებს არ გააჩნდა სისტემური ხასიათი. აღნიშნული პრობ

ლემების გადაწყვეტის მიზნით 2002 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტების ბაზაზე დაარსდა მარკეტინგის კათედრა (გამგე პროფ. ნ. თოდუა), რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოში სამამულო მარკეტინგის სკოლის შენებას.

კათედრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებაა: სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევის პრობლემები. იგი ითვალისწინებს თითოეული სასაქონლო ჯგუფის მიხედვით სამამულო ბაზრის გამოკვლევას, მომხმარებელთა შესწავლას და მოთხოვნის პროგნოზირებას. ასეთი კვლევები საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ბაზრის დაბალანსება, სამამულო საწარმოებმა უზრუნველყონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა უკეთ დაკმაყოფილდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებები და საგარეო ბაზარზე გავიდეს მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ექსპორტის ეფექტიანობა კი განაპირობებს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

კათედრის თანამშრომელთა მიერ 2003 წელს მიღებული ძირითადი სამეცნიერო შედეგები:

1. ნ. თოდუა, მ. შენგელია, მარკეტინგის თავისებურებანი სამამულო ბიზნესში. ჟურნალი „ეკონომიკა“ №1-2.

სტატიაში განხილულია პრობლემები, რომლებიც აქტიურია ამჟამად საქართველოში. საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად მარკეტინგი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მარკეტინგული კვლევის შედეგების რეალიზაცია განაპირობებს საწარმოთა წარმატებულ სამეურნეო საქმიანობას. სტატიაში გაანალიზებულია მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან თანამედროვე პირობებში მარკეტინგის ეფექტიან მუშაობას.

2. ნ. თოდუა, ე. უროტაძე, ფასწარმოქმნის მეთოდის სრულყოფა ექსპერტული შეფასების საფუძველზე. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №5.

ნაშრომში შემუშავებულია ფასწარმოქმნის ახალი მეთოდიკა, რომელიც დაფუძნებულია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ექსპერტული შეფასების შედეგებზე. შემოთავაზებული მეთოდის საშუალებით საწარმომ შეიძლება მოახდინოს გასაყიდი ფასების გაანგარიშება და კორექტირება, რაც უზრუნველყოფს მის წარმატებას ბაზარზე.

3. ნ. თოდუა, ე. უროტაძე, სამამულო საწარმოებში ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“ №7-8.

განხილულია სამეურნეო საქმიანობაში ინოვაციური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა. ჩამოყალიბებულია საქართველოს საწარმოებში ახალი პროდუქციის გამოშვების სირთულეები და ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფის მარკეტინგული სტრატეგია ნაჩვენებია აბრეშუმის ქსოვილების ახალი ნიმუშების შემუშავების მაგალითზე. გამოკვლევებით დადგინდა, რომ მიღებული ნიმუშები კონკურენტუნარიანია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.

4. რ. აბულაძე, ნ. თოდუა, ინტერნეტ პროვაიდერების ბაზარი საქართველოში, ანალიზი და პრობლემები, ჟურნალი „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“ №11.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო გარემოში მიმდინარეობს ინტერნეტ-ინდუსტრიის განვითარება. ინტერნეტ პროვაიდერების ბაზარი მოითხოვს ინვესტიციებს, კომუნიკალური ქსელის მოდერნიზაციას, სასწავლო ცენტრების შექმნას, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას.

5. ნ. თოდუა, ე. უროტაძე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული კვლევის სრულყოფისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“ №11.

ნაშრომში შემუშავებულია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული კვლევის ახალი მეთოდიკა, დაფუძნებული პრიორიტეტთა განლაგების მეთოდის გამოყენებაზე. აღნიშნული მეთოდიკა პრაქტიკულად გამოყენებული იქნა აბრეშუმის ქსოვილების ახალი ნიმუშების შეფასებისათვის. კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები დაეხმარება სამამულო საწარმოებს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებაში.

6. მ. ალანია, ტურიზმის მართვის სტრუქტურა. სამეცნიერო შრომების კრებული „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, თსუ გამომცემლობა.

ტურისტული ორგანიზაციის ფორმირება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს დასახული მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელების მიერ არჩეული საერთო სტრატეგიის ეფექტური განხორციელება.

7. ნ. კაციტაძე, რეკლამის დაძველების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები. სამეცნიერო შრომების კრებული „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, თსუ გამომცემლობა.

სტატიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა რეკლამის დაძველება და მისი გამომწვევი მიზეზების დროული დადგენა და მისი პოვნის მეთოდები. ნაშრომში შემოთავაზებულია რეკლამის ცვეთის დიაგნოსტიკა და მისი გადაჭრის გზები მაღალი მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგიის შეცვლის გარეშე, კერძოდ, ერთი და იგივე სარეკლამო იდეის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენებით.

8. მ. მიქაშვილი, ნ. ჩივაძე, მომხმარებელთა მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობის ამოცანები და მეთოდოლოგია, სამეცნიერო შრომების კრებული, „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, თსუ გამომცემლობა.

განხილულია მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფების ე.წ. ფოკუს-ჯგუფების ადგილი და როლი მარკეტინგულ გამოკვლევებში. მოცემულია ფოკუს ჯგუფების ორგანიზაციისა და მოდერატორის შერჩევისადმი წაყენებული მოთხოვნები. დახასიათებულია გამოკვლევის სხვადასხვა მიზნებთან ორგანიზებული ფოკუს-ჯგუფების მუშაობის თავისებურებანი.

9. თ. დოლიძე, საქართველოში საგამომცემლო საქმის განვითარების საკითხები. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, ტ. V, თსუ გამომცემლობა

მოცემულია საქართველოში საგამომცემლო საქმის ისტორია, ნაჩვენებია საბჭოთა საგამომცემლო სიახლეების სპეციფიკა და ბეჭდვითი პროდუქციის მნიშვნელობა. გარდა ამისა, ნაშრომი ეხება პოსტსაბჭოთა პერიოდის მიერ მოტანილ პოლიტიკურ და ნეგატიურ შედეგებს.

10. დ. ნერგაძე, საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის მარკეტინგული კვლევის სურათი. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული, სერია „ეკონომიკა“.

ქართული მინერალური წყლები, რომლითაც საქართველო მსოფლიოშია განთქმული, საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რესურსია. მარკეტინგული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მინერალური წყლების ბაზარი სათანადოდ არაა შესწავლილი, გამოიკვეთა ცალკეული მომხმარებლის დამოკიდებულება სხვადასხვა მინერალური წყლისადმი.

11. დ. ლომინაძე, მომხმარებელი და მოთხოვნის შეფასების თანამედროვე ეტაპები. ნაშრომთა კრებული, მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, ტ. V, თსუ გამომცემლობა.

სტატიაში განხილულია მოთხოვნის შესწავლისა და შეფასების მეთოდები, ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის ანალიზის საერთო მოდელი, მომხმარებლის რეალურად შეცნობილი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ცვლილებების პროგნოზირება, ამ ცვლილებების გათვალისწინების აუცილებლობა პროდუქციის შემუშავების და წარმოების სფეროში.

12. დ. ლომინაძე, ზ. ლომინაძე, მარკეტინგული კვლევის მეთოდების თანამედროვე ეტაპზე. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, ტ. V, თსუ გამომცემლობა.

განხილულია მარკეტინგული კვლევების ხუთი ძირითადი ეტაპი, დახასიათებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ფირმის წარმატებული საქმიანობისათვის განხორციელებული ღონისძიებები, მარკეტინგული კვლევის მიზნები და ამოცანები.

13. ე. ბახტაძე, აჭარაში ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები. ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4.

სტატიაში განხილულია აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები. მოცემული სტატისტიკური მასალა ასახავს აჭარაში ტურისტთა რაოდენობის დინამიკას, სასტუმროების საქმიანობას, ტურიზმის ბიზნესში დასაქმებულთა რიცხოვნობას, ასევე სახელმწიფოს როლს რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით.

14. ე. ბახტაძე, აჭარის ტურისტული საწარმოების მარკეტინგული მაკროგარემო. ჟურნალი „ეკონომიკა“, №11.

განხილულია აჭარის ტურისტული საწარმოების საქმიანობაზე მოქმედი მარკეტინგული მაკროგარემოს ფაქტორები.

15. ნ. მახარაძე, ინოვაციური პოლიტიკა აჭარის საწარმოებში, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №5.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა განვითარებისათვის ინოვაციური საქონლის დამუშავების მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს მის წარმატებას და კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

16. ნ. მახარაძე, ინოვაციური პოლიტიკის გავლენა საქონლის სასიცოცხლო ციკლზე. ჟურნალი ეკონომიკა №7-8.

აჭარის საწარმოები ინოვაციური თვალსაზრისით შეიძლება 3 კატეგორიად დაიყოს: საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ახალ

ინოვაციურ საქონელს რეგიონისათვის, შესაბამისად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით; საწარმოები, რომლებმაც გააახლეს მხოლოდ საქონლის ასორტიმენტი და საწარმოები, რომლებსაც ინოვაციები არ განუხორციელებიათ, თუმცა მათ საქონელზე მოთხოვნა მაღალია.

17. ჩ. ჯაში, მარკეტინგი, ბიზნესის ფილოსოფია, საქონელ-მცოდნეობის კომერციული საქმიანობის საფუძველი, სამეცნიერო შრომების კრებული, „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“ ტ. V, თსუ გამომცემლობა.

ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები მარკეტინგზე, კომერციაზე, მეწარმეობაზე, საქონელმცოდნეობაზე. მათი ანალიზის საფუძველზე ავტორის მიერ გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებანი.

18. ჩ. ჯაში, გენდერული ეკონომიკის სწავლების პროგრამა ეკონომიკის პროფილის მაგისტრანტებისათვის, თსუ გამომცემლობა.

მასში მოცემულია ახალი საგნის გენდერული ეკონომიკის სწავლების ძირითადი მიმართულებები, თემები და ლიტერატურის სია.

19. ჩ. ჯაში, შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე: რეალობა და პერსპექტივა, გაეროს განვითარების პროგრამის საინფორმაციო ბიულეტენი, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მასში აღწერილია გენდერული უთანასწორობის ტენდენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, გენდერული ბიუჯეტის ანალიზი.

20. ჩ. ჯაში, სამეწარმეო განვითარების ტენდენციები საქართველოში გენდერული ასპექტებით, გაეროს ეკონომიკური კომისიის ყოველწლიური უზრნალი, ჟენევა, ინგლისურ ენაზე.

ნაშრომი წარმოადგენს მსოფლიო მეწარმე ქალთა ფორუმზე ჟენევაში 2003 წლის მოხსენების პუბლიკაციას. მოცემულია ბაზრის კვლევა დარგების მიხედვით, სადაც მეწარმე ქალები არიან კონცენტრირებული და ის ტენდენციები, რომლებიც საქართველოში მეწარმეობის განვითარებას უშლის ხელს, დოც. მ. კობალავა, დოც. კ. ჩაგელიშვილი, დოც. მ. სეთური, დოც. მ. ტოგონიძე, დოც. ბ. ლავგილავა.

მარკეტინგის კათედრის თანამშრომლებმა (პროფ. ნ. თოდუამ, დოც. ჩ. ჯაშმა, დოც. მ. ალანია, დოც. მ. ეშაგურმა მასწ. დ. ნერგაძემ, მასწ. ნ. ჩივაძემ, მასწ. მ. მიქაშვილმა მასწ. ე. უროტაძემ) 2003 წელს მოამზადეს დამხმარე სახელმძღვანელო „მარკეტინ-

გი“. იგი შედგენილია უახლესი ლიტერატურის გამოყენებით და გათვალისწინებულია ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისათვის (ბაკალავრებისათვის). სახელმძღვანელოზე მუშაობა დამთავრებულია.

მარკეტინგის კათედრის 18 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას საუნივერსიტეტო კონფერენციაში, აქედან სამმა გაიმარჯვა, ხოლო ნ. თევდორაძემ (პროფ. ნ. თოდუას ხელმძღვანელობით) სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე დაიკავა პირველი ადგილი. მარკეტინგის კათედრასთან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს მარკეტინგული კვლევის ცენტრი (ხელმძღ. ნ. თოდუა) ცენტრის ინიციატივით 2003 წლის მაისის თვეში ჩატარდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენცია „მარკეტინგის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით.

მარკეტინგის კათედრაზე ირიცხება 3 მაძიებელი და 6 ასპირანტი.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ემსახურება კადრების მომზადებასა და გადამზადებას ახალ, პერსპექტიულ მიმართულებებში. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ოთხი კათედრა და ორი სამეცნიერო ცენტრი.

საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრა (ფაკულტეტის საბაზო კათედრა) მიმდინარე წელს აგრძელებდა მუშაობას საერთაშორისო ბიზნესის, აგრეთვე ეროვნული ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის კვლევის მეცნიერული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შექმნის მიმართულებით. დასრულდა მუშაობა ორწლიან სამეცნიერო კვლევით თემაზე: საერთაშორისო ბიზნესი XXI საუკუნეში და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივები (შემსრულებლები: პროფ. ლ. ყორღანაშვილი, პროფ. გ. დოღონაძე, პროფ. რ. კაკულია, დოც. ნ. ბაბუნაშვილი, დოც. ბ. მღებრიშვილი, დოც. ლ. სეხნიაიძე, დოც. ლ. ხიხაძე, უმასწ. გ. შადური). ნაშრომში განხილულია XXI საუკუნის საერთაშორისო ბიზნესის მახასიათებელი ნიშნები, გლობალიზაცია, როგორც საერთაშორისო ბიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპი, საერთაშორისო ბიზნესის ინტეგრირებული სტრუქტურები, საერთაშორისო სტრატეგიული აღიანსები, საქართველოს ადგილი და როლი საერთაშორისო ბიზნესში, მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მომავალი, სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ბიზნესში და ა. შ.

გათვალისწინებულია ნაშრომის გამოცემა მონოგრაფიის სახით.

კათედრაზე მომზადდა სახელმძღვანელო: ბიზნესის საფუძვლები (ავტორები: პროფ. ლ. ყორღანაშვილი, ეკ. მეცნ. დოქტ. ლ. ჩაგელიშვილი, დოც. ბ. მღებრიშვილი, დოც. ნ. პაპაჩაშვილი, დოც. ლ. სეხნიაიძე). მასში განხილულია ბიზნესის არსი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ბიზნესის გარემო, ბიზნესის მართვის ორგანიზაცია, ბიზნესის ორგანიზაციის ციკლები, მარკეტინგი, ბიზნესის ურთიერთობა საზოგადოებასთან, პერსონალის მართვა, ბიზნესის ინფორმაციული უზრუნველყოფა, ბიზნესის დაფინანსება, ბიზნესის დაგეგმვა.

პროფ. ლ. ყორღანაშვილმა მოამზადა დამხმარე სახელმძღვანელო ოფშორული ბიზნესი (თბ., 2003), რომელშიც განხილულია ოფშორული ბიზნესის არსი და წარმოშობის ისტორია, მისი

წარმოებისა და რეგულირების მსოფლიო გამოცდილება, დახასიათებულია მსოფლიოს ძირითადი ოფშორული ცენტრები და ამ ცენტრებში ოფშორული კომპანიების დაფუძნებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ოფშორულ რეჟიმში სხვადასხვა სახის საქმიანობის (საბანკო, საინვესტიციო, სადაზღვევო, სატრასტო და ა. შ.) თავისებურებანი.

პროფ. რ. კაკულიამ მოამზადა და გამოსცა მონოგრაფიული ნაშრომი: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, რომელშიც მთავარი ყურადღება მიქცეულია ეკონომიკური თეორიის, ფულის ფენომენის, ფინანსური ეკონომიკის, ეკონომიკური გლობალიზაციის, ფინანსური მდგრადობის, ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის საკითხებისადმი. განხილულია აგრეთვე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და რეფორმირების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიულ-მეთოდოლოგიური, სახელმწიფო ბიუჯეტის და ბიუჯეტაშორისი ურთიერთობების პრობლემები.

მიმდინარე წელს კათედრაზე დამუშავდა 13 სასწავლო პროგრამა:

მაგისტრატურისა და ბაკალავრიატიისთვის.

კათედრის წევრებმა პროფ. ლ. ყორღანაშვილმა, პროფ. ვ. ბურკაძემ, პროფ. რ. გოგოხიამ, პროფ. გ. დოლონაძემ, აგრეთვე ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გ. ბაბუნაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში: ბიზნესი და რეგიონთა ეკონომიკური ინტეგრირება (2003წ. 12-13 ივნისი).

ბიზნესის სამართლის კათედრის ძირითად სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენდა ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების სფერო, რაც განპირობებული იყო საბაზრო ეკონომიკის პირობების შექმნით, ბიზნესთან დაკავშირებული მრავალმხრივი ურთიერთობების, როგორც სამართლებრივი, ასევე ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემების გათვალისწინებით. ბიზნესის სფეროს მენეჯერების მომზადებას, ამ დარგში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად, ესაჭიროება ბიზნესის სამართლის სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე ლიტერატურა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაზე იქნება დაფუძნებული და ქართულ ენაზე დღემდე არ გამოცემულა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიზნესის სამართლის კათედრამ საჭიროდ ჩათვალა შესაბამისი მიმართულებით მუშაობა და მოამზადა სახელმძღვანელო: ბიზნესის სამართლის საფუძველები, 502

რომელიც გამოიცა 2003წ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში ქართული და უცხო ქვეყნების მეცნიერული ნაშრომების, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენების საფუძველზე, განხილულია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი დებულებანი, კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნება, მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური უფლებები, საარბიტრაჟო სასამართლოს როლი ბიზნესთან დაკავშირებული დავების განხილვაში, ბიზნესსა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საფუძველები, ბიზნესისა და ვაჭრობის ცნება, ბიზნესზე მოქმედი პირობები და ფაქტორები, ექსპორტ-იმპორტის სამართლებრივი რეგულირების საკითხები, ბიზნესის სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების ძირითადი ასპექტები, საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობები, აქციების გამოშვებისა და სასესხო ვალდებულებების ზოგადი დებულებანი, მონოპოლიური საქმიანობის, კონკურენციისა და გაკოტრების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი ცნებები, ფასიანი ქაღალდებისა და საფინანსო ბაზრის სამართლებრივი საფუძველების საკითხები, სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, საბაჟო საქმიანობის, აუდიტორული საქმიანობის, დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების, ბიზნესის განვითარებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის, ტურიზმის ორგანიზაციის, საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების, აგრარული სფეროს, საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების, შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი საფუძველები და მისი რეგულირების ძირითადი საკითხები, ბიზნესის სფეროში სამართალდარღვევების ზოგადი დებულებანი. აღნიშნულ სახელმძღვანელოს მიმზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის წევრებმა: პროფ. ყორღანაშვილმა, პროფ. გ. დოლონაძემ, დოც. შ. გოგიაშვილმა.

ასევე კათედრის ერთ-ერთ ძირითად სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენდა საბაჟო კანონმდებლობის კრებული სრულყოფა, რომლის პირველი ვარიანტი გამოცემული იყო 2002 წელს, მასში შესული იყო საბაჟო საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები 2002 წლის 1 მარტის მდგომარეობით. 2003 წლისათვის კი გამოვიდა განახლებული კრებული ორ წიგნად 2003 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

ბიზნესის სამართლის კათედრაზე სხვადასხვა დისციპლინებში მომზადებულია სასაწავლო პროგრამები. კერძოდ:

ბიზნესის სამართლის კათედრის გამგეს, პროფ. ზ. ამილახვარს მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში – განათლების პროგრამის შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და კავკასია ნარკოტიკის გარეშე. პროფ. ზ. ამილახვარს ასევე მიღებული აქვს მონაწილეობა საბაუო და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით გაეროს და ევროკავშირის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციაში.

დოც. გ. ქირიამ მიიღო მონაწილეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულ თ.შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით, სასამართლო რეფორმების საკითხები საქართველოში. USAID-ის მიერ ჩატარებულ ქართულ-ამერიკულ სამეცნიერო კონფერენციაში. მისი მოხსენების თემაა – საზოგადოებისა და სასამართლოს ახალი სამართლებრივი კონცეფციის საკითხები. მიღებული აქვს ასევე მონაწილეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებულ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც მოხსენების თემაა – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კერძო სამართლებრივი ასპექტები.

ბუნების გამოყენების ეკონომიკისა და ტურისტული ბიზნესის კათედრის სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სასწავლო პროცესის განუწყვეტელი სრულყოფა, მეცნიერების ახალი მიმართულებების შესაბამისი მასალების მოძიება და სასწავლო პროგრამებსა და დისციპლინებში მათი ჩართვა. კათედრაზე მომზადდა და თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2003 წელს გამოსცა პროფ. გ. ბაბუნაშვილისა და დოც. მ. ხუტაშვილის ნაშრომი – ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია გამოყენებითი ეკოლოგიის ასპექტებზე. კერძოდ, საქართველოში ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე და იმ ადმინისტრაციულ-სამეურნეო, პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებაზე, რომელიც მიმართულია ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო ეკოსისტემების დაცვისათვის.

წიგნში წარმოდგენილი პრობლემების შესწავლა სტუდენტ ახალგაზრდობას გამოუმუშავებს ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზის უნარს, ეკოლოგიით დაინტერესებულ მკითხველს კი დააფიქრებს ბუნებასთან თითოეული პიროვნების გულგრილი და მტაცებლური დამოკიდებულებების შესაძლო შედეგებზე, გარემოსთან ურთიერთობის ოპტიმიზაციაზე.

საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის კათედრის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებაა საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენები. საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს, აგრეთვე მეურნეობის მსოფლიო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს თან სდევს თვისობრივად ახალი საბანკო და სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სფეროებში დასაქმებული პირების მუშაობაში ახალი სტილისა და მეთოდების დანერგვამ.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მომზადდა ნაშრომები, რომელთაგან უმრავლესობა გამოქვეყნდა რეცენზირებად სამეცნიერო კრებულებში.

ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სტუდენტთა მეცნიერული კვლევის უნარის გამოვლენის და მისი შემდგომი განვითარების მიმართულებით. კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მომზადებული სტუდენტების დიდი უმრავლესობა წარმატებით გამოდის როგორც ფაკულტეტზე გამართულ საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ მოწყობილ და რესპუბლიკურ კონფერენციებში.

აპრილში საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე ტრადიციულად ორი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა: საუნივერსიტეტო და საერთაშორისო. ორივე კონფერენციაზე მუშაობა მიმდინარეობდა სექციების მიხედვით. გამოვლინდა გამარჯვებულები: საერთაშორისო ბიზნესის კუთხით I ადგილი მიეკუთვნა III კურსის სტუდენტს ა.ჩინჩალაძეს (ხელმძღვ. დოც. ბ. მღებრიშვილი); მარკეტინგის ხაზით – IV კურსის სტუდენტ თ.ხოშტარიას (ხელმძღვ. პროფ. ლ. ყორღანაშვილი).

ბიზნესის სამართლის სექციიდან ზ. თეთრაშვილს (ხელმ. პროფ. ა. ბაქრაძე), ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის სექციიდან: დ. ბიწაძეს (ხელმ. უმასწო. ქობლიანიძე)

საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სექციიდან ჯ. აბესაძეს.

რესპუბლიკური კონფერენციის 7 სექციაში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაცია მიეცა საუნივერსიტეტო კონფერენციაში გამარჯვებულ ფაკულტეტის II სტუდენტს. აქედან გ.ჩხარტიშვილმა და თ.ხოშტარიამ მე-3 ადგილი დაიკავეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სექციაში.

ბიზნესის სამართლის სექციიდან I ადგილი დაიკავა I კურსის მაგისტრანტმა ჯ. აბესაძემ მოხსენებით: საქართველოს სადაზღვევო ბიზნესის განვითარების ეკონომიკურ-სამართლებრივი თავისებურებანი (ხელმ. დოც. შ. ნაცელიშვილი).

ტურიზმის სექციაში II საპრიზო ადგილი დაიკავა დ. ბიწაძემ მოხსენებით: საერთაშორისო თანამშრომლობა და მისი როლი მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში (ხელმ. უმასწ. თ. ქობლიანიძე).

აგრარული მეცნიერების სექციაში, II ადგილი დაიკავა ი. ლომიძემ მოხსენებით: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შეფასება (ხელმ. პროფ. თ. ლალიძე).

საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობის IV კურსის სტუდენტმა, თორნიკე ხოშტარიამ მონაწილეობა მიიღო მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ მოწყობილ კონფერენციაშიც. დაიკავა II ადგილი და მიიღო ფულადი პრემია. ფულადი პრემია გადაეცა მის ხელმძღვანელსაც – პროფ. ლ. ყორღანაშვილს.

2003 წლის 18-19 აპრილს ჩატარდა სტუდენტთა და ასპირანტთა VI საერთაშორისო კონფერენცია დევიზით „ახალგაზრდობა და ბიზნესი – XXI საუკუნე“, რომელსაც ფაკულტეტი ყოველწლიურად ატარებს. მასში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი იყო 150-ზე მეტი მოხსენება, რომელთაგან რეცენზირებისა და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე დაშვებულ იქნა 78 მოხსენება. მათ შორის 60 მოხსენება შესრულებული იყო ქართულ ენაზე, 8 – ინგლისურ ენაზე, 10 – რუსულ ენაზე. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და მაგისტრანტები. კონფერენციაზე საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტიდან წარმოდგენილი იყო სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა მიერ შესრულებული 30-ზე მეტი ნაშრომი.

2003 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტისა და სამოქალაქო განათლების პროექტის მიერ ერთობლივად მოწყობილი სტუდენტთა სამეცნიერო რესპუბლიკური კონ-

ფერენცია თემაზე: ეაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო: სირთულეები და პერსპექტივები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის I კურსის მაგისტრანტმა, თ. კერესელიძემ (ხელმ. პროფ. ლ. ყორღანაშვილი), რომელსაც გადაეცა დიპლომი.

მიმდინარე წელს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სტუდენტური კონკურსების პროგრამაში, რომლის ორგანიზება თსუ რექტორის 2003 წლის 22 ოქტომბრის 223 ბრძანების საფუძველზე განახორციელა სტუდენტთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ. აღნიშნული კონკურსი ორჯერ ჩატარდა. პირველ კონკურსზე წარდგენილი იყო 18 პროექტი. გამარჯვებული პროექტი ითვალისწინებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით ქართულ-აზერბაიჯანული სტუდენტური კონფერენციის ორგანიზებას, რომელიც ჩატარდა ოქტომბრის თვეში. ფაკულტეტიდან მასში მონაწილეობა მიიღო 10-ზე მეტმა სტუდენტმა, მონაწილეობდა ასევე 7 ბაქოელი სტუდენტი. კონფერენცია სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

მეორე კონკურსზე საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტიდან პროექტები წარადგინა სტუდენტთა და ასპირანტთა საბჭომ. წარდგენილი იყო 2 პროექტი. ორივე მათგანი შეეხებოდა სტუდენტურ თვითმმართველობას. ერთი ითვალისწინებდა სტუდენტური გაზეთის გამოცემას სახელწოდებით „სტუდენტური თვითმმართველობა“ (პროექტის დირექტორი გ. აბაშიშვილი, პროექტის ავტორი ხ. ცერცვაძე), მეორე პროექტის სახელწოდებაა „სტუდენტთა უფლებები“ (დირექტორი გ. აბაშიშვილი, ავტორი ნ. ძნელაძე). გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა, რომლის განხორციელებისათვის გამოყოფილი იქნება შესაბამისი გრანტი.

ბიზნესის სამართლის სპეციალობის III კურსის სტუდენტმა, ნ. ტატუნაშვილმა მონაწილეობა მიიღო 2003 წლის 17 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ეხებოდა გერმანიის ქალაქ ზაარლანდის უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას. კონკურსში მონაწილეობდა თსუ 120-მდე სტუდენტი. ნ.ტატუნაშვილმა გაიმარჯვა აღნიშნულ კონკურსში და იგი სასწავლებლად გაემგზავრება ზაარლანდის უნივერსიტეტში.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 2 სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის ბაზაზე ფუნქციონირებს სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ჩარჩოში გრძელდება მუშაობა თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზებისათვის საჭირო საინფორმაციო ბაზის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც სამეცნიერო კვლევითი, ისე პრაქტიკული საქმიანობის განვითარებას. მუშაობს ბიზნესმენტა გადამზადების ცენტრი ერთწლიანი პროგრამით.

ცენტრი კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის კათედრების სამეცნიერო მუშაობას.

ცენტრი გამოსცემს საერთაშორისო საუნივერსიტეტო საშორისო სამეცნიერო შრომების კრებულს. აღნიშნული კრებულის სარედაქციო კოლეგიაში უცხოელ მეცნიერებთან ერთად ძირითადად კათედრის პროფესორები არიან. მიმდინარე წელს გამოიცა 2 კრებული.

ბიზნესისა და მდგრადი განვითარების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრი 2003 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა (მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. თ. ლალიძე).

აღნიშნული ცენტრის შექმნა დადებითად აისახა სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებში. კერძოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2004 წლის ინდიკატური გეგმის პროექტში აღნიშნულია: „აღსანიშნავია საქართველოს მდგრადი განვითარების საერთაშორისო სააგენტოს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა – პირველად საქართველოს უმაღლესი სკოლების პრაქტიკაში შემოღებულ იქნა ახალი სასწავლო კურსი – მდგრადი განვითარების საფუძვლები, ჩამოყალიბდა „ბიზნესისა და მდგრადი განვითარების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრი“, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებასა და ცივილიზებული ბიზნესის ჩამოყალიბებას საქართველოში.

2000 წლის 8 სექტემბრის გაერო-ს მე-8 პლენარულ სხდომაზე 147 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს „გაერო-ს ათასწლეულის დეკლარაცია“. ამ დეკლარაციას ხელი მოაწერა საქართველომაც. დეკლარაციის მოთხოვნათა შესრულების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 26 აგვისტოს №1063 განკარგულებით, შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფში „გარემოს დაცვა“ აქტიური მონაწილეობა

მიიღო „ბიზნესისა და მდგრადი განვითარების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრმა“. ამ ცენტრის მონაწილეობით მომზადებული ანგარიში – გარემოსდაცვითი ღონისძიებების სტაბილურობის უზრუნველყოფა – საქართველოს მთავრობაში განხილვის შემდეგ გაიგზავნება გაერო-ში.

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციების მრგვალი მაგიდის „მოძრაობა საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის“ მოწყობასა და მუშაობაში, რომელიც 2003 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა სახალხო დამცველის ოფისში.

ცენტრი ამჟამად მუშაობს ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ მომზადებული „ეკოლოგიურ-ეკონომიკური“ ლექსიკონის ქართულ თარგმანზე.

ცენტრის სამეცნიერო მუშაობაში ჩართულნი არიან III კურსის სტუდენტები, რომლებიც ამზადებენ მოხსენებებს საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის.

საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

პროფ. ლ. ყორღანაშვილი

1. საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის თავისებურებანი განვითარებულ ქვეყნებში – თსუ შრომები „ეკონომიკა“, თბ., თსუ გამომცემლობა, 2003, №1-2, გვ. 106-117 (გ. შადურთან თანაავტორობით).

2. საზოგადოებრივი კვების ფუნქციების შესახებ, საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თსუ, თბ., I ტომი, №5-6 (მ. ზედგინიძესთან თანაავტორობით), 2003.

3. მარკეტინგის როლი ფეხბურთის მსოფლიო ბიზნესის განვითარებაში, საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თსუ, თბ., I ტომი, №5-6, 2003.

4. საბანკო დეპოზიტების გარანტირების სისტემები საზღვარგარეთის ქვეყნებში, საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თსუ, თბ., I ტომი, №5-6, 2003.

5. თავები IV, V 1-5, VI, XI სახელმძღვანელოში „ბიზნესის სამართლის საფუძვლები“, თბ., 2003.

6. თავები I, II სახელმძღვანელოში „ბიზნესის საფუძველი“, თბ., 2003.

პროფ. რ. გველესიანი

1. საერთაშორისო მეწარმეობის რისკები და სადაზღვევო ბიზნესის პრინციპები, თბ., 2003.

2. ეკონომიკური ქცევის განმსაზღვრელი ფასეულობები საერთაშორისო მაკროეკონომიკის ასპექტში, საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თსუ, თბ., I ტომი, №5-6, 2003.

პროფ. რ. გოგოხია

1. საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობათა თანაფარდობის და პერსპექტივების საკითხისთვის ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 6, 2003.

2. ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი (რეცენზია), ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 1, 2003.

3. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა, ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 5, 2003.

პროფ. გ. დოლონაძე

1. აგრარულ ბიზნესში ურუგვაის შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათები, შრომათა კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, ტ.1.

2. ურუგვაის ხელშეკრულების გავლენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ტ.3, 2003.

3. მიწის რესურსების პროგნოზირების მეთოდები და სისტემები ქვეყნისა და რეგიონალურ დონეზე, ასკემესკის შრომათა კრებული, ტ.4, 2003.

4. თავი XII სახელმძღვანელოში „ბიზნესის სამართლის საფუძველები“, თბ., 2003.

პროფ. რ. კაკულია

1. ფულის ფენომენი თანამედროვე ეკონომიკაში, ჟურნ. „ბანკი“, 2003 1-2.

2. ფულის ფენომენი თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრო-

მების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თსუ, თბ., I ტომი, №5-6, 2003.

3. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003.

პროფ. რ. ქუტიძე

1. ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ნიკერი“, თბ., 2003.

პროფ. გ. შუბლაძე

1. ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის დეფინიციის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 2003.

2. მარკეტინგის არსისა და მისი მართვის შესახებ (ინგლ. ენაზე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 168, 2, 2003.

3. საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ (გადაეცა „მოამბის“ რედაქციას)

4. მომზადდა პროგრამა ბაკალავრიატისათვის „ბიზნესის საფუძვლები“ და მაგისტრატურისთვის „ორგანიზაციული ქცევა და პერსონალის მართვა“.

პროფ. ე. ხარაიშვილი

1. რეგიონული ეკონომიკა (პრაქტიკული სავარჯიშოები, საქმიანი სიტუაციები, ამოცანები) თბ., 2003.

2. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებები, თსუ გამომცემლობა, თბ., 2003.

3. სასურსათო ბაზრის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა“, თბ., N1-2, 2003.

დოც. შ. გოგიაშვილი

1. თავი VII. მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება, წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, გამომცემული საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) მიერ.

2. თავი IX. სახელმძღვანელოში „ბიზნესის სამართლის საფუძვლები“, თბ., 2003.

დოც. ბ. მღებრიშვილი

1. მარკეტინგის პრინციპები და სტრატეგია, სამკურნალო საშუალებები ვაჭრობაში, ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 4, 2003.

2. ბიზნესის განვითარების დემოგრაფიული გარემო საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა“, 1-2, 2003.

